


თეზურ ავადიანი, მარინე აროშოქე



ენათმეცნიერების
შესავალი

თემურ ავალიანი, მარინე აროშიძე

ენათმეცნიერების შესავალი

*სახელმძღვანელო
ფილოლოგიის მიმართულების საბაკალავრო
სპეციალობებისათვის*

ბათუმი
2021

„ენათმეცნიერების შესავლის“ წინამდებარე სახელმძღვანელო შედგენილია უმაღლესი განათლების ერთსაფეხურიანი სისტემიდან სამსაფეხურიანზე გადასვლის და სხვა უამრავი ახალი გარემოების გათვალისწინებით, რაც გაჩნდა საერთოდ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული განათლების სისტემის რეფორმირების პროცესში. გათვალისწინებელია ისიც, რომ ბსუ-ს და საქართველოს ზოგიერთი სხვა უმაღლესი სასწავლებლის ფილოლოგიის მიმართულების სპეციალობებზე „ზოგადი ენათმეცნიერების“ („ენის თეორიის“) საფაკულტეტო სასწავლო კურსი იკითხება არა დამამთავრებელ სემესტრში, როგორც იყო ათწლეულების განმავლობაში, არამედ მესამე სემესტრში, უშუალოდ „ენათმეცნიერების შესავლის“ შემდეგ. ნაშრომი მდიდარია საილუსტრაციო მასალით, ყოველ თემას თანდართული აქვს კითხვები, დავალებები და ტექსტში გამოყენებული ლინგვისტური ტერმინების ჩამონათვალი, ხოლო ნაშრომის ბოლოს მოცემულია უმეტესწილად მრავალპასუხიანი ტესტების ბაზა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასოც. პროფესორ თემურ ავალიანის და პროფესორ მარინე არომიძის ნაშრომი „ენათმეცნიერების შესავალი“ განხილული და სახელმძღვანელოდ აღიარებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ (ბსუ-ს საგამომცემლო საბჭოს სხდომის ოქმი # 1.06.03.2020)

რედაქტორი: ბსუ-ს პროფესორი მამია ფაღავა

რეცენზენტები: ბსუ-ს პროფესორი ნოდარ ჭყონია

ბსუ-ს ასოც. პროფესორი ნანა ცეცხლაძე

ISBN 978-9941-9642-9-9

სარჩევი

შესავალი

7

| | |
|---|----|
| I. ზოგადი ცნობები ენათმეცნიერებისა და ენის შესახებ 1. | |
| „ენათმეცნიერების შესავალი“, როგორც დისციპლინა | 15 |
| 1.1. ენათმეცნიერების რაობა | 15 |
| 1.2. ენათმეცნიერების კვლევის ობიექტი, ასპექტები და შესაბამისი დისციპლინები | 17 |
| 1.3. ენათმეცნიერების ადგილი მეცნიერების სხვა დარგებს შორის | 29 |
| 2. ენის რაობა და ფუნქციები | 36 |
| 2.1. ენის განმარტების პრობლემა | 36 |
| 2.2. ბუნებრივი, ხელოვნური და ნაწილობრივ ხელოვნური (სამეცნიერო) ენები | 41 |
| 2.3. ბუნებრივი ენის ვარიანტები (არსებობის ფორმები) | 44 |
| 2.4. ენის დანიშნულება და ძირითადი ფუნქციები | 50 |
| 3. ენა და მეტყველება | 56 |
| 3.1. მეტყველების რაობა. ენა, მეტყველება კომუნიკაცია | 56 |
| 3.2. სამეტყველო აქტი და საკომუნიკაციო აქტი | 59 |
| 3.3. საკითხი ენისა და მეტყველების ბუნების შესახებ | 61 |
| 4. ენა და აზროვნება | 70 |
| 4.1. ენის და აზროვნების ურთიერთმიმართების პრობლემა | 70 |
| 4.2. სიტყვის და ცნების ურთიერთმიმართება | 71 |
| 4.3. ენის, აზროვნების და მეტყველების ტრიადა (ტრიქოტომია) | 78 |
| 4.4. სიტყვა და ცხოველთა ბგერითი საკომუნიკაციო სისტემები. (ცხოველის ენა) | 79 |
| 5. ენა, როგორც სისტემურ-სტრუქტურული ფენომენი | 83 |
| 5.1. ენის სემიოტიკური არსი | 83 |
| 5.2. ნიშანთა კლასიფიკაცია და სიტყვის ადგილი მასში | 86 |
| 5.3. ენა - ნიშანთა სისტემა | 90 |

| | |
|--|----|
| 5.4. ენობრივი სისტემის სტრუქტურა და მისი დონეები (იარუსები) | 94 |
| 5.5. ენობრივი სისტემის ელემენტთა ურთიერთმიმართებანი | 96 |

**II. ენობრივი სისტემის ელემენტები და მათი შემსწავლელი
დისციპლინები**

| | |
|--|-----|
| 6. ფონეტიკა. სამეტყველო ნაკადის ფონეტიკური სეგმენტაცია | 100 |
| 6.1. ფონეტიკის რაობა | 100 |
| 6.2. სამეტყველო ნაკადის სეგმენტაცია | 101 |
| 6.3. სამეტყველო ნაკადის ზესეგმენტური ელემენტები | 112 |
| 7. სამეტყველო ზგერის ლინგვისტური ანალიზი. აკუსტიკური ფონეტიკა | 123 |
| 7.1. სამეტყველო ზგერის შესწავლის ასპექტები | 123 |
| 7.2. სამეტყველო ზგერის შესწავლის აკუსტიკური ასპექტი | 124 |
| 7.3. ზგერის შედგენილობა, ხმოვანი და თანხმოვანი ზგერები | 129 |
| 8. სამეტყველო ზგერის არტიკულაციური ანალიზი | 132 |
| 8.1. სამეტყველო აპარატი და საარტიკულაციო ბაზისი | 132 |
| 8.2. თანხმოვანთა არტიკულაციური დახასიათება | 136 |
| 8.3. ხმოვანთა არტიკულაციური დახასიათება | 144 |
| 8.4. სამეტყველო ზგერათა არტიკულაცია სამეტყველო ნაკადში | 148 |
| 9. სამეტყველო ზგერის შესწავლის ფუნქციური ასპექტი. ფონემა | 154 |
| 9.1. სამეტყველო ზგერის დანიშნულება და ფუნქციები | 154 |
| 9.2. ფონემა, ფონი, ალოფონი | 158 |
| 9.3. ფონოლოგიური სისტემები და ფონემათა რაოდენობა | 162 |
| 10. ლექსიკოლოგია. სიტყვა - ენობრივი სისტემის ცენტრალური ერთეული | 170 |
| 10.1. ლექსიკოლოგიის რაობა და დარგები | 170 |
| 10.2. სიტყვის განმარტების პრობლემა | 175 |
| 10.3. ლექსემა და ლექსა, სიტყვაფორმა და ალოლექსი | 180 |
| 10.4. სიტყვის მნიშვნელობის სახეები. ლექსიკური მნიშვნელობა | 183 |

| | |
|---|------------|
| 10.5. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის სტრუქტურა | 190 |
| 10.6. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის მოდიფიკაცია და მასთან დაკავშირებული ენობრივი პროცესები | 192 |
| 10.7. ლექსიკოგრაფია | 197 |
| 10.8. ფრაზეოლოგია | 200 |
| 11. ლექსიკის სისტემურობა | 206 |
| 11.1. ლექსიკის სისტემატიზაციის პრობლემა | 206 |
| 11.2. ლექსიკის სისტემატიზაცია სინტაგმატური და პარადიგმატული კავშირების საფუძველზე | 208 |
| 11.3. ენის ლექსიკის კლასიფიკაცია სტილისტური ნიშნით | 213 |
| 11.4. ლექსიკის კლასიფიკაცია სიტყვათა გამოყენების სიხშირის მიხედვით | 216 |
| 11.5. ენის ლექსიკის კლასიფიკაცია წარმოშობის მიხედვით | 219 |
| 12. გრამატიკა. მორფოლოგია | 223 |
| 12.1. გრამატიკის რაობა, ძირითადი გრამატიკული ერთეულები და დარგები | 223 |
| 12.2. სიტყვის გრამატიკა (მორფოლოგია) | 225 |
| 12.3. მეტყველების ნაწილები | 233 |
| 12.4. სიტყვის აგებულება და სიტყვაწარმოება | 239 |
| 13. გრამატიკა (სინტაქსი) | 251 |
| 13.1. სინტაქსის რაობა. ძირითადი სინტაქსური ერთეულები და კატეგორიები | 251 |
| 13.2. შესიტყვება (სინტაგმა) | 253 |
| 13.3. წინადადების რაობა, ძირითადი ნიშნები და სახეები | 257 |
| 13.4. წინადადების შედგენილობა. წინადადების წევრები და აქტანტები | 263 |
| III. ენისა და ენობრივი სამყაროს წარმოშობა და განვითარება | |
| 14. ენის წარმოშობის პრობლემა | 270 |
| 14.1. პრობლემის არსი და სირთულე | 270 |
| 14.2. პირველი ენის თეორია | 272 |
| 14.3. ჰიპოთეზები ენის წარმოშობის შესახებ | 274 |

| | |
|--|------------|
| 14.4. ბავშვის მიერ ენის ათვისების პროცესი და ენის წარმოშობის პრობლემა | 285 |
| 15. ენობრივი სამყაროს განვითარება (ინტეგრაცია, დიფერენციაცია) | 289 |
| 15.1. პლანეტის ენობრივი სიტუაციის ცვლა კაცობრიობის გარიჟრაჟიდან დღემდე | 289 |
| 15.2. ენათა ინტეგრაცია და მისი შედეგები | 290 |
| 15.3. ენათა დიფერენციაცია. მონათესავე ენები | 297 |
| 15.4. ენათა კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები | 299 |
| 16. დამწერლობა, გრაფიკა, ორთოგრაფია | 319 |
| 16.1. დამწერლობის არსი და ფუნქციები | 319 |
| 16.2. დამწერლობის წარმოშობა | 320 |
| 16.3. დამწერლობის სახეები | 324 |
| 16.4. დამწერლობის მოკლე ისტორია | 333 |
| 16.5. ანბანი, გრაფიკა, ორთოგრაფია და ორთოეპია | 337 |
| 16.6. ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია | 341 |
| ტესტების ბაზა ენათმეცნიერების შესავალში | 346 |
| გამოყენებული ლიტერატურა | 422 |

შესავალი

სახელმძღვანელოს შექმნას თავისი მიზანი და მიზეზი აქვს. ის მანამდე არსებულთაგან მნიშვნელოვნად უნდა განსხვავდებოდეს. ცხადია, ჩვენც დავუსვით საკუთარ თავს კითხვა, თუ რატომ და რა მიზნით უნდა შეგვექნა „ენათმეცნიერების შესავლის“ სახელმძღვანელო მაშინ, როცა გვაქვს, ერთი მხრივ, ა. ჩიქობავას, გ. ახვლედიანის, გ. ნებიერიძის, თ. გამყრელიძის, და მეორე მხრივ, სხვა ქართველ ავტორთა სახელმძღვანელოები (მათ შორის, ჩვენი უნივერსიტეტელი კოლეგების, პროფ ნ. ჭყონიას "ენათმეცნიერების შესავალი" და ასოც. პროფ. ლ. ხალვაშის „ზოგადი ენათმეცნიერება“). ამ კითხვაზე პასუხის ძიების პროცესი არ ყოფილა ხანმოკლე და მარტივი. თავდაპირველად ჩვენ შევიმუშავეთ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენათმეცნიერების, როგორც დარგის სწავლების და განვითარების კონცეფცია“, რომლის საფუძველზეც დავიწყეთ მუშაობა აღნიშნული სახელმძღვანელოს შექმნაზე. პარალელურად, ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენი მოსაზრებები საკითხის დასმისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით არაერთხელ იქნა განხილული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე. გამოქვეყნებულია¹ სამეცნიერო² პუბლიკაციებიც³.

¹ *ავალიანი თ.* ზოგადლინგვისტური მიმართულება სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების პირობებში (პრობლემები და პერსპექტივები) – იბერიულ-კავკასიური ენები: სტრუქტურა, ისტორია ფუნქციონირება. III საერთაშორისო სიმპოზიუმი. მასალები. თბილისი. 2011. გვ. 11 – 14

² *ავალიანი თ.* „К термину «общее языкознание» в современной лингвистике“ – (Материалы международной научной конференции „Лингвистика после Ф. де Соссюра: итоги и перспективы (К 155-летию со дня рождения Ф. де Соссюра). Московский государственный областной университет. 21-23 февраля 2013 года с. 7 – 13.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ პოსტსაბჭოური ეპოქის იმ ეტაპიდან, როცა ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემიდან სამსაფეხურიანზე გადასვლამ სრულიად ახალი მოთხოვნები წამოჭრა მეცნიერების ყველა დარგის, მათ შორის, ენათმეცნიერების სწავლების წინაშე, აუცილებელი გახდა არა მხოლოდ „ენათმეცნიერების შესავლის“, არამედ მთლიანად ლინგვისტიკის, როგორც დარგის, სწავლების კონცეფციის ახლებურად გააზრება, რადგან რაც ადრე სტუდენტს მიეწოდებოდა სწავლების ერთადერთი საფეხურის ფარგლებში, გადასამუშავებელი და გადასანაწილებელი გახდა სამ საფეხურზე. მეორეც, ბაკალავრიატის საფეხურზე მკვეთრად შემცირდა ზოგადლინგვისტური დისციპლინებისთვის დათმობილი აკადემიური საათების რაოდენობა. რასაც ერთსაფეხურიანი სისტემის პირობებში სტუდენტი გადიოდა სამნახევარი-ოთხი წლის განმავლობაში (საუნივერსიტეტო დისციპლინების გამოკლებით), დღეს იმას გადის სულ რაღაც ორ წელიწადში, რომელშიც თავსდება როგორც ლინგვისტიკის, ისე ლიტერატურთმცოდნეობის მიმართულება.

აუცილებელი გახდა ქართული ზოგადი განათლების სისტემაში ათწლეულების განმავლობაში შექმნილი სავალალო ვითარების მაქსიმალურად გათვალისწინებინაც. მხედველობაში გვაქვს ის, რომ სკოლებში არა მხოლოდ უცხოური, არამედ მშობლიური ენის გრამატიკაც კი წლების განმავლობაში დამოუკიდებლად აღარ ისწავლება. მეორეც, უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციების ზღვარი არის ძალიან დაბალი. შესაბამისად, სკოლის კურსდამ-

³ *Авалиани Т.* Некоторые вопросы преподавания общелингвистических дисциплин в постсоветском вузе (Обмен опытом). Коллективная монография по материалам научно-методического симпозиума. Пятигорск. 2017.

თავრებულთა დიდი ნაწილი სწორედ ამ პირობებში მიღებული ძალიან მწირი ლინგვისტური ცოდნის დონით მოდის უმაღლეს სასწავლებელში.

პრინციპულად შეიცვალა ტერმინის - „უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული“ შინაარსიც. დღეს უმაღლესი განათლება მოიცავს სამ საფეხურს, რომელთა მიმართ მოთხოვნები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ბაკალავრიატი არის შუალედური საფეხური ზოგად და უმაღლეს განათლებას შორის. ფილოლოგიის ბაკალავრს, როგორც უმაღლესი განათლების მქონე პირს, არ მოეთხოვება დარგის ღრმა ცოდნა, რადგან ის არ არის ვიწრო მიმართულების სპეციალისტი. თუ მას ამის სურვილი გაუჩნდება, სწავლას აგრძელებს მაგისტრატურის, შემდგომ კი დოქტორანტურის საფეხურზე. ამავე დროს, რეალობა ისიც, რომ სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა სწავლას აღარ აგრძელებს მაგისტრატურაში და ბაკალავრის აკადემიური ხარისხით კმაყოფილდება. შესაბამისად, ლინგვისტური მიმართულების სახელმძღვანელოების შედგენისას აუცილებელი გახდა კომპლექსური მიდგომის შემუშავება: კონცეპტუალურად უნდა იქნეს გააზრებული, როგორ გადანაწილდეს მომავალი ფილოლოგის მომზადებისთვის აუცილებელი ზოგადლინგვისტური კომპეტენციები და უნარ-ჩვევები სწავლების სამ საფეხურზე. მათ შორის, ბაკალავრიატის საფეხურზე საკითხი დგას ასე: სწორად უნდა განისაზღვროს, რა შინაარსის და მოცულობის ზოგადლინგვისტური მასალაა აუცილებელი და საკმარისი უშუალოდ ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოსაყალიბებლად და როგორ უნდა იქნეს ის მიწოდებული იმის გათვალისწინებით, სტუდენტი ამ საფეხურზე დაასრულებს სწავლას თუ გააგრძელებს მაგისტრატურაში. პირველ შემთხვევაში ეს უნდა იყოს ფილოლოგიის ბაკალავრისთ-

ვის აუცილებელი ლინგვისტური ცოდნა. მეორე შემთხვევაში კი - ბაზისი მიღებული ცოდნის შემდგომი განვითარება-გალრმავე-ბისთვის. მაშასადამე, გაჩნდა ახალი პრობლემა: ზოგადლინ-გვისტური პრობლემატიკის არა ფრაგმენტული გადანაწილება, არამედ სისტემური, კომპლექსური გააზრება ყველა იმ ლინ-გვისტური საკითხისა, რაც მთლიანობაში, სამივე საფეხურის გათვალისწინებით უნდა იქნეს მიწოდებული ფილოლოგიის კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად.

წინა პერიოდთან შედარებით, „ენათმეცნიერების შესავლის“ კურსს დღეს კიდევ ერთი ფუნქცია გაუჩნდა. ის ბსუ-ს ფილო-ლოგიური მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების (ქართული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული ფილოლოგია, თარგმანმცოდნეობა) ხუთკრედიტია-ნი სავალდებულო საფაკულტეტო სასწავლო კურსია, რომელიც იკითხება მეორე სემესტრში. ეს არის პირველი ლინგვისტური დისციპლინა, რომლითაც სტუდენტს ექმნება წარმოდგენა ენის (ენების), ენობრივი სამყაროს და მათი შემსწავლელი დარგების შესახებ. ასე, რომ მან ჯერ კიდევ სპეციალობის არჩევანის წინაშე მდგომ სტუდენტს სწავლის დაწყებისთანავე უნდა შეუქმნას ჰუმანიტარული მიმართულებების სპეციალობათა მრავალფე-როვანი სპექტრიდან სწორედ ფილოლოგიის მიმართულების სპეციალობის არჩევის სურვილი და მოტივაცია. ვფიქრობთ, ამითაც არის განპირობებული ამ საგნის მეშვეობით ძირითადი ლინგვისტური ტერმინოლოგიური ბაზისა და ცნებითი აპარა-ტის რაც შეიძლება ნათლად, გასაგებად და მარტივად მიწოდება. რაც შეეხება ენათმეცნიერების ძირითადი და საკამათო დებუ-ლებების, პრობლემატიკის, კონცეფციების, თეორიების გაცნო-ბას, სათანადო დონეზე გააზრებას და კრიტიკულ ანალიზს, ეს „ზოგადი ენათმეცნიერების“ დანიშნულებაა, რომლის შედეგის

დროსაც ასევე გასათვალისწინებელია არსებული რეალობა, მათ შორის ისიც, რომ დღეს ეს ლინგვისტური დისციპლინა იკითხება „ენათმეცნიერების შესავლის“ კურსის დასრულებისთანავე, როცა სტუდენტს მის გარდა არც ერთი ლინგვისტური დისციპლინა არ აქვს გავლილი და არ იცნობს რომელიმე კონკრეტული ენის სტრუქტურას. ადრე „ზოგადი ენათმეცნიერება“ ისწავლებოდა დამამთავრებელ სემესტრში, რითაც შემაჯამებელი ლინგვისტური კურსის ფუნქციასაც ასრულებდა. ერთი სიტყვით, ჩვენი მიდგომით, ეს არის არა ორი დამოუკიდებელი დისციპლინა, არამედ ერთი საგნის ორი ნაწილი, ერთი ჯაჭვის ორი რგოლი, ერთიანი პრობლემატიკის განხილვის ორი დონე: ჯერ გაცნობა-გააზრება, შემდეგ - გაღრმავება და კრიტიკული ანალიზი, ჯერ „შესავალი ენის თეორიაში“, შემდეგ - „ენის თეორია“. მაშასადამე, ფილოლოგიის მომავალი ბაკალავრი „შესავლის“ კურსში ეუფლება, მაგალითად, ენის, მეტყველების, სიტყვის, მორფემის, ფონემის და სხვა ლინგვისტურ ცნებებს. „ზოგად ენათმეცნიერებაში“ კი ის ეცნობა ამ ცნებების (ენის, მეტყველების, სიტყვის, მორფემის, ფონემის და ა.შ.). შესახებ არსებულ ძირითად შეხედულებებს, კონცეფციებს, თეორიებს, პრობლემატიკას და სიღრმისეულად, კრიტიკულად აანალიზებს მათ.

ამრიგად, აშკარაა, რომ ახალ პირობებში „ენათმეცნიერების შესავლის“ ფუნქციები მნიშვნელოვნად შეიცვალა. მისი ფუნქცია აღარ არის სტუდენტის ჩაღრმავება ლინგვისტურ პრობლემატიკას, კონცეფციებსა და თეორიებში. შესაბამისად, დღეს ის უნდა შემოიფარგლოს მიმოხილვითი კურსის, გზამკვლევის როლით, რითაც მან სტუდენტს უნდა მოუმზადოს საფუძველი ლინგვისტური პრობლემატიკის სიღრმისეული და კრიტიკული გააზრებისთვის მომდევნო კურსების ფარგლებში (ბსუ-ში ასეთია: ბაკალავრიატში - „ზოგადი ენათმეცნიერება“, რომელიც

უშუალოდ მოსდევს „ენათმეცნიერების შესავალს“ და მასთან ერთად ქმნის ტანდემს, მაგისტრატურაში - „ლინგვისტური ტიპოლოგია“, სოციოლინგვისტიკა, კომუნიკაციური ლინგვისტიკა და სხვ.).

სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით დავისახეთ მიზნად „ენათმეცნიერების შესავლის“ სახელმძღვანელოს არა მხოლოდ შეძლებისდაგვარად განახლება და მასალის მიწოდების თვალსაზრისით გადამუშავება, არამედ მისაწოდებელი მასალის დოზირება და გარკვეულწილად გამარტივებაც კი, ოღონდ არა ინფორმაციის აკადემიურობის ხარჯზე. მასში გათვალისწინებულია აგრეთვე ისიც, რომ მაგისტრატურის საფეხურზე იკითხება: ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია, ტექსტის ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, ლინგვისტური პრაგმატიკა, ლიგვოსემიოტიკა და სხვა ლინგვისტური კურსები, რომელთა ათვისებისთვის საჭირო თეორიულ ბაზას „ენათმეცნიერების შესავალთან“ ერთად ქმნის „ზოგადი ენათმეცნიერება“, კონკრეტული ენის სტრუქტურის შემსწავლელი სასწავლო კურსები და სხვა ლინგვისტური დისციპლინები, რომლებიც ბაკალავრიატში ისწავლება. ამიტომაც ჩვენ მიერ შემოთავაზებული სახელმძღვანელო წარმოადგენს მხოლოდ პირველ ნაბიჯს, პირველ საფეხურს, რაც აუცილებელია შემდგომში ლინგვისტური თეორიებისა და სადისკუსიო პრობლემატიკის განხილვისთვის.

„ენათმეცნიერების შესავლის“ დღემდე მოქმედი ქართული სახელმძღვანელოებისგან განსხვავებით, მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ თითოეული თემის ბოლოს მოცემულია კითხვები და დავალებები (ეს მიდგომა გამოყენებულია ლ. ხალვაშის „ზოგადი ენათმეცნიერების“ სახელმძღვანელოშიც). ისინი ჩამოყალიბებულია არა მხოლოდ კითხვით - *რა არის ეს*, არამედ კონსტრუქ-

ციებით: შეადარეთ, დაასაბუთეთ, გააანალიზეთ, იმსჯელოთ, მოიშველიეთ არგუმენტები, როგორ ახსნით, როგორ ფიქრობთ და ა.შ. ისინი ამზადებენ სტუდენტს მომავალი კრიტიკული ანალიზისთვის. მოცემულია, აგრეთვე, მასში განხილული ლინგვისტური ტერმინების ჩამონათვალი. სტუდენტს მოეთხოვება ტერმინის განმარტება, ოღონდ არა მხოლოდ მოცემულ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, არამედ სხვა ბეჭდვითი თუ ელექტრონული ლინგვისტური ლიტერატურის მოშველიებით. მას ევალება თითოეული ტერმინის რამდენიმე განმარტების მოძიება და მათი შედარებითი ანალიზის გაკეთება.

სიახლეა ისიც, რომ სახელმძღვანელოს თანდართული აქვს ტესტების ბაზა. ორი ან სამი სწორი პასუხის შემცველ ტესტებში, რომლებიც უმრავლესობას შეადგენს, სტუდენტმა წინასწარ არ იცის სწორი პასუხების რაოდენობა, რაც, ჩვენი დაკვირვებით, მნიშვნელოვნად ზრდის საკითხის გააზრების აუცილებლობას და მაქსიმალურად გამორიცხავს შემთხვევითობის ალბათობას. სამომავლოდ ჩვენ ვგეგმავთ თითოეული თემის მიხედვით აღნიშნული ბაზის, კითხვებისა და დავალებების მოცულობის მაქსიმალურად გაზრდა-გამრავალფეროვნებას, აგრეთვე, როგორც ადრინდელი, ისე თანამედროვე ფუძემდებლური ლინგვისტური დებულებების და კონცეფციების ავტორთა ნააზრევის (ნაშრომების) ადაპტირებული ტექსტების დამუშავებას და „ენათმეცნიერების პრაქტიკული კურსის“ შექმნას, რაც მაქსიმალურად გაუადვილებს სტუდენტს ლინგვისტური ცნებებისა და პრობლემატიკის კომპლექსურად გააზრებას და ანალიზს დამოუკიდებელი მუშაობის (პრეზენტაცია, სემინარი, რეფერატები, საბაკალავრო ნაშრომი და სხვა) პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ „ენათმეცნიერების შესავალი“ ყველა ფილოლოგიურ სპეციალობაზე იკითხება ქართულ ენაზე და

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები მეტ-ნაკლებად მშობლიური ენის სტრუქტურას უფრო იცნობენ, ვიდრე ნებისმიერი სხვა ენის სტრუქტურას, ჩვენ ვითვალისწინებთ თანამედროვე საზოგადოების პოლილინგვიზმისკენ სწრაფვასა და იმ ფაქტსაც, რომ ეს კურსი იკითხება თარგმანმცოდნეობის სპეციალობაზე. აქ ის თეორიულ საფუძველს უმზადებს „თარგმანისა და ლინგვისტური ტიპოლოგიის კურსს“, რომელიც იკითხება „ზოგადი ენათმეცნიერების“ ნაცვლად, რადგან ამ სპეციალობის სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ენობრივი სტრუქტურის გააზრება ტიპოლოგიურ ჭრილში. შესაბამისად, მართალია, ჩვენ ლინგვისტურ ცნებებს ვხსნით ძირითადად ქართული ენობრივი მასალის საფუძველზე, მაქსიმალურად გვაქვს ჩართული ინგლისური, რუსული და თურქული ენების მასალაც.

დაბოლოს: სახელმძღვანელოს, ცხადია, არ აქვს სრულყოფილების პრეტენზია, ამიტომ მისი რედაქტირების, რეცენზირების და გამოქვეყნების შემდეგ ველით გამოხმაურებებს, მოსაზრებებს, რჩევებს და კრიტიკულ შენიშვნებს, რაც საშუალებას მოგვცემს აუცილებლობის შემთხვევაში კიდევ ერთხელ გადავამუშაოთ ის და მოვამზადოთ შემდგომი გამოცემა, რომელშიც კიდევ უფრო მეტად იქნება გათვალისწინებული სტუდენტთა ინტერესებიც და თანამედროვე უმაღლესი განათლების მოთხოვნებიც.

ავტორები

I. ზოგადი ცნობები ენათმეცნიერებისა და ენის შესახებ

1. „ენათმეცნიერების შესავალი“, როგორც დისციპლინა

1.1. ენათმეცნიერების რაობა

„ენათმეცნიერების შესავლის“ წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია მომავალი ფილოლოგებისთვის (ბერძნ. *phileo* — „მიყვარს“ და *logos* — „სიტყვა“, „მოდღვრება“), უფრო ზუსტად, ფილოლოგიის ბაკალავრებისთვის, რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტული ენისა და ლიტერატურის მომავალი სპეციალისტები არიან. შესაბამისად, ფილოლოგის მომზადებისთვის აუცილებელია როგორც მინიმუმ ორი მიმართულების - ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი დისციპლინების სწავლება. პირველს *ენათმეცნიერებას*, *ენათმცოდნეობას*, *ლინგვისტიკას* (ლათ. *lingua* = „ენა“) უწოდებენ, მეორეს - *ლიტერატურთმცოდნეობას*, *ლიტერატურის თეორიას*. ჩვენ ვისაუბრებთ ენათმეცნიერების შესახებ, რომლის გაცნობასაც ვიწყებთ *„ენათმეცნიერების შესავლის“* კურსით. მაშასადამე, მთავარი კითხვები, რომლებსაც უნდა გავცეთ პასუხი პირველსავე თემაში, არის შემდეგი: *რა არის ენათმეცნიერება და რას წარმოადგენს დისციპლინა „ენათმეცნიერების შესავალი“*.

რა არის ენათმეცნიერება? როგორც დისციპლინის სახელწოდება გვკარნახობს, *ეს არის მეცნიერება ენათა შესახებ*. კი მაგრამ, მსოფლიოში ხომ შვიდი ათასამდე ენა აღირიცხება (სხვადასხვა მონაცემებით, მეტი ან ნაკლები)? რომელი მათგანის შემსწავლელი დარგია ენათმეცნიერება? ამ კითხვაზე პასუხის გასა-

ცემად საჭიროა ვიცოდეთ, რომ ენა, რომელსაც შეისწავლის ენათმეცნიერება, ორი გაგებით მოიაზრება. ეს არის:

ა) დღეისათვის (ან წარსულში) რეალურად მოქმედი რომელიმე კონკრეტული ენა (ქართული, რუსული, ინგლისური, არაბული, თურქული, ჩინური და ა.შ.). მათ **ბუნებრივ ენებს** უწოდებენ. არსებობს აგრეთვე ე. წ. **ხელოვნური (საცეცალური) ენები**, რომლებიც მიზანმიმართულადაა შექმნილი სხვადასხვა მიზნებისათვის (ამის შესახებ ქვემოთ, ენის რაობის საკითხის განხილვისას ვისაუბრებთ).

ბ) ენა საზოგადოდ, ენა როგორც მოვლენა, როგორც კონკრეტული ენების არსებითი ხასიათის ნიშანთა ერთობლიობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით გვაქვს მეცნიერების ამ დარგის სხვა განმარტებებიც. ენათმეცნიერება არის:

- „ ... მეცნიერება ადამიანის ენის შესახებ. მას აინტერესებს ყველა ენა – ამჟამად თუ ოდესმე არსებული, ან მომავალში შესაძლებელი“ (ქეე, 2008: 164);
- „ ... მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის ენას ზოგადად ან ცალკეულ ენებს როგორც მის ინდივიდუალურ წარმომადგენლებს“ (კასატკინი, 2001: 4. - აქაც და შემდგომშიც თარგმანი უცხოური ლიტერატურიდან ჩვენი შესრულებულია. ავტ.);
- „ ... მეცნიერება ენის, მისი საზოგადოებრივი ფუნქციებისა და ბუნების, შინაგანი სტრუქტურის, მისი ფუნქციონირებისა და ისტორიული განვითარების, აგრეთვე კონკრეტული ენების კლასიფიკაციის შესახებ“ (კოდუხოვი, 1987: 6);
- „ ... დებულებათა ორგანიზებული სისტემა, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას ენის ბუნებისა და მისი ფუნქციონირების შესახებ“ (გამყრელიძე და სხვ., 2008: 20) და

სხვ. რაც შეეხება „ენათმეცნიერების შესავალს“, ეს არის მიმოხილვითი კურსი, რომელიც სწავლების პროცესში წინ უსწრებს ყველა ენათმეცნიერულ დისციპლინას, მისი ფუნქციების შესახებ დაწვრილებით არის საუბარი მოცემული ნაშრომის შესავალ ნაწილში.


1.2. ენათმეცნიერების კვლევის ობიექტი, ასპექტები და შესაბამისი დისციპლინები

1.2.1. ლინგვისტურ დისციპლინათა კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები

მეცნიერების სხვა ნებისმიერი დარგის შესწავლის ობიექტის მსგავსად, ენათმეცნიერების შესწავლის ობიექტი (ენა) უამრავი ასპექტითა და თვალსაზრისით კვლევას საჭიროებს. *შესაბამისად, ენათმეცნიერება წარმოდგენილია კომპლექსურად, ლინგვისტურ დისციპლინათა სისტემის სახით*, რომელთა კლასიფიკაციაც სხვადასხვაგვარად კეთდება. მათი შეჯერების საფუძველზე შეიძლება გამოიყოს კლასიფიკაციის შემდეგი მთავარი კრიტერიუმები:



შესწავლის ობიექტის მიხედვით ლინგვისტურ დისციპლინათა კლასიფიკაციის საფუძველია ის, თუ რას შეისწავლის ესა თუ ის მათგანი, რომელიმე *კონკრეტულ ენას, ენათა ჯგუფს* თუ *ენას როგორც მოვლენას*. შესაბამისად, მივიღებთ ლინგვისტურ დისციპლინათა სამ ჯგუფს (იხ. ნემჩენკო, 2008: 8)



თუ ლინგვისტური დისციპლინის შესწავლის ობიექტი კონკრეტული ენაა, მას *კერძო ენათმეცნიერების* დარგებს მიაკუთვნებენ. ამ თვალსაზრისით, თეორიულად შესაძლებელია იმდენი ლინგვისტიკის არსებობა, რამდენიც ენაა (დღეისათვის კარგად შესწავლილია მხოლოდ 500-მდე ენა, მეტ-ნაკლებად შესწავლილია 1500 ენა, ხოლო დანარჩენი ენების შესახებ მხოლოდ მწირი მონაცემებია ცნობილი (გირუცკი, 2003: 8).

რაც შეეხება ენათა ჯგუფების შემსწავლელ ლინგვისტურ დარგებს, მათ *შედარებითი ენათმეცნიერების ანუ ლინგვისტური კომპარატივისტიკის* (ლათ. comparativus = „შედარება“) დარგებს უწოდებენ. ეს სახელწოდება ამ ლინგვისტურმა დარგმა მიიღო

იმის გამო, რომ ენების დაჯგუფებისათვის საჭიროა მათი ერთ-მანეთთან შედარება (<http://www.twirpx.com/file/748941/>).

განასხვავებენ ენათა შედარების ორ სახეს: მონათესავე ენების შედარება, რაც *შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების* (ლინგვისტთა ნაწილი კომპარატივისტიკას მხოლოდ ამ დარგს უწოდებს) კვლევის ობიექტია და არამონათესავე ენების შედარება. მას შეპირისპირება ეწოდება. ის *შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ენათმეცნიერების ობიექტია*.

შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერება ენებს აჯგუფებს გენეტიკური პრინციპით ანუ წარმომავლობის, ნათესაობის მიხედვით. ასე მაგალითად, *ქართველური ენების* ჯგუფი აერთიანებს ქართულ, სვანურ, მეგრულ და ლაზურ ენებს (ლინგვისტთა ერთი ნაწილი მათ დიალექტებად მიიჩნევს), რომლებიც უძველეს დროში საერთო წინაპრის, პროტო-ქართველური (წინარე ქართველური) ენის დაშლის შედეგად წარმოიშვა. *სლავური ენების* ჯგუფი აერთიანებს იმ ენებს, რომლებიც წარმოიშვა *საერთო სლავური* ანუ წინარე სლავური ენის დაშლის შედეგად. ესენია: რუსული, უკრაინული, ბელორუსული სერბული, ხორვატული, ბულგარული, მაკედონური, პოლონური, ჩეხური, სლოვაკური, სლოვენური და სხვ.; *რომანული ენების* ჯგუფში შედის ლათინური ენის (ანუ რომის იმპერიის ხალხთა ენის) დაშლის შედეგად წარმოქმნილი ენები: ფრანგული, იტალიური, ესპანური, პორტუგალიური, რუმინული და სხვა; *სემიტური ენების* ჯგუფში: ებრაული, არაბული, არამეული დასხვა.

შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ენათმეცნიერება იკვლევს მსგავსება-განსხვავებებს ენათა სტრუქტურაში და *ადგენს მათ სტრუქტურულ ტიპებს*, ანუ ენებს აჯგუფებს არა გენეტიკური, არამედ სტრუქტურული ან ფუნქციური მსგავსება-განსხვავებების საფუძველზე. ასე მაგალითად, ქართული და რუსული

ენები სულაც არ არიან მონათესავენი, თუმცა მათ სტრუქტურებს შორის ბევრი რამ არის საერთო: სახელები იბრუნება, ზმნები იუღლებს და ა.შ. არის ენები, რომლებიც ერთმანეთის მონათესავენი არ არიან, თუმცა სიტყვა იშლება მორფემებად (ძირი, ფუძე, თავსართი, ბოლოსართი დაბოლოება და სხვა).

არეალური ლინგვისტიკა, იგივე *ლინგვისტური კონტაქტოლოგია* ენებს აჯგუფებს მათი გავრცელების არეალის მიხედვით (კავკასიური ენები, ცენტრალური აზიის ენები, ოკეანის ენები და ა.შ.) და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მეზობელი ენების ურთიერთზემოქმედების შედეგების კვლევას.


ლინგვისტურ დისციპლინათა მესამე ჯგუფი განაზოგადებს კონკრეტული ენების შესწავლის შედეგებს, ანუ შეისწავლის ადამიანის *ენას საზოგადოდ, როგორც ზოგადსაკაცობრიო მოვლენას*, მის ფუნქციებს, ბუნებას, კავშირს აზროვნებასთან, სტრუქტურასა და სხვა არსებითი ხასიათის ნიშან-თვისებებს. მათ მიაკუთვნებენ *ზოგადი ენათმეცნიერების* დარგებს (ზოგადი ფონეტიკა, ზოგადი მორფოლოგია, ზოგადი სინტაქსი და ა.შ.). კერძო ენათმეცნიერების დარგებისგან ისინი გადაულახავი ჯებირით არ არის გამიჯნული. მაგალითად, რომელიმე კონკრეტული ენის ფონეტიკასა და ზოგად ფონეტიკას შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ერთ შემთხვევაში კვლევის ობიექტია კონკრეტული ენის ბგერითი სისტემისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, მეორეში კი განიხილება იგივე ნიშან-თვისებები, ოღონდ როგორც ზოგადად ენის ბგერითი სისტემისათვის დამახასიათებელი მოვლენა.

ლინგვისტთა ერთი ნაწილი „ზოგად ენათმეცნიერებას“ *„უნივერსალურ გრამატიკასაც“* უწოდებს (ფრომკინი, 2010: 6). მეორე ნაწილი კი არ ცვლის ტერმინს „ზოგადი ენათმეცნიერება“, თუმცა ფიქრობს, რომ ის შეისწავლის ყველა ენის (ენების

ჯგუფებისთვის) დამახასიათებელ საერთო ნიშნებს ანუ ენობრივ უნივერსალიებს (ვენდინა, 2008: 7). არსებობს აგრეთვე დამოუკიდებელი ლინგვისტური დარგი - *უნივერსალობის ლინგვისტიკა* რომელიც სწორედ ენობრივ უნივერსალიებს სწავლობს. „ზოგადი ენათმეცნიერება“ არ არის „უნივერსალიების ლინგვისტიკა. მათ შორის პრინციპული განსხვავებაა, რაზედაც დაწვრილებით „ზოგადი ენათმეცნიერების“ კურსში იქნება საუბარი. აქ განვმარტავთ მხოლოდ იმას, რომ ენა, რომელსაც სწავლობს „ზოგადი ენათმეცნიერება“, ბუნებაში არ არსებობს. ეს არის არა რომელიმე კონკრეტული ენა ან თუნდაც ენათა ჯგუფი, არამედ ე. წ. *ქანცება* იმ ძირითად ნიშანთა ერთობლიობა, რომლებითაც ხასიათდება კონკრეტული ენა/ენები. ასე მაგალითად, ქართული ენის გრამატიკა სწავლობს არსებითი სახელის ბრუნებას ქართულ ენაში, რუსული ენის გრამატიკა - რუსულში, გერმანული ენის გრამატიკა - გერმანულში და ა.შ., „ზოგადი ენათმეცნიერება“ კი ამ მონაცემებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ არსებობს ბრუნების გრამატიკული კატეგორია, რომელიც ენების ერთ ჯგუფს აქვს, მეორეს კი არა (მაგალითად, ინგლისურს, ბულგარულს, ჩინურს და ა.შ.).

1.2.2. ინტრალინგვისტური დისციპლინები

ენა სისტემაა. ის შედგება ელემენტებისაგან, რომლებსაც *ენობრივ ელემენტებს (ენობრივ ერთეულებს)* უწოდებენ. ამ ელემენტებს ერთმანეთთან კავშირი აქვთ და ქმნიან მოწესრიგებულ, ორგანიზებულ ერთობლიობას, რომელსაც შემდეგი სახის სტრუქტურა აქვს:



თუ ანალიზის ობიექტია ენობრივი სისტემის სტრუქტურა, ენობრივი ერთეულები, მათი ფუნქციონირება, ურთიერთმიმართება და ა.შ., ეს იქნება *შიდალინგვისტიკა (ინტრალინგვისტიკა, სტრუქტურული ლინგვისტიკა)*. მათი კლასიფიკაცია ხდება იმის გათვალისწინებით, თუ რომელი ენობრივი ერთეულებია შესწავლის ობიექტი. სამეტყველო ბგერების შემსწავლელ ლინგვისტურ დისციპლინას *ფონეტიკა* (от греч. φωνή — „ფონე“ = „ბგერა“, φωνηεντική — „ფონეტიკოს“ „ბგერითი“) ჰქვია; ენის ბგერების შემსწავლელს - *ფონოლოგია* (სამეტყველო და ენის ბგერებს შორის განსხვავებების შესახებ შესაბამის სალექციო თემებში ვისაუბრებთ).

სიტყვა, როგორც ენობრივი ერთეული, მისი ლექსიკური მნიშვნელობა, ანუ სემანტიკა (sema - „მნიშვნელობა“) და ენის სიტყვათა მარაგი (ლექსიკა) *ლექსიკოლოგიის* შესწავლის ობიექტია. მისი დარგებია *სემასიოლოგია, ონომასიოლოგია, ფრაზეოლოგია, ლექსიკოგრაფია* და სხვ. სემასიოლოგია ამოდის სიტყვიდან და იკვლევს მის მიმართებას გარესამყაროსთან (საგანთან) ანუ სიტყვის მნიშვნელობას. ონომასიოლოგია კი, პირიქით, ამოდის საგნიდან (ცნებიდან) და იკვლევს მის მიმართებას სახელ-

თან/სახელებთან (onyma - სახელი). ასე მაგალითად, არის ბალახი *მრავალძარღვა*, რომელსაც ეს სახელი შერქმეული აქვს იმის გამო, რომ აქვს „*დაძარღვეული ფართო ფოთლები*“. თუ მსჯელობა წარმართება ამ მიმართულებით, ეს იქნება ონომასიოლოგიის კვლევის სფერო. სემასიოლოგია კი მოგვცემს სიტყვის სრულ განმარტებას.

რაც შეეხება *ფრაზეოლოგიას* ის შეისწავლის მყარ შესიტყვებებს, ე.წ. ხატოვან, ფრთიან გამონათქვამებს („ყურებზე ხახვი არ დამაჭრა“, „ჩაილულის წყალი დალია“, „გავიდა გაღმა, მარილზე“, Cat got you tongue? (ინგ) და სხვ.). ფრაზეოლოგია ტრადიციულად მიეკუთვნება ლექსიკოლოგიას, რადგან ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა არ უდრის მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამს. ამავე დროს ფრაზეოლოგიზმების გვერდით გვაქვს „ფრთიანი გამონათქვამები“, აფორიზმები, ანდაზები, თქმულებები და ა.შ., რომლებიც ვერ თავსდება ფრაზეოლოგიის ჩარჩოებში და შეისწავლება ახალი ლინგვისტური დისციპლინის *პრემიოლოგიის მიერ*

ლექსიკოლოგიის დარგია ასევე *ლექსიკოგრაფია*, რომელიც სხვადასხვა სახის ლექსიკონებში აფიქსირებს ენის სიტყვათა მარაგს.

მეტყველების ნაწილებსა და სიტყვათა ფორმაცვალებადობას შეისწავლის *მორფოლოგია* (მგ.ბერძნ $\mu\omicron\rho\phi\acute{\alpha}$ - „მორფე“ = „ფორმა“ და $\lambda\omicron\gamma\omicron\varsigma$ - „ლოგოს“ = „მოდვრება“). შესიტყვებასა და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირებას - *სინტაქსი* (მგ. ბერძნ. $\sigma\nu\text{-}\tau\alpha\acute{\xi}\iota\varsigma$ - „სინ ტაქსის“ = „შედგენა“). სიტყვის შედგენილობას - *მორფემიკა*, არსებული სიტყვებიდან ახლის წარმოებას - *სიტყვაწარმოება* და ა.შ. საქართველოში, ისევე, როგორც მთლიანად პოსტსაბჭოურ სივრცეში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, მორფოლოგია, მორფემიკა და სინტაქსი ერთად ქმნიან *გრამატიკას*.

მატიკას, დასავლურ ლინგვისტურ ტრადიციაში კი მთლიანად ლინგვისტიკას უწოდებენ გრამატიკას.

ზემოთ განხილული სისტემა ჩამოთვლილი დისციპლინებით, ცხადია, არ ამოიწურება. ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ამ დისციპლინათა მხოლოდ ნაწილი.

1.2.3. ექსტრალინგვისტური დისციპლინები

ენობრივი სისტემა შეიძლება განიხილებოდეს გარეენობრივ (ანუ ექსტრალინგვისტურ) ფაქტორებთან მიმართებით, რაც *ექსტრალინგვისტიკის (გარეინგვისტიკის)* კვლევის სფეროა. ამ პირობებში ანალიზის ობიექტი იქნება არა მისი შინაგანი სტრუქტურა, არამედ ენის გამოყენების კონტექსტი: „*ენა-ადამიანი-საზოგადოება-კულტურა*“. ამ შემთხვევაში მკვლევართა ინტერესი შემეცნების ობიექტიდან სუბიექტზე ანუ მეტყველ ადამიანზეა (homo loquens) გადართული. როგორც ლინგვისტიკის ამბობენ, „*შესწავლება ადამიანი ენაზე და ენა ადამიანზე*“ (მასლოვა, 2001: 6), მისი კვლევის სფეროა არა ენის სტრუქტურა, არამედ ის, თუ *როგორ გამოიყენებ ენა* კონკრეტულ სოციალურ და სიტუაციაში, როგორია ენის მიმართება მისი მატარებელი ეთნოსის კულტურასთან, ტრადიციებთან, მენტალობასთან, რელიგიასთან. როგორია კონკრეტული ქვეყნის ენობრივი პოლიტიკა, რომელი ენები გამოიყენება კონკრეტული ქვეყნის, რეგიონის თუ ქალაქის მოსახლეობის მიერ და როგორია ამ ენების ფუნქციური დატვირთვა და ა.შ. დღის წესრიგში დადგა ენის განხილვა როგორც არა უბრალოდ შემეცნებისა და კომუნიკაციის იარაღისა, არამედ როგორც ერის (ეთნოსის) კულტურული კოდის სახით. ამ შეხედულებათა თანახმად ყველა ენა გარკვეული „მსოფლადქმის“, სამყაროს გარკვეული „ხედვის მატარებლად გვევლინება, ანუ იგი არის ხატი გარე თუ შიდა სამყაროს

სპეციფიკური - ენის შემქმნელი ერის თვალთახედვის გამომხატველი სემანტიკისა“ (ნიშნიანიძე, 1983: 141). ერთ გეოპოლიტიკურ სივრცეში მცხოვრები ეთნოსებიც კი მსგავს რეალობას სამყაროს ეროვნულ ენობრივ სურათებში (ხატებში) სხვადასხვაგვარად აღიქვამენ და აფიქსირებენ. მაშასადამე, „ენა სინამდვილის ფოტოგრაფირება და ასლი არ არის, ყოველი ენა სხვადასხვაგვარი გადაღებაა სინამდვილისა“ (რამიშვილი, 1978: 109).

გარელინგვისტურ დისციპლინათა კლასიფიკაცია ემყარება იმას, თუ რა სახის გარელინგვისტურ ფაქტორთან მიმართებით განიხილება ენა. ასეთია, მაგალითად, *სოციოლინგვისტიკა (სოციალური ლინგვისტიკა)*, რომელიც იკვლევს იმას, თუ როგორ იცვლება მეტყველება სოციალური კონტექსტის (სიტუაცია, სოციალური გარემო, განათლება, ცენზი, ასაკი, სქესი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა) ცვლასთან ერთად, როგორია ენის გამოყენების თავისებურებანი მცირე და დიდ სოციალურ ჯგუფებში, როგორ ენობრივ პოლიტიკას ატარებს/უნდა ატარებდეს სახელმწიფო მთელი ქვეყნისა თუ კონკრეტული რეგიონის ფარგლებში და ა.შ. ის ჩამოყალიბდა ორი დამოუკიდებელი მეცნიერული დარგის: სოციოლოგიისა და ლინგვისტიკის მიჯნაზე. სოციოლინგვისტიკასთან ახლოს დგას *ლინგვოკულტუროლოგია*, რომელიც იკვლევს იმას, თუ როგორ ვლინდება ენაში ხალხის კულტურა, ტრადიციები, მენტალობა და ა. შ. არის, აგრეთვე, *ეთნოლინგვისტიკა*, რომელიც ენას განიხილავს მის მატარებელ ეთნოსთან მიმართებით.

ერთსა და იმავე ენაზე მოსაუბრე ადამიანთა მეტყველება შეიძლება იცვლებოდეს ტერიტორიული ფაქტორების ცვლის გამოც. ასე მაგალითად, აჭარაში, კახეთში, თუშეთში, ხევსურეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებ ქართველებს

საერთო მშობლიური ენა - ქართული აქვთ, თუმცა ამ საერთო ენაზე ისინი ერთნაირად არ მეტყველებენ. სხვადასხვა კუთხეში გვხვდება ქართული ენის რეგიონალურ (რეგიონულ) კუთხური სალაპარაკო ფორმები-**დიალექტები** (ბერძ. διαλέκται, dialegomai „ერთად ლაპარაკი“), რომლებიც ამავე ენის სხვა დიალექტებისგან განსხვავდებიან ლექსიკური, გრამატიკული თუ ფონეტიკური თავისებურებებით. ლინგვისტურ დისციპლინას, რომელიც ენას ამ თვალსაზრისით იკვლევს, **დიალექტოლოგიას** უწოდებენ. ამ ტერმინით მოიხსენიებენ სოციოლინგვისტიკასაც, ოღონდ მას უწოდებენ **სოციალურ დიალექტოლოგიას**, ვინაიდან ის სწავლობს არა ტერიტორიულ, არამედ სოციალურ დიალექტებს (**სოციოლექტებს**).

ენა ადამიანთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი საურთიერთობო საშუალებაა, ენის გამოყენების პროცესი კი - ვერბალური (ენობრივი) კომუნიკაცია. შესაბამისად, ენათმეცნიერების უაღრესად საინტერესო და აქტუალური მიმართულებაა ენობრივი კომუნიკაციის არსის, მექანიზმის, ფორმების და ა.შ. კვლევა, რაც **კომუნიკაციური ლინგვისტიკის** ცალკეული დარგების შესწავლის ობიექტია. მათ შორისაა, მაგალითად, **პარალინგვისტიკა**, რომელიც კომუნიკაციის არავერბალურ (არაენობრივ) საშუალებებს (ჟესტი, მიმიკა და ა.შ.) იკვლევს. საინტერესო მიმართულებებია აგრეთვე **კულტურათშორისი კომუნიკაცია**, **პიროვნებათშორისი კომუნიკაცია**, **ადრესატის ლინგვისტიკა**, **მასობრივი კომუნიკაცია** და სხვა. ცხადია, გარელინგვისტურ დისციპლინათა ნუსხა ჩაკეტილი არ არის, ვინაიდან ენის გამოყენების კონტექსტი უაღრესად მრავალფეროვანია და ენის კვლევის სხვადასხვა ასპექტს გვთავაზობს.

გარელინგვისტურ დისციპლინას, რომელიც ენას იკვლევს მეტყველი ინდივიდის ფსიქო-ფიზიოლოგიურ თავისებურებებ-

თან მიმართებით, *ფსიქოლინგვისტიკას* უწოდებენ. ის ჩამოყალიბდა ფსიქოლოგიისა და ენათმეცნიერების მიჯნაზე და იკვლევს ინდივიდის მიერ ენის გამოყენების პროცესის (მეტყველების) თავისებურებებს, ბავშვის მიერ ენის ათვისების, აგრეთვე უცხოური ენის დაუფლების პროცესის კანონზომიერებებს და თავისებურებებს, ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართებას და ა.შ.

ფსიქოლინგვისტიკისთან ახლოს დგას *ნეიროლინგვისტიკა* (ბერძ. neuron – ნერვი, ლათ. lingua – ენა). ის შესწავლის ადამიანის ტვინის ნერვულ მექანიზმს, რომელიც აკონტროლებს ენის აღქმას, მისი შესწავლის უნარს, მეტყველებას და მეტყველების პროცესებში წარმოქმნილ იმ ცვლილებებს, რომლებიც აღმოცენდება თავის ტვინის ლოკალური დაზიანებებისას (აფაზია). ნეიროლინგვისტიკის მეორე გაგებით, ის განიხილება როგორც სამედიცინო მეცნიერების მიმართულება, რომელიც შესწავლის მეტყველებისა და მისი დარღვევების ნეიროანატომიურ საფუძვლებს თავის ტვინის ორგანული პათოლოგიების დროს (ქეე, 2008: 168).

ამრიგად, მეცნიერების განვითარებასთან ერთად სულ უფრო ღრმავდება და მრავალფეროვანი ხდება გარელინგვისტურ დისციპლინათა კვლევის არეალი.

1.2.4. ლინგვისტური დისციპლინები ენის/ენების შესწავლის ასპექტის მიხედვით

ლინგვისტური დისციპლინები თავიანთი შესწავლის ობიექტს განიხილავენ სხვადასხვა ასპექტში (ლათ. aspektus – „თვალსაზრისი“, „შეხედულება“), ასე მაგალითად, ენა შეიძლება განვიხილოთ *თეორიული* ან *გამოყენებითი* თვალსაზრისით.

ლინგვისტური დისციპლინები, რომლებიც იკვლევენ და შეიმუშავენ ენის ან მისი ერთეულების თეორიებს (წინადადების, სიტყვის, მორფემის, ფონემის თეორიები და ა.შ.), **თეორიული ლინგვისტიკის** დარგებია.

ენის განხილვა შეიძლება არა მარტო თეორიულ, არამედ **გამოყენებით ასპექტებშიც**. ასეთია:

ლინგვოდიდაქტიკა (ბერძნ. διδακτική - „დიდაქტიკოს“ = „დამრიგებლური“), რომელიც შეიმუშავენ ენის (როგორც მშობლიური, ისე უცხოური) სწავლისა და სწავლების ზოგად კანონზომიერებებს, ხერხებს, მეთოდებს.

კორპუსული ლინგვისტიკა (კორპუსლინგვისტიკა) - ახალი ლინგვისტური დარგია, რომელიც მეცნიერების ორი დარგის: ჰუმანიტარიისა და ინფორმატიკის მიჯნაზე წარმოიშვა და მუშაობს ენის ელექტრონული კორპუსის შექმნასა და გამოყენებაზე. როგორც მეცნიერების დარგმა, მან მხოლოდ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოიპოვა აღიარება. იგი ენას განიხილავს არა მხოლოდ როგორც აბსტრაქტულად არსებულ სისტემას, არამედ როგორც ენის გამოვლენის ნებისმიერ ფორმათა ერთობლიობასაც. (თანადაშვილი, ფურცხვანიძე, 2014: 40).

თარგმანმცოდნეობა, რომელიც მუშაობს თარგმანის ზოგადი თეორიის შექმნა-განვითარებასა და პრაქტიკულ გამოყენებაზე.

ლინგვისტური პრაგმატიკა (პრაგმალინგვისტიკა) (ძვ.ბერძნ. πράγμα -, „პრაგმა“, πράγματις — „პრაგმატოს“ = „საქმე“, „მოქმედება“) ლინგვისტიკის დარგი, „რომელიც შეისწავლის მოლაპარაკე სუბიექტისა და მეტყველების ადრესატის ურთიერთმიმართებათა რთულ კომპლექსს ... პრაგმალინგვისტიკა, როგორც დარგი, ჯერჯერობით შემოსაზღვრული არ არის, რადგან მას სხვა ენათმეცნიერულ დისციპლინებთან და მიმართულებებთან

ბევრი საერთო პრობლემა და გადაკვეთის ვრცელი სფერო აქვს“ (ქეე 2008: 171).

ენას ვსწავლობთ *სინქრონიულ ან დიაქრონიულ ასპექტებში*. სინქრონიული ასპექტი (ბერძნ. $\sigma\nu$ - „სინ“ „ერთად“ და $\chi\rho\nu\nu\omicron\varsigma$ - „ხრონოს“ = „დრო“) გულისხმობს ენობრივი სისტემის აღწერას განვითარების რომელიმე კონკრეტულ ეტაპზე, ხოლო დიაქრონიული (ბერძნ. $\delta\iota\alpha$ - „დია“ = „გავლით“, „გამჭოლ“ და $\chi\rho\nu\nu\omicron\varsigma$ - „ხრონოს“ = „დრო“) ენობრივ მოვლენათა განვითარების ისტორიულ თანამიმდევრობას, მთლიანად ენის ან მისი რომელიმე ერთეულის ისტორიის კვლევას. ასე მაგალითად, სინქრონიული ენათმეცნიერების დარგია თანამედროვე ქართული ენის ფონეტიკა, ძველი ქართული ენის გრამატიკა და ა.შ. დიაქრონიული ენათმეცნიერებისა კი - ქართული ენის ისტორიული ფონეტიკა, ისტორიული გრამატიკა და ა.შ.


ლინგვისტურ დისციპლინათა სისტემა ჩამოთვლილი დარგებით არ ამოიწურება. ჩვენ მოცემული გვაქვს მთავარი მიმართულებები. უფრო დაწვრილებით ეს საკითხი განხილული იქნება „ზოგადი ენათმეცნიერებისა“ და კონკრეტული ენის შესწავლის დროს.

1.3. ენათმეცნიერების ადგილი მეცნიერების სხვა დარგებს შორის

ენათმეცნიერებას ტრადიციულად აერთიანებენ *ფილოლოგიაში*, რომლის პირდაპირი თარგმანიცაა „სიტყვის სიყვარული“. ის წარმოადგენს ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, კულტუროლოგიის, ტექსტოლოგიის და სხვა ჰუმანტარული დისციპლინების ერთობლიობას, რომელიც სწავლობს

ვერბალურ (ენობრივ) ტექსტებში დაფიქსირებულ სულიერ კულტურას. ენათმეცნიერება სწავლობს სიტყვას, როგორც ენობრივ ერთეულს, **ლიტერატურათმცოდნეობა** - სიტყვას მხატვრულ ტექსტში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტექსტი არის ერთეული, რომელიც აერთიანებს მთლიან ჰუმანიტარულ სფეროს.

ამრიგად, მეცნიერების დარგების ერთიან სისტემაში ენათმეცნიერება ერთიანდება როგორც ფილოლოგიის დარგი, რომელიც თავის მხრივ შედის ჰუმანიტარულ მეცნიერებებში:



აღნიშნულიდან გამომდინარე, ენათმეცნიერებას მჭიდრო კავშირი აქვს უპირველეს ყოვლისა **ჰუმანიტარულ და სოციალურ დარგებთან**, პირველ რიგში, **ფილოსოფიასთან**, რომელიც სწავლობს სამყაროს, ბუნების, საზოგადოების, ადამიანისა და ცნობიერების არსებობისა და განვითარების უზოგადეს კანონებს. ლინგვისტიკას, ისევე როგორც მეცნიერების ყველა დანარჩენ დარგს, ფილოსოფია უქმნის კვლევის ზოგადმეთოლოგიურ საფუძვლებს, რომელთა გარეშეც მისი განვითარება შეუძლებელია. ენის ფილოსოფიური ასპექტით კვლევის მიმართულებით

ჩამოყალიბდა დარგთაშორისი დისციპლინები - *ენის ფილოსოფია და კოგნიტოლოგია*, რომლებიც იკვლევენ ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართებას, „ენა-ცნების“ რაობას და სხვა ლინგვოფილოსოფიურ პრობლემატიკას.

ლოგიკურად გამართული აზროვნების და მისი ენობრივი გამოხატვის ფორმების კვლევა წარმოუდგენელია ლინგვისტიკისა და *ლოგიკის* მჭიდრო ურთიერთკავშირის გარეშე. იმისათვის, რომ გავიგოთ ისეთი ენობრივი კატეგორიების არსი და ფუნქციური დატვირთვა, როგორებიცაა მნიშვნელობა, წინადადება, ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება, არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი სახელი და ა.შ., აუცილებელია ვერკვეოდეთ ისეთ ლოგიკურ კატეგორიებში, როგორებიცაა სუბიექტი, პრედიკატი, ობიექტი, ატრიბუტი, საგანი, მოვლენა, მოქმედება, თვისება და ა.შ. ხშირად ლოგიკურ და ენობრივ კატეგორიებს ერთმანეთთან აიგივებდნენ კიდევ, რაც უმთავრესად დამახასიათებელი იყო ისეთი ლინგვისტური მიმდინარეობისათვის, როგორიცაა *ლინგვისტური ლოგიციზმი*.

დიდია ლინგვისტიკის განვითარებაში *ისტორიის* როლი, რადგან ნებისმიერი ხალხი ამა თუ იმ კონკრეტული ენის მატარებელია, ხალხთა ისტორია უმეტეს შემთხვევაში ენათა ისტორიადაა, ამიტომაც აქსიომად იქცა თეზისი, რომ შეუძლებელია ისტორია ლინგვისტიკის გარეშე და პირიქით, ლინგვისტიკა ისტორიის გარეშე.

იგივე შეიძლება ითქვას *არქეოლოგიის* შესახებაც. არქეოლოგიის და *ლინგვისტიკის* მიჯნაზე ჩამოყალიბდა სპეციალური ისტორიულ-ფილოლოგიური დისციპლინა *პალეოგრაფია* (ბერძნ. παλαιός „პალაიოს“ = „ძველი და მნიშვნელოვანი“ γράφειν — „გრაფეიო“ = „წერა“), რომელიც იკვლევს დამწერლობის ნიშანთა შექმნისა და განვითარების ისტორიას.

ენობრივი ერთეულები ნიშნებია, რომლებიც ურთიერთკავშირში არიან. შესაბამისად, ენა ნიშანთა სისტემაა, ასე რომ, ლინგვისტიკა ნიშანთა შემსწავლელი მეცნიერებასთან - *სემიოტიკასთან* (ბერძნ. *σημειωτική* - „სემეიოტიკე“, *σημειον* — „სემეიონ“ = „ნიშანი“, „ნიშან-თვისება“) კავშირის გარეშე სრულფასოვნად ვერ განვითარდება. სწორედ ამ საჭიროებამ ჩამოაყალიბა ლინგვისტიკისა და სემიოტიკის მომიჯნავე დარგი - *ლინგვოსემიოტიკა*, რომელიც ენობრივ ერთეულებს ნიშნების რანგში განიხილავს.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ლინგვისტიკის კავშირი *სოციოლოგიას* და *ფსიქოლოგიასთან*, რის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი, როცა განვიხილეთ დარგთაშორისი დისციპლინები *სოციოლინგვისტიკა* და *ფსიქოლინგვისტიკა*.

თვალსაჩინოა ენათმეცნიერების კავშირი არაჰუმანიტარულ დარგებთანაც, კერძოდ, *ბიოლოგიასთან*. ადამიანი არა მხოლოდ სოციალური, არამედ ბიოლოგიური არსებაცაა. მართალია, იგი homo sapiens-ად („ადამიანი მოაზროვნე“) და homo loquens-ად („ადამიანი მეტყველი“) სწორედ ენამ აქცია, მაგრამ ვინაიდან დანარჩენ ცოცხალ არსებებსაც აქვთ ურთიერთობის თავიანთი სასიგნალო სისტემები, მუდმივად ჩნდება კითხვები იმის შესახებ, თუ რით განსხვავდება მათგან ადამიანის ენა, ხომ არ მიეკუთვნება იგი ბიოლოგიურ მოვლენათა რიცხვს და ხომ არ შეიძლება ჩაითვალოს ენათმეცნიერება ბუნებისმეცნიერებად, რა ბიოლოგიური ფაქტორები განაპირობებს ენის დაუფლებისა და გამოყენების პროცესებს და ა.შ. ბიოლოგიასთან, კერძოდ, მის ერთ-ერთ დარგთან - *ფიზიოლოგიასთან* ლინგვისტიკას აკავშირებს სამეტყველო ბგერების წარმოთქმის პროცესი, ადამიანს აქვს სამეტყველო აპარატი, რომელიც მისი კონკრეტული ორგანოების ერთობლიობაა. მათი პირველადი დატვირთვა ფიზიო-

ლოგიურია. ამასთანავე, ისინი ასრულებენ დამატებით ფუნქციასაც: მათ გარეშე სამეტყველო ბგერების წარმოთქმა შეუძლებელია, სამეტყველო ბგერების გარეშე კი ვერ იარსებებს მეტყველება.

ბიოლოგიასა და ფიზიოლოგიასთან ერთად ლინგვისტიკას მჭიდრო კავშირი აქვს *მედიცინასთან* და *ნევროლოგიასთან*. მათ მიჯნაზე **ყალიბდება** დარგთაშორისი დისციპლინა *ნეიროლინგვისტიკა*.

ენობრივი ერთეულების საშენი მასალა, სამეტყველო ბგერა, მატერიალური თვალსაზრისით ისეთივე ფიზიკური სხეულია, როგორც ბუნებაში არსებული ყველა დანარჩენი ბგერები. სამეტყველო ბგერაც ჰაერნაკადის ტალღაა და ამიტომაც მისი კომპლექსური ანალიზი აუცილებლად უნდა მოიცავდეს აკუსტიკურ დახასიათებასაც. ეს მას ფიზიკასთან, კერძოდ, ბგერების შემსწავლელ დარგთან - *აკუსტიკასთან* აკავშირებს.

მჭიდრო კავშირი აქვს ლინგვისტიკას *გეოგრაფიასთანაც*. როცა ვსწავლობთ ქვეყნებისა თუ ხალხთა გეოგრაფიას, გვერდს ვერ ავუვლით ენათა და დიალექტთა გეოგრაფიასაც, რაც *ლინგვოგეოგრაფიის* შესწავლის ობიექტია.

ლინგვისტიკას კავშირი აქვს *მათემატიკურ* და *ტექნიკურ* დისციპლინებთანაც. თანამედროვე გამოყენებითი ლინგვისტიკა *მათემატიკისა* და *კიბერნეტიკის* გარეშე წარმოუდგენელია. კიბერნეტიკა მეცნიერებაა მართვისა და მართვაში ინფორმაციის ადგილის შესახებ. ტექსტების კომპიუტერული დამუშავება, კომპიუტერული თარგმანი, მათემატიკური ლინგვისტიკა და უამრავი სხვა დარგი სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება და მიზნად ისახავს პრაქტიკული ხასიათის უამრავი პრობლემის გადაწყვეტას, როგორცაა, მაგალითად, ადამიანის ხმის ანალიზატორებისა და სინთეზატორების შექმნა. ეს კი შესაძლებელს

გახდის ტექსტის ავტომატურ ბეჭდვას კომპიუტერისათვის კარნახის გზით.

დაბოლოს, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ ყველაზე ძველი და მჭიდრო კავშირი *ენის რელიგიასთან*, რაც განაპირობებს ენათმეცნიერების კავშირს *თეოლოგიასთან*. ენაც და რელიგიაც იძლევიან სამყაროს საკუთარ სურათებს (მეჩკოვსკაია, 1998: 4), რაშიც გადამწვეტი როლი ენიჭება სიტყვას. რელიგიისათვის ამოსავალია ღვთის სიტყვა, სიტყვის ღვთაებრიობა, მაგიურობა და ყოვლისშემძლეობა. სიტყვა ამოსავალია ლინგვისტიკისათვისაც. ასე რომ, ამ ორი მოვლენის ურთიერთკავშირის კვლევა თანამედროვეობის უაღრესად აქტუალური სფეროა.

ამრიგად, თანამედროვე ენათმეცნიერება კომპლექსური, მრავალასპექტიანი, უამრავი განშტოების მქონე მეცნიერების დარგია, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ცოდნის თითქმის ყველა სფეროსთან, მეცნიერების თითქმის ყველა დარგთან. „ენათმეცნიერების შესავალი“ კი წინ უსწრებს ენათმეცნიერებას, რათა შეგვიქმნას ზოგადი წარმოდგენა ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების დარგის, შესახებ. ლინგვისტურ დისციპლინათა ზემოთ განხილულ სისტემაში მას დაკისრებული აქვს ერთგვარი გზამკვლევის როლი.

განმარტეთ ტექსტში გამოყენებული ლინგვისტური ტერმინები

ფილოლოგია, ლინგვისტიკა (შიდალინგვისტიკა, სტრუქტურული ლინგვისტიკა, ინტრალინგვისტიკა, გარელინგვისტიკა, ექსტრალინგვისტიკა, ანთროპოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ბიოლინგვისტიკა, ნეიროლინგვისტიკა, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, კორპუსული ლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა), ენათმეცნიერება (ზოგადი, კერძო,

თეორიული, გამოყენებითი, შედარებითი, შედარებით-ისტორიული, ტიპოლოგიური, არეალური), ენათა კლასიფიკაცია, ლინგვისტური კომპარატივისტიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოლოგია, სემასიოლოგია, ლექსიკოგრაფია, ონომასიოლოგია, ფრაზეოლოგია, პარემიოლოგია, მორფემიკა, სიტყვაწარმოება⁴.

კითხვები და დავალებები:

1. რატომ ითვლება ენათმეცნიერება ფილოლოგიის დარგად?
2. როგორია ლინგვისტურ დისციპლინათა კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები?
3. ახსენით მსგავსება-განსხვავებანი კერძო და ზოგადი ენათმეცნიერების დარგებს შორის;
4. ახსენით მსგავსება-განსხვავებანი ინტრა- და ექსტრალინგვისტურ დისციპლინებს შორის;
5. იმსჯელეთ ექსტრალინგვისტური დისციპლინების შესახებ;
6. რა კრიტერიუმებით აჯგუფებს ლინგვისტიკა ენებს?
7. როგორ გესმით მსგავსება-განსხვავებანი შედარებით-ისტორიული, ტიპოლოგიური და არეალური ენათმეცნიერების დარგებს შორის?
8. როგორ ფიქრობთ, ლინგვისტურ დისციპლინათა კლასიფიკაციაში სად არის „ენათმეცნიერების შესავლის“ ადგილი?
9. როგორ ფიქრობთ, რატომ მიეკუთვნება ენათმეცნიერება ჰუმანიტარულ და არა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა რიცხვს?
10. იმსჯელეთ ლინგვისტიკის კავშირებზე სხვა მეცნიერულ დარგებთან.

⁴ ამ დავალების შესრულებისათვის გამოიყენეთ არა მხოლოდ ლექციის ტექსტი, არამედ სხვა ლინგვისტური ლიტერატურაც (უპირველესად, ენციკლოპედიები, აგრეთვე, სილაბუსში მითითებული ძირითადი და დამხმარე ნაბეჭდი თუ ონლაინლიტერატურა), თითოეულ განმარტებას მიუწერეთ წყარო და მოამზადეთ მასალა ჯგუფური მუშაობაზე განმარტებათა შედარებითი ანალიზისთვის.

2. ენის რაობა და ფუნქციები

2.1. ენის განმარტების პრობლემა

რა არის ენა? - ასეთია შემდეგი კითხვა, რომელზე პასუხის გაცემაც ენათმეცნიერების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამიტომ ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა, პირველ რიგში, განვმარტოთ ენა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მეცნიერების სხვა ნებისმიერი დარგის მსგავსად არც ენათმეცნიერებას აქვს თავისი კვლევის ობიექტი - ენის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია, რაც სავსებით ნორმალური მოვლენაა. უფრო მეტიც, როგორც ლინგვისტთა ერთი ნაწილი წერს, „იქნებ პარადოქსულადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ დღეისათვის ლინგვისტიკას ენის განმარტება არ აქვს“ - (ბურლაკი, 2008: <http://www.polit.ru/lectures/2008/11/07/lang.html>).

რატომ? იმიტომ, რომ ენა ურთულესი მოვლენაა. მაშინ როცა მატერიალური საგნები მხოლოდ ფიზიკურ სამყაროშია და აზრები მხოლოდ გონებაში, ენის ფუნქციონირება მხოლოდ ერთ სივრცეში ვერ თავსდება. ის მოიცავს ერთდროულად ოთხ სხვადასხვა სივრცეს: *გონებრივს, ფიზიოლოგიურს, მატერიალურს და სოციალურს.*

❖ *გონებრივი სივრცე* აზრების სამყაროა, მაგრამ ეს აზრები სიტყვებში რომ არ იყოს გამოხატული, მათ ვერ დავიმახსოვრებდით. სწორედ ეს არის ენა: ჩვენ მიერ დამახსოვრებული *სიტყვები მათი მნიშვნელობებით* (რასაც გონებრივ ლექსიკონს უწოდებენ) და *ამ სიტყვათა ერთმანეთთან შეკავშირების წესები*. მაშასადამე, ენა ჩვენ ვიცით, მას ჩვენ ვფლობთ, შესაბამისად - ის ჩვენს გონებაშია.

თითქოს ყველაფერი მარტივადაა, მაგრამ საქმეს ართულებს ის, რომ მხოლოდ გონებაში არსებული ენა თავის ფუნქციებს ვერ შეასრულებს. აზრი ერთი ადამიანის (ადრესანტის) გონებიდან მეორის (ადრესატის) გონებას ენის გარეშე ვერ გადაეცემა. ის მასთან ენამ უნდა მიიტანოს. როგორ? ინდივიდუალურ-ფიზიოლოგიური სივრცის მეშვეობით.

❖ *ინდივიდუალურ-ფიზიოლოგიურ სივრცეში* იგულისხმება ის, რომ სიტყვები უნდა წარმოვთქვათ, ბგერათკომპლექსებად უნდა ვაქციოთ, რაც გარკვეული ორგანოების (სახმო სიმები, ენა, კბილები, ბაგეები და ა.შ) ფუნქციონირების, ანუ ფიზიოლოგიური პროცესის შედეგია. ამ ორგანოებს თავიანთი პირველადი ფიზიოლოგიური ფუნქციები აქვთ, ბგერების წარმოთქმაში მონაწილეობა კი მათი დამატებითი ფუნქციაა. ამრიგად, თუ შეიძლება ითქვას, ენამ „დაიწყო მოგზაურობა“: სამეტყველო ბგერების წარმოსაქმნელად მენტალური სივრციდან გადმოვიდა ფიზიოლოგიურში.

❖ *ფიზიკური სივრცე* - ეს არის აზრების შემცვლელი ბგერების ნაკადები, რომლებიც გვესმის, ხოლო წერის შემთხვევაში - ვხედავთ. მაშასადამე, ფიზიოლოგიური პროცესის შედეგად ენამ „გააგრძელა მოგზაურობა“ მესამე - ფიზიკურ სივრცეში, სხვაგვარად ის ვერ მივა ადრესატამდე, ანუ ვერ შეასრულებს კომუნიკაციურ ფუნქციას.

❖ *სოციალური სივრცე* - ბგერათკომპლექსები, რომლებშიც მოქცეულია აზრები ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაშიფრული, კოდირებული ბგერათნაკადები, მისწვდა ადრესატის სმენის ორგანოებს, მოხდა მათი გაგონება და აღქმა, რასაც მოჰყვა გაგება ანუ გაშიფრვა. მაშასადამე, ენის ფუნქციონირებამ გააერთიანა ორი ან მეტი ადამიანი, რაც უკვე სოციალური სივრცეა.

აღნიშნული თავისებურებებით ენა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ისეთ მოვლენებთან, როგორებიცაა *აზროვნება და მეტყველება*, რომელთაგან დიდი ხნის განმავლობაში მკაფიოდ არც კი იყო გამიჯნული.

ერთი სიტყვით, ენის განმარტებაც კი დღემდე ენათმეცნიერების გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ამიტომაცაა, ალბათ, რომ „ენათმეცნიერების შესავლის“ ძალიან ბევრი სახელმძღვანელო ან საერთოდ გვერდს უვლის ამ საკითხს, ან ზედაპირულად, მხოლოდ გაკვრით ეხება მას და პრობლემის ანალიზს პირდაპირ ენის ფუნქციების განხილვით იწყებს (ნებიერიძე, 1991: 8; ჩიქობავა, 2008: 11 და სხვ.).

როგორ განვმარტოთ ენა?

„ენა ადამიანთა შორის ურთიერთობის, აზრთა ურთიერთგაცვლის საშუალებაა“– ეს განმარტება ათწლეულების მანძილზე საყოველთაოდ იყო გავრცელებული საბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოში. ის ეყრდნობა ენის დანიშნულებას, ენა კი გაცილებით მეტია, ვიდრე საშუალება, ინსტრუმენტი. ამიტომაც წერს ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი გ. რამიშვილი: „თანამედროვე ლინგვისტიკა, ამოდის რა ენის ფუნქციებიდან, მას განიხილავს როგორც ინსტრუმენტს... თუ ენის არსი ამოიწურება მხოლოდ ამით, მაშინ მისი როლი არცთუ ისე დიდი ყოფილა ადამიანის ცხოვრებაში“ (რამიშვილი, 1978: 4).

და მართლაც, ეს განმარტება ენის, როგორც ადამიანის ადამიანობის განმსაზღვრელი ფენომენის შესახებ არაფერს გვეუბნება იმის გარდა, რომ ის არის საშუალება, იარაღი, ინსტრუმენტი. თუნდაც ამის გამო ძნელია მას ვუწოდოთ განმარტება, მით უმეტეს მეცნიერული, რადგან განმარტებამ აუცილებლად უნდა ასახოს ობიექტის არსებითი ხასიათის ნიშნები. ცხადია,

გვაქვს სხვა განმარტებებიც. თუმცა ვერც ისინი იძლევიან მეტ-ნაკლებად ამომწურავ ინფორმაციას ენის შესახებ.

მაინც რა ნიშნები უნდა აისახოს ენის განმარტებაში იმისათვის, რომ ის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი იყოს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მივმართოთ ლინგვისტიკაში დღეისათვის არსებულ სხვა განმარტებებსაც:

- ენა ხალხის სულის გამოვლინებაა, სამყაროს ხედვის, საგნობრივი ცნობიერების შექმნის საშუალებაა, ენა არის უსაზღვრო მოღვაწეობა სულისა, რომელიც ცდილობს ბგერა აზრის გამოსახატავად გარდაქმნას, - წერს ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი და ენათმეცნიერი, ზოგადი ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი *ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი (1767-1835)*.
- ენა ბუნებრივი, ბიოლოგიური მოვლენაა, იგი ბგერებით გამოხატული აზროვნებაა, - ამბობს მე-19 საუკუნის გერმანელი ენათმეცნიერი *ავგუსტ შლაიხერი (1821-1868)*, რომელიც ენის განსაზღვრას ბუნებისმეცნიერებათა პოზიციებიდან ცდილობს.
- ენა ბიოლოგიური კი არა, ინდივიდუალურ-ფსიქიკური მოვლენაა, ენის არსს განსაზღვრავს გაგონილის და თქმულის დანალექი ჩვენს გონებაში, იმდენი ენა გვაქვს, რამდენიც ადამიანიცაა, - წერს გერმანელი ენათმეცნიერი *ჰერმან პაული (1846-1921)*, რომელიც ამ განმარტებას ინდივიდუალური ფსიქოლოგიზმის პოზიციებიდან აკეთებს;
- ენა ფსიქიკური, ოღონდ არა ინდივიდუალურ-ფსიქიკური, არამედ ფსიქოსოციალური მოვლენაა, ცნებების გამომხატველ ნიშანთა სისტემააო, - წერენ შვეიცარიელი

ფერდინანდ დე-სოსიური (1857-1913), რუსი ი. ა. ბოდუენ დე-კურტენე (1845-1929) და სხვები.

- და ა.შ.

თითოეულ ამ განმარტებაში ენა ახსნილია სხვადასხვა კუთხიდან, სხვადასხვა თვალსაზრისით, რომელთაგანაც ხშირად ერთი მეორეს გამოორიცხავს კიდევ. კერძოდ, ამ განმარტებების მიხედვით, ენა არის ან სოციალური, ან ბიოლოგიური, ან ინდივიდუალურ-ფსიქიკური ან ფსიქოსოციალური და ა.შ. ფენომენი. ამიტომაც არის ეს განმარტებები ცალმხრივი.

არის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი განმარტებებიც, რომლებშიც ენა დანახულია არა მხოლოდ ერთი რომელიმე, არამედ სხვადასხვა პოზიციიდან;

- „ენა არის პირობით ბგერით ნიშანთა სისტემა, რომელიც გამოიყენება ადამიანთა საზოგადოებაში კომუნიკაციის, ინფორმაციისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებად“ (გამყრელიძე და სხვ., 2008: 23).
- „ენა არის დინამიკური სისტემა ნიშნებისა, რომელიც იმარება ადამიანთა ურთიერთობის, გაგებინების საშუალებად“ (ქეე, 2008: 160).

ჩვენთვის ამოსავალი იქნება ეს ორი განმარტება, რომელთა საფუძველზეც მეტ-ნაკლებად სრულყოფილადაა შესაძლებელი ენისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნების გამოყოფა. ესენია:

1. ენა არის სისტემა;
2. ენობრივი სისტემის შემადგენელი ელემენტები ნიშნებია;
3. ენა არის ბგერით (გრაფიკული ენის შემთხვევაში - გრაფიკულ) ნიშანთა სისტემა;

4. ენა, როგორც ბგერით ნიშანთა სისტემა, ფუნქციონირებს საზოგადოებაში, სადაც ასრულებს შემდეგ ფუნქციებს: ა) აზრის გამოხატვა-გაზიარების საშუალების, ბ) მისი მატარებელი ეთნოსის მსოფლხედვის, სამყაროს მისეული გააზრებისა და შეცნობის საშუალების და ა.შ...

ენისათვის დამახასიათებელ ამ ნიშანთაგან პირველ სამ პუნქტში მოცემული ნიშნები ეხება *ენის აგებულებას (სტრუქტურას)*, მომდევნო პუნქტში მოცემული კი - მისი *გამოყენების, ფუნქციონირების* სფეროს.

2.2. ბუნებრივი, ხელოვნური და ნაწილობრივ ხელოვნური (სამეცნიერო) ენები

არსებობს ენათა სხვადასხვა ტიპი (სახე), რომლებსაც აჯგუფებენ ძირითადად ორი კრიტერიუმის საფუძველზე. პირველი კრიტერიუმის მიხედვით განასხვავებენ *ბუნებრივ და ხელოვნურ ენებს*.

ბუნებრივია ენა, რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ ეთნოსის, ხალხის, ტომის საკომუნიკაციო საშუალებად და მათი ისტორიის განუყოფელი ნაწილია საცხოვრებელ ტერიტორიასთან, კულტურასთან, ტრადიციებთან და მენტალობასთან ერთად. ამიტომ ენათა უმრავლესობას *ეთნიკურ (ეროვნულ) ენებს უწოდებენ*.

ხელოვნურია ენა, რომელიც ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ გარკვეული მიზნებით არის ხელოვნურად შექმნილი. ასეთია, მაგალითად, მორზეს ანბანი, სტენოგრაფია, კომპიუტერული პროგრამების ენები, საგზაო ნიშნები, მუსიკალური ნოტების ენა და უამრავი სხვ. ხელოვნურ ენებს შორის გან-

საკუთრებული ადგილი უჭირავს ბუნებრივი ენების მსგავს და მათი ფუნქციების მატარებელ ენებს, რომლებიც ერთი პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფის მიერ იქმნება სხვადასხვა ენის საფუძველზე. ეს კეთდება იმ მიზნითა და იმედით, რომ როგორმე გადაიჭრას საერთაშორისო ენის პრობლემა ისე, რომ ეს ფუნქცია არ იტვირთვოს რომელიმე ხალხის მშობლიურმა ენამ (მაგალითად ინგლისურმა, რუსულმა და ა. შ.) და ამით არ შეილახოს სხვა ენების ინტერესები. ასეთი ხელოვნური ენებია:

ვოლაპიუკი (Volapük: vol – „მსოფლიო“ და pük – „ლაპარაკი“, „ენა“) — (შექმნა გერმანელმა მღვდელმა ი. შლაიერმა 1880 წ.), რომელიც მსოფლიოში პირველი ხელოვნური საერთაშორისო ენაა. მას მილიონზე მეტი ადამიანი იყენებდა ურთიერთობის საშუალებად.

ესპერანტო (esperanto-„მოიმედე“. ფრანგ. esperer) — ხელოვნური საერთაშორისო დამხმარე ენა, რომელიც შექმნა პოლონელმა თვალის ექიმმა ლუდვიგ ლაზარ ზამენჰოფმა 1887 წელს (მისი ფსევდონიმი იყო ესპერანტო, ანუ „მოიმედე“, აქედან მოდის ენის სახელწოდებაც). ეს ენა დიდხანს იყო პოპულარული, მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ესპერანტოს მოყვარულთა და სწავლის მსურველთა ასოციაციებიც კი იქმნებოდა, თუმცა შემდგომში ინტერესი ნელ-ნელა შესუსტდა.

იდო (ესპერანტოს ენაზე ნიშნავს „შთამომავალს“), შეიქმნა 1907 წელს ესპერანტოს საფუძველზე. იგი არის ესპერანტოს გამარტივებული ვარიანტი (ამიტომაც შეერქვა „ესპერანტოს შთამომავალი“) და სხვა.

არის ე.წ. **ნაწილობრივ ხელოვნური ენებიც**, რომლებსაც **მეცნიერების ენებს**, **დარგობრივ ენებს** უწოდებენ. დარგობრივი ემსახურება ენობრივი კომუნიკაციის დამყარებას ამა თუ იმ დარგის ფარგლებში. დარგი ზოგადად გაიგება როგორც სფერო,

რომელშიც ადამიანმა მიიღო განათლება, რომელშიც იგი სპეციალიზირებულია ანდა სპეციალობის მიხედვით მუშაობს. ამასთან, აქ დარგში იგულისხმება არა მხოლოდ სამეცნიერო დისციპლინა, არამედ ასევე მისი გამოყენების სფეროები, მაგ: ტექნიკა, ბიზნესი, მედიცინა, ტრანსპორტი, სახელმწიფო თუ კომუნალური მმართველობა, კულტურული თუ სულიერი ცხოვრება და ა.შ. „დარგობრივი ენა ყველა ენობრივი საშუალების ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება განსაზღვრულ დარგობრივ სფეროში, დარგობრივად შემოსაზღვრულ კომუნიკაციის სფეროში, ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებს შორის გაგებინების უზრუნველსაყოფად“. (ბორჩხაძე, 2016: 56). უძველეს დარგობრივ ენათა რიცხვს მიეკუთვნება მეზღვაურთა და მეთევზეთა ენა, ასევე მიწათმოქმედთა და მჭედელთა ენა, რომლებიც ჯერ კიდევ დამწერლობის წინა პერიოდში არსებობდა. დარგობრივმა ენებმა წერითი სახით არსებობა დაიწყო შუა საუკუნეებში. პირველი წერილობითი დარგობრივი ტექსტები გაჩნდა ისეთ დარგებში, როგორებიცაა ფილოსოფია, სამართალმცოდნეობა, ქიმია, მედიცინა (ბორჩხაძე, 2016: 57). დარგობრივ ენებს პროფესიულ ენებსაც უწოდებენ, თუმცა ამ ტერმინს მეორე მნიშვნელობაც აქვს, რაზედაც ენის სოციალური დიალექტების განხილვისას ვისაუბრებთ.

არსებობს აგრეთვე *ჟესტების (კინეტიკური) ენები* (მგ. ბერძნულიდან κίνησις — „კინეტიკოს“ = „მოძრაობა“). ისინი კომუნიკაციის დამხმარე საშუალებებია, ოღონდ მაშინ, როცა ენობრივი კომუნიკაციის პროცესის შემადგენელი კომპონენტებია. ამავე დროს, ის ერთადერთი საკომუნიკაციო საშუალებაა ყრუ-მუნჯებისათვის. უნდა ითქვას ისიც, რომ კომუნიკაციის ამ საშუალებას ფართოდ იყენებენ ცხოველები, ფრინველები და მწერები.

აღსანიშნავია აგრეთვე მხედველობის არმქონე პირებისათვის შექმნილი სპეციალური ენა, უფრო ზუსტად, სპეციალური ანბანი, რომლის ავტორიცაა ფრანგი პედაგოგი ლუი ბრაილი. მას *ბრაილის შრიფტს* უწოდებენ.

2.3. ბუნებრივი ენის ვარიანტები (არსებობის ფორმები)

ბუნებრივი ენა ფუნქციონირებს *ზეპირი და წერითი მეტყველების ფორმით*. ზეპირი მეტყველება წარმოებს ბგერათკომპლექსების მეშვეობით და ამიტომაც მას *ბგერით ენასაც უწოდებენ*. წერითი მეტყველებაში კი ენობრივი ერთეულები გამოსახულია გრაფიკული ნიშნების (მაგ. ასო-ნიშნები) საშუალებით, რის გამოც მას *გრაფიკულ ენას* უწოდებენ. როგორც მოგვიანებით დავრწმუნდებით, მათ შორის პირველადია ბგერითი ენა, ანუ ადამიანი ჯერ ამეტყველდა და მერე შექმნა ბგერაში გამოხატული აზრის გრაფიკული ნიშნით დაფიქსირების საშუალებები.

როგორც ბგერითი, ისე წერითი ენა გამოიყენება ორი ფორმით. ეს არის *ნორმირებული, კოდიფიცირებული, სტანდარტული ფორმა ან ნორმიდან გადახვევა (დიალექტი)*. სტანდარტული, ნორმირებული ენა, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ეს არის სწორი, გარკვეული წესებით და სტანდარტებით მუდმივად რეგულირებადი სისტემა. მას *სალიტერატურო ენასაც უწოდებენ* (ეს ტერმინი ლათინური წარმოშობისაა, littera – „ასო-ნიშანი“, „წერა“), თუმცა მისი მხატვრული ლიტერატურის ენასთან გაიგივება არ შეიძლება. როგორც ტერმინ „სალიტერატურო ენის“ პირდაპირი თარგმანიდან ჩანს, ის უკავშირდება ასონიშანს, ენის წერით ფორმას და არა მაინცა და მაინც მხატვრულ

ლიტერატურას. ის კულტურის, განათლების, მეცნიერების, სახელმწიფოს მართვის, პრესის, პუბლიცისტიკის, ტელევიზიის ენაა. ის არ არის საზოგადოების რომელიმე ფენის თუ ჯგუფის კუთვნილება, რადგან ერთნაირად ემსახურება საქმიანობის ყველა სფეროს და მისი ნორმების დაცვა ერთნაირად მოეთხოვება აბსოლუტურად ყველას. ამავე დროს, ყველა ერთნაირად არ ემორჩილება მოთხოვნებს. თითქოს ყველამ იცის, როგორ უნდა წეროს და ილაპარაკოს, თუმცა ყოველთვის არ იცავს ამ ნორმებს, რაც განპირობებულია არა იმდენად წმინდა ლინგვისტური, არამედ ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, როგორცაა ენის ფუნქციონირების გეოგრაფია, კომუნიკაციის სიტუაციური და სოციალური ფაქტორები (ვის ესაუბრები და რა სიტუაციაში) და ა.შ.

განასხვავებენ ორი სახის დიალექტს (ნორმიდან ორი მიზეზით გადახვევას): *ტერიტორიულს და სოციალურს*. ინტერნეტკომუნიკაციის ეპოქაში გაჩნდა დიალექტის ახალი, უაღრესად საინტერესო, შუალედური (ნახევრად ზეპირი, ნახევრად წერი-თი) სახეც: *ქსელური, კომპიუტერული ჟარგონი*, მათ შორის ცალკეა გამოყოფილი *ე.წ. „ოლბანური ენა“*, „გარეწართა ენა“ („язык подонков“) <http://novayagazeta-nn.ru/2007/6/velikii-i-moguchii-olbanskii-vazyk.html>. ეს არის ინტერნეტკომუნიკაციის სფეროში (ჩათები, ინტერნეტფორუმები, სოციალური ქსელები, ბლოგები და სხვ.) ფეხმოკიდებული მეტყველების უკიდურესად არანორმირებული, დამახინჯებული, ხშირ შემთხვევაში ვულგარული შინაარსის შემცველი ვარიანტი. მისი ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია *ობსცენური, პეიორატიული ლექსიკის* (სალანძღავი, საგინებელი, უცენზურო სიტყვები და გამოთქმები) გამოყენება, შეცდომის გაფეტიშება, ერთგვარი „შეცდომის კულტი“, აგრეთვე სიტყვათა მართლწერის შეგნებუ-

ლი დამახინჯება, რასაც *ერატიულ ლექსიკას უწოდებენ* (ლათ. Errare - „შეცდომის დაშვება“). მისი გავრცელებისა და დამკვიდრების ტემპებმა ენათა სტანდარტებს, ნორმებს სერიოზული საფრთხე შეუქმნა.

ტერიტორიულია დიალექტი, რომლის სტანდარტისაგან განსხვავებასაც განაპირობებს ენის ტერიტორიული განფენილობა, ეს იგივეა, რასაც ჩვენთან *კუთხური მეტყველებაც* ეწოდება და გამოიყენება უმთავრესად ზეპირი მეტყველების ფორმით. ასეთია, მაგალითად, ქართული ენის აჭარული, შავშური, კლარჯული, გურული, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, მესხური, ჯავახური, ქართლური, კახური, ინგილოური, ფერეიდნული, ფშავური, ხევსურული, თუშური მოხვედური დიალექტები. ტერიტორიულ დიალექტს *კილოსაც* უწოდებენ, რომლის დიფერენციაციის შედეგად გამოიყოფა *ქვედიალექტები*. მათ აღსანიშნავად ერთი ენის ფარგლებშიც კი სხვადასხვა შინაარსის ტერმინებს იყენებენ. ასე მაგალითად, ქართულ ენათმეცნიერებაში მათ *კილოკავებს უწოდებენ, ისინი თქმებად იყოფა, თქმები კი - ქცევებად*. (ქეე, 2008: 143; 161). მაგ. აჭარული დიალექტი (კილო), ზემო/ქვემო აჭარული და ქობულური კილოკავი, ქედის/შუახევის/ხულოს ქცევა, ხულოს ქცევაში ხიხამირის თქმა, ღორჯომის თქმა და ა.შ. ტერიტორიულ დიალექტებს სწავლობს ლინგვისტური დარგი - *დიალექტოლოგია*.

რაც შეეხება *სოციალურ დიალექტს (სოციოლექტს)*, ეს არის სოციალური ჯგუფებისთვის ან პროფესიული წრეებისათვის, სხვადასხვა ასაკის, სოციალური ფენის და ა. შ. წარმომადგენელთათვის დამახასიათებელი მეტყველება, რომლის ნაირსახეობებიცაა *ჟარგონი, არგო, სლენგი*.

ჟარგონი (ფრანგ. jargon - „ლაყბობა“) მეტყველების ისეთი ნაირსახეობაა, რომელიც გასაგებია მხოლოდ ადამიანთა გარკ-

ვეული წრისთვის. მასში მოიაზრება გარკვეული სოციალური, ასაკობრივი ან პროფესიული ჯგუფის ენა (ზეპირი მეტყველება), რომელიც გამოირჩევა სპეციფიკური ლექსიკით და ფრაზეოლოგიით. არსებობს *ახალგაზრდული ჟარგონი, ქურდული ჟარგონი, პროფესიული ჟარგონები* და ა.შ. მაგალითად, ქართულ მეტყველებაში დამკვიდრებული ჟარგონიზმებია: *მულამი - ალლო, გააზრება; ჯიგარი - კარგი; ახვარი - გათახსირებული; შეფი - ხელმძღვანელი; ასწორებს - კარგია, სასიამოვნოა, ტეხავს - ცუდია, უსიამოვნოა, sorted - მოგვარებულია, rat - ინფორმატორი, малина – სხოდკა, ვაკ – заключенный*, და ა.შ. .

ჟარგონთან ახლოს დგას, მაგრამ მისგან განსხვავებულია **არგო** (ფრანგ.: argot - „ენა“). ეს ტერმინიც საფრანგეთში მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლების, ქურდების, მათხოვრების და სხვა მარგინალების მეტყველების აღსანიშნავად და ეტიმოლოგიურად უკავშირდება ძველ ფრანგულ სიტყვას hargoter - „ჩხუბი“, „ლანძღვა“ (ლომთაძე, 2010: 25). დღეისათვის მასში უმეტესწილად მოიაზრება საზოგადოების ამა თუ იმ „ჩაკეტილი“ ჯგუფისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური „ენა“ (მეტყველება, ლექსიკა), რომელსაც ჟარგონისაგან განსხვავებით არ ახასიათებს პროფესიული კუთვნილება. მისი მიზანია საზოგადოებისაგან თვითიზოლირებისაკენ სწრაფვით გამორჩეული ჯგუფების მცდელობა თავიანთი მეტყველების კონსპირაციის, „გასაიდუმლოების“. ასეთად ითვლება, მაგალითად, ქურდული არგო, ჯარისკაცთა არგო, პატიმართა არგო და ა.შ. ამიტომაც არგოს სხვაგვარად *„საიდუმლო ენასაც“* უწოდებენ. ამავე დროს, ლინგვისტთა ერთი ნაწილი ტერმინებს „ჟარგონსა და „არგოს“ სინონიმებად მიიჩნევს, რაც კარგად ჩანს ჟარგონის ზემოთ მო-

ცემულ განმარტებაში. ანალოგიურად, ბ. ჯორბენაძის „ქართულ დიალექტოლოგიაში“ ჟარგონი განმარტებულია, როგორც არგო.

რაც შეეხება *სლენგს* (ინგლ. **s** (special) **lang** (language) - „სპეციალური ენა“), მის სინონიმებადაც ხშირად იყენებენ ზემოთ განხილულ ტერმინებს „ჟარგონი“ და „არგო“. ლინგვისტთა ერთი ნაწილი მას მთლიანად აიგივებს ჟარგონთან: „ტერმინ „ჟარგონის“ სანაცვლოდ ხშირად იყენებენ ტერმინებს: „არგო“ და „სლენგი“ (ლელ, 1998: 151), „ამერიკაში სლენგი უფრო ფართო გავრცელებისაა, რუსეთსა და საქართველოში - ჟარგონი“ (ლომთაძე, 2010: 19), მეორენი თვლიან, რომ სლენგი იგივეა, რაც „ახალგაზრდული ჟარგონი“ და მასში მოიაზრებენ 12 – 19 წლის ასაკის თინეიჯერთა თაობის მეტყველებას, რომელიც უპირისპირდება არა იმდენად უფროს თაობას, რამდენადაც ოფიციალურ სისტემას.

დაბოლოს, არის მოსაზრება, რომ ტერმინი სლენგი უკიდურესად უარყოფითი დატვირთვის შემცველია, რის გამოც მას შესაბამისი სინონიმებიც მოუძებნეს - „*ანტიენა*“, („*bed language*“) და სხვა.

სოციალურ დიალექტებს მიაკუთვნებენ ე.წ. *პროფესიულ ენებსაც*, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორი მნიშვნელობით მოიაზრება: ერთ შემთხვევაში ეს არის *პროფესიონალიზმები*, იგივე *დარგობრივი ენები*, რაზედაც უკვე გვექონდა საუბარი. მეორე შემთხვევაში კი - *პროფესიული ჟარგონები*. მათ ამა თუ იმ პროფესიული ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფის წევრები ზეპირ მეტყველებაში საყოველთაოდ აღიარებულ ტერმინთა ნაცვლად იყენებენ. ასე მაგალითად: „ტუბიკი“ ცვლის ტერმინს „ტუბერკოლიოზით დაავადებული“; „*პეპელა*“ - „ვენაში ჩადგმული სისტემა“ (მედიცინის ენა); „*მენტი*“ - „პოლიციელი“; „*შმონი*“ - „ჩხრეკა“ (პოლიციელთა ენა), „*bust*“ -

„დაჭერა, მხილება“: სხვა ჯგუფებისგან პროფესიული ჟარგონები განსხვავდება იმიტაც, რომ მათ ლექსიკურ მნიშვნელობასთან ერთად აქვთ კონოტაციური (დამატებითი, თანმდევი) კომპონენტი. ჩვეულებრივ, ეს დაცინვის კონოტაციაა (მაგ: лыжник – «пожилой пациент с тростью» (мед.), მოთხილამურე - „მოხუცი პაციენტი საბიჯგი ჯოხით“ და სხვა).

ტერმინი „პროფესიონალური ჟარგონი“ სპეციფიკური სიტყვა ან სიტყვაშეთანხმებაა, რომელიც მხოლოდ არაოფიციალურ ზეპირ კომუნიკაციაში გამოიყენება. მას განმარტავენ როგორც დამდაბლებული სტილის არასალიტერატურო ლექსიკას, დამახასიათებელს პროფესიული ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფის მეტყველებისათვის. პროფესიულ ჟარგონს უფრო მკვეთრი, მძაფრი შეფასებითი თვისებები აქვს, ვიდრე პროფესიონალიზმს. მას ძირითადად სახუმარო, ირონიული, პეიორატიული ნიშან-თვისებები და მკვეთრად გამოხატული ექსპრესიულ-ემოციური შეფერილობა აქვს და ძალიან სუსტი ნომინაციური (საგნობრივი) მნიშვნელობა. მიჩნეულია, რომ პროფესიული ჟარგონი ოფიციალური ტერმინების დუბლეტებია, რომლებიც გამოხატვის პლანში სხვადასხვა თავისებურებებით გამოირჩევა. მაგ. მათემატიკოსთა პროფესიულ ჟარგონში გვხვდება ტერმინი *კუბი* (კუბიკი - ბოლოკიდური მარცვლის მოკვეცა), ინფორმატიკოსთა წრეში - *კომპი* (კომპიუტერი - ბოლოკიდური რამდენიმე მარცვლის მოკვეცა), *პროგი* (კომპიუტერული პროგრამა - ორი სიტყვის თავისებური სინთეზი მარცვალთა მოკვეცა ამოღების ხარჯზე) და ა.შ.

პროფესიული ჟარგონის მაგალითებად გამოდგება, აგრეთვე, მარკეტინგის პროფესიულ სუბენაში ხშირად გამოყენებადი ლექსიკური ერთეულები. მაგ: *გაპიარება* - საზოგადოებისათვის პროდუქტის გაცნობა; *დაბოლება* - პოტენციული კლიენტის

დარწმუნება იმაში, რომ იყიდოს ეს პროდუქტი. კომპიუტერის პროფესიულ სუბენაში პროფესიული ჟარგონის მაგალითებია: *ვინტი* - ვინჩესტერი; *კლავა* - კლავიატურა; *პოსტი* - შეტყობინება; *დაპოსტვა* - შეტყობინების დატოვება; *ჩათაობა* - რეალურ დროში განხორციელებული კომუნიკაცია და სხვა. (ბორჩხაძე, 2016: 58-62)

ტერიტორიული და სოციალური დიალექტების გვერდით ხშირად დიალექტის ნაირსახეობად განიხილება *იდიოლექტი* (ბერძნ. *idios* - თავისი, *dialektos* - კილო), რომელშიც იგულისხმება „ინდივიდუალური ენა, ენის ცალკეული მატარებლისათვის დამახასიათებელი მეტყველება ან წერის თავისებურება ამა თუ იმ საერთო ენობრივი სისტემის შიგნით. მოცემული ენის რეალიზაცია ცალკეული ინდივიდის მეტყველებაში, რასაც მოლაპარაკე იყენებს კომუნიკაციის მიზნებისათვის” (ქეე, 2008: 244).

ენის სოციალურ და ტერიტორიულ დიალექტებში არ უნდა ავუროთ *სლოტერატურო ენის ფუნქციური სტილები*, რომლებსაც ერთმანეთისაგან განასხვავებენ კომუნიკაციის სფეროების მიხედვით, ასეთია: *სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანო, პუბლიცისტური, მატერული და სასაუბრო* სტილები (ნ. ცეცხ-ლაძე, 2013: 40). მათ შეისწავლის სპეციალური ლინგვისტური დარგი სტილისტიკა.

2.4. ენის დანიშნულება და ძირითადი ფუნქციები

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს ენის რაობასთან, არის საკითხი მისი ფუნქციების შესახებ (ვგულისხმობთ მეტყველებასაც).

რისთვის იყენებს ადამიანი ენას, როგორია მისი ძირითადი ფუნქციები? ძნელი მისახვედრი როდია, რომ ენის დანიშნულება **აზრის გადაცემა-მიღება**. სწორედ მისი მეშვეობით ვახერხებთ ჩვენ ერთმანეთისთვის აზრების გაზიარებას ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ვერბალურ კომუნიკაციას** (ლათ. verbalis. „სიტყვიერი“, „ზეპირი“). მართალია, არსებობს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც, როგორებიცაა ქესტიკულაცია, მიმიკა და ა. შ., მაგრამ ისინი კომუნიკაციის მეორადი, დამხმარე საშუალებებია. რომ არა ენა, ვერცერთი მათგანი საკომუნიკაციო ფუნქციებს ვერ შეასრულებდა. აქედან გამომდინარე, რომ არა ენა, ადამიანები ერთმანეთს ვერ გაუგებდნენ იმ დონითა და ხარისხით, რაც აუცილებელია საზოგადოების არსებობისათვის. ამიტომაცაა მიჩნეული აზრის გადაცემა-მიღების და გაგება-გაგებინების (**საკომუნიკაციო**) ფუნქცია ენის უმთავრეს, ძირითად ფუნქციად, მის დანიშნულებად, რომელზეცაა აგებული ყველა დანარჩენი ფუნქცია. მათ შორისაა მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი და ძირითადი - **აზრის გამოხატვის ფუნქცია** ენის მეშვეობით ადამიანები არა მარტო გადასცემენ ერთმანეთს აზრებს, არამედ მისივე საშუალებით გამოხატავენ **მათ**.

აზრის გამოხატვის ფუნქციას ლინგვისტთა ერთი ნაწილი **სიგნიფიკაციურს** (ლათ. signum, ბერძნ. simeon - ნიშანი, signatum - აღსანიშნი) უწოდებს, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ ენობრივი ერთეულები რაღაცას აღნიშნავენ, რაღაცაზე მიგვანიშნებენ.

ლინგვისტთა მეორე ნაწილი გამოიყენებს ტერმინს „**ექსპრესიული ფუნქცია**“ (ნებიერიძე, 1991: 8; ჩიქობავა, 1952: 23) და გამომდინარე იქიდან, რომ ლათინური სიტყვა *expressio* ნიშნავს - „გამოვხატავ“, ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრებს არა მხოლოდ აზრის, არამედ გრძნობებისა და ემოციების გამოხატვასაც. ამასთან,

თუ გამოხატვაში ვიგულისხმებთ მხოლოდ გრძნობებისა და ემოციების გამოხატვას, მაშინ გვექნება *ემოტური* ფუნქცია, ხოლო აზრის გამოხატვის ფუნქცია სიგნიფიკაციური ფუნქცია იქნება (გირუცკი, 2003: 42).

თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში ეს ორი ფუნქცია (საკომუნიკაციო და ექსპრესიული) თითქმის საყოველთაოდაა აღიარებული ენის ძირითად ფუნქციებად. მაგრამ ის, თუ რომელია მათ შორის პირველი, საკამათოა. ზოგი საკომუნიკაციო ფუნქციას თვლის უმთავრესად, ზოგიც კიდეც - ექსპრესიულს, ზოგმაც საერთოდ გააერთიანა ეს ორი ფუნქცია, რადგან ენა ვერ იარსებებდა რომელიმე მათგანის გარეშე: „კომუნიკაციური და აზრობრივი (ექსპრესიული) ფუნქციები ლინგვისტო უმრავლესობის მიერ მიჩნეულია ენობრივი სისტემის საფუძვლად, რომელიც ყველა დანარჩენის განმსაზღვრელია“ (ნისტრატოვა, 2001: 63; ჭყონია, 2016: 58). ამიტომაც სხვადასხვა სახელმძღვანელოში ეს ტერმინები გვხვდება როგორც ცალკე-ცალკე, ისე გაერთიანებულად - *საკომუნიკაციო-ექსპრესიული ფუნქცია*.

საკამათოა ენის ფუნქციათა რაოდენობის საკითხიც. ლინგვისტო ნაწილი საუბრობს ენის მხოლოდ ერთი ფუნქციის შესახებ და მასში გულისხმობს ან საკომუნიკაციო ფუნქციას (ლ. ბლუმფილდი), ან გამოხატვის ფუნქციას (გ. კოლმანსკი) და სხვ. როგორც წესი, გამოიყოფა რამდენიმე: ორი, სამი ან უფრო მეტი ფუნქცია ზოგჯერ ენის 25-ზე მეტ ფუნქციასაც კი ასახელებენ (გირუცკი, 2003: 42).

აზრის გამოხატვის ფუნქციასთან უშუალო კავშირი აქვს *დანაწევრებით*, (*არტიკულაციურ*) (ლათ. artikulare - დანაწევრება) და *სახელის დარქმევის* (*აღნიშვნის, იმავე ნომინაციურ*) (ლათ. nominatio - სახელის დარქმევა) *ფუნქციებს*.

ენის არტიკულაციურ ფუნქციაში იგულისხმება ის, რომ მისი მეშვეობით ადამიანი სამყაროს შეიმეცნებს არა ერთიანად, მთლიანად, არამედ დანაწევრებულად. ენის მეშვეობით ის სამყაროს ფრაგმენტების (ანუ საგნების, მოვლენების, პროცესების, გრძნობების, ემოციების) შესახებ აზრების წარმოქმნა-დაჯგუფების და მათზე სახელების დარქმევის გზით მათ აერთიანებს, **(კონცეპტუალიზაცია)** სხვადასხვა ცნებების ქვეშ.

სახელების დარქმევისა და კონცეპტუალიზაციის (ცნებათა წარმოქმნის) გზით ჩვენ შევიმეცნებთ საგნებს. ცნებათა შეერთების გზით კი - მათ შორის კავშირებსა და მიმართებებს. მაშასადამე, ენის მეშვეობით ჩვენ ვქმნით ცოდნას, რასაც **ენის შემეცნებით (კოგნიტურ, გნოსეოლოგიურ) ფუნქციას** უწოდებენ (ბერძნ. gnosis - „ცოდნა“, „შეცნობა“).

ცოდნა იქმნება საუკუნეებისა და ათასწლეულების მანძილზე. თანაც ისე, რომ კი არ იკარგება, არამედ გროვდება, ინახება, ძველს ახალი ემატება და ამ გზით ვითარდება. როგორ ხდება ცოდნის შენახვა? ისევ და ისევ ენის, მისი როგორც ზეპირი, ისე გრაფიკული ნაირსახეობის - დამწერლობის მეშვეობით. მაშასადამე, ცოდნის დაგროვებაცა და შენახვაც ენის ფუნქციებია. მას ცოდნის **დაგროვების, ანუ კუმულაციურ ფუნქციას** უწოდებენ.

ენის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ადრესატზე ზემოქმედების მოხდენა. ტყუილად როდია ნათქვამი, გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო. ამას ემსახურება ენის **ესთეტიკური და აპელაციურ-ზემოქმედებითი** (ლათ. Apelliacio - ბრძანება, მოწოდება) ფუნქციები. პირველში იგულისხმება ენის მეშვეობით ესთეტიკური ზემოქმედების მოხდენა (ლიტერატურა, თეატრი, კინო), მეორეში კი გარკვეული ქმედებისკენ ბიძგი, იძულება და ა.შ. (მაგ. თხოვნა, ბრძანება).

ენა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს *პიროვნების ეთნიკური (ეროვნული) იდენტობის, ეთნომენტალობის, ეროვნული ცნობიერების განსაზღვრაში*. ასე მაგალითად, ქართული ენა ქართველთა ეროვნული იდენტობის განსაზღვრის ერთ-ერთი საშუალებაა, სომხური - სომხებისა, რუსული - რუსებისა და ა.შ.

ამრიგად, ენა ადამიანისათვის დამახასიათებელი უაღრესად საინტერესო და ამავე დროს, უნიკალური მოვლენაა. ეს არის პირობით ბგერით ნიშანთა სისტემა, რომელიც აზრის გამოხატვის, გადაცემის, გაგებინების და გაგების საშუალებაა. ესაა მისი დანიშნულება, რომელთან ერთადაც ის სხვადასხვა სოციალურ და ექსპრესიულ ფუნქციას ასრულებს.

განმარტეთ ტექსტში გამოყენებული ლინგვისტური ტერმინები

ენა (ბგერითი, გრაფიკული, ბუნებრივი, ხელოვნური, კინეტიკური), ენობრივი სისტემა, ნიშანი, ბგერით ნიშანთა სისტემა, ენობრივი ნორმა (სტანდარტი), სალიტერატურო ენა, დიალექტი (ვარიანტი), ტერიტორიული დიალექტი (ქვედიალექტი, თქმა, კილოკავი, ქცევა), სოციოლექტი (ჟარგონი, არგო, სლენგი), ქსელური დიალექტი, „ოლბანური ენა“, „ობსცენური ლექსიკა“ „ერატიული ლექსიკა“, იდიოლექტი, ენის/მეტყველების ფუნქციები: კომუნიკაციური, სიგნიფიკაციური, პრედიკაციული, ექსპრესიული, ემოტური, ნომინაციური, კოგნიტური (გნოსეოლოგიური), აკუმულაციური ესთეტიკური, აპელაციური.

კითხვები და დავალებები

1. იმსჯელეთ ენის განმარტების პრობლემის შესახებ;
2. ახსენით განსხვავება ენას, მეტყველებასა და კომუნიკაციას შორის;
3. რატომ ვუწოდებთ ენას ნიშანთა სისტემას?
4. როგორ გესმით განსხვავება ბუნებრივ და ხელოვნურ ენებს შორის?
5. რა ფორმით ვიყენებთ ენას? (პასუხი დაასაბუთეთ).
6. იმსჯელეთ სტანდარტულ ენასა და ვარიანტებს (დიალექტებს) შორის განსხვავებებზე;
7. იმსჯელეთ ტერიტორიულ და სოციალურ დიალექტებს შორის მსგავსება-განსხვავებების შესახებ;
8. როგორ გესმით ენის დანიშნულება?
9. იმსჯელეთ ენის ძირითადი ფუნქციების შესახებ;
10. როგორ ახსენით ენის კომუნიკაციური და ექსპრესიული ფუნქციების ირგვლივ არსებულ აზრთა სხვაობის არსს?

3. ენა და მეტყველება

3.1. მეტყველების რაობა. ენა, მეტყველება, კომუნიკაცია

ენის, როგორც ადამიანისთვის დამახასიათებელი უნიკალური მოვლენის, არსის სწორად გაგებისთვის მისი განმარტება აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის, მით უმეტეს, რომ როგორც აღვნიშნეთ, მისი ფუნქციონირება მოიცავს ერთდროულად ოთხ სხვადასხვა სივრცეს. აუცილებელია, აგრეთვე, პასუხების გაცემა როგორც მინიმუმ ორ კითხვაზე:

1. სად, რომელ სივრცეში არის ის ენა და როგორია ის: ფიზიკური ობიექტია და მატერიალურ სამყაროშია, თუ მენტალურია, იდეალურია და ცნობიერებაშია?


2. როგორი მოვლენაა ენა თავისი ბუნებით: ბიოლოგიური, ფსიქიკური, საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური.

ამ საკითხზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, თუმცა იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვდა ენის განმარტება. ახლა კი შევეცადოთ და უფრო ღრმად ჩავწვდეთ საკითხის არსს.

აღნიშნული ორი კითხვის გაერთიანებით მივიღებთ ენათმეცნიერების კიდევ ერთ ურთულეს და დღემდე საკამათო საკითხს იმის შესახებ, თუ რა მიმართება აქვს ენას *აზროვნებასა და მეტყველებასთან*. გავანალიზოთ აღნიშნული ურთიერთმიმართებები.

ჩვენ ენა ვიცით, მაშასადამე, ის ჩვენს მენტალურ სამყაროშია, გონებაშია. რას ნიშნავს გამონათქვამი: „ვიცი ენა“? ძალიან მარტივად ეს ნიშნავს იმას, რომ დამახსოვრებული მაქვს სიტყვები თავიანთი მნიშვნელობებით, მათი წარმოთქმისა და ერთმანეთთან შეკავშირების და გამოყენების წესები. ენის ცოდნას *ენობრივ კომპეტენციას* უწოდებენ, რომელშიც მოიაზრება „ცოდ-

ნა, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს ბგერები დაუკავშიროს მნიშვნელობებს (აზრებს) და ეს მნიშვნელობები გადმოსცეს მეტყველების საშუალებით“ (ფრომკინი, 2009: 13). ეს არის შემდეგი კომპონენტების ერთობლიობა:



დასავლურ ლინგვისტურ ტრადიციაში ამ კომპეტენციების ერთობლიობას *გრამატიკის* ცოდნას უწოდებენ (ჩვენთან გრამატიკა მხოლოდ მორფოლოგიასა და სინტაქსს მოიცავს).

ამრიგად, ენა როგორც სისტემა, ადამიანის გონებაშია, შესაბამისად, ის გონებრივი, მენტალური ფენომენია.

იმისათვის, რომ ენამ თავისი ფუნქციები შეასრულოს, მისი გონებაში არსებობა აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის. ისევე როგორც თოხის „თოხოზა“ თოხნაში ვლინდება, ბარის „ბაროზა“- ბარვში და ა.შ., ენის „ენოზაც“ რაღაცაში უნდა გამოვლინდეს. ეს „რაღაც“ კი არის *კომუნიკაცია, ანუ მოცემული კონკრეტული ენის მეშვეობით ადრესანტსა და ადრესატს შორის აზრის გადაცემა-მიღების პროცესი*. სწორედ კომუნიკაციისთვის შეიქმნა ენა და სწორედ მისი მეშვეობით არსებობს დღემდე. რა კარგადაც არ უნდა ვიცოდეთ ესა თუ ის კონკრეტული ენა, თუ მასზე დამლაპარაკებელი არ გვეყოლება, ის დაგვავიწყდება, ანუ ის ჩვენში და ჩვენთვის შეწყვეტს არსებობას.

ამრიგად, კითხვაზე, სად არის ენა, მივიღეთ პასუხი: ენა თითოეული ჩვენგანის გონებაშია, ცნობიერებაშია, ოღონდ ის თავის ფუნქციებს ასრულებს გამოყენების, კომუნიკაციის პროცესში.

როგორ ხდება ეს? როგორ ერთვება ენა კომუნიკაციის პროცესში? როგორ, რა მექანიზმის მეშვეობით ახერხებს ადამიანი თავისი ენობრივი კომპეტენციის გამოვლენას და გამოყენებას?

კომუნიკაციის პროცესში ენის ჩართვა ხდება *მეტყველების* მეშვეობით. რა არის მეტყველება? *„ეს არის ინდივიდის მიერ ენის მეშვეობით აზრის გამოხატვის პროცესი, რომელიც ხორციელდება არტიკულირებული, ანუ დანაწევრებული ბგერითი ნაკადების წარმოთქმის გზით. სხვაგვარად მას ლინგვისტურ შესრულებასაც უწოდებენ“* (ფრომკინა, 2009: 22).

დაბოლოს, კომუნიკაციის პროცესში ჩართულია კიდევ ერთი კომპონენტი, ეს არის *ტექსტი*. არსებობს ტექსტის სხვადასხვა გაგება და უამრავი განმარტება, რომელთაგანაც „ენათმეცნიერების შესავლის“ კურსის დონეზე ყველაზე მარტივად შეიძლება ჩავთვალოთ შემდეგი: *„ტექსტი არის წინადადებათა ერთობლიობა, რომლის მთლიანობასაც ქმნის თემის, შესავლის, ძირითადი აზრისა და დასკვნის ერთიანობა“*

(<http://900igr.net/prezentatsii/russkij-jazyk/Tekst/002-Tekst-eto-neskolko-predlozhenij-svjazannykh-drug-s-drugom-po-smyslu.html>).

ტექსტის ამ ნაირსახეობას ენობრივი ანუ ვერბალური ტექსტი ეწოდება. ეს არის ის *საბოლოო სამეტყველო პროდუქტი, რომელიც იქმნება კომუნიკაციის პროცესში და რომელშიც გადმოცემულია ინფორმაცია.*

ამგვარად, როცა ვსვამთ კითხვას, თუ რა არის ენა, აუცილებლად უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ორი რამ:

1. კონკრეტული ენობრივი სისტემა და მისი ცოდნა;

2. ამ სისტემის გამოყენება, ფუნქციონირება.

პირველი, ვინც ეს ორი ფენომენი ერთმანეთისაგან გამოიჯნა, იყო **ფერდინანდ დე-სოსიური**. რასაც დღეს ენის ფუნქციონირებას ვუწოდებთ, სოსიურმა მას **სამეტყველოქმედება** უწოდა, რომელშიც გააერთიანა და, ამავე დროს, ერთმანეთისაგან გამოიჯნა ენა, ანუ ამ ქმედების ინსტრუმენტი, კოდი, და მეორე მხრივ, **მეტყველება** ანუ ამ ინსტრუმენტის გამოყენების პროცესი. ის გვაფრთხილებს, რომ როცა ვსვამთ კითხვას, თუ რა არის ენა, თავიდანვე უნდა გავარკვიოთ, რაზე ვსაუბრობთ, ენობრივ სისტემაზე, რომელიც ფსიქიკური ფენომენია, თუ მისი გამოყენების პროცესზე, ანუ მეტყველებაზე (parole), რომელიც მატერიალური ფენომენია (გვესმის ან ვხედავთ). ისინი უერთმანეთოდ ვერ იარსებებენ, ამავე დროს არც ერთი და იგივე არიან. ასეთ ურთიერმიმართებას მან უწოდა **დიქოტომა (დიქოტომია)**. თუ ჩვენ ვსაუბრობთ ენობრივ სისტემაზე, წერს ის, - მაშინ უნდა მივმართოთ **ენის ლინგვისტიკას**, ხოლო მეტყველების შესწავლისთვის - **მეტყველების ლინგვისტიკას**. (სოსიური, 2002: 19-22). ამრიგად, ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ **ენის, მეტყველების და კომუნიკაციის** ცნებები.


3.2. სამეტყველო აქტი და საკომუნიკაციო აქტი

ტერმინის „მეტყველება“ დასაზუსტებლად უნდა ითქვას, რომ ის არ არის სწორხაზოვანი პროცესი. ეს არის ჯაჭვი, რომელიც ცალკეული რგოლებისგანაა აგებული. მათ **სამეტყველო აქტებს** უწოდებენ.

რა არის სამეტყველო აქტი? ეს არის მთქმელის მიერ ენის მიმწველობით ერთი კონკრეტული აზრის გამოხატვის აქტი. სა-

მეტყველო აქტი არ უნდა ავურიოთ *საკომუნიკაციო აქტში*, ისევე როგორც საერთოდ მეტყველება არ უნდა ავურიოთ კომუნიკაციაში. თუკი სამეტყველო აქტში იგულისხმება ერთი კონკრეტული აზრის გამოხატვა, საკომუნიკაციო აქტი მის გადაცემამიღება-გაგებას მოიცავს. შესაბამისად, საკომუნიკაციო აქტში მონაწილეობს, როგორც მინიმუმ, ორი წევრი ანუ ორი კომუნიკანტი: *მთქმელი* და *მიმღები (რეციპიენტი)* (ლათ. recipere – „მიღება“). მაშასადამე, საკომუნიკაციო აქტი, ისევე როგორც საერთოდ კომუნიკაცია, ორმხრივი, სოციალური პროცესია. სამეტყველო აქტი კი ინდივიდუალური, ფსიქო-ფიზიოლოგიური ხასიათისაა. არც ისე უნდა გავიგოთ, რომ თითქოს სამეტყველო და საკომუნიკაციო აქტები ცალკ-ცალკე, ერთმანეთისაგან იზოლირებულად არსებობდეს. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. სამეტყველო და კომუნიკაციური აქტები ერთი მთლიანობაა. სამეტყველო აქტი არსებობს კომუნიკაციისთვის და კომუნიკაციის პროცესში, თუმცა *კომუნიკაციური აქტი ორი სამეტყველო აქტის ერთობლიობაა*: მთქმელის და რეციპიენტის (მსმენელის) სამეტყველო აქტებისა. პირველში იგულისხმება მთქმელის მიერ დასრულებული აზრის (ინფორმაციის) *ვერბალური გამოხატვის პროცესი*, რაც იმავდროულად ამ ინფორმაციის გადაცემაა. მსმენელის სამეტყველო აქტში კი იგულისხმება მის მიერ ამ ინფორმაციის *მიღება, აღქმა, გააზრება, გაგება*. სამეტყველო აქტს ჰყავს სუბიექტი, საკომუნიკაციო აქტი კი სუბიექტის და ობიექტის (ადრესატის) ერთობლიობას მოითხოვს. მაშინაც კი, როცა ადამიანი საკუთარ თავს ესაუბრება ან თუნდაც ფიქრობს, სამეტყველო და საკომუნიკაციო აქტები ერთი და იგივე ვერ იქნება. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მთქმელიცა და მსმენელიც აქ ერთი და იგივე ინდივიდია. ამიტომაც შეერქვა ამ სახის კო-

მუნიკაციას ავტოკომუნიკაცია. ამრიგად, გვაქვს ტრიადა: ენა - მეტყველება - კომუნიკაცია.



3.3. საკითხი ენისა და მეტყველების ბუნების შესახებ

ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართების საკითხის არსს კიდევ უფრო ნათლად წარმოვაჩინოთ, თუ განვიხილავთ საკითხს მათი ბუნების შესახებ.

როგორ გავიგოთ გამონათქვამი „ენის ბუნება“? ლინგვისტურ ლიტერატურაში არსებობს ამ გამონათქვამის სხვადასხვაგვარი გაგება. მათი ანალიზი „ზოგადი ენათმეცნიერების“ პრეროგატივაა. ამიტომ აქ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ადამიანისთვის დამახასიათებელი ესა თუ ის ნიშან-თვისება თავისი ბუნებით შეიძლება იყოს შემენილი ან გენეტიკურად თანდაყოლილი (ბიოლოგიური); სხვებისთვისაც საერთო (სოციალური) ან მხოლოდ ერთი ინდივიდისთვის დამახასიათებელი (ინდივიდუალური); იდეალური (მენტალური) ან მატერიალური

და ა.შ. შესაბამისად, თუ ენას და მეტყველებას თითოეული ამ კრიტერიუმის მიხედვით შევადარებთ, ნათლად გავიაზრებთ **მათ** თავისებურ ბუნებას.

3.3.1. ენის სოციალურობა და მეტყველების ინდივიდუალურობა

ენა, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის საშუალება, მასზე მოსაუბრე კოლექტივისათვის საერთო რომ არ იყოს, ის ვერ შეასრულებდა კომუნიკაციის იარაღის ფუნქციას. ამავე დროს, მხოლოდ მეტყველებითაც კი ადვილად ვარჩევთ, თუ ვის ვესაუბრებით: ქალს, კაცს, ნაცნობს, უცნობს, მშობელს, შვილს და ა.შ. მაშასადამე, ამა თუ იმ *ენობრივი კოლექტივის წევრებს ენა საერთო აქვთ*, თუმცა თითოეული მათგანი მისი გამოყენების ინდივიდუალური სტილით, მანერითა და თავისებურებებით ხასიათდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენა საერთოა კოლექტივისთვის, სოციალური მოვლენაა, მაგრამ მისი გამოყენების პროცესი – მეტყველება, წმინდა ინდივიდუალური ხასიათისაა, მთლიანად დამოკიდებულია პიროვნების ინდივიდუალურ ფსიქო-ფიზიოლოგიურ თვისებებზე. ამიტომაცაა, რომ ერთსა და იმავე აზრს თითოეული ინდივიდი სხვადასხვაგვარად გამოხატავს და გადასცემს.

ენა სოციალურია იმიტომაც, რომ ის არ არის თანდაყოლილი, მას *ადამიანი ითვისებს სოციალურ გარემოში*, ადამიანებთან კოლექტიური თანაცხოვრების პროცესში. ადამიანთა გარემოცვისაგან იზოლირებული ბავშვი ენას ვერ აითვისებს (იხ. ამაღას და ქამაღას მაგალითი თემაში: „ენის წარმოშობა“).

ენა სოციალურია თავისი წარმოშობითაც. ენის წარმოშობის საკითხს ჩვენ ცალკე განვიხილავთ და ვნახავთ, რომ ენის წარმოშობის თეორიებში მეცნიერულად ყველაზე დამაჯერებლად

ჟღერს სწორედ სოციალური თეორიები, რომელთა მიხედვით, ადამიანის ამეტყველების უმთავრესი წინაპირობა იყო, ერთი მხრივ, ხანგრძლივი ბიოლოგიური ევოლუციის პროცესი, მეორე მხრივ კი კოლექტიური თანაცხოვრება. ისევე როგორც ბავშვი ვერ ამეტყველდება სოციუმის, სხვა ადამიანების გარემოცვის გარეშე, ვერც პირველყოფილი ადამიანი ამეტყველდებოდა, რომ არა სოციუმში სხვეთან ერთად ყოფნა და მათთან კომუნიკაციის მოთხოვნილება.

ენა სოციალურია იმიტომაც, რომ *მისი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სოციუმი*. მხოლოდ საზოგადოებაში არსებობს ენობრივი ურთიერთობების აუცილებლობა. საზოგადოების გარეშე ენა ვერ იარსებებდა, და პირიქით, ენის გარეშე ვერ იარსებებდა ადამიანთა საზოგადოება.

ენის სოციალური ბუნება ნათლად ვლინდება იმაშიც, რომ *მის ლექსიკაში პირდაპირ აისახება საზოგადოების სოციალური სტრატეფიკაცია* (ე. წ. პროფესიული ენები, სოციალური დიალექტები: ჟარგონი, სლენგი, არგო).

უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგიერთი ლინგვისტი ენას არა სოციალურ, არამედ ინდივიდუალური მოვლენად მიიჩნევდა. ასე, მაგალითად, **ჰერმან პაული** წერს, რომ რამდენი ადამიანიცაა, იმდენი ენა არსებობსო. ცხადია, მან ბოლომდე ვერ შეძლო ამ თეზისის ახსნა და დასაბუთება, მაგრამ ამ დასკვნამდე მივიდა სწორედ იმის გამო, რომ ვერ მოახერხა ენის და მეტყველების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

ამრიგად, ენისა და მეტყველების ერთმანეთთან გაიგივება არ შეიძლება, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ *ენა სოციალური მოვლენაა, ხოლო მეტყველება - ინდივიდუალური*.

3.3.2. ენის იდეალურობა და მეტყველების მატერიალურობა

ენისა და მეტყველების ერთმანეთისგან გამოჯვნა გაძნელებოდა მათი განმასხვავებელი არსებითი ხასიათის კიდევ ერთი ნიშნის გააზრების გარეშე. ეს არის *მატერიალურობა-იდეალურობა*.

მეტყველების მატერიალურობა არავისში ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რადგან ეს არის ბგერათკომპლექსების ნაკადი, ისეთივე, როგორცაა, მაგალითად, ჩიტის ჭიკჭიკი და ა.შ. მას ჩვენ აღვიქვამთ: ის გვესმის (ბგერითი ენის შემთხვევაში), ან ვხედავთ (გრაფიკული ენის შემთხვევაში). გაიგონებ და დაინახავ იმას, რაც მატერიალურია. იდეალურს, ანუ არამატერიალურს ვერც გაიგონებ და ვერც დაინახავ. ამავე დროს, მხოლოდ დანახვა ან გაგონება არ არის საკმარისი იმისათვის რომ ბგერათკომპლექსების ნაკადს მეტყველება ეწოდოს. ასე მაგალითად, ჩიტის ჭიკჭიკი რაგინდ სასიამოვნოც უნდა იყოს, არ არის აზრების მატარებელი, ანუ არ არის მეტყველება.

რა აკავშირებს ბგერათკომპლექსს აზრთან და, შესაბამისად, რა აქცევს მას მეტყველებად?

ცხადია, ენა!

რა შეიძლება ითქვას ამ თვალსაზრისით ენის შესახებ? როგორია ის, მატერიალური თუ იდეალური?

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ენობრივი სისტემა იდეალური, მენტალური, გონისმიერი ფენომენია, ის არსებობს ინდივიდის გონებაში ენობრივი კომპეტენციის სახით. ის ჩვენ ვიცით, მას ჩვენ ვფლობთ. სწორედ ეს არის ენის არსებობის ერთადერთი ფორმა. ყოველივე ის კი, რაც გვესმის ან ვხედავთ, ზეპირი ან წერითი მეტყველების სფეროა და არა ენის.

ამრიგად, ენა და მეტყველება არ არის ერთი და იგივე იმიტომაც, რომ ენობრივი სისტემა გონებრივი, მენტალური, იდეა-

ლური ფენომენია, ხოლო მეტყველება - ფიზიკური, რეალური, მატერიალური ობიექტი.

3.3.3. ენა და მეტყველება ბიოლოგიურობის თვალსაზრისით

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნიშან-თვისებას, როგორცაა **ბიოლოგიურობა (თანდაყოლილობა)**, ოღონდ თავიდანვე ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ამ ნიშან-თვისების მიხედვით ენა და მეტყველება ერთმანეთისაგან კი არ განსხვავდება, არამედ, პირიქით, ერთმანეთის მსგავსია. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ **ენა, ისევე როგორც მეტყველება, არ არის ბიოლოგიური მოვლენა**. ინდივიდს ისინი გენეტიკურად არ მიუღია და ვერც შთამომავლობას გადასცემს მემკვიდრეობით. ბავშვის ამეტყველება ანუ მის მიერ ენის დაუფლება ხდება სხვა ადამიანთა უშუალო გარემოცვაში. თანაც ადამიანი სწავლობს არა მხოლოდ თავისი მშობლების ენას, არამედ სხვების ენებსაც. სხვათა შორის, სწორედ ეს არის ენისა და ცხოველის სასიგნალო სისტემების ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი. ცხოველის სასიგნალო სისტემები სწორედ რომ ბიოლოგიურია თავიანთი ბუნებით, რადგან ისინი მათ მემკვიდრეობით გადაეცემათ. კატის კნუტი სრულიად იზოლირებულიად გაიზრდება თუ სხვა ნებისმიერი ცხოველების გარემოცვაში, იგი ყოველთვის იკნავლებს. იგი არასოდეს არ იყეფებს, არ იყმუვლებს და ა.შ. ანალოგიურია ძაღლის ყეფა, ქათმის კაკანი და სხვ.

ამავე დროს, ვერც იმას ვიტყვით, რომ ენის ცოდნას და მეტყველებას ბიოლოგიურობასთან არანაირი კავშირი არ აქვს. სხვა ცოცხალ არსებათაგან მხოლოდ ადამიანს აქვს ენის ცოდნისა და გამოყენებისათვის (მეტყველებისთვის) აუცილებელი ბიოლოგიური წინამძღვრები. ესენია:

1. თავის ტვინის განვითარების შესაბამისი დონე, ანუ ენის დაუფლების უნარი;


2. დანაწევრებული მეტყველებისთვის აუცილებელი სამეტყველო აპარატი, ანუ დანაწევრებული მეტყველების უნარი (ადამიანი ბგერებს წარმოთქვამს, ანუ იგი ბგერებს ანაწევრებს, რასაც ვერ ახერხებს თუთიყუშიც კი. იგი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ცხოველი, ბგერებს გამოსცემს).

3.3.4. ენისა და მეტყველების ერთმანეთისაგან გამიჯვნის სხვა კრიტერიუმები

ენისა და მეტყველების ერთმანეთისგან გამიჯვნის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მათი *შემადგენელი ელემენტები და ერთმანეთის მიმართ მათი განლაგების განსხვავებული წესები*. ენობრივ სისტემაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი და ვიცით, რომ მისი ელემენტები ვერტიკალურადაა განლაგებული და მათ ერთმანეთთან იერარქიული ურთიერთმიმართებები აქვთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი ელემენტი მეორის შემადგენელი ნაწილია, მეორე - მესამისა და ა.შ. მაშასადამე, ტექსტი შედგება წინადადებებისაგან, წინადადებები შესიტყვებებისაგან, შესიტყვებები სიტყვებისაგან, სიტყვები მორფემებისაგან, მორფემები ფონემებისაგან (ბგერებისაგან), ფონემები კი დაუშლელი ენობრივი ელემენტებია.

რაც შეეხება მეტყველებას, ეს არის ბგერათკომპლექსების *დანაწევრებული (დანაწილებული) ნაკადი*, რომელსაც მოსაუბრენი (კომუნიკანტები) ენის მეშვეობით ერთნაირად ანაწევრებენ. თითოეული ეს ნაწილი (სეგმენტი, მონაკვეთი) ერთმანეთისგან პაუზებით და სხვა სახის ინტონაციური საშუალებითაა გამოყოფილი და ამა თუ იმ ენობრივ ელემენტს შეესაბამება. ესენია: *სამეტყველო ბგერა, მარცვალი, ფონეტიკური სიტყვა, ტაქტი*

(*სინტაგმა*), *ფრაზა*. ამ საკითხზე ჩვენ ფონეტიკაში გვექნება საუბარი, აქ კი ვიტყვით, რომ თუ ენაში ერთი ელემენტი მეორის შემადგენელი ნაწილია, მეტყველებაში *ერთი მეორეს მოსდევს*: ბგერა - ბგერას, მარცვალი - მარცვალს, სიტყვა - სიტყვას, ფრაზა - ფრაზას. მაშასადამე, ენობრივი ელემენტები ვერტიკალურადაა განლაგებული, სამეტყველო ნაკადის სეგმენტები - ჰორიზონტალურად, რაც სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:



ენა მეტყველებისგან განსხვავდება იმიტაც, რომ ენობრივი სისტემა გაცილებით *ნელა იცვლება, ანუ გაცილებით მეტად კონსერვატიულია*, ვიდრე მეტყველება. ენობრივი სისტემა რეგულირდება წესებით, ნორმებით, რომლებიც, ცხადია, იცვლება, მაგრამ ძალიან ნელა. ეს რომ ასე არ იყოს, ენა დროთა განმავლობაში გაუგებარი გახდებოდა ენობრივი კოლექტივისთვის. რაც შეეხება მეტყველებას ის (განსაკუთრებით, ზეპირმეტყველება), გაცილებით სწრაფად ცვალებადი, არანორმირებული და, შესაბამისად, უფრო თავისუფალია, ვიდრე ენა.

კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც შეიძლება მოვიშველიოთ ენისა და მეტყველების ერთმანეთისგან გასამიჯნავად, არის ის, რომ **მეტყველება პროცესია, ხოლო ენა - ამ პროცესის იარაღი.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ენა მეტყველებას უპირისპირდება შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

| | | | | | |
|------------|--------------|----------------|------------------|--------------------------|--------------------------------|
| ენა | იდეალურია | სოციალურია | პროცესის იარაღია | გაცილებით კონსერვატიულია | ვერტიკალური ურთიერთმიმართებები |
| მეტყველება | მატერიალურია | ინდივიდუალურია | პროცესია | გაცილებით დინამიკურია | ჰორიზონტ. ურთიერთმიმართებები |

ამრიგად, თავისი ბუნებით ენა და მისი გამოყენების პროცესი არის უნიკალური, ურთულესი, უაღრესად საინტერესო შეხამება იდეალურისა და მატერიალურისა, პროცესის, ამ პროცესის იარაღის და შედეგისა, ბიოლოგიურისა (ფიზიოლოგიურისა) და ფსიქიკურისა, სოციალურისა და ინდივიდუალურისა.

განმარტეთ ტექსტში გამოყენებული ლინგვისტური ტერმინები

მეტყველება, სამეტყველო აქტი, სამეტყველო ნაკადი, სამეტყველო ქმედება, კომუნიკაცია, საკომუნიკაციო აქტი, კომუნიკანტები (ადრესანტი, ადრესატი), ბუნება (ენის, მეტყველების), ენობრივი კომპეტენცია, ენობრივი სისტემა.

კითხვები და დავალებები

1. იმსჯელეთ ენის არსებობისა და ფუნქციონირების სივრცეების კავშირზე ენასა და მეტყველებასთან;
2. ახსენით ენისა და მეტყველების დიქოტომიის არსი;
3. ახსენით ენობრივი კომპეტენციის და მეტყველების ურთიერთკავშირის არსი;
4. დაასაბუთეთ თეზისი: „ენა სოციალური მოვლენაა, მეტყველება კი - ინდივიდუალური“.
5. გააკეთეთ სამეტყველო და საკომუნიკაციო აქტების შედარებითი ანალიზი;
6. დაასაბუთეთ თეზისი: „ენა იდეალურია, მეტყველება - მატერიალური“;
7. როგორ გესმით ტერმინი „სისტემურობა“ ენასა და მეტყველებასთან მიმართებით?
8. გააკეთეთ სამეტყველო ნაკადის და ჩიტის ჭიკჭიკის, როგორც ბგერითი ნაკადის, შედარებითი ანალიზი;
9. როგორია ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართება ელემენტთა განლაგების თვალსაზრისით? (პასუხი დაასაბუთეთ).
10. იმსჯელეთ ენისა და მეტყველების ბიოლოგიურობა-არაბიოლოგიურობის შესახებ.

4. ენა და აზროვნება

4.1. ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების პრობლემა

ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართების საკითხის განხილვის შემდეგ მივადექით კიდევ ერთ პრობლემას, რომლის ცოდნის გარეშეც ენის არათუ არსისა და ბუნების გააზრება, არამედ განმარტებაც კი შეუძლებელია. ეს არის საკითხი **ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების შესახებ** ამ ორ მოვლენას ერთმანეთთან იმდენად მჭიდრო კავშირი აქვს, რომ მათი ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯვნა ერთ-ერთი ურთულესი კომპლექსური (ფილოსოფიური, ლოგიკური, ფსიქოლოგიური, ფსიქოლინგვისტური და ა.შ.) პრობლემაა, რომლის მიმართ ინტერესი ათეულობით საუკუნის სიღრმიდან მოდის.

რა მიმართება აქვს ენას აზროვნებასთან?

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, როგორც მინიმუმ, ელემენტარული წარმოდგენა მაინც უნდა გვქონდეს იმაზე, თუ **რა არის ენა და რა არის აზროვნება.**

ენის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ და ვიცით, რომ ენის გამოყენების პროცესი იმავდროულად აზროვნების პროცესიცაა. ამის გამო ენას ზოგჯერ აზროვნებასთან აიგივებენ კიდევ, რაც ძალიან ძნელად გასაზიარებელია, რადგან ენის გამოყენების პროცესი იმავდროულად არა მხოლოდ აზროვნების, არამედ მეტყველების და კომუნიკაციის პროცესიცაა. ყოველივე ამაში დასარწმუნებლად საჭიროა გავერკვეთ აზროვნების არსსა და მექანიზმში და ენასთან მისი შედარების გზით შევეცადოთ გამოვკვეთოთ ის ძირითადი მომენტები, რომლებიც აზროვნებას ენასთან აკავშირებს/განასხვავებს.


ფილოსოფოსების განმარტებით, აზროვნება არის ჩვენი გონების მიერ ობიექტური რეალობის (რეალური სამყაროს) აქტიური ასახვის პროცესი. რა არის რეალური სამყარო? ეს არის საგანთა, გონება კი - ცნებათა და მათი ურთიერთმიმართებათა სამყარო. აი სწორედ აქ არის გადაჯაჭვული ენისა და აზროვნების კავშირის პრობლემა, რომლის გასააზრებლადაც ჯერ უნდა ჩავწვდეთ ცნების არსში, რაც აუცილებლად მიგვიყვანს სიტყვის და მისი ცნებასთან კავშირის გააზრებამდე.

4.2. სიტყვისა და ცნების ურთიერთმიმართება

რა არის სიტყვა და რას ნიშნავს მისი ცოდნა? როგორც უკვე ვიცით, მატერიალურად სიტყვა ბგერათა კომპლექსია. ის ჩვენ გვესმის (დაწერილს ვხედავთ) მეტყველების პროცესში. ამავე დროს, სიტყვის მხოლოდ გაგონება (დანახვა) სულაც არაა საკმარისი. *ის უნდა გავიგოთ*, უფრო ზუსტად, ერთნაირად უნდა გაიგონ მთქმელმა და მსმენელმა. ამისათვის კი აუცილებელია, რომ *ის რაღაცას აღნიშნავდეს*, რაღაცაზე მიგვანიშნებდეს, თანაც ისე, რომ ეს მინიშნება ორივესთვის გასაგები იყოს. სწორედ ამიტომაც აღვნიშნეთ ხაზგასმით, რომ სიტყვა არის არა ნებისმიერი ბგერათკომპლექსი, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელსაც აზრი (ცნება, მნიშვნელობა, შინაარსი) აქვს, ანუ ეს არის *გააზრებული ბგერათკომპლექსი*. ის აღნიშნავს რეალურ საგანს (პროცესს, მოვლენას, თვისებას და ა. შ.). ეს საგანი (დენოტატი) ბუნებაშია, რეალურ სამყაროშია, სწორედ მისი აღმნიშვნელია სიტყვა. ცნება კი გონებაშია. რამ დააკავშირა რეალურ სამყაროში არსებული საგანი გონებაში არსებულ ცნებასთან? სიტყვამ, რომელიც ამ საგანს აღნიშნავს და რომელიც ცნებასთან ერთად

ასევე დამახსოვრებელი გვაქვს. ამის გარეშე ცნებას, ცალკე აღებული, ვერ დავიმახსოვრებდით. რადგან ის სიტყვაშია მოქცეული, სხვაგვარად რომ ვთქვათ, *სიტყვა ნიშნია*

რას ნიშნავს გამონათქვამები: „*სიტყვა გააზრებული ბერათვომბლეხია*“, „*სიტყვა ნიშანია*“? ამ საკითხებზე ნიშანთა სისტემის განხილვისას ვისაუბრებთ. აქ კი მათ შევეხებით იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების საკითხის გააზრებისათვის. საქმე ის არის, რომ *სიტყვა არ არის საგანზე მიკრული ეტიკეტი, ანუ სიტყვა უშუალოდ არ აღნიშნავს საგანს*. ის მას აღნიშნავს გონების გავლით. თუ ბუნებაში არის საგნები, მაგალითად, ხეები, ადამიანები, ცხოველები და ა.შ., გონებაში გვაქვს მათი ე. წ. „ანარეკლები“, *რასაც ცნებებს ვეძახით*: ხის ცნება (ანუ ელემენტარული ცოდნა ხის შესახებ, ხის განმარტება) და ა.შ., ნათქვამი სქემატურად სამკუთხედის სახეს მიიღებს, რომელსაც *სემანტიკურ ანუ მნიშვნელობის სამკუთხედს* უწოდებენ:



ამ სამკუთხედს ჩვენ მომდევნო თემებშიც მივუბრუნდებით. აქ კი ის დაგვჭირდა იმის საჩვენებლად, რომ *სიტყვა არის ერთგვარი შუამავალი საგანსა და ჩვენს გონებას შორის*. გონება არის ცნებათა (და არა მხოლოდ ცნებათა) სამყარო, ცნებები საგნების „ანაბეჭდებია“, „ანარეკლებია“, ოღონდ ეს არის არა მექანიკური, არა სარკული, არამედ გონებრივი, მენტალური, *აზრობრივი ანაბეჭდები*.

ზოგადად, ასახვის ყველაზე მარტივი მაგალითია სარკული ასახვა, რომლის ინსტრუმენტია სარკე, ასახვის ობიექტი - საგანი, ხოლო შედეგი - საგნის ანარეკლი. ეს არის მექანიკური ასახვა, აზროვნება კი მენტალური, გონისმიერი ასახვაა. *როგორ რა მექანიზმით ხდება გონებაში საგნის მენტალური ანაბეჭდის შექმნა, ანუ როგორ ვახდენთ გონებაში საგნის ასახვას და რა ადგილი აქვს ამ პროცესში სიტყვას?*

ცნობილი რუსი ფიზიოლოგის ი. პავლოვის თეორიიდან ცნობილია, რომ გონებაში საგნის ასახვაში გადამწყვეტ როლს თამაშობს *ცენტრალური ნერვული სისტემა*, რომლის მეშვეობითაც ასახვის პროცესი გადის შემდეგ გზას: ნებისმიერ საგანს თავისთვის დამახასიათებელი ფიზიკური თვისებები აქვს (ზომა, წონა, ფერი, გემო და ა.შ.). მათ საგნის შესახებ *ფიზიკური ინფორმაცია* ეწოდება. ეს თვისებები ზემოქმედებენ ადამიანის ნერვულ დაბოლოებებზე, ანუ შეგრძნების ორგანოებზე (სმენა, მხედველობა, შეხება, ყნოსვა, გემო). ასე ხდება საგნის *შეგრძნება*, რის შედეგადაც საგნის ფიზიკური ინფორმაცია ნერვულ იმპულსებად, ანუ *ფიზიოლოგიურ ინფორმაციად* გადაიქცევა. ამის შემდეგ ნერვული იმპულსების მეშვეობით ინფორმაცია გადაეცემა თავის ტვინს, ანუ, როგორც ფიზიოლოგები და ფსიქოლოგები იტყვიან, საგანს *ადვიქმვამთ*, რის შედეგადაც ვიღებთ მის შესახებ *გონებრივ, ანუ მენტალურ* (ლათ. Mens, ნათ. Mentis

„გონი, გონება“) *ინფორმაციას*: თავის ტვინში ჩნდება ამ კონკრეტული საგნის ანაბეჭდი - *წარმოდგენა*.

წარმოდგენა შეიძლება კონკრეტულ საგნისა, ანუ წარმოდგენა ყოველთვის კონკრეტულია, კონკრეტული საგნის სახეა, ანაბეჭდია, ხატია. მაშასადამე, *წარმოდგენას საგანთან მსგავსება (იკონურობა) აკავშირებს* (ბერძ. Eikon „სახე, გამოსახულება“). ამით ის ძალიან წააგავს სარკულ (მექანიკურ) ასახვას, თუმცა რადიკალურად განსხვავდება მისგან.

ამრიგად, ცენტრალური ნერვული სისტემის მეშვეობით საგანი აისახა გონებაში და იქ დატოვა თავისი ხატი - *წარმოდგენა*. ასეთ ხატს წარმოსახვითაც მივიღებთ, მას ობიექტურ სინამდვილეში, შესაძლებელია, არაფერი არ შეესატყვისებოდეს (მაგ., ბაყბაყდევი, გველეშაპი, ქაჯი).

სიგნალებს, რომელთა მეშვეობითაც იქმნება წარმოდგენები, ბიოლოგები უპირობო სიგნალებს უწოდებენ, ხოლო მასზე რეაქციას - *უპირობო რეაქციას*. რატომ? იმიტომ რომ მათი წარმოქმნა არ უკავშირდება რაიმე პირობას, ეს არის ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის ბუნებრივი რეაქცია გარე ფაქტორების ზემოქმედებაზე. თვით ცენტრალურ ნერვულ სისტემას, რომლის მეშვეობითაც გადაეცემა სიგნალი თავის ტვინს, *პირველი სასიგნალო სისტემა* ეწოდება, მისი მეშვეობით საგნის მენტალური ასახვა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადის შემდეგ საფეხურებს:

შეგრძნება ---- აღქმა ----- წარმოდგენა

საგნის (საგანთა სამყაროს) აღქმის ამ გზას *ემპირიულს, ანუ გრძნობადს*, ხოლო ხატოვნად - *წარმოდგენით აზროვნებასაც* უწოდებენ. ამ ტერმინში ხშირად ცხოველთა „აზროვნებას“ გულისხმობენ, რაც პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იქნეს


გაგებულ, რადგან აზროვნებას აზრთან (ცნებასთან) აქვს კავშირი, აზრს კი ქმნის აბსტრაქცია, რასაც ცხოველი ვერ ახერხებს. ის იქმნება ვიზუალური (ლათ. Visualis - ხედვითი), აუდიო (სმენითი), ყნოსვითი, გემოვნებითი და შეხებითი რეცეპტორების მეშვეობით და გვაძლევს წარმოდგენას ერთეული საგნის, მისი ფორმის, ფერის, ზომის, ხმის, სუნის, გემოს და ა.შ. შესახებ. ამ პროცესში *სიტყვა არ მონაწილეობს*. აქ არ გვაქვს სიტყვები, ამიტომ ასეთი ცოდნა ადამიანს არ აკმაყოფილებს. მას არ ძალუძს დაინახოსოვროს ბუნებაში არსებული ყველა საგანი, მაგალითად, ყველა ძაღლი, ქვა, თევზი და ა.შ. ამიტომ ის განაზოგადებს მის მიერ მოპოვებულ ცოდნას ცალკეული საგნების შესახებ. ამისთვის ის იყენებს აბსტრაქციას (განყენება), რომლის მეშვეობითაც აჯგუფებს მათ საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებების საფუძველზე და თითოეულ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებს არქმევს საერთო *სახელებს*. რა არის სახელი? ეს უკვე სიტყვაა, ეს არის ბგერათკომპლექსი, რომელიც არა მხოლოდ ერთი კონკრეტული საგნის, არამედ საერთო არსებითი ხასიათის ნიშნების მქონე საგანთა ჯგუფის აღმნიშვნელიცაა. ასე მაგალითად, „ხე“ არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ხის, არამედ ყველა ხის ქართული სახელია, „ძაღლი“ - ყველა ძაღლისა, „კატა“ - ყველა კატისა, და ა.შ. როგორ ვაქციეთ სიტყვა საგანთა ჯგუფის წარმომადგენლად? საგნის უამრავი ნიშან-თვისებებიდან გამოვყეთ მისი ძირითადი, არსებითი ხასიათის ნიშან-თვისებები, შემდეგ გავაერთიანეთ ისინი და შევქმენით *მათი სინთეზი, ახალი მთლიანობა*, ანუ *ცნება*. წარმოდგენისგან განსხვავებით, ცნება გონებაში არის არა დამოუკიდებლად, როგორც კონკრეტული საგნის ანაბეჭდი, არამედ გამოხატულია სიტყვაში, სიტყვის გარეშე ცნებას ვერ დავიმახსოვრებთ. *ცნებასთან სიტყვის ამგვარი კავშირი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ არ არსებობს აზრი*

(ცნება) სიტყვის გარეშე და პირიქით, სიტყვა აზრის (ცნების) გარეშე. მაშასადამე, მივიღეთ სპეციფიკური ერთეული: *ცნება/სიტყვა*, რომელიც ორერთიანობაა, ერთი მოვლენის ორი მხარეა, ორი სხვადასხვა მოვლენის ერთიანობაა, ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართების მსგავსად, სოსიურმა მასაც *დიქოტომია* უწოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ორი მოვლენის არც ერთმანეთისგან გათიშვა შეუძლებელია და არც ერთმანეთთან გაიგივება. „ეს მოვლენა ქალაქის ფურცელსაც შეიძლება შევადაროთ. აზრი ზედა მხარეა, ბგერა - ქვედა. შეუძლებელია ზედა მხარის ისე გაჭრა, რომ ქვედა არ გაიჭრას. ასევეა ენაშიც: შეუძლებელია ჩამოვაცილოთ აზრი ბგერას და ბგერა აზრს. ამის მიღწევა მხოლოდ აბსტრაქციის გზით შეიძლება, რაც მიგვიყვანს წმინდა ფსიქოლოგიამდე ან წმინდა ფონოლოგიამდე“ - *წერს სოსიური* (სოსიური 2002: 119).


სიტყვას ხატოვნად *აზრის (ცნების) ჭურჭელიც (ყალიბი) შეიძლება ეწოდოს*, რადგან სწორედ მას „გადააქვს“ ერთი ადამიანის გონებიდან მეორე ადამიანის გონებამდე ცნება. ამ ყალიბის გარეშე აზრის გადაცემა შეუძლებელი იქნებოდა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მაგ. ტელეპათიას). ამ თვალსაზრისით, სიტყვა შეიძლება შევადაროთ ჭიქას, რომელიც ისევეა წყლის ჭურჭელი, როგორც სიტყვა - აზრისა. თუმცა ეს იქნებოდა მიახლოებითი, თანაც ძალიან უხეში შედარება, რის შესახებ გვაფრთხილებს კიდევ სოსიური: „*სიტყვა არ წარმოადგენს მზა ყალიბს, რომელშიც ჩამოისხმება მზა აზრი*“ (სოსიური 2002: 119). რატომ? იმიტომ, რომ აზრისგან დაცლილი სიტყვა არ არსებობს, მაშინ, როცა ჭიქა შეიძლება იყოს სავსეც და ცარიელიც.

ერთი სიტყვით, საგნის მენტალური ასახვის მომდევნო საფეხურზე წარმოდგენის საფუძველზე იქმნება ცნება, რომელიც სიტყვაშია, ანუ ეს არის ცნება/სიტყვა. ის განზოგადებაა, აბსტ-

რაცცაა და იქმნება ენის მეშვეობით, რომელსაც *მეორე სასიგნალო სისტემასაც უწოდებენ*. იგი სქემატურად ასე შეიძლება გამოისახოს:



აღნიშნულის გათვალისწინებით, ზემოთ მოცემულ სემანტიკურ სამკუთხედში შეიცვლება ის, რომ მასში ცნებასთან ერთად აისახება სიტყვაც, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის დამახსოვრებული, გონებაში არსებული და არა წარმოქმნილი ან დაწერილი სიტყვა:



4.3. ენის, აზროვნებისა და მეტყველების ტრიადა (ტრიქოტომია)

ერთმანეთისგან განვასხვავეთ რა აზროვნების ორი სახე - წარმოდგენითი და ცნებითი (ვერბალური, კონცეპტუალური), დადგა დრო პასუხი გავცეთ მთავარ კითხვას: *აზროვნების რომელ სახესთან აქვს კავშირი ენას და რა სახისაა ის?*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცნებები ენობრივი ერთეულების - სიტყვების მეშვეობით გამოიხატება, სიტყვებს ვაკავშირებთ წინადადებებში (გამონათქვამებში). მაშასადამე, „ვაზროვნებთ“ - ნიშნავს, რომ ერთი მეორეზე მიყოლებით ვაგებთ წინადადებებს (ვიყენებთ ენას, ვმეტყველებთ). შესაბამისად, ენის, მეტყველებისა და აზროვნების სახით მივიღეთ სამწევრიანი მთლიანობა, ტრიადა, ტრიქოტომია, რომლის წევრთა ერთმანეთისგან დაცილება შეუძლებელია. *ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ენა და აზროვნება ერთი და იგივეა?*

რა თქმა უნდა არა! ისევე როგორც „ბარვა“ არ ნიშნავს „ბარს“, „თოხნა“ - „თოხს“ და ა.შ., არც „ენის გამოყენება“ ნიშნავს „ენას“. გამონათქვამი „ვიყენებთ ენას“:

ა) მატერიალური თვალსაზრისით ნიშნავს იმას, რომ: „ვმეტყველებთ“, ანუ წარმოვთქვამთ ბგერათკომპლექსებს;

ბ) მენტალური, გონებრივი თვალსაზრისით ნიშნავს იმას, რომ ეს ბგერათკომპლექსები აუცილებლად დანაწევრებულია, გააზრებულია, აზრების გამომხატველია;

გ) *მაშასადამე*, რომ არა ენა, ვერ ვიაზროვნებდით (ისევე როგორც ვერ ვიმეტყველებდით). ე.ი. ენა არის ის, რისი მეშვეობითაც ვაზროვნებთ, *ანუ ენა აზროვნების იარაღია.*

ამრიგად, *სიტყვა აზრის უმარტივესი სახის - ცნების გამომხატვის საშუალება, ხოლო ენა აზროვნების იარაღია.*

4.4. სიტყვა და ცხოველის ბგერითი საკომუნიკაციო სიგნალები (ცხოველის ენა)

ენის და აზროვნების ურთიერთმიმართების საკითხზე საუბრისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ საკითხს „ე.წ. ცხოველის ენის“ შესახებ, რაც გულისხმობს პასუხის გაცემას კითხვაზე, აქვთ თუ არა ცხოველებს (ფრინველებს, თევზებს, მწერებს და ა.შ.) ისეთივე ენა, როგორც ადამიანს. უნდა ითქვას, რომ ესეც ერთ-ერთი ურთულესი და ჯერჯერობით პასუხგაუცემელი კითხვაა, თუმცა დღესდღეობით თითქმის ყველა ერთმნიშვნელოვნად თანხმდება ერთ რამეზე: მართალია, *ცხოველებს აქვთ საკუთარი საკომუნიკაციო სისტემები, მათ შორის ბგერითიც, მაგრამ ისინი რადიკალურად განსხვავდება ადამიანის ენისგან*. ამ განსხვავების საფუძველია ცხოველთა აზროვნების სახე: მათ არ აქვთ განზოგადების, აბსტრაქციის უნარი, ისინი იმახსოვრებენ კონკრეტულ საგანს, სუნს, ფერს, გემოს და ა.შ., მაგრამ იციან თუ არა მათ, რა არის „სუნი“, „ფერი“, „გემო“ და ა. შ., - ამ კითხვებზე ჯერჯერობით მხოლოდ უარყოფითი პასუხები გვაქვს. შესაბამისად, კეთდება დასკვნა, რომ მათი აზროვნება არ არის ცნებით-კონცეპტუალური, ე.ი. მათი ბგერითი სიგნალები არ უკავშირდება ცნებებს.

ჩვენ, ცხადია, არ შევუდგებით იმის მტკიცებას, თუ რამდენად უტყუარი და ერთმნიშვნელოვანია ეს დასკვნა, თუმცა მაშლიან მარტივად შეგვიძლია შევადაროთ ეს ორი სისტემა ერთმანეთს და დავრწმუნდეთ, რამდენად ღრმაა მათ შორის განსხვავება:

| <i>ადამიანის ენა</i> | <i>„ცხოველის ენა“</i> |
|--|---|
| შეძენილია | თანდაყოლილია |
| დანაწევრებულია, ელემენტთა სისტემაა | დაუნაწევრებელია, შეუძლებელია მასში ბგერების, სიტყვების და წინადადებების გამოყოფა |
| გრამატიკის მეშვეობით უსასრულო რაოდენობის კონსტრუქციებს თხზვის საშუალებაა | არა აქვს გრამატიკა |
| ემოციური მდგომარეობის გამომხატველიცაა და შემეცნების იარაღიც | მხოლოდ საკუთარი ემოციური მდგომარეობის გამომხატველია |
| შესაძლებელია უცხოური ენების შესწავლა | კატა ვერ იყეფებს, ძალდი ვერ იკნავლებს. თუთიყუშსაც კი გაუაზრებელი იმიტაცია აქვს |
| შესაძლებელია საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის გამოხატვა და გადაცემა | საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის გამოხატვა და გადაცემა შეუძლებელია |
| შესაძლებელია საუბარი წარსულსა და მომავალზე | წარსულსა და მომავალზე საუბარი შეუძლებელია |
| სოციალურად და გეოგრაფიულადაა განპირობებული (ენები და დიალექტები) | ერთი სახეობის ცხოველებს აქვთ ერთი ენა, მიუხედავად გეოგრაფიული და სხვა ფაქტორებისა |

ამრიგად, ენა და აზროვნება (ოღონდ ვერბალური, კონცეპტუალური აზროვნება) მჭიდრო ურთიერთკავშირში მყოფი მოვლენებია, ენა არ არსებობს აზროვნების გარეშე, მისი არც აზროვნებისგან გათიშვაა შესაძლებელი და არც აზროვნებასთან გაიგივება. ენა აზროვნების იარაღია.

განმარტეთ ტექსტში გამოყენებული ლინგვისტური ტერმინები:

აზროვნება (ვერბალური და წარმოდგენითი), წარმოდგენა, ცნება, კონცეპტი, მსჯელობა, დასკვნა, დენოტატი, რეფერენცია ნომინაცია, სასიგნალო სისტემები (პირველი და მეორე), სემანტიკური სამკუთხედი.

კითხვები და დავალებები

1. გააკეთეთ წარმოდგენითი (ბიოლოგიური) და ვერბალური (ცნებითი) აზროვნების შედარებითი ანალიზი;
2. როგორ გესმით თეზისი: „სიტყვა საგანთა და ცნებათა სამყაროებს შორის შუამავალია“?
3. შეადარეთ ერთმანეთს მატერიალური (საგანთა) და მენტალური (ცნებათა) სამყარო;
4. ახსენით სიტყვასა და ცნებას შორის კავშირის არსი;
5. გააკეთეთ ცნებისა და წარმოდგენის შედარებითი ანალიზი;
6. გააკეთეთ პირველი და მეორე სასიგნალო სისტემების შედარებითი ანალიზი;
7. ახსენით ენის, მეტყველების და აზროვნების ტრიკოტომიის არსი;
8. ახსენით, აზროვნების რომელ სახესთან აქვს კავშირი ენას და რა სახისაა ეს კავშირი;

9. გააკეთეთ ადამიანის ენისა და „ცხოველის ენის“ შედარებითი ანალიზი;

10. კონკრეტულ მაგალითის მოშველიებით გააანალიზეთ შემდეგი სქემა:

შეგრძნება → *აღქმა* → *წარმოდგენა* → *ცნება/სიტყვა*

5. ენა, როგორც სისტემურ-სტრუქტურული ფენომენი

5.1. ენის სემიოტიკური არსი

გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსის ემანუელ კანტის საფლავის ქვას ასეთი წარწერა აქვს: *„მე მუდამ მოცუბ-და ორი რამ – ვარსკვლავებით მოჭედული ცა და მორალური კანონი ჩემში“* (მახარაძე 2003: 17).

რა იგულისხმება ყველა დროისა და ეპოქის უდიდესი მოაზროვნის ამ სიტყვებში? ცხადია, ის უხილავი, ამოუცნობი და ილუმინალი ძალა, რომელიც ამქვეყნად ყველაფერს აწესრიგებს. *ეს ძალა სისტემურობაა*. სწორედ მისი მეშვეობით სუფევს სამყაროს მასშტაბით წესრიგი, და არ არის ქაოსი. სწორედ სისტემურობაა სამყაროს, ბუნების, საზოგადოებისა და საერთოდ ყველაფრის არსებობის და ფუნქციონირების *საფუძველი (არსი)*.

არსებობის (ანუ არსის, ყოფიერების) ნიშანი მიეწერება ენასაც, რადგან ის რეალურად არსებობს და ასრულებს თავის ფუნქციებს. ეს არის მისი სისტემურობა, *ენობრივი ერთეულების კავშირი, ერთი მხრივ, აზრებთან, მეორე მხრივ, ერთმანეთთან, და მესამე: ადამიანთან (ისინი თავისთავად არ არიან ნიშნები, მათ ნიშნებად აქცევს ადამიანი)*. მაშასადამე, ენობრივი ერთეულები ნიშნებია. მათ სწავლობს სპეციალური დარგი *სემიოტიკა*, რომელიც შესაბამისად, სამი ნაწილისგან შედგება:

1) *სემანტიკა* - სწავლობს ენობრივი ერთეულების კავშირებს საგნებთან (გარე სამყაროსთან), რომელთა საფუძველზეც იქმნება ამ ერთეულთა მნიშვნელობები;

2) **სინტაქტიკა** - სწავლობს ენობრივ ერთეულთა კავშირებს ერთმანეთთან, რის მეშვეობითაც ჩვენ ვქმნით დასრულებულ აზრებს;

3) **პრაგმატიკა** - სწავლობს ენის გამომყენებლის ანუ ადამიანის დამოკიდებულებას ენობრივი ნიშნების მიმართ. მას აინტერესებს, თუ როგორ, რა მიზნით იყენებს ადამიანი ნიშნებს, რა ძალისხმევას ახმარს ის მას და ა.შ.

სწორედ აღნიშნული კავშირების წყალობითაა ენა ერთეულთა მოწესრიგებული სისტემა. მასში ყველა ელემენტს თავისი ადგილი, დანიშნულება და ფუნქცია აქვს: აზრებს გამოვხატავთ და ერთმანეთს ვუზიარებთ წინადადებების მეშვეობით. ისინი ქმნიან ტექსტებს და თავის მხრივ, შედგებიან შესიტყვევებისგან, შესიტყვევა - სიტყვებისგან. სიტყვა - მორფემებისგან. საბოლოო ჯამში მთელი ამ „შენობის“ საშენი მასალა არის ბგერა, ამ სისტემაში მთავარია სიტყვა, რადგან ის აღნიშნავს საგანს და ქმნის ცნებას. სიტყვის გარეშე **ენა აზრის გამოხატვისა და გადაცემის საშუალება ვერ იქნებოდა**, ანუ ის ვერ იარსებებდა.

ამრიგად, ენა არსებობს იმდენად, რამდენადაც:

1. სიტყვა აღნიშნავს საგანს, ანუ ნიშანია;
2. ენა ნიშანთა სისტემაა.

ენობრივი სისტემის ნიშნურობაში (ენის სემიოტიკურ არსში) სათანადოდ ვერ გავერკვევით, თუ არ გვეცოდინება, **რა არის ნიშანი და არსებობს თუ არა სიტყვის გარდა სხვა სახის ნიშნებიც**. ამ კითხვებზე პასუხებს იძლევა მეცნიერების დარგი – **სემიოტიკა** (ფ. დე სოსიურის ტერმინოლოგიით სემიოლოგია). ის ახალი დროის მეცნიერებაა, სიტყვის მიმართ საკუთრივ სემიოტიკური მიდგომა კი გაცილებით ძველია, ვიდრე თვით სემიოტიკა. ჯერ კიდევ ძველი ბრძენი ფილოსოფოსი არისტო-

ტელე (ძვ. წ. 384 – 322) საუბრობდა სიტყვის *რეპრეზენტატულ* ანუ *წარმომადგენლობით* ბუნებაზე. მისი აზრით, კონუნიაკაცია შესაძლებელი ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმის წყალობით, რომ *სიტყვები წარმოადგენენ საგნებს (მოვლენებს)*.

სემიოტიკა გვეუბნება, რომ *ნიშანი უნდა მიგვანიშნებდეს ობიექტზე, აღნიშნავდეს მას*. ამისათვის ის *უვილბლად უნდა იყოს მატერიალური საგანი*. რატომ? იმიტომ, რომ ის უნდა იყოს აღქმადი: მთქმელმაც და მსმენელმაც ის უნდა დაინახონ (გაიგონონ, შეიგრძნონ და ა.შ.). ასე მაგალითად, გზაჯვარედინზე გადასვლისას შუქნიშანთან არ გავჩერდებით, თუ წითელ ფერს ვერ დავინახავთ, ან მანამ ვიდგებით, სანამ მწვანე არ აინთება. ე.ი. შუქნიშნის ფერებმა თავისი სემიოტიკური ფუნქცია რომ შეასრულოს, ისინი ფიზიკურად აღქმადი უნდა იყოს. რაც შეეხება აღსანიშნ ობიექტს, რაც ქმნის ნიშნის შინაარსს, ის შეიძლება იყოს *მატერიალურიც (საგანი) და მენტალურიც (ცნება)*, ასე მაგალითად, სიტყვა „შუქნიშანი“ მიგვანიშნებს მატერიალურ საგანზე, ხოლო მისი წითელი ფერი „გაჩერების“ ცნებაზე, მწვანე ფერი - „წასვლის“ ცნებაზე, გულის სიმბოლო - „სიყვარულის“ ცნებაზე და ა.შ.

ამრიგად, ნიშანი არის არა ყველა მატერიალური ობიექტი, არამედ მხოლოდ ის, რომელიც რაღაცაზე მიგვანიშნებს, *რომელსაც აღნიშვნის ფუნქცია დავაკისრეთ, რაღაცაზე მიგვანიშნებინეთ, შინაარსი შევძინეთ, რომელიც გასაგები გავხადეთ კიდევ ერთი ადამიანისთვის მაინც*: მაშასადამე, ნიშანს აქვს ორგვარი ბუნება, ანუ, როგორც ლინგვისტები ამბობენ, ის თავისი არსით *ბილატერალურია (ორპლანიანია, ორსახოვანია)*:

1. იგი აღმნიშვნელია (ფორმოზორივი მხარე), ანუ მისი ფუნქციაა რაღაცის აღნიშვნა;

2. შესაბამისად, მას აქვს აღსანიშნი (შინაარსობრივი მხარე) ანუ ობიექტი, რომელსაც აღნიშნავს, რომელიც შეიძლება იყოს საგანი, მოვლენა, თვისება, პროცესი და ა.შ.

სწორედ ეს არის ნიშნის კანონი, რომლის მიხედვითაც ნიშანი აღსანიშნისა და აღმნიშვნელის (ფორმისა და შინაარსის) ურღვევი ერთიანობაა (ფერდინანდ დე-სოსიურის ტერმინოლოგიით – დიქოტომია).

5.2. ნიშანთა კლასიფიკაცია და სიტყვის ადგილი მასში

სიტყვის სემიოტიკური (ნიშნური) ბუნების გასააზრებლად საჭიროა კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა: *ნიშანთა კლასიფიკაციის გააზრება*. ეს საკითხი დაწვრილებით განხილულია ლ. ხალვაშის „ზოგად ენათმეცნიერებაში“ (ხალვაში, 2014: 84-93) უფრო სიღრმისეულად და საფუძვლიანად კი - სამაგისტრო დისციპლინაში „ლინგვისემიოტიკა“. აქ მას ვეხებით იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა ნიშანთა საერთო კლასიფიკაციაში ენობრივ ერთეულთა ადგილის წარმოსაჩენად. ამიტომაც ნიშანთა კლასიფიკაციის კრიტერიუმებიდან განვიხილავთ მხოლოდ ერთს: *კლასიფიკაციას იმის მიხედვით, თუ რა მიმართებები აქვთ ერთმანეთთან აღსანიშნსა და აღმნიშვნელს*. ამ კრიტერიუმის მიხედვით განასხვავებენ ნიშანთა შემდეგ სახეებს:

ა) *იკონური ნიშანი (ნიშანი-ასლი)* ისეთი ნიშანია, რომელიც აღსანიშნთან სრულ მსგავსებას ავლენს (აღსანიშნის ასლია). მაგ. ფოტოსურათი, ნახატი, თითის ანაბეჭდი და ა.შ.

ბ) *ინდექსალური ნიშანს (ნიშანი-სიმპტომი)* აღსანიშნთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აქვს. იგი აღსანიშნის სიმპტომია ან შედეგი. მაგ, ტემპერატურის წამოწევა, როგორც ავად-

მყოფობის შედეგი, წვიმა, როგორც მოღრუბლულობის შედეგი, საწვიმარი ღრუბლები როგორც წვიმის მომასწავებელი ნიშანი და ა.შ.

გ) **ნიშანი-სიმბოლო**, რომელსაც აღსანიშნთან ნაწილობრივი (სიმბოლური) მსგავსება აკავშირებს. ამის მაგალითია ნიღაბი, როგორც თეატრის სიმბოლო, დანა და ჩანგალი როგორც სასადილოს სიმბოლო, ლომი, როგორც სიმამაცის სიმბოლო და ა. შ. მათი ნიშნურობა დამოკიდებულია სოციალურ შეთანხმებაზე (კონვენცია, პირობა).

დ) **პირობითი ნიშანი**, რომელთა ერთობლიობაც სიმბოლური ნიშნების განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნის, რადგან პროდუქტია არა ნაწილობრივი, არამედ სრული შეთანხმებისა, ასე მაგალითად, შუქნიშნის წითელ ფერზე ვჩერდებით, მწვანეზე გადავდივართ. რა აკავშირებს წითელ ფერს გაჩერებასთან? მსგავსება? არა. არც სრული და არც ნაწილობრივი. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი? არა. მაშ რა? **პირობა**. წითელ შუქზე გაჩერდებიან ისინი, ვინც ამაზე შეთანხმდა, ვინც წითელ შუქში გაჩერების პირობა ჩადო. სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა გაჩერების ნიშანი ყოფილიყო მწვანე შუქიც, ოღონდაც ამისათვის საჭირო იყო ადამიანთა (ე. ი. სოციუმის) შეთანხმება, მოლაპარაკება. აქედან გამომდინარე, პირობითი ნიშანი არსებობს იმდენად, რამდენადაც იგი სოციალური ბუნებისაა.


სად არის ნიშანთა მოცემულ კლასიფიკაციაში სიტყვის ადგილი? **ცხადია, პირობით ნიშანთა შორისაა**. დიახ, სიტყვა პირობითი ნიშანია. მას არანაირი მსგავსება არ აკავშირებს საგანთან, მათი კავშირი წმინდა პირობითი ანუ **კონვენციური** ხასიათისაა (ლათ. conventionalis - შეთანხმებითი). ამიტომაცაა, რომ საგანს ერთსა და იმავე ენაშიც კი შეიძლება ჰქონდეს

უამრავი სახელი და ეს დამოკიდებულია ჩვენზე, ადამიანებზე, უფრო სწორად, იმ პირობაზე, რომელსაც ვდებთ ამ თუ იმ ბგერაში (სიტყვაში). რა სახის ბგერათკომპლექსსაც ვაღიარებთ მოცემული საგნის აღმნიშვნელად, ჩვენთვის ის იქნება ამ საგნის სახელი, ანუ სიტყვა.

ნიშნის ცნება ენათმეცნიერებაში შემოიტანა სოსიურმა (ლელ, 1998: 168). მან პირველმა დაასაბუთა, რომ სიტყვა ნიშანია, რადგან მისი ერთი მხარეა ბგერა, მეორე - ამ ბგერით გამოხატული მნიშვნელობა (ცნება, საზრისი). სიტყვა *აღსანიშნისა (signifier) და აღმნიშვნელის (signified) ერთიანობაა*, ოღონდ სოსიურთან *ერთიც და მეორეც ფსიქიკური მოვლენებია*. ამიტომ მას შემოაქვს „*ბგერის აკუსტიკური ხატის*“ ცნება, რომელშიც ბგერითი სიტყვის გონისმიერ ანაბეჭდს გულისხმობს. მარტივად და უფრო გასაგებად მას შეიძლება ეწოდოს *დამახსოვრებელი სიტყვა*. მაშასადამე, ჩვენ აღმნიშვნელში ვგულისხმობთ სიტყვას, მეტყველების ერთეულს, რომელსაც *ეწერთ ან წარმოეთქვამთ*, აღქმად მატერიალურ ობიექტს, რომელიც გვესმის ან ვხედავთ. სოსიურისათვის კი აღმნიშვნელი არის გაგონილი სიტყვის მენტალური ანაბეჭდი ანუ აკუსტიკური ხატი. *სოსიურის განხილვის ობიექტი სწორედ ენა და არა მეტყველება*. ის თავიდანვე გვეუბნება, რომ გვაქვს ორი ლინგვისტიკა: *ენის ლინგვისტიკა და მეტყველების ლინგვისტიკა*. თანაც აღნიშნავს იმასაც, რომ მეტყველების ლინგვისტიკას მერე განვიხილავთო. სწორედ ამიტომაც საუბრობს ის სიტყვის ბგერით (აკუსტიკურ) ხატზე (ჩვენი ტერმინოლოგიით დამახსოვრებულ სიტყვაზე) და არა წარმოთქმულ ან დაწერილ კონკრეტულ სიტყვაზე, რომელიც მატერიალური ობიექტია, მეტყველების ერთეულია და არა ენისა. აქედან გამომდინარე, სოსიურთან აღსანიშნიც მხოლოდ ცნება/აზრია და არა კონკრეტული მატერიალური საგანი, მაშინ


როცა აღსანიშნი შეიძლება იყოს მატერიალური საგანიც (კონკრეტული ხე, ქვა, წიგნი, მანქანა და ა.შ.).

აღნიშნულიდან გამომდინარე, აღსანიშნი და აღმნიშვნელი არის არა ორი, არამედ ოთხი კომპონენტის ერთიანობა, თუმცა ეს ნიშნის ორმაგ ბუნებას არ ცვლის. აღსანიშნიც და აღმნიშვნელიც თავად არის ორ-ორი კომპონენტის ერთობლიობა, ანუ გვაქვს ორი წყვილი: (სიტყვა/სიტყვის აკუსტიკური ხატი + საგანი/ცნება). ერთმანეთისგან არც ერთი მათგანის გათიშვა არ შეიძლება, რაც საბოლოო ჯამში გვადლევს ოთხი კომპონენტის ერთობლიობას, ამიტომ სიტყვა სქემატურად შეიძლება გამოისახოს არა სამკუთხედის, არამედ ოთხკუთხედის სახით:



მიუხედავად ამისა, ლინგვისტიკაში საყოველთაოდ არის მიღებული სიტყვის სემანტიკური სამკუთხედები, რომლებიც შეიმუშავეს *ინგლისელმა/ამერიკელმა ლინგვისტებმა აივორ რიჩარდსმა (1893-1979) და ჩარლზ ოგდენმა (1889-1957) 1923 წელს გამოცემულ ნაშრომში „მნიშვნელობის მნიშვნელობა“:*

რიჩარდს-ოგდენის სამკუთხედი




5.3. ენა - ნიშანთა სისტემა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფერდინანდ დე სოსიურისთვის ნიშანი არის სიტყვა. *ამ ასპექტში ის სხვა ენობრივ ერთეულებს არ განიხილავს.* ენობრივი ნიშნის გაგება გაფართოვდა და დანარჩენი ენობრივი ერთეულები ნიშნებად იქნა მიჩნეული შემდგომში. სწორედ ამის საფუძველზე ეწოდა ენას ნიშანთა სისტემა და გამოიყო ენობრივ ნიშანთა ფორმირების (სემიოზის) ორ ეტაპი:


1. *პირველადი აღნიშვნა*, რომლის შედეგადაც იქმნება სიტყვა. რომელიც აღნიშნავს საგანს/ცნებას;

2. *მეორადი აღნიშვნა*, ანუ სიტყვათა ერთმანეთთან შეკავშირების გზით წინადადების (გამონათქვამის) და ტექსტის შექმნა. (ლეელ, 1998: 168):




ერთი სიტყვით, დღეს უკვე აღარავინ დაობს იმაზე, რომ ნიშანია არა მარტო სიტყვა, არამედ მორფემაც, შესიტყვებაც, წინადადებაც და ტექსტიც. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სიტყვა და შესიტყვება აღნიშნავენ საგანს (რის გამოც მათ ნომინაციურ ნიშნებს უწოდებენ), წინადადება და ტექსტი - სიტუაციას (რის გამოც მათ პრედიკაციულ-კომუნიკაციურს ნიშნებს უწოდებენ). მორფემა კი არ არის დამოუკიდებელი ენობრივი ერთეული და შესაბამისად მნიშვნელობას გამოხატავს არა დამოუკიდებლად, არამედ სიტყვის შემადგენლობაში. ამიტომ მას არასრულ ნიშანს უწოდებენ.

ამრიგად, იმის მიხედვით, თუ რა არის აღნიშვნის ობიექტი, ენობრივ ნიშანთა კლასიფიკაცია ასე შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:



ენობრივ ნიშანთა განსაზღვრისა და კლასიფიკაციის მიმართ დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ არის. მათ შორის ძირითადია ორი მიდგომა - *ფუნქციური* და *სტრუქტურული*. ფუნქციური მიდგომით განასხვავებენ ენობრივ ნიშანთა ორ ჯგუფს:

ენობრივი სისტემა ფუნქციური თვალსაზრისით




როგორც ამ სქემიდან ჩანს, ფუნქციური მიდგომის მიხედვით ენობრივ ნიშანთა ანალიზის საფუძველია მათი დანიშნულება, ფუნქცია. ამ კრიტერიუმით განასხვავებენ ნიშანთა ორ ჯგუფს: ერთ ჯგუფს ქმნიან ნიშნები, რომელთა ფუნქციაც არის შინაარსის (ინფორმაციის) გამოხატვა (ტექსტი, წინადადება, შესიტყვება, სიტყვა და მორფემა. მათ *ინფორმატორ ნიშნებს* უწოდებენ).

მეორე ჯგუფს ქმნის ფონემა/სამეტყველო ბგერა, რომელიც არაფერს არ აღნიშნავს, აზრს არ გამოხატავს, უბრალოდ ის ქმნის დანარჩენ ენობრივ ნიშანთა ბგერით გარსს, რის გამოც ის არც ერთი დანარჩენი მიდგომით სავსებით მართებულად არ ითვლება ნიშნად. ამავე დროს ის ასრულებს დანარჩენი ენობრივი

ნიშნების ერთმანეთისგან გარეგნულად *განსხვავების (დისტინქციურ) ფუნქციას*. მაგალითად, ქართული ხმოვნები *ე, ა, ო, უ, ი* არაფერს აღნიშნავენ, თუმცა ქართულ სიტყვებს: *ცელი-ცალი-ცოლი-ცული-ცილი* - გარეგნულად სწორედ ისინი განასხვავებენ ერთმანეთისგან. ამიტომაც თვლიან ფუნქციური მიდგომით ფონემას ნიშნად და მას *სასიგნალო, დამხმარე ნიშანს* (კოდუხოვი, 1982: 178). *ნიშან-დისტინქტორს* (ზენკოვი, 1998: 40), *ნიშანთა ნიშანს* (ა.პოტებნია) უწოდებენ.

სტრუქტურული მიდგომისას კი ენობრივ ნიშანთა ანალიზის და კლასიფიკაციის საფუძველია იერარქიული ანუ ვერტიკალური ურთიერთმიმართებების პრინციპი, რომლის მიხედვითაც ისინი შემდეგი სახით ლაგდებიან:



როგორც ვხედავთ, ათვლის წერტილი არის სიტყვა. ნიშნები, რომლებიც შედგება სიტყვებისგან: შესიტყვება, წინადადება, ტექსტი - *სუპერნიშნებია*. ხოლო ნიშნები, რომლებსგანაც შედგება სიტყვა *სუბნიშნებია*. ეს არის მორფემები, რომელთა *ნიშნურობის საკითხიც* ერთმნიშვნელოვნად არ არის გაგებული. მათ აქვთ ნიშანთა თვისებები, ოღონდ ამ თვისებებს ავლენენ

სიტყვის შემადგენლობაში. ისინი დამოუკიდებელ ნიშნებად არ განიხილება, რის გამოც ლინგვისტთა ერთი ნაწილი მათ *სუბნიშნებს* ანუ ქვენიშნებს უწოდებს, მეორე ნაწილი – *ნაწილობრივ (არასრულ) ნიშნებს*, ამიტომაც ლინგვისტიკის სახელმძღვანელოებში ისინი მოხსენიებულია არა ნიშნების, არამედ *სიტყვის ნიშნადი ნაწილების სახელით*.

რაც შეეხება ფონემას, ის საერთოდ არ არის ნიშანი – არც დამოუკიდებელი და არც სიტყვის შემადგენლობაში. ის არ არის ორმხრივი ბუნების, ანუ არაფერს არ აღნიშნავს. ფონემა ენობრივ ნიშანთა საშენი მასალაა.

5.4. ენობრივი სისტემის სტრუქტურა და მისი დონეები (იარუსები)

ენა იმდენადაა სისტემა, რამდენადაც მის შენადგენელ ელემენტებს ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვთ. რომ არა მათ შორის კავშირები და მიმართებები, რაც ქმნის ამ ერთობლიობის სტრუქტურას, ენობრივი სისტემა ვერ შეიქმნებოდა. ამიტომაც ვამბობთ, რომ *ენა სისტემური-სტრუქტურულ ფენომენია*, ანუ ენა იმდენადაა სისტემა, რამდენადაც მას აქვს სტრუქტურა, აღნაგობა, შედგენილობა.


ბერძნული წარმომავლობის ტერმინი „სისტემა“ განიმარტება როგორც „ნაწილებისგან შედგენილი მთელი“, ხოლო ლათინური წარმომავლობის ტერმინი „სტრუქტურა“ – ნიშნავს „აგებულებას“, „განლაგებას“. შესაბამისად, *ენობრივი სისტემა* – ეს არის მოწესრიგებული ერთობლიობა ენობრივი ერთეულებისა, *ენის სტრუქტურა* კი ამ სისტემის აგებულება.

ენის *სისტემურ-სტრუქტურულობაში* იგულისხმება ის, რომ ენობრივი ელემენტები ლაგდება ენობრივი კატეგორიებისა და იარუსების მიხედვით.

ენობრივი კატეგორია -ეს არის ჯგუფი ერთგვარი, მსგავსი, ოღონდ ოპოზიციური (**ერთმანეთთან დაპირისპირებული**) ენობრივი ელემენტებისა, როცა ერთი მათგანი გულისხმობს მასთან დაპირისპირებულ მინიმუმ ერთ ენობრივ ელემენტს მაინც, რომლებიც საერთო, ტიპიური ნიშან-თვისებების საფუძველზეა გაერთიანებული. ასეთია, მაგალითად:

- **მორფოლოგიაში** - რიცხვის კატეგორია, რომელიც აერთიანებს მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობებს; პირის კატეგორია, რომელიც აერთიანებს პირველი, მეორე და მესამე პირის მნიშვნელობებს და ა.შ.
- **ლექსიკოლოგიაში** - სინონიმის, ომონიმის, ანტონიმის, პარონიმის და სხვა კატეგორიები;
- **მორფემიკაში** - სუფიქსის, პრეფიქსის, ფუძის, ძირის და სხვა კატეგორიები;
- **სინტაქსში** - წინადადების, წინადადების წევრის კატეგორია და სხვა.

ენობრივი იარუსი კი ის სიბრტყეა (სივრცეა), სადაც ესა თუ ის ენობრივი ერთეული და კატეგორია ასრულებს თავის ფუნქციებს, მთელი თავისი სემანტიკურ-გრამატიკული ნიშან-თვისებებით. „ენის იარუსი არის ტიპიურად ერთნაირი ენობრივი ერთეულებისა და კატეგორიების ერთობლიობა“ (კოდუხოვი, 1982: 106). აღნიშნულის გათვალისწინებით, ენა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მრავალი იარუსიანი იერარქია, მრავალსართულიანი სახლი:



5.5. ენობრივი სისტემის ელემენტთა ურთიერთმიმართებანი

ენობრივი ელემენტები ერთმანეთს უკავშირდებიან როგორც ენობრივი იარუსის შიგნით, ისე იარუსებს შორის. ამ კავშირებს *ენობრივ მიმართებებს* უწოდებენ. მათ ორ ჯგუფად ყოფენ. ესაა *ვერტიკალური (იარუსთაშორისი) და ჰორიზონტალური (შიდაიარუსული) მიმართებანი*.

ვერტიკალური ანუ იერარქიული მიმართება გულისხმობს სისტემის ერთი ელემენტის მეორისადმი დაქვემდებარებას, მათ *ურთიერთმიმართებებს*, რომელთა პირობებშიც ერთი ელემენტი მეორის ნაწილია, ერთი მეორისგან შდგება: ტექსტი შედგება წინადადებებისგან, წინადადება - შესიტყვებებისაგან, შესიტყვება - სიტყვებისაგან, სიტყვა - მორფემებისგან, მორფემა - ფონემებისგან. სწორედ იერარქიული ურთიერთმიმართებების მეშვეობით ქმნიან ენობრივი სისტემის ელემენტები ენის სტრუქტურას.

გაცილებით რთული ბუნებისაა *შიდაიარუსული მიმართებები*, რომლებსაც ასევე ორ ჯგუფად ყოფენ: ესენია *პარადიგმატული და სინტაგმატური* ურთიერთმიმართებები⁵.

პარადიგმატული (პარადიგმული) მიმართებები - ეს არის ერთი იარუსის ფარგლებში ენობრივ ერთეულთა ისეთი მიმართებანი, რომელთა საფუძველზეც ისინი ერთსა და იმავე კონტექსტში ერთმანეთს ან გამორიცხავენ, ან ჩაანაცვლებენ. მაგალითად, *წაიკითხა ლექცია (და არა ლექციას) ლექტორმა (და არა ლექტორი)* და ა.შ. ფუნქციონალური დაპირისპირების ან იგივეობის პრინციპზე აგებულ ჯგუფებს ანუ *პარადიგმებს*. მათ ასოციაციურ მიმართებებსაც უწოდებენ.

რა არის პარადიგმა (ბერძნ. *paradeigma* – მაგალითი, ნიმუში)? ლინგვისტიკაში მას ასე განმარტავენ: *ერთი ენობრივი იარუსის ელემენტების ერთობლიობა, რომლებსაც ერთიანობა საერთო ნიშან-თვისება (ინვარიანტი), მაგრამ აქვთ განსხვავებული (ვარიაციული) ნიშნ - თვისებები* მაგალითად, სიტყვები: *მგელი, ტურა, ძაღლი, კატა, კამეჩი, ირემი* - ქმნიან ცხოველების (ინვარიანტი) პარადიგმას. ის იყოფა ქვეპარადიგმებად: 1) *მგელი, ტურა, ირემი* - გარეული ცხოველების (ინვარიანტი) ქვეპარადიგმა; 2) *ძაღლი, კატა, კამეჩი* - შინაური ცხოველების (ინვარიანტი) ქვეპარადიგმა; 3) *მგელი, ტურა* - მტაცებელი ცხოველების (ინვარიანტი) ქვეპარადიგმა; 4) *კამეჩი, ირემი* - მცოხნელების (ინვარიანტი) ქვეპარადიგმა.

მოცემული მაგალითი ლექსიკური პარადიგმის ნიმუშია. პარადიგმატული მიმართებები ახასიათებს ყველა იარუსის ელემენტებს. ასე მაგალითად:

⁵ ეს საკითხი სიღრმისეულად განხილულია მორფოლოგიაში

- ❖ **ფონოლოგიური პარადიგმები:** სამეტყველო ზგერები: /ზ¹/, /ზ²/, /ზ³/ /ზ^N/ - ქმნიან [ზ] ფონემის პარადიგმას;
- ❖ **მორფოლოგიური პარადიგმები.** სიტყვაფორმები **ბარ-ი**, **ბარ-მ**, **ბარ-ს**, **ბარ-ძ** და ა.შ. ქმნიან არსებითი სახელის - "ბარი" პარადიგმას. სიტყვაფორმები: **ვწერ**, **წერ**, **წერ-ს** და ზმნის **წერა** პარადიგმას და ა.შ.
- ❖ ეკვივალენტური პარადიგმის მაგალითებია:
- ❖ **სინტაქსური პარადიგმები:** *სტუდენტებმა წარმატებით ჩააბარეს გამოცდა და წავიდნენ არდადეგებზე* წარმატებით ჩააბარეს თუ არა გამოცდები, სტუდენტები წავიდნენ არდადეგებზე.

რაც შეეხება **სინტაგმატურ ურთიერთმიმართებებს** (ბერძნ. συσταγμα - „შეერთებული“), მასში იგულისხმება ენობრივ ელემენტთა განლაგება „ერთის მეორის შემდეგ“, „ერთის მეორის გვერდით“, როგორებიცაა სიტყვაფორმათა განლაგება შესიტყვებაში, შესიტყვებებისა - წინადადებაში, სამეტყველო ნაკადის სემანტიკებისა მეტყველებაში და ა.შ. მაგალითად. სიტყვას *კატა კნავის* (და არა *ყეფს*), *ძროხა ბლავის* (და არა *წკმუტუნებს*) და ა.შ.

ამრიგად, ენა სისტემაა – ნიშანთა სისტემა. როგორც ნებისმიერი სისტემის, ენის შემადგენელი ელემენტებიც ერთმანეთის მიმართ ქმნიან მრავალმხრივ მიმართებებს, რომელთა მეშვეობითაც ენა უმნიშვნელოვანესი სისტემურ-სტრუქტურული წარმონაქმნია, სისტემათა სისტემაა.

განმარტეთ ტექსტში გამოყენებული ლინგვისტური ტერმინები

ენის სისტემურობა, სემიოტიკა, ნიშანი, ნიშანთა სისტემა, ლინგვოსემიოტიკა, სიტყვის ნიშნურობა, ნიშანი (იკონური, ინდექსალური, სიმბოლო, პირობითი) აღსანიშნი, აღმნიშვნელი,

ბგერის აკუსტიკური ხატი, ნიშანი-ინფორმატორი, ნიშანი-დისტინქტორი, სუპერნიშანი, სუბნიშანი, სემიოზისი, ენობრივი კატეგორია, ენობრივი იარუსი/დონე, სისტემათა სისტემა, სისტემა და სტრუქტურა, პარადიგმატული მიმართებანი, სინტაგმატური მიმართებანი,

კითხვები და დავალებები

1. ახსენით, რატომ უწოდებენ ენას ნიშანთა სისტემას;
2. ახსენით, რატომ უწოდებენ სიტყვას ნიშანს;
3. დაასაბუთეთ, რომ ენა სისტემათა სისტემაა;
4. მოკლედ დაახასიათეთ ნიშანთა კლასიფიკაცია;
5. როგორ გესმით თეზისი: „სიტყვა წარმოადგენს საგანს“?
6. როგორი ნიშანია სიტყვა? პასუხი დაასაბუთეთ;
7. ახსენით ნიშნის კანონი;
8. როგორ გესმით თეზისი: „ენობრივი ნიშნები დალაგებულია ენობრივი კატეგორიებისა და დონეების მიხედვით“?
9. ახსენით მსგავსება-განსხვავებანი პირველად და მეორედ აღნიშვნას შორის;
10. გააკეთეთ ენობრივ ნიშანთა სისტემისადმი ფუნქციური და სტრუქტურული მიდგომების შედარებითი ანალიზი.

II. ენობრივი სისტემის ელემენტები და მათი შემსწავლელი დისციპლინები

6. ფონეტიკა. სამეტყველო ნაკადის ფონეტიკური სემანტიკა

6.1. ფონეტიკის რაობა

ენის სისტემურობისა და მისი სტრუქტურის შესახებ საუბრისას არაერთგზის ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ამ სისტემის საშენი მასალა არის ფონემა (მეტყველებაში - სამეტყველო ბგერა), რომელიც თვითონ არაა ნიშანი, თუმცა ქმნის ყველა დანარჩენი ენობრივი ნიშნის გარეგან, ბგერით მხარეს.

რა არის ენის ბგერითი მხარე და რომელი ლინგვისტური დარგები შეისწავლის მას?

ა) ფონემას, როგორც ენობრივი სისტემის შემადგენელი ელემენტების ბგერით საშენ მასალას, უმცირეს, დაუშლელ ენობრივ ელემენტს, მის რაობას, ფუნქციებს, ფონემათა სისტემებს და ა.შ. შეისწავლის *ფონოლოგია* (ლათ. phone – „ბგერა“ და logos – „მოდღვრება“);

ბ) მეტყველებაში ფონემათა რეალიზაციის შედეგად მიღებულ ვარიანტებს, ანუ სამეტყველო ბგერებს, სამეტყველო ნაკადს, მის სემანტიკას, მასში მოქმედ ფონეტიკურ პროცესებს და ა.შ. იკვლევს *ფონეტიკა* (ბერძ. phonetikos – ბგერისა) (რეფორმაცი, 1996: 84; ფელ., 1984: 320).

როგორც ვხედავთ, ორივე ტერმინი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან Phone – „ბგერა“, ორივეს პირდაპირი მნიშვნელობაა „მოდღვრება ბგერის შესახებ“, თუმცა ისინი სინონიმები არ არის. ფონეტიკა სწავლობს მეტყველების პროცესში წარ-

მოთქმულ ბგერებს, მათ ფიზიკურ მახასიათებლებს, ხოლო ფონოლოგია - ბგერის ენობრივ ღირებულებას, ფუნქციას ენაში, ანუ ბგერას, როგორც ენის (და არა მეტყველების) ელემენტს (ტრუბეცკოი, 2000: 11). განვიხილოთ თითოეული მათგანი.

6.2. სამეტყველო ნაკადის სეგმენტაცია

ცოცხალი მეტყველება მატერიალური თვალსაზრისით ბგერათკომპლექსების გაბმული, უწყვეტი ნაკადია, თუმცა არა ისეთი, როგორც არის, მაგალითად, გემის სირენა, მანქანის სიგნალი და ა.შ. მათგან განსხვავებით მეტყველება *ერთმანეთისგან პაუზებით გამოყოფილ მონაკვეთებად დანაწილებული, მრვალფეროვანი ტონის შემცველი* ნაკადია. ამ თვალსაზრისით ის შეიძლება შევადაროთ ჩიტის ჭიკჭიკს, თუმცა მისგან განსხვავებით, ის ინფორმაციულია, შინაარსის შემცველია, აზრობრივად გასაგებია მოქმელისთვისაც და მსმენელისთვისაც. ამიტომაც უწოდებს მას ფონეტიკა დანაწევრებულ, სეგმენტებად დანაწილებულ ბგერათა ნაკადს. ეს სეგმენტებია: *ფრაზა, სინტაგმა, ფონეტიკური სიტყვა, მარცვალი და სამეტყველო ბგერა*. მათ ფორმირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს *მახვილი და ინტონაცია*.

მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

6.2.1. ფრაზა

სამეტყველო ნაკადის ყველაზე მსხვილი ფონეტიკური ერთეულია (სეგმენტია) *ფრაზა* (ბერძნ. phrasis - „გამოთქმა“, „გამოთქმის ხერხი“). ეს არის *სამეტყველო ნაკადის ძირითადი ინტონაციურად გაფორმებული ნაწილი, რომელიც გამოყოფილია სხვა ანალოგიური ერთეულებისგან პაუზებით და ერთ მთლიან*

ნობად შეკრულია სერთო ინტონაციით (ჩიქობავა, 1952: 164). ამავე დროს, რამდენადაც ყველა დანარჩენი სამეტყველო ერთეულიც პაუზებს შორის მოქცეული მონაკვეთებია, მათგან ფრაზის გამიჯვნისთვის ეს კრიტერიუმი არ კმარა. ის აუცილებლად უნდა იყოს როგორც აზრობრივად, ისე ინტონაციურად დასრულებული მონაკვეთი, ამიტომ ფრაზის განმარტებისას აღნიშნავენ აგრეთვე იმასაც, რომ ფრაზა არის:

- „მეტყველების ძირითადი ერთეული, რომელიც გამოხატავს დასრულებულ (დამთავრებულ) აზრს“ (ქეე, 2008: 486). ის შეიძლება დაემთხვეს წინადადებას, შეიძლება არ დაემთხვეს. „იყო ცდები, ფრაზა გაეიგივებინათ გამონათქვამთან, მაგრამ არის საპირისპირო მიდგომაც – ფრაზა დაუპირისპირონ გამონათქვამს... ეს არის ნებისმიერი მელოდიურ-შინაარსობრივი მთლიანობა ორ პაუზას შორის (ამ შემთხვევაში ფრაზის ცნება ემთხვევა სინტაგმის ცნებას)“ „ფრაზას“ ხმარობენ „წინადადების“ მნიშვნელობითაც“ (ქეე, 2008: 486);
- „დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა (მჭედლიშვილი, 2008). (ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=42973>)
- ინტონაციური კონტურით გაერთიანებული წინადადებები (ნებიერიძე 1991: 106) და სხვა.

როგორც ვხედავთ, ლინგვისტურ ლიტერატურაში ფრაზის ცნების ერთიანი გაგება არ არის. მას ხან წინადადებასთან აიგივებენ, ხან გამონათქვამთან, ხან სინტაგმასთან. მართლაც „ქართული ენა. ენციკლოპედია“ ფრაზის ხუთ სხვადასხვა განმარტებას იძლევა (ქეე, 2008: 486). ჩვენ ვეყრდნობით მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, *მეტყველებაში ფრაზა დაახლოებით იგი-*

ვეს, რაც ენაში წინადადება, უფრო სწორად, ეს არის მეტყველებაში აქტუალიზებული წინადადება. ამავე დროს, ხაზგასასმელია ისიც, რომ წინადადებასთან ფრაზის მთლიანად გაიგივება არ შეიძლება, რადგან ფრაზა ფონეტიკური ერთეულია და მის გაფორმებაში მონაწილეობს ფონეტიკური საშუალებები - მახვილი და ინტონაცია. წინადადება კი ენობრივი (გრამატიკულ-სემანტიკური) ერთეულია და არა მეტყველებისა.

6.2.2. სინტაგმა (სამეტყველო ტაქტი)

რაც შეეხება *სინტაგმას* (ბერძ. *σύνταγμα* – შესიტყვება, ორი ან მეტი ენობრივი ერთეულის შეხამება სამეტყველო ნაკადში), *ანუ სამეტყველო ტაქტს*, მის მიმართ დამოკიდებულება იმდენად არაერთგვაროვანია, რომ ფაქტობრივად ნორმალურად მისი განმარტებაც კი ვერ ხერხდება. ჩვენ ვეყრდნობით შემდეგ განმარტებას: „სინტაგმა არის ფრაზის ფონეტიკური ნაწილი, რომელიც მეტყველების/აზროვნების პროცესში გამოხატავს ერთიან აზრობრივ მთლიანობას“ *ეს არის ფრაზის ნაწილი, მოკლე პაუზებით შემოფარგლული მონაკვეთი, ინტონაციურ-აზრობრივი ერთიანობა, რომელსაც აერთიანებს ერთი მახვილი და საერთო ინტონაცია, ოღონდ არა დასრულებული. ლინგვისტთა ერთი ნაწილი პარალელს ავლებს უმთავრესად შესიტყვებასთან და მას უწოდებს ორწევრიან, მსაზღვრელ-საზღვრულიან სტრუქტურას* (ფ. დე სოსიური), მეორენი მას უწოდებენ *ფრაზის ინტონაციურ-აზრობრივად გაერთიანებულ ნაწილს* (ლ. შჩერბა), მესამენი - *ფრაზის ნაწილს, გაერთიანებულს ერთი მახვილით* (გ. ნებიერიძე) და ა. შ. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ *ფრაზაში სამეტყველო ტაქტი (სინტაგმა) დაახლოებით იგივეა, რაც წინადადებაში შესიტყვება*. ამავე დროს, ისინი ძალიან ხშირად არ ემთხვევიან ერთმანეთს. ამის დასტუ-

რია ქვემოთ მოყვანილი მაგალითები, რომლებიც ნათლად გვიჩვენებს, რომ პაუზის სხვადასხვა ადგილას დასმით ფრაზა სხვადასხვა ტაქტებად შეიძლება დაიყოს, მაშინ როცა შესიტყვებების რაოდენობა არ იცვლება:

1. „ისწავლე, შვილო/, /**ისწავლე მამაშენივით!** /უწიგნური არ გამოხვიდე!“ - „ისწავლე, შვილო, ისწავლე, /**მამაშენივით უწიგნური!** არ გამოხვიდე!“ - (ლინგვისტური ხუმრობა);

/Казнить! /Нельзя помиловать! – /Казнить нельзя! /Помиловать! - ისტორიული ფაქტი, რომლის მიხედვითაც სინტაგმის შეცვლით ადამიანი სიკვდილით დასჯას გადაურჩა.

2. /Илико/, /Где будем отдыхать в этом году,/ в Боржоми/ **/или Коджори?!** (ე.ი. ილიკო ჯორი)- Ни в Борджоми, **/ни Коджори!** (ე.ი. ნიკო ჯორი) ... (ლინგვისტური ხუმრობა).

3. Let's eat Grandma! – Let's eat, Grandma! (ხუმრობა)

ამრიგად, ფრაზის ტაქტებად დაყოფა უფრო მეტად სუბიექტური ხასიათისაა და ცალკეულ ინდივიდზე, მისი მეტყველების ტემპზე, ინტონაციის თავისებურებებსა და სამეტყველო მიზანდასახულობაზეა დამოკიდებული. სწორედ ტაქტებად დაყოფის მრავალფეროვნება ქმნის გამომეტყველებითი კითხვისა და ორატორული ხელოვნების უსაზღვრო შესაძლებლობებს. შესიტყვება კი უფრო მეტად ობიექტურის ხასიათისაა.

6.2.3. ფონეტიკური სიტყვა

როგორც ენის, ისე მეტყველების ცენტრალური ერთეულია სიტყვა. ტრადიციულად, მას მეტყველების ნაწილს ვუწოდებთ. რომ არა სიტყვა, მეტყველება ვერ იქნებოდა დანაწევრებული, გააზრებული და გასაგები. სიტყვების გარეშე ვერც ფრაზა იარსებებდა, ვერც ტაქტი, ვერც მარცვალი და ვერც სამეტყველო ბგერა. ამავე დროს, სიტყვის ფონეტიკური და ლექსიკური გა-

გება ყოველთვის ერთგვარი არ არის. ლექსიკაში საუბარია *ლექსიკურ სიტყვაზე (ლექსემაზე)*, ფონეტიკაში – *ფონეტიკურ სიტყვაზე*. ტაქტი (ან ფრაზა, რომელიც ტაქტს ემთხვევა) იყოფა არა ლექსიკურ, არამედ ფონეტიკურ სიტყვებად, თუმცა შინაარსობლივად ერთიც და მეორეც ცნების გამომხატველი ერთეულებია. სხვა შემთხვევაში ვერც ერთი და ვერ ჩაითვლება სიტყვად.

*ფონეტიკური სიტყვა (ანუ სიტყვა ფონეტიკური გაგებით) – ეს არის ტაქტის ერთმახვილიანი ნაწილი, მცირე პაუზებს შორის მოქცეული ქლერადობა, რომელიც გამოხატავს საგნის ცნებას (<http://morfema.ru/publ/15-1-0-10>). უმეტეს შემთხვევაში იგი ემთხვევა ლექსიკურ სიტყვას, მაგრამ ყოველთვის შეიძლება არ დაემთხვას მას, მიიზიდოს, მიიკედლოს უმახვილო სიტყვაც და მასთან ერთად შექმნას ერთი ფონეტიკური სიტყვა. მაშასადამე, ტაქტის მსგავსად, ფონეტიკურ სიტყვასაც შეუძლია ერთი მახვილის ქვეშ გააერთიანოს ორი სიტყვა, თუმცა შინაარსობრივად ის ვერ ჩაითვლება ტაქტად, რადგან ის ინტონაციურად არ არის გამოკვეთილი. მაგალითად, რუსულ ფრაზაში: *В ту же ночь// широкая лодка// отчалила от гостиницы//* - გვაქვს სამი ტაქტი და ორი ფონეტიკური სიტყვა: *[В ту же]* და *[от гостиницы]*. უმახვილო სიტყვას, მიკედლებულს მახვილიანთან, კლიტიკას (მიკედლებას, გადახრას) უწოდებენ. კლიტიკა შეიძლება იდგეს მახვილიანი სიტყვის წინ ან უკან. შესაბამისად, ის ორი სახისაა:*

ენკლიტიკა (ბერძნ *enklino* – „უკან გადახრილი“) - ეს არის უმახვილო სიტყვის მიკედლება უკან მდგომ მახვილიან სიტყვაზე: *зёл ны; чутала ли; на зод; წადი'-თქო, მო'ვალ-მეთქი*, და ა.შ.

პროკლიტიკა (ბერძნ *proklino* – წინ გადახრილი) - ანუ უმახვილო სიტყვის მიკედლება წინ მდგომ მახვილიან სიტყვაზე: *при зóда; не знáл; мой дьáдя; სახლის წინ;* და ა.შ.

არის შემთხვევები, როცა ფონეტიკური სიტყვა აერთიანებს სამ სიტყვას: მახვილიანს, ენკლიტიკას და პროკლიტიკას - */a pridët li/, /da sezódnjá že/, /na dáчу ны/*.

ფონეტიკური სიტყვა იმ ენებშია განსაკუთრებით გამოკვეთილი, რომლებსაც კარგად გამოხატული სიტყვის მახვილი აქვთ, მაგალითად, რუსულში. ამიტომაც რუსულ ენათმეცნიერებას ფონეტიკური სიტყვის თეორია მაღალ დონეზე აქვს დამუშავებული, მაშინ, როცა ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში ფონეტიკურ სიტყვას ფაქტობრივად არ გამოყოფენ (ახვლედიანი, 1972: ჩიქობავა, 19: გამყრელიძე და სხვ., 2003 და სხვ.), ან აიგივებენ სამეტყველო ნაკადის სხვა სეგმენტთან (ნე-ბიერიძე, 1991: 108). სამიეზო ინტერნეტსივრცეებში ქართული ტერმინი „ფონეტიკურ სიტყვა“ საერთოდ არც კი ფიქსირდება.

6.2.4. მარცვალი

მეტყველებაში სიტყვას წარმოვთქვამთ არა ცალ-ცალკე ბგერებად, არამედ **მარცვლებად**, ამიტომაც პირველსავე კლასიდან წერა-კითხვის სწავლისას ბავშვი ეცნობა ჯერ მთლიან სიტყვას, შემდეგ მარცვალავს მას, ბოლოს კი ასო-ბგერებად შლის. მაგალითად: *საათი; სა-ა-თი; ს-ა-ა-თ-ი; mis-use-d, m-i-s-u-s-e-d*. ამავე დროს, ჩვენ სიტყვის სხვაგვარად დაშლასაც ვიცნობთ: ეს არის მისი დაშლა მორფემებად, რომლის მიხედვითაც აღნიშნული სიტყვა ჩვენ სხვაგვარადაც შეგვიძლია დავშალოთ: *საათ-ი, mis-use-d*. რა განსხვავებაა ამ ორ დაშლას შორის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ვერ შევძლებთ, თუ არ გვეცოდინება, **რა არის მარცვალი**.


სიტყვის დამარცვლას ენის მეცნიერული ცოდნა არ სჭირდება, როგორც უკვე ვთქვით, ამას ბავშვიც აკეთებს. ეს კარგად ჩანს პოეზიაშიც, სადაც ლექსის რიტმს განსაზღვრავს სწორედ მარცვალთა რაოდენობა. ასე განიხილავს მარცვალს სასკოლო გრამატიკაც, საიდანაც ვიცით, რომ **სიტყვაში რამდენი ხმოვანიაა, იმდენი მარცვალია**. ასე მოიაზრებდნენ მარცვალს ძველი საბერძნეთშიც. ანბანური ენების აბსოლუტური უმრავლესობის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ამ ფორმულას ვერ არღვევს ზოგიერთ ენაში **დიფთონგების** (ბერძნ. di-ორმაგი, phthongos-ბგერა) არსებობაც (მათ შესახებ ხმოვანთა არტიკულაციური დახასიათებისას ვისაუბრებთ), რადგან დიფთონგი არ არის ორი სრული ხმოვნის შეერთება. ეს არის ხმოვნისა და მოკლე, ფაქტობრივად ნახევარხმოვნის შეერთება, ამიტომაც ისინი ქმნიან ერთ მარცვალს: чай, край, ге-пой, во-по-ней (რუს.); schrai-ben, Jun-ge (გერმ.);re-main (ინგ).

ამავე დროს, მარცვალი მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე რთულ ფონეტიკურ ერთეულად. ჯერ ერთი, იმიტომ რომ არის შემთხვევები, როცა მარცვლის წარმოქმნაში ხმოვანი ან საერთოდ არ მონაწილეობს, ან ის შეიძლება სონორულმა თანხმოვნებმაც (**ლ, მ, ნ, რ**) შექმნას. ასეთია ჩეხური - *vlk* (რუს. волк), *prst* (რუს. перст), სლოვაკური - *sl-za* (რუს. слеза), *zr-no* (რუს. зерно), სერბული *špз* (რუს. 'шпстрый'), *ep-ue* (რუს. сердце), *mpz* (რუს. торги და სხვ. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა რამდენიმე ხმოვანი ერთ მარცვალს ქმნის: *maus* (გერმ.), *clause* (ინგ) და ა.შ.

მარცვალთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფაქტორი ქმნის მარცვალს, როგორია მისი ფონეტიკური შედგენილობა და როგორ უნდა დავადგინოთ საზღვრები მარცვლებს შორის. დამარცვლის პრობლემა იმდენად რთულია, რომ დამარცვლის წესები სხვა-

დასხვა ენას სხვადასხვა აქვს. როგორც ლინგვისტები წერენ, მარცვლებს შორის საზღვრების დადგენა იმდენად რთულია, როგორც, მაგალითად, იმის დადგენა, თუ სად იწყება მთა და სად იწყება ვაკე (ახვლედიანი, 1977: 105). ამ პრობლემას უკავშირდება მარცვლის რამდენიმე თეორია. ისინი „ზოგადი ენათმეცნიერების“ კურსის განხილვის სფეროა, თუმცა აქ აუცილებელია შევეხოთ ერთ-ერთს - *მარცვლის სონორობის თეორიას*, რომლის მიხედვითაც მარცვალს ქმნის არა მხოლოდ ხმოვანი ბგერა, არამედ აღმავალი ჟღერადობა ანუ *სონორობა* (სონორობა-ლათ. SONORIS „მჟღერი“, „ხმიერი“), *ანუ მარცვლის მწვერვალია მაქსიმალური ჟღერადობის ბგერა*. რა არის ჟღერადობა? ამ საკითხს ჩვენ მომდევნო თემაში განვიხილავთ, როცა საუბარი გვექნება სამეტყველო ბგერებსა და ფონემებზე, მაგრამ აქ საჭიროა ვიცოდეთ, რომ ყველაზე მჟღერი ბგერებია *ხმოვნები*. მათ შემდეგ მოდის თანხმოვნები, რომელთა შორის ჟღერადობის ხარისხი ყველაზე მაღალი აქვთ ე.წ. *მალიან მჟღერ ანუ სონორულ* თანხმოვნებს (ლ, მ, ნ, რ, L, M, N, R), მათ მოჰყვება *დანარჩენი მჟღერები* (გ, ბ, დ...და ა.შ). ბოლო ადგილზეა *ყრუ* თანხმოვნები. შესაბამისად, შემუშავებულია ჟღერადობის ინდექსებიც: ხმოვნები-4, სონორული თანხმოვნები-3, ჩვეულებრივი მჟღერები-2 და ყრუ თანხმოვნები-1, შესაბამისად, ამ თეორიის მიხედვით, მარცვალში ბგერები აღმავალი ჟღერადობის პრინციპით უნდა იყოს დალაგებული, რის გამოც მარცვლის მწვერვალი იქნება მაქსიმალური ჟღერადობის ბგერა. მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვით, *სიტყვაში იმდენი მარცვალაა, რამდენიც ჟღერადობის მწვერვალი*. შესაბამისად, დამარცვლა ასეთ სახეს მიიღებს:

მარცვლის სონორობის თეორია
 მარცვალს ქმნის აღმავალი ჟღერადობა, ანუ მარცვლის
 მწვერვალია მაქსიმალური ჟღერადობის ბგერა.



სირთულეს ქმნის ის გარემოებაც, რომ მარცვალს ყველა ენაში ერთნაირი დატვირთვა და ფუნქცია არ აქვს. ასე მაგალითად, ფონემური სტრუქტურის (ანუ ფონემოგრაფიული ანბანის მქონე ენებში, როგორებიცაა ქართული, რუსული, ინგლისური, ფრანგული, თურქული და ა.შ.) **მარცვალს აზრთან არანაირი კავშირი არ აქვს**. ამ ენებში მარცვლის შესაბამისი ენობრივი ერთეული არ არსებობს. ის მხოლოდ და მხოლოდ წარმოთქმითი ფონეტიკური ერთეულია, სამეტყველო ნაკადის სავსებით რეალური სემანტია, მაგრამ იგი არსებობს არა დამოუკიდებელად, არამედ სიტყვის შემადგენლობაში.

სულ სხვა სურათია ე. წ. **მარცვლოვანი სტრუქტურის ენებში**, როგორებიცაა ბირმული, ვიეტნამური, იაპონური, ჰუტუნხუა (ერთ-ერთი ჩინური) და სხვა ენები. ენობრივი ერთეულების საშენი მასალა აქაც ბგერაა, მაგრამ არა ცალკე აღებული, არამედ მარცვლის შემადგენლობაში. მარცვალი შედგება ბგერებისგან, მაგრამ ბგერებად აღარ იშლება. ეს ფორმულირება შეიძლება უცნაურადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ აქ მთავარია ის, რომ **ასეთი**

მარცვლი ფონემის ფუნქციას ასრულებს, მაშასადამე, თუ მას დავშლით ბგერებად, ასეთი ბგერები ფონემებად აღარ გამოდგება. ამის გამო მას *სილაბოფონემას*, *მარცვალფონემას* უწოდებენ. ამიტომაცაა, რომ ამ ენებში, რომლებსაც *მარცვლოვან ანუ სილაბურ ენებს* უწოდებენ, მკაცრად არის განსაზღვრული როგორც მარცვლის დასაშვები მოდელების რაოდენობა, ისე საერთოდ მარცვალთა რაოდენობა. ასე მაგალითად, *პუტუნხუაში* ყველა მარცვალი აგებულია მოდელით: *თანხმოვანი + ხმოვანი*. თანხმოვანთა შეხამება აქ დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, მარცვლის საწყისი თამხმოვნის ბოლოკიდურ ხმოვანთან შეხამების კომბინაციათა საერთო რაოდენობა *განსაზღვრულია და ის 400 ერთეულს შეადგენს*. ვინაიდან ეს რაოდენობაც არ აღმოჩნდა საკმარისი ამ ენის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, სილაბოფონემასთან ერთად აზრის განსხვავების ფუნქცია დაეკისრა მარცვლის *ინტონაციასაც*. პუტუნხუა ენის მეტყველებაში მოქმედ ოთხი სახის ინტონაციასთან ამ *400-მდე მარცვლის კომბინაცია იძლევა 1600-მდე მარცვალს*, რომელთაგანაც ხდება სიტყვებისა და წინადადებების აგება (მეჩკოვსკაია, 2011: 57). ერთი სიტყვით, ამ ენებში მარცვალი არა მხოლოდ შეესაბამება ენობრივ ელემენტს - მორფემას, ემთხვევა კიდევ მას, ამიტომ მას *მარცვალმორფემას ანუ სილაბომორფემასაც* უწოდებენ.

მარცვლის ანალიზისას განიხილება *მისი ღიაობა-დახურულობის* საკითხიც. ღიაა მარცვალი, რომელიც ხმოვანზე მთავრდება, ხოლო დახურული - თანხმოვანზე. იმის გათვალისწინებით, ხმოვნით იწყება მარცვალი თუ თანხმოვნით, გვაქვს ღიაობა-დახურულობის სხვადასხვა ვარიანტები, რაზეც დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. აქ მთავარია ის, რა სახის მარცვალს უშვებს ესა თუ ის ენა: *მარტო ღიას, მარტო დახურულს თუ*

ორივეს ერთად. ქართული და რუსული ენებისთვის დამახასიათებელია მარცვლის ყველა ტიპი, მარცვლოვან ენებს მხოლოდ ღია მარცვლები აქვთ. მაგალითად, პოლინეზიურ და ესპანურ ენებს, ოღონდ ესპანურში - წარმოშობით ესპანურენოვან სიტყვებს. ღია იყო მარცვალი წინარე სლავურ ენაშიც. მასში მოქმედებდა ღია მარცვლის კანონი, რომელმაც მოგვიანებით შეწყვიტა მოქმედება, ამან კი ძველ რუსულ ენაში უამრავი ფონეტიკური ცვლილება გამოიწვია.

ამრიგად, საბოლოო ჯამში ჩვენ შეგვიძლია შევჩერდეთ მარცვლის ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ განმარტებაზე:

- პირველში მარცვლის წარმოქმნის ფუნქცია აკისრია მხოლოდ ხმოვანს - „მარცვალი არის მეტყველების მინიმალური წარმოთქმითი ერთეული, რომელსაც ქმნის ფონეტიკურ მთლიანობად გაერთიანებული ერთი ან რამდენიმე ბგერა, რომელთა შორისაც *აუცილებლად არის ხმოვანიც*“ (გირუცკი, 2003: 66);
- მეორე ჯგუფის განმარტებებში მარცვლის წარმოქმნის ფუნქციის მატარებელია არა მხოლოდ ხმოვანი, არამედ ნებისმიერი ბგერა, რომელიც აღმავალი სონორობის პრინციპის შესაბამისად მოცემულ ბგერათშეერთებაში წარმოადგენს სონორობის მწვერვალს: „მარცვალი არის ერთი ან რამდენიმე ბგერისგან შედგენილი მინიმალური სამეტყველო საწარმოთქმო ერთეული, რომელთა შორისაც *ერთ-ერთი ბგერა არის მარცვლის წარმომქნელი*“ (ჟერბილო, 2005: 255; ახვლედიანი, 2010)

6.3. სამეტყველო ნაკადის ზესეგმენტური ელემენტები

6.3.1. მახვილი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფრაზა, ტაქტი, ფონეტიკური სიტყვა, მარცვალი და სამეტყველო ბგერა სამეტყველო ნაკადის სეგმენტებია, ისინი განლაგებულია ერთი მეორის მიყოლებით, სწორხაზობრივად, ამიტომაც მათ *სამეტყველო ნაკადის სეგმენტურ*, *სწორხაზობრივ ერთეულებსაც* უწოდებენ. მეტყველებაში მათი სწორად ამოცნობა ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ხმის აწევ-დაწევა, გაგრძელება, სათანადო ადგილას პაუზის დასმა და ა.შ. ამგვარ ფონეტიკურ საშუალებებს *პროსოდიული* (ბერძნ. prosōdia - „მახვილი“, „მისამღერი“) ეწოდება და მათში იგულისხმება *მახვილი და ინტონაცია*, რომლებსაც *ზესეგმენტურ*, *სუპერსეგმენტურ*, *სუპრასეგმენტურ ფონეტიკურ საშუალებებსაც* უწოდებენ.


რა არის მახვილი?

მახვილის ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. მას შემდეგი სახით განმარტავენ:

- „მახვილი არის მეტყველების პროცესში უფრო მეტი გამოჩინების მიზნით ზოგიერთი ბგერითი სეგმენტის გამოყოფა, რაც გამოიხატება ამ ელემენტის გაძლიერებულ ან უფრო ხმამაღლა წარმოთქმაში“ (გამყრელიძე, 2008: 89);
- „მეტყველების პროცესში სხვადასხვა აკუსტიკური ნიშნით ბგერის, მარცვლის, სიტყვის, ფრაზის ანუ გამონათქვამის გამოყოფა-გამოჩინებას მახვილი ეწოდება“ (ახვლედიანი, 1972: 94);

- „მახვილი (აქცენტი) - მეტყველებაში ფონეტიკური ხერხების მეშვეობით ამა თუ იმ ერთეულის გამოყოფა (ლელ, 1998: 530);
- „საერთაშორისო ტერმინოლოგიით მახვილი იგივეა, რაც აქცენტი, შესაბამისად, მახვილის შემსწავლელ ლინგვისტურ დარგს აქცენტოლოგიას უწოდებენ“ (ნემჩენკო, 2008: 153).

არ არსებობს მახვილთა საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაცია. ამ თვალსაზრისით, ჩვენ დავეყრდნობით ლინგვისტთა იმ ნაწილის აზრს (მაგ. გ. ნებიერიძე), რომლებიც განასხვავებენ მახვილის შემდეგ ნაირსახეობებს:




ლოგიკური მახვილი - ნიშნავს წინადადებაში რომელიმე სიტყვის (სიტყვათა ჯგუფის) გამოყოფა-გამოჩინებას მისი აზრობრივი დატვირთვის გაძლიერების მიზნით, მაგალითად:

- ***ბათუმის** უნივერსიტეტმა დანერგა დისტანციური სწავლების მეთოდები - (ე.ი. ბათუმის და არა სხვა რომელიმე უნივერსიტეტმა);*
- ***Batumi University has introduced distant teaching methods;***
- *ბათუმის უნივერსიტეტმა **დისტანციური** სწავლების მეთოდები დანერგა - (ე, ი, დისტანციური და არა სხვა რომელიმე სახის სწავლების);*
- ***Batumi University has introduced **distant** teaching methods;***
- *ბათუმის უნივერსიტეტმა **დანერგა** დისტანციური სწავლების მეთოდები - (ე.ი. უკვე დანერგა) და ა.შ.*
- ***Batumi University **has introduced** distant teaching methods;***

სიტყვათა ამგვარი აზრობრივი გამორჩევა უნივერსალურია, ნებისმიერი ენისთვისაა დამახასიათებელი, ამიტომაც უწოდებენ ამგვარ მახვილს ლოგიკურს (ნებიერიძე, 1991: 104).

ლინგვისტური ანუ ენობრივი მახვილი კი უნივერსალური არ არის. ის შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა ენაში. ქართული, ინგლისური, ფრანგული და რუსული ენების მახვილის წესები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. ეს განსაკუთრებით ეხება სიტყვის მახვილს, რომელიც რუსულში მოძრაობს, დანარჩენებში - არა და ა.შ.

სიტყვის მახვილი - ეს არის სიტყვაში ერთ-ერთი მარცვლის წარმოთქმის გამოყოფა სხვადასხვა ფონეტიკური საშუალებებით, კერძოდ, ხმის უფრო მეტი სიმძლავრით, ტონის ამაღლებით და ა.შ. სიტყვის მახვილთა კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. ერთ-ერთი მათგანია კლასიფიკაცია იმის მიხედვით, თუ რა სახის ფონეტიკური საშუალებები ქმნის მას. განასხვავებენ სიტყვის მახვილის სამ სახეს:




დინამიკურია სიტყვის მახვილი, რომელიც სიტყვის ერთ-ერთ მარცვალს სხვებისაგან გამოარჩევს *წარმოთქმის უფრო მეტი სიძლიერით, ანუ ინტენსივობით*; ამიტომ მას *ძალისმიერ მახვილსაც* უწოდებენ. ხოლო *რაოდენობრივი ანუ კვანტიტატიური* (ლათ. *quantita - s* - „რაოდენობა“) მახვილი გამოირჩევა წარმოთქმის უფრო მეტი ხანგრძლივობით დროში. მას აფიქსირებენ, მაგალითად, ინდონეზიურ ენაში. სხვა შემთხვევებში, როგორც წესი, ის სხვა მახვილთან, უპირატესად დინამიკურ მახვილთანაა შერწყმული, ამიტომ ხშირად მათ ერთმანეთთან აიგივებენ კიდევ. როგორც ლინგვისტები წერენ, არა მარტო კვანტიტატიური, არამედ საერთოდ სიტყვის მახვილის ერთი რომელიმე ნაირსახეობა წმინდა სახით ძალიან იშვიათად გვხვდება. ასე მაგალითად, სიტყვის მახვილი განსაკუთრებით გამორჩეული ნიშანია რუსული ენისთვის, სადაც ის *დინამიკურ-კვანტიტატიურია*, ანუ გამოირჩევა როგორც წარმოთქმის ინტენსივობით, ისე დროში ხანგრძლივობით. შვედურ და ნორვეგიულ ენებში კი მახვილი *მუსიკალურ-დინამიკურია*, ლიტვურში - *მუსიკალურ-დინამიკურ-კვანტიტატიურია* და ა.შ (ნემჩენკო, 2008: 156).

რაც შეეხება *მუსიკალურ ანუ ტონურ მახვილს*, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის გვხვდება უმეტესად მარცვლოვან ენებში (ჩინურში, იაპონურსა და სხვ.), სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიტყვის მნიშვნელობის ჩამოყალიბებაში. ავიღოთ მაგალითად იაპონური სიტყვა [hana]. ერთ ტონში წარმოთქმული ეს ორი მარცვალი ქმნის სიტყვას „ცხვირი“; პირველი მარცვლის აღმავალი ტონით წარმოთქმით - სიტყვას „დაწყება“; მეორე მარცვლის აღმავალი ტონით წარმოთქმით - სიტყვას „ყვავილი“ და ა.შ. (გამყრელიძე, 2008: 91).

ფრაზის (ფრაზული) მახვილის ფუნქცია, ლინგვისტთა ერთი ნაწილის აზრით, არის ფრაზის ფორმირება, ამ გაგებით ფრაზული მახვილის არსებობა უაღრესად საკამათო საკითხია, რადგან სამეტყველო ნაკადის ფრაზებად დაყოფა ხდება არა იმდენად მახვილის, რამდენადაც ინტონაციის მეშვეობით. ამის გამო ლინგვისტთა მეორე ნაწილი თვლის, რომ ტერმინი „ფრაზული მახვილი“ არასწორია, და ამ შემთხვევაში ფაქტობრივად საუბარი უნდა იყოს *ტაქტის (სინტაგმის) მახვილზე*, თუმცა ინტონაციის გარეშე ვერც ის ახერხებს სინტაგმებს შორის ზღვარის გავლებას (გირუცკი, 2003).

სიტყვის მახვილთა კლასიფიკაცია ხდება სიტყვაში ადგილის ცვლის მიხედვითაც:



მამასადამე, ამ კრიტიკიუმის მიხედვით მახვილი შეიძლება იყოს *მოძრავი და თავისუფალი*, ანუ ის შეიძლება დაეცეს ნებისმიერ მარცვალს (თავისუფალი მახვილი) და გრამატიკული ფორმების წარმოებისას ერთი მორფემიდან გადავიდეს სხვაზე. . ასეთია, მაგალითად, მოძრავის მახვილი შემდეგ სიტყვებში: *pyka – pyki, noza – nozi, photograph, photographer, photographic* და ა.შ. ანალოგიურია მახვილი ბელორუსულ, უკრაინულ, ბულგარულ, ლიტვურ, ინგლისურ გერმანულ, დანიურ, ნორვეგიულ, შვედურ, იტალიურ, ესპანურ და სხვა ენებში.

არის, აგრეთვე, *ფიქსირებული მახვილი*, რომელიც არ მოძრაობს, ფიქსირებულია ერთ რომელიმე კონკრეტულ ადგილზე: პირველ, ბოლო, ბოლოსწინა და ა.შ. მარცვალზე. ასეთი მახვილი აქვთ ჩეხურ, სლოვაკურ, ლატვიურ, ესტონურ, ფინურ, უნგრულ (ყოველთვის პირველ მარცვალზე), ფრანგულ (ბოლო მარცვალზე), თურქულ (ბოლო მარცვალზე), პოლონურ (ბოლოსწინა მარცვალზე) და სხვა ენებს (ნემჩენკო, 2008: 158). ლინგვისტურ ლიტერატურაში საუბარია აგრეთვე *ნახევრადფიქსირებულ მახვილებზე*. რომელიც, მართალია ფიქსირებული მახვილის მსგავსად არ არის მოძრავი, თუმცა მისგან განსხვავებით, მაინცადა მაინც ერთ რომელიმე კონკრეტულ (პირველ, ბოლო, ბოლოსწინა და ა.შ.) მარცვალს კი არ ეცემა, არამედ ზოგ შემთხვევაში პირველ მარცვალს, ზოგჯერ - ბოლოს და ა.შ. ასეთია, მაგალითად, ქართული ენის მახვილი. ის, ჯერ ერთი, ძალიან სუსტია, და მეორეც, მას აქვს განსაზღვრული ადგილი, ოღონდ არა ერთადერთი: ორ და სამმარცვლიან სიტყვაში მახვილიანია თავიდან პირველი მარცვალი: *კაცი, ქალი, სოფელი, ქალაქი* და სხვა. ოთხ და მეტმარცვლიან სიტყვაში კი მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე მოდის: *მასწავლებელი, დამარსებელი აღმაშენებე-*

ლი და ა.შ. (კვაჭაძე, 2001: 59). ასეთია მახვილი აგრეთვე ლათინურ, კლასიკურ არაბულ, ძველ ბერძნულ და სხვა ენებში.

სიტყვაში მახვილს მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა აქვს. უპირველეს ყოვლისა, ესაა **სიტყვის ერთ მთლიანობად შეკვრა, გაფორმება**. სამეტყველო ნაკადში სიტყვად ითვლება სწორედ ერთი ძირითადი მახვილის ირგვლივ გაერთიანებული ის ბგერათკომპლექსი, რომელიც მცირე პაუზებს შორისაა მოთავსებული და აღნიშნავს საგანს/ცნებას. მახვილთან აქვს კავშირი ენკლიტიკისა და პროკლიტიკის მოვლენებსა და საერთოდ სამეტყველო ნაკადის სეგმენტაციას, რის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი. ზოგიერთ ენაში, რომლებსაც აქვთ მოძრავი მახვილი, ის ასრულებს კიდევ ორ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას: მისი მეშვეობით შესაძლებელია სიტყვათა მნიშვნელობებისა და სიტყვის გრამატიკული ფორმების ერთმანეთისაგან გარჩევაც. ასეა მაგალითად, რუსულში: *зámок* - (ციხე-სიმაგრე) *замóк* (ზოქლომი), *мука́* - (ფქვილი) *му́ка* (ტანჯვა), *рука́* (ხელი) - *ру́ки* (ხელები), *нога́* (ფეხი) - *но́ги* (ფეხები), *a protest* (პროტესტი) - *to protest* (გაპროტესტება), *a permit* (ნებართვა) - *to permit* (ნებართვის გაცემა) და ა.შ.


6.3.2. ინტონაცია

მახვილზე რთული სტრუქტურისაა **ინტონაცია** (ლათ. **In-tono** - „ხმამაღლა წარმოვთქვამ“), რომელსაც ქმნის მელოდიკა (ფრაზაში ტონის მოძრაობა), მეტყველების ტემპი, ინტენსიურობა, ხანგრძლივობა, წარმოთქმის ტემბრი, პაუზები და სხვ.. შესაბამისად ინტონაცია არის მეტყველების რიტმულ-მელოდიური წყობა, ხმის აწევ-დაწევა წარმოთქმისას, რომელსაც ქმნის 1. ტონის აწევ-დაწევა; მაგ., თხრობითი, ინტონაცია, კითხვითი

ინტონაცია და ა.შ. 2. წარმოთქმის მანერა, რომელიც მთქმელის გრძნობას გამოხატავს. 3. მეტყველების ტემპის აჩქარება-შენელება; 4. მახვილის გაძლიერება; 5. პაუზები; 5. ტემბრის ცვლა და სხვა ფონეტიკური საშუალებები (უცხო სიტყვათა ლექსიკონი,

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=16799>)

ინტონაცია ფრაზის და სამეტყველო ტაქტის აუცილებელი კომპონენტია, რადგან ინტონაციის გარეშე ვერ მოვახერხებთ ვერც ფრაზის (წინადადების) ერთ სტრუქტურულ-აზნობრივ მთლიანობად შეკვრას, ვერც მის ტაქტებად (სინტაგმებად) დაყოფას, ვერც ემოციების გამოხატვას და ა.შ. ყოველივე ამის გამო გამონათქვამის კომუნიკაციური დატვირთვა გაუგებარი იქნებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთისაგან ვერ განვასხვავებთ, მაგალითად, *თხრობას* (რომელსაც ქმნის დაღმავალი ინტონაცია) *კითხვისაგან* (რომელსაც ქმნის აღმავალი ინტონაცია), *თხოვნას - ბრძანებისგან* და ა.შ. თუ ფრაზის ინტონაციის გრაფიკულ ნახაზს შევადგენთ, აღმოვაჩენთ, რომ სამეტყველო ნაკადი არის არა წრფივი, სწორხაზობრივი მიმართულების ბგერათკომპლექსების ჯაჭვი, არამედ ინტონაციის მეშვეობით ეს არის ერთგვარი მრუდი, ტეხილის სახის მქონე არასწორი, დაკლაკნილი ფიგურა. როგორცაა, მაგალითად, რუსული წინადადების: *Таня пойдет в библиотеку* (მ. მატუსევიჩის მაგალითი) - ინტონაციის გრაფიკული ნახაზი:



ფრაზის ინტონაციის ამგვარ სქემას, ოღონდ განზოგადებულს, ინტონაციის მოდელს, *ინტონემას, ინტონაციურ კონსტ-*

რუქციას (იკ) უწოდებენ (კითხვითი ინტონემა, ბრძანებითი ინტონემა, თხრობითი ინტონემა და ა.შ.). თითოეულ ინტონაციურ კონსტრუქციას აქვს ცენტრი, სადაც თავმოყრილია თხრობის, კითხვის, თხოვნის, ბრძანების და ა.შ. გამოხატვისთვის საჭირო ფონეტიკური საშუალებები. ეს არის ფაქტობრივად ფრაზის ის მარცვალი, რომელზეც მოდის ფრაზის მახვილი. სწორედ ის განსაზღვრავს ფრაზის საერთო კომუნიკაციურ სტრატეგიას, თუ როგორია მოცემული ფრაზა: კითხვითია, თხრობითია, ძახილისა თუ თხოვნითი და ა.შ. შესაბამისად, განასხვავებენ ინტონაციური კონსტრუქციების სახეებს, რომელთა რაოდენობაც სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა. ასე მაგალითად, ქართულშიც შეიძლება განვასხვაოთ შემდეგი ინტონემები:

1. *იკ-1 (თხრობითი ინტონაცია)* - ცენტრის ხმოვანზე და ფრაზის ბოლოს დაღმავალი ინტონაცია:



არმაზი წინს კითხულობს.

2. *იკ-2 (კითხვითი ინტონაცია კითხვითისიტყვიან წინადადებაში)* - კითხვითი სიტყვის ხმოვანზე აღმავალი და ფრაზის ბოლოს დაღმავალი ინტონაცია:

არმაზი როდის წაიკითხავს წიგნს?

3. *იკ-3 (კითხვითი ინტონაცია კითხვითი სიტყვის გარეშე)* - ფრაზის ბოლოს აღმავალი, კითხვის შემცველი ინტონაცია:

დათო სკოლაში წავი და?

არის, აგრეთვე, ძახილის, კითხვით-ძახილის, ბრძანების და სხვა ინტონაციური კონსტრუქციები, რომელთა განხილვასაც ჩვენ აღარ შევუდგებით. თუმცა უნდა ითქვას, რომ ინტონაცია ყველაზე ნაკლებად დამუშავებული საკითხია. ენები ერთმანეთისგან ინტონაციით საგრძნობლად განსხვავდებიან, რაც მნიშვნელოვნად იჩენს თავს უცხო ენაზე საუბრისას (აქცენტი). ინტონაცია არის აქილევსის ქუსლი ტელეწამყვანებისთვის, რადიოჟურნალისტებისთვის, მასწავლებლებისათვის, მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისათვის და, შეიძლება ითქვას, თითქმის მთელი საზოგადოებისთვის.

ასეთია უწყვეტი სამეტყველო ნაკადის სეგმენტური ერთეულებისა და ზესეგმენტური საშუალებების მეშვეობით დანაწევრების მოკლე ზოგადი ლინგვისტური სურათი.

განმარტეთ ტექსტში გამოყენებული ტერმინები

ფონეტიკა, ფონოლოგია, სამეტყველო ნაკადი, სამეტყველო ბგერა, მარცვალი, ფონეტიკური სიტყვა, ტაქტი/სინტაგმა, ფრაზა, ენკლიტიკა, პროკლიტიკა, მახვილი (სიტყვის, ტაქტის, ფრაზის, დინამიკური, რაოდენობრივი, ტონური, ლოგოკური), ინტონაცია, ინტონაციური კონსტრუქცია, ინტონემა.

კითხვები და დავალებები

1. როგორ გესმით მსგავსება-განსხვავებანი ფონეტიკასა და ფონოლოგიას შორის?
2. გააანალიზეთ სამეტყველო ნაკადის სეგმენტურ და ზესეგმენტურ ელემენტებს შორის მსგავსება-განსხვავებანი;
3. გააკეთეთ წინადადების, გამონათქვამის და ფრაზის შედარებითი ანალიზი;
4. დაახასიათეთ სამეტყველო ნაკადის სეგმენტური ერთეულები;

5. დაახასიათეთ სამეტყველო ნაკადის ზესეგმენტური ერთეულები;
6. გააანალიზეთ ტაქტი (სინტაგმა) და მისი შესაბამისი ენობრივი ერთეული;
7. გააანალიზეთ მსგავსება-განსხვავებანი მარცვალსა და მორფემას შორის;
8. დაასაბუთეთ, რატომ ეწოდება ინტონაციას სამეტყველო ნაკადის სუპერსემენტური ნაწილი;
9. იმსჯელეთ მახვილის ძირითად სახეებზე და ახსენით მათი ფუნქციონალური დატვირთვა;
10. ქართული და რომელიმე უცხოური ენის მაგალითების მოშველიებით, დაახასიათეთ ძირითადი ინტონაციური კონსტრუქციები.

7. სამეტყველო ბგერის ლინგვისტური ანალიზი. აკუსტიკური ფონეტიკა

7.1. სამეტყველო ბგერის შესწავლის ასპექტები


სამეტყველო ნაკადის უმცირესი დაუშლელი ელემენტი, რომლისგანაც შედგება ჩვენი მეტყველება, არის სამეტყველო ბგერა. ის უაღრესად რთული ფენომენია. საქმე ისაა, რომ იგი ერთდროულად არის ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ფსიქიკურ-მენტალური ფაქტი, შესაბამისად, მისი ლინგვისტური ანალიზი მოიცავს სამ ასპექტს. ეს არის:

1. აკუსტიკურ ასპექტს აინტერესებს ბგერის ფიზიკური მხარე – რას წარმოადგენს სამეტყველო ბგერა მატერიალური თვალსაზრისით, როგორია მისი, როგორც ფიზიკური სხეულის შედგენილობა და ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. მისი შემსწავლელი დარგია *აკუსტიკური ფონეტიკა*;

2. არტიკულაციური ანუ ფიზიოლოგიური ასპექტი სწავლობს ბგერათა წარმოქმნის მექანიზმს. მისი შემსწავლელი დარგია *არტიკულაციური ფონეტიკა*;

3. ფუნქციური ანუ წმინდა ლინგვისტური ასპექტი იკვლევს ბგერის ლინგვისტურ ღირებულებას: როგორია მისი ფუნქციური დატვირთვა, დანიშნულება. მისი შემსწავლელი დარგია ფონოლოგია.

ამრიგად, მივიღეთ შემდეგი სქემა:



განვიხილოთ თითოეული მათგანი.

7.2. სამეტყველო ბგერის შესწავლის აკუსტიკური ასპექტი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბგერის შესწავლის აკუსტიკური ასპექტი იძლევა პასუხებს კითხვებზე: *რას წარმოადგენს სამეტყველო ბგერა მატერიალური თვალსაზრისით, რისგან შედგება ის როგორც ფიზიკური სხეული, და როგორია მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები* ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად უნდა ვიცოდეთ, რომ ბუნებაში არსებული ნებისმიერი ბგერა ფიზიკური სხეულია, რომელსაც ქმნის ჰაერის დატალღული ნაკადი. ამიტომაც მათ, ისევე როგორც ნებისმიერ ფიზიკურ სხეულს, შეისწავლის ფიზიკა, კერძოდ, უშუალოდ ბგერის შემსწავლელი ფიზიკური დარგი აკუსტიკა (ბერძნ. akustikos - „სმენისა“). ამიტომაც ეწოდება სამეტყველო ბგერის ფიზიკური მახასიათებლების შესწავლას აკუსტიკური ასპექტი.

ერთი სიტყვით, სხვა ნებისმიერი ბგერის მსგავსად, სამეტყველო ბგერასაც ქმნის **დატალღული ჰერნაკტი**. მისი ფიზიკუ-

რი მახასიათებლებია: **1. სიმაღლე; 2. ძალა; 3. ხანგრძლივობა; 4. ტემპრი.**

სამეტყველო ბგერის, ისევე როგორც ბუნებაში არსებული სხვა ნებისმიერი **ბგერის სიმაღლეს** ქმნის ჰაერის ტალღების სიხშირე, რომელიც იზომება ჰერცებში. ერთი ჰერცი ნიშნავს წამში ერთ შერხევას, ათი - ათ შერხევას და ა.შ. სპეციალური აპარატურის მეშვეობით დადგენილია, რომ:


- ადამიანის ყურს შეუძლია აღიქვას **16 ჰერციდან 20000 ჰერცამდე** დიაპაზონის სიხშირის ბგერები. მაშასადამე, ყური ვერ აღიქვამს 16 ჰერცზე ნაკლები სიხშირის ბგერებს (**ინფრაბგერები**) და 20000 ჰერცზე მეტი სიხშირის ბგერებს (**ულტრაბგერებს**). ულტრა და ინფრაბგერებს აღიქვამენ ცხოველები, მაგალითად დამურები, დელფინები და სხვები. ამიტომაცაა, რომ მიწისძვრას ცხოველები გრძნობენ, ადამიანი - ვერა. ასე მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ 1968 წელს უზბეკეთში მომხდარი მიწისძვრის წინ ზოოპარკის ცხოველებმა ერთდროულად ატეხეს საშინელი წივილი, ყმუილი და ღრიალი, რასაც მოჰყვა ძლიერი მიწისძვრა;
- ადამიანის სამეტყველო აპარატს შეუძლია წარმოქმნას **40-დან 1700-მდე** ჰერცის სიხშირის ბგერები;
- სხვადასხვა მონაცემის მიხედვით, მამაკაცის ხმის წარმოთქმის ფაქტობრივი დიაპაზონია დაახლოებით **80 – 200 ჰერცის** სიხშირე, ქალის ხმისა - **200-400 ჰერცის** სიხშირე (კოპაჩი, 2011; გირუცვი, 2003). მამაკაცის, ბავშვის და ქალის ხმის წარმოთქმის დიაპაზონების სქემატური გამოსახვა ასეთია:

| | ქალთა | ბავშვთა | მამაკაცთა |
|---------|--------------|----------|-----------|
| მაღალი | სოპრანო | ლისკანგი | ტენორი |
| საშუალო | მეცო-სოპრანო | ალგი | ბარიტონი |
| დაბალი | კონტრალტო | – | ბანი |

<https://www.google.com/search?q=მამაკაცის+ხმის+სიხშირის+დიაპაზონი>

ამრიგად, ბგერის სიმაღლე წაშში ჰაერის ტალღების სიხშირის პირდაპირპროპორციულია. რაც უფრო მაღალია სიხშირე, მით უფრო მაღალია ბგერაც.

რაც შეეხება ბგერის ძალას, ის დამოკიდებულია ტალღის რხევის ამპლიტუდაზე (მაქსიმალური გადახრა საწყისი, ნულოვანი მდგომარეობიდან):



მამასადამე, რაც უფრო დიდია მანძილი ტალღის საწყისი მდგომარეობიდან გადახრის მწვერვალამდე (+U, -U, რასაც **ამპლიტუდა** ეწოდება), მით უფრო ძლიერია (და არა მაღალი) ბგერა. ის იზომება დეციბელებში (ბგერის დაწოლის წნევის საზომი ერთეული). ადამიანის ხმა მოთავსებულია **20 დეც-დან (ზურ-**

ჩული) 80 დგბ-მდე (ყვირილი) დიაპაზონში. ადამიანის ყურს შესწევს უნარი აღიქვას *130 დგბ-მდე* სიძლიერის ბგერები. უფრო მეტი სიძლიერის ბგერა ადამიანს დააყრუებს. ბგერის ძალა არ უნდა ავურიოთ ბგერის სიმაღლეში. ბგერა შეიძლება იყოს მაღალი (სოპრანო, ტენორი), მაგრამ სუსტი და პირიქით, ის შეიძლება იყოს დაბალი (კონტრალტო, ბანი), მაგრამ ძლიერი.

ბგერის კიდევ ერთი აკუსტიკური ნიშან-თვისებაა დროში *ხანგრძლივობა, ინტენსივობა*, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ დროის რა მონაკვეთია საჭირო მისი წარმოთქმისთვის. თუნდაც ერთი და იგივე ბგერის ხანგრძლივობა სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა, ანუ ბგერის ხანგრძლივობა დამოკიდებულია კონკრეტული ენის წარმოთქმით ნორმებსა და თავისებურებებზე. ასე მაგალითად, რუსულ და ბელორუსულ ენებში მახვილიანი ხმოვნები უფრო ხანგრძლივია, ვიდრე უმახვილო, ხოლო ინგლისურში, ფრანგულსა და გერმანულში მახვილიანი ხმოვანი შეიძლება იყოს გრძელიც და მოკლეც. ზოგადად, სამეტყველო ბგერის წარმოთქმის ხანგრძლივობა დიდი არ არის. ის მერყეობს სულ რაღაც *20-დან 220 მილიწამამდე* დიაპაზონში (გირუცკი, 2003: 46). ხმოვნების წარმოთქმა დროის უფრო მეტ მონაკვეთს მოითხოვს, ვიდრე თანხმოვნების.

სამეტყველო ბგერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიზიკური ნიშანია *ტემბრი*, რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად, თითოეული ადამიანის პირისა და ცხვირის ღრუების, აგრეთვე ხახის მოცულობითა და ფორმით (ჩიქობავა, 2008: 80). ტემბრი თითოეული ადამიანის ხმის ინდივიდუალური მახასიათებელია, ინდივიდუალური შეფერილობაა, რასაც ქმნის თითოეული ადამიანის სამეტყველო აპარატის მოყვანილობა. ამიტომაცაა, რომ ჩვენ შეგვიძლია ადამიანი ვიცნოთ არა მარტო გარეგნობით, არამედ ხმითაც. ასე რომ, ტემბრი არის სწორედ ის

უმთავრესი ფაქტორი, რაც ქმნის თითოეული ადამიანის მეტყველების ინდივიდუალობას. ის ისე გამოარჩევს ერთმანეთისაგან ერთ ადამიანს მეორისგან, როგორც, მაგალითად, ერთ გიტარას (ვიოლინოს, პიანინოს და ა.შ.) მეორისაგან. ორ ადამიანს სულაც რომ ერთნაირი ხმის სიმაღლე და ძალა ჰქონდეს, მათი ხმები მაინც იქნება განსხვავებული. სწორედ ტემბრის საშუალებითაა შესაძლებელი ორი ადამიანის ხმის ერთმანეთთან დამსგავსება, რასაც მიმართავენ, მაგალითად, პაროდის ოსტატები, ორეულები და ა.შ.

რა ქმნის ტემბრს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა ვერკვეოდეთ ისეთ ტერმინებში, როგორებიცაა *ტონი (ანუ ხმა), ობერტონი (ანუ დამატებითი ხმა), ჩქამი (ანუ ხმაური) და რეზონანსი*.

ტონს ანუ ძირითად ხმას ქმნის მერხევი სხეული (მაგ. გიტარის, ფანდურის და ა.შ. დაჭიმული სიმები) საკაერო სივრცეში. სამეტყველო ბგერის შემთხვევაში ეს არის ხორხში მოთავსებული ორი სახმო სიმი, რომლებიც გიტარის სიმების მსგავსად დაჭიმულ მდგომარეობაში პერიოდულად ირხევიან და ქმნიან ტონს. აქ აუცილებლად დასაზუსტებელია ის, რომ ამგვარი სხეული ასრულებს ორგვარ რხევას: ირხევა მთლიანად, მეორე მხრივ, დამოუკიდებლად ირხევა მისი ცალკეული მონაკვეთებიც. ტონს ქმნის მთლიანი სიმის რხევა, ნაწილების რხევა კი ქმნის დამატებით ტონებს ანუ *ობერტონებს*. მაშასადამე, ამ გზით წარმოქმნილი ბგერა არის ტონისა და ობერტონების ერთობლიობა.

ტემბრის, განსაკუთრებით, მისი ინდივიდუალური, განსხვავებული, თავისებური სახის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს კიდევ ერთი კომპონენტი - *რეზონანსი* (ფრანგ. resonance, ლათ. resono - „გამოძახილი“). ეს არის ერთი სხეულის (რეზონატორის)

გარკვეული სიხშირის რხევის ამპლიტუდის ზრდა მეორე სხეულის ამავე სიხშირის რხევის ამპლიტუდის ზეგავლენით, ასე მაგალითად, სახმო სიმების მიერ წარმოქმნილი ტონი შეიძლება გააძლიეროს ისეთი რეზონატორების რხევის ამპლიტუდამ, როგორებიცაა ხახა, პირის ღრუ, ცხვირის ღრუ, მათ მიერ ფორმის, მდგომარეობის და ადგილმდებარეობის ცვლამ და ა.შ. ამგვარი ზეგავლენის შედეგად სახმო სიმებიდან მომავალი ტონი იძენს ახალ-ახალ ტონებს, რომლებსაც *ტონის ფორმანტებს* უწოდებენ.


7.3. ბგერის შედგენილობა, ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები

თუ ბგერა შედგება მხოლოდ ტონისგან, ანუ თუ მის წარმოქმნაში მონაწილეობს მხოლოდ სახმო სიმების რხევის შედეგად მიღებული ტალღები, მაშინ ასეთი ბგერა *ხმოვანია*: [ა], [ე], [ი], [ო], [უ].

ყველა ბგერა მხოლოდ ტონისგან არ შედგება. მის წარმოქმნაში სახმო სიმები შეიძლება საერთოდ არ მონაწილეობდეს, ან მონაწილეობდეს პირის და ცხვირის ღრუებში მოთავსებულ სხვა ორგანოებთან ერთად. ბგერას, რომელიც წარმოიქმნება არა სახმო სიმების, არამედ სხვა ორგანოების მეშვეობით, *ჩქამი* ეწოდება. ის წარმოიქმნება ხახის, პირის და ცხვირის ღრუში შექმნილი დაბრკოლებების გადალახვის შედეგად. სამეტყველო ბგერას, რომლის შემადგენლობაში არის ჩქამი, *თანხმოვანი ეწოდება*. მაგ. ქართული [ს], [შ], [ფ], [ქ]⁶ ბგერების წარმოთქმაში

⁶ სამეტყველო ბგერების დახასიათებისას ვიშველიებთ არა მხოლოდ ქართული და ზოგიერთი სხვა ენის გრაფემებს, არამედ საერთაშორისო ფონე-

სახმო სიმები საერთოდ არ მონაწილეობს, ბგერა მაინც გვაქვს, ოღონდ ეს არის ბგერა ტონის გარეშე, ანუ მხოლოდ ჩქამი. ასე წარმოითქმება *ყრუ თანხმოვნები*. ქართული [ზ], [ჟ], [ბ] ბგერები ტონისგანაც შედგება და ჩქამისგანაც, მათ *მჟღერი თანხმოვნები* ეწოდება. ამავე დროს, ექსპერიმენტული ფონეტიკის მონაცემებით დადგინდა, რომ ბოლო შემთხვევაში გვაქვს ორი ვარიანტი: თუ მჟღერ თანხმოვანში ტონი სჭარბობს ჩქამს, მას *სონორული თანხმოვანი* ეწოდება. ასეთია: [ლ], [მ], [ნ], [რ]. დანარჩენ მჟღერ თანხმოვნებში ჩქამი ჭარბობს ტონს. შესაბამისად, ვიღებთ სამეტყველო ბგერების შემდეგ კლასიფიკაციას:



შედგენილობის მიხედვით, სამეტყველო ბგერათა ეს კლასიფიკაცია უნივერსალურია. არ არის ენა, რომელშიც შეიძლება იყოს ან მარტო ხმოვნები, ან მარტო თანხმოვნები. ამავე დროს, ზოგიერთ ენაში, გარდა ხმოვნებისა და თანხმოვნებისა, არის, აგრეთვე, *ნახევრად ხმოვნები*, *დიფტონგები* და ა.შ., რომელთა შესახებაც სამეტყველო ბგერათა არტიკულაციური დახასიათებისას ვისაუბრებთ.

ტიკური ანბანის სიმბოლოებსაც. ე.წ. IPA. (IPA-ს შესახებ იხ. ფრომკინი და სხვ., 2009:497-499).

განმარტეთ ტექსტში გამოყენებული ლინგვისტური ტერმინები

ბერის შესწავლის ასპექტი (აკუსტიკური, არტიკულაციური, ფუნქციური), ბერის ინტენსივობა (ხანგრძლივობა), სიმაღლე, ძალა, ტემბრი; შედგენილობა, რეზონანსი; ტონი, ჩქამი, ობერტონები, თანხმოვანი ბერა (მჟღერი, სონორული, ყრუ); სამეტყველო ბერა; ჩქამი; ხმოვანი ბერა, ინფრა- და ულტრაბერები.

კითხვები და დავალებები

1. დაასაბუთეთ, არსებობს თუ არა ფონეტიკურ დისციპლინებს (აკუსტიკური, არტიკულაციური, ფუნქციური) შორის მსგავსება-განსხვავებანი;
2. ახსენით მსგავსება-განსხვავებანი სამეტყველო ბერასა და ბუნებაში არსებულ სხვა დანარჩენ ბერებს შორის;
3. ახსენით მსგავსება-განსხვავებანი აკუსტიკურ ფონეტიკას და აკუსტიკას შორის;
4. გააკეთეთ სამეტყველო ბერას, ინფრა- და ულტრაბერებს შორის მსგავსება-განსხვავებათა შედარებითი ანალიზი;
5. რა განსხვავებაა ფუნქციურ ფონეტიკასა და ფონოლოგიას შორის?
6. გააკეთეთ ტონისა და ჩქამის შედარებითი ანალიზი;
7. შეადარეთ ერთმანეთს ბერის სიმაღლე და ძალა და ჩამოაყალიბეთ შესაბამისი დასკვნა;
8. რით განსხვავდება ფიზიკური შემადგენლობის მიხედვით ხმოვანი თანხმოვნისგან?
9. რით განსხვავდება ფიზიკური შემადგენლობის მიხედვით მჟღერი თანხმოვანი სონორული და ყრუ თანხმოვნებისგან?
10. მაგალითების მოშველიებით დაასაბუთეთ მსგავსება-განსხვავებანი მჟღერ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის.


8. სამეტყველო ბგერის არტიკულაციური ანალიზი

8.1. სამეტყველო აპარატი და საარტიკულაციო ბაზისი

სამეტყველო ბგერა არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფიზიოლოგიური მოვლენაა, რადგან ის ადამიანის ორგანოების მოქმედების პროდუქტია. ორგანოთა ერთობლიობას, რომელთა მეშვეობითაც წარმოვთქვამთ სამეტყველო ბგერებს, *სამეტყველო აპარატი* ეწოდება. ბგერის წარმოთქმას ლინგვისტიკაში *ფონაციას*, აგრეთვე *არტიკულაციას* (ლათ. articulo - „ვანაწევრებ“) ანუ სამეტყველო ნაკადის ბგერებად დანაწევრებასაც უწოდებენ. ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს ორი ტერმინი: *ბგერის წარმოქმნა* და *ბგერის წარმოთქმა*. სამეტყველო ბგერას წარმოვთქვამთ (არტიკულაცია), ყველა დანარჩენი ბგერა კი - წარმოიქმნება, გამოიცემა.

წარმოთქმის მიხედვით ანალიზს ბგერათა *არტიკულაციურ* დახასიათებას ანუ მათი შესწავლის *არტიკულაციურ*, *ბიოლოგიურ*, *ფიზიოლოგიურ* ასპექტს უწოდებენ. იმისათვის, რომ შევძლოთ სამეტყველო ბგერათა არტიკულაციური დახასიათება, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს სამეტყველო აპარატი.


ტერმინი სამეტყველო აპარატი ორი გაგებით მოიაზრება: ფართო და ვიწრო. ფართო გაგებით ეს არის იმ ორგანოთა ერთობლიობა, რომლებსაც პირდაპირ თუ ირიბად შეხება აქვთ არა მარტო სამეტყველო ბგერის წარმოთქმასთან, არამედ აღქმასთანაც (მათ შორის ასო-ნიშნებისაც) ესენია:




ამ სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს *თავის ტვინს*, რომელიც აკონტროლებს ადამიანის ყველა ქმედებას, მათ შორის, მეტყველებასაც. ოღონდ ეს ფუნქცია აკისრია არა მთლიან ტვინს, არამედ მის გარკვეულ ნაწილებს. თავის ტვინი, უფრო ზუსტად, მისი ქერქი, იყოფა ორ ნაწილად, *მარჯვენა და მარცხენა ჰემისფეროებად*. ენასა და მეტყველებაზე პასუხისმგებელია მარცხენა ჰემისფერო, რომელიც მდებარეობს შუბლის მარცხენა ნაწილში, საფეთქლის ზემოთ და შედგება ორი ნაწილისგან. მათ *ბროკასა და ვერნიკეს არეებს (ცენტრებს, ზონებს) უწოდებენ*.

ბროკას არე, ანუ მეტყველების მოტორული ცენტრი პასუხისმგებელია ტუჩების, ენის, ხახის, ხორხის და სხვა ორგანოების მოძრაობაზე, შესაბამისად, ის აკონტროლებს სამეტყველო აპარატის გამართულ მუშაობასაც (პირველად აღწერა ფრანგმა ქირურგმა პოლ ბროკამ 1861 წელს. მანვე აღმოაჩინა, რომ თავის ტვინის ეს უბანი გადამწყვეტ როლს ასრულებს მეტყველების არტიკულაციაში). *ვერნიკეს არე, ანუ მეტყველების აღქმის ცენტრი* კი აკონტროლებს მეტყველების გაგება – გააზრებას (აღმოაჩინა გერმანელმა ფსიქიატრმა კარლ ვერნიკემ). ეს ორი ცენტრი, რომელთა ერთობლიობას *სამეტყველო აპარატის ცენტრალურ (მარეგულირებელ) ნაწილსაც* უწოდებენ, ნერვული დაბოლოებე-

ბით დაკავშირებულია *პერიფერიულ ორგანოებთან* და მართავენ მათ. ეს არის იმ ორგანოთა ერთობლიობა, რომლებიც უშუალოდ იღებენ მონაწილეობას ბგერათა წარმოქმნაში, ამიტომ მათ უწოდებენ *სამეტყველო აპარატს ვიწრო გაგებით, ანუ საწარმოოთქმო ორგანოებს*. ესენია:



რეალურად ამ ორგანოთა ბუნებრივი განლაგება ასეთია:



როგორც ვხედავთ, ბუნებას ადამიანისთვის ცალკე სამეტყველო ორგანოები არ შეუქმნია. სამეტყველო ფუნქციას ასრულებენ ის ორგანოები, რომლებსაც ადამიანის ზრდა-განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფიზიოლოგიური ფუნქციები ეკისრებათ (*კვება და სუნთქვა*). სამეტყველო ბგერების წარმოთქმა მათი მეორადი ფუნქციაა.

სამეტყველო ბგერების წარმოთქმა ხდება ფილტვებიდან ამოსუნთქული ჰაერით, ანუ *რესპირაციით* (ლათ. *expiratio* „ამოსუნთქვა“). ზოგიერთ ენაში ამისთვის შესუნთქული ჰაერიც გამოიყენება, თუმცა ასეთი შემთხვევები იშვიათია. მათ *ქლაპუნა ბგერებს ანუ კლიკებს* (ინგლ. *clicks*). უწოდებენ. ფილტვებიდან ამომავალი ჰაერი ყიის (ყია) გავლით გადის *ხორხში* (ლათ. *larynx*), შემდეგ *ბახის* (ლათ. *pharynx*) გავლით პირის ღრუში. ხორხში მოთავსებულია *მბგერი იოგები (სახმო სიმები)*. ისინი დაჭიმულ მდგომარეობაში ვიბრირებენ და წარმოქმნიან ბგერას, რომელსაც, როგორც უკვე ვიცით, ტონი ეწოდება. ტონს შეიცავენ ხმოვანი ბგერები და სონორული და მჟღერი თანხმოვნები. თუ სახმო სიმები დაჭიმული არ არის, მაშინ ტონი აღარ წარმოიქმნება და ადგილი ექნება ან მხოლოდ თავისუფალ ამოსუნთქვას ანუ *რესპირაციას* (ლათ. *respirare* - „სუნთქვა“) ან ბგერის წარმოთქმას პირის ღრუში, სადაც ამ პროცესში მონაწილეობენ სხვადასხვა ორგანოები. მათ ორ ჯგუფად ყოფენ, ესენია:

1. *აქტიური, მოძრავი ორგანოები, ანუ არტიკულატორები*: ნაქი (ანუ უვულა), ენა (წინა, შუა ან უკანა ნაწილი), ქვედა ყბა, ტუჩები და ბაგეები.

2. *პასიური, უმოძრაო ორგანოები ანუ არტიკულაციის წერტილები*: სასა (უკანა ანუ რბილი, წინა ანუ მაგარი), ზედა ყბა, ნუნები, კბილები. ამ პროცესში შეიძლება ჩაერთოს ცხვირის ღრუც.


ასეთია სამეტყველო აპარატის ზოგადი დახასიათება. ის უნივერსალური მოვლენაა, რადგან ამ ორგანოებისგან შედგება ნებისმიერი ადამიანის სამეტყველო აპარატი. ამავე დროს, ყველა ენა ერთნაირად არ იყენებს ამა თუ იმ ორგანოს. ეს რომ ასე ყოფილიყო, მსოფლიოში არსებულ ყველა ენაში ერთი და იგივე ბგერები იქნებოდა, მაგალითად, ინგლისური კბილთა-შორისი თანხმოვანი [th] ქართულში არ არის, რის გამოც მის წარმოთქმას ქართველ ბავშვები ზოგჯერ ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგაც კი ვერ ახერხებენ. იგივე შეიძლება ითქვას ქართული ენის ბგერებზე: [წ], [ყ], [ჭ], [ძ], [ჯ], რომლებსაც ძნელად წარმოთქვამენ ისინი, ვისთვისაც ქართული ენა მშობლიური არაა. მაშასადამე, მართალია, სამეტყველო აპარატი უნივერსალურია, ყველა ენას თავისი საკუთარი *საარტიკულაციო ბაზა (ბაზისი) აქვს. მასში მოიაზრება სამეტყველო ორგანოების და მათი მოძრაობების ერთობლიობა, რომელიც მისადაგებულია მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტულ ენაზე მეტყველებისათვის.* უცხოურ ენაზე საუბრისას მშობლიური ენის საარტიკულაციო ბაზისის გამოყენებას *აქცენტი* ეწოდება.

8.2. თანხმოვანთა არტიკულაციური დახასიათება

აკუსტიკურ-არტიკულაციური ნიშან-თვისებების მიხედვით, მსოფლიოში არსებულ ყველა ენაში სამეტყველო ბგერები იყოფა უპირველეს ყოვლისა *ხმოვნებად და თანხმოვნებად.* მაშასადამე, უხმოვნო ენა არ არსებობს, თუმცა აღმოჩნდა ისეთი ენაც, რომელშიც ერთადერთი ხმოვანია, მაგალითად, ასეთია არანტა ენა (ნემჩენკო, 2008: 123). ორი ხმოვანია აფხაზურში და ა.შ. ხმოვანთა ერთობლიობა ქმნის *ვოკალიზმს* (ლათ. vocalis-ხმოვანი), თანხმო-


ვანთა ერთობლიობა - *კონსონანტიზმს* (ლათ. consonantis) - თანხმოვანი). როგორც უკვე ვიცით, ხმოვნები შედგება მხოლოდ ტონისგან, ხოლო თანხმოვნებში არის ან მარტო ჩქამი, ან ტონი ჩქამთან ერთად. ხმოვნების და თანხმოვნების წარმოთქმა განსხვავდება სხვა ნიშნებითაც. ამიტომაც, როგორც წესი, ისინი ცალკე განიხილება.

დავიწყოთ თანხმოვნებით. არტიკულაციურ ასპექტში მათი კლასიფიკაცია ხდება სამი ძირითადი კრიტერიუმის საფუძველზე:




ტონისა და ჩქამის ხვედრითი წილის მიხედვით ბგერათა კლასიფიკაციაზე აკუსტიკური ასპექტის განხილვისას უკვე გვექონდა საუბარი და აქ აღარ შევჩერდებით.

წარმოთქმის ადგილის მიხედვით თანხმოვანთა დახასიათებისას ვპასუხობთ კითხვაზე: *სად, რომელი სამეტყველო ორგანოების მეშვეობით წარმოითქმება ეს თუ ის თანხმოვანი ბგერა*. აქტიური ორგანოს (არტიკულატორის) მონაწილეობის გათვალისწინებით, თანხმოვნები შემდეგ ძირითად ჯგუფებად შეიძლება დაიყოს:



ბგერის წარმოთქმისთვის მხოლოდ ერთი ორგანო არ არის საკმარისი. შესაბამისად, აღნიშნული კლასიფიკაცია ვერ იქნება სრულყოფილი. თანხმოვანთა წარმოთქმისთვის აუცილებელია პასიური ორგანოს (არტიკულაციის წერტილის) მონაწილეობაც, სხვაგვარად ჰაერის ნაკადი ვერ დაიტალღება და ვერც ბგერას მივიღებთ. ასე, რომ კლასიფიკაციაში უნდა აისახოს ორივე ორგანოს დასახელება, რის გათვალისწინებითაც, მაგალითად, ქართული ენის თანხმოვანთა ძირითადი ჯგუფები შემდეგი სახით დალაგდება:



წარმოთქმის ადგილის მიხედვით დალაგებულ თანხმოვან-თა ჯგუფებს *თანხმოვანთა რიგებს* უწოდებენ. მოცემულ სქემებზე ასახულია თანხმოვანთა მხოლოდ თვალსაჩინო ჯგუფები, მათ შორის: თანხმოვანთა *უნივერსალური რიგები*, რომლებიც გვხვდება ყველა ენაში: *წყვილზავისმიერი, წინაენისმიერ-კბილისმიერი* და *უკანაენისმიერ-უკანასასისმიერი* თანხმოვნები. არის ისეთი თანხმოვანთა რიგებიც, *რომლებიც ყველა ენაში არ გვხვდება*, ასეთია: კბილზავისმიერები ([ვ], [ფ]), ნუნისმიერები: ([ძ], [ც], [წ]); წინასასისმიერები: (ქართულში: [ჯ], [ჩ], [ჭ]). მათ გარდა არის აგრეთვე *იშვიათი არტიკულაციის თანხმოვნები*, რო-

გორებიცაა: კბილთაშორისი (ინგლისურში [th]); შუაენისმიერ-შუასასისმიერი (რუსულში [j]); ხახისმიერი (ქართულში [y]); ხორხისმიერი (ქართულში [ჰ]); უვულარული, ანუ ნაქისმიერი (ფრანგულში [r] glossey) და სხვები.

წარმოთქმის ადგილის მიხედვით ერთი ჯგუფში გაერთიანებულ თანხმოვნებს *ჰომორგანულებს* უწოდებენ (ქართულში: [ბ]-[პ]-[ფ]), ხოლო სხვადასხვა ჯგუფის თანხმოვნებს - *ჰეტერორგანულებს* (ქართულში: [ბ]; [გ]; [ღ]).

თანხმოვანთა არტიკულაციური დახასიათების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია *წარმოთქმის რაგვარობა*, რომელიც პასუხებს კითხვებზე, თუ როგორ წარმოითქმება თანხმოვანი, რა სახის დაბრკოლების გადალახვა უწევთ სამეტყველო ორგანოებს მისი წარმოთქმის პროცესში და როგორ გადაილახება ისინი.

რა დაბრკოლებებზეა საუბარი?

ფილტვებიდან ამომავალ ჰაერს პირის ღრუში გასავლელი გზა შეიძლება დახვდეს:

- *თავისუფალი*, რის გამოც მას წინააღმდეგობები არ ხვდება და შესაბამისად არც მათი გადალახვა უწევს. ასე რომ, ამ შემთხვევაში ბგერის წარმოთქმა ან არ ხდება, ან წარმოითქმება პირის ღრუში, ხორხში ან ხახაში, ასეთია მაგალითად, ქართული ხახისმიერი (ფარინგალური) ღია თანხმოვანი [ჰ] და ინგლისური ხორხისმიერი (ლარინგალური) ფშვინიერი თანხმოვანი [h];
- *შევიწროებული*, როცა აქტიური (მოძრავი) ორგანო იმდენად უახლოვდება პასიურს, რომ მათ შორის რჩება ძალიან ვიწრო ნაპრალი, იმდენად ვიწრო, რომ მასში გამავალი ჰაერის ნაკადის ხახუნის ორგანოთა კედლებზე იწვევს თანხმოვანი ბგერის წარმოთქმას. ამ გზით წარ-

მოქმნილ თანხმოვნებს *ნაპრალოვნებს*, *ფრიკატივებს* ლათ. (fricatio - „ხახუნი“), *სპირანტებს* (ლათ spirantis „ამოსუნთქული“) უწოდებენ, ასეთია [ს], [ზ], [შ], [ჟ], [ვ], [ხ], [ღ], [ფ], [ქ], [ღ] და სხვ. ისინი წარმოითქმება დროში დაყოვნებით და არა უცებ, ამიტომ მათ *მყოვარებსაც* უწოდებენ. დაბრკოლების ამ გზით გადალახვის შედეგად ხშირ შემთხვევაში (არა ყოველთვის) წარმოიქმნება სისინი ან შიშინი. შესაბამისად ნაპრალოვნები შეიძლება იყოს სისინა [ზ], [ს] ან შიშინა [შ], [ჟ].

- **ჩაკეტილი, დახშული.** ამ შემთხვევაში ჰაერის ნაკადს უხდება ამ წინააღმდეგობის გადალახვა, რის შედეგადაც წარმოიქმნება *ხშული თანხმოვნები*. მათი კლასიფიკაცია ხდება იმის მიხედვით, თუ როგორ გადაილახება ეს წინააღმდეგობა. შესაბამისად, ვიღებთ ხშულ თანხმოვანთა შემდეგ ჯგუფებს:

ა) *მყისიერები*, რომელთა წარმოთქმაც ხდება ჩაკეტილი გზის მყისიერად განხშვის, გარღვევის, „სკდომის“ შედეგად. ასეთი ბგერებია [ბ], [ხ], [გ], [ვ] [ღ], [დ], [ძ] [კ], [ქ], [ტ], [ტ], [წ], [ჭ], [ყ] და სხვ. მათ ასევე უწოდებენ *მსკდომებს*, *ოკლუზივებს* (ლათ. **occlusivae**), რუსულ ლინგვისტიკაში - „ფეთქებადებს“ (ВЗРЫВНЫЕ); ზოგიერთ ენაში, მათ შორის ქართულშიც, მყისიერებს შორის ცალკე გამოიყოფა ე.წ. *ყელხშული* მყიერიები ანუ *აბრუპტივები* [წ,ჭ,ყ], რომლებსაც არც რუსულ და არც ევროპულ ენებში ანალოგი არ აქვთ. მათი სპეციფიკა ისაა, რომ მათი წარმოთქმისას ყელი დახშულია და გზას უკეტავს ფოლტვებთან ამომავალ ჰაერს. მაშასადამე, ისინი ფილტვებიდან ამოსუნთქული ჰაერის ნაკადით კი არ წარმოითქმებიან, არამედ პირის ღრუში დარჩენილი ჰაერის პორციით. ამ ჯგუფში შედის აგრეთვე ქართული [პ],[ტ],[კ], მიუხედავად იმისა, რომ სხვა ენებში მათ

შესაბამისი ეკვივალენტები მოემბნებათ: [p,t,k]; [п,т,к], ამ თვალსაზრისით, ისინი ერთმანეთის სრული შესატყვისნი არ არიან;

ბ) ფშვინიერები ანუ ასპირატები (ლათ. aspiratio „ამოსუნთქვა“), რომელთა მომენტალურ განხშვას თან ახლავს ფშვინვა. რა არის ფშვინვა? ეს არის *აკუსტიკური ეფექტი, რომელიც წარმოიქმნება კონსონანტური არტიკულაციის შემდეგ*. ასეთია, მაგალითად, ქართული თანხმოვნები [ფ], [თ], [ქ], რომლებიც ტრანსკრიპციით ასე ჩაიწერება: [ph], [th] [kh];


გ) ხშულ-ნაპრალოვნები, ანუ შერეული არტიკულაციის თანხმოვნები. მათი წარმოთქმა იწყება დახშული გზის ისე გადალახვით, როგორც ეს ხშულებს ახასიათებთ, მაგრამ მათგან განსხვავებით, არტიკულაცია მთავრდება არა მომენტალური განხშვით, არამედ გზის ნელა გახსნით, ნაპრალის წარმოქმნით. ასეთი თანხმოვნებია ქართული: [ძ], [ც],[ჯ], [ჩ]; რუსული: [ц], [ч] და სხვ. ისინი შედგება ორმაგი არტიკულაციისგან, თითქოსდა ორი თანხმოვნისგან, რაც კარგად ჩანს [ძ], [ჯ] თანხმოვნების რუსულად წარმოთქმისას. რუსულ ენაში მათი შესატყვისი თანხმოვნები არ არის, ამიტომ ისინი გადმოიცემა სწორედ იმ ორი თანხმოვნით, რომელთა არტიკულაციაც გაერთიანებულია მათში: [ძ] = /дз/, [ჯ] = /дж/, მაგალითად: ჯიჯავაძე- /Джиджавадзе/, ძაძამია /Дзадзамия/ და სხვ. მათი არტიკულაცია ძალიან წააგავს ფშვინიერებისას ([ph], [th] [kh]), თუმცა მათ შორის დიდი განსხვავებაა. ხშულ-ნაპრალოვნები ორი ბგერის სინთეზია, ფშვინიერები კი ბგერისა და ფშვინვისა. ფშვინვა არ არის სამეყველო ბგერა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არის აკუსტიკური ეფექტი, რომელიც წარმოიქმნება ბგერის წარმოთქმის დასრულების შემდეგ;

დ) გვერდითი თანხმოვნები ანუ ლატერალები. (ლათ. laterales - გვერდითი) - გზა დახშულია ენის წვერის მიერ. ჰაერ-ნაკადი კი ჯერ ორივე მხრიდან გვერდს უვლის მას და გადის ენის გვერდებსა და ლოყების კედლებს შორის წარმოქმნილ ნაპრალში. ასეთი თანხმოვანია [ლ], [l], [ლ].

ე) მთრთოლი თანხმოვნები ანუ ვიბრანტები (ლათ. vibrantis)- ჰაერნაკადი იწვევს ერთ-ერთი აქტიური ორგანოს თრთოლვას, ვიბრაციას. ასეთი თანხმოვნებია [რ], [r], [p];

ვ) ცხვირისმიერი თანხმოვნები ანუ ნაზალები (ლათ. nasales) - გზა დახშულია ენის წვერის, ბაგეების ან სხვა ორგანოების მიერ. ჰაერნაკადი არც არღვევს მას, არც გვერდით შემოუვლის და არც ვიბრაციას იწვევს. ის საერთოდ თავს არიდებს მას, ბრუნდება უკან და გამოდის ცხვირის ღრუში. ასეთი თანხმოვნებია [მ], [ნ], [m], [n], [M], [H] და სხვ.

თუ გვერდით, მთრთოლ და ცხვირისმიერ თანხმოვნებს ერთ ჯგუფში - შერეულ რაგვარობაში გავაერთიანებთ, თანხმოვანთა წარმოთქმის რაგვარობის მიხედვით კლასიფიკაცია საბოლოოდ შემდეგ სახეს მიიღებს:



ასეთია თანხმობანთა ზოგადი დახასიათება წარმოთქმის რაგვარობის მიხედვით, რაც ცხადია, არ არის უნივერსალური, რადგან ძალიან ბევრ ენას თავისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა აქვს.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თანხმობანთა კლასიფიკაცია მხოლოდ განხილული კრიტერიუმების საფუძველზე არ ხდება. მაგალითად, რუსულში მას ემატება კლასიფიკაცია თანხმობანთა სირბილე-სიმაგრის მიხედვით.

8.3. ხმოვანთა არტიკულაციური დახასიათება

ხმოვანთა არტიკულაციური დახასიათება ხდება სამი ძირითადი კრიტერიუმის საფუძველზე, ესენია:

1. ენის წინა, შუა ან უკანა ნაწილის მოძრაობა, რასაც უწოდებენ **რიგს**. თუ მოძრაობს ენის წინა ნაწილი, ხმოვანი არის **წინა რიგის**, როგორებიცაა, მაგალითად, ქართულში [ი] და [ე] ხმოვნები. შუა ნაწილის მოძრაობის შემთხვევაში ხმოვანი **შუა რიგისაა**, როგორიცაა ქართულში [ა] ხმოვანი. ენის უკანა ნაწილის მოძრაობის შემთხვევაში ხმოვანი არის **უკანა რიგის**, როგორებიცაა ქართული [ო] და [უ] ხმოვნები.

2. ენის ესა თუ ის ნაწილი მოძრაობს ვერტიკალურად. მაშასადამე, ის გარკვეული ხარისხით არის აწეული ქვედა ყბასა და სასას შორის სივრცეში. ამ კრიტერიუმს **აწეულობის ხარისხს** უწოდებენ. თუ ენის რომელიმე ნაწილი მაქსიმალურადაა აწეული და მიახლოებული სასას - ამ შემთხვევაში გვექნება **მაღალი აწეულობის** ხმოვანი. ასეთია ქართულში [ი] და [უ] ხმოვნები. თუ ენა ოდნავაა წამოწეული და სასიდან მაქსიმალური მანძილითაა დაშორებული - **დაბალი აწეულობის** ხმოვანი, როგორი-


ცა [ა], ხოლო თუ საშუალოდ - *საშუალო აწეულობის* ხმოვანი, როგორებიცაა [ე] და [ო] ხმოვნები

3. მესამე კრიტერიუმია ხმოვნის წარმოთქმაში ტუჩების მონაწილეობა ანუ ლაბიალიზაცია (ლათ. labium). [ო] და [უ] ხმოვნების წარმოთქმისას ტუჩები მომრგვალებულია. ამ ხმოვნებს ტუჩისმიერ ანუ ლაბიალიზებულ ხმოვნებს უწოდებენ.

ხმოვანთა კლასიფიკაცია ხდება ჩამოთვლილთაგან არა ერთი რომელიმე, არამედ სამივე კრიტერიუმის კომბინაციის საფუძველზე, რაც ასეთ სახეს მიიღებს (სქემა ასახავს ქართული და რუსული ენების ხმოვანთა არტიკულაციურ დახასიათებას):

| აწეულობა | რიგი | | |
|----------|------------------|--------------|------------------------------|
| | წინა | შუა | უკანა |
| მაღალი | <i>ი; I;</i> | <i>ი; I;</i> | <i>უ; Y;</i> |
| საშუალო | <i>ე; E;</i> | | <i>ო; O;</i> |
| დაბალი | | <i>ა; A;</i> | |
| | არალაბიალიზებული | | ლაბიალიზებული ანუ ტუჩისმიერი |

აღნიშნული სქემას სამკუთხედის ფორმითაც გამოსახავენ:



**(შენიშვნა: სამკუთხედი ასახავს პირის დრუს, რომელიც
(ტუზები და ენის წინა ნაწილი) იწყება მარცხნიდან, ხოლო
მრული ხაზები ასახავს ენის მოძრაობას).**

ამ სამკუთხედს ხმოვანთა სამკუთხედს უწოდებენ. ის მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახავს ქართული, რუსული, ლათინური, არაბული, იაპონური, აგრეთვე აზიის აფრიკის, ამერიკის და ავსტრალიის ძალიან ბევრი ენის ხმოვანთა სისტემებს, თუმცა ეს არ არის უნივერსალური სქემა. ამა თუ იმ ენაში ხმოვნების წარმოთქმაში სხვა ფაქტორებიც ერთვება და ხმოვანთა სისტემას სამკუთხედი ვეღარ ასახავს. ის შეიძლება ქმნიდეს **ოთხკუთხედს**, როგორც ეს არის უზბეკური ენის ერთ-ერთ დიალექტი, **კუბს** - თურქულ ენაში, **სწორხაზობრივს** - ყაზარდოულში, სადაც მხოლოდ სამი ხმოვანია, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან მხოლოდ ენის აწეულობის ხარისხით. სამი ხმოვანია არაბულშიც, ოღონდ ისინი ქმნიან არა სწორხაზობრივ სქემას, არამედ სამკუთხედს, რადგან ერთმანეთს უპირისპირდებიან ორი ნიშნით: ენის აწეულობითა და ლაბიალიზაციით და ა.შ. (ნებიერიძე, 1991: 87-88). არის ისეთი ენებიც, რომლებშიც ათეულობით ხმოვანია, ამიტომ ხმოვანთა სისტემებს იქ ტრაპეციის და კუბის სახითაც გამოსახავენ. არის ენები, სადაც ცხვირის დრუც მონაწილეობს ხმოვანთა წარმოთქმაში. ასეა, მაგალითად, პოლონურ და ფრანგულ ენებში.

მსოფლიოს ბევრ ენაში (მათ შორის ინგლისურსა და გერმანულში) გრძელი ხმოვნების გარდა არის რთული არტიკულაციის ხმოვნები: **დიფთონგები (ბერძნ. *Diphthongos* = „ორხმოვანა“) და ტრიფთონგებიც კი**. დიფთონგი არის ორი განსხვავებული (და არა სრულფასოვანი) ხმოვნის ისეთი შეერთება, რომელიც ერთ-ერთი მათგანის დასუსტების გზით გვამღევს ერთ მარც-

ვალს. შესაბამისად, მას ასე განმარტავენ: „დიფტონგი არის ერთ მარცვლად წარმოთქმული, ერთ მარცვალში გაერთიანებული ხმოვნური წარმომავლობის ორი ელემენტი (ქეე, 2008: 151; თევდორაძე, 2016: 54). ინგლისური ენის დიფტონგებია: [au], [ai], [ei], [ou], [oi], [ie], [eu], [ɛe], [ve] – made, late, how, house, fight, bone, coin, tear, cope, fair. დიფტონგები იყო ძველ ქართულში, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ისინი აღარ არის, რადგან თანამედროვე ქართული საწარმოთქმო ნორმების მიხედვით, ყოველი ხმოვანი ცალკე მარცვალს ქმნის: გა-ბა-ი ბრუ-ე-ბა; ჩა-ი-ა-რა. ამავე დროს, დიფტონგები შემორჩა ქართულ დიალექტებში, მაგ. ზუ-რა-ბაჲ, დავით-აჲ, ჩა-მეჲ-ტანა (აჭ. დიალ.) და სხვა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ერთი ხმოვნის გაორმაგებული გამოყენება, რომლებიც ზოგიერთ ენაში, მათ შორის, ქართულში, ქმნიან ცალ-ცალკე მარცვლებს: ბაასი, აალეზა და სხვა. არის ენები, სადაც ისინი ქმნიან ერთ მარცვალს, თუმცა არ ქნიან დიფტონგს. ამ მოვლენასთან არის დაკავშირებული ამ ენებში **გრძელი და მოკლე ხმოვნების** არსებობა. მაგალითად, გერმანულ ენაში გაორმაგებული ხმოვანი ორთოგრაფიულად გამოხატავს გრძელ ხმოვან ფონემას: (der) Schnee – „თოვლი“, (der) Staat – „სახელმწიფო“, (das) Moor – „ჭაობი“ და ა. შ. ამ სიტყვებში გაორმაგებული ხმოვნები ქმნიან თითო-თითო გრძელ ხმოვანს (ჭყონია, 2016: 178). გერმანულის გარდა **გრძელი და მოკლე** ხმოვნები არის ფინურში ჩეხურში და სხვა ენებში.

ზოგიერთ ენას, მაგალითად, რუსულს, აქვს ნახევარ-ხმოვანიც და ა.შ.


ასეთია ხმოვანთა სისტემის ზოგადი არტიკულაციური დახასიათება.

8.4. სამეტყველო ბგერათა არტიკულაცია სამეტყველო ნაკადში

სამეტყველო ბგერათა არტიკულაციური დახასიათებისას ჩვენ ვისაუბრეთ ცალკე აღებულ, სხვა ბგერებისგან იზოლირებულ მდგომარეობაში მყოფ ბგერათა წარმოთქმაზე. მაგრამ ბგერებს ჩვენ ერთმანეთისგან იზოლირებულად არ წარმოვთქვამთ. მეტყველებაში ბგერები ქმნიან ერთიან სამეტყველო ნაკადს, სადაც ისინი ერთი მეორის მიყოლებითაა განლაგებული. ამ ნაკადში ერთი ბგერის წარმოთქმა დამთავრებულიც კი არაა, ისე იწყება მეორის წარმოთქმა. ცხადია, ასეთ პირობებში ძალიან დიდია ამა თუ იმ ბგერის წარმოთქმაზე მეზობელი ბგერის ან საწარმოთქმო პოზიციის ზეგავლენა, რაც მნიშვნელოვნად უცვლის მათ იერსახეს. ასე რომ, სამეტყველო ნაკადში ბგერები იცვლება, რასაც *ფონეტიკურ პროცესებს* უწოდებენ. განასხვავებენ ძირითადად ორი სახის ფონეტიკურ პროცესს: *კომბინატორულს და პოზიციურს*.

კომბინატორული პროცესები განპირობებულია მეზობლად მყოფი ბგერების ურთიერთზეგავლენით, ხოლო პოზიციური პროცესებისა - სიტყვაში ბგერის პოზიციით. ყველა ცვლილება საბოლოო ჯამში ხდება პოზიციაში, ამიტომ ლინგვისტთა ერთი ნაწილი კომბინატორულ ცვლელელებს *კომბინატორულ-პოზიციურს*, ხოლო პოზიციურს - *საკუთრივ პოზიციურს* უწოდებს (ზენკოვი, საპოჟნიკოვა, 1999: 80). განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

სამეტყველო ნაკადში ბგერათა ურთიერთ-გავლენის შედეგად გვხვდება ძირითადად შემდეგი სახის კომბინატორულ ფონეტიკურ ცვლილებები:



ასიმილაცია (ლათ. *assimilatio* - „დამსგავსება“) ფონეტიკაში არის ერთი ბგერის მიერ მეორის დამსგავსება (ოლონდ ხმოვნისა - ხმოვანზე, თანხმოვნისა - თანხმოვანზე) გარკვეული ნიშნის ან ნიშნების მიხედვით. ასიმილაცია შეიძლება იყოს:

- პროგრესული ან რეგრესული (მიმართულების მიხედვით);
- სრული ან ნაწილობრივი (შედეგის მიხედვით);
- კონტაქტური და დისტანციური (მანძილის მიხედვით).

პროგრესული ასიმილაციის დროს ბგერა იმსგავსებს მის შემდეგ მდგომ ბგერას: ტბა – ტპბ; ყბა – ყპბ; თბილი – თფილი; კბილი – კპილი; ინგლ: *dogs/z/*; *read/z/* - (ნაცვლად |s| ბგერისა).

რეგრესული ასიმილაციის დროს, პირიქით, მომდევნო ბგერა იმსგავსებს მის წინ მდგომ ბგერას: ერ[თ][გ]ული – ერ[დგ]ული; მ[ს][გ]ავსი-მ[ზგ]ავსი; რი[გ][ს] – რი[ქს]; წ[ა][უ]ლია – წ[უ]ლია, *seventh* [*sevanθ*].

სრული ასიმილაციის დროს ერთი ბგერა მეორეს იმსგავსებს მთლიანად: თბილი[ს]/ში - თბილი/ში; წა[ა]/ლია - წულ/ლია; ბე[სი]უმный - ბე[სი]უმный; ჩა[ჩ]ეხ - ჩა[ჩ]ეხ, does she /'dʌʃi/, სადაც /z/-ს ჩაენაცვლა /ʃ/;

ნაწილობრივი ასიმილაციის დროს კი დამსგავსება ხდება არა ყველა, არამედ რომელიმე კონკრეტული ნიშნის მიხედვით: ერ[თ]/გ/ული - ერ/დგ/ული; რი[გ]/ს - რი[გ]ს; [ტ]/შ/ა - [ტ]შ, in bed - /n/-/m/.

კონტაქტურია ასიმილაცია, თუ ხდება უშუალო მეზობლობაში მყოფი ბგერების დამსგავსება - ბე[სი]უმный - ბე[სი]უმный; ჩა[ჩ]ეხ - ჩა[ჩ]ეხ; ერთგული-ერ[დგ]ული; რიგი - რი[გ]ს; ტბა - [ტ]შ, hands - /s/-/z/.

დისტანციური დისიმილაციის დროს კი დამსგავსება ხდება არა უშუალო კონტაქტის გავლენით, არამედ მანძილზე - წა[ვ]იყვან[ე] - წე[ვ]იყვან[ე]. H[a]nd - H[ʌ]nd[ʃe];

ასიმილაციის ნაირსახეობაა **სინჰარმონიზმი**, რაც ნიშნავს აფიქსალური ხმოვნის დამსგავსებას ძირისეულ ხმოვანთან. ეს მოვლენა დამახასიათებელია თურქული ენისთვის, რის თვალსაჩინო მაგალითიცაა, ხმოვანმონაცვლეობა თურქულ სუფიქსში lar (ler): den[i]z-[e]r, kap[i]-l[a]r; arab[a]-l[a]r და სხვა.

ასიმილაციის ნაირსახეობაა აგრეთვე **აკომოდაცია**, რაშიც იგულისხმება თანხმოვნის მიერ ხმოვნის ან ხმოვნის მიერ თანხმოვნის დამსგავსება ერთ რომელიმე კომპონენტში. ეს მოვლენა გვხვდება, მაგალითად, რუსულ ენაში, სადაც არის რბილი და მაგარი თანხმოვნები, შესაბამისად, წინა რიგის ხმოვნის წინ მაგარი თანხმოვანი რბილდება: [d]ать -/ძ/я/ძ/я.

ასიმილაციის საპირისპირო პროცესია **დისიმილაცია**. მას განმსგავსებასაც უწოდებენ, რადგან ეს არის პროცესი, რომლის შედეგადაც ერთი მეზობელი ბგერა განიმსგავსებს მეორეს. დი-

სიმილაციის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც თანხმოვანი, ისე ხმოვანი: სი/ლ/ზო - |რ/ბი/ლი; |ლ/ე/ლ/წამი - |ლ/ე/რ/წამი; ჯა/წნ/აზა - ჯა/წდ/აზა; იმე/რი - იმე/რ/უ/ლი; [κ][m]o - |xm|o; [κ] [k]omy - |xk|omy; φεσ|p|a|p|s - φεσ|p|a|t|s; pe|r|egrinus (ლათ) - pa|ll|egrino (იტალ.) - pi|ll|igrim (ინგლ.). სათითაო/დ - სა-თით/აო/დ; ამ/ა/ლ/ა/მ - ამ/ე/ლ/ა/მ; [ei]n - |ai|n;

შედარებით ნაკლებად გავრცელებული ფონეტიკური პროცესებია დიერეზა და ეპენტეზა. დიერეზა ბგერის ან ბგერათა ჯგუფის ამოვარდნაა (ბეგუნკოვა, ხუხუნი, 2006: 53), მაგალითად, დეიდა|ს|შ|ვილი - დეიდა|შ|ვილი; co|l|u|ყე - co|u|ყე; чeс|m|u|ხუნი - чeс|u|ხუნი, ე|რ|თმანე|რ|თი- ე|რ|თმანეთი; ბე|რ|ბე|რ|ი - ბე|ბე|რ|ი;

შეიძლება ამოვარდეს მთელი მარცვალიც კი, რასაც ფონეტიკაში ჰაპლოლოგიას უწოდებენ: ბი|ძის|ცოლა - ბი|ცოლა; ფეხ|შიშ|ველა - ფეხ|შ|ველა; знаме|ноно|сец - знаме|но|сец; минера|ποπο|για - минера|πο|για, Eng|lala|nd - Eng|la|nd.

ეპენტეზა, პირიქით, ბგერის გაჩენაა farm /far|ə|m/ (ინგ), Роди|შიн, Ле|შიнтий, кака|ში. (ბეგუნკოვა, ხუხუნი, 2006: 53).

მეტათეზისი ბგერათა გადანაცვლება, გადასმავა: კლავს - კლვა - კვლა; ხნავს - ხნვა - ხვნა; წამგალი - მანგალი; ათრვამეტი - თვრამეტი; талерка - тарелка (გერმ. taller).

ბგერთი ანალოგიაც კომბინატორული ცვლილებაა, მაგრამ მას იწვევს არა მეზობელი ბგერა, არამედ სულსიტყვის სხვა ფორმა: დადმართი (აღმართის ანალოგიით); ჯდომა - დავჯექი (ავდექის ანალოგიით) და სხვა.

წმინდა პოზიციური ცვლილების მაგალითებია:

უმახვილო ხმოვნის რედუქცია ანუ დასუსტება მახვილიანთა: ძ/ნ/მ - ძ/ნ/მონი - ძ/ნ/მწ/ნ/ნი, relevant - revelent (ინგ);

მჟღერი თანხმოვნის დაყრუება სიტყვის ბოლოში: *ვაშ-ბო/ფ/ - ამბო/შ/და; ვ/იხატა/ვ/დი - /ხატა/ფ/, stopped/d-t/* და ა.შ.

ფონეტიკური ცვლილებები განპირობებულია დღეს მოქმედი ფონეტიკური კანონებით. ის აისახება მხოლოდ ზეპირ მეტყველებაში. მასში არ უნდა აგვერიოს კიდევ ერთი სახის ფონეტიკური ცვლილებები, რომლებიც ენის ისტორიის სიღრმეში მოქმედი კანონებით არის განპირობებული და დღეს ასახულია ენაში, თუმცა თანამედროვე ფონეტიკური კანონებით მათი ახსნა შეუძლებელია. ასეთია, მაგალითად, რუსული ენის ფონეტიკისთვის დამახასიათებელი შემდეგი ფონეტიკური ცვლილებები: *безу-безишь; неку-нечѣшь; сказать – скажу* და სხვა. **მათ ისტორიულ, ტრადიციულ** ფონეტიკურ ცვლილებებს უწოდებენ.

განმარტეთ ტექსტში გამოყენებული ლინგვისტური ტერმინები

არტიკულაცია; სამეტყველო აპარატი; საწარმოთქმო ორგანები; მბგერი იოგები (ანუ სახმო სიმები); არტიკულატორები და არტიკულაციის წერტილები, საარტიკულაციო ბაზისი; ვოკალიზმი; კონსონანტიზმი; თანხმოვნები წარმოთქმის ადგილის მიხედვით (ენისმიერი, ხახისმიერი, ხორხისმიერი და სხვა); თანხმოვნები წარმოთქმის რაგვარობის მიხედვით (ნაპრალოვნები/ფრიკატივები), ხშულები (მყისიერები, ფშვინიერები/ასპირატები, ხშულ-ნაპრალოვნები, შერეული არტიკულაციის თანხმოვნები), გვერდითი თანხმოვნები ანუ ლატერალები, მთრთოლი თანხმოვნები ანუ ვიბრანტები, ცხვირისმიერი თანხმოვნები ანუ ნაზალები; ხმოვნები (წინა რიგის, შუა რიგის, უკანა რიგის, მაღალი აწეულობის, საშუალო აწეულობის, დაბალი აწეულობის, ლაბიალიზებული, არალაბიალიზებული); კომბინატორული ფონეტიკური პროცესები (ასიმილაცია, დისიმილაცია, დიე-

რეზა, ეკინთეზა, მეტათეზა, ანალოგია), პოზიციური ფონეტიკური პროცესები.

კითხვები და დავალებები

1. აღწერეთ ადამიანის საარტიკულაციო აპარატი;
2. გააკეთეთ აქტიური და პასიური სამეტყველო ორგანოების შედარებითი ანალიზი;
3. დაახასიათეთ თანხმოვნები არტიკულაციის ადგილის მიხედვით;
4. დაახასიათეთ თანხმოვნები წარმოთქმის რაგვარობის მიხედვით;
5. დაახასიათეთ თანხმოვნები ტონისა და ჩქამის ხვედრითი წილის მიხედვით;
6. ახსენით ხშულ-ნაპრალოვნებების თანხმოვნების არტიკულაციის შერეული ხასიათი.
7. გააკეთეთ ხმოვანთა არტიკულაციური დახასიათება.
8. გააანალიზეთ კომბინატორული და პოზიციური ფონეტიკის პროცესების ძირითადი თავისებურებანი.
9. ახსენით ასიმილაციის სპეციფიკა: პროგრესული, რეგრესული, სრული, ნაწილობრივი, კონტაქტური, დისტანციური;
10. დაახასიათეთ დისიმილაციის ძირითადი სახეები.

9. სამეტყველო ბგერის შესწავლის ფუნქციური ასპექტი. ფონემა

9.1. სამეტყველო ბგერის დანიშნულება და ფუნქციები

აკუსტიკური და არტიკულაციური დახასიათება სამეტყველო ბგერის კვლევის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებია, მაგრამ ლინგვისტიკისთვის უმთავრესი *მაინც არის მისი ფუნქციური ანალიზი*, ანუ იმის გარკვევა, თუ რისთვის გვჭირდება სამეტყველო ბგერა, რა დანიშნულება აქვს მას და რა ფუნქციებს ასრულებს ის ერთიან ენობრივ სისტემაში.

სამეტყველო ბგერა ფიზიკური სხეულია, მაგრამ მნიშვნელობა არ აქვს. მაშასადამე, სხვა ენობრივი ერთეულებისგან განსხვავებით, იგი არ არის ნიშანი, ის მათი საშენი მასალაა, ხმოვანი გარსია. მისი მეშვეობით ჩვენი გონება აღიქვამს მეტყველებას, რასაც *პერცეფცია* ეწოდება. ფიზიკური აღქმის გარეშე ჩვენი ბგერითი მეტყველება საერთოდ ვერ იარსებებდა. სწორედ ეს არის სამეტყველო ბგერის უმთავრესი (მაგრამ არა ერთადერთი) დანიშნულება.

და მეორეც, სწორედ სამეტყველო ბგერების მეშვეობით ვასხვავებთ ერთმანეთისგან სიტყვებს და მის შემადგენელ მაწილებს - მორფემებს. ბგერათკომპლექსები: *ცოლი-ცალი-ცელი-ცული* ჩვენ მიერ აღიქმება სხვადასხვა სიტყვებად, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი ერთი და იმავე რაოდენობის ბგერებისაგან შედგება. ამ განსხვავების საფუძველს გვამლევს ის ერთადერთი ბგერა, რომლითაც ამ სიტყვების ჟღერადობა არ ემთხვევა ერთმანეთს. ამრიგად, სამეტყველო ბგერის მეორე უმთავრესი ფუნქცია არის სიტყვათა (მორფემათა) და მათი მნიშვნელობების ერთმანეთისგან გან-

სხვაეება, *რასაც სამეტყველო ბგერის სიგნიფიკაციურ ანუ განმასხვავებელ ფუნქციას უწოდებენ*. ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ძველი ბერძენი ფილოსოფოსის *არისტოტელეს* აზრი, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენ წელთა აღრიცხვამდე გამოყოფდა ადამიანის მეტყველებაში *ელემენტს, რომლის დაშლაც შეუძლებელია, ოღონდაც არა ნებისმიერს, არამედ ისეთს, რომლისგანაც შეიძლება წარმოიქმნას აზრის მქონე სიტყვა*. პერცეფციულ და სიგნიფიკაციურ ფუნქციებს ხშირად ერთი საერთო ფუნქციის – *დისტინქციური* ფუნქციის შემადგენელ ნაწილებად მოიაზრებენ (ვენდინა, 2001: 93).

სამეტყველო ბგერის ფუნქციების გააზრებისას აუცილებლად წამოიჭრება არა მხოლოდ სიტყვათა და მორფემათა, არამედ საკუთრივ ბგერათა ერთმანეთისგან განსხვავების პრობლემაც, რადგან როგორც ქვემოთ დავინახავთ, *ერთსა და იმავე ბგერებს ერთ შემთხვევაში სხვადასხვა ბგერებად ვთვლით, მეორე შემთხვევაში კი ერთი და იმავე ბგერის ვარიანტებად*. ასე მაგალითად, რუსულ სიტყვებში: *д/á/ТЬ, д/ó/М - /а/-სა და /о/-ს სხვადასხვა ბგერებად ვთვლით*. ამავე დროს, სიტყვებში: *д/ó/М* და *д/á/мои* - იგივე ბგერებს ერთმანეთისაგან არ ვასხვავებთ და ვთვლით, რომ აქ გვაქვს ერთი და იგივე ბგერა */о/*, ამიტომაც ვწერთ (*о*) - ს, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად სხვა ბგერას წარმოვთქვამთ.

ერთი სიტყვით, დასაზუსტებელია, თუ *რას ვგულისხმობთ ბგერათა სხვადასხვაობაში და საერთოდ რამდენი ბგერა შეიძლება იყოს ამას თუ იმ ენაში*. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ეს იმდენად რთული პრობლემაა, რომ მასზე პასუხის გაცემა ერთი შეხედვით შეუძლებელიც კია. საქმე ისაა, რომ მეტყველება ინდივიდუალური მოვლენაა, რაც სწორედ ბგერათა არაერთგვაროვან წარმოთქმაში ვლინდება.

ჩვენ მხოლოდ მეტრყველებით შეგვიძლია განვასხვაოთ, ერთსა და იმავე, ვთქვათ, /ზ/ ბგერას ბავშვი წარმოთქვამს, ქალი, კაცი, ნაცნობი თუ უცნობი და ა.შ. უფრო მეტიც, ერთი და იგივე ადამიანიც კი არ წარმოთქვამს ერთსა და იმავე ბგერას ორჯერ ერთნაირად. გამოდის, რომ ჩვენ უსასრულო რაოდენობის ბგერებს წარმოვთქვამთ. ეს მართლაც ასეა. თუმცა არც იმაში ეპარება ვინმეს ეჭვი, რომ /ზ/ ბგერა რამდენი ადამიანის მიერ და როგორაც არ უნდა უნდა წარმოითქვას, ის მაინც /ზ/ ბგერა იქნება ჩვენთვის და არა, ვთქვათ, /ფ/. ამავე დროს სიტყვებში: *ბუხარა* და *ფუხარა* - /ზ/-სა და /ფ/-ს ჩვენ სხვადასხვა ბგერებად აღვიქვამთ. მაშასადამე, *ერთ შემთხვევაში მივიღეთ მხედველობაში ბგერათა განსხვავება, მეორე შემთხვევაში - არა.* ერთ შემთხვევაში თუნდაც მილიონი ადამიანის მიერ წარმოთქმული /ზ/ ჩვენთვის /ზ/ ბგერაა, ხოლო სხვა შემთხვევაში კი ერთი და იმავე ადამიანის მიერ წარმოთქმული /ზ/ და /ფ/ სხვადასხვა ბგერაა. *ამრიგად, ერთ შემთხვევაში ჩვენს წინაშე ერთი და იმავე ბგერის ნაირსახეობები, ვარიანტები, მეორე შემთხვევაში - სხვადასხვა ბგერები.*

რას ნიშნავს ერთი და იმავე ბგერის ვარიანტი? $X(1)$, $X(2)$, $X(3)$ $X(n)$ ადამიანებისაგან წარმოთქმული /ზ/ ბგერა – ეს არის $z(1)$, $z(2)$, $z(3)$... $z(n)$ ბგერები, თანაც თითოეული მათგანი ჩვენ რეალურად წარმოთქვით ან მოვისმინეთ: $z(1)$ ბგერა $X(1)$ -მა წარმოთქვა, $z(2)$ – $X(2)$ -მა და ა.შ. კი მაგრამ სად არის ის /ზ/ ბგერა, რომელიც ნიმუშად ავიღეთ? ვისგან მოვისმინეთ იგი? *არავისგან!* დიახ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს ასეა. ბგერა, რომელიც ჩვენ საზომად, ნიმუშად ავიღეთ, არავისგან არ მოგვისმენია. ის ფიზიკურად არ არსებობს, ფიზიკურად არსებობს მხოლოდ ის კონკრეტული ბგერები, რომლებსაც კონკრეტული ადამიანები წარმოთქვა-

მენ. ჩვენ ისინი გავაიგივეთ ერთმანეთთან, შევქმენით მათი ზოგადი აბსტრაქტული სახე და ისინი მის ვარიანტებად მივიჩნიეთ. *ეს ზოგადი სახე, ნიმუში, მოდელი, ტიპი, აბსტრაქცია, რომელთანაც ვახდენთ წარმოთქმული ბგერების იდენტიფიკაციას, ჩვენს გონებაშია, ჩვენ ის ვიცით, დამახსოვრებული გვაქვს და მას ფონემას ვუწოდებთ.* როგორც არსებობენ კონკრეტული ადამიანები, მაგრამ ფიზიკურად არ არსებობს ადამიანი ზოგადად, არსებობენ კონკრეტული ხეები, მაგრამ ფიზიკურად არ არსებობს ხე ზოგადად და ა. შ., ასე არსებობენ კონკრეტული ბგერები, მაგრამ ფიზიკურად არ არსებობს ბგერა ზოგადად. კონკრეტული ბგერების გარკვეული ნიშნების ერთობლიობის საფუძველზე ვქმნით მათ ზოგად სახეს, მოდელს, ტიპს. ასე მაგალითად, თუ ადამიანები სხვადასხვაგვარად წარმოთქვამენ ბგერებს, რომელთა შორის თითოეული მათგანი არის *მყლერი, წყვილბაგისმიერი და ხშული*, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ამ ნიშნების მატარებელი ბგერების მოდელი არის ბგერა **[ბ]**. მამასადამე, ჟღერადობა, წყვილბაგისმიერობა და ხშულობა – ის ნიშნებია, რომლებიც მხოლოდ **[ბ]** ბგერას ახასიათებს, მის იერსახეს განსაზღვრავს.

ამრიგად, ლინგვისტიკა განასხვავებს ორი სახის ბგერას:

1. ბგერას, რომელსაც წარმოვთქვამთ მეტყველების პროცესში, როგორც მეტყველების უმცირეს, დაუშლელ ნაწილს. მას *სამეტყველო ბგერას, აგრეთვე ფონემის ვარიანტს, რეალიზაციას, ფონს, ალოფონს* უწოდებენ.

2. კონკრეტულ ბგერათა მოდელს, ტიპს, წარმომადგენელს, ნიმუშს, აბსტრაქციას, ენის ბგერას, *ფონემას* უწოდებენ.


ეს ტერმინი პირველად 1874 წელს გამოიყენა ფრანგმა ლინგვისტმა ლუი ავემ, თუმცა იგი თავდაპირველად სამეტყველო ბგერის მნიშვნელობით გამოიყენებოდა. ამ მნიშვნელო-

ბით იყენებს მას ფ. დე სოსიურიც. ფონემის შესახებ მოძღვრება კი შექმნა ცნობილმა ყაზანელმა ლინგვისტმა **ა. ბოდუნ დე კურტენემ** (კოდუხოვი, 1979: 146), ხოლო ეს მოძღვრება დახვეწეს და განავითარეს ცნობილმა ლინგვისტებმა **ნ. ტრუბეცკოიმ, ლ. შერბამ** და სხვებმა.

9.2. ფონემა, ფონი, ალოფონი

ფონემის ვარიანტთა ერთ ნაწილს ქმნის ადამიანის სამეტყველო აპარატის არაერთგვაროვნება და არასტაბილურობა. თითოეული ადამიანის სამეტყველო აპარატი სტაბილურია და გარკვეულწილად ერთგვაროვანიც, თუმცა არა იმდენად, რომ აბსოლუტური სიზუსტით გაიმეოროს ერთი და იგივე ბგერა. ამიტომაცაა, რომ ერთი და იგივე ადამიანიც კი სხვადასხვაგვარად წარმოთქვამს ერთსა და იმავე ბგერას. ფონემის ამგვარ ვარიანტებს **ფონებს** უწოდებენ. ფონემის მეორე სახის ვარიანტს ქმნის ბგერის პოზიცია სიტყვაში და მისი მიმართება სხვა ბგერებთან. ასე მაგ. *ბ/ო/მ - ბ/ა/მოი; ც/ე/მ - ც/ი/მერკა; ნ/ა/მ - ნ/ი/მერკა* და ა. შ.:

ფონემის ამგვარ ვარიანტებს **ალოფონებს** უწოდებენ. მაშასადამე, მეტყველებაში ფონემა რეალიზდება ვარიანტებად: ფონებად და ალოფონებად. ფონემის ვარიანტების ერთობლიობას **ფონემურ რიგს** უწოდებენ. ასე მაგალითად, რუსულ ენაში [ა] ფონემის ვარიანტები ქმნიან შემდეგ ფონემურ რიგს:



- /a/-ძლიერი პოზიცია, მახვილიანი მარცვალი **r'ei/ká/**
- /â/ - მახვილისწ. პირვ. მარცვ. მაგარი თანხმ. შემდ. **д/â/мóй**
- /ъ/-დანარჩ უმახ. მარცვ. მაგ. თანხმ შემდ - **д/ъ/мâвóй**
- /ei/ მახვილისწ. პირვ. მარცვ. რბ. თანხმ. შემდ. **-п/ei/тáк**
- /ы/ - დანარჩ. უმახვ. მარცვ. რბ. თანხმ. შემდ. **-п/ы/тáчóк**

ენისთვის ღირებულია არა ფონები, ანუ არა თითოეული ადამიანის ინდივიდუალურ-ფიზიოლოგიური თავისებურებებით განპირობებული ვარიანტები, არამედ ალოფონები, რომლებსაც ქმნის ბგერის გარემოცვა სიტყვაში. როგორ განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ფონემები და ფონემის ვარიანტები? საიდან დავასკვნით, რომ მაგალითად, სიტყვებში *д/â/мóй* და *д/â/вáтъ* გვესმის ბგერა /a/, მაგრამ ერთ შემთხვევაში ეს არის [o] ფონემის ვარიანტი /дом/, ხოლო მეორე შემთხვევაში კი - [a] ფონემის ვარიანტი /дáтъ/? ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად აუცილებელია ვერკვეოდეთ ისეთ ტერმინებში, როგორებიცაა **ბგერის ნიშნები და ბგერის პოზიცია.**

როგორც უკვე ვიცით, სამეტყველო ბგერა, ისევე, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ობიექტი, გარკვეული ნიშნებით ხასიათდება. მათგან თუნდაც ერთ-ერთის შეცვლა ცვლის მთლიანად ბგერას. ასე მაგალითად, თუ ჟღერადობას სიყრუით შევ-

ცვლით, /ზ/ ბგერის ნაცვლად მივიღებთ /ჰ/-ს, ხოლო თუ ფშვინ-
 ვასაც დავამატებთ, - /ფ/ ბგერას (ბონი – პონი, საბერავი – სა-
 ვერავი, ბერი - ვერი და ა.შ.). ამავე დროს, არის ისეთი შემთ-
 ხვევებიც, როცა ნიშნის ცვლა ენისთვის ბგერებს არ ცვლის.
 (/დომ/ - /დამ/ოი). ნიშნებს, რომელთა ცვლაც იწვევს ფონემის
 შეცვლას, ფონოლოგიურად ღირებულ (რელევანტურ, კონსტი-
 ტუციურ, დიფერენციალურ) ნიშნებს, ხოლო ნიშნებს, რომელთა
 ცვლაც არ იწვევს ფონემის შეცვლას, ფონოლოგიურად არა-
 რელევანტურ ნიშნებს უწოდებენ. კონსტიტუციური, რელევან-
 ტური ნიშნები ქმნიან ფონემის იერსახეს. ქართულში /ზ/ ბგე-
 რისთვის ასეთი ნიშნებია ჟღერადობა, ხშულობა და წყვილ-
 ბაგისმიერობა, /ჰ/ ბგერისათვის - სიყრუე, ხშულობა და
 წყვილბაგისმიერობა. ამ ბგერებს სხვა ნიშნებიც აქვთ (ტემბრი,
 სიმაღლე, ძალა და ა.შ.), მაგრამ ისინი ამ შესმითხვევაში მხედ-
 ველობაში არ მიიღება, ისინი ფონოლოგიურად არალევან-
 ტურია.

**რა არის ბგერის პოზიცია? ეს არის მეტყველების პროცეს-
 ში მისი ადგილი სხვა ბგერების გარემოცვაში.** არის პოზი-
 ციები, რომლებშიც ბგერათა ურთიერგავლენა მინიმალურია და
 ბგერის წარმოთქმაზე მეზობელი ბგერა ან სხვა პოზიციური
 ფაქტორები არსებით გავლენას ვერ ახდენს, მის რელევანტურ
 ნიშნებს ვერ ცვლის. ასეთ პოზიციას ბგერის ძლიერი პო-
 ზიცია ეწოდება, ასეთია:

- ბგერის იზოლირებული წარმოთქმა: (ზ; ფ; პ);
- პოზიცია ხმოვნის წინ: /ზ/ასი – /ფ/ასი – /პ/ასი);
- პოზიცია სონორული თანხმოვნის წინ: - /ზ/რიალი –
 /ფ/რიალი – /პ/რიალი;
- პოზიცია მახვილის ქვეშ: /დომ/, /დამ/.

პოზიციას, რომელშიც ბგერათა ურთიერთგავლენა მაქსიმალურია, რის გამოც მოცემული ბგერა კარგავს ამას თუ იმ რელევანტურ ნიშანს და იცვლის იერსახეს, ბგერის სუსტი პოზიცია ეწოდება, ასეთია:

- მჟღერი თანხმოვნის წარმოთქმა სიტყვის ბოლოში: ვამბო/ფ/, ვხატა/ჩ/;
- რუსულში ხმოვნის უმახვილო წარმოთქმა: д/ó/м - д/ǎ/мóй);
- მჟღერი თანხმოვნის პოზიცია ყრუ თანხმოვნის წინ (თ/ზ/ილი - თ/ფ/ილისი, лo/ძ/ოჩკა – лo/т/კა) და ა.შ.

სად გადის ზღვარი ფონემასა და მის ვარიანტებს შორის? არსებობს თუ არა ფონემათა გამოყოფის წესები? დიახ, არსებობს, რომლებზეც აქ დაწვრილებით არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ ყველაზე მარტივ წესს: თუ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ბგერას სიტყვაში უჭირავს სუსტი პოზიცია, მას უნდა მოვუნახოთ ისეთი მონათესავე სიტყვა, ან ისე უნდა შევუცვალოთ ფორმა, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ბგერა ძლიერ პოზიციაში აღმოჩნდება (*ვამბო/ფ/-ამბო/ზ/ენ, д/ǎ/мо́й – д/о/м*).

სამეტყველო ბგერა ფონემისგან შემდეგი ნიშნებით განსხვავდება. ესენია:

- სამეტყველო ბგერა ვარიანტია, ფონემა ინვარიანტი (უცვლელი, მოდელი, ტიპი);
- სამეტყველო ბგერა კონკრეტული ფონემის ვარიანტია და პირიქით, ფონემა არსებობს იმდენად, რამდენადაც გვაქვს მისი კონკრეტული რეალიზაციები – ბგერები. თუმცა გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია ბგერა გვექონდეს, ფონემა არა: ვხატა/ჩ/;

- სამეტყველო ბგერა ინდივიდუალურია, კონკრეტულია, ფონემა სოციალურია, საერთოა კონკრეტული ენობრივი კოლექტივისთვის;
- სამეტყველო ბგერა ერთეულია, ფონემა ვარიანტების სიმრავლეა;
- სამეტყველო ბგერა მატერიალურია, ფონემა აბსტრაქციაა. *ჩვენ წარმოვთქვამთ სამეტყველო ბგერებს და არა ფონემებს*, რეალობაში არსებობს სამეტყველო ბგერა და არა ფონემა.



9.3. ფონოლოგიური სისტემები და ფონემათა რაოდენობა

ენის შესახებ საუბარი თავიდანვე დავიწყეთ იმით, რომ ენა სისტემაა. ეს ნიშანი ვრცელდება ენის ბგერით მხარეზეც, რადგან ნებისმიერი ენის ფონემები გარკვეული კრიტერიუმების საფუძველზე ქმნიან სისტემებს, რომლებიც ყველა ენას თავისი აქვს. ამ საკითხს ზემოთ მეტ-ნაკლებად შევხებით, თუმცა იქ საუბარი გვექონდა სამეტყველო ბგერების წარმოთქმის მექანიზმზე. აქ კი საკითხს მივუბრუნდებით ფონემათა სისტემებურობის ასპექტში, რამდენადაც სწორედ ეს მექანიზმი ქმნის ფონემათა კლასიფიკაციის საფუძველს.


სამეტყველო ბგერის შედგენილობა, ტონის და ჩქარობის ხვედრითი წილი, თანხმოვანთა წარმოთქმის რაგვარობა და ადგილი, ენის აწეულობა და რიგი ხმოვნის წარმოთქმისას და ა.შ. - სწორედ ის ნიშნებია, რომლებიც ქმნიან არა მხოლოდ კონკრეტული ფონემის იერსახეს, არამედ ერთი ფონემის მეორისგან განსხვავების საფუძველსაც. თუ ორ ან მეტ ფონემას აქვთ საერთო ნიშნები, მაგრამ ერთმანეთისგან ერთი რომელიმე ნიშნით მაინც

განსხვავდებიან, ისინი ერთმანეთთან დაპირისპირებულ ანუ **ოპოზიციურ** მდგომარეობაში არიან. აქ აუცილებლად უნდა დავაზუსტოთ, რომ ყველა ნიშანი არ ქმნის ოპოზიციას. განმასხვავებელი ნიშანი მაშინაა ოპოზიციური, თუ არსებობს მისი საპირისპირო ნიშანი. ოპოზიციას ქმნის, მაგალითად, თანხმობის ჟღერადობა და სიყრუე, რადგან თუ ენაში არის მჟღერი თანხმობანი, აუცილებლად იქნება ყრუც. თუ არის ხმოვანი, აუცილებლად იქნება თანხმობანიც. მაგრამ თუ ენაში არის წინაენისმიერი თანხმობები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად იქნება ხშულებიც. *მაშასადამე, ფონოლოგიაში ოპოზიცია ნიშნავს საერთო ნიშნების მქონე მინიმუმ ორი ფონემის ერთ ჯგუფში ისეთ გაერთიანებას, რომელშიც ეს ბგერები ერთმანეთისგან განსხვავდება ურთიერსაპირისპირო ნიშნების საფუძველზე.* ასე მაგალითად, ბგერებს [ზ-პ-ფ] საერთო რელევანტურ ნიშნებთან ერთად აქვთ განმასხვავებელიც: ჟღერადობ-სიყრუე, ხოლო ყრუ ბგერებს [პ-ფ] - ფშვინიერება-არაფშვინიერება. სწორედ მათ საფუძველზე ქმნიან ისინი ოპოზიციას.



ოპოზიციურობის პრინციპი უდევს საფუძველად ნებისმიერი ენის ფონემათა კლასიფიკაციას **ხმოვნებად და თანხმობნებად**. ხმოვანთა სისტემებზე აღარ შევჩერდებით, რადგანაც მათზე საკმარისად უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება თანხმობებს, რელევანტური ნიშნების (წარმოთქმის ადგილი და რაგვარობა, ტონისა და ჩქამის ურთიერთმიმართება და ა.შ.) გათვალისწინებით, ისინი ქმნიან **რიგებსა და სერიებს** (ნებიერიძე, 1991: 68). საერთო რიგს ქმნიან ჰომორგანული თანხმობები, საერთო სერიას კი - ჰომოგენური თანხმობები. **ძირითადი რიგები**, რომლებიც ყველა ენაშია წარმოდგენილი, შემდეგია:




თანხმოვანთა ძირითადი სერიები:



რიგებისა და სერიების გაერთიანებით ვიღებთ *ცალეულებს, წყვილეულებს, სამეულებს (ზოგ ენაში ოთხეულებსაც)*. წყვილებს ქმნიან ხშულებიც და ნაპრალოვნებიც. მათ აერთიანებთ ჰომოგენურობაც და ჰომორგანულობაც, თუმცა ოპოზიციებს მაინც ქმნიან, ოღონდ სხვა რელევანტური ნიშნის საფუძველზე. უმეტეს შემთხვევაში ეს ნიშანია ტონის ხვედრითი წილი, *ანუ მელერობა-სიყრუე*, რის საფუძველზეც ხშულთა წყვილები გვაქვს რუსულში, ინგლისურში, გერმანულში, ფრანგულსა და სხვა ენებში:



ქართული თანხმოვანი ფონემები ამ ნიშნის საფუძველზე ქმნიან არა წყვილულებს არამედ სამეულებს. რის საფუძველიცაა ის, რომ ქართული ენის საარტიკულაციო ბაზისს აქვს სპეციფიკური ნიშანი: ფშვინიერება და ყელხშულობა. მაშასადამე, ქართულ ენას ჩვეულებრივი ყრუ თანხმოვანი ფონემების გარდა აქვს ყრუ *ფშვინიერები* (ფ;თ;ქ;ც;ჩ) და ყრუ *ყელხშულები ანუ აბრუპტივები* (პ;ტ;კ;წ;ჭ;ყ და სხვა).



რაც შეეხება სონორულ თანხმოვან ფონემებს ([ლ],[მ],[ნ],[რ]), ისინი ვერ ქმნიან ოპოზიციებს, რის გამოც მათ უწოდებენ *ცალეულებს*. ამ თვალსაზრისით, საინტერესო ცალეულია, მაგალითად, ქართული [ვ] თანხმოვანი. რუსულში ის ქმნის წყვილს ([ჰ]-[ჰ]). ქართულში კი მას მეწყვილე ჰყავს მხოლოდ მეტყველებაში (ვხატა/f/), ენაში ასეთი ფონემა არ არსებობს. ანალოგიურია ქართული წყვილი ([ღ]-[ხ]), რომელიც გვხვდება რუსულშიც, ორონდ არა ენაში, არამედ დიალექტებში (ღ-[x]). რუსულ სალიტერატურო ენას, განსხვავებით ქართული, უკრაინული და სხვა ენებისგან, *ფრიკატიული* ფონემა [ღ] არ აქვს.

დაბოლოს, კიდევ ერთი საინტერესო საკითხი: *რამდენი ბგერა (ფონემა) შეიძლება იყოს ენაში?* ყველა ენას ფონემათა განსაზღვრული რაოდენობა აქვს, რაც ენების მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლება: მინიმალური რაოდენობაა დაახლოებით 15, რისი მაგალითიცაა ოკეანიის ზოგიერთი ენა, მათ შორის ჰავაის ენა, სადაც 13 ფონემაა (8 თანხმოვანი). საშუალო რაოდენობა 30-40-ის ფარგლებში მერყეობს. ეს რაოდენობა აქვს ქართულსა და რუსულს. არის ენები ძალიან მდიდარი ბგერითი შემადგენლობით - 60-ზე მეტი ფონემით, ასეთი ენები ძალიან ცოტაა. არის სუპერმდიდარი ენებიც, რომლებშიც ფონემების რაოდენობა 100-ს აჭარბებს. ასეთია კავკასიური ენები (Плунгян. <https://postnauka.ru/video/14284>). მაგალითისთვის მოვიშველიებთ ჩამონათვალს, სადაც ენები დალაგებულია ფონემათა მინიმალურიდან მაქსიმალური რაოდენობის დიაპაზონის მიხედვით (შაიკვეიჩი, 2005: 53; ნემჩენკო, 2008: 123):

| ენა | ხმოვანი | თანხმოვანი | სულ | ენა | ხმოვანი | თანხმოვანი | სულ |
|--------------|---------|------------|-----|----------|---------|------------|-----|
| ჰავაის ენა | 5 | 8 | 13 | ბენგალის | 14 | 35 | 49 |
| რუმინული ენა | 7 | 20 | 27 | ესტონური | 27 | 22 | 49 |
| უზბეკური | 6 | 23 | 29 | ტაის | 35 | 20 | 55 |
| ქართული | 5 | 28 | 33 | აფხაზური | 2 | 58 | 60 |
| სომხური | 6 | 30 | 36 | ლიტვური | 22 | 39 | 61 |
| იტალიური | 7 | 35 | 42 | იგბო | 8 | 53 | 67 |
| კხმერული | 30 | 18 | 48 | ბირმის | | | 112 |

ასეთია სამეტყველო ბგერის ფუნქციური ასპექტის მოკლე მიმოხილვა.

განმარტეთ ტექსტში გამოყენებული ტერმინები

ფონემა, ფონი, ალოფონი, ფონეტიკური ოპოზიცია, ფონემური რიგი, ფონეტიკური პოზიცია (სუსტი და ძლიერი), ფონოლოგიური სისტემა, თანხმოვანთა უნივერსალური რიგები, ცალეულები, წყვილეულები, სამეულები.

კითხვები

1. გააანალიზეთ სამეტყველო ბგერისა და ფონემის ურთიერთმომართების პრობლემა;
2. იმსჯელეთ სამეტყველო ბგერის დანიშნულების და ფუნქციების შესახებ;
3. დაახასიათეთ მშობლიური ენის ფონოლოგიური სისტემა;
4. დაასაბუთეთ, რა როლი აქვს სუსტ და ძლიერ პოზიციებს ფონემის და მისი ვარიანტების ერთმანეთისაგან გასარჩევად;
5. დაახასიათეთ თანხმოვანთა უნივერსალური რიგები;
6. ახსენით ჟღერადობა-სიყრუის როლი თანხმოვან ფონემათა დაჯგუფების საკითხში;
7. იმსჯელეთ სამეტყველო ბგერათა და ფონემათა რაოდენობის პრობლემის შესახებ (რამდენი ბგერაა, მაგალითად, ქართულში?);
8. რეალურად სამეტყველო ბგერას წარმოვთქვამთ თუ ფონემას (პასუხი დაასაბუთეთ)?
9. გააანალიზეთ ფონემათა სამეულებად, წყვილეულებად და ცალეულებად დალაგების კრიტერიუმები;
10. ვენის დიაგრამის გამოყენებით, გააკეთეთ სამეტყველო ბგერისა და ფონემის შედარებითი ანალიზი.

10. ლექსიკოლოგია. სიტყვა - ენობრივი სისტემის ცენტრალური ერთეული

10.1. ლექსიკოლოგიის რაობა და დარგები

ენა, როგორც ადამიანთა აზროვნებისა და ურთიერთობის უმთავრესი საშუალება, არსებობს და ფუნქციონირებს იმდენად, რამდენადაც მასში არის *სიტყვები (ბერძნ.: lexis - სიტყვა)*. მათ გარეშე ჩვენ ვერ აღვნიშნავდით გარე სამყაროს ფრაგმენტებს და, მეორე მხრივ, ვერ შევადგენთ ვერც შესიტყვებას, ვერც წინადადებასა და ვერც ტექსტს. ამიტომაც უჭირავს სიტყვას ენობრივი სისტემის შემადგენელ ერთეულთა შორის ცენტრალური ადგილი.

ენის სიტყვათა ერთობლიობას *სიტყვათა მარაგი, ენის ლექსიკა (ლექსიკური ფონდი)* ეწოდება. განასხვავებენ ენის ლექსიკური ფონდის ორგვარ გაგებას: ერთი მხრივ, მასში მოიაზრება თანამედროვე ეტაპზე აქტიურ ხმარებაში მყოფი სიტყვები, რომელთა ერთობლიობასაც *აქტიურ ლექსიკურ ფონდს* უწოდებენ. მეორე მხრივ კი, ენის ლექსიკურ ფონდში იგულისხმება ენის ლექსიკის სრული მარაგი, რაც დაგროვდა მისი არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში. მას *თეზაურუსს* (ბერძნ. thesauros - განძი) უწოდებენ (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=15360>).

ამ ტერმინთან ახლოს დგას ახალი ტერმინი *ენის კორპუსი*, რომელშიც მოიაზრება ენის არსებობის მანძილზე შექმნილ ტექსტებში გამოყენებულ სიტყვათა და სიტყვაფორმათა (*ანუ ტოკენთა*) საერთო რაოდენობა. ამ გაგებით ქართული ენის საერთო ენობრივი კორპუსი დღევანდელი მონაცემების მიხედვით 100-ზე მილიონზე მეტი ტოკენის მომცველია (შდრ. ბრიტანული

ეროვნული კორპუსი - 100 მილიონი ტოკენი, სომხური ეროვნული კორპუსი - 110 მილიონი ტოკენი, რუსული ეროვნული კორპუსი - 150 მილიონი ტოკენი). მასში შესულია როგორც ქართული ენის ისტორიული მემკვიდრეობა (V-XVIII საუკუნეების ლიტერატურული და ისტორიული ძეგლები), ისე XIX-XX საუკუნეების ქართული ლიტერატურა და 90-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული პრესა (თანდაშვილი, 2014).

ლექსიკა ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგის – *ლექსიკოლოგიის* (ლათ. *lexis* – *სიტყვა*, *logos* – *მოძღვრება*) შესწავლის საგანია. ენის სიტყვათა მარაგი თავმოყრილია სხვადასხვა სახის ლექსიკონებში, რომელთა შედგენაც სპეციალური ლინგვისტური დისციპლინის – *ლექსიკოგრაფიის* სფეროა.

განასხვავებენ ზოგად, კერძო, ისტორიულ, შეპირისპირებით ლექსიკოლოგიას. *კერძო ლექსიკოლოგია* იკვლევს (აღწერს) ამა თუ იმ კონკრეტული ენის ლექსიკურ სისტემას, მის სტრუქტურას, შედგენილობას, სიტყვის მნიშვნელობას და ა.შ. ეს არის ფაქტობრივად აღწერითი ხასიათის ლინგვისტური დარგი, მაშინ როცა *ზოგადი ლექსიკოლოგია* განაზოგადებს კერძო ლექსიკოლოგიათა კვლევების შედეგებს, გამოავლენს ზოგად კანონზომიერებებს და მათ საფუძველზე აყალიბებს კონცეფციებს.

სიტყვას, როგორც საგნის სახელწოდებას, სწავლობს ლექსიკოლოგიის დარგი *ონომასიოლოგია* (onyma - „სახელი“). იგი ამოდის საგნიდან/ცნებიდან და იკვლევს მათთვის სახელის დარქმევის პრინციპებსა და თავისებურებებს. საკუთრივ ონომასიოლოგიური მიმართულების დარგებია *მოტივოლოგია* და *ეტიმოლოგია*, რომლებიც იკვლევენ საგანზე სახელის დარქმევის მოტივებს, სიტყვის წარმოშობას და ისტორიას, ამა თუ იმ კონკრეტული სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობას და ა.შ. საქმე ისაა, რომ სიტყვა, გარდა იმისა, რომ მნიშვნელობის

მქონე ენობრივი ერთეულია, იმავდროულად სახელწოდება-ცაა. აქედან გამომდინარე, უაღრესად საინტერესოა იმის ცოდნა, *გვკარნახობს თუ არა სიტყვა საგნისთვის სახელის დარქმევის მოტივს, საფუძველს*. ამ პრინციპის საფუძველზე განასხვავენ მოტივირებულ და უმოტივაციო სიტყვებს.

- *მოტივირებულია* სიტყვა, რომელიც ნათლად მიგვითითებს იმ ნიშანზე, რომლის საფუძველზეც იგი იქცა მოცემული საგნის (პროცესის, მოვლენის) სახელწოდებად. ასე, მაგ., მოტივირებულია სიტყვები: *ბაბუაწვერა, მრავალძარღვა, გულწითელა, ბოლოქანქარა, გუგული, სასადილო, სამასწავლებლო და ა.შ.*

არამოტივირებული ანუ უმოტივაციოა სიტყვა, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია იმ მოტივის დადგენა, რის საფუძველზეც იგი იქცა მოცემული საგნის (პროცესის, მოვლენის) სახელწოდებად. უმოტივაციოა, მაგალითად, სიტყვები: *ბე, ქვა, კლდე, დღე, ღამე, მიწა და ა.შ.* საერთოდ, რამდენადაც საგანს სახელი ერქმევა მისი ამა თუ იმ ნიშან-თვისების საფუძველზე, ენაში თეორიულად ენაში უმოტივაციო სიტყვა არ არსებობს. უბრალოდ, ხშირ შემთხვევაში ენის განვითარების კონკრეტულ ეტაპზე ეს მოტივი აღარ ჩანს, დაჩრდილულია. ამიტომ ვუწოდებთ მას უმოტივაციოს და არა იმიტომ, რომ იგი აბსოლუტურად მექანიკურად იქცა საგნის სახელწოდებად (თუმცა ასეც შეიძლება მოხდეს). მაშასადამე, თუ ჩავუღრმავდებით სიტყვის ისტორიას, აღმოვაჩენთ, რომ ენის განვითარების რომელიღაც ეტაპზე იგი მოტივირებული იყო. ასე, მაგალითად:

- სიტყვა *კურცხალი* ნ. მარის ვარაუდით, უკავშირდება ფუძეებს *ყურს და წყალს*.

- სიტყვა *სროლა* – უკავშირდება სიტყვას *ისარი* და თავდაპირველად მხოლოდ ისრის ტყორცნას ნიშნავდა. სხვათა შორის, ანალოგიურია ამ სიტყვის რუსული ეკვივალენტიც *стрелять*.
- რუსული სიტყვა *окно* დღეისთვის უმოტივაციოა, რადგან აქტიურ ხმარებაში აღარაა სიტყვა *окно* (თვალი).
- ინგლისური *mermaid* დაკავშირებულია ფუძეებთან *mer* და *maid*.

სიტყვის მოტივაციის ამ გზით დადგენას მისი *ეტიმოლოგიური ანალიზი* ჰქვია, რაც შესაბამისი ლინგვისტური დისციპლინის - *ეტიმოლოგიის* შესწავლის საგანია. საკუთრივ მოტივის დადგენის პროცესს კი *მოტივაციური ანალიზი* ეწოდება, რაც ონომასიოლოგიის ერთ-ერთი დარგის - *მოტივოლოგიის* შესწავლის ობიექტია. სიტყვის მოტივირების ცნება პირდაპირ კავშირშია სიტყვის *შინაგანი ფორმის და მოტივაციური მნიშვნელობის* ცნებებთან. მათში მოიაზრება სიტყვის არა მთლიანი მნიშვნელობა, არამედ ამ მნიშვნელობის მხოლოდ ის კომპონენტი, რომელიც სიტყვის მოტივაციას ახდენს. თუ სიტყვა მოტივირებულია, მაშინ ვამბობთ, რომ მას *გამჭირვალე შინაფორმა აქვს*, რადგან მასში კარგად ჩანს საგნის ის ნიშანი, რომლის საფუძველზეც შეერქვა სახელი. მას *მოტივირების ნიშანი* ჰქვია. მაგ.: *ბოლოქანქარა* ჩიტია, რომელიც კუდის ბოლოს მუდამ აქანებს. *გულწითელა* ჩიტია, რომელსაც გულის მხარეს ბუმბული წითელი აქვს, *გულყვითელას* კი – ყვითელი; *მრავალძარღვას* მრავლად დამარღვეული ფოთოლი აქვს; *ხარისფაშვა* - სოკოა ხარის ფაშვივით დანაოჭებული ზედაპირით; „*medebs*“ - „თაფლიჭამია“, *corn snake* - გველი, რო-

მელიც სიმინდში იმალება, buttercup - ასახავს მცენარის ფორმას და ფერს და ა.შ.

თუ სიტყვა არ არის მოტივირებული, მაშინ ვამბობთ, რომ მას *შინაფორმა გაუმჭირვალე* აქვს და, შესაბამისად, სახელის დარქმევის მოტივის დადგენა ენის განვითარების მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სახელის დარქმევის მოტივს იკვლევს ცალკე დარგი - *ეტიმოლოგია*, რომლის ძირითად ამოცანად სიტყვის ისტორიის დადგენას მიიჩნევენ. ეტიმოლოგია სიტყვის მარტივ ფუძეში მოცემულ დახასიათებას ეძიებს, ფუძის გამოყოფა კი სიტყვის სწორ ანალიზზეა დამოკიდებული. ეს დიდად უწყობს ხელს „უტყვი ფუძის ამეტყველებას“: მაგალითად: „*რბილი*“ მიღებულია „*ლბილი*“-საგან და, მაშასადამე, ლბობის წარმოდგენა უდევს მას საფუძვლად: *რბილი=დალბობილი*. ამავე დროს, თუ სიტყვის ბგერით შემადგენლობაში მომხდარი ცვლილება გათვალისწინებული არ არის, *სიტყვის სწორი ანალიზი მხოლოდ შემთხვევით შეიძლება იყოს სწორი*. და შეცდომამდე მიგვიყვანოს. მაგალითად, თბილისში ვარაზის ხევისა და ვერეს შესართავთან არის „*ფიქრის გორა*“: თითქოს ნათელია ამ სახელწოდების ეტიმოლოგია, თუმცა, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, ის უკავშირდება შესიტყვებას „*ფეიქრის გორა*“; პირველ სიტყვას გამოაკლდა „*ე*“ და „*ფეიქარი*“ წარმოგვიდგა „*ფიქრის*“ სახით. მეცნიერული ანალიზის გარეშე სიტყვის უშუალო გააზრებას *ხალხურ ეტიმოლოგიას* უწოდებენ. ამის ნიმუში მრავლად გვხვდება ყველგან: ასე, მაგ., ხალხური ეტიმოლოგიით: *სამტრედია* - „სამი მტრედია“, *თელავი* - სომხ. „თე ლავ(ე)“, თუ კარგია“, *რაჭა* - რა ჭაა?! *იორი* - „იორა, ერთი იყო და ორად იქცაო“ (ვახუშტი), ე. ი. იორი ალაზანს შვერთოო და სხვ. სიტყვის ნებისმიერი დაშლა და მიღებული ნაწილების ნებისმიერი გააზ-

რება ე. წ. ხალხური ეტიმოლოგიის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია. *მეცნიერული ეტიმოლოგიის* მიზანია აღკვეთოს ნებისმიერება, როგორც სიტყვის ანალიზში, ისე შემადგენელ ნაწილთა გააზრებაში. სიტყვის ეტიმოლოგიური გააზრებისას აუცილებელია კულტურულ-ისტორიული რეალების გათვალისწინება (ჩიქობავა, 2008: 167-168).

სემასიოლოგია ანუ სემანტიკა (sema – „მნიშვნელობა“) კი ამოდის სიტყვიდან და იკვლევს მის მნიშვნელობას, რომელსაც ასევე *სემანტიკასაც* უწოდებენ (ე.ი. ტერმინი *სემანტიკა* ნიშნავს სიტყვის მნიშვნელობასაც და მის შემსწავლელ დარგსაც – *სემასიოლოგიას*).

სიტყვის გარესამყაროსთან მიმართებებს იკვლევს აგრეთვე *ფრაზეოლოგია*, რომელიც იკვლევს თითქმის იმავე პრობლემატიკას, რასაც ლექსიკოლოგია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მისი შესწავლის ობიექტია არა ცალკე აღებული სიტყვა, არამედ მყარი შესიტყვება *ანუ ფრაზეოლოგიზმი*.

10.2. სიტყვის განმარტების პრობლემა

ლექსიკოლოგია იძლევა პასუხებს ორ მთავარ კითხვაზე:

- რა არის სიტყვა, როგორც შინაარსის, მნიშვნელობის მქონე ერთეული;
- რას წარმოადგენს ენის ლექსიკა, როგორც სისტემა.

რა არის სიტყვა? მიუხედავად იმისა, რომ სამეტყველო ნაკადს ყოველგვარი ლინგვისტური ცოდნის გარეშეც ძალიან კარგად ვანაწევრებთ სიტყვებად, ძალიან ძნელია იმის დაზუსტებით თქმა, თუ რა არის სიტყვა. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ისევე რთულია, როგორც კითხვაზე, თუ რა არის ენა. ამავე

დროს ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი პასუხი არ არსებობს. პასუხები არის, თანაც უამრავი. მოვიშველიოთ ზოგიერთი მათგანი:

- „სიტყვა არის გაბმული მეტყველების უმცირესი ნაწილი“, ... ეს არის დანაწევრებული ბგერა, **რომელიც რაღაც მოფიქრებულს გამოხატავს**“ (დიონისე თრაკიელი, II ს. ძვ. წ.);
- „სიტყვა ენის უმნიშვნელოვანესი ერთეულია, რომელიც აღნიშნავს სინამდვილის ან ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების მოვლენებს და ერთნაირად გაიგება ერთ ენაზე და ისტორიულად ერთმანეთთან დაკავშირებულ ადამიანთა კოლექტივის მიერ“ (ა. სმირნიცკი);
- „სიტყვა წარმოადგენს დანაწევრებული ბგერისა და მნიშვნელობის ერთიანობას“- (ა. პოტებნია);
- „სიტყვა არის ენის ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეული, რომელიც გამოიყენება, საგნების, მათი ნიშან-თვისებების, მოვლენების და რეალურ სინამდვილეში არსებული მიმართებების სახელდებისთვის, რომელსაც აქვს თითოეული კონკრეტული ენისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფონეტიკური, სემანტიკური და გრამატიკული თვისებები“ (ლელ, 1998).

როგორც არ უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან სიტყვის განმარტებები, მათ აქვთ ერთი მნიშვნელოვანი საერთო მომენტი: თითოეულ მათგანში სიტყვა გაგებულია როგორც ორმხრივი ბუნების ერთეული: **სიტყვა გარეგანი და შინაგანი პლანის ერთობლიობაა, დიქოტომაა**. მისი გარეგანი ფორმა (მატერიალური პლანი) ბგერითი გარსი ანუ ჟღერადობაა (ან გრაფიკული გამოხატულება), ხოლო შინაგანი ფორმა – შინაარსობრივი მხარეა. ამავე დროს გარეგანი და შინაარსობრივი

მხარეების ერთიანობა არ არის მხოლოდ სიტყვის დამახასიათებელი ნიშანი. ამ ნიშნით ხასიათდება შესიტყვებაც, წინადადებაც და ტექსტიც. ამიტომ საჭიროა მკაფიოდ გამოიკვეთოს ის ნიშნები, რომლებიც მხოლოდ სიტყვისათვისაა დამახასიათებელი და რომლებიც განასხვავებენ მას სხვა ენობრივი ერთეულებისაგან. სიტყვა განსხვავდება:

- **ფონემისგან** - *ორპლანიანობით*, ორმხრივი ბუნებით, ნიშნურობით. სიტყვა ბგერისა და მნიშვნელობის ერთიანობაა, ფონემა - არა, ანუ სიტყვა ორპლანიანი ენობრივი ერთეულია, ფონემა კი ერთპლანიანი;
- **მორფემისგან** - *თავისთავადობით ანუ დამოუკიდებლობით*. სიტყვა დამოუკიდებელი ერთეულია, მორფემა სიტყვის შემადგენლობაშია;
- **შესიტყვებისგან** - *კვლავწარმოებადობით და სინთეზურობით*. სიტყვა კვლავწარმოებადი ერთეულია, მას ყოველ ჯერზე კი არ ვაგებთ, არამედ მზამზარეულს ვიმახსოვრებთ, შესიტყვებებს ყოველ ჯერზე ვაგებთ (გარდა მყარი შესიტყვებების ანუ ფრაზეოლოგიზმებისა). **სინთეზურობა** - სიტყვის ერთ მთლიანობას გულისხმობს, მაშინ როცა შესიტყვება ერთზე მეტი ბგერათკომპლექსისგან შედგენილი ანუ ანალიტიკური ერთეულია.
- **წინადადებისგან** - *ნომინაციურობით*. სიტყვა ნომინაციური ერთეულია, ის საგნის სახელია, წინადადება კი კომპლექსური-პრედიკაციული ერთეულია.

სიტყვა სხვა ნიშნებითაც ხასიათდება, რომელთა დეტალურად განხილვასაც აქ არ შევუდგებით. რა ნიშანიც არ უნდა მივიჩნიოთ სიტყვისა და დანარჩენ ენობრივ ელემენტთა ერთმანეთისგან განსხვავების საფუძვლად, *მისი განმარტების პრობლემა მაინც პრობლემად რჩება*. ავიღოთ, მაგალითად, ერთ-ერთი

უმთავრესი კრიტერიუმი, რითაც სიტყვა სხვა ენობრივი ერთეულებისგან განსხვავდება - *მისი ნომინაციური ფუნქცია*. ასეთ შემთხვევაში რა ვუყოთ სიტყვებს, რომლებიც საგანს კი არ აღნიშნავენ, არამედ მასზე მხოლოდ მიგვითითებენ (მაგ. ნაცვალსახელები, რომელთა ფუნქციაც არის არა ნომინაცია, არამედ **დეიქსისი** ანუ მითითება)? რა ვუყოთ მნიშვნელობის არმქონე ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა კავშირი, ნაწილაკი, წინდებული (თანდებული), რომელთაც მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აკისრიათ? არიან თუ არა ისინი სიტყვები? სწორედ ამის გამო ბევრი მეცნიერი იმ დასკვნამდეც კი მივიდა, რომ **„სიტყვის ერთი ზოგადი, ყველა ენისთვის მისაღები განმარტების გაკეთება შეუძლებელია“** (ჟ. ვანდრიესი) უფრო მეტიც, იმასაც კი წერენ, რომ **ჩვენ არ ვიცით რა არის სიტყვა** (დლონტი, 1988: 7). ლინგვისტები თანხმდებიან მხოლოდ იმაზე, რომ **ზოგადად სიტყვა, როგორც ასეთი, არ არსებობს, ლინგვისტიკამ უნდა მოგვეცეს ცალკე-ცალკე „ფონეტიკური სიტყვის“, „გრამატიკული სიტყვის“, „ლექსიკური სიტყვის“ განმარტება.** (შმელიოვი, 1977: 82).

გრაფიკულ (ორთოგრაფიულ) სიტყვაზე, უფრო ზუსტად, გრაფიკული გაგებით სიტყვაზე ვსაუბრობთ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი მიზანია სიტყვის ამოცნობა ნაწერ ტექსტში (ანუ ასო-ნიშანთა ნაკადში). ამ შემთხვევაში სიტყვა არის „ასო-ნიშანთა (გრაფემათა) ერთიანი კომპლექსი, რომელიც სხვა მსგავსი კომპლექსებისგან გამოიყოფა მანძილებით, საკუთრივ სიტყვის შემადგენელი ასო-ნიშნები კი არანაირი მანძილით არ არიან ერთმანეთისაგან გამოყოფილი“ (ენის თეორია).

ფონეტიკური სიტყვა (სიტყვა ფონეტიკური გაგებით) ეს არის სამეტყველო ნაკადის ნაწილი (მონაკვეთი, სეგმენტი) პაუზიდან პაუზამდე, ერთიანი აზრობრივ-ინტონაციური მთლიანობა, რომლის მეშვეობითაც ენა საგნებს სახელებს არქმევს.

ფონეტიკური სიტყვა ძირითადად (მაგრამ არა ყოველთვის) ემთხვევა გრაფიკულ სიტყვას. მაგ. რუსული |сказал бы| - ფონეტიკური თვალსაზრისით ერთი მთლიანი სიტყვაა, ორთოგრაფიული თვალსაზრისით კი - ორი.

მორფოლოგიური სიტყვა (სიტყვა მორფოლოგიური გაგებით) არის სიტყვის გრამატიკული ფორმა (ფორმაცვალება-დობის შემთხვევაში).

ლექსიკოლოგიაში საუბარია **ლექსიკურ სიტყვაზე**, რასაც ლინგვისტები **ლექსემას** უწოდებენ. „**ლექსემა ანუ ლექსიკური სიტყვა - ეს არის დამოუკიდებელი სიტყვა, დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი, რომელიც მიგვითითებს საგანზე (მოვლენაზე, მიმართებაზე) ან აღნიშნავს ცნებას საგნის (მოვლენის, მიმართების) შესახებ და აქვს უნარი იყოს წინადადების წევრი**“ (კოდუხოვი, 1987: 160). ლექსემა ენობრივი ერთეულია, ის დაფიქსირებულია ლექსიკონებსა და ამ ენაზე მოსაუბრეთა გონებაში, მენტალობაში. ის მნიშვნელობის მქონე ერთეულია, მეტყველების ერთ-ერთი დამოუკიდებელი ნაწილია. ამ თვალსაზრისით მას **ვოკაბულასაც (ლათ. vocabulum „სიტყვა“)** უწოდებენ, შესაბამისად, ლექსიკონს - **ვოკაბულარს**.

როგორც ვხედავთ, სიტყვის სრულყოფილი შესწავლა მხოლოდ ლექსიკოლოგიით ვერ შემოიფარგლება. მას სწავლობს ენის შინაგანი სტრუქტურის შემსწავლელი დისციპლინის თითქმის ყველა დარგი.

- სიტყვა როგორც ფორმების ერთობლიობა **მორფოლოგიის** შესწავლის ობიექტია.
- სიტყვათა შეკავშირების წესებსა და ხერხებს **სინტაქსი** სწავლობს.
- სიტყვის ბგერითი ბუნება და შედგენილობა **ფონეტიკისა** და **ფონოლოგიის** შესწავლის სფეროა;

- სტრუქტურა – *მორფემიკისა*.
- რაც შეეხება *ლექსიკოლოგიას*, იგი სიტყვას იკვლევს გარე სამყაროსთან მიმართებით: ერთი მხრივ, სიტყვას, როგორც საგნის სახელწოდებას და მეორე მხრივ, სიტყვას, როგორც შინაარსის მქონე ერთეულს.

10.3. ლექსემა და ლექსა, სიტყვაფორმა და ალოლექსი

ლექსემა სრულმნიშვნელობიანი (დამოუკიდებელი, ცნებითი, თავისთავადი) სიტყვაა. მას დამოუკიდებლად შეუძლია შექმნას გამონათქვამი. ტრადიციულად მათ რიცხვს მიაკუთვნებენ *სახელებს (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი), ზმნას და ზმნიზედას*. ისინი შეიძლება აღნიშნავდნენ:

- კონკრეტულ მატერიალურ საგნებს (ხე, ქვა, უნივერსიტეტი, ლექტორი);
- აბსტრაქტულ, მატერიალურ ცნებებს (მეგობრობა, სიყვარული, ფიქრი);
- ნივთიერებებს (ცარცი, შაქარი, წყალი, მარილი);
- ნიშან-თვისებებს (თეთრი, შავი, ტკბილი, მწარე, მაღალი, დაბალი);
- რაოდენობას, რიგს, ნაწილს (ერთი, ათი ასი, მეხუთე, მეხუთედი და ა.შ.);
- მოქმედებას, პროცესს, მდგომარეობას (სწავლობს, კითხულობს, დნება, იყინება);
- მოქმედების ადგილს, დროს, ვითარებას და სხვა (აქ, იქ, დღეს, ხვალ, კარგად, ცუდად და სხვა);

ბევრი ლექსემა არა მხოლოდ სახელწოდებაა სამყაროს ამა თუ იმ ფრაგმენტისა, არამედ შეიცავს მის ერთგვარ *შეფასება-*

დაბასიათებასაც (კაცი - კაცუნა, დედა - დედიკო, dad-daddy, dog-doggie და ა.შ.).

ამავე დროს, არის უამრავი სიტყვა, რომელთაც არ აქვთ ნომინაციური ფუნქციები, რის გამოც ისინი არ არიან ლექსემები, მათ **არალექსემებს** უწოდებენ. ასეთია მაგალითად, **დეიქსის** ანუ მითითების ფუნქცია, რაც აქვთ ნაცვალსახელებს. არის სიტყვები, რომლებიც მხოლოდ **მოდალურ** ფუნქციებს ასრულებენ (ანუ გამოხატავენ მთქმელის დამოკიდებულებას ნათქვამისადმი - *მგონი, ალბათ, როგორც ჩანს* და ა.შ). მრავლადაა სიტყვები, რომლებსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობები არ აქვთ და ასრულებენ მხოლოდ **დამხმარე ფუნქციებს** (კავშირები, თანდებულები/წინდებულები, ნაწილაკები).

ამრიგად, ის, რასაც ჩვენ სიტყვას ვუწოდებთ, ლექსიკოლოგიისათვის ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს სიტყვა, მეორე შემთხვევაში - არა. გვაქვს **სიტყვა-ლექსემა**, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა და **სიტყვა-არალექსემა**, რომელსაც დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა არ აქვს.

გარდა ტერმინისა **ლექსემა**, არის ტერმინი **ლექსა**, რომელიც მეტყველებაში ლექსემის კონკრეტული რელიზაციაა, ვარიანტია. ისევე როგორც მეტყველებაში წარმოვთქვამთ არა ფონემებს, არამედ ფონებს, ამ შემთხვევაში წარმოვთქვამთ არა ლექსემებს, არამედ ლექსებს. შესაბამისად, ლექსემა არის სიმრავლე, **ლექსათა ერთობლიობა**, ხოლო ლექსა - ამ სიმრავლის ერთ-ერთი კონკრეტულ წევრი.

ლექსემა აერთიანებს არა მხოლოდ ლექსებს, არამედ თავისივე გრამატიკულ ფორმებს (ანუ სიტყვაფორმებს). ამიტომაცაა, რომ ამ შემთხვევაში ლექსას სიტყვაფორმასთანაც აიგივებენ: **„ისეთ ლექსათა სიმრავლეს, რომლებიც მხოლოდ ფლექსიური**

მნიშვნელობით განსახვავდებიან ერთმანეთისგან, ლექსემა ეწოდება“ (გამყრელიძე, 2008: 347). - ამ განმარტების მიხედვით ლექსემა აერთიანებს გრამატიკულ ფორმებს (*წიგნი, წიგნმა, წიგნს, წიგნის და ა.შ.*), რომელთაგანაც კონკრეტულ სამეტყველო აქტში ხდება ერთი რომელიმე კონკრეტული ფორმის რეალიზაცია (ვკითხულობ *წიგნს*, წავიკითხე *წიგნი*, ამ *წიგნმა* გამიტაცა და ა.შ.). მაშასადამე, ამ შემთხვევებში *ლექსა ემთხვევა სიტყვა-ფორმას*, ამიტომ მათ *ლექსა-სიტყვაფორმები* ეწოდება.


არის შემთხვევები, როცა ლექსემა მეტყველებაში წარმოდგენილია ორი სიტყვით: მაგ. *გაგ ზავნილ იქნა – (ქართ); сыбы ушамы – (რუს.), est venu მოვიდა (ფრანგ.); has read წაიკითხა (ინგლ).* როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში სიტყვის გრამატიკული ფორმა გამოხატულია არა სინთეზურად, არამედ ანალიტიკურად, ამიტომ ასეთ ლექსას *ლექსა-შესიტყვება* ეწოდება. გარდა ტერმინისა *ლექსა*, არის ტერმინი *ალოლექსი*, რომელიც *ლექსას* სინონიმად შეიძლება ჩაითვალოს: *„ერთი ლექსების წარმომადგენელ ლექსებს ალოლექსები ეწოდება“* (გამყრელიძე, 2008: 347).

ამრიგად, *„ტერმინები ლექსემა და სიტყვა“* ერთი და იგივე არ არის“ (კოდუხოვი, 1987: 160); არის სიტყვები, რომლებიც არ შეიძლება ჩაითვალოს ლექსემებად. შესაბამისად, არანაირი გაკვირვება არ უნდა გამოიწვიოს იმან, რომ წინადადებაში სიტყვათა და ლექსემათა რაოდენობა შესაძლებელია ერთმანეთს არ დაემთხვეს, რაც კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში:

- *„დღე და ღამე გათანაბრდა“* - ოთხი სიტყვაა, მაგრამ ლექსემა სამია;
- *„ადამიანი ადამიანის მეგობარია“* - სამი სიტყვაა, ლექსემა კი ორია;

- „მეგობრებიც კი ვერ მოვიდნენ“ - სიტყვა ოთხია, ლექსემა - ორი და ა.შ.

მაშასადამე, მივიღეთ სქემა:




10.4. სიტყვის მნიშვნელობის სახეები. ლექსიკური მნიშვნელობა

სანამ კონკრეტულად ლექსიკური მნიშვნელობის ცნებას განვიხილავთ, საჭიროა ვიცოდეთ, ზოგადად რა არის მნიშვნელობა და რა სახის მნიშვნელობები არსებობს.

სიტყვის მნიშვნელობის განმარტება ერთ-ერთი ურთულესი ლინგვისტური პრობლემაა, რასაც განაპირობებს ის, რომ მნიშვნელობა დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე, როგორცაა:

კონკრეტული კონტექსტი (ბავშვი ტირის, ბუნება ტირის), მოსაუბრის დამოკიდებულება აღსანიშნისადმი ანუ პრაგმატული ფაქტორი (დედა - დედიკო), ლოგიკური აზროვნების კანონზომიერებები და უამრავი სხვა (გამყრელიძე, 2008: 336). **ტერმინი „მნიშვნელობა“ ნიშნისგან, აღნიშვნისაგან მოდის.** ის სიტყვის „შიგთავსს“, შინაარსს აღნიშნავს, რომელსაც ქმნიან მისი სხვადასხვა სახის მიმართებები, კერძოდ, ერთი მხრივ, გარესამყაროსთან, მეორე მხრივ კი - სხვა სიტყვებთან:



სიტყვის ორი სახის მნიშვნელობას, მისი შინაარსის ორ კომპონენტს: გარესამყაროსადმი მიმართება - ლექსიკურ მნიშვნელობას, სემანტიკას, ხოლო სხვა სიტყვებისადმი მიმართება - გრამატიკულ მნიშვნელობას.

ზოგადად, ენობრივი ერთეულის გარესამყაროსადმი მიმართება აღნიშნება ტერმინით „**რეფერენცია**“. უშუალოდ სიტყვის მიმართება კი - ტერმინით „**ნომინაცია**“. მიმართებათა ამ სახეს **სემანტიკური მიმართებები ეწოდება**. მათ სქემატურად ასახავს

ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი *სემანტიკური სამკუთხედი (ანუ რიჩარდს-ოგდენის სამკუთხედი)*, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ სიტყვის საგანთან მიმართება არის არა უშუალო, არამედ გაშუალედებულია *ცნებით*.

ამრიგად, სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა - *„ეს არის აზრი საგნის ან მოვლენის შესახებ“* (ნებიერიძე, 1991: 218). *„ეს არის სიტყვის შინაარსი, ანუ მოცემული ენის მატარებელთა ცნობიერებაში ასახული და დაფიქსირებული ერთგვარი წარმოდგენა საგნის, მისი თვისების, პროცესის, მოვლენის და ა.შ შესახებ* (ლელ, 1998).


რაც შეეხება სიტყვის მიმართებებს სხვა სიტყვებთან, ისინი ქმნიან სიტყვის *გრამატიკულ მნიშვნელობას*. მასზე ჩვენ დაწვრილებით გრამატიკის განხილვისას ვისაუბრებთ. აქ კი აუცილებელია იმის ხაზგასმა, *რომ ლექსემა ენობრივი სისტემის ერთეულია და არა სამეტყველო ნაკადისა*. სამეტყველო ნაკადში ის ამა თუ იმ კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი (კვითხულობ *წიგნს*, წავიკითხე *წიგნი*, მოეწყო *წიგნის* განხილვა და ა.შ.). მაშასადამე, ლექსემა წარმოდგენილია ფორმების ერთობლიობით (*წიგნი, წიგნმა, წიგნს, წიგნის, წიგნებს, წიგნებით და ა.შ.*), რომლის თითოეულ წევრსაც აერთიანებს საერთო ლექსიკური მნიშვნელობა. ამავე დროს, მათ შორის ფორმოზრვის გარდა, *გარკვეული შინაარსობრივი განსხვავებაც არის*. ჩვენ ვერ ვიტყვით, *წიგნმა კვითხულობ, წიგნს წავიკითხე, წიგნის განვიხილეთ* და ა.შ. მაშასადამე, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან არა მხოლოდ ფორმით, არამედ მნიშვნელობითაც, თუმცა *ამ მნიშვნელობის ცვლა საგნობრივ მიმართებას ანუ ლექსიკურ მნიშვნელობას ვერ ცვლის*. მნიშვნელობის ამ სახეს უწოდებენ *გრამატიკულ მნიშვნელობას*.

ამრიგად, გრამატიკული მნიშვნელობა არის ერთი ლექსემის თითოეული გრამატიკული ფორმის ის კონკრეტული მნიშვნელობა, რომლითაც ხდება მისი რეალიზაცია მოცემულ კონკრეტულ კონტექსტში შინაარსის ცვლის გარეშე. ლექსიკური მნიშვნელობა კონკრეტულ ლექსემას თავისი, საკუთარი აქვს და, შესაბამისად, ის ინდივიდუალურია (*წიგნი, რვეული, კალამი, დაფა, ბლოკნოტი*). გრამატიკული მნიშვნელობა სხვადასხვა ლექსემის ფორმებს აერთიანებს, ის ზოგადია. ასე მაგალითად, სახელობითი (მოთხრობითი, მიცემითი და ა.შ) ბრუნვის მნიშვნელობა აქვს ყველა არსებით სახელს და არა ერთ რომელიმე ცალკე აღებულს (*წიგნმა, რვეულმა, კალამმა, დაფამ, ბლოკნოტმა და ა.შ*).

გრამატიკულ და ლექსიკურ მნიშვნელობებს შორის არის შუალედური რგოლი, რომელსაც *კატეგორიულ (ანუ სიტყვათა ამ თუ იმ კატეგორიის) მნიშვნელობას* უწოდებენ, რომლის მიხედვითაც ენის ლექსიკას უმსხვილეს კატეგორიებად (კლასებად) - *მეტყველების ნაწილებად* ყოფენ. მნიშვნელობის ამ სახეს ზოგჯერ *ლექსიკურ-გრამატიკულს მნიშვნელობასთან აიგივებენ*, თუმცა, როგორც წესი, ლექსიკურ-გრამატიკულ ჯგუფებად ვყოფთ არა ენის ლექსიკის მთლიან ფონდს, არამედ კონკრეტული მეტყველების ნაწილში მოქცეულ სიტყვებს. (მაგ. სულიერი და უსულო არსებითი სახელები რუსულში, „ვინ“ ჯგუფისა და „რა“ ჯგუფის არსებითი სახელები ქართულში, მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის არსებითი სახელები რუსულში და ა.შ.). ანალოგიური სიტუაციაა ენის ლექსიკის მეტყველების ნაწილებად დაყოფის შემთხვევაშიც, ოღონდ აქ კლასიფიკაციის ობიექტია ენის ლექსიკის მთლიანი ფონდი. თითოეულ მეტყველების ნაწილს აერთიანებს როგორც განზოგადებული ლექსიკური მნიშვნელობა (საგნობრიობა - არსებით

სახელებს, თვისებრიობა - ზედსართავს, პროცესუალობა - ზმნას და ა. შ.), ისე საერთო გრამატიკული ნიშნები (სახელებისათვის ბრუნვა და რიცხვი, ზმნისათვის პირი და რიცხვი და ა.შ.).

ამრიგად, გვაქვს სიტყვის მნიშვნელობის შემდეგი სახეები:



სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას ქმნის *ცნება*, რომელიც ხშირად მოცულობით ემთხვევა ლექსიკურ მნიშვნელობას. ამის გამო ბევრი ენათმეცნიერი მათ ერთმანეთთან აიგივებს: *„სიტყვის მნიშვნელობა ცნებაა და არა უბრალო მიმართება ბგერებისა საგანთან ... სიტყვის მნიშვნელობა სწორედ ცნებაა ...“* (ნებეირიძე, 1991: 210, 211).

ცნებასა და სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას შორის ერთ-ერთი მთავარ განმასხვავებელ ნიშნად ასახელებენ იმას, რომ *ცნება უნივერსალურია*, იგი საერთოა სხვადასხვა ენის მატარებელთათვის. მსჯელობასა და დასკვნასთან ერთად იგი ლოგიკურ კატეგორიათა რიცხვს მიეკუთვნება, მას ლოგიკა განიხილავს, სიტყვის მნიშვნელობა კი ლინგვისტიური კატეგორიაა და კონკრეტული ენისა და კონკრეტული სიტყვის კუთვნილებათა, შესაბამისად ის ლინგვისტიკის შესწავლის ობიექტია. ცნებათა ერთიანობას, უნივერსალურობას განაპირობებს ის, რომ *„აღამიანები არსებითად ერთნაირად აცნობიერებენ გარეენობრივ სინამდვილეს. ასე რომ არ ყოფილიყო, სხვადასხვა*

ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლები ერთმანეთს ვერ გაუგებდნენ. ვერ მოხერხდებოდა ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა. შეუძლებელი გახდებოდა უცხოური ენის შესწავლაც“ (გამყრელიძე, 2008: 344). ამავე დროს, ცნების კონკრეტულ ენებში რეალიზაცია, როგორც წესი, აბსოლუტურად ერთნაირად არ ხდება. ასე მაგალითად, სიტყვის „ძმა“ ცნება უნივერსალურია, მაგრამ ის სხვადასხვაგვარად არის რეალიზებული სხვადასხვა ენაში. ინგლისური, რუსული და ქართული სიტყვების *brother-ბრამ-ძმა* ლექსიკური მნიშვნელობები ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა ქართულში არ გვაქვს სიტყვა *братодный брат*, ქართულ სიტყვას *ძმა* ეს მნიშვნელობა არ აქვს. ამ მნიშვნელობით ქართულში გამოიყენება სიტყვები: *ბიძაშვილი*, *დეიდაშვილი*, (აჭარულ დიალექტში არის აგრეთვე სიტყვა *ტაიაშვილი*, ანუ *დედის ძმისშვილი*. - ავტ.) (ინგლისურში - cousin), რომლებიც შეიძლება იყვნენ არა მხოლოდ ვაჟები, არამედ გოგონებიც (ნებიერიძე, 1991: 214).

მიუხედავად იმისა, რომ ცნებისა და ლექსიკური მნიშვნელობის სხვადასხვაობა აშკარად თვალში საცემია, მათ შორის გადაულახავი უფსკრულიც არ არის და ვერც იქნება, რადგან *„მნიშვნელობა და ცნება ერთი კონცეპტუალური სისტემის ორი მხარეა. ერთი მიმართულია ნიშნისკენ, მეორე გარესამყაროსკენ“* ... (გამყრელიძე, 2008: 336).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არის გარკვეული აზრი, ინფორმაცია, ცოდნა უშუალოდ აღსანიშნი ობიექტის (ანუ დენოტატის) შესახებ. ლექსიკური მნიშვნელობის ამ სახეს *კოგნიტური* (ლათ. cognitio „შემეცნება“) (ანუ *რეფერენტული, ცნებითი, დენოტანური, ლოგიკური, საგნობრივი*) *მნიშვნელობა ეწოდება*.

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება გადმოგვემდეს ინფორმაციას იმის შესახებაც, თუ როგორია მოლაპარაკე სუბიექტის დამოკიდებულება **დენოტატის** მიმართ, მის შეფასებას (ბიჭი-ბიჭუნა, მამა-მამიკო, და-დაიკო, mother-mummy/mommy, და ა.შ). ამ სახის ლექსიკურ მნიშვნელობას **პრაგმატულ მნიშვნელობას უწოდებენ**.

სიტყვას შეიძლება ჰქონდეს ერთდროულად როგორც კოგნიტიური, ისე **პრაგმატული მნიშვნელობა**, ან ერთ-ერთი მათგანი (გამყრელიძე, 2008: 339). ასე მაგალითად, მხოლოდ პრაგმატული მნიშვნელობის მატარებელია შორისდებული, იგი ცნებებს არ გამოხატავს. ამავე დროს პრაგმატული ელემენტი შეიძლება შეიძინოს ნებისმიერმა სიტყვამ, თუმცა ეს მნიშვნელობა განპირობებული იქნება კონტექსტით (*მოვიდა - მოეთრია - მოშავდა - მობრძანდა; depart, decease, pass away, take a dirt nap*).

კოგნიტიური (დენოტატური) მნიშვნელობა შეიძლება იყოს **პირდაპირი (ნომინაციური) და გადატანითი (მეტაფორული)**. პირდაპირია მნიშვნელობა, რომელიც უშუალოდ მიუთითებს აღსანიშნულზე (*ადამიანის თავი*), ხოლო გადატანითია მნიშვნელობა, რომლის მეშვეობითაც საგნის სახელდება ხდება ერთი საგნის ნიშან-თვისების მეორე საგანზე მეტაფორული ან მეტონიმური გადატანის საფუძველზე (*ქალაქის თავი, ბუნტის თავი, ყველაფრის თავი და თავი, სოფლის თავი, hothead, airhead, head of the village*).

ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება იყოს აგრეთვე **თავისუფალი ან კონტექსტუალური**. თავისუფალია მნიშვნელობა, რომელიც სიტყვას დამოუკიდებლად აქვს და არაა დამოკიდებული კონტექსტში სხვა სიტყვებთან მიმართებით, მაგ. „*მეზობელმა მერიაში წერილი წაიღო*“. კონტექსტუალურ მნიშვნელობას კი სიტყვის გამოყენების კონტექსტი ქმნის.

სიტყვათა მყარი შეთანხმების ანუ ფრაზეოლოგიზმის შემთხვევაში გვექნება *ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა*, მაგალითად, „*მეზობელმა წერილი წაიღო*“ („გარდაიცვალა“), ხოლო თავისუფალი კონტექსტით განპირობებულ მნიშვნელობას, *სინტაქსურად განპირობებულს უწოდებენ*: „*ეს ხატი ჩემი დაწერილია (ანუ დახატულია)*“.

ამრიგად, სიტყვის მნიშვნელობათა კლასიფიკაცია სქემატურად შემდეგი სახით შეიძლება გამოისახოს:

ეს სქემა, ცხადია, არ არის სრულყოფილი და ამომწურავი, თუმცა სიტყვის მნიშვნელობის შესახებ ზოგად წარმოდგენას ის უდავოდ იძლევა.

10.5. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის სტრუქტურა

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ანალიზის შედეგად გამოიყოფა უმარტივესი, დაუშლადი ელემენტები, რომლებსაც *სემებს* უწოდებენ. ასე, რომ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა სემათა ერთობლიობაა და ამ თვალსაზრისით მას *სემემას* უწოდებენ (გამყრელიძე, 2008: 345). მაშასადამე „სემემა“ ზოგადის, საერთოს აღმნიშვნელი ტერმინია და სისტემას ქმნის კონკრეტულთან, ერთეულთან - სემასთან. (შდრ. *ლექსემა-ლექსა (ალოლექსი), ფონემა-ფონი-ალოფონი, მორფემა-მორფი-ალომორფი*).

მივმართოთ მაგალითებს:

- „*სახლი*“ = „შენობა-ნაგებობა + „საცხოვრებელი“ + „ადამიანის“;
- „*თავლა*“ = „შენობა-ნაგებობა + „საცხოვრებელი“ („სადგომი“) + „ცხოველის“ + „შინაურის“ + „ცხენის“;

- „საღორე“ = „შენობა-ნაგებობა + „საცხოვრებელი („სადგომი“)+ „ცხოველის“ + „შინაურის“ + „ღორის“;
- „საქათმე“ = „შენობა-ნაგებობა + „საცხოვრებელი („სადგომი“)+ „ფრინველის“ + „შინაურის“ „ქათმის“ + „არა მართო ქათმის“ და სხვა.

სიტყვის მნიშვნელობა სემების სტიქიური, მექანიკური ერთობლიობა არ არის. ეს არის სისტემა, რომლის შემადგენელი კომპონენტებსაც ერთმანეთთან იერარქიული ურთიერთმიმართები აქვთ და მყარ სტრუქტურას ქმნიან. ამ სტრუქტურას *სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის სემანტიკურ (სემურ) სტრუქტურას უწოდებენ*. მის ანალიზს კი სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის *სემურ (კომპონენტურ) ანალიზს* უწოდებენ. ის მოიცავს ერთმანეთის მიმართ იერარქიულად განლაგებულ შემდეგ ძირითად სემებს:

- *კლასსემა (ანუ სიტყვათა კლასის, მეტყველების ნაწილის სემა)* – (საგნობრიობა, თვისებრიობა, რაოდენობრიობა, პროცესუალურობა და ა.შ.) ეს არის ის ზოგადი ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობა, რომლის საფუძველზეც ხდება სიტყვათა უზოგადეს ჯგუფებად – მეტყველების ნაწილებად დაყოფა. მაგ. სიტყვის „*ლეცია*“ კლასსემა იქნება საგნობრიობა, სიტყვის „*საინტერესო*“- თვისებრიობა და ა.შ.
- *ჰიპერსემა (არქისემა, გვარეობითი, მთავარი, საერთო, ინტეგრალური სემა)*, ეს არის ერთი მეტყველების ნაწილის შიგნით ჯგუფების საერთო სემანტიკური ელემენტი. მაგ. „*მცენარე*“, „*ცხოველი*“, „*ადამიანი*“, „*ფრინველი*“ და ა.შ.).
- *ჰიპოსემა (სახეობითი, დიფერენციალური, განმასხვავებელი სემა)* – ეს არის თითოეული საგნისათვის დამახა-

სიათებელი კონკრეტული ნიშანი, რომელიც ამ საგნის აღმნიშვნელ სიტყვას ანუ *ჰიპონიმს* სხვა ჰიპონიმისგან გამოარჩევს, მაგ., „*მუხა*“, „*ცაცხვი*“, „*მურყანი*“, „*წიფელი*“ – „*მცენარეებია*“, „*ქორი*“, „*არწივი*“, „*ბელურა*“ – „*ფრინველებია*“ და ა.შ.) (დიბროვა, კასატკინი, 2001: 116-117).

სიტყვის *სემური ანუ კომპონენტური ანალიზის* არსი, როგორც ვნახეთ, ლექსიკური მნიშვნელობის სემანტიკურ კომპონენტებად დაშლას. თითოეული ეს კომპონენტი (სემა) არის *აზრის ელემენტი*, რომელიც თავის მხრივ, აღსანიშნი ობიექტის (საგნის, დენოტატის) ერთი კონკრეტული ნიშნის ასახვაა. ამიტომაც ამგვარ სემებს *დენოტატურ სემებს* უწოდებენ. სწორედ მათი ერთობლიობა ქმნის ლექსიკურ მნიშვნელობას (სემემას).

ვინაიდან სიტყვის სემანტიკას ქმნის არა მხოლოდ ლექსიკური, არამედ გრამატიკული მნიშვნელობაც, შესაბამისად, ის მოიცავს არა მხოლოდ დენოტატურ, არამედ *გრამატიკულ და კონოტატურ (სტილისტურ) სემებსაც*.

10.6. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის მოდიფიკაცია და მასთან დაკავშირებული ენობრივი პროცესები

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ინდივიდუალურობა და სიმყარე არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ის არასდროს იცვლება. ენის განვითარების პროცესში სიტყვათა ერთი ნაწილის მნიშვნელობები მართლაც უცვლელი რჩება. ასეთებია, მაგალითად, ქართულში სიტყვები *კაცი*, *ქალი*, *დედა*, *მთა*, *ქვა*, *ერთი*, *ორი* და ა.შ. ამავე დროს, სიტყვას აქვს უნარი შეიცვალოს მნიშვნელობა გამოყენების კონტექსტის შესაბამისად.

სად. მაგალითად, სიტყვა „*მთა*“, ცალკე აღებული, დედამიწის შემადღებულ ადგილს აღნიშნავს, მაგრამ წინადადებაში იგი შეიძლება სხვა მნიშვნელობით იქნეს გამოყენებული: „*წამოდ-გა ერთი მთა კაცი*“ (დად). *მთა* ამ წინადადებაში მნიშვნელობით იგივეა, რაც „ვეება, ძალიან დიდი“. „*ვახტანგმა ბორჯომი დალია*“: „*ბორჯომი*“ აქ სამკურნალო წყალს აღნიშნავს. „*ვახტანგმა ბორჯომი დაათვალიერა*“: აქ კი „*ბორჯომი*“ კურორტის სახელწოდებაა.

კონტექსტური მნიშვნელობა დროთა განმავლობაში შეიძლება მყარ მნიშვნელობადაც იქცეს, ასე რომ სიტყვამ შეიძლება საერთოდ შეიცვალოს მნიშვნელობა. ასე მაგალითად, **დამარხვა** – ნიშნავდა შენახვას, დაცვას. დღეს კი დასაფლავებას ნიშნავს. **აგარაკი** – სახნავ-სათესს ნიშნავდა, დღეს კი – საზაფხულო დასასვენებელ ადგილს. **ცხედარი** – საწოლს, ტახტს ნიშნავდა, დღეს კი – მიცვალებულს. **მსოფლიო** – საეროს, არასასულიეროს ნიშნავდა, დღეს კი – დედამიწას, ქვეყნიერებას; **leech** - ნიშნავდა მკურნალს, ექიმს, მაშინ როდესაც ამჟამინდელი მისი მნიშვნელობაა – წურბელა.

მნიშვნელობის ცვლა შეიძლება მოხდეს შემდეგი მიმართულებებით:

- **მნიშვნელობის გაფართოება: სროლა** – თავდაპირველად ისრის ტყორცნას ნიშნავდა, დღეს კი საერთოდ ტყორცნას ნიშნავს (სხვათა შორის, საინტერესოა ანალოგიურია რუსული *стрелять-стрела*); **მეგობარი** – უწინ იყო მხოლოდ ის, ვინც მოსაუბრესთან ერთად ერთი გობიდან ჭამდა; **пиво (რუს)** – თავდაპირველად ყველა სახის სასმელს (пить) აღნიშნავდა, დღეს კი მხოლოდ ლუდს ნიშნავს; **virus, toxic** გასცდნენ თავისი მნიშვნელობის თავდაპირველ ფარგლებს და ფართოდ

გამოიყენება სხვა სფეროებში (მაგ. პროგრამული უზრუნველყოფა, ურთიერთობები და მისთ.)

- **მნიშვნელობის დავიწროება: სოფელი** – უწინ ქვეყანას, სამყაროს ნიშნავდა (*წუთისოფელი*), დღეს კი ეს სიტყვა უმეტესად დავიწროებული მნიშვნელობით გამოიყენება. **ბაბილო** – უწინ ვაზს ნიშნავდა, დღეს კი გურიში მხოლოდ ვაზის ფოთოლს აღნიშნავს; **fowl** (*ინგლ*) – თავდაპირველად საერთოდ ფრინველს აღნიშნავდა, დღეს კი მხოლოდ შინაურ ფრინველს ნიშნავს;
- **მნიშვნელობის ე. წ. „გაუმჯობესება“ ანუ მელიორაცია:** **узеловник** (რუს) - თავდაპირველად მარტო მკვლელს ნიშნავდა, დღეს კი მას ოდნავ გაუმჯობესებული აქვს მნიშვნელობა და გამოიყენება საერთოდ სისხლის სამართლის დამნაშავეს აღსანიშნავად; **nice** (*ინგლ*) – დღეს აღნიშნავს „ლამაზს“, „საყვარელს“, ადრე კი ნიშნავდა „უვიცს.“
- **მნიშვნელობის ე. წ. „გაუარესება“ ანუ პეიორაცია.** **იდიოტი** – წარმოშობით ბერძნული საიტყვავა და იგი აღნიშნავდა საზოგადოებისგან ცალკე, თავისთვის მცხოვრებ ადამიანს, განდეგილს, დღეს კი ეს სიტყვა უკიდურესად უარყოფითი სტილისტური დატვირთვის მატარებელია. **сараи** – წარმოშობით სპარსული სიტყვაა და აღნიშნავდა „სასახლეს“. რუსულში ის შევიდა თათრული ენიდან უკვე „გაუარესებული“ მნიშვნელობით; **silly** - ნიშნავდა ბედნიერს, შემდეგ ღვთისმოსავსაც, დღევანდელი მნიშვნელობაა - სულელი.

სიტყვის მნიშვნელობის ცვლის ძირითადი გზებია **მეტაფორიზაცია** და **მეტონიმიზაცია**. **მეტაფორა** (ბერძნ. metaphora –

გადატანა) გულისხმობს ერთი საგნის სახელწოდების მეორე-ზე გადატანას ფორმის, ფერის, ზომის, ფუნქციისა თუ სხვა ნიშან-თვისებათა მსგავსების საფუძველზე, მაგ. *მზე ამოვიდა, ბუნება ატირდა, მთამ კალთა შეიბერტყა, ნათელი (ან ბნელი) აზრი და სხვა*. მეტაფორიზაციის საფუძველზე მნიშვნელობის ცვლის შედეგად სიტყვა იძენს ერთზე მეტ მნიშვნელობას, რასაც *პოლისემია* (ბერძნ. *polysemos* – *მრავალი მნიშვნელობის მქონე*) ჰქვია. მაგ.: *ადამიანის ტირილი და ბუნების ტირილი; ბნელი ღამე და ბნელი აზრი და ა.შ.* პოლისემიის შედეგად ერთი და იგივე სიტყვა იძენს კონტექსტების შესაბამის სხვადასხვა მნიშვნელობას, რომელთაგანაც ერთ-ერთი არის ძირითადი, პირდაპირი, კონტექსტისგან დამოუკიდებელი, ხოლო დანარჩენი – გადატანითი, კონტექსტუალური. გადატანითი მნიშვნელობის მქონე სიტყვას *ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტს (ლსვ)* – (კასატკინი, 2001: 131) უწოდებენ. მაშასადამე, ისინი სხვადასხვა სიტყვები კი არა, ერთი და იმავე სიტყვის ვარიანტებია. ამავე დროს საგანთა სახელწოდებების მეტაფორული გადატანის შედეგად შეიძლება მივიღოთ სრულიად ახალი სიტყვა დამოუკიდებელი აღსანიშნითა და მნიშვნელობით, მაგრამ უცვლელი ბგერათკომპლექსით. ასეთებია მაგ. *კრაზანა – მწერი და ყვავილოვანი მცენარე, ბაღლინჯო – მწერი და ლობიო; ცხვირი – ადამიანისა და გემის; კავი – მოკაუჭებული რკინა და მიწის სახნავი იარაღი; журавль - ფრინველი და ჭიდან წყლის ამოსაღები მექანიზმი და ა.შ.*; ამ სიტყვებს *ომონიმებს უწოდებენ. მათში მოიაზრება სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვები, რომლებიც წარმოითქმის და/ან იწერება ერთნაირად*. ომონიმია ბერძნული წარმოშობის სიტყვაა („homonymia – „ერთგვაროვნება“; „თანაბარსახელიანობა“). მასში იგულისხმება სიტყვის

მატერიალური მხარის (ყდერადობა და გრაფიკული გამოსახვა) ერთგვარობა, დამთხვევა. ის უმეტესწილად მეტაფორიზაციის შედეგია, თუმცა ხშირ შემთხვევაში ამის დადგენა შეუძლებელია,

მეტონიმია (ბერძნ. metonymia – გადარქმევა) მეტაფორის მსგავსი ენობრივი მოვლენაა, ოღონდ ამ შემთხვევაში ომონიმიისგან განსხვავებით პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობები ცნებათა სხვადასხვა რიგს განეკუთვნება. მეტონიმის გზით ჩანაცვლებულ მნიშვნელობას და პირველად მნიშვნელობას შორის კავშირი **მიზეზობრივი, ლოგიკური, სივრცითი ან დროითი**. მეტონიმის საფუძველია არა პირველად და დამატებით მნიშვნელობებს შორის (აზრობრივი, სემანტიკური) მსგავსება, არამედ რეალური სიახლოვე. გამოიყოფა შემდეგი სახის მეტონიმები (ცაგარელი, 2012).

- პიროვნებების ჩანაცვლება ადგილით („თბილისი ზეიმობდა“ = თბილისის მცხოვრებლები ზეიმობდნენ)
- ინსტიტუციის ჩანაცვლება ადგილით („თეთრმა სახლმა გაავრცელა განცხადება“ = აშშ-ს მთავრობამ გაავრცელა განცხადება).
- ადგილის ჩანაცვლება მისი მცხოვრებლით – (*ბოული სოფელი მოვიდა; ლაპარაკობს და უჩვენებს თბილი-სი*).
- შიგთავსის ჩანაცვლება ჭურჭლით („ერთი ფინჯანიც მიირთვით!“ = ერთი ფინჯანი ჩაი მიირთვით. *დალია ერთი ყანჯი*).
- ნაწარმის ჩანაცვლება მწარმოებლით („მე მერსედესი მაქვს“ = მერსედესის ფირმის წარმოების მანქანა მაქვს)
- ნაწარმოების ჩანაცვლება ავტორით („წავიკითხე კუმკინი“) და სხვა.

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლასთან დაკავშირებული მოვლენები ენის ლექსიკის სისტემურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რაზედაც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის სინტაგმატური და პარადიგმატური კავშირების განხილვისას ვისაუბრებთ.

10.7. ლექსიკოგრაფია

ენის ლექსიკური მარაგი დაფიქსირებულია ლექსიკონებში, რომელთა შედგენის თეორიულ და პრაქტიკულ პრინციპებს ამუშავების ლექსიკოლოგიის სპეციალური დარგი - **ლექსიკოგრაფია** (ბერძნ. lexikos - სიტყვის; grapho - ვწერ) (ქეე, 2008: 289). რა არის ლექსიკოგრაფია? - ეს არის „სამეცნიერო საქმიანობა, რომლის მიზანაც **ლექსიკონების** შექმნაა“ („Lexicography is a scientific practice aiming to bring dictionaries into existence“) (კაპანაძე, 2016: 20).

რა არის **ლექსიკონი**? არსებობს ამ ტერმინის ძალიან ბევრი განმარტება, რომელთა ანალიზსაც აქ აღარ ჩავუღრმავდებით. მოვიშველიეთ ერთ-ერთ მათგანს: „ეს არის წიგნი ან სხვა ნებისმიერი წყარო, რომელიც მოიცავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე დალაგებულ სიტყვათა (მორფემათა, შესიტყვებათა, ფრაზეოლოგიზმთა და ა. შ.) კრებულს და იძლევა ცნობებს მათი მნიშვნელობების, გამოყენების, სხვა ენაზე თარგმნის, მათ მიერ აღნიშნული საგნების, მოვლენების, მოღვაწეების და ა.შ. შესახებ“ (ლექსიკონი, 2000).

ლექსიკონების შედგენა, ანუ ლექსიკოგრაფიული საქმიანობა, უძველესი დროიდან მოდის. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის 2340 წელს აქადელეებმა შეადგინეს

აქადურ-შემერული ლექსიკონი, რომელსაც ენათმეცნიერები **პროტო-ლექსიკონს** უწოდებენ. მას შემდეგ საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა ლექსიკონების შედგენის ტექნიკა, პრინციპები და კრიტერიუმები, იქმნებოდა სხვადასხვა ტიპის ლექსიკონები. დღეს მათ ორ დიდ ჯგუფად ყოფენ: **ენციკლოპედიურ და ლინგვისტურ (ენობრივ)** ლექსიკონებად (კაპანაძე, 2016: 5). ენციკლოპედიური ლექსიკონები ანუ ენციკლოპედიები განმარტავენ არა სიტყვებს, არამედ მოვლენებს, საგნებს, პროცესებს, ფენომენებს და ა. შ., რომლებსაც სიტყვები აღნიშნავენ (ნებიერიძე, 1991: 247) ისინი გვაწვდიან სისტემატიზებულ ცოდნას ცხოვრებისა და მეცნიერების ყველა ან კონკრეტულ დარგებში. შესაბამისად, განასხვავებენ **ზოგად და დარგობრივ** ენციკლოპედიურ ლექსიკონებს. ზოგადი ენციკლოპედიური ლექსიკონია, მაგალითად ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის 12-ტომეული (ქსე, 1975-1987), რომელიც პირველი ქართული უნივერსალური ცნობარია, მოიცავს 70 ათას სიტყვას და ასახავს ადამიანის ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა ძირითად სფეროს. ანალოგიურია დიდი საბჭოთა ენციკლოპედია (БСЭ), ინგლისური ენციკლოპედიის „ბრიტანიკა“ 32-ტომეული, რომელიც ქალაქის წიგნის ფორმატში 2012 წლიდან აღარ გამოდის, რადგან მთლიანად მულტიმედიურ ფორმატზე გადავიდა. აღსანიშნავია, აგრეთვე ფრანგული ენციკლოპედია „ლარუსი“, გერმანული - „ბროკჰაუზი“, რუსული - „ბროკჰაუზი და ეფრონი“ და უამრავი სხვა. დარგობრივი ენციკლოპედიური ლექსიკონებია, მაგალითად, 2008 წელს გამოცემული „ქართული ენა. ენციკლოპედია“, აგრეთვე საბავშვო, ფილოსოფიური, მათემატიკური, ბილოგიური და უამრავი სხვა დარგის ლექსიკონები

რაც შეეხება **ლინგვისტურ ლექსიკონებს**, როგორც აღვნიშნეთ, ისინი აღწერენ სიტყვებს (ან სხვა სალექსიკონო ერთეულებს) მათი მნიშვნელობებით, იძლევიან მათი გამოყენების ყველა შესაძლო კონტექსტს, აღწერენ მათ გრამატიკულ ნიშანთვისებებს და ა.შ. არსებობს ერთ-, ორ- და მრავალენოვანი ლინგვისტური ლექსიკონები. ორ- და მრავალენოვანი ლექსიკონები მთარგმნელობითია, როგორცაა, მაგალითად, ინგლისურ-ქართული, ქართულ-რუსული, ქართულ-რუსულ-ინგლისური და სხვა ლექსიკონები.

ერთენოვანი ლექსიკონების უმრავლესობა **განმარტებითია**, ნაწილი კი არის ამა თუ იმ ენის **ისტორიული, ეტიმოლოგიური, ფრაზეოლოგიური, ტერმინოლოგიური, დიალექტური, ორთოეპიური, ორთოგრაფიული, ენობრივ შეცდომათა, მორფემათა, გრამატიკული, სიტყვაწარმოებითი, სოციოლინგვისტური** და უამრავი სხვა, რომლებიც ანბანური ლექსიკონებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათში სალექსიკონო ერთეულები ანბანური პრინციპითაა დალაგებული. მათი მეშვეობით მაქსიმალურადაა მოსახერხებელი სალექსიკონო ერთეულის ადვილად მონახვა, თუმცა თითქმის ან აბსოლუტურად შეუძლებელია ლექსიკონის სისტემურად აღწერა. ამ მიზნით იქმნება **იდეოლოგიური (თემატური, ცნებითი)** ლექსიკონები, რომლებსაც **თეზაურუსებსაც** უწოდებენ (გირუცკი, 2003: 119). მათზე მომდევნო თემაში ვისაუბრებთ.

ტერმინი „თეზაურუსი“- ს შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბარეთ ენის ლექსიკური მარაგის მოცულობის შესახებ მსჯელობისას (გვ. 98), სადაც აღვნიშნეთ, რომ ის სხვა მნიშვნელობითაც გამოიყენება: - „(ბერძნ. thesauros — განძი, რეზერვი, სიუხვე) — ლექსიკონი, რომელიც მაქსიმალურად სრულად მოიცავს მოცემული ენის არსებობის მანძილზე დაგროვილ ლექსიკას“. ეს არის ამა

თუ იმ *ენის კორპუსი*, რომელშიც მოიაზრება მისი არსებობის მანძილზე შექმნილ ტექსტებში გამოყენებულ სიტყვათა და სიტყვაფორმათა საერთო რაოდენობა. როგორც აღვნიშნეთ, ამ მოცულობის ლექსიკის დაფიქსირება შეუძლებელი იქნებოდა კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების გარეშე. გაჩნდა ახალი ტიპის - *ციფრული, იგივე კორპუსული ლექსიკონები*, ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ლინგვისტური დისციპლინა - კორპუსლინგვისტიკა, რითაც ფართო გასაქანი მიეცა ენათა ნაციონალური კორპუსების შედგენას. (<http://tandaschwili.com/>).

10.8. ფრაზეოლოგია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენის ლექსიკური ფონდი (ლექსიკა) სიტყვათა მარაგია, სიტყვების ერთობლიობაა. ამავ დროს, მასში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ენობრივ ერთეულებს, რომლებიც მნიშვნელობით სიტყვასთან არიან გათანაბრებული (ქეე, 2008: 486), თუმცა ფორმით ან შესიტყვებას ემთხვევიან ან მთლიან ფრაზას (გამონათქვამს, წინადადებას). სწორედ ამით აიხსნება ის, რომ მათ უწოდებენ, ერთი მხრივ, „მყარ შესიტყვებებს, ლექსიკალიზებულ (ე.ი. სიტყვად ქცეულ) შესიტყვებებებს, მეორე მხრივ კი - ფრაზეოლოგიზმებს, ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, ფრაზემებს (გამყრელიძე და სხვ., 2008: 374). ასე მაგალითად: შავი დღე, აქილევსის ქუსლი, ბართლომეს ღამე, შუბლის შეკვრა, ბრმა იარაღი, ღვთის პირიდან გავარდნილი და სხვა - შესიტყვებებია, ოღონდ არა თავისუფალი, არამედ მყარი დაუშლელი შესიტყვებები. რატომ? იმიტომ, რომ მათი მნიშვნელობები გაიგება არა როგორც შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობების ერთობლიობა, არამედ როგორც ერთიანი სიტყვების ერთობლიობა.

ნელობათა ჯამი, არამედ ერთი ცალკეული სიტყვის მნიშვნელობა: შუბლის შეკვრა (გაბრაზება), აქილევსის ქუსლი (სისუსტე), შავი დღე (უბედურება), ბართლომეს ღამე (ხოცვა-ჟლეტა), ღვთის პირიდან გავარდნილი (დაუნდობელი, შეუბრალებელი, ვერაგი). და ა.შ. მთლიან ფრაზას (წინადადებას) ემთხვევა: ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად (უღარდელი); ძალი პატრონს ვერა სცნობს (არეულობაა, უწესრიგობაა, უთავბოლობაა); ქვა ააგდო და თავი შეუშვირა (გაჯიუტდა, გაკერპდა), თვალს წყალი დააღვივინა (გაერთო) და სხვა. ამ მოვლენას სემანტიკურ გადააზრებას უწოდებენ (ჯაში, 1988: 10) . მამასა-დამე, ფრაზეოლოგიზმები სემანტიკურად გადააზრებული ფრაზებია/შესიტყვებებია.

ფრაზეოლოგიზმების (ფრაზემების) შემსწავლელ ლინგვისტურ დისციპლინას *ფრაზეოლოგია* ეწოდება. რადგან ფრაზეები (წინადადებები) და შესიტყვებები სინტაქსში განიხილება, ფრაზეოლოგიაც ფაქტობრივად სინტაქსის ნაწილი უნდა იყოს, თუმცა მას, როგორც წესი, ლექსიკოლოგიას მიაკუთვნებენ, რადგან ისინი მხოლოდ ფორმით ემთხვევიან შესიტყვებას ან ფრაზას (წინადადებას). სემანტიკურად კი სიტყვასთან უფრო ახლოს არიან, სიტყვის ეკვივალენტად გვევლინებიან (ნებიერიძე, 1991: 231). ამავე დროს, „უცხოურ ლინგვისტიკაში ფრაზეოლოგიის პრობლემები განიხილება ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებშიც, სტილისტიკაშიც, გრამატიკაშიც, ენის თეორიაშიც.

ფრაზეოლოგიზმის მთავარი ნიშანი ისაა, რომ მისი შემადგენელი კომპონენტები მხოლოდ ფორმალურად არიან დამოუკიდებელნი. მნიშვნელობის დონეზე კი მას ახასიათებს შინაგანი მთლიანობა, რომლის ხარისხის მიხედვითაც გამოყოფენ ძირ-თადად სამი სახის ფრაზეოლოგიზმებს:

1. *ფრაზეოლოგიური მთლიანობა (შენაზარდი)* - რომლის შემადგენელი კომპონენტების მთლიანობა მაქსიმალურია, ისინი თითქოს შეზრდილნი არიან ერთმანეთთან, რის გამოც ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობის მოტივაციის დადგენა არაფრით არ ხერხდება: იხტიბარს არ იტებს, ბაიბურში არაა და სხვა (ცოცანიძე, 1999: 219). ასეთი ფრაზეოლოგიზმი თავისი მნიშვნელობით სიტყვის ეკვივალენტურია, თუმცა ეს მნიშვნელობა დაკავშირებული არ არის შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობებთან და არ გამოიყვანება მათგან. ასე მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი ჩაილულის წყალი დალია ნიშნავს დაიკარგა, თვალს მიეფარა, მაგრამ დღეს გაუგებარია, რა კავშირია მდინარე ჩაილულსა და დაკარგვას შორის. კავშირის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ისტორიული კონტექსტის მოშველიებით: ლეკიანობის დროს საქონლის გამტაცებელი ლეკები მდევარს მდინარე ჩაილულს თუ გადაასწრებდნენ, მაშინ ისინი სამშვიდობოს გასული, ანუ მდევრისთვის დაკარგული იყვნენ (ნებიერიძე, 1991: 232).

2. *ფრაზეოლოგიური ერთიანობა (ნაერთი, შენაერთი)* - რომლის მნიშვნელობა ასევე არ უდრის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს, მაგრამ ეს მნიშვნელობა მოტივირებულია ამ კომპონენტებით (განსხვავებით ფრაზეოლოგიური შენაზარდებისგან): ენას შეუბრუნებს (შეეპასუხება); ამ ქვეყნის აღარ არის (მომაკვდავია), ყური აუწია (დასაჯა) და სხვა.

3. *ფრაზეოლოგიური კონსტრუქცია (გამონათქვამი)* - გვხვდება თავისუფალ შესიტყვებადაც და მყარ კონსტრუქციადაც. მაგალითად, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ვილაცას კოვზი მართლაც შეიძლება ჩაუვარდეს ნაცარში და თუ ამას ვიგულისხმებთ, მაშინ ეს იქნება თავისუფალი კონსტრუქცია. მაგრამ თუ ვიგულისხმებთ მნიშვნელობას - იმედი გაუცრუვდა, - ამ

შემთხვევაში ადგილი ექნება თავისუფალი შესიტყვების ფრაზეოლოგიზაციას, მყარ კონსტრუქციად ჩამოყალიბებას. **ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები ერთგვარი კლიშეებია (სამეტყველო სტერეოტიპები მზამზარეული გამონათქვამები)**, რომელთა გამოყენებაც ლამის სავალდებულო სახე იძენს: საკითხის დასმა, პოზიციის დაფიქსირება, სამარისებრი სიჩუმე, ვირივით ჯიუტი, ყარამან ყანთელი, რუბიკონი გადალახა და სხვა.

ფრაზეოლოგიზმის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია მისი მზამზარეულობა, კვლავწარმოება, რაც მას ასევე სიტყვის გვერდით აყენებს. არც სიტყვები და არც ფრაზეოლოგიზმები მეტყველების პროცესში თავიდან არ იქმნება. (როგორც, მაგალითად თავისუფალი შესიტყვებები და წინადადებები), ისინი არსებობენ მზამზარეულად და მეტყველების პროცესში ხდება მათი აღდგენა და გამოყენება (სიტყვების მსგავსად).

ბევრგან ტერმინ ფრაზეოლოგიზმის აბსოლუტურ სინონიმად გამოყენებულია ტერმინი იდიომა - იდიომების შემსწავლელი დარგის სახელწოდებად კი - იდიომატიკა (ქეე, 2008: 484), თუმცა ლინგვისტა ნაწილი იდიომებად თვლის მხოლოდ ისეთ ფრაზეოლოგიზმებს, რომელთა წარმოქმნა დაკავშირებულია კონკრეტულ მოვლენასთან, დროსთან თუ ადგილთან. ასე მაგალითად, 1572 წლის 24 აგვისტოს, წმინდა ბართლომეს დღესასწაულის წინა ღამეს, კათოლიკეებმა მოაწყვეს ჰუგენოტების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, რაც შემდგომში რელიგიურ ომში გადაიზარდა. აქედან გაჩნდა იდიომა ბართლომეს ღამე, რაც საშინელებას, უბედურებას ნიშნავს.

ფრაზეოლოგიზმებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **ანდაზებს, აფორიზმებს**, რომლებსაც „ფრაზეოლოგიური ნომინაციის კერძო შემთხვევებს მიაკუთვნებენ“ (ჯაში, 1988: 11). მათ **პარემიები** (ბერძნ. παροιμία-paroimia = ანდაზა), ხო-

ლო მათ შემსწავლელ ლინგვისტურ დარგს - **პარემიოლოგია** ეწოდება.

ფრაზეოლოგიზმი ენის კულტურის ნაწილია, ამიტომ მათი თარგმნა დიდი სირთულეს წარმოადგენს. ამავე დროს გვხვდება უამრავი **ფრაზეოლოგიზმი, რომლებიც ენიდან ენაში გადადის პირდაპირი თარგმანის სახით**. ასეთია, მაგალითად, ფრაზეოლოგიზმები: პილატეს ცრემლები, რუბიკონის გადალახვა, აქილევსის ქუსლი, ორჯერ ორი ოთხია და სხვა. მათ უნივერსალურ ფრაზეოლოგიზმებს უწოდებენ და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საგანძურს მიაკუთვნებენ.

ასეთია ფრაზეოლოგიზმების და ფრაზეოლოგიის ზოგადი ანალიზი. სიღრმისეულად ისინი განხილულ იქნება კონკრეტული ენის სტრუქტურის ანალიზისას.

განმარტეთ ტექსტში გამოყენებული ლინგვისტური ტერმინები:

ლექსიკა (აქტიური, პასიური, მოტივირებული, არამოტივირებული); ლექსიკური ფონდი, ენის კორპუსი, ტოკენი, ლექსიკური მნიშვნელობა/სემანტიკა (პირდაპირი, გადატანითი), სემასიოლოგია, ფონეტიკური სიტყვა, მორფოლოგიური სიტყვა; ლექსემა, ლექსა, სიტყვა-არალექსემა; ნომინაცია; მეტაფორა, მეტონიმია, პოლისემია, ომონიმია; სემა (კლასსემა, ჰიპერსემა, ჰიპოსემა); ჰიპერონიმი, ჰიპონიმი. სემემა; ფრაზეოლოგიზმი, ფრაზეოლოგია; ეტიმოლოგია, მოტივოლოგია, ლექსიკოგრაფია.

კითხვები და დავალებები:

1. ახსენით სიტყვის განმარტების პრობლემის არსი;
2. გააკეთეთ სიტყვისა და ლექსემის შედარებითი ანალიზი;
3. ახსენით მსგავსება-განსხვავებანი ენის ლექსიკასა და ენის კორპუსს შორის;
4. გამოყავით და გააანალიზეთ ლექსიკური ფონდის აქტიური და პასიური ფენები;
5. ახსენით სიტყვის მოტივირების არსი;
6. გააკეთეთ სიტყვის მოტივაციის და ეტიმოლოგიის შედარებითი ანალიზი.
7. როგორ გესმით მსგავსება-განსხვავებანი ფრაზეოლოგიზმსა თავისუფალ შესატყვებას შორის?
8. განასხვავეთ ერთმანეთისგან სიტყვის ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობა;
9. გააანალიზეთ მსგავსება-განსხვავებანი ლექსიკოლოგიას, ლექსიკოგრაფიას და ფრაზეოლოგიას შორის;
10. ვენის დიაგრამის გამოყენებით, გააკეთეთ სიტყვის და მორფემის, სიტყვის და შესიტყვების, სიტყვის და წინადადების შედარებითი ანალიზი.

11. ლექსიკის სისტემპრობა

11.1. ლექსიკის სისტემატიზაციის პრობლემა

სიტყვა საგნის აღმნიშვნელი ენობრივი ერთეულია, მაშასადამე, მისი მეშვეობით ხდება საგნის „ენობრივი ათვისება“, ანუ მისი „გადატანა“ გონებაში, მის შესახებ გარკვეული ცოდნის (ცნების/მნიშვნელობის) შექმნა. შესაბამისად, ენის ლექსიკა (სიტყვათა სამყარო) საგანთა სამყაროს „ენობრივი ათვისების“ შედეგია. რეალობაში გვაქვს საგანთა სამყარო, რომელიც სიტყვათა სამყაროს მეშვეობით ჩვენს გონებაში (ცნებათა სამყაროშია) „გადმოტანილი“. ეს „გადმოტანა“ ხდება საგნებზე სახელების დარქმევით, თუმცა ამისთვის მხოლოდ სახელების დარქმევა არ არის საკმარისი. ესა თუ ის კონკრეტული ენა ათეულობით და ასეულობით ათას სიტყვას მოიცავს, რომელთა დამახსოვრება და კონკრეტული კონტექსტისთვის კონკრეტული სიტყვის მომწველიება შეუძლებელი იქნებოდა, ლექსიკა სისტემა რომ არ ყოფილიყო. მაშასადამე, საგნობრივი სამყაროს „ენობრივი ათვისებისთვის“ საგნებისათვის სახელების დარქმევის გარდა აუცილებელია, რომ ამ სახელთა (ანუ სიტყვათა) ერთობლიობა იყოს სისტემა და არა უბრალო, მექანიკური ერთობლიობა. ის აერთიანებს სხვადასხვა სახის მიმართებებსა და კავშირებზე დაფუძნებულ *ჯგუფებს*, რომელთა მეშვეობითაც ჩვენს მეხსიერებაში ერთი რომელიმე სიტყვის გვერდით ადვილად ამოტივტივდება ამ სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობასთან სემანტიკური ძაფებით დაკავშირებული სხვა სიტყვებიც. ასე მაგალითად, სიტყვა „*უნივერსიტეტი*“ ადვილად გაგვახსენებს სიტყვებს: „*პროფესორი*“, „*ლექტორი*“, „*ლექცია*“, „*სემინარი*“, „*დეკანატი*“, „*რექტორი*“, „*ჩათვლა*“, „*გამოცდა*“ და ა.შ., რომლებიც არანაირად

არ გაგვახსენდება, მაგალითად, სიტყვასთან „ბოსელი“. მას უკავშირდება სიტყვები: „ძროხა“, „ხარი“, „ხბო“, „ბაგა“, „რძე“, „წველა“, „მწველავი“ და ა.შ.

ენის ლექსიკური ფონდის ფიქსაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და საყოველთაოდ მიღებული ფორმა, **ანბანური განმარტებითი ლექსიკონები** - გამოუსადეგარია ენის ლექსიკის სისტემური აღწერის თვალსაზრისით, რამდენადაც მათში სიტყვები დალაგებულია არა სისტემურობის განმსაზღვრელი რაიმე სახის კრიტერიუმის საფუძველზე, არამედ ანბანური პრინციპით, მექანიკურად. **როგორ, რა ფორმით და პრინციპებით უნდა დალაგდეს ენის ლექსიკური ფონდი ისე, რომ რაც შეიძლება მაქსიმალურად გაადვილდეს მისი სისტემური აღწერა და საჭირო დროს შესაბამისი სიტყვის მონახვა?** - ეს არის კითხვა, რომლის პასუხიც ნათლად წარმოაჩენს ენის ლექსიკის სისტემურობის პრობლემას. მასზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არის, თუმცა ლექსიკოლოგიას აქვს ენის ლექსიკური ფონდის სისტემატიზაციის მეტ-ნაკლებად ზოგადი, სხვადასხვა ენებისთვის საერთო კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ენების ლექსიკური ფონდი ლაგდება ცალკეულ **ქვესისტემებად (კლასებად, ჯგუფებად/ქვეჯგუფებად, პარადიგმებად, ფენებად)**.

ენის ლექსიკური ფონდის სისტემატიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია კრიტერიუმია მისი დაჯგუფება ისეთ მსხვილ კლასებად, როგორებიცაა **მეტყველების ნაწილები**. აქ ამ საკითხზე არ შევჩერდებით, ვინაიდან ის ტრადიციულად მორფოლოგიის განხილვის საგანია. ხაზგასმით აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ლექსიკის მეტყველების ნაწილებად დაყოფის გარეშე ჩვენ ცალ-ცალკე უნდა გვესწავლა ათეულ ათასობით სიტყვიდან თითოეულის გრამატიკული თვისებები, რაც ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა.

11.2. ლექსიკის სისტემატიზაცია სინტაგმატური და პარადიგმატული კავშირების საფუძველზე

ლექსიკის სისტემური აღწერის მეორე მნიშვნელოვანი პრინციპია მისი კლასიფიკაცია სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობებს შორის არსებული *სინტაგმატური და პარადიგმატული* კავშირების საფუძველზე. ფონეტიკასა და მორფოლოგიაში ეს კრიტერიუმები ერთმანეთისგან მკაფიოდაა გამიჯნული, ლექსიკოლოგიაში კი ამის გაკეთება არცთუ ისე ადვილია.

ელემენტთა სინტაგმატურ ურთიერთმიმართებებზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ენობრივი სისტემის იარუსების განხილვისას, სადაც აღვნიშნეთ, რომ ეს არის ელემენტთა განლაგება ჰორიზონტალურად, ერთიმეორის გვერდით. აქ ისინი ქმნიან ერთგვარ ჯგუფებს, სადაც ერთი ელემენტი (ამ შემთხვევაში სიტყვა) მეორესთან განლაგდება, ერთი მეორეს განსაზღვრავს, ერთი მეორეს ხსნის და ა.შ. ამ გზით ისინი ქმნიან *ველებს, ბუდეებს*. ამიტომ სიტყვათა ამგვარ დალაგებას *სემანტიკური ველის პრინციპით* დალაგებასაც უწოდებენ (თევდორაძე, 2016: 77). ასე მაგალითად, ლექსემა „*კნავილი*“ გულისხმობს ლექსემას „*კატა*“, „*ქერა*“- „*თმას*“, „*ზამთარი*“ - „*თოვლს*“, „*ყინვას*“, „*სიცივეს*“ და ა.შ. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში 100-მდე ასეთი ჯგუფია გამოყოფილი: „*ქვა*“ - *სილა, ქვიშა, კენჭი, ღორღი*; „*სიცილი*“ - „*ღიმილი*“, „*კისკისი*“, „*ხარხარი*“ და ა.შ. (გამყრელიძე, 2008: 350). მაგალითად, ამ პრინციპის მიხედვით არსებით სახელთა კლასიფიკაცია შემდეგი სახისაა:

- *ბუნების ლექსიკა*: *ცხოველი, მცენარე, ფრინველი, მწერი, თევზი, მიწა, წყალი, ჰაერი და ა.შ.*
- *ცხოველები*: დათვი, ირემი, შველი, მგელი, კურდღელი, ვეფხვი, კამეჩი. ხარი, ლომი, ტურა, ფოცხვერი, ძაღლი, კატა, ძროხა და ა.შ.

- **გარეული ცხოველები** - დათვი, ირემი, შველი, მგელი, კურდღელი, ვეფხვი, ლომი, ტურა, ფოცხვერი და ა.შ.
- **შინაური ცხოველები** - კამეჩი, ხარი, კატა, ძროხა და ა.შ.

ასე ალაგებს ენის მთლიან ლექსიკურ ფონდს **თემატური (იდეოლოგიური, იდეოგრაფიული) ლექსიკონი**, რომელსაც მაღლიან დიდი დატვირთვა აქვს როგორც მშობლიური, ისე უცხოური ენის ლექსიკის მაქსიმალურად სწრაფად ათვისება-გამდიდრებაში.

ლექსიკის სისტემურობას ნათლად წარმოაჩენს მისი კლასიფიკაცია შემდეგი კრიტერიუმების მიხედვითაც:



პარადიგმატული კავშირების საფუძველზე დალაგებულ სიტყვებს აქვთ უნარი ერთსა და იმავე კონტექსტში ან ჩანაცვლონ (მაგ. სინონიმები), ან გამორიცხონ (მაგ. ანტონიმები, ომონიმები) ერთმანეთი. ამ პრინციპით შექმნილ ჯგუფებს

პარადიგმები ეწოდება. ასეთია *სინონიმური, ომონიმური, პარონიმული და ანტონიმური პარადიგმები*.

ლექსიკის ომონიმურ და სინონიმურ პარადიგმებად დაყოფას საფუძვლად უდევს სიტყვათა დაჯგუფება გარეგანი ფორმის ან შინაარსობრივი მხარის (მნიშვნელობის) მსგავსება/იგივეობის მიხედვით. ომონიმიაზე უკვე გვქონდა საუბარი. ომონიმის მსგავსია *პარონიმია* (ბერძნ. παρωνυμία - „ახლო მდებარე, მსგავსი“), რომელშიც მოიაზრება მნიშვნელობით განსხვავებული, მაგრამ ბგერობრივად მსგავსი სიტყვები, ანუ „სიტყვები, რომელთაც აქვთ მსგავსება წარმოთქმაში“ (აბაშიძე, 2012: 5) ამ მსგავსების გამო ხშირად ხდება მათი ერთმანეთში *აღრევა* (კენჭიაშვილი, 2011), რაც განპირობებულია იმით, რომ ყველა ენაში არსებობს სიტყვათა ისეთი წყვილები, რომლებიც მხოლოდ თითო ან ორი ბგერით განსხვავდება ერთმანეთისგან. ასეთია მაგალითად *ცნება – მცნება, აღქმა – აღთქმა, კამპანია – კომპანია, სწორად – სწორედ, თარგმნა – თარგმანი, დიპლომატი – დიპლომანტი, აფექტი – ეფექტი, ეკონომიური - ეკონომიკური, продать – продать. одеть – надеть, bear – beer, affect-affect, historic-historical* და სხვ. პოეზიასა და ზოგადად ლიტერატურაში, პარონიმია მდიდარ ნიადაგს ქმნის კალამბურის, ქარაგმების, აფორიზმების და ანდაზების შესაქმნელად. ამავე დროს პარონიმთა არასწორმა გამოყენებამ შეიძლება წარმოშვას სალიტერატურო კაზუსები, აზრობრივი შეცდომები, ორაზროვნება, და საერთო ჯამში, არასწორი მეტყველება (აბაშიძე, 2012).

რაც შეეხება მნიშვნელობით ერთნაირ/მსგავს, მაგრამ განსხვავებული ჟღერადობის მქონე სიტყვებს, მათ *სინონიმები* (ბერძნ. synonymia - „თანასახელი“) ეწოდება. ასეთია მაგალითად, *გოგრა - კვახი, კომში - ბია, ლამაზი - მშვენიერი, ფელამუში - თათარა, სულელი - აბდალი, ყლორტი - დუყი, ანჩხლი*

- *კაპასი, allow-permit, big-large* და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ სინონიმებს მსგავსი მნიშვნელობები აერთიანებთ, ისინი გარკვეულად მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუმცა არის სინონიმთა ისეთი ჯგუფიც, რომლებიც მნიშვნელობის მიხედვით აბსულუტურად იდენტურნი არიან. მათ *აბსოლუტურ სინონიმებს ანუ დუბლეტებს* უწოდებენ. მაგ *ლინგვისტიკა - ენათმეცნიერება, ანბანი - ალფავიტი* და ა.შ. იმის მიხედვით, თუ რა სახისაა განსხვავებანი სინონიმებს შორის, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ:

- *სემანტიკური (ცნებითი, იდეოგრაფიული) სინონიმები* ერთმანეთისგან განსხვავდებიან ლექსიკური მნიშვნელობის ნიუანსებით: *აბგა, ხურჯინი, ჩანთა; სიცილი, ხარხარი; ходить, идти, храбрый – мужественный, look, staire, glance* და სხვა;
- *სტილისტური სინონიმები* აღნიშნავენ ერთსა და იმავე ცნებას, მაგრამ განსხვავდებიან ფუნქციონირების სფეროებით ან სხვადასხვა სტილისტური დატვირთვით: *ტუჩი (ნეიტრ.) - ბაგე (პოეტ.), чело(პოეტ.) – лоб (ნეიტრ.), like adore, die-pass away;*
- *სემანტიკურ-სტილისტური* სინონიმები ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც სტილისტური შეფერილობით, ისე - ლექსიკური მნიშვნელობის ნიუანსებით: *сердиться, злиться, беситься; გაბრაზება, გაცოფება, angry, appolactice, furious* და ა.შ.

ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობების მქონე სიტყვებს *ანტონიმები* ჰქვია (ბერძნ. anti – საწინააღმდეგო, onyma – სახელი). ანტონიმებია *დიდი - პატარა, დაბალი - მაღალი, ჭკვიანი - სულელი*. მაშასადამე, ანტონიმური ოპოზიციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მისი ერთი წევრი ხასიათდება

რადაც თვისების დადებითი მნიშვნელობით, მეორე – უარყოფითი მნიშვნელობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ანტონიმებად შეიძლება ჩაგვეთვალოს დედა-მამა; და-ძმა და ა.შ. ანტონიმების კლასიფიკაცია შემდეგი სახისაა:

ა) დაპირისპირების ხარისხის მიხედვით განასხვავებენ:

- **კომპლემენტარულ** ანუ უკიდურესად საპირისპირო მნიშვნელობათა შემცველ ანტონიმებს, რომელთა ოპოზიციის შიგნით შუალედური წევრის ჩასმა შეუძლებელია: *მკვდარი - ცოცხალი, უცოლშვილო - ცოლშვილიანი, შეიძლება - არ შეიძლება*.
- **გრადუალურ** (მომდინარეობს სიტყვიდან „გრადაცია“) ანტონიმებს, რომელთა ოპოზიციის შიგნითაც შუალედური მნიშვნელობის მქონე წევრის ჩასმა შესაძლებელია: *დიდი - (საშუალო) - პატარა; ახალგაზრდა - (შუა ხნის) - მოხუცი*; (ამგვარი გრადაციის კრიტერიუმები არ არსებობს, ამიტომ ამ სახის კლასიფიკაცია მეტ-ნაკლებად პირობითია).

ბ) სტრუქტურული ტიპის მიხედვით განასხვავებენ:

- **ძირეულ** ანტონიმებს, რომლებიც სხვადასხვა ძირებს შეიცავენ, მაგ. *მაღალი - დაბალი, დიდი - პატარა, გრძელი - მოკლე* და ა.შ.
- **ნაწარმოებ** ანტონიმებს, რომლებიც საერთო ძირიდანაა ნაწარმოები, მაგ. *წესიერი - უწესო, ბედნიერი - უბედური* და ა.შ.

11.3. ენის ლექსიკის კლასიფიკაცია სტილისტური ნიშნით

ენის ლექსიკა დიფერენცირებულია სტილისტიკური განსხვავებენ *ენის (ფუნქციურ) სტილისტიკას* და *მეტყველების (ექსპრესიულ) სტილისტიკას* (ნანა ცეცხლაძე). ფუნქციური სტილისტიკა სწავლობს ენობრივი ერთეულების შერჩევის მიზანშეწონილობას კომუნიკაციის ამა თუ იმ სფეროში, ხოლო ექსპრესიული სტილისტიკა სწავლობს სიტყვის ემოციური, ექსპრესიული დატვირთვის და აზრის ემოციურ-შეფასებითი კომპონენტის ფორმირების ხერხებს. შესაბამისად, ენის ლექსიკური ფონდის სტილისტური დიფერენციაცია ხდება ორი მიმართულებით:

- *ექსპრესიულ-შეფასებითი შეფერილობის მიხედვით* ლექსიკა იყოფა ორ დიდ ჯგუფად: *სტილისტიკურად ნეიტრალური ლექსიკა*, რომელიც ემოციურად, ექსპრესიულად არ არის შეფერილი (*ლაპარაკობს - მღერის*);
- *ემოციური, ექსპრესიული შეფერილობის მქონე ლექსიკა* (ბურტყუნებს - ბღავის), რომელიც თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფა: „*მაღალი*“, *წიგნიერი (მობრძანდა, deceased)* და „*დაბალი*“, *დამამცირებელი, სასაუბრო (მოეთრია, kicked the bucket)* ლექსიკა. „დაბალ“ სტილს განეკუთვნება *ყოფით-სასაუბრო ლექსიკა*, რომელიც გამოირჩევა იმით, რომ არის უშუალო, არაოფიციალური, მაგრამ უხეში, მაგ.: *გაიშხლართა (დაწვა), ეხლა (ახლა), пошлости (ადამიანურად), сбрать (მოკურცხვლა), chap (ყმაწვილი), faze (შეწუხება), phone (ტელეფონი)* და ა.შ. მას უმეტეს შემთხვევაში თან სდევს უარყოფითი შეფასების კომპონენტებიც. მკვეთრად უარყოფითია, მაგალითად, სალანძღავი და საგინებელი სიტყვები, ანუ ბილ-

წსიტყვაობა (*პეიორატიული ლექსიკა*). ასეთივეა *ვულგარიზმებიც* (ლათ. *vulgaris* „უბრალო“), ანუ დაუხვეწავი, უკიდურესად უხეში სტილის ლექსიკა, რომელიც დაუმვებელია ზრდილობიან მეტყველებაში. მაგ. *მოეთრია*, *დაეგდო*, *ჩაცეცხლა*. *лаяться* (ლანძღვა, ჩხუბი), *шпана* (ვიგინდარები), *муг* (სიფათი), და სხვ. „დაბალ“ სტილს განეკუთვნება აგრეთვე ლექსიკის ისეთი ჯგუფები, როგორებიცაა: *ჟარგონიზმები*, *მდაბიური მეტყველების ლექსიკა*. ისინი გასაგებია ენობრივი კოლექტივის ყველა წევრისთვის, უპირისპირდება სალიტერატურო მეტყველებას და ვლინდება ყველა ენობრივ დონეზე. მას ახასიათებს უარყოფითი შეფასება, ფამილიარული, უხეში ელფერი. სალიტერატურო ენაში მას აქვს სინონიმები ნეიტრალური სტილის ლექსიკაში: *დააყაჩაღეს* (*გაძარცვეს*), *ვირმა* (*უცხო*, *ძვირფასი*), *იძახის* (*ამბობს*), *быхнуть* — *снять*: *срывать* - *вызвать*; *спаз* — *спазы*; ფრ. *se calter* - გაქცევა — *s. enfuir*; *foutre* - კეთება — *faire*, *bugger off* - *leave (ing)* და სხვ. „დაბალი“ სტილის ლექსიკურ ფენას ქმნის ასევე *არგოტიზმები*, რომლებიც ჟარგონიზმებისაგან იმით განსხვავდება, რომ გამოიყენება არა ღია, არამედ ჩაკეტილი სოციალური ჯგუფების ფარგლებში დანარჩენი საზოგადოებისაგან იზოლაციის მიზნით. ეს არის, როგორც წესი, ერთგვარი კონსპირაციის საშუალება, საიდუმლო კოდი, ამავე დროს, „თავისიანის“ სიმბოლო. ასეთია, მაგალითად აზარტული თამაშების მოყვარულთა, კრიმინალური დაჯგუფებების, ციხის არგო და სხვა. ცალკე გამოიყოფა ე.წ. *პროფესიული ჟარგონი*, *სპეციალური სლენგი*, ანუ არასალიტერატურო, სასაუბრო სტილის ლექსიკა, დამახასიათებელი პროფე-

სიულად განკერძოებულ პირთა არასაიდუმლო მეტყვე-
ლებისათვის. მათ უბრალოდ პროფესიონალიზმებსაც
უწოდებენ. ჩვეულებრივ ისინი ოფიციალური ტერმინე-
ბის დუბლეტებია. ასე მაგალითად, მედიკოსთა პროფე-
სიული ჟარგონია *კუბი* („კუბური მილიგრამი“), პროგრა-
მისტებისთვის *კომპი* (კომპიუტერი), *beemer, frequent
flyer* (ინგ) და ა.შ. უაღრესად საინტერესოა აგრეთვე ენის
ლექსიკის ე.წ. *სპეციფიკური პლასტები* (ფენები), როგო-
რებიცაა, ერთი მხრივ, ზოგიერთი ჩაკეტილი პროფესიუ-
ლი ჯგუფის (კულტის მსახურნი, სექტის მიმდევარნი,
მეთევზეები, ექიმები და ა.შ.) „საიდუმლო ენის“ ლექსიკა
და, მეორე მხრივ, ე. წ. „ძიძების ლექსიკა“, რომელიც
გამოიყენება პატარა ბავშვებთან ურთიერთობისათვის:
აჩუა (ცხენი), *ბუა* (საფრთხოებელა), *ფაფუ* (გაქრა), *bow-
wow* (ძაღლი) (ინგ) და ა.შ.

რაც შეეხება ფუნქციურ სტილისტიკას, ის ლექსიკას ყოფს
გამოყენების სფეროების მიხედვით, როგორებიცაა *მხატვრული,
ტექნიკური, სამეცნიერო, პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიან-
ი, სასაუბრო სტილები*. თითოეული მათგანი წარმოადგენს ენის
კონკრეტულ ქვესისტემას, რომელიც გარკვეული სპეციფიკური
ნიშნებით ხასიათდება, მათ შორის მხოლოდ „თავისთვის“ დამა-
ხასიათებელი ლექსიკით. ასე მაგალითად, *სამეცნიერო სტილს*
მიეკუთვნება სამეცნიერო ნაშრომი, დისერტაცია, რეფერატი,
სამეცნიერო მოწოდება და სხვა. მისთვის დამახასიათებელია
სპეციალური ტერმინოლოგია და საერთოდ სპეციალური ლექ-
სიკა. ემოციურად შფერილი ლექსიკის გამოყენება აქ დაუშვებ-
ელია. *ოფიციალურ-საქმიანი სტილი* მოიცავს კანონებს, ცნო-
ბებს, საქმიან წერილებს, დადგენილებებს და ა.შ. შესაბამისად აქ
სჭარბობს ე.წ. კანცელიარიზმები და ამ სტილისთვის დამახა-

სიათებელი ფრაზეოლოგია. *პუბლიცისტური სტილი* გამოიყენება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროსა და ორატორულ ხელოვნებაში, ამიტომ აქ ჭარბობს ემოციურად შეფერილი ლექსიკა. *მხატვრული, პოეტური სტილისთვის* დამახასიათებელია არქაული (ძველი) სიტყვების გამოყენება, როგორებიცაა: *მნათობი, ღაწვი, სამარადისო, ბედკრული, rye, thou, vileness (ინგ)* და ა.შ.

ლექსიკის მოცემული სტილისტიკური კლასიფიკაცია პირობითია, არსებობს ბევრი სხვა, მეტ-ნაკლებად დეტალიზებული კლასიფიკაციაც. გასათვალისწინებელია ისიც, ლექსიკონებში სტილისტიკური მინიშნებები ხშირად არაერთგვაროვანია. ხშირად არ არის გამიჯნული არც სტილისტიკურად შეფერილი და არც სტილისტიკურად ნეიტრალური ლექსიკა“ (გამყრელიძე, 2008: 380).

11.4. ლექსიკის კლასიფიკაცია სიტყვათა გამოყენების სიხშირის მიხედვით

ლექსიკურ ფონდში არის სიტყვათა ჯგუფი, რომელიც დროის კონკრეტულ მონაკვეთში (პერიოდში) გამოყენების მაღალი სიხშირით გამოირჩევა. მას *აქტიური ლექსიკის ფენას* მიაკუთვნებენ. ეს არის ლექსიკა, რომელსაც დროის მოცემულ მონაკვეთში იყენებენ არა ადამიანთა ცალკეული ჯგუფები, არამედ ამ ენაზე მოლაპარაკე თითქმის ყველა ადამიანი. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. *ბირთვული ანუ საბაზისო (საერთო-სახალხო, საყოველთაოდ გავრცელებული) ლექსიკა*, რომელიც აერთიანებს უნივერსალურ, საბაზისო ცნებებს (ნათესაობის სახელები, ადამიანის სხეულის ნაწილების

სახელები, ზომის, სივრცეში გადაადგილების და დროის აღმნიშვნელი სიტყვები, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები და ა.შ.). ლექსიკის ეს ნაწილი ძალიან ნელა იცვლება, მაქსიმალურად სტაბილურია, საყოველთაოდ იხმარება და ენობრივ კოლექტივში ურთიერთგაგებინების მემკვიდრეობითობას სტაბილურ საფუძველს უქმნის (გამყრელიძე, 2003: 385). აქტიურის საპირისპიროდ ენის ლექსიკურ ფონდში არის ე.წ. *სიტყვათა პასიური ფენა*. მას განეკუთვნება:

- *ნეოლოგიზმები*, ანუ ხმარებაში ახლად შემოსული სიტყვები, რომლებიც ჯერ მყარად არ არის დამკვიდრებული. ლინგვისტების აზრით, ეს არის სიტყვები „რომლებიც მოცემულ ენაში გაჩნდა არაუადრეს ბოლო ათწლეულისა და მოლაპარაკეთა მიერ აღიქმება როგორც ახალი“ (გამყრელიძე, 2003: 387). ახალი სიტყვები *ლექსიკური ნეოლოგიზმებია*. მათგან უნდა განვასხვავოთ *სემანტიკური ნეოლოგიზმები*, რომლებშიც იგულისხმება უკვე არსებული სიტყვების მიერ ახალი მნიშვნელობის შეძენა, მაგ. სიტყვა „*დიპლომატი*“ (მნიშვნელობით „პატარა პორტფელ-ჩემოდანი“), „*ბანკი*“ (მნიშვნელობით - „რადაცის ერთობლიობა“ - „სისხლის ბანკი“), „*novice*“ (მნიშვნელობით - „მორჩილი“ - „ახალბედა“ ნეოლოგიზმები ძალიან მალე კარგავენ სიახლეს და შედიან აქტიური ლექსიკის ფონდში, უფრო მეტიც, ისინი შეიძლება ძალიან მალე გამოვიდნენ ხმარებიდან. მაგალითად, სიტყვა „*პეიჯერი*“ ათი წლის განმავლობაშიც კი არ გამოიყენებოდა, ისე გამოვიდა ხმარებიდან.
- *არქაიზმები და ისტორიზმები*, ანუ მოძველებული და ხმარებიდან გასული სიტყვები. *ისტორიზმი* - ეს არის უკვე გამქრალ, ხმარებიდან გასულ რეალიათა სახელები

(*ბოქალაქი, აზნაური, თავადი, ფეოდალი, პატეფონი*), *caravel, halberd, visor* (ინგ), რომლებსაც თანამედროვე ენაში სინონიმები არ აქვთ. ისინი გამოიყენება ან სპეციალურ ლიტერატურაში, ან მხატვრულ ნაწარმოებებში ისტორიული კოლორიტის შესაქმნელად. **არქაიზმები კი** - ეს არის ხმარებიდან გასული ისეთი სახელები, რომლებიც ჩანაცვლებულია ახალი სახელებით, ანუ მათ თანამედროვე ენაში სინონიმები აქვთ. განარჩევენ არქაიზმების რამდენიმე ნაირსახეობას, რომელთა შორისაა **ლექსიკური არქაიზმები**. ისინი მთლიანად მოძველებული სიტყვებია: „*მუნ*“ - იქ; „*თვინიერ*“ - გარდა; „*ვანი*“ - სადგომი; *welkin* (ინგლ) - ზეცა; *occire* (ფრ.) - მოკვლა; *непст* (რუს.) - თითი და ა.შ. არის აგრეთვე **სემანტიკური არქაიზმები**, რომელთაც მნიშვნელობები აქვთ მოძველებული: „*მოუწოდა*“ - მოუხმო და ა.შ. არის **ლექსიკურ-ფონეტიკური არქაიზმები**, რომლებიც დღესაც გამოიყენება, ოღონდ განსხვავებული ბგერითი შემადგენლობით: **ტვილი** - თბილი; **ჯუარი** - ჯვარი; **სძალი** - რძალი; *sayle-sail, зерцало - зеркало* (შდრ. *созерцать*).

- **ბარბარიზმები**, ანუ უცხო სიტყვები, რომლებსაც ენაში აქვთ ეკვივალენტები: „*დამალევინე ერთი ბაკალი პივა*“ და ა.შ), ამ ჯგუფს განეკუთვნება აგრეთვე ჟარგონიზმები, არგოტიზმები, საერთოდ სტილისტურად არანეიტრალური ლექსიკა და ა.შ.
- **ოკაზიონალიზმები**, ანუ სიტყვები, რომლებსაც კონკრეტული მოლაპარაკე მოცემულ სიტუაციაში ქმნის, ამიტომაც მათ **საავტორო ნეოლოგიზმებს უწოდებენ**. ისინი გხვდება ძირითადად პოეზიასა და პროზაში, ბავშვის მეტყველებაში, „ლინგვისტურ თამაშებში“ და ა.შ. ასეთია

მაგ.: „გულის სიქარბუქე“, „გამაქვითვირე“, „ენამძინარი“, „შავსევდიანი“ (გ. ლეონიძე), „ошочиарован“ „მოგონჩაროვებული“ (პუშკინი), „майновед“ – „საიდუმლომცოდნე“ – (ბრიუსოვი), „anticourts“ (ფრ) – „ანტიმოკლე“ ანუ „მინი კაბების მოწინააღმდეგე“, *degnoming* (ჯ.ჯ.როულინგი (ინგ)) – „გნომების განდევნა, მათი მოშორება“ და ა.შ.

11.5. ენის ლექსიკის კლასიფიკაცია წარმოშობის მიხედვით

ნებისმიერი ენის ლექსიკური ფონდი სიტყვათა წარმოშობის მიხედვით ორ დიდ ჯგუფად იყოფა: **ენის კუთვნილად და ნასესხებად**. შეუძლებელია ისეთი ენის ნახვა, რომელსაც მხოლოდ საკუთარი სიტყვები აქვს. უფრო მეტიც, არის ისეთი ენებიც, რომლებშიც ნასესხები სიტყვები საკუთარს ჭარბობს. ასე მაგალითად, კორეული ენის ლექსიკის 75% ჩინური წარმოშობისაა. თანამედროვე ინგლისურ ენაში ძალიან დიდია რომანული (ლათინური) წარმოშობის სიტყვათა წილი, სპარსულში - არაბული ნასესხობების, ფინურში - გერმანიკული, ქართულში - არაბული და სპარსული და ა.შ. წინადადებაში „*პროფესორი სტუდენტს ფილოსოფიაში ლექციებს უკითხავს*“ - ხუთ სიტყვაში მხოლოდ ერთია ქართული წარმოშობის.

სესხების პროცესი განპირობებულია კონკრეტული ეპოქის პოლიტიკური და კულტურულ-ისტორიული ფაქტორებით. ასე მაგალითად, ანტიკური და შუა საუკუნეების ეპოქებში სესხების ძირითადი წყარო იყო ლათინური და ბერძნული ენები, XVII-XVIII საუკუნეებში - ფრანგული ენა, XIX-XX საუკუნეებში - გერმანული, ინგლისური და ფრანგული ენები და ა.შ. მნიშვნე-

ლოვანია აგრეთვე რელიგიური ფაქტორი, მაგალითად ქრისტიანული სამყაროს ხალხთა ენების ლექსიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბიბლიეზმებს, მუსლიმანურ სამყაროში - არაბიზმებს და ა.შ.

სიტყვათა სესხება ხდება ორი გზით: პირდაპირი და ირიბი, გამჟღავნებული. პირდაპირი სესხების მაგალითებია „ბოლშევიკი“, „მენშევიკი“ „კულაკი“ და ა.შ, რომლებიც უშუალოდ რუსულიდან არის შემოსული. ირიბი სესხების მაგალითებია: „უნივერსიტეტი“, „სტუდენტი“, „ფაკულტეტი“ „დოცენტი“ და სხვა, რომლებიც ლათინიზმებია, მაგრამ ქართულში რუსულიდან არის შემოსული. სესხების გზის ცოდნა საჭიროა იმისთვის, რომ ხშირად შუამავალი ენა ასხვაფერებს ნასესხებ სიტყვებს. ასე მაგალითად, სიტყვები, „რევოლუცია“, „რეაქცია“, „კომისია“, „რევიზია“ და სხვა, ლათინური წარმოშობისაა, მაგრამ ლათინურში ნაცვლად სუფიქსისა *-ia*, არის სუფიქსი *-io*. ის რუსულმა გადააკეთა.

სესხების თავისებური სახეა *კალკი* (ფრ. calque „გადასაღები გამჭვირვალე ქაღალდი“), რომლის გამოყენების დროსაც მასალას საკუთარს იყენებენ, ოღონდ სესხულობენ სიტყვის წარმოქმნის პრინციპს ან მთელი გამოთქმის შედგენის წესს. (ჩიქობავა, 2008: 130). ასე მაგალითად, ქართული „წარმოდგენა“ არის კალკი რუსულისა „*представление*“, რომელიც თავის მხრივ კალკია გერმანულისა „*Vorstellung*“. რუსული სიტყვა „*предмет*“ კალკირებულია ლათინურიდან „*objectum*“. ლათინურიდანაა კალკირებული გრამატიკული ტერმინოლოგიის უდიდესი ნაწილი: *არსებითი სახელი (substantivum)*, *ზედსართავი სახელი (adjectivum)*, *შორისდებული (interjection)* *ქვემდებარე (subjectum)* და სხვ. შესამღებელია მთლიანი შესიტყვების კალკირებაც: „*დღის წერივი*“ კალკია რუსულიდან „*порядок дня*“, „*მაგალითი*

მოიყვანა“ - „*привел пример*“, ინგლისური სიტყვა *ear worm* კალკირებულია გერმანული სიტყვისგან და ა.შ.

ასეთია ენის ლექსიკის სისტემურობის პრობლემის მოკლე მიმოხილვა.

განმარტეთ ტექსტში გამოყენებული ლინგვისტური ტერმინები

ლექსიკის სისტემურობა; ანბანური და თემატური ლექსიკონები; სიტყვათა დალაგების პრინციპები (სინტაგმატური, პარადიგმატული, სინონიმური, ომონიმური, პარონიმული, ანტონიმური); სემანტიკური ველი; სიტყვათა ბუდეები; ლექსიკის სტილისტური დიფერენციაცია; ნეოლოგიზმი, ოკაზიონალიზმი, არქაიზმი, ისტორიზმი; აქტიური და პასიური ლექსიკა; საკუთრივენობრივი და ნასესხები ლექსიკა.

კითხვები და დავალებები

1. ახსენით თეზისი: „ლექსიკა (სიტყვათა სამყარო) საგანთა სამყაროს „ენობრივი ათვისების“ შედეგია;
2. როგორ გესმით ლექსიკის სისტემურობის პრობლემა?
3. როგორ გესმით სინტაგმატური და პარადიგმატული კავშირების საფუძველზე ლექსიკის დიფერენციაციის არსი?
4. დაასაბუთეთ თეზისი: „ლექსიკის ომონიმურ და სინონიმურ პარადიგმებად დაყოფას საფუძვლად უდევს სიტყვათა დაჯგუფება მათი გარეგანი ფორმის ან შინაარსობრივი მხარის (მნიშვნელობის) მსგავსება/იგივეობის მიხედვით“;
5. განასხვავეთ ერთმანეთისგან კომპლომენტარული და გრადუალური ანტონიმები;
6. განასხვავეთ ერთმანეთისგან არქაიზმები და ისტორიზმები;

7. ახსენით მსგავსება-განსხვავებანი თემატურ და ანბანურ ლექსიკონებს შორის;

8. იმსჯელეთ ლექსიკის სტილისტური დიფერენციაციის საკითხის შესახებ;

9. იმსჯელეთ სიტყვათა გამოყენების სიხშირის მიხედვით ლექსიკის დიფერენციაციის საკითხის შესახებ;

10. დაასაბუთეთ, რომელი სახის ლექსიკონები იქმნება ლექსიკის სისტემურობის გამოსავლენად.

12. გრამატიკა. მორფოლოგია

12.1. გრამატიკის რაობა, ძირითადი გრამატიკული ერთეულები და დარგები

ენა მხოლოდ სიტყვათა მარაგი არ არის. სიტყვები ენობრივი სისტემის ისეთივე საშენი მასალაა, როგორც, მაგალითად, სახლისთვის - აგურები. მაგრამ აგურების მარტო მოზიდვა და დაყრა როდია საკმარისი იმისთვის, რომ გვექონდეს სახლი. მას აშენება სჭირდება. მხოლოდ აშენების შემდეგ იქცევა იგი ერთიან კონსტრუქციად. ანალოგიურია ენაც. სიტყვას სიტყვას ვუკავშირებთ, წინადადებას - წინადადებას და ასე ვაყალიბდებით აზრებს. *ამ მშენებლობას თავისი წესები აქვს, რომელთა ერთობლიობას ეწოდება გრამატიკა* (ბერძნ. *grammatike techne* სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „წერის ხელოვნებას“ *gramma* = ასო-ნიშანი). ეს წესები და კანონები ყველა ენას ერთნაირი არ აქვს. ენები სიტყვებს არც ერთნაირად აგებენ და არც ერთნაირად აკავშირებენ. არის ენები, რომლებსაც ძალიან ნაკლებად ან საერთოდ არ სჭირდება ეს წესები. ასეთია, მაგალითად, ე.წ. *ძირისეული ენები*, რომლებშიც სიტყვას არც დაბოლოება აქვს და არც თავსართ-ბოლოსართები. იგი მხოლოდ ძირის სახით არის წარმოდგენილი. არის კიდევ ე.წ. ღარიბი სტრუქტურის ენები, რომლებსაც მწირი გრამატიკა აქვთ: ინგლისურს ორი ბრუნვა აქვს, ჩინურს არც ერთი. სამაგიეროდ, რუსულ ენას ექვსი ბრუნვა აქვს, ქართულს შვიდი, უნგრულს – ოცი, ტაბასარურს – ორმოცდათორმეტი და ა.შ.


ამრიგად, გრამატიკა არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს სიტყვებისა და წინადადებების აგებულებასა და ფუნქციონირებას, კერძოდ, ის იკვლევს:

1. სიტყვის აგებულებას, ანუ მის შემადგენელ სტრუქტურულ ერთეულებს - *მორფემებს*, რაც *მორფემიკის* კვლევის ობიექტია. სიტყვის აგების წესების შემსწავლელ ლინგვისტურ დისციპლინას კი *სიტყვათწარმოებას ანუ დერივატოლოგიას* უწოდებენ.

2. ძალიან ბევრ ენაში სიტყვათა უმრავლესობა ფორმაცვალებადია, *ფორმათა ერთობლიობაა* (ფორმა – ლათ. „morphē“) და ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს წარმოადგენს. სიტყვის, როგორც ფორმების ერთობლიობის შემსწავლელ გრამატიკას ტრადიციულად *მორფოლოგიას* უწოდებენ, რომელიც მორფემიკასთან ერთად სიტყვის გრამატიკის შემადგენელ ლინგვისტურ დისციპლინად არის მიჩნეული (ლინგვისტთა გარკვეული ნაწილის აზრით კი მორფემიკა და სიტყვაწარმოება დამოუკიდებელი ლინგვისტური დარგებია).

3. სიტყვათა ერთმანეთთან შეკავშირების შედეგად იქმნება ენობრივი ერთეულები - *შესიტყვებები*, მათი შეერთებით კი - *წინადადებები*. მათ აგებულებას და ფუნქციონირებას სწავლობს შესიტყვებისა და წინადადების გრამატიკა, რომელსაც *სინტაქსს* (ბერძნ.: syntaxis - „აგება“) უწოდებენ.

ამრიგად, გრამატიკის ძირითადი ერთეულებია მორფემა, სიტყვაფორმა, შესიტყვება და წინადადება, რომლებიც შემდეგი ლინგვისტური დისციპლინების შესწავლის ობიექტებია:



ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ენა თავის დანიშნულებას წინადადებით ვერ ამოწურავს. საბოლოო ერთეული, რომლის ჩამოყალიბებისთვისაც ვიყენებთ ენას, არის *ტექსტი*, რომელიც ვერ მოხვდა მოცემულ სქემაში. ამის მიზეზი არის ის, რომ ტექსტის აგება გრამატიკის ფარგლებს სცდება, მასში ჩართულია სხვა ლინგვისტური (და არა მხოლოდ ლინგვისტური) დისციპლინებიც, ამიტომაც მის შემსწავლელ ლინგვისტურ დარგს ტექსტის *ლინგვისტიკას უწოდებენ*.

ზოგადი და კერძო ენათმეცნიერების მსგავსად, განასხვავებენ *ზოგად და კერძო გრამატიკას*. კერძო გრამატიკა სწავლობს ერთი კონკრეტული ენის გრამატიკულ წყობას, ხოლო ზოგადი გრამატიკა – მეტ-ნაკლებად ყველა ენისთვის დამახასიათებელ გრამატიკულ ნიშან-თვისებებს.


ასევე შედარებითი და შეპირისპირებითი ლინგვისტიკის მსგავსად გრამატიკაც შეიძლება იყოს *შედარებითი ან შეპირისპირებითი*, რომელიც ერთმანეთთან შედარების (შეპირისპირების) გზით შეისწავლის ორი ან მეტი ენის გრამატიკულ ნიშან-თვისებებათა მსგავსება-განსხვავებებს.

12.2. სიტყვის გრამატიკა (მორფოლოგია)

გრამატიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია მორფოლოგია. იმისათვის, რომ უფრო ღრმად ჩავწვდეთ მის არსსა და დანიშნულებას, საჭიროა გავერკვეთ ისეთ ცნებებში, როგორებიცაა *გრამატიკული აბსტრაქცია, გრამატიკული მოდელი, გრამატიკული მნიშვნელობა, გრამატიკული ფორმა და გრამატიკული კატეგორია*.

რა არის გრამატიკული მნიშვნელობა? ამ საკითხზე საუბარი უკვე გვქონდა ლექსიკოლოგიაში, საიდანაც ვიცით, რომ *სიტყვა აღნიშნავს როგორც კონკრეტულ საგანს, ისე ცნებას*. მამასადაძმე, სიტყვას აქვს აბსტრაქციის, განაზოგადოების უნარი. აბსტრაქციის ამ სახეს *ლექსიკურს* უწოდებენ. არსებობს აბსტრაქციის კიდევ ერთი სახე, რომელსაც *გრამატიკული ეწოდება*. მას აინტერესებს არა კონკრეტული სიტყვები: *წიგნი, რვეული, ბლოკნოტი, გაზეთი, ჟურნალი* და ა. შ., არამედ ის, რომ ლექსიკური მნიშვნელობებით ერთმანეთისგან განსხვავებულ ამ სიტყვებს აქვთ საერთო ნიშნები: *ბრუნვა, რიცხვი და სხვა*. სხვაგვარად რომ ვთქვათ, *ლექსიკური მნიშვნელობებით ერთმანეთისაგან განსხვავებულ ამ სიტყვებს ერთნაირი გრამატიკა აქვთ* (რეფორმაცკი, 1999: 245). თუ გვაქვს ფორმები: *წიგნი, წიგნმა, წიგნს* და *ა შ.*, გვექნება ფორმები: *რვეული, რვეულმა, რვეულს; ჟურნალი, ჟურნალმა, ჟურნალს* და ა.შ. *მამასადაძმე, გრამატიკა იძლევა ყალიბებს, მოდელებს*, რომლებშიც ვსვამთ სხვადასხვა ლექსიკური მნიშვნელობების მქონე ათასობით და ათეულ ათასობით სიტყვას. სხვა სიტყვებთან დასაკავშირებლად კონკრეტულ შემთხვევაში ვიყენებთ კონკრეტული ფორმას, ლექსიკური მნიშვნელობა კი იგივე რჩება, თუმცა ფორმის შეცვლასთან ერთად მნიშვნელობის რაღაც ნაწილიც იცვალება. „*წიგნი – წიგნის*“ შემთხვევაში იცვლება *ბრუნვის მნიშვნელობა*, „*წიგნი – წიგნების*“ შემთხვევაში კი *რიცხვის მნიშვნელობა*. ეს მნიშვნელობები არ არის ლექსიკური, რადგან ლექსიკურმა მნიშვნელობამ საგანთა ნიშან-თვისებები უნდა განაზოგადოს. *ამ სახის მოდელები განაზოგადებს არა საგანთა, არამედ სიტყვათა ნიშნებს*. ამრიგად, აღნიშნული ორი სახის აბსტრაქციისგან ვიღებთ ორი სახის მნიშვნელობას, *ლექსიკურს და გრამატიკულს*.

აბსტრაქცია



გრამატიკული მნიშვნელობა - ეს არის „სიტყვათა, სიტყვა-ფორმათა და სინტაქსურ კონსტრუქციათა საერთო, განზოგადებული, განყენებული ენობრივი მნიშვნელობა, რომელსაც ახასიათებს რეგულარული ენობრივი გამოხატვა“ (ლელ: 1998).

საკუთრივ გრამატიკული მნიშვნელობა ორი სახისაა: *მორფოლოგიური და სინტაქსური*. მორფოლოგიური მნიშვნელობა აერთიანებს სიტყვის ფორმებს (*სიტყვაფორმებს*): მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის, პირველი, მეორე და მესამე პირის და ა.შ., თუმცა მან შეიძლება გააერთიანოს სიტყვებიც (მაგ. სქესის გრამატიკული კატეგორია რუსულში), სინტაქსური მნიშვნელობა კი აერთიანებს სინტაქსურ კონსტრუქციებს.

მორფოლოგიურ მნიშვნელობებსა და მათ გამოხატვაზე საუბარია, ცხადია, იმ ენებში, რომლებშიც სიტყვები ფორმაცვალეზადია და შესაბამისად წარმოადგენს ფორმების ერთობლიობას. ასეთ ენებში მორფოლოგიური მნიშვნელობები გამოიხატება სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით, რომელთა რაოდენობა სასრულია და იცვლება ენიდან ენაში. მათ შორის ძირითადია შემდეგი:

ა) *სინთეზური ხერხი* (ბერძნ. *synthesis* - „შედგენა“, „შეერთება“), რომლის მეშვეობითაც გრამატიკული მნიშვნელობის წარმოების საშუალებები სინთეზირებულია სიტყვის ფარგლებში. ესენია:

- ✓ **აფიქსაცია** (affixsus „მიწებებული“) – გრამატიკული მნიშვნელობების გამოხატვა *პრეფიქსების* (თავსართების), *სუფიქსების* (ბოლოსართების), *პოსტფიქსების*, *დაბოლოებების მეშვეობით*: წიგნი-წიგნმა-წიგნს, *писал – написал* („წერდა-დაწერა“), *красивый – красивейший*
- ✓ **ბერათმონაცვლეობა სიტყვის ძირში** – ანუ შინაგანი ფლექსია, მაგ. გერმანული: *Bruder* („ძმა“) — *Brüder* („ძმები“), *Garten* („ბაღი“) — *Gärten* („ბაღები“) და ა.შ.
- ✓ **მახვილი** – რუსულში: *рыбу* („ხელები“) – *рыб* („ხელის“); *зёрна* („ქლაქის“) – *зёрна* („ქლაქები“) და ა.შ.
- ✓ **სუპლექტივიზმი** (ლათ. *suppletus* „შემცვლელი“) - სხვადასხვა ძირის გამოყენება ამა თუ იმ გრამატიკული მნიშვნელობის საწარმოებლად. მაგ. ქართული: *მე-ჩვენ*, *არის-იქნება-იყო*, *ზის-სხედან*; ლათინური: *bonus – melior – optimus* ინგლისური: *good – better* (კარგი – უკეთესი); გერმანული: *gut – besser* (კარგი – უკეთესი); რუსული: *я – меня; сказать – говорить* და სხვ.
- ✓ **კონტექსტი** - მაგ. *კარგად წერა* (კონტექსტი წარმოაჩენს მასდარის ზმნურ ფუნქციას); „*კარგი წერა*“ - (კონტექსტი წარმოაჩენს მასდარის სახელად ფუნქციას); *мама затопила печь – повар начал печь хлеб*.

ბ) **ანალიზური ხერხი** (ბერძნ. *analysis* „დაშლა“, დანაწევრება“), რომლის მეშვეობითაც გრამატიკული მნიშვნელობა იწარმოება მინიმუმ ორი ლექსიკური ერთეულის საშუალებით. მათგან ერთი მთავარია, მეორე დამხმარე. მაგალითად, ქართულში: „*ყველაზე მაღალი*“ (ანუ უმაღლესი), *the most beautiful* (ყველაზე ლამაზი) გერმანულში - „*ich bin ... geboren*“ (დავიბადე); რუსულში - „*ябы говорю*“ (ვილაპარაკებ) და ა.შ. არის შემთხვევები, როცა ორივე ხერხია გამოყენებული, მაგალითად.

„*მე მივდივარ*“, „*ის თამაშობს*“. ამ ხერხს *ჰიბრიდულს* უწოდებენ (ნემჩენკო, 2008: 404). ანალიზური ხერხით გრამატიკული მნიშვნელობების მაწარმოებელი საშუალებებია:

✓ *რედუპლიკაცია ანუ ძირის გამეორება* – რედუპლიკაციის მეშვეობით ხდება ძირითადად ახალი სიტყვების წარმოება (წამწამი, ჭიკჭიკი და ა.შ.), თუმცა ზოგიერთ ენაში (ყაზახურში, სომხურში, ჩინურში, ყირგიზულში, იაპონურში, კორეულში და სხვ.) მისი მეშვეობით გრამატიკული მნიშვნელობებიც იწარმოება. ასე მაგალითად: *orang* — „ადამიანი“, *orang-orang* - „ხალხი“ (ინდონეზიური); *kur* - „ქვეყანა“, *kur-kur* - „ქვეყნები“ (შუმერული) *ka* - „ხელი“, *ka-ka* - „ხელები“ (ბუმბენური) *sin* „ვარსკვლავი“. *sin-sin* „ვარსკვლავები“ (ჩინ.) და *სხვა* (ნემჩენკო, 2008: 413).

✓ *არტიკლები* - მათი მეშვეობით სქესის გრამატიკული კატეგორია გამოიხატება, მაგალითად, გერმანულში: „*die Shulle*“ (სკოლა), „*das Buch*“ (წიგნი), „*der Junge*“ (ახალგაზრდა) და ა.შ.

✓ *სიტყვათა წყობა* – „*the man killed a tiger*“ (კაცმა მოკლა ვეფხვი), „*a tiger killed he man*“ – ვეფხვმა მოკლა კაცი; *мать любит отца - отца любит мать*“ (მამასადამე, როდესაც სახელობითი და ბრალდებითი ბრუნვების ფორმები ერთმანეთს ემთხვევა, სიტყვათა წყობის მიხედვით პირველ ადგილზე მდგომი სიტყვა არის სახელობითში, ხოლო მომდევნო სიტყვა - ბრალდებითში)

ამრიგად, მივიღეთ სქემა:

ჰომოგენური (მსგავსი) მორფოლოგიური მნიშვნელობების ერთობლიობა ქმნის *მორფოლოგიურ კატეგორიას*, ხოლო ჰომოგენური მორფოლოგიური მნიშვნელობების მქონე ფორ-

მების ერთობლიობა – *მორფოლოგიურ პარადიგმას*. ზოგადად ტერმინი პარადიგმა ფილოსოფიურია და მრავალმნიშვნელობიანია. ენაში იგი გულისხმობს „განსაზღვრული წესით დალაგებული ენობრივი ერთეულების სიმრავლეს“, კერძოდ, „ერთმანეთთან დაპირისპირებულ ენობრივ ერთეულთა სიმრავლეს, რომლის ყველა წევრი განისაზღვრება სიმრავლის სხვა წევრებთან მიმართებით“ (ბეგუნკოვა, ხუხუნი, 2006: 60). პარადიგმის ცნება აქტიურად ფიგურირებს ენობრივი სისტემის სხვადასხვა იარუსზე (ფონოლოგიური პარადიგმა, ლექსიკური პარადიგმა, გრამატიკული პარადიგმა). საკუთრივ გრამატიკაში პარადიგმა არის „განსაზღვრული წესით დალაგებული ფორმების ერთობლიობა“ (გოგოლაშვილი, 2011: 23). გრამატიკული პარადიგმის შემადგენელ ერთეულებს ასევე *გრამემებსაც (გრამემს)* უწოდებენ (ბეგუნკოვა, ხუხუნი, 2006: 60). ასე მაგალითად, სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი და ა.შ. ბრუნვების ფორმები გრამემებია. მათი მნიშვნელობები ქართულში ქმნის *ბრუნვის მორფოლოგიურ კატეგორიას*. მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი - *რიცხვის მორფოლოგიურ კატეგორიას* და ა.შ. შესაბამისად, სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი და ა.შ. ბრუნვების ფორმების ერთობლიობა ქმნის *ბრუნვის მორფოლოგიურ პარადიგმას*, მხოლობითი და მრავლობითი რიცხვების ფორმათა ერთობლიობა – *რიცხვის მორფოლოგიურ პარადიგმას*.

გრამატიკული კატეგორიაც და გრამატიკული პარადიგმაც სისტემებია: პირველი აერთიანებს გრამატიკულ მნიშვნელობებს, მეორე – ამ მნიშვნელობების გამომხატველ ფორმებს. ორივე შემთხვევაში სისტემას ქმნის პარადიგმატული, კერძოდ, ოპოზიციური ხასიათის *პარადიგმატული მიმართებები*. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სისტემის ერთი ელემენტის არ-

სებობა აუცილებლად გულისხმობს მასთან რომელიმე გრამატიკული ნიშნით დაპისრისპირებული ელემენტ(ებ)ის არსებობას. მაგალითად, სახელობითი ბრუნვის მნიშვნელობა (და ფორმა) არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს მიცემითი, ნათესაობითი და ა.შ. ბრუნვების მნიშვნელობები (და ფორმები); მხოლოდითი რიცხვი უპირისპირდება მრავლობითს და ა.შ.. მორფოლოგიური პარადიგმები შეიძლება იყოს ორ-, სამ- ან მრავალკომპონენტური. მაგალითად, თანამედროვე ქართული ენის რიცხვის კატეგორია ორკომპონენტურია, ანალოგიურია რიცხვის კატეგორია თანამედროვე რუსულშიც, სადაც წარსულში ის სამკომპონენტური იყო (მხოლოდითი-ორობითი-მრავლობითი), რუსული ენის სქესის კატეგორია - სამკომპონენტურია, გერმანული ენის ბრუნვის კატეგორია ოთხკომპონენტურია, რუსული ენისა - ექვსკომპონენტური, ქართულისა - შვიდკომპონენტური და ა.შ.

გრამატიკული მნიშვნელობების მსგავსად გრამატიკულ კატეგორიებსაც ორ ჯგუფად ყოფენ: *ეს არის სინტაქსური და მორფოლოგიური კატეგორიები*. მორფოლოგიური კატეგორიები სამგვარია:

- ❖ *ფორმაცვალებადობითი კატეგორიები* - (სახელებისთვის: რიცხვი, ბრუნვა და ა.შ., ზმნისთვის: პირი, კილო, გვარი, დრო, ასპექტი და ა.შ.). ისინი აერთიანებენ ერთი და იმავე ლექსემის ფორმებს, მაგ.: *წიგნი – წიგნები; წიგნი-წიგნა-წიგნს, tree - tree* და ა.შ.;
- ❖ *კლასიფიკაციური ანუ ლექსიკურ-გრამატიკური კატეგორიები* (სულიერება-უსულოობა, სქესი და ა.შ.). წმინდა მორფოლოგიური კატეგორიებისგან განსხვავებით მათ გარკვეული შეხება სემანტიკასთანაც აქვთ. სწორედ ამის გამოა, რომ მათ უწოდებენ არა გრამა-

ტიკულ, არამედ ლექსიკურ-გრამატიკულ კატეგორიებს და არც ისაა გასაკვირი, რომ ბევრი ლინგვისტი მათ საერთოდ არ თვლის გრამატიკულ კატეგორიად;

❖ *დერივაციული ანუ სიტყვაწარმოებითი კატეგორიები* - მორფემათა ტიპები, რომლებიც ქმნიან კონკრეტული მეტყველების ნაწილისთვის დამახასიათებელ სტრუქტურას (ძირი, ფუძე, აფიქსები, ფლექსია და სხვ).

სინტაქსური კატეგორიებია:

❖ *შესიტყვების კატეგორია*, რომელსაც ქმნის შესიტყვებათა ტიპები (მაგ. ნომინაციური, ზმნური, ადიექტივური და ა.შ. შესიტყვებები);

❖ *წინადადების წევრის კატეგორია*, რომელსაც ქმნიან წინადადების მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები;

❖ *წინადადების კატეგორია*, რომელსაც ქმნის წინადადებათა ტიპები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „სინტაქსური კატეგორიების შესახებ საკითხი თანამედროვე ლინგვისტიკაში დამუშავებულია უკიდურესად არასრულყოფილად. აქ უფრო მეტად საუბარია ენის სინტაქსურ ერთეულებზე, ვიდრე კატეგორიებზე“ (ნემჩენკო, 2008: 465).

გრამატიკულ კატეგორიათა ერთობლიობა ქმნის *ენის გრამატიკულ სისტემას (წყობას)*, რომელიც ენებს შორის განსხვავებათა ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. ამ განსხვავებების მიხედვით ენებს შემდეგ ჯგუფად ყოფენ:

1. ენები, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიის ქონა-არქონით. მაგ. სქესის გრამატიკული კატეგორია აქვს რუსულს, მაგრამ არ აქვს ქართულს,

თურქულს. არტიკლი აქვთ ინგლისურს და გერმანულს, მაგრამ არ აქვთ ქართულსა და რუსულს და ა.შ.

2. ესა თუ ის მორფოლოგიური კატეგორია ორი ენიდან შეიძლება იყოს ორივეში, მაგრამ მათი გამოხატვის ხერხები შეიძლება არ იყოს ერთნაირი. ასე მაგალითად, რიცხვის კატეგორია არის რუსულშიც, გერმანულშიც და ინგლისურშიც, მაგრამ რუსულში მრავლობითი რიცხვის ფორმები გამოხატულია უმეტესწილად დაბოლოებებით, გერმანულსა და ფრანგულში - არტიკლითაც. რუსულსა და გერმანულში სამი გრამატიკული სქესია, ფრანგულში - ორი და ა.შ.

3. ენები განსხვავდებიან ერთ კატეგორიაში გრამემათა რაოდენობის მიხედვითაც, ასე მაგალითად, ბრუნვის კატეგორიის გრამემათა რაოდენობა მერყეობს 2-დან (ინგლისური ენა) 44-მდე (ტაბასარული ენა) და ა.შ.

ასეთია გრამატიკის, როგორც ლინგვისტური დარგის მოკლე მიმოხილვა.

12.3. მეტყველების ნაწილები

გრამატიკის გარეშე ტექსტის შედგენისთვის აუცილებელი სიტყვების კონკრეტული ფორმების შერჩევა-გამოყენება ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ არის კი შესაძლებელი ათეულობით ათასი სიტყვის გრამატიკული მახასიათებლების დამახსოვრება? ცხადია, ეს შეუძლებელია. უფრო მეტიც, ამის არა თუ შესაძლებლობა, საჭიროებაც კი არ არის. საქმე ისაა, რომ *გრამატიკული მახასიათებლები სიტყვებს არა მხოლოდ განასხვავებს ერთმანეთისგან, არამედ აერთიანებს კიდევ*. საკმარისია ენის ლექსიკა საერთო ნიშნების მქონე სულ რაღაც

რამდენიმე ჯგუფად (კლასად) დავალაგოთ და თითოეული მათგანიდან დავიმახსოვროთ რამდენიმე სიტყვის მორფოლოგიური მახასიათებლები, რომ შევძლოთ მათი გამოყენება ტექსტის შექმნისთვის. ამ დასკვნამდე ჯერ კიდევ უძველეს დროში მივიდნენ ძველი ინდოელი, ბერძენი და რომაელი ფილოსოფოსები და გრამატიკოსები. ასე მაგალითად, ერთ-ერთმა მათგანმა, **დიონისე თრაკიელმა**, იმდროინდელი ბერძნული ენის ლექსიკა 8 დიდ ჯგუფად დაყო. ესენია: **1. სახელი, 2. ნაცვალსახელი, 3. ნაწევარი (არტიკლი); 4. ზმნა, 5. მიმღეობა, 6. ზმნისართი, 7. კავშირი, 8. წინდებული**. მას რომაელებმა დაუმატეს შორისდებულის. ძველი ინდოელი მოაზროვნენი სანსკრიტში (ერთ-ერთ ძველ ინდურ ენაში) გამოყოფდნენ სიტყვათა ოთხ კლასს: **სახელი, ზმნა, წინდებული და ნაწილაკი**. ასე ჩაეყარა საფუძველი **მეტყველების ნაწილების ტრადიციულ თეორიას**, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნეში. ამ თეორიის მიხედვით მეტყველების ნაწილი ერთ-ერთი უმთავრესი ენობრივი კატეგორიაა, **რომელიც აქვს მსოფლიოს ყველა ენას იმის მიუხედავად, ახასიათებს თუ არა მას სიტყვათა ფორმაცვალებადობა**. მაშასადამე, ის ერთ-ერთი ენობრივი უნივერსალიაა. საკუთრივ ქართული ტერმინი „მეტყველების ნაწილი“ პირდაპირი თარგმანია (კალკაა) ლათინურისა „*partes orationis*“. ანალოგიური სიტუაციაა უამრავ სხვა ენაშიც: ბერძნ. *tà mère tú lógu*, გერმ. *Redeteile*, ინგლ. *parts of speech*, ფრანგ. *parties du discours* რუს. *часть речи* და სხვა. ეს ტერმინი მოდის იმ დროიდან, როცა ტერმინები „ენა“ და „მეტყველება“ ერთმანეთისგან მკაფიოდ არ იყო გამიჯნული. დღეს ის სამეტყველო ნაკადის ნაწილებს კი არა, ენობრივი ერთეულების დიდ ჯგუფებს (კლასებს) აღნიშნავს. ამის გამო ლინგვისტთა გარკვეული ნაწილი სავსებით სა-

მართლიანად აღარ თვლის ტერმინს „მეტყველების ნაწილი“ მართებულად (ნემჩენკო, 2008: 415).

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ საკითხის ისტორიაში ჩაღრმავებას, ეს ზოგადი ენათმეცნიერებისა და ლინგვისტური მოძღვრებათა ისტორიის პრეროგატივაა. შევჩერდებით მხოლოდ **ლექსიკის მეტყველების ნაწილებად დაყოფის არსსა და კრიტერიუმებზე.**

საერთოდ, ნებისმიერი კლასიფიკაცია გულისხმობს ელემენტთა სიმრავლის დაჯგუფებას იმ მიზნით, რომ გაადვილდეს მათში გარკვევა. ამიტომ ეს დაყოფა უნდა მოხდეს **საერთო ნიშნის საფუძველზე.** არ შეიძლება ერთი ჯგუფი ერთი ნიშნის საფუძველზე გამოიყოს, მეორე - მეორის და ა.შ. ჯგუფებად დაყოფის პროცესში საკლასიფიკაციო ნიშანი არ უნდა შეიცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი და იგივე მონაცემი სხვადასხვა ჯგუფში შეიძლება აღმოჩნდეს, რაც კლასიფიკაციის არსს ეწინააღმდეგება. მაგალითად, დაუშვებელია ვთქვათ: „*ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები იყოფიან წარჩინებულებად, კახელებად და ვაჟებად*“. ისტორიკოსი შეიძლება იყოს ერთდროულად კახელიც, ვაჟიც და წარჩინებულიც. ამიტომ სტუდენტები ან მხოლოდ ვაჟებად და გოგონებად უნდა დაეყოს, ან მხოლოდ წარჩინებულებად, საშუალო მოსწრების მქონეებად და წარუმატებლებად, ან კიდევ კახელებად, ქართლებად, სვანებად და ა.შ. (ა. ჩიქობავას მაგალითი). ამ პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს ენის ლექსიკური ფონდის მეტყველების ნაწილებად დაყოფაც, **მაგრამ ის დარღვეულია დიონისე თრაკიელიდან მოყოლებული დღემდე.** ასე მაგალითად, თანამედროვე ტრადიციულ კლასიფიკაციაში ხუთი წევრი გამოყოფილია იმის მიხედვით, თუ **რას აღნიშნავს სიტყვა** (ნაცვალსახელის გამოკლებით), ანუ სემანტიკური პრინციპის საფუძველზე,

დანარჩენი ოთხი კი იმის საფუძველზე, *თუ რა როლს თამაშობენ ისინი* სხვა სიტყვებთან ურთიერთობაში (გრამატიკული პრინციპი). ამიტომ თუ ვიტყვით, „*ზედსართავი სახელი თვისებას აღნიშნავს*“ (სემანტიკური პრინციპი), მაშინ ზედსართავებად უნდა ჩავთვალოთ არსებითი სახელები „სიწითლე“, „სილამაზე“, „სიმაღლე“. უფრო მეტიც, ჩინურ ენაში ზედსართავი სახელი საერთოდ არ არსებობს. რა თქმა უნდა, საგნის თვისებები გამოიხატება ჩინურშიც, მაგრამ არა სპეციალური მეტყველების ნაწილის, არამედ ზმნის საშუალებით. ეს იგივეა, რომ ქართულში „გამონათქვამების: „*წითელი ვაშლი*“, „*კარგი ამხანაგი*“ - ნაცვლად გვქონდეს გამონათქვამები: „*ვაშლი წითლობს*“, „*ამხანაგი კარგობს*“. ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთ ენაში კი (იანა ენა) რიცხვითი სახელიც ზმნით გამოიხატება: „*კაცი ათობს*“, „*კაცი მეორეობს*“ (ნებიერიძე, 1991: 147). თუ ვიტყვით, „*ზედსართავი სახელი სხვა სახელს განმარტავს*“ (გრამატიკული პრინციპი), მაშინ ზედსართავებად იქცევა მრავალი არსებითი სახელი: „*ეჭიმი ქავთარაძე*“, „*მასწავლებელი პეტრე*“ (ა. ჩიქობავა). რჩება ერთადერთი გამოსავალი: *მეტყველების ნაწილებად დაყოფის საფუძველად ერთდროულად უნდა ავიღოთ რამდენიმე კრიტერიუმი*. „მართლაც რა დაგვიშლიდა, *არსებითი სახელი გაგვესაზღვრა როგორც სიტყვა, რომელიც აღნიშნავს საგანს და იბრუნება*“, „*ზმნა - როგორც სიტყვა, რომელიც მოქმედება-მდგომარეობას აღნიშნავს და იუღლება*“ და ა.შ“ (ჩიქობავა, 1983). რატომაც არა, საბოლოო ჯამში რეალურად ეს მართლაც ასეა, თუმცა ყველაფერი წესრიგში იქნებოდა მაშინ, *სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა, როგორც წესი, ყველგან და ყოველთვის რომ განაპირობებდეს სიტყვის ფორმას*. ეს ასე ყოველთვის არ ხდება: არის ისეთი ენები, რომლებშიც არსებითი სახელი აღნიშნავს საგანს, მაგრამ არ იბრუნება (მაგ. ბულგარული, ინგლისური),

თვისების აღმნიშვნელი სიტყვა არ იცვლება სქესის მიხედვით (ქართული) და ა.შ. *ასეთ ენებში ფორმასა და შინაარს შორის არანაირი პარალელიზმი არ არსებობს.* უფრო მეტიც, იმ ენებშიც კი, სადაც ასეთი პარალელიზმი არის, ხშირად სიტყვის მნიშვნელობა და ფორმა ერთმანეთის საწინააღმდეგოდ კია მიმართული. ასეთია მაგალითად, ქართული რიცხვითი სახელის „ერთი“ მრავლობითი რიცხვის ფორმა „ერთნი“: ფუძის მნიშვნელობა მხოლობითს გულისხმობს, დაბოლოება - მრავლობითს (ანალოგიური სიტუაციაა რუსულშიც). ასე, რომ, ცალკე აღებული ვერცერთი კრიტერიუმი ვერ იძლევა რეალურ შედეგს, ამიტომაც ამ კლასიფიკაციას დღემდე საფუძვლად უდევს არა ერთი რომელიმე, არამედ რამდენიმე ძირითადი კრიტერიუმი:

1. სემანტიკური. ამ ნიშნის მიხედვით კონკრეტულ მეტყველების ნაწილს აერთიანებს ზოგადი, ე.წ. კატეგორიული მნიშვნელობა: არსებით სახელს - საგნობრიობა, ზმნას - პროცესუალობა, ზედსართავს - თვისებრიობა, რიცხვითს - რაოდენობითობა, რიგობითობა ან წილობითობა, ნაცვალსახელს - დეიქსისი ანუ მითითება, ზმნიზედას - ადგილის, დროის და სხვა ვითარებათა აღნიშვნა;

2. მორფოლოგიური. ამ ნიშნით სიტყვები ერთიანდება ფორმაცვალების არსებობა-არარსებობისა და სახის მიხედვით: სახელი ბრუნებადია, ზმნა - უღლებადია, დანარჩენები (ზმნი-ზედა, კავშირი, შორისდებული) ფორმაუცვლელი.

3. სინტაქსური, ანუ წინადადებაში როლის მიხედვით: ზმნა ყოველთვის არა, მაგრამ როგორც წესი პრედიკატ/შემასმენლის ფუნქციას ასრულებს, არსებითი სახელი -სუბიექტ/ქვემდებარის ან ობიექტ/დამატების და ა.შ.

აღნიშნულ კრიტერიუმებს შორის წამყვანი მაინც მორფოლოგიურია და არა სემანტიკური. ამიტომაც განიხილება მეტყველების ნაწილები მორფოლოგიაში და არა ლექსიკოლოგიაში.

და კიდევ ერთი საკითხი: რამდენი შეიძლება იყოს მეტყველების ნაწილი? როგორც ლინგვისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, ამ კითხვის დასმა ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება იმის კითხვა, თუ რამდენია სამეტყველო ბგერა (ჩიქოვაჟა 2008: 202). ამა თუ იმ კონკრეტული ენის ლექსიკის მეტყველების ნაწილებად დალაგება ხდება სწორედ ამ ენის მორფოლოგიური სტრუქტურიდან გამომდინარე, ამიტომ ენებში მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად იცვლება. ასე მაგალითად, ქართულში ათი მეტყველების ნაწილია: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი და შორისდებული. ტრადიციული გრამატიკის მიხედვით, ამდენივე მეტყველების ნაწილია რუსულშიც, ინდიელთა ერთ-ერთ ენაში დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი მხოლოდ ორია: სახელი და ზმნა. აზიისა და ჩრდილო ამერიკის ზოგიერთი ხალხის ენაში ზედსართავი სახელი და ზმნიზედა ერთ ჯგუფშია გაერთიანებული. ერთმანეთისგან არ განსხვავდება ისინი ინგლისურ ენაშიც, ოღონდ ფორმის მიხედვით: აქ ორივე ფორმაუცვლელია. ჩინურში ერთ მეტყველების ნაწილად არის წარმოდგენილი ზედსართავი და ზმნა. ინგლისურსა და ზოგიერთ აფროაზიურ ენაში ერთ მეტყველების ნაწილად არის გაერთიანებული ზედსართავი და არსებითი სახელები და ა.შ. (ვენდინა, 2008: 418).

ასეთია სიტყვათა მეტყველების ნაწილებად დაყოფის არსი და ძირითადი კრიტერიუმები. რაც შეეხება თითოეულ მეტყველების ნაწილს, ჩვენ მათი განხილვის საჭიროებას აქ ვერ ვხე-


დავთ, რადგან ისინი სიღრმისეულად კონკრეტული ენის გრამატიკის განხილვისას იქნება გაანალიზებული.

12.4. სიტყვის აგებულება და სიტყვანარმოება

სიტყვის გრამატიკის ერთ-ერთი მიმართულებაა მისი აგებულების შესწავლა, რაც გულისხმობს მის დაშლას შემადგენელ ნაწილებად. მათ *მორფემები ეწოდება* (ბერძნ. morphème „ფორმა“). ხოლო მათ შემსწავლელ ლინგვისტურ დისციპლინას - *მორფემიკა (მორფემოლოგია)*. ის შემდეგი სახით განიმარტება: „*მორფემიკა არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის მორფემათა ტიპებსა და სტრუქტურას, მათ მიმართებებს როგორც ურთიერთისადმი, ისე მთლიანად სიტყვ(ებ)ისადმი*“ (ლეელ, 1998: 313).

სიტყვის დაშლა შესაძლებელია მარცვლებადაც, ოღონდ ეს ხდება მეტყველებაში და დამოკიდებულია არა მნიშვნელობაზე, არამედ მარცვლის მაწარმოებელი ბგერების (ენების უმეტესობაში - ხმოვნების) რაოდენობაზე („სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენიც ხმოვანია“). მორფემებად დაშლა კი პირდაპირ კავშირშია მნიშვნელობასთან, როგორც ლექსიკურთან, ისე მორფოლოგიურთან. შესაბამისად, მორფემა არის „*სიტყვის შემადგენლობაში მნიშვნელობის მქონე უმცირესი, მინიმალური ერთეული, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ან ლექსიკური, ან მორფოლოგიური მნიშვნელობა*“ (ქეე, 2008, 331).

გამოყოფენ შემდეგი სახის მორფემებს:

ა) *ლექსიკური მორფემები რომლებიც გამოხატავენ*  *სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას. ასეთია ძირი და ფუძე.*

ძირი სიტყვის აუცილებელი ელემენტია. ისევე როგორც მარცვალში აუცილებელია ხმოვანი, სიტყვაშიც აუცილებელია ძირი. ის ქმნის სიტყვის ბირთვს, ვინაიდან მის გარეშე სიტყვა ლექსიკურ მნიშვნელობას ვერ გამოხატავს. ასე მაგალითად, ქართულ სიტყვებში: *მ-წერ-ალ-ი*; *ნა-წერ-ი*, *სა-წერ-ი*, *უ-წერ-ი* და ა.შ. - ძირია „-წერ-“. „*მ-ხატ-ვარი*, *ხატ-ავს*, *ხატ-ი*“ და ა.შ. - ძირია „-ხატ-“; *ინგლისურ სიტყვებში signing, design, signal, signature ძირია sign*. სიტყვისგან განსხვავებით ძირი გამოხატავს ლექსიკურ მნიშვნელობას არა დამოუკიდებლად, არამედ მის შემადგენლობაში, ამიტომაც ვამბობთ, რომ ძირი არის არა სრულფასოვანი, არამედ *ნაწილობრივი ნიშანი*, უფრო ზუსტად, არა ნიშანი, არამედ *ნიშნადი ერთეული*. ამავე დროს, არის სიტყვები, რომლებიც, ლინგვისტთა ერთი ნაწილის აზრით, მხოლოდ ძირის სახით არის წარმოდგენილი: ქართ. *ძმა, ქვა, ხე*; *ინგლ.: dog, cat, table*; რუს.: *ход, кон, дом*; გერმ.: *Stadt, Gast* და ა.შ. (ნებერიძე, 1991: 141). ლინგვისტთა მეორე ნაწილის აზრით კი, ასეთ სიტყვებს: *npam, кон, дом* - აქვთ ნულოვანი დაბოლოება. ძირი შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ერთი ფონემისგანაც, როგორებიცაა, მაგალითად, ქართ. „*ი-ც-ი-ს*“; *ხ-ის* რუს. „*к-о-з-о*“, „*к-о-м-у*“ (*кмо*).

სიტყვის ძირის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია ისიც, რომ ის არის უმცირესი, დაუშლელი ნიშნადი ერთეული. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი დაშლა შესაძლებელია მხოლოდ ფონემებად, რითაც მნიშვნელობასთან მისი კავშირი წყდება. ასე მაგალითად, „-წერ-“ ძირის ნებისმიერი სახით დაშლის შემდეგ შეუძლებელი ხდება საგნობრივ სამყაროსთან მისი კავშირის დადგენა. მაშასადამე, ძირი, ისევე როგორც ფონემა, მინიმალური ენობრივი ერთეულია, ოღონდ ფონემისგან განსხვავებით ის მინიმალური ნიშნადი ერთეულია.

ფუძე მიიღება ძირზე გრამატიკული მორფემების (აფიქსების) დართვით. მაშასადამე, ძირისგან განსხვავებით, ის არ არის მინიმალური, დაუშლელი ნიშნადი ენობრივი ერთეული. ფუძე იშლება ძირად და აფიქსებად. საზოგადოდ, სიტყვის ფუძე შეიძლება იყოს *მარტივი*, რომელიც შედგება ერთი მორფემისგან და ემთხვევა ძირს (*სწავლა, ხე, ქვა, boy, play*) და დერივაციული (წარმოებული) (*სა-სწავლ-ებ-ელ-ი*) და შედგენილი (*სასოფლო-სამეურნეო*).

სხვადასხვა ენაში მოქმედებს სიტყვის ფუძის გამოყოფის სხვადასხვა წესი, რომელთა დაწვრილებით განხილვასაც აქ საჭიროდ არ ვთვლით. ზოგადად შეიძლება ითქვას ის, რომ ფუძედ ითვლება სიტყვის ის ნაწილი, *რასაც ვიღებთ მისგან დაბოლოების ჩამოცილებით*. ასე მაგალითად, ზემოთ მოცემულ მაგალითებში ფუძეებია: *მწერალ-*; *ნაწერ-*, *საწერ-*, *უწერ-*; *„მხატვარ-*, *ხატავ-*, *ხატ-*“ და ა.შ.

ბ) არის აგრეთვე *ფორმანტები ანუ აფიქსები* (ლათ. *affixus* – „მიმაგრებული“), რომლებსაც ასე განმარტავენ: „*აფიქსი არის გრამატიკული მორფემა, რომელიც გამოხატავს სრულმნიშვნელობიან სიტყვებს შორის მიმართებებს და გრამატიკულ კატეგორიებს ან აწარმოებს ახალ სიტყვებს*“ (გოგოლაშვილი, 2011: 9). ან კიდევ: „*სართი, მორფემა, დამხმარე მნიშვნელობის მქონე მინიმალური მორფოლოგიური ერთეული, რომელიც დაერთვის სიტყვის ძირს ან ფუძეს და ასრულებს სიტყვაწარმოებით ან ფორმაწარმოებით ფუნქციას*“ (ქეე, 2008: 62). მაშასადამე, გრამატიკული მორფემები (აფიქსები) თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფა:

სიტყვაწარმოებითი, რომელიც დაერთვის ძირს და აწარმოებს ახალ სიტყვებს: *წერა, მ-წერ-ალ-ი* (ქეე, 2008: 62).

ფორმაწარმოებითი ანუ რელაციური, რომელიც აწარმოებს სიტყვის ფორმებს.

სიტყვაში ძირის მიმართ დაკავებული პოზიციის მიხედვით განასხვავებენ შემდეგი სახის აფიქსებს:

ა) თავსართი ანუ პრეფიქსი („წინიდან მიმაგრებული“): *ა-სვლა, ჩა-სვლა, მი-სვლა, მო-სვლა npu-xod, y-xod, om-xod, vs-xod, za-xod, preheat, disown* და ა.შ.

ბ) ბოლოსართი ანუ სუფიქსი („ბოლოდან მიმაგრებული“): *მწერ-ალ-ი, მხატ-ვ-არ-ი. чай - чай-ник, старьш - стар-ик, writer, favourism* და ა.შ.

გ) ინფიქსი (ლათ. infixus „ჩარჭობილი“) - სიტყვის ძირში ჩართული აფიქსი, მაგ. ლათინურში: *vic-i* (გავიმარჯვე), *vi-n-co* (ვიმარჯვებ); ტაგალის ენაში (ინდონეზია): *sulat* (წერილი), *s-um-ulat* (წერა), *s-in-ulat* (დაწერილ იქნა). სანსკრიტულში: *sic* - „წვეთება“; *si-n-cati* „აწვეთებს“. ქართულში ინფიქსის ნიმუშად თვლიან მეტათეზისის ანუ ბგერის გადასმის შედეგად „**ლ**“, „**შ**“, „**ნ**“, „**რ**“ თანხმოვნების შემდეგ „**ვ**“ თანხმოვნის გაჩენას შემდეგი სიტყვების ძირებში: „**ხვნ-ა**“ (*ხნ-ავს*), „**შე-ნიშვნ-ა**“ (*შე-ნიშნ-ავს*) და ა.შ. (ჩიქობავა, 2008: 170). თუმცა, ლინგვისტთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ინფიქსი ქართულისთვის არ არის დამახასიათებელი (გოგოლაშვილი, 2011: 9). ინფიქსის მაგალითად თვლიან აგრეთვე არაბული ენისთვის დამახასიათებელ მოვლენას, როგორცაა **„ხმოვანი აფიქსის შეჭრა თანხმოვნებისგან შედგენილ ძირში** და ამ გზით სიტყვაფორმისთვის გარკვეული ლექსიკური თუ მორფოლოგიური მნიშვნელობის მინიჭება. მაგალითად: „*ktb*“ – *kataba* („მან დაწერა“) - *kutiba* („დაიწერა“), *kitab* („წიგნი“), *katib* („მწერალი“) და სხვა. ამგვარ აფიქსებს **ტრანსფიქსებსაც** უწოდებენ.

დ) ინტერფიქსი („შუაში ჩამაგრებული“) – „აფიქსი, რომელიც გამოიყენება რთულ სიტყვებში მათი შემადგენელი ძირების დასაკავშირებლად“. მაგალითად, გერმანული *Arbeitsplan*. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსულ ლინგვისტიკაში ინტერფიქსი აფიქსად არ განიხილება, რადგან ის მხოლოდ ფუძეთა შემაერთებელ ფუნქციას ასრულებს: *корабль-е-строение, нар-о-еоз*. ინტერფიქსი თავისი არსით ფაქტობრივად იგივეა, რაც ინფიქსი, თუმცა მისგან განსხვავდება იმით, რომ ის ჩასმულია ძირებს შორის და არა ძირში.

ე) ამზიფიქსი – „აფიქსი, რომელსაც შეუძლია იყოს პრეფიქსიც და სუფიქსიც. ასეთია მაგალითად. ინგლისური *aut: autdo* („წინააღმდეგობის გადალახვა“), *doaut* (ალაგება) (ქეე, 2008: 62; ლელ, 1998: 1990: 59).

ვ) ცირკუმფიქსი („ირგვლივ შემოწებებული“), იგივე კონფიქსი (ლათ. *confixum* – „ერთად აღებული“) – პრეფიქსისა და სუფიქსის კომბინაცია, რომელიც თითქოს ძირზე ირგვლივია შემოხვეული. მაგალითად: ქართ.: „*მე-ღვინ-ე*“, „*სა-ღორ-ე*“; გერმ.: „*ge-lern-t*“, „*ge-mach-t*“, რუსული „*под-окон-ник*“ და ა.შ.

გ) პოსტფიქსი („შემდეგ მიმაგრებული“) – აფიქსი, რომელიც სიტყვას დაერთვის დაბოლოების შემდეგ, როგორებიცაა რუს. „*зачитыва-ем-ся*“ „*к-озо-ниды*“, „*к-ому-ниды*“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლინგვისტთა ერთი ნაწილის აზრით პოსტფიქსად ითვლება ყველა ის ფორმანტი, რომელიც მოდის ძირის შემდეგ. ასეთი მიდგომით პოსტფიქსად ითვლება სუფიქსიც და ფლექსიაც (ლელ, 1998: 59)

რაც შეეხება ფლექსიას, სიტყვას ის უმეტეს შემთხვევაში ბოლოს დაერთვის და უცვლის ფორმას. ამის გამო მას ხშირად ტერმინ „*დაბოლოებასთან*“ აიგივებენ, მართალია ფლექსია არის სიტყვის ფორმის მაწარმოებელი ფორმანტი, მაგრამ ის ყოველ-

თვის არ არის დაბოლოება (პირის ნიშანი, ბრუნვის ნიშანი). არის ენები, რომლებშიც ზოგიერთი სიტყვა ბოლოვდება არა ფლექსიით, არამედ ფლექსიის შემდგომი ელემენტით, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, *პოსტფლექს* უწოდებენ. ასეთია, მაგალითად, რუსული ნაწილაკი -*ся*: *учи-л-ся*, *кынае-т-ся* და ა.შ. არის აგრეთვე ენები, რომლებშიც გხვდება ე.წ. „*შინაგანი ფლექსია*“ ანუ ფორმაცვალეებითი ხმოვანმონაცვლეობა სიტყვის ძირში, როგორცაა მაგ. გერმ. *Bruch* „მოტეხილობა“, *ist gebrochen* „მოტეხილია“, *brach* („მოიტეხა“), *bräche* – („მოიტეხავდა“), *brechen* („ტეხვა“), *brich* („მოტეხე“), *brüchig* („ტეხადი“), და ა.შ. ამ კონტექსტში განიხილება ისეთი ქართული მაგალითებიც, როგორებიცაა *ხეხს-ხახუნი*, *დრეკს*, *დრიკა*, *დავძარ-დავიძრები* და ა.შ. (ქეე, 2008: 482). არის უამრავი ისეთი შემთხვევაც, როცა ფლექსია მატერიალურად საერთოდ არ არის გამოხატული: ხე ქვა, უთო; *кран*, *таракан*, *рожь*, *ночь* და ა.შ.

მორფემა, ისევე როგორც ფონემა, აბსტრაქტული ერთეულია ენისა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რეალიზდება კონკრეტული ვარიანტებით, რომლებსაც ერთ შემთხვევაში *მორფები (მორფი)* ეწოდება, მეორე შემთხვევაში კი - *ალომორფი*. ასე მაგალითად, ისევე როგორც ფონემა „ბ“ მეტყველებაში რეალიზდება: ა) ფონებით: „ბ¹“, „ბ²“, „ბ³“ ... ბ^N“ და ბ) ალოფონებით ანუ პოზიციური ფონებით: *ბ/ფ*: *ვამბო-/ფ/ - ვამბო/ბ/-დი*. ანალოგიურად, მორფემა „-დრეკ-“ (*მო-დრეკ-ა*) რეალიზდება: ა) ყოველ კონკრეტულ სამეტყველო აქტში - კონკრეტული მორფის სახით (-*დრეკ¹* -, *-დრეკ²* -, *-დრეკ³* - ... -*დრეკ^N*-), ბ) სხვადასხვა კონსტრუქციაში სხვადასხვა ფონემური შედგენილობით -*დრეკ-/ -დრიკ-/ -დრკ-*: *დრეკ-ა*; *მო-დრიკ-ა*; *შე-დრკ-ა*; *друг - дружный - друзья*. ერთი და იმავე მორფემის სხვადასხვა ფონემურ გამოხატულებას *ალომორფები* ეწოდება (ახვლედიანი, 1972: 178). მაშა-

სადამე, თუ ფონოლოგიაში გვაქვს რიგი: *ფონი - ალოფონი - ფონემა*, ლექსიკოლოგიაში: *ლექსა - ალოლექსი - ლექსემა*, მორფემიკაში არის რიგი - *მორფი - ალომორფი - მორფემა*. ენათმეცნიერების დარგს, რომელიც შეისწავლის „*მორფემათა ალომორფულ შემადგენლობას, ალომორფულ მონაცვლეობებს და იმ ცვლილებებს, რომლებიც ვლინდება მორფემათა ურთიერთდაკავშირების დროს, მორფოფონოლოგია (მორფონოლოგია, მორფონემიკა)* ეწოდება (გამყრელიძე, 2008:241).

მორფემიკასთან მჭიდრო კავშირშია კიდევ ერთი ლინგვისტური დისციპლინა - *სიტყვაწარმოება ანუ დერივატოლოგია, რომელიც სწავლობს არსებული სიტყვებიდან ახალი სიტყვების წარმოების წესებს*.

თანამედროვე ლინგვისტიკაში ტერმინს „სიტყვაწარმოება“ ორი მნიშვნელობით იყენებენ. ერთ შემთხვევაში ეს არის დერივატია, ანუ „*სიტყვების წარმოქმნა არსებული ენობრივი მასალის საფუძველზე და მისი დახმარებით*“ (ნიკოლაძე, 2014). მეორე შემთხვევაში კი ეს არის ამ ლინგვისტური პრობლემის შემსწავლელი დარგი ანუ *დერივატოლოგია*. სიტყვაწარმოებას ძირითადად *მორფოლოგიაში* აერთიანებენ, თუმცა ლინგვისტთა გარკვეული ნაწილი მას *ლექსიკოლოგიის* შემადგენლობაში მოიაზრებს. არსებობს აგრეთვე *მოსაზრება*, რომლის მიხედვითაც „ეს სფერო სხვა დისციპლინებს შორის დგას, ერთი მხრივ, სინტაქსა და, მეორე მხრივ, მორფოლოგიას შორის და რადგან სიტყვაწარმოებითი პროცესები ზეგავლენას ახდენენ ასევე სიტყვის მნიშვნელობაზე, იგი ლექსიკოლოგიასთანაც არის დაკავშირებული“, ამიტომ ის დამოუკიდებელ ლინგვისტურ დისციპლინად განიხილება (ნიკოლაძე, 2014). სადაც არ უნდა მიუჩინონ მას ადგილი, ფაქტი ერთია: სიტყვაწარმოება (დერივატოლოგია) მჭიდრო კავშირშია მორფემიკასთან, იმდენად მჭიდრო,

რომ მათ ხშირად ერთმანეთთან აიგივებენ კიდეც, თუმცა მორფემიკას აინტერესებს სიტყვის სტრუქტურა, მისი დაშლა მორფემებად, მორფემული ანალიზი და პასუხობს კითხვებზე: *რისგან შედგება სიტყვა, რა სახის მორფემებად იშლება ის*. სიტყვაწარმოებას კი პირიქით, აინტერესებს სიტყვის სტრუქტურის შექმნა, მისი მორფემებისგან აწყობა, სინთეზი და პასუხობს კითხვაზე: *რომელი ძირისგან (ან სიტყვისგან) ან როგორ არის ნაწარმოები მოცემული სიტყვა*.

სიტყვაწარმოება არ უნდა აგვერიოს *სიტყვაქმნადობაში*. „სიტყვაქმნადობა გულისხმობს, რომ სიტყვები იქმნება ბგერათა კომბინაციებისაგან, რომლებიც ენაში ჯერ კიდეც არ არსებობს, როგორც მნიშვნელობის მატარებელი ელემენტები (ნიშნები). ე.ი. სიტყვათქმნადობის დროს წარმოიქმნება ახალი ძირი“ (ნიკოლაძე, 2014). ხოლო სიტყვაწარმოება არის სიტყვების წარმოქმნა უკვე არსებული ენობრივი მასალის საფუძველზე.

დერივაციის სახეებია:

მორფოლოგიური დერივაცია - ეს არის ერთი და იმავე სიტყვიდან მისი სხვადასხვა ფორმის წარმოება ანუ *ფორმაცვალებადობა* (წიგნ-ი, წიგნ-მა, წიგნ-ს, და ა.შ.);

ლექსიკური დერივაცია - სიტყვიდან ახალი სიტყვის წარმოება (სა-წიგნ-ე, უ-წიგნ-ურ-ი, მ-წიგნ-ობ-არ-ი);

სემანტიკური დერივაცია - პოლისემიური სიტყვისგან ორი დამოუკიდებელი სიტყვის ფორმირება. მაგ. *კრაზანა* (მწერი) და *კრაზანა* (ყვავილი); *ცხვირი* (ადამიანის) და *ცხვირი* (გემის);

სიტყვაწარმოების კვლევის სფეროში შედის მხოლოდ ლექსიკური დერივაცია, რომლის ძირითადი ერთეულია *წარმოებული (ნაწარმოები, დერივაციული) სიტყვა* და არა სიტყვის ახალი ფორმა. წარმოებულად ითვლება სიტყვა, რომელიც აკმაყოფილებს ერთდროულად შემდეგ მოთხოვნებს:

ა. რომელსაც თუნდაც ერთ სხვა სიტყვასთან მაინც აკავშირებს საერთო ძირი. მაგალითად: *ხატვა - მხატვარი; სწავლა - სასწავლებელი*. საერთო ძირის მქონე სიტყვებს *მონათესავე სიტყვებს* უწოდენ.

ბ. რომელსაც თანდართული აქვს სიტყვაწარმოებითი აფიქსი მაინც: *გურ-ულ-ი, სვან-ურ-ი; სამ-იან-ი*;

ც. რომლის მნიშვნელობაც აიხსნება მონათესავე სიტყვების ძირის მნიშვნელობიდან ამოსვლით.

გარდა *დერივაციულისა*, სიტყვა შეიძლება იყოს *მარტივი*, რომელიც შედგება მხოლოდ ერთი ძირისგან (*ქვა, მარილი, შაქარი, ყინული*) და *შედგენილი*, რომელიც შედგება ერთზე მეტი ძირისგან (*ქვამარილი, შაქარყინული*).

როგორ იწარმოება ახალი სიტყვები? სხვადასხვა ენაში მოქმედ სიტყვაწარმოების ხერხებს სამ ძირითად ჯგუფად ყოფენ:

მორფოლოგიური ხერხის გამოყენება ნიშნავს ახალი სიტყვების წარმოებას სიტყვის ძირზე (ფუძეზე) აფიქსების დართვით ანუ *აფიქსაციით*. ეს სიტყვათა (ისევე როგორც სიტყვის ფორმათა) წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ხერხია, თუმცა ტენდენციები სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა. ჯერ-ერთი, აფიქსაცია არ მოქმედებს ისეთ ენებში, რომლებსაც აფიქსები არ აქვთ (მაგ. ჩინურ-ტიბეტურ ენებში). ზოგიერთ ენაში კი (მაგ. თურქულში, უნგრულ-ფინურში, იაპონურში) გაბატონებულია *მხოლოდ სუფიქსაცია*, შესაბამისად, ყველა სიტყვა იწარმოება ძირულ მორფემაზე სუფიქსების დართვით, მაგალითად, თურქული: *oda* (ოთახი), *oda-lar* (ოთახები), *oda-lar-da* (ოთახებში) და სხვა. ზოგიერთი ენაში კი (მაგალითად, ცენტრალური აფრიკის ხალხთა ერთ-ერთი ენა სუაჰილი, ტაის ენა და სხვა), პირიქით, გაბატონებულია მხოლოდ პრეფიქსაცია, რადგან მათ არ აქვთ სუფიქსები (ნემჩენკო, 2008: 376). ინდოევროპული (რუსული, გერმა-

ნული, ინგლისური და. ა. შ.), ქართული და სხვა ენები იყენებენ პრეფიქსაციასაც, სუფიქსაციასაც, პრეფიქსაცია-სუფიქსაციასაც (ანუ ცირკუმფიქსაციას).

არამორფოლოგიური ხერხები მოიცავს სიტყვათა წარმოებას აფიქსების გარეშე და აერთიანებს ლექსიკურ-სინტაქსურ და ლექსიკურ-სემანტიკურ ხერხებს. **ლექსიკურ-სინტაქსური** ხერხის მეშვეობით ახალ სიტყვას ვაწარმოებთ ერთ-ერთი სინტაქსური ერთეულის - შესიტყვების ბაზაზე. ერთ შემთხვევაში ხდება შესიტყვების საწყისი, თავკიდური ფონემების ან სიტყვათა შემოკლებული ვარიანტების შეერთება, რასაც ეწოდება **აბრევიაცია** (ლათ. *abbreviatio* - „შემოკლება“). მაგალითად, *აშშ*, *სსრკ*, *აჭვესი*, *გაერო*, *КБ* (*конструкторское бюро*), *НИИ* (*научно-исследовательский институт*). მეორე შემთხვევაში კი გვაქვს აბრევიაციის მსგავსი მოვლენა - **კომპოზიცია (თხზვა)**. ეს არის რთული სიტყვების წარმოება ორი სხვადასხვა ძირის (ფუძის) შეერთებით ან ძირების (ფუძეების) გაორმაგებით (რედუპლიკაცია): მაგალითად, *ასავალ-დასავალი*, *სასოფლო-სამეურნეო*, *ცისარტყელა*, *კაჭკაჭი*, *вагон-ресторан*, *Новгород* და სხვა. არამორფოლოგიურია სიტყვაწარმოების **ლექსიკურ-სემანტიკური ხერხიც**, რომლის მეშვეობითაც პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობები იხლეჩება, რაც ხდება მეტაფორიზაციის, მეტონიმიზაციის და სხვა სემანტიკური პროცესების გზით. შედეგად ერთი სიტყვიდან მიიღება იმავე ფონეტიკური ჟღერადობის მეორე სიტყვა, სიტყვა-ორეული, როგორებიცაა, მაგალითად, *კრაზანა (მწერი)* - *კრაზანა (ყვავილოვანი მცენარე)*; *совет (რჩევა)* - *совет (საბჭო)*, *ძილ (მოვალეობა)* - *ძილ (ვალი, სესხი)* და სხვა. სიტყვაწარმოების არამორფოლოგიური ხერხები გამოიყენება თითქმის ყველა ენაში (მათ შორის აფიქსების მქონე ენებში),

თუმცა ისინი განსაკუთრებით პროდუქტიულია იმ ენებში, რომლებშიც არ არის აფიქსები (მაგ. ჩინურ-ტიბეტურ ენებში).

შერეული ანუ მორფოლოგიურ-სინტაქსური ხერხი - მართალია, არ იყენებს მორფოლოგიურ საშუალებებს (აფიქსებს), მაგრამ იყენებს ფორმაცვალებადი სიტყვის ერთ-ერთ ფორმას და კონკრეტულ წინადადებაში კონკრეტული კონტექსტის შესაბამისად უცვლის მას როგორც მეტყველების ნაწილისადმი კუთვნილებას, ისე წინადადებაში მისთვის დამახასიათებელ ფუნქციასაც. ამიტომაც უწოდებენ მას მორფოლოგიურ-სინტაქსურ ხერხს, რომელსაც მიეკუთვნება **კონვერსია** (ლათ. *conversio* „შეცვლა“) ანუ ერთი მეტყველების ნაწილის მეორეში გადასვლა. ასეთია ა) **სუბსტანტივაცია** (ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის არსებითად გადაქცევა). მაგ. „*სამზარეულოში ვიქნები*“, „*смелого героя боится*“, „*Saving Private Ryan*“; ბ) **ადვერბიალიზაცია** (ამა თუ იმ ბრუნვის ფორმაში მყოფი სახელის ზმნიზედად ქცევა). მაგალითად, „*სირბილით მოვიდა*“ „*это случилось в сентябре*“, „*from work*“ და სხვა.

ასეთია მორფოლოგიისა და მორფემიკის მოკლე ზოგადი მოკლე დახასიათება, სიღრმისეულად კი ეს საკითხები განხილული იქნება კონკრეტული ენის სტრუქტურის ანალიზისას.

განმარტეთ ტექსტში გამოყენებული ლინგვისტური ტერმინები

გრამატიკა (სიტყვის, შესიტყვების, წინადადების); მორფოლოგია; მორფემიკა სიტყვაწარმოება; სინტაქსი; სიტყვაფორმა; მორფემა (ლექსიკური, გრამატიკული); ძირი, ფუძე, აფიქსი, პრეფიქსი, სუფიქსი, ინფიქსი, ინტერფიქსი, კონფიქსი, ფლექსია, დაბოლოება; გრამატიკული (მორფოლოგიური, სინტაქსური) კატეგორია; მორფოლოგიური პარადიგმა;

კითხვები და დავალებები

1. იმსჯელეთ გრამატიკის შემადგენელი დარგების შესახებ;
2. იმსჯელეთ მორფოლოგიისა და მორფემიკის ურთიერთმიმართების პრობლემის შესახებ;
3. განასხვავეთ ერთმანეთისგან ლექსემა და სიტყვაფორმა; სიტყვაფორმა და მორფემა; მორფოლოგიური კატეგორია და მორფოლოგიური პარადიგმა;
4. შეადარეთ ერთმანეთს სიტყვის აგებულება და დერივაცია;
5. გააანალიზეთ გრამატიკული მნიშვნელობის და მორფოლოგიური კატეგორიის ურთიერთმიმართებები;
6. გააანალიზეთ სიტყვაფორმისა და მორფოლოგიური პარადიგმის ურთიერთმიმართებები;
7. მოკლედ მიმოიხილეთ მორფოლოგიური მნიშვნელობების გამოხატვის ხერხები;
8. რა კავშირია ოპოზიციურ მიმართებებსა და გრამატიკულ კატეგორიებს შორის?
9. დაასაბუთეთ თეზისი: „გრამატიკულ კატეგორიათა ერთობლიობა ქმნის ენის გრამატიკულ სისტემას (წყობას), რომელიც ენებს შორის განსხვავებათა ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია“;
10. რა კრიტერიუმები უდევს საფუძვლად ლექსიკის მეტყველების ნაწილებად დაჯგუფებას?

13. გრამატიკა (სინტაქსი)

13.1. სინტაქსის რაობა. ძირითადი სინტაქსური ერთეულები და კატეგორიები

როგორც უკვე ვიცით, გრამატიკისთვის ცალკე აღებული *სიტყვა მეტყველების ნაწილია*, რომელიც აღნიშნავს საგანს (მოვლენას, მოქმედებას და ა.შ), არის მნიშვნელობის შემცველი (ან დამხმარე) და აქვს (ან არ აქვს) გრამატიკული ფორმები. ამოიწურება თუ არა ამით სიტყვის ლინგვისტური ღირებულება? ცხადია, არა. სიტყვას აქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია: ის ჩვენ გვჭირდება არა მარტო იმისთვის, რომ აღვნიშნოთ საგანი, არამედ უმთავრესად იმისთვის, რომ მისი მეშვეობით სხვა სიტყვებთან ერთობლიობაში შევძლოთ დამთავრებული აზრის გამოხატვა და სხვისთვის გადაცემა-გაგებინება. ამის გაკეთება სიტყვათა უბრალოდ თავმოყრით შეუძლებელია. **დამთავრებული აზრის გამომხატველი ენობრივი ერთეულია - წინადადება**, რომელიც წარმოადგენს არა სიტყვათა მექანიკურ ერთობლიობას, არამედ სისტემას, აგებულს აზრობრივ და გრამატიკულ ურთიერთკავშირში მყოფი სიტყვებისგან. მაშასადამე, სიტყვა თავის ლინგვისტურ ღირებულებას სრულად ავლენს მაშინ, როცა ის არის **წინადადების ნაწილი, მისი შემადგენელი კომპონენტი**.

ერთი სიტყვით, გრამატიკაში სიტყვა განიხილება ორი მთავარი მიმართულებით: სიტყვა, როგორც *მეტყველების ნაწილი*, და სიტყვა როგორც დამთავრებული აზრის გამოხატვის მიზნით სხვა სიტყვებთან ურთიერთკავშირში მყოფი ენობრივი ერთეული, რომელსაც ტრადიციულ სინტაქსში **წინადადების წევრი** ეწოდება.

რა განსხვავებაა სიტყვის ანალიზის ამ ორ ასპექტს შორის? ცალკე აღებული სიტყვის ანალიზისას მთელი ყურადღება გადადის მის ლექსიკურ-სემანტიკურ და მორფოლოგიურ ნიშანთვისებებზე, სინტაქსში კი ვაანალიზებთ მათ ფუნქციონირებას წინადადებაში. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რომ მაგალითად, არსებითი სახელის ძირითადი ფუნქციაა ქვემდებარის და დამატების, ზედსართავისა - განსაზღვრების, ზმნისა - შემასმენლის დამოხატვა, მაგრამ *მეტყველების ნაწილებსა და წინადადების წევრებს შორის ასეთი ერთმნიშვნელოვანი მიმართებები არ არის*: არსებითი სახელი ყოველთვის არ არის ქვემდებარე და არც ქვემდებარეა ყოველთვის არსებითი სახელით გამოხატული და ა.შ.

სიტყვას, როგორც წინადადების შემადგენელ კომპონენტს სწვლობს გრამატიკის მეორე მნიშვნელოვანი დარგი - *სინტაქსი* (ბერძნ.: syntaxis - „აგება“.). არსებობს მისი უამრავი განმარტება, რომელთა შორისაც ყველაზე მარტივი ასეთია: „*სინტაქსი არის გრამატიკის დარგი, რომელიც შეისწავლის სიტყვათა შეკავშირებას და წინადადებათა ტიპებს*“ (ქეე, 2008: 430).

სხვა ლინგვისტური დარგების მსგავსად, სინტაქსსაც აქვს თავისი *ერთეულები და კატეგორიები*. მორფოლოგიური კატეგორიებისგან განსხვავებით, სინტაქსური კატეგორიების საკითხისადმი ერთიანი მიდგომა არ არსებობს, კერძოდ, სინტაქსური ერთეულები და კატეგორიები ხშირად ერთმანეთთანაა გაიგივებული, და მეორეც, ტერმინ *გრამატიკული კატეგორიის* ქვეშ მხოლოდ *მორფოლოგიური კატეგორიის ცნება* მოიაზრება. პრობლემის სიღრმისეული ანალიზი ზოგადი ენათმეცნიერების კვლევის სფეროა, სადაც განიხილება ძირითადი სინტაქსური თეორიები. აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ თუ მორფოლოგიის ძირითადი ერთეულია სიტყვის მორფოლოგიური

ფორმა (სიტყვაფორმა), ძირითად სინტაქსურ ერთეულად ითვლება *სინტაქსური ფორმა (სინტაქსემა)*, რომელშიც მოიაზრება სინტაქსური კონსტრუქციის (*შესიტყვების, წინადადების*) სქემა, მოდელი, ნიმუში, შემუშავებული კონკრეტული შინაარსისგან განყენებულად (ნემჩენკო, 2008: 465). კონკრეტულ სინტაქსურ ფორმას, ცხადია, თავისი მნიშვნელობაც აქვს, რომელსაც *სინტაქსურ მნიშვნელობას* უწოდებენ. ერთგვარი სინტაქსური მნიშვნელობები ქმნიან *სინტაქსურ კატეგორიას*. ტრადიციულად ძირითად სინტაქსურ კატეგორიებად ითვლება *წინადადების კატეგორია*, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ტიპის (და არა კონკრეტულ) წინადადებათა მნიშვნელობებს და *შესიტყვების კატეგორია*, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ტიპის (და არა კონკრეტულ) შესიტყვებათა მნიშვნელობებს და ა. შ. (ნემჩენკო, 2008: 467).

13.2. შესიტყვება (სინტაგმა)

რაოდენ გასაკვირადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ჩვენ მიერ მოშველიებული გავრცელებული ბანალური გამოთქმა: „*წინადადება შედგება სიტყვებისაგან*“ - ფაქტობრივად არასწორია. ამ ლოგიკით თავისუფლად შეიძლება ითქვას ისიც, რომ წინადადება შედგება მორფემებისაგან ან ფონემებისაგან და ა.შ., რაც ასევე არასწორი იქნება. რატომ? იმიტომ, რომ ფონემებისაგან შედგება არა წინადადება, არამედ მორფემა, მორფემებისაგან - სიტყვა და არა წინადადება და ა.შ. მართალია, საბოლოო ჯამში ყველა ეს ენობრივი ელემენტი თავმოყრილია წინადადებაში, მაგრამ თითოეულ მათგანს (გარდა ფონემისა) თავისი უშუალო შემადგენელი ელემენტი აქვს.

ტრადიციული სინტაქსის მიხედვით, წინადადება შედგება არა სიტყვებისგან, არამედ *სიტყვათა წყვილებისგან*, რომლებსაც დასავლური ლინგვისტური ტრადიცია *სინტაგმებს*, ხოლო პოსტსაბჭოური (რომლისგანაც მომდინარეობს ქართული) - *შე-სიტყვებებს* უწოდებს (ტერმინი „სინტაგმა“ განვიხილეთ ფონეტიკაში. დუბლირების თავიდან აცილების მიზნით აქ ვისარგებლებთ ტერმინით „შესიტყვება“). სწორედ ისინია წინადადების უშუალო შემადგენელი კომპონენტები და არა სიტყვები. ამიტომ აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა არის შესიტყვება.

შესიტყვების განმარტება ასეთია: *„ეს არის სინტაქსური კონსტრუქცია, რომელიც შედგება სინტაქსური კავშირით (შეთანხმება, მართვა, მირთვა) შეერთებული ორი ან მეტი დამოუკიდებელი სიტყვისაგან* (ლელ, 1998: 469). შესიტყვების სტრუქტურაში განასხვავებენ *მთავარ და დამოკიდებულ სიტყვებს*, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებული როგორც ფორმოზრივად, ისე აზროზრივად.

მართვა არის სიტყვათა ისეთი დაქვემდებარება, როცა ერთი სიტყვა მეორისგან მოითხოვს იმ ფორმას, რომელიც მას ან მოცემულ შემთხვევაში არ აქვს, ან საერთოდ არ გააჩნია (ქეე, 2008: 544). სიტყვას, რომელიც მართვას, ეწოდება მმართველი სიტყვა, ხოლო სიტყვას, რომელიც იმართვის - მართული. შეთანხმებით-საგან განსხვავებით, აქ *მთავარი (მმართველი) სიტყვის ფორმის ცვლა არ იწვევს დამოკიდებულის ფორმის ცვლას* მაგ.: ქართ.: *ლექცი-ის კითხვა* (ლექცი-ის კითხვამ, ლექცი-ის კითხვით და ა.შ.); რუს.: *рубить березу, строить дом, зарастить травой, вера в победу, уверенный в успехе*,

შეთანხმება არის სიტყვათა ისეთი დაქვემდებარება, როცა დამოკიდებული სიტყვა იმ ფორმას იღებს, რომელიც აქვს მთავარს (ქეე, 2008: 544) მნიშვნელოვანია ის, რომ მართვისგან გან-

სხვაგვებით, მთავარი სიტყვის ფორმის ცვლა იწვევს დამოკიდებულის ფორმის ცვლასაც. მაგ: ქართ.: ტკბილ-ღ სიზმარ-ღ, ტკბილ-მა სიზმარ-მა; მთა-ნი მაღალ-ნი, მთა-თა მაღალ-თა; რუს.: *интересн-ый рассказ*, *интересн-ая сказк-а*, *интересн-ое сочинен-ие*, *интересн-ые (рассказ-ы, сочинени-я, сказк-и)* ლათ.: *fili-us bon-us* (კარგი ვაჟიშვილი); *fili-a bon-a* (კარგი ქალიშვილი), *fili-or-um bon-or-um* (კარგი ვაჟიშვილების), *fili-ar-um bon-ar-um* (კარგი ქალიშვილების), *he answers* (ის პასუხობს) და ა.შ. ლინგვისტთა გარკვეული ნაწილის აზრით, შეთანხმება არსებითად მართვის კერძო შესმთხვევაა, რადგან ერთი შემადგენელი მოითხოვს მეორის ფორმას, თუმცა, მართვისგან განსხვავებით, შეთანხმების დროს მმართველი შემადგენელი თვითონაც შეიცავს იმ ფორმებს, რასაც მართული (გამყრელიძე, 2008: 250)

მირთვა კი არის სიტყვათა ისეთი დაქვემდებარება, როცა მთავარი სიტყვა დამოკიდებულს მხოლოდ შინაარსობრივად იქვემდებარებს და არა ფორმოზრივად (ქეე, 2008: 326). ეს კავშირი არ მოითხოვს ფორმათა ცვლას, ეს შეუძლებელიცაა, რადგან მირთული სიტყვა ფორმაუცვლელია. ასეთია, ქართ.: გუშინ წავიდა, კარგად სწავლობს (ღამე) თეთრად გათენდა და ა.შ.; რუს.: *заниматься вместе*, *разговаривать негромко*, *сидеть согнувшись* და ა.შ. როგორც ვხედავთ, კავშირის ეს სახე გამოიყენება ფორმაუცვლელი სიტყვების დაკავშირებისთვის, ამიტომ ის ანალიტიკური ენების (მაგ. ჩინური, ინგლისური) ძირითადი (ან ერთადერთი) ნიშანია, სხვა ენებში კი გამოიყენება მართვასა და შეთანხმებასთან ერთად.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს სინტაქსური კავშირი წინადადების ორ მთავარ წევრს - ქვემდებარეს და შემასმენელს შორის, რომლებიც ასევე ქმნიან წყვილს. ლინგვისტთა გარკვეული ნაწილის აზრით, ამ წყვილში მთავარი სიტყვაა ზმნა-შემასმენელი,

სხვები ამ ფუნქციას სახელ-ქვემდებარეში ხედავენ, ყველაზე გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, აქ არ არის დამოკიდებული წევრი, ორივე მთავარია, რის გამოც მათ შორის კავშირს ერთმნიშვნელოვნად ვერც შეთანხმებას ვუწოდებთ, ვერც მართვას და მითუმეტეს, ვერც მირთვას. შესაბამისად, მათ მიერ შექმნილ წყვილს შესიტყვებას კი არა, **წინადადადების პრედიკატულ საფუძველს (ბირთვი) უწოდებენ**, მათ შორის კავშირს კი **კოორდინაციას** (ბეგუნკოვა, ხუხუნი, 2006: 68).

შესიტყვებად არ ითვლება ერთგვარ წევრთა მიერ შედგენილი წყვილებიც, როგორებიცაა *მთა და ბარი, ცა და დედამიწა, ან შენ, ან მე* და ა.შ. ანალოგიურად, შესიტყვებებად არ ითვლება სიტყვის ანალიტიკური ფორმებიც, მაგალითად: ქართ. *დაე მოვიდეს, მინდა გითხრა, ქარი იქნება, ძალიან კარგი და სხვა*: რუს. *быду читать, читал ны, пусть читает* და სხვა.

შესიტყვების წევრებს შორის გრამატიკული (სინტაქსური) ურთიერთმიმართებები მყარდება არა მხოლოდ ფორმალური კავშირის, არამედ **თითოეული წევრის მნიშვნელობის საფუძველზე**: მთავარი წევრი აღნიშნავს საგანს, მოვლენას, პროცესს, ნიშან-თვისებას, რაოდენობას და ა.შ., ხოლო დამოკიდებული აკონკრეტებს, აზუსტებს მას. შესიტყვების მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების ერთმანეთისგან გარჩევა ზოგჯერ საკმაოდ რთულდება. ასეთ შემთხვევებში უნდა მივმართოთ წინადადების წევრებს შორის ურთიერთმიმართებებს, რის საფუძველზეც ვადგენთ, რომ: 1) ქვემდებარის და შემასმენლის წყვილში მთავარ და დამოკიდებულ კომპონენტებს არ ვეძებთ, რადგან ორივე მათგანი მთავარია. ქვემდებარისა და შესმასმენლის წყვილი ითვლება არა შესიტყვებად, არამედ წინადადებად (მარტივი გაუვრცობელი წინადადება). 2) ქვემდებარესთან სინტაქსურად შეკავშირებული ნებისმიერი წევრი (გარდა შემასმენ-

ლისა) მასზე დამოკიდებულია. 3) ანალოგიურად, შემასმენელ-თან სინტაქსურად შეკავშირებული წინადადების ნებისმიერი წევრი მასზე დამოკიდებულია; 4) მსაზღვრელ საზღვრული წყვილში დამოკიდებულია მსაზღვრელი.

დაბოლოს, უნდა ითქვას ისიც, რომ შესიტყვებათა გაგება და სტრუქტურის ანალიზი სხვადასხვაგვარია სხვადასხვა საენათმეცნიერო თეორიაში (ქსე, 2008: 346), შესაბამისად, ამ საკითხის სიღრმისეული განხილვა მნიშვნელოვნად სცდება „ენათმეცნიერების შესავლის“ ფარგლებს, რის გამოც ჩვენ მასზე აქ არ შეჩერდებით.

13.3. წინადადების რაობა, ძირითადი ნიშნები და სახეები

გაცილებით რთული სინტაქსური ერთეულია წინადადება, რომლის ერთიანი გაგება ლინგვისტიკაში დღემდე არ არსებობს. ცნობილია მისი უამრავი განმარტება, რომელთა შორის ყველაზე ფართოდაა გავრცელებული ე.წ. საკოლო განმარტება, რომლის მიხედვითაც, *„წინადადება ეწოდება სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომელიც გამოხატავს დასრულებულ აზრს“*. ეს განმარტება უძველესია და პირველი ევროპული გრამატიკის ავტორის - დიონისესგან მოდის. მიუხედავად ამისა, მას არასრულად თვლიან გამომდინარე იქიდან, რომ *„დღემდე არავინ იცის, რა არის დასრულებული აზრი“* (ახვლედიანი, 1972: 218). და მეორეც, წინადადება შეიძლება უაზრობასაც გამოხატავდეს. ასე მაგალითად, გამონათქვამები: *„სამკუთხედში ოთხი კუთხეა“*; *„ორჯერ ორი შვიდია“*; *„დამხრჩვალ კატა მიათრევს ვაგონს“* (ჩიქობავა, 2008: 223) ფორმალურად სწორია, მაგრამ შინაარსობრივად უაზრო. ამიტომაც არის სხვა განმარტებებიც:

1. *„წინადადება შეიძლება განისაზღვროს როგორც გარკვეული ინტონაციური კონტურის მქონე გამონათქვამი, რომელიც რაღაც შეტყობინებას გამოხატავს“* (გამყრელიძე, 2008: 256).

2. *„წინადადება არის სმენითი ან მხედველობითი აღქმისათვის გათვლილი ნებისმიერი გამონათქვამი (ფრაზა), რომელიც წარმოადგენს რაღაცის შესახებ შეტყობინებას“* (ლეილ, 1998: 395) და სხვა.

როგორც ვხედავთ, ამ განმარტებებში ტერმინ „წინადადების“ სინონიმებად გამოყენებულია ტერმინები *გამონათქვამი* და *ფრაზა* ლინგვისტები ვერც იმაში თანხმდებიან, ენობრივი ერთეულია წინადადება, სამეტყველო თუ ორივე ერთად.

როგორც ენობრივი ერთეული, წინადადება არის გარკვეული სტრუქტურის მქონე *აბსტრაქტული ენობრივი მოდელი* (ქვემდებარე + შემასმენელი + დამატება + განსაზღვრება + გარემოება; ქვემდებარე + შემასმენელი; ქვემდებარე + შემასმენელი + დამატება და ა.შ), მეტყველებაში კი წინადადება ამ მოდელის კონკრეტული შინაარსობრივი რეალიზაციაა, კონკრეტული ვარიანტია, ანუ კონკრეტული გამონათქვამია (ვენდინა, 2008: 476). ასე მაგალითად, აბსტრაქტული სინტაქსური კონსტრუქცია: *„ქვემდებარე + შემასმენელი + პირდაპირი დამატება“* - **არის მართივი წინადადება**, რომლის მეშვეობითაც შეიძლება შევადგინოთ ათასობით კონკრეტული გამონათქვამი: *ბავშვი კითხულობს წიგნს, ლექტორი ამზადებს ლექციას, ტრაქტორი ხნავს მინდორ-ველებს* და ა.შ. სინტაქსური თვალსაზრისით, ყველა ეს გამონათქვამი ერთმანეთის იდენტურია, რადგან შედგენილია ერთი სინტაქსური მოდელის მიხედვით. ამავე დროს ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით, რადგან შედგენილია სხვადასხვა სიტყვებისაგან და გადმოგვცემს სხვადასხვა შინაარსს. მეორე მხრივ, წინადადე-

ბები (გამონათქვამები): *ლექტორი კითხულობს ლექციას, ლექტორმა წაიკითხა ლექცია, ლექტორი წაიკითხავს ლექციას* - იდენტურია სინტაქსურ და ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზე, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდება გრამატიკული თვალსაზრისით, რადგან სიტყვები ერთი და იგივეა, თუმცა სხვადასხვა მათი ფორმები.

რაც შეეხება ტერმინს *ფრაზა*, ისიც წინადადების შესაბამის სამეტყველო ერთეულს აღნიშნავს, ოღონდ ეს არის კონკრეტული გამონათქვამის ინტონაციური გაფორმება სხვადასხვა ფონეტიკური ხერხების საშუალებით (*ინტონაცია, მახვილი, ტემპი, პაუზები, ინტენსივობა*).

სხვა ენობრივი ერთეულების მსგავსად წინადადებასაც აქვს საკუთარი ნიშნები, რომლებითაც ის მათგან გამოირჩევა. ესენია *კომუნიკაციურობა და პრედიკატულობა*. ამიტომაც უწოდებენ მას *კომუნიკაციურ-პრედიკატულ* ენობრივ ერთეულს, განსხვავებით, მაგალითად, სიტყვისა და შესიტყვებისგან, რომლებიც ნომინაციური ენობრივი ერთეულებია. პრედიკატულობა ნიშნავს იმას, რომ „*წინადადებას აქვს თვისება იყოს დასრულებული აზრის გამოხატვისა და გადაცემის უმთავრესი საშუალება*“ (გირუცკი, 2003: 215). მეორე მხრივ, მასში გამოხატული აზრი დასრულებულია იმდენად, რამდენადაც შესაბამისობაშია რეალობასთან პრედიკაციის გზით, ანუ *დროის და პირის (ზოგიერთის აზრით მოდალობისაც)* გრამატიკული კატეგორიების მეშვეობით, რაც გამოხატულია *პრედიკატული ბირთვის* საშუალებით.

დროის კატეგორიაში სინტაქსში მოიაზრება გამონათქვამის შინაარსის მიმართება მეტყველების მომენტთან (მოქმედება ხდება თქმის პროცესში, თქმამდე ან თქმის შემდეგ): *კვითხულობ, წაიკითხე, წაიკითხავ*.

პირის კატეგორიაში იგულისხმება კომუნიკაციური სიტუაციის მიმართება მთქმელთან: კომუნიკაციური სიტუაცია მიეწერება მთქმელს (*კვითხულობ*), *მსმენელს* (*კითხულობ*) ან *მესამე პირს*, (*კითხულობს*).

მოდალობა გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას ნათქვამისადმი. მთქმელმა შეიძლება რაღაც ამტკიცოს, უარყოს, ი(უ)სურვოს, მოითხოვოს, ითხოვოს და ა.შ. სწორედ ეს არის მოდალობის გრამატიკული კატეგორიის ფუნქცია (ხალვაში, 2014: 206-220). რომელიც გამოიხატება, უმთავრესად, ზმნის კილოს ფორმებით. თხრობითი კილო გადმოგვცემს რეალურ მოქმედებას, რომელიც ხდება (*კვითხულობ*), *ხდებოდა* (*მოხდა*) *კვითხულობდი*) ან *მოხდება* (*წავიკითხავ*). ბრძანებითი და კავშირებითი კილო - ირეალურობას (სასურველობას, პირობითობას, ზემოქმედებას და ა.შ).

მოდალობის მიხედვით განასხვავებენ წინადადებათა სამ ტიპს: *თხრობით, კითხვით და ბრძანებით წინადადებებს*. ეს დაყოფა მეტ-ნაკლებად ზოგადია, რადგან პირდაპირ შეესაბამება აზრის სამ ძირითად ფორმას: *თხრობას* (*მსჯელობა*), *კითხვას და ბრძანებას* (*აგრეთვე თხოვნა*). რამდენადაც წინადადებას შეუძლია ასახოს მთქმელის ემოციაც, განწყობაც და ა.შ., მოდალობის მიხედვით სხვადასხვა ენაში გამოიყოფა სხვა სახის წინადადებები, როგორებიცაა, მაგალითად, ქართულში *ძახილისა და კითხვა-ძახილის წინადადებები* (ქეე, 2008: 577). თანამედროვე ლინგვისტიკაში წინადადების მოდალობის გაგება კიდევ უფრო გაფართოვდა და დღეს მასში მოიაზრება საერთოდ *გამონათქვამის მიმართება სინამდვილისადმი*. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა სხვა სახის წინადადებებიც, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება გადმოცემულ იქნეს: უეჭველობა, უტყუარობა, ვარაუდი, შესაძლებლობა, სასურველობა, ნება-სურვილი, საკუთრივ

თხოვნა, რჩევა, გაფრთხილება, მოწოდება, წაქეზება, ხვეწნა-მუდარა, დალოცვა, წყევლა-კრულვა, მიწვევა, კმაყოფილება, სიხარული, აღტაცება, ნატვრა, გაოცება, სინანული, დანანება, აღშფოთება, ზიზღი, მწუხარება და ა.შ. (ხალვაში, 2014: 211-212 ქვე 2008: იქვე).

წინადადებათა კლასიფიკაციის საკითხებს სტუდენტები სიღრმისეულად კონკრეტული ენის სტრუქტურის ანალიზისას გაივლიან. „ენათმეცნიერების შესავლის“ კურსიდან კი ისინი უნდა იცნობდნენ იმ ზოგად სქემებებს, რომელთა მიხედვითაც სინტაქსი წინადადებებს აჯგუფებს სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. მათ შორის მთავარია *აგებულება და მოდალობა*.

აგებულების მიხედვით სხვადასხვა ენაში განასხვავებენ *მარტივ და რთულ წინადადებებს*. მარტივია წინადადება, რომელიც შედგება ერთი, ხოლო რთული - ერთზე მეტი *პრედიკატული ბირთვისგან (კონსტრუქციისგან)*, რომელიც შემასმენლისა და ქვემდებარისგან (ანუ მთავარი წევრებისგან) შედგენილი კონსტრუქციაა. ამის გამო მათ *ორშემადგენლიან წინადადებებს*⁷ უწოდებენ, ასეთია: *მზე ამოვიდა. ბუნებამ გაიღვიძა* და სხვა. არის შემთხვევები, როცა პრედიკატულ ბირთვში მხოლოდ ერთი მთავარი წევრია (ასეთი წინადადება ერთშემადგენლიანია): ან მარტო ქვემდებარე, ან მარტო შემასმენელი, ოღონდ წინადადება თავის ფუნქციებს მაინც ასრულებს. ასე მაგალითად: *გათენდა, გაწვიმდა, ყინავს* - ტიპის წინადადებებში მხოლოდ შემასმენელია წარმოდგენილი. მათ *უსუბიექტო წინადადებებს* უწოდებენ. ხოლო წინადადებებში: *უდაბნო. მკრთალი სინათლე. აუტანელი ქარი*. - შემასმენელი არ არის წარმოდგენილი და

⁷ ტერმინების: „ერთშემადგენლიანი“, „ორშემადგენლიანი“ - შესახებ იხ. ქვე 2008: 577.

არც იგულისხმება. ამგვარ წინადადებებს *ნომინატიური (სახელ-
დებითი)* წინადადებები ეწოდება.

თუ მარტივ წინადადებაში მხოლოდ მთავარი წევრებია (წევრია), ის *გაუვრცობელია*. თუ მასში სხვა წევრებიც არის, მაშინ ის *გავრცობელია*. ასე მაგალითად: *ბუნება იღვიძებს* - გაუვრცობელი წინადადებაა, ხოლო: *ბუნება ნელ-ნელა იღვიძებს* - გავრცობილი. ზოგიერთ ენაში, მაგალითად, ქართულში, ცალკე გამოიყოფა ერთგვაროვანი წევრების შემცველი წინადადებები, რომლებსაც *შერწყმულს* უწოდებენ.

რაც შეეხება რთულ წინადადებას, როგორც აღვნიშნეთ, ის შედგება მინიმუმ ორი პრედიკატული ბირთვისგან: 1. „*გათენდა. ცისკრის ვარსკვალის ნელ-ნელა ჩაქრა*“. 2. „*გათენდა, ცისკრის ვარსკვალის ნელ-ნელა ჩაქრა*“. 3. *გათენდა თუ არა, ცისკრის ვარსკვლავი ნელ-ნელა ჩაქრა*“ - პირველ შემთხვევაში გვაქვს ორი დამოუკიდებელი მარტივი წინადადება, მეორე და მესამე შემთხვევაში კი ისინი რთულ წინადადებას ქმნიან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ წინადადებათა შეერთების ხასიათი სხვადასხვაგვარია - *კავშირიანი ან უკავშირო*. კავშირიანი წინადადებები ერთმანეთის მიმართ პირველ შემთხვევაში თანაბარუფლებიანი არიან. კავშირის ამ სახეს *თანწყობა ანუ პარატაქსისი* (ბერძნ. parataxis) *ჰქვია, ხოლო ამგვარ რთულ წინადადებას - რთული თანწყობილი*. ასეთია წინადადება: „*დადგა გაზაფხული და ბუნებამაც გამოიღვიძა*“. მეორე შემთხვევაში კი ერთი წინადადება მეორეზეა დამოკიდებული, მას ხსნის, აზუსტებს და ა.შ. კავშირის ამგვარ სახეს უწოდებენ *ქვეწყობას ანუ ჰიპოტაქსისს* (ბერძნ. hypotaxis), ხოლო ამგვარ წინადადებას რთულ ქვეწყობილს. ასეთია: „*როგორც კი დადგა გაზაფხული, ბუნებამაც გამოიღვიძა*“ (ახვლედიანი, 1972: 218).

13.4. წინადადების შედგენილობა. წინადადების წევრები და აქტანტები

წინადადება იშლება კომპონენტებად, რომლებსაც ტრადიციული სინტაქსის მიხედვით *წინადადების წევრებს* უწოდებენ, ლოგიკისტური მიდგომის მიხედვით - *პრედიკატს, სუბიექტს და ობიექტს*, სემანტიკური სინტაქსის მიხედვით - *აქტანტებს* და ა.შ.

რა არის წინადადები წევრი? „*წინადადების წევრი ეწოდება მის შემადგენელ კომპონენტს, რომელიც გამოხატულია მნიშვნელობის მქონე სიტყვით ან შესიტყვებით და წინადადებაში ასრულებს კონკრეტულ სინტაქსურ ფუნქციას*“ (ნემჩენკო, 2008: 477). ეს ფუნქციები ვლინდება და შესაბამისი წინადადების წევრები გამოიყოფა კითხვების დასმის მეშვეობით.

ტრადიციულ სინტაქსში განასხვავებენ წინადადების *მთავარ და მეორეხარისხოვან წევრებს*. მთავარი წევრები ქმნიან წინადადების პრედიკატულ ბირთვს. ესენია: *ქვემდებარე და შემასმენელი*. ქართულ ენაში მათ რიცხვს ემატება *პირდაპირი და ირიბი დამატებაც* (თუ რატომ, იხ. ქვემოთ). მეორეხარისხოვანი წევრებია: *დამატება (ქართულში მხოლოდ უბრალო დამატება), განსაზღვრება და გარემოებები (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის, მიზნის და სხვა)*, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში განავრცობენ მთავარ წევრებს. წინადადებაში შეიძლება იყოს ისეთი სიტყვებიც, რომლებიც არც ერთ სხვა სიტყვას უშუალოდ არ უკავშირდებიან ისე, რომ შესაძლებელი იყოს კითხვის დასმა. ასეთია *ჩართული და სიტყვები, მიმართვა და სხვა* ისინი წინადადების წევრებად არ ითვლება.

ქვემდებარე (კალკა ლათინურიდან „sub jektum“ – „ქვე მდებარე“, ანუ სუბიექტი) არის წინადადების მთავარი წევრი, რო-

მელიც მიგვითითებს მოქმედ საგანზე, მოქმედების წყაროზე, „ლოგიკურ სუბიექტზე“ (ტრადიციული კონცეფციების მიხედვით). ამ თვალსაზრისით, წინადადებაში: *მშენებელი აშენებს სახლს*, ქვემდებარეა *მშენებელი*, მაგრამ ეს განმარტება არ გამოდგება ისეთ შემთხვევისთვის, როგორებიცაა: *სახლი მენდება მშენებლის მიერ*. ამის გამო გვხვდება ქვემდებარის უამრავი განმარტება, როგორიცაა: „ქვემდებარე ეწოდება წინადადების მთავარ წევრს, რომელიც შემასმენლით აღნიშნულ მოქმედებას ასრულებს, ან რომელსაც ეს მოქმედება მიეწერება“ - და სხვა აქ *მშენებელი* ქვემდებარეა, მაგრამ ის არ არის მოქმედების სუბიექტი. ქვემდებარე, როგორც წესი, გამოიხატება არსებითი სახელით, კერძოდ, მისი რომელიმე კონკრეტული ფორმით. ასე მაგალითად, ინდოევროპულ ენებში ქვემდებარე გამოიხატება არსებითი სახელის მხოლოდ სახელობითი ბრუნვით (ანუ ნომინატივით. ამიტომაც ჰქვია მათ ნომინატიური წყობის ენები). ამავე დროს ქვემდებარის როლში შეიძლება გამოვიდეს:

- ნებისმიერი სუბსტანტივირებული (ანუ არსებით სახელიად გადაქცეული) მეტყველების ნაწილი (*სამზარეულო მოგვეწონა, შორიდან ისმოდა ვაშა; თეთრებმა წითლები გაყარეს; курить вредно, белые прогноли красных, учиться всегда пригодиться, The rich should help the poor* და სხვ.);
- შესიტყვება (*ორჯერ ორი ოთხია, дважды два четыре*);
- მთელი წინადადებაც კი („*პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით*“ – *ყო მუშათა მთავარი ლოზუნგი*).

არის ენები (მაგალითად, ქართული), რომლებშიც ქვემდებარე გამოიხატება არა მარტო სახელობითი ბრუნვით, არამედ მიცემითი და მოთხრობითი ბრუნვებითაც (ბავშვი კითხულობს, ბავშვმა წაიკითხა, ბავშვს წაუკითხია).

შემასმენელი არის წინადადების მთავარი წევრი, რომელიც მიგვითითებს მოქმედებას, მდგომარეობას, თვისებას ან ხარისხზე სუბიექტთან მიმართებით. მაშასადამე, **შემასმენელი გამოხატავს ქვემდებარის პრედიკატულ ნიშანს**. წინადადების პრედიკატულ ცენტრს სწორედ შემასმენელი ქმნის და არა ქვემდებარე, რადგან სწორედ ის გამოხატავს მოდალობასა და დროს, რომელთაც მოიცავს პრედიკატულობა. შესაბამისად, შემასმენლის ფუნქციას, როგორც წესი, ასრულებს ზმნა, თუმცა შენმასმენლის როლში შეიძლება მოგვევლინოს სხვა სიტყვებიც: *курить вредно, это книга* ან საერთოდ მთლიანი კონსტრუქციები *пятеро казаков окружили нас*.

წინადადების მეორეხარისხოვან წევრებს მიეკუთვნება დამატება, განსაზღვრება და გარემოებები. ისინი განაგრძობენ მთავარ (დამოუკიდებელსაც) წევრებს.

განსაზღვრება - არის წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, რომელიც აღნიშნავს საგნის ნიშან-თვისებას და განაგრძობს წინადადების საგნობრივი მნიშვნელობის მქონე ნებისმიერ წევრს. როგორც წესი, ის ეთანხმება მთავარ სიტყვას (*წითელი ალამი, წითელმა ალამმა*), თუმცა შეიძლება იყოს მისგან მართულიც (*საცივი ნიგვზით, ნაყინი მურაბით*). შესაბამისად, **განსაზღვრება ორი სახისაა: შეთანხმებული და მართული**. განსაზღვრება გამოიხატება, როგორც წესი, ზედსართავი სახელით, თუმცა შეიძლება გამოიხატოს სხვა მეტყველების ნაწილებითაც (*საცივი ნიგვზით, ნაყინი მურაბით*).

დამატება ნომინატიური წყობის, კერძოდ, ინდოევროპულ ენებში, როგორებიცაა ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული და სხვ., არის წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, რომელიც განაგრძობს წინადადების ნებისმიერ წევრს და აღნიშნავს ზმნასთან სხვადასხვა მიმართებით დაკავშირებულ

ობიექტს (ქეე, 2008: 131). სხვა ვითარებაა ქართულში, რომელიც არ არის ნომინატიური წყობის ენა. აქ წინადადების მთავარი წევრები (გარდა შემასმენლისა) უშუალო მიმართებაშია ზმნა-პრედიკატის პირებთან. მათ შორის ერთია სუბიექტური პირი, დანარჩენები კი *ობიექტური (ობიექტის) ანუ დამატების პირებია*, ოღონდ არა ყველა სახის დამატების, არამედ *პირდაპირი და ირიბი* დამატებისა. ამიტომაც უწოდებენ მათ *პირმიმართ დამატებებს* და წინადადების მთავარ წევრებად თვლიან (ქეე, 2008: 131; გაბუნია, 2016): 40). მაგ. ზმნაში *წავიკითხე (მე, ის)* - ერთი ობიექტური პირია, მთავარი წევრიც ორია (გარდა შემასმენლისა), *წავუკითხე (მე, მას, ის)* სამპირიანია, რომელთა შორისაც ერთი პირდაპირი დამატებაა, მეორე ირიბი, მათ ისეთივე ძალა აქვთ, როგორც ქვემდებარეს და შემასმენელს, ამიტომაც ორივე მთავარი წევრებია. რაც შეეხება ქართული ენის *უბრალო დამატებას*, ის ზმნის პირებს შორის არ სახელდება, ამიტომ მას *პირმიმართავ ობიექტს* უწოდებენ და წინადადების დამოკიდებულ წევრად თვლიან.

გარემოება - არის წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, რომელიც ხსნის როგორც მთლიან წინადადებას, ისე მის იმ წევრს, რომელსაც აქვს ნიშან-თვისების ან მოქმედების მნიშვნელობა და პასუხობს კითხვას, თუ სად, როდის, როგორ, რატომ, რისთვის ან რა გარემოებებში ხდება მოქმედება. გარემოება გამოიხატება ძირითადად ზმნიზედით (*უამინდობის გამო დღეს ბავშვებისათვის სტადიონზე კონცერტი აღარ გაიმართება*).

ლინგვისტიკაში სინტაქსურის გარდა ცნობილია წინადადების შედგენილობის სხვადასხვაგვარი გაგება: *ლოგიკისტური, ფსიქოლოგისტური, ფორმალური, სემანტიკური*. მათი განხილვა „ზოგადი ენათმეცნიერების“ სფეროა. აქ მოკლედ შევჩერდებით მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე - სემანტიკურ სინტაქსზე,

რომელსაც *აქტანტების თეორიას* უწოდებენ. მისი ავტორია ფრანგი ენათმეცნიერი *ლუსიენ ტენიერი*, რომლის აზრითაც „წინადადებაში სიტყვებს შორის კავშირების იერარქია განისაზღვრება პრედიკატის (ანუ ზმნის) მოწესრიგებული აქტანტური სტრუქტურით“ (გამყრელიძე, 2008: 253).

აქტანტები (ფრ. actants, „მოქმედი“, ლათინურიდან: ago - ვმოქმედებ) *იმ პირებისა და საგნების აღმნიშვნელი სახელებია, რომლებიც ამა თუ იმ სახით მონაწილეობენ ზმნით გადმოცემულ მოქმედებაში.* ამ თვალსაზრისით აქტანტი უპირისპირდება *სირკოსტანტს* (ფრ. *circonstance* - *გარემოება*), რომელიც გამოხატავს იმავე ზმნით გამოხატული მოქმედების ადგილს, დროს, ვითარებას და ა.შ. (ლელ, 1998: 22). ამ თეორიის უკეთ გასაგებად წინადადებას ადარებენ დრამას, რომლის მოქმედება გამოხატულია ზმნა-პრედიკატით, მოქმედი პირები - აქტანტებით, მოქმედების გარემოებანი - სირკოსტანტებით (გამყრელიძე 262). ასე მაგალითად, წინადადებაში: *მამამ შვილს წიგნი უყიდა* სემანტიკური აქტანტებია:

- მოქმედების აქტიური მონაწილე, ანუ *სუბიექტი, აგენსი* (ლათ. agens - „მოქმედი“) - „*მამამ*“;
- მოქმედების პასიური მონაწილე, ანუ *პაციენსი* (ლათ. *patiens* - „განმცდელი“) „*წიგნი*“;
- პირი ან საგანი, რომლისთვისაც ხორციელდება მოქმედება ანუ *ადრესატი* - „*უყიდა შვილს*“ და სხვ.

ზოგადად განასხვავებენ სამი სახის აქტანტებს:

- პირველი აქტანტი, რომელიც ტრადიციული გრამატიკის ქვემდებარეა;
- მეორე აქტანტი - პირდაპირი დამატება;
- მესამე აქტანტი - ირიბი დამატება და ა. შ. (ლელ, 1998: 22).

აქტანტების თეორია ბრუნვების შემცველი გრამატიკის მქონე ენებში პირდაპირ უკავშირდება ზმნის *ვალენტობას* (ანუ უნარს, დაამყაროს კავშირები - ამ შემთხვევაში სინტაქსური - სხვა სიტყვებთან). იმის მიხედვით, თუ რამდენ აქტანტს უკავშირდება ზმნა, წინადადება შეიძლება იყოს *უაქტანტო* (*წვიმს თოვს*); *ერთაქტანტიანი* (*თოვლი მოვიდა, სტუდენტები დაბრუნდნენ*); *ორაქტანტიანი* (*სტუდენტი ამზადებს რეფერატს*), *სამაქტანტიანი* (*მამამ შვილს წიგნი უყიდა*). ქართულში არის *ოთხაქტანტიანი* ზმნებიც (*მიჭმიე - შენ მე ბავშვს საჭმელი; მიმიქციე - შენ მე ბავშვს ყურადღება*). ამ მხრივ საინტერესოა ქართული ზმნა, რადგან ის შეიძლება იყოს *უპირო, ერთპირიანი, ორპირიანი, სამპირიანი და ოთხპირიანი*, მამასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ წინადადებაში აქტანტი დაახლოებით იგივეა, რაც ზმნის პირი.

რაც შეეხება სირკოსტანტებს, მათი რაოდენობა განსაზღვრული არ არის (გამყრელიძე, 2008: 262). ესენია სხვადასხვა სახის გარემოებები და განსზღვრებები.

განმარტეთ ტექსტში გამოყენებული ლინგვისტური ტერმინები

სინტაქსი, სინტაქსური ერთეული და სინტაქსური კატეგორია; შესიტყვება, შეთანხმება, მართვა, მირთვა, კოორდინაცია, წინადადება, წინადადების წევრი (მთავარი, მეორეხარისხოვანი, ქვემდებარე, შემასმენელი, პირდაპირი და ირიბი დამატება, განსაზღვრება, გარემოება), აქტანტი, სირკოსტანტი, სინტაქსემა, კომუნიკაციურობა, პრედიკატულობა, მოდალობა.

კითხვები და დავალებები

1. რა განსხვავებაა მეტყველების ნაწილსა და წინადადების წევრს შორის?
2. რას იტყვით სინტაქსური კატეგორიის პრობლემის შესახებ?
3. რატომ არის შესიტყვება სინტაქსის და არა მორფოლოგიის დარგი?
4. შეადარეთ ერთმანეთს შესიტყვება და სინტაგმა;
5. რა სახის კავშირებია შეთანხმება, მართვა და მირთვა? (პასუხი დაასაბუთეთ);
6. დაასაბუთეთ, რა ქმნის წინადადების პრედიკატულ ბირთვს (საფუძველს);
7. გააკეთეთ წინადადების, გამონათქვამის და ფრაზის შედარებითი ანალიზი;
8. დაახასიათეთ წინადადებათა ტიპები მოდალობისა და აგებულების მიხედვით;
9. გააკეთეთ წინადადების წევრებისა და აქტანტების შედარებითი ანალიზი;
10. რა განსხვავებაა სემანტიკურ და ტრადიციულ სინტაქსს შორის?

ნაწილი III

ენისა და ენობრივი სამყაროს წარმოშობა და განვითარება

14. ენის წარმოშობის პრობლემა

14.1. პრობლემის არსი და სირთულე

ენათმეცნიერთა წინაშე ერთ-ერთ საკამათო და დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება *ენის წარმოშობის ანუ გლოტოგენეზის* (ბერძნ. glotta - ენა და genesis - წარმოშობა) *საკითხი*. მისი სირთულე განპირობებულია იმით, რომ ის ზოგადად ადამიანის და საზოგადოების წარმოშობის პრობლემატიკის შემადგენელია ნაწილია და წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით მასზე მსჯელობა სასურველ შედეგს ვერ იძლევა. მამასადამე, პრობლემა კომპლექსურია: მისი გადაჭრა მხოლოდ ენათმეცნიერების ფარგლებში შეუძლებელია. ამის გამო ლინგვისტთა გარკვეულმა ნაწილმა ის ენათმეცნიერულ პრობლემათა რიცხვიდან საერთოდ ამოიღო და ზოგადად ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებებს გადაულოცა. შესაბამისად, „ენათმეცნიერების შესავლის“ ზოგიერთ სახელმძღვანელოში ის საერთოდ არ არის შეტანილი, სხვებში კი ძალიან მცირე ადგილი ეთმობა. არის საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის მიხედვით ეს ენათმეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი თეორიული საკითხია და მისთვის გვერდის ავლა მართებული არ არის.

ენისა და ენობრივი სამყაროს წარმოშობის პრობლემის ანალიზისას პასუხები უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1. სად, როდის, როგორ და რა პირობებში უნდა ამეტყველებულიყო პირველყოფილი ადამიანი;

2. რომელ ენაზე უნდა ამეტყველებულიყო ის.

ამ კითხვებზე ყველასთვის მისაღები პასუხი დღემდე არ არსებობს. პირველი კითხვის სირთულე განპირობებულია იმით, რომ *ენის წარმოშობის პროცესი ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია*, მისგან ჩვენ ასეულობით ათასი (თუ მეტი არა) წელი გვაშორებს და შესაბამისი კვლევისა და დასკვნების გაკეთებისთვის არანაირი ემპირიული მასალა არ მოგვეპოვება. ეს ლოგიკურიცაა, რადგან საუბარია ბგერითი ენის წარმოშობაზე, ბგერის სიტყვად გადაქცევაზე, ბგერასთან აზრის დაკავშირებაზე. ბგერა კი კვალს არ ტოვებს (ცხადია, იგულისხმება პერიოდი თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოგონებამდე), *verba volant – scripta manent* – სიტყვები ქრება, ნაწერი კი რჩება – გვეუბნება ლათინური ანდაზა. საკუთრივ ლინგვისტური მეთოდების შესაძლებლობა ამ შემთხვევაში ძალიან შეზღუდულია: მათი გამოყენებით ხერხდება მაქსიმუმ 10 ათასი წლის წინანდელი უძველესი ფორმების აღდგენა, ენის წარმოშობის პროცესს კი მინიმუმ 50-60 ათასი წელი მაინც გვაშორებს (ვენდინა, 2001: 32)

მეცნიერებას არც იმის შესაძლებლობა აქვს, რომ თუნდაც მიახლოებით მაინც აღადგინოს ის ენა, რომელზედაც ამეტყველდა პირველყოფილი ადამიანი, ამიტომ მხოლოდ ჰიპოთეზების დონეზე შეგვიძლია მსჯელობა იმაზე, *თუ დაახლოებით როდის, სად, რა პირობებში და როგორ შეიძლება ამეტყველებულიყო პირველყოფილი ადამიანი და არა იმაზე, თუ კონკრეტულად რომელ ენაზე უნდა ამეტყველებულიყო ის* მიუხედავად ამისა, მსჯელობას სწორედ ბოლო საკითხით დავიწყებთ, რადგან კაცობრიობას უხსოვარი დროიდან უმთავრესად ეს კითხვა აწუხებს.

14.2. პირველი ენის თეორია

ძველ ებრაელებს მიაჩნდათ, რომ პირველი ენა ებრაული იყო. მათი აზრით, ღმერთმა ადამს სწორედ ებრაული ენა ასწავლა. ეს თეორია რატომღაც კვლავ აღორძინდა XVI - XVII საუკუნეებში და დიდხანს პოპულარობითაც კი სარგებლობდა (იაკუშინი, 1984: 14).

პირველი ენის საკითხი სხვადასხვა დროს მუდმივად იჩენდა თავს. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, ძველი ეგვიპტის მეფე ფსამეტიქმა (663-610 წ. ძვ. წ.) ჩაატარა ასეთი ექსპერიმენტი: ორი ახალშობილი ბავშვი მიაბარა მწყემსებს და უბრძანა გაეზარდათ ადამიანებისაგან იზოლირებულად, თხებთან ერთად. ლეგენდის მიხედვით, ორი წლის ასაკში ერთ-ერთმა ბავშვმა წარმოთქვა სიტყვა „ბეკოს“, რაც, მათი აზრით, ფრიგიულ ენაზე ნიშნავდა პურს. ამით კი გამოითქანეს დასკვნა, რომ პირველი ენა ფრიგიული უნდა ყოფილიყო, ხოლო ებრაული ფრიგიულის შემდეგ უნდა ყოფილიყო წარმოქმნილი (იაკუშინი, 1984: 14).

მსგავსი ექსპერიმენტები ბევრჯერ ჩატარდა. შედეგი ყველგან ერთი იყო: მიუხედავად დიდი მონდომებისა და მცდელობებისა, სანდო პასუხი ვერსად მიიღეს.

თავისებურად ხსნიდნენ პირველი ენისა და საერთოდ, ენის რაობის საკითხს რომაელები და ბერძნები. ერთნი მხოლოდ ლათინურს მიიჩნევდნენ არა მარტო პირველ ენად, არამედ საერთოდ ენად, ხოლო მეორენი – ბერძნულს. ყველა დანარჩენ ენაზე მეტყველებას კი, რადგანაც ისინი მათ არ ესმოდათ, უაზრო ბურტყუნად მიიჩნევდნენ (*ბრზბრზბრზ* - აქედან წარმოიშვა სიტყვა *ბარბაროსი*).

სხვათა შორის, პირველი ენის პრობლემა მთლად თითიდან გამოწვეული არ არის. მას ასაზრდოებს ე.წ. *მეტყველების მონოგენეზისის* თეორია (ბერძნ. *μόνος* - ერთი, *γένεσις* - წარმოშობა), რომლის მიხედვითაც ადამიანი ერთ კონკრეტულ არეალში და, შესაბამისად, ერთ კონკრეტულ ენაზე უნდა ამეტყველებულიყო. ამ თეორიის საფუძველში დევს *კაცობრიობის მონოგენეზის* ბიოლოგიური თეორია (ლეს, 1990: 308-309), რომლის მიხედვითაც კაცობრიობა ერთ კონკრეტულ ლოკაციაში, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკაში, ერთი რომელიღაც ტომიდან უნდა იყოს წარმოშობილი. აშკარაა, რომ ეს თეორია საწყის ეტაპზე რაიმე სახის ენობრივ მრავალფეროვნებას გამორიცხავს, თუმცა არის საპირისპირო - *მეტყველების პოლიგენეზის თეორია*, რომელიც შესაბამის ბიოლოგიურ თეორიას ეყრდნობა და ადამიანის სხვადასხვა ლოკაციაში ამეტყველებას ვარაუდობს. ასეთ შემთხვევაში მეცნიერები ცდილობენ ჰიპოთეტურად მაინც იმსჯელონ უძველესი ეპოქების ენობრივ სურათზე, რომლის მიახლოებით აღდგენის მიზნით პარალელს ავლებენ ცნობილი მოგზაურის ნ. მიკლუხო-მაკლასის მიერ ახალი გვინეაში მდ. მაკლასის სანაპიროს გასწვრივ მცხოვრებ ტომთა ენობრივ სურათსა და ყოფა-ცხოვრებასთან. როგორც მოგზაური წერს, თითოეულ სოფელს თავისი დიალექტი აქვს. სოფლებში, რომლებიც ერთმანეთისაგან თხუთმეტი წუთის სავალით არიან დაშორებული, ერთსა და იმავე საგნებს სხვადასხვა სახელი აქვთ. ერთი საათის გზით დაშორებული სოფლების მცხოვრებთა ენები კი იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ისინი ფაქტობრივად ერთმანეთს ვეღარც კი უგებენ (გირუცკი, 2003: 275). სწორედ ასეთი ვითარება უნდა ყოფილიყო კაცობრიობის გარიჟრაჟზეც. მას *ენობრივ უწყვეტობას*, *ენობრივ დიფუზიასაც* უწოდებენ. ეს ის ვითარებაა, რომლის

პირობებშიც ერთი ენა ნელ-ნელა გადადის მეორეში. მათ შორის ზღვარი, მიჯნა ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი, მაგრამ იმის თქმაც ძნელია, რომ ერთ ენასთან გვაქვს საქმე.

არის კიდევ ერთი კითხვა, რომელზეც ლინგვისტები მეტ-ნაკლებად სარწმუნო პასუხს იძლევიან: **როგორი შეიძლება ყოფილიყო პირველი ენა**

პირველი ენა აუცილებლად პრიმიტიული და ღარიბი უნდა ყოფილიყო თავდაპირველი მეტყველება ცხადია ვერ იქნებოდა იმ დონით და ხარისხით დანაწევრებული როგორც დღესაა ის გაცილებით ბუნდოვანი და გაურკვეველი უნდა ყოფილიყო იგი შედგენილი უნდა ყოფილიყო ეწ **ბგერა-წინადადებებისაგან** რომლებიც ინტონაციასა და შესტთან უნდა ყოფილიყო შეზრდილი როგორცაა ვთქვათ – აჩუ “ მაშასადამე ძირითადი ერთეული უნდა ყოფილიყო **ერთმარცვლიანი ბგერათკომპლექსი** პირველი სიტყვები სემანტიკურადაც დიფუზური ე.ი. უამრავი მნიშვნელობის მქონე უნდა ყოფილიყო ახალი სიტყვების წარმოქმნის ძირითადი ხერხი სიტყვათა გამეორება და კომპოზიცია უნდა ყოფილიყო **ენის სტრუქტურა კი მოგვიანებით თანდათანობით უნდა ჩამოყალიბებულიყო** (კოდუხოვი, 1979: 66).

14.3. ჰიპოთეზები ენის წარმოშობის შესახებ

როგორ გაჩნდა ენა? ამ კითხვას ყველაზე მარტივად შემდეგი პასუხი შეიძლება გაეცეს: ის **ან თვითონ, ბუნებრივი გზით უნდა წარმოქმნილიყო, ან ვიღაცას, რაღაც აქტიურ, შემოქმედ, ზებუნებრივ ძალას უნდა შეექმნა თუ შემოეტანა გარედან.** შესა-

ბამისად, ენის წარმოშობის ვერსიებს (ჰიპოთეზებს) ორ დიდ ჯგუფად აერთიანებენ:

1. ენა წარმოიშვა ბუნებრივი გზით;
2. ენა შექმნა გარე ძალამ.

პირველ თვალსაზრისს *მეცნიერულს* უწოდებენ, მეორეს კი - *არამეცნიერულს*, თანაც მეორე თვალსაზრისი დიდი ხნის მანძილზე იყო გაბატონებული, საკამათო იყო მხოლოდ ის, თუ ვინ ან რა ძალამ და რა მასალისგან შექმნა ენა.

ვინაიდან ქრონოლოგიურად ჯერ ეს ვერსიები გაჩნდა, ანალიზს სწორედ მათგან დავიწყებთ.

ენის წარმოშობის ე. წ. *არამეცნიერულ თეორიების* (უფრო სწორად, ვერსიების, ჰიპოთეზების) წინაშე ყოველგვარი ლოგიკა უძლურია. მათ საფუძველზე ვერაფერს დაამტკიცებ. უბრალოდ, უნდა ირწმუნო, რომ ენა შექმნა გარე ძალამ, რომელშიც უმეტეს შემთხვევაში მოიაზრება ღმერთი (ღმერთები), თუმცა არა მართლ ის (ისინი). *ამ ვერსიების მიხედვით, ენის წარმოშობა იგივეა, რაც პირველი სიტყვების (ლოგოსის, logos - სიტყვა) გაჩენა, უფრო ზუსტად - დადგენა.* ამიტომ მათ სიტყვების დადგენის, ანუ ენის წარმოშობის *ლოგოსურ თეორიებსაც* (ვერსიებს, ჰიპოთეზებს) უწოდებენ (გირუცკი, 2003: 17). ისინი რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

1. ვერსიებს, რომლებიც სიტყვების დამდგენად ღმერთს (ღმერთებს) მოიაზრებენ, *ენის წარმოშობის რელიგიურ (ან მითოლოგიურ) ვერსიებს უწოდებენ.* მათთვის ლოგოსი ჩვეულებრივი სიტყვა როდია. ეს არის ღვთაებრივი არსისა და ბუნების მქონე სიტყვა, რომლის ქმნაც ერთდროულად შესაბამისი რეალობის შექმნასაც ჰგულისხმობს. სწორედ ესაა ნაგულისმევი ბიბლიურ გამონათქვამში: „*თავდაპირველად იყო სიტყვა, და ეს სიტყვა იყო ღმერთი*“.

2. ამავე დროს, არის ლეგენდები, რომელთა მიხედვითაც სიტყვების *დამდგენებად გვევლინებიან ადამიანები*, ოღონდ არა ჩვეულებრივი, არამედ ღვთაებრივი ბუნების მქონენი - ქურუმები, ღმერთებთან დაკავშირებული წმინდა წინაპრები და ა.შ.

3. დაახლოებით ანალოგიურ მიდგომას ვხვდებით *ვილოსოფიაში*, კერძოდ ძველ ბერძენ ვილოსოსფოსებთან. ოღონდ აქ სახელების დამდგენები არიან არა ღმერთები ან ღმერთთან დაკავშირებული წინაპრები, არამედ თანამედროვენიც, რომელთაც სახელების დამდგენებს ანუ *ონომატოტეტებს* უწოდებენ.

დაბოლოს, რელიგიური ვერსიების მიხედვით შეიძლება საუბარი ენის წარმოშობის *მესამე, შუალედურ ვერსიაზეც*, რომლის მიხედვითაც ღმერთმა შექმნა სამყაროც და ადამიანიც, მისცა მას მეტყველების უნარი, მანვე დაიწყო ენის შექმნა, ხოლო რაღაც ეტაპზე ეს პროცესი გააგრძელა ადამიანმა. სწორედ ეს თვალსაზრისია გატარებული, მაგალითად, ბიბლიაში.

14.3.1. ენის წარმოშობის რელიგიური ვერსიები

ენის წარმოშობის რელიგიური ვერსიების მიხედვით ენის საფუძველია სულიერი საწყისი, რომელიც აღინიშნება სიტყვებით: „ღმერთი“, „ლოგოსი“, ეს ვერსიები ასახულია თითქმის ყველა რელიგიის წმინდა წიგნებში, რომელთა შორისაც უძველესია ინდური რელიგიური წმინდა წიგნები - *ვედები*. ისინი იქმნებოდა დაახლოებით ძვ. წ. აღრ. XXV-XV საუკუნეებში, ეს არის პოეტური და პროზაული რელიგიური ნაწარმოებების ოთხი კრებული (*რიგვედა, სამვედა, იაჯურვედა, ატხარვაგედა*). ერთ-ერთი მათგანის - *რიგვედას*“ (ანუ „*ჰიმნების ვედას*“) მიხედვით, *სახელების დამდგენია მთავარი ღმერთი, რომელიც, ამავე დროს, არის ცისა და დედამიწის შემქმნელი*. მან

სახელები დაარქვა არა ყველაფერს, არამედ მხოლოდ მისდამი დაქვემდებარებულ ღმერთებს, რომლებმაც წმინდა ქურუმებთან (ე. ი. ადამიანებთან) ერთად შემდგომში გააგრძელეს სახელების დარქმევა, ოღონდ მჭევრმეტყველებისა და პოეზიის ღმერთის – *ბრახასპატის* ხელმძღვანელობით

ვედების დასკვნითი ნაწილია - „*უპანიშადები*“ (ძვ. წ. IX–VI ს.ს). ეს არის მოძღვრება *ბრახმანის* (კოსმიური სულიერი საწყისი, უსახური აბსოლუტი, რომელიც ყოველივე ამქვეყნიურის საწყისია) და *ატმანის* (ინდივიდუალური სულიერი საწყისი) შესახებ. უპანიშადების მიხედვით, თავიდან იყო ხმელეთი, ხმელეთმა შექმნა პაპანაქება, რასაც მოჰყვა წყლის შექმნა. წყალმა შექმნა საკვები და ცოცხალი არსებები. სამყაროს შექმნის დასკვნითი ეტაპზე შემოქმედი ძალის *ატმანის* წყალობით აბსოლუტი, ღვთაება - ბრახმანი - შედის საგანთა არსში და იქიდან გამოაქვს მათი სახელები. ეს ყველაფერი ხდება ადამიანის გარეშე, ანუ ადამიანი არ მონაწილეობს სახელების შექმნაში.

მაშასადამე, თუ უმეტეს შემთხვევაში სახელის დარქმევის პროცესი მიმართულია ღმერთიდან საგნისაკენ, ანუ ღმერთი არქმევს საგანს სახელს, ამ შემთხვევაში, პირიქით, იგი ძევს საგნის ბუნებაში და პირდაპირ უკავშირდება მის ფორმას. ღმერთს მხოლოდ გამოაქვს იგი შიგნიდან გარეთ.

ძველი ინდური ვედური ვერსიების მსგავსად ხსნის ენის (სიტყვათა) წარმოქმნას *ზოროასტრიზმის წმინდა წიგნი* - „*ავესტაც*“: ამიტომ მას დაწვრილებით აღარ განვიხილავთ.

საინტერესოა აგრეთვე, ძველი ჩინური ვერსიები, მაგალითად, *დაოსიზმის* ფუძემდებლის *ლაო ძის* მოძღვრება, რომლის მიხედვითაც, ადამიანი ემორჩილება დედამიწის კანონებს, დედამიწა ემორჩილება ცის კანონებს, ცა ემორჩილება

დაოს კანონებს, დაო ემორჩილება თავის თავს. დაო არის შემოქმედი ძალა. იგი ორმაგი ბუნებისაა: მისი ერთი მხარე უსახელოა, რომელმაც შექმნა სამყარო (მიწა და ცა), მეორეს კი სახელები აქვს და იგი დანარჩენ საგანთა დედაა.

კონფუცის (კონფუციანიზმის ფუძემდებელი) მოძღვრების მიხედვით, საგნებს სახელებს არქმევენ ადამიანები, ოღონდ არა ყველა, არამედ კეთილშობილი ადამიანები, მაგალითად, ქვეყნის მმართველები. მათვე აქვთ მინიჭებული უფლება შეასწორონ არასწორი სახელები.

ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა შექმნა როგორც მთელი სამყარო, ისე ადამიანი და მისი ენა. სამყაროს ღვთაებრივი ქმნა ექვს დღეს მიმდინარეობდა და პარალელურად სახელების დარქმევასაც გულისხმობდა. *ანუ ღმერთის მიერ სამყაროსა და ენის შექმნის პროცესი ერთიანია, ურთიერთისგან განუყოფელია, ოღონდ - პირველ ეტაპზე.* ღმერთის მიერ სიტყვის წარმოთქმა და ამ სიტყვის შესაბამისი საგნის შექმნა ერთიანად ხდება. ასე ქმნის ღმერთი თავიანთ სახელებიანად *დღეს, ღამეს, ცას, მიწას და ზღვას.* ამის შემდეგ ღმერთი ქმნის მამაკაცს (*ადამს*) და ანიჭებს მას მეტყველების, მაშასადამე, სახელების დარქმევის უნარს. შემდეგ კი ადამმა თვითონ შეარქვა სახელები ცხოველებსა და ფრინველებს, ეს უკვე ენის ქმნის *მეორე ეტაპია*, რომელზეც შეიქმნა „ერთი ენა და ერთი სიტყვა“.

ბიბლიის მიხედვით, ადამის შთამომავალნი ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ თუმცა ენის ქმნის პროცესი ბიბლიაში ამით არ მთავრდება: *მასში მოცემულია მესამე ეტაპი* – უკვე სხვადასხვა ენების შექმნის პროცესიც. ეს არის ბაბილონის გოდოლის მშენებლობა, რის გამოც ღმერთმა მათ ენები აურია

რატომ არ დაასრულა ენის შექმნა ღმერთმა, რომელიც ყოვლისშემძლეა და რატომ ანდო ეს საპასუხისმგებლო საქმე ადამს? - ეს კითხვა საუკუნეების მანძილზე იჩენდა თავს და მასზე უამრავი არაერთგვაროვანი პასუხია გაცემული. ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მამამთავრის *გრიგორი ნისკის (335-394)* აზრით, თუ კითხვას ასე დავსვამთ, მაშინ ისიც უნდა ვიკითხოთ, რატომ არ შეუქმნა ღმერთმა ადამიანს სახლი, გუთანი, ხმალი და ა.შ. მაშასადამე, ღმერთმა ადამიანს მიანიჭა სახლის, გუთნის, ხმლის და ა.შ. შექმნის უნარი, ხოლო ეს საგნები თვითონ ადამიანმა შექმნა. ასეა ენის შემთხვევაშიც: ღმერთმა ადამს მიანიჭა სახელების დარქმევის უნარი, ხოლო სახელები თვითონ ადამმა დაარქვა.

დაახლოებით ანალოგიურად ხსნის ენის წარმოშობას ყურანიც: ალაჰმა ფერფლისა და თიხისაგან შექმნა ადამი და ასწავლა მას საგნების სახელწოდებები.

რაც შეეხება მითოლოგიურ ვერსიებს, მათგან აღსანიშნავია, მაგალითად, ძველბერძნული მითები ვაჭრობისა და ურთიერთობათა მფარველი ღმერთის *ჰერმესის* შესახებ. სწორედ ის არის ენის შემოქმედი, რის გამოც მას სიბრძნისა და დამწერლობის ძველევგვიპტურ ღმერთ ტოტთანაც (ეგვიპტური დამწერლობის შემქმნელი ღმერთი) აიგივებდნენ.

14.3.2. ენის წარმოშობის ფილოსოფიური ვერსიები

უაღრესად საინტერესოა პრობლემისადმი ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა დამოკიდებულება. ენის ღვთაებრივი წარმოშობის თეორიები ძველ საბერძნეთში არ იყო პოპულარული. ოღონდაც არა იმიტომ, რომ ისინი ათეისტები იყვნენ და ღმერთებს არ ენდობოდნენ. ისინი ცდილობდნენ ყველა საკითხი *მსჯელობის გზით, ლოგიკის მოშველიებით აეხსნათ.*

ამიტომ ითვლებოდა, რომ ეს საკითხი არა ზებუნებრივი ძალების მოშველიებით, არამედ არგუმენტების საფუძველზე უნდა წყდებოდეს (იაკუშინი, 1984: 22). ამავე დროს, „სახელთა დადგენისა“ და „სახელთა დამდგენის“ პრობლემა აქაც ისევე აქტუალურია, როგორც რელიგიურ ვერსიებში, ოღონდ სახელთა დამდგენებად აქ გვევლინებიან ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც მხოლოდ ამ საქმით არიან დაკავებული. მათ *ონომატოტეტებს* უწოდებდნენ. საკამათო იყო საკითხი იმის შესახებ, თუ *რა კავშირი შეიძლება არსებობდეს საგანსა და მის სახელს შორის*. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ *საგანსა და სახელს შორის კავშირი ბუნებრივია*, ანუ სახელი ისე გამოხატავს საგნის არსს, მის ბუნებას, როგორც ჩრდილი შესაბამის საგანს, ან კიდევ მდინარეში არეკლილი ხეები და ქვები საკუთარ თავს. აქედან გამომდინარე, საგნის სახელის შესწავლა დიდად დაგვეხმარება ამ საგნის ბუნების, მისი არსის შესწავლაში, - ფიქრობდნენ ისინი. არგუმენტად მათ მოჰყავდათ შემდეგი მაგალითები:


- წყევლა და ლოცვა ადამიანზე მოქმედებს იმიტომ, რომ მათში მოხსენიებულია იმ ადამიანთა სახელები, ვისზეც არის ისინი მიმართული, და ეს სახელები ამ ადამიანთა ბუნების გამომხატველია;
- მამრობითი სქესის არსებითი სახელები მამრის არსის ამსახველია, მათი დამახასიათებელი ნიშანია ზემოქმედების მოხდენა და შესვლა. მდედრობითი სქესის სახელები კი მდერის არსს ასახავენ, რადგან მათი დამახასიათებელი ნიშანია მიღება. ასე მაგალითად, ბერძნული სიტყვა „გონება“ - მამრობითი სქესის სიტყვაა, „სული“ - მდედრობითისა. რატომ? იმიტომ, რომ გონება გაანათლებს სულს. „მდინარე“ მამრობითი სქესისაა, „ზღვა“ და „ტბა“

კი მდედრობითის, რადგან მდინარე ზღვასა და ტბაში ჩაედინება და ა. შ. (იაკუშინი, 1984: 28).

ამრიგად, ამ თეორიების მიხედვით, სიტყვები - საგანთა ანარეკლებია, ამა თუ იმ გზით საგანთა ბუნების ამსახველებია. მათ შორის ამ კავშირებს კი სახელების დამდგენები განსაზღვრავენ, მათ „*ბუნებით*“ ანუ „*phusey*“ (*ფუსეი*) თეორიებს უწოდებენ.

მეორეთა აზრით, საგანსა და სახელს შორის კავშირი არ არსებობს. საგანს სახელს არქმევენ ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. ამ თეორიებს საგანთა სახელების დადგენის ანუ „*thesei*“ (*თესეი*) თეორიებს უწოდებენ.

აღნიშნული თეორიები მთლიანობაში სქემატურად შემდეგ სახეს მიიღებს:



14.3.3. ენის წარმოშობის მეცნიერული თეორიები (ვერსიები)

რაც შეეხება ენის წარმოშობის მეცნიერულ თეორიებს, აუცილებელია თავიდანვე განვმარტოთ, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ტერმინი „მეცნიერული“. რატომ? იმიტომ რომ ჭეშ-

მარტივად მხოლოდ ის თეორია, რომლის დასკვნები ემპირიული მასალის ანალიზს ეყრდნობა. არსებობს კი რაიმე სახის მასალა, რომლის ანალიზიც ბგერის სიტყვად გადაქცევის პროცესზე მიგვანიშნებდა? ასეთი რამ არ არსებობს, რადგან ვერსად ვიპოვით პირველყოფილი ადამიანის მიერ ოდესღაც წარმოთქმულ იმ ბგერებს, რომელთა ანალიზიც აზრთან მათ დაკავშირებას დაგვიდასტურებდა, ამიტომაცაა, რომ ენის წარმოშობის მეცნიერული მოსაზრებებიც, ლოგოსურის მსგავსად, *ვერსიების (ჰიპოთეზების) სახით უფრო* განიხილება, ვიდრე თეორიების. მათ მეცნიერული მხოლოდ იმიტომ ეწოდება, რომ აერთიანებს თეზისი: *ენა წარმოიშვა ბუნებრივი გზით, ის ადამიანის და საზოგადოების ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად* და არა ვინმეს ან რაღაც ძალის მიერ გარედან შემოტანილი.

აღნიშნული თეორიები ეყრდნობა ევოლუციის *ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებს*, რომელთა ერთობლიობასაც უნდა განეპირობებინა ადამიანის ამეტყველება. ეს შეიძლება ყოფილიყო, ერთი მხრივ, ადამიანის ორგანიზმის (მათ შორის თავის ტვინის) განვითარების შესაბამისი დონე, მეორე მხრივ, პირველყოფილი ჯოგისგან სოციალური ჯგუფის ფორმირება, რაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა შრომის პრიმიტიული იარაღების (ხელჯოხები, ხელცულები და ა.შ.) ჯერ არსებული სახით გამოყენებამ, შემდეგ დამზადების პროცესმა (კოდუხოვი, 1987: 56-57). ამ პროცესს მთლიანობაში მილიონობით წელი დაჭირდა და საბოლოო ჯამში დაახლოებით *ძვ. წ. აღ. 60-40 ათას წლებში* დასრულდა (არის სხვა ვერსიებიც). მთელი ამ ხნის განმავლობაში ენისა და აზროვნების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა ერთმანეთის პარალელურად, ეს იყო **ადამიანის** მსგავსი მაიმუნის გაადამიანების პროცესი. ენის წარმოშობის ბიოლოგიური წინამძღვრები ჩამოყალიბდა ბიოლო-

გიური ევოლუციის პროცესში, როგორებიცაა ხიდან ჩამოსვლა, შრომისთვის წინა კიდურების გათავისუფლება წელში გამართვა, უკანა კიდურებით სიარულზე გადასვლა (homo erectus - „ადამიანი, წელში გამართული“) და ა.შ. ამ პროცესების შედეგია ხორხის და ფილტვების ევოლუცია და თანდათანობით მომზადება ბგერათა არტიკულაციისათვის პრემიტიული შრომის პროცესმა და იარაღების დამზადებაზე გადასვლამ კი პარალელურად განავითარა თავის ტვინიც რომელმაც თანდათან გამოიმუშავა განზოგადების უნარი ასე მომზადდა ნიადაგი კონცეპტუალური აზროვნებისათვის, რაც დასრულდა მოაზროვნე ადამიანის (homo sapiens) ჩამოყალიბებით.

აღნიშნულ მოსაზრებას ეფუძნება უამრავი თეორია, მათ შორის ეწ *შრომითი წამოძახილების* თეორიები რომელთა მიხედვით პირველი სიტყვების გაჩენა მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებას კერძოდ შრომით საქმიანობას რომლის შემსუბუქების მიზნითაც ამ პროცესს პირველყოფილი ადამიანი რიტმული შეძახილების თანხლებით ახორციელებდა ეს შეიძლება მომხდარიყო იარაღების დამზადებისას იარაღით საკვების დაქუცმაცებისას და აშ ამ წამოძახილებმა თანდათან მნიშვნელობები შეიძინა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა სიტყვები რომლებიც უმეტესწილად მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები იყო

აღსანიშნავია, აგრეთვე, *სოციალური მოლაპარაკების თეორიები*, რომლებიც სათავეს ძველბერძნულ „თესეი“ თეორიებიდან იღებს და თვლის რომ ადამიანები უნდა შეთანხმებულიყვნენ როგორ წარმოეთქვათ სიტყვები მათი ღირსება არის ის რომ მთლიანად ეყრდნობა ენის სოციალურ გარემოში წარმოშობის ჰიპოთეზას მაგრამ ნაკლია ის რომ ბუნდოვნად ტო-

ვებს ენის არარსებობის პირობებში მოლაპარაკების შესაძლებლობას

არის აგრეთვე ე.წ. „**ხმბზაჭითი თეორიები**“ რომლებსაც ხუმრობით **ვგ ვგ თეორიებსაც** უწოდებდენ ისინი ჯერ კიდევ ძველმა **ბერძენმა ფილოსოფოსებმა** წამოაყენეს და მათ ენის წარმოშობის **ონომაპოეტური** სახელის შემქმნელი" თეორია უწოდეს მათი მიხედვით, ადამიანმა სულიერ და უსულო საგნებს სახელები იმის მიხედვით შეარქვა თუ რა ხმებს გამოსცემენ ისინი ეი მიბაძეს მათ ცხადია ყველა ენაში გვაქვს **ჭიჭყინის ბუჭბუყის ფაჩიფუჩის და ბრახაბრუხის** მსგავსი სიტყვები და ისინი მართლაც ხმამიბაძვით არის წარმოშობილი მაგრამ ნებისმიერ ენაში ეს სიტყვები მხოლოდ პერიფერიული ლექსიკაა და არა ძირითადი როგორ შეიქმნა ლექსიკის ძირითადი ფონდი, ეი სიტყვები რომლებიც ამგვარ ხმამიბაძვას გამოირიცხავენ ზოგიერთი მკვლევრის აზრით, პირველყოფილი ადამიანი სიტყვებს ქმნიდა არა მარტო ხმებზე მიბაძვით არამედ საგნის მიერ შექმნილ შთაბეჭდილებებზე მიბაძვით განეევი, 2001: 12 ბგერებს ის ყოფდა ძლიერ, ეი ხმაურიან ბგერებად მაგ "რ" და მსუბუქ რბილ ჩუმ ბგერებად მაგ "ლ" და ა.შ.

ხმამიბაძვით თეორიებთან ახლოს დგას ეწ **შორისდებულების ანუ რეფლექსური თეორია** (მას ხუმრობით **თფუ თფუ თეორიასაც** უწოდებენ), რომლის მიხედვითაც პირველი სიტყვები პირველყოფილი ადამიანის შინაგანი სამყაროს გრძნობების ვნებებისა და ემოციების მოვარდნის შედეგად ამოხეთქილი ხმებია **რეფლექსებია** – **ახ ოხ უხ ვაი ვუი** და ა.შ

ხმამიბაძვითი და რეფლექსების თეორიები ერთმანეთისგან განსხვავდება იმით, რომ პირველი მათგანის მიხედვით სიტყვის წარმოქმნას ბიძგს აძლევს გარე სამყარო – საგანთა

მიერ გამოცემული ხმები. მეორის მიხედვით კი ამ ფუნქციას ასრულებს ადამიანის შინაგანი სამყარო.

შორისდებულების თეორიის პარალელურად გაჩნდა *ჟესტების ენის* თეორია რომლის მიხედვითაც, პირველყოფილ ადამიანს ორი სახის ენა (სიგნალები) უნდა ჰქონოდა:

ა) ბგერითი, რომლითაც გამოხატავდა გრძნობებს;

ბ) ჟესტების, რომლებითაც გამოხატავდა წარმოდგენებს საგნებზე.

ჟესტები დაახლოებით სამი სახის უნდა ყოფილიყო

1. მითითებითი

2. *გამოხატვითი* რომელთა მეშვეობითაც ამა თუ იმ საგნის გამოსახულების ჩვენება ხდებოდა;

3. *სიმბოლური*, მაგ. თითი ტუჩთან, როგორც გაჩუმების სიმბოლო.

ჟესტების მნიშვნელობას ცხადია არავინ უარყოფს მაგრამ ისინი მეორადია ბგერითი ენის შემდეგ ვერანაირი ჟესტი ვერ გამოხატავს ცნებას თუ ეს ცნება არ არსებობს ჟესტები დღესაც ასრულებენ მნიშვნელოვან როლს კომუნიკაციის პროცესში ოღონდ მათ დამხმარე საშუალების როლი აკისრია. მათ შეისწავლის სპეციალური დისციპლინა - *პარალინგვისტიკა*

ასეთია ენის წარმოშობის ძირითადი ვერსიების ზოგადი მიმოხილვა.

14.4. ბავშვის მიერ ენის ათვისების პროცესი და ენის წარმოშობის პრობლემა

ენის წარმოშობის პრობლემის ახსნისთვის ხშირად მიმართავენ ბავშვის მიერ ენის ათვისების პროცესს და ეს გასა-

გებიცაა რადგან ორივე შემთხვევაში შედეგად ვიღებთ ადამიანის ამეტყველებას თუმცა ამ ორ პროცესს შორის რადიკალური განსხვავებაა

ბავშვი კი არ ქმნის არამედ ითვისებს ამა თუ იმ ენას ენის წარმოშობა კი ენის შექმნაა ბავშვი ითვისებს იმ კოლექტივის ენას რომელშიც იზრდება ბუნებაში არსებულ ყველა ცოცხალ არსებათაგან ამას მხოლოდ ბავშვი ახერხებს რადგან მხოლოდ მას აქვს ენის ათვისების თანდაყოლილი უნარი ამავე დროს ეს სულაც არ ნიშნავს იმას რომ ბავშვი რაღაც ასაკში აუცილებლად ამეტყველდება ამისთვის აუცილებელია ადამიანთა საზოგადოება ბავშვი წლინახევრის ასაკიდან თავის ბავშვურ ლულულს თვითონ კი არ გარდაქმნის მეტყველებად არამედ აკვირდება ირგვლივ მყოფთა სიტყვებს ნელ-ნელა აცნობიერებს მათ მნიშვნელობებს მრავალგზის იმეორებს მათ და იბეჭდავს თავის გონებაში ბავშვი რომ ადამიანთა საზოგადოებისაგან იზოლირებულად გაიზარდოს იგი ველარასოდეს ამოიდგამს ენას, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ერთმა რეალურმა ფაქტმა: 1920 წელს ინდოეთში მგლების ბუნაგში იპოვეს დაახლოებით 6-7 წლის ორი გაველურებული ბავშვი (მათ ამაღა და ქამალა შეარქვეს). ერთ-ერთი მათგანი ძალიან მალე გარდაიცვალა, მეორემ თითქმის ათი წელი იცოცხლა, მაგრამ ფსიქოლოგებისა და აღმზრდელ-მასწავლებლების ათწლიანი მუხლჩაუხრელი შრომის მიუხედავად, ის არათუ ვერ ამეტყველდა, ბოლომდე ვერ იქცა ადამიანად და მგელივით ყმუილს, ოთხზე სირბილსა და სხვა ქცევებსაც კი ვერ შეეღია მაიმუნი კი პირიქით ადამიანთა საზოგადოებაშიც რომ გაიზარდოს ენას ვერ აითვისებს

ერთი სიტყვით ბავშვის მიერ ენის ათვისების პროცესი-დან საინტერესო დასკვნების გამოტანა შეიძლება როგორც არამეცნიერული, ისე მეცნიერული ჰიპოთეზებიდან, კერძოდ:

არამეცნიერული ჰიპოთეზების მსგავსად:

- აქაც ენა გარედან შემოდის. ბავშვი ენას ადამიანთა გარემოცვის გარეშე თვითონ ვერასოდეს ათვისებს ანუ მას ენა ვიღაცამ უნდა ასწავლოს (რელიგიური თეორიების შემთხვევაში ამას აკეთებენ ღმერთი, მთავარი ღმერთები ან მათგან შერჩეული ადამიანები – ქურუმები, მმართველები და ა.შ.);
- ენის ათვისებისთვის ბავშვს აუცილებლად სჭირდება გონებრივი და ფიზიკური განვითარების გარკვეული დონე, რაც მას მემკვიდრეობით მოსდგამს (რელიგიური თეორიების შემთხვევაში ყოველივე ეს ადამიანს ღმერთმა დაანათლა);

მეცნიერული ჰიპოთეზების მსგავსად:

ადამიანის ამეტყველების, ანუ ენის ბუნებრივი გზით წარმოშობისათვის აუცილებელია:

- ენის ფლობის (დანაწევრებული აზროვნების) უნარი;
- არტიკულაციის (ბგერების დანაწევრების) უნარი;
- კოლექტიური ცხოვრება

სწორედ ამ პირობების დაკმაყოფილების შემდეგ შეძლო პირველყოფილმა ადამიანმა ამეტყველება, რის შესახებაც მხოლოდ ჰიპოთეზების დონეზე ვსაუბრობთ

განმარტეთ ტექსტში გამოყენებული ლინგვისტური ტერმინები

გლოტოგენეზი, მეტყველების მონოგენეზის და პოლიგენეზის თეორიები; ენობრივი დიფუზია; ენის წარმოშობის ვერსიები (ლოგოსური, ფილოსოფიური, რელიგიური მეცნიერული).

კითხვები და დავალებები

1. დაასაბუთეთ, ითვლება თუ არა ენის წარმოშობის საკითხი წმინდა ლინგვისტურ პრობლემად;

2. როგორ გესმით ე.წ. პირველი ენის პრობლემის არსი?

3. გააკეთეთ ბგერითი ენის და დამწერლობის წარმოშობის პრობლემათა შედარებითი ანალიზი;

4. დაასაბუთეთ, შესაძლებელი იქნება თუ არა ოდესმე ენის წარმოშობის თარიღის და პროცესის ზუსტად დადგენა;

5. გააკეთეთ ენის წარმოშობის ფილოსოფიური და რელიგიური ვერსიების (ჰიპოთეზების) შედარებითი ანალიზი;

6. ახსენით, რატომ არის გაერთიანებული რელიგიური და ფილოსოფიური ვერსიები (ჰიპოთეზები) ლოგოსური ვერსიების ჯგუფში;

7. ახსენით ენის წარმოშობის მონო- და პოლიგენეზის თეორიების არსი;

8. რატომ არ ითვლება ენის წარმოშობის მეცნიერული თეორიები ბოლომდე სანდოდ და რახან ეს ასეა, რატომ ვუწოდებთ მათ მეცნიერულს? (პასუხი დაასაბუთეთ);

9. ახსენით თეზისი: „*ამ ვერსიების მიხედვით ენის წარმოშობა იგივეა, რაც პირველი სიტყვების (ლოგოსის, logos - სიტყვა) გაჩენა, უფრო ზუსტად - დადგენა*“;

10. ვენის დიაგრამის მეშვეობით, გააკეთეთ ენის წარმოშობის მეცნიერული და რელიგიური თეორიების შედარებითი ანალიზი.

15. ენობრივი სამყაროს განვითარება (ინტეგრაცია, დიფერენცია)


15.1. პლანეტის ენობრივი სიტუაციის ცვლა კაცობრიობის გარიჟრაჟიდან დღემდე

ენისა და ენობრივი სამყაროს წარმოშობა-განვითარების პრობლემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორი იყო თავდაპირველი, ადამიანის წარმოშობის საწყისი პერიოდისთვის არსებული ენობრივი სამყარო, საიდანაც დაიწყო მისი შემდგომი განვითარება და მოვიდა დღევანდელ მდგომარეობამდე. დღეისთვის არსებულ ორ ურთიერთსაპირისპირო თეორიას (მეტყველების მონოგენეზისი და პოლიგენეზისი) ამ საკითხის ირგვლივ არსებულ ბუნდოვანებაში სიცხადე ვერ შეაქვს, რადგან უშვებს ურთიერთსაპირისპირო ვერსიებს. ნებისმიერ შემთხვევაში ერთი რამ აშკარაა: ადამიანები მუდმივად მიგრირებდნენ, ეძიებდნენ უკეთეს საცხოვრებელ პირობებს, იპყრობდნენ სხვა ტერიტორიებს და ტომებს, რის შედეგადაც ტომები იყოფოდნენ, ან პირიქით, შეერეოდნენ ერთმანეთს. საბოლოო ჩამში ჩამოყალიბდა ორი ურთიერთსაპირისპირო პროცესი: *ინტეგრაცია (კონვერგენცია)* სხვადასხვა გვარის, ტომის, ეთნოსის და ა.შ. ერთმანეთში შერევა, (შერწყმა), *ან დიფერენციაცია (დივერგენცია)* (დაყოფა, დანაწილება). ცხადია, ანალოგიურად წარიმართა ენობრივი სამყაროს ისტორიაც, რომელშიც ეს პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს დღემდე. ოღონდ, სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმაციაში - სხვადასხვაგვარად. თუ კარჩაკეტილი მეურნეობით გამორჩეულ ფეოდალურ ხანაში ენათა დიფერენციაცია მნიშვნელოვნად სჭარბობდა ინტეგრაციას, კაპიტალიზმის შემდგომ პერიოდებ-

ში, განსაკუთრებით თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში, პირიქით, ინტეგრაციული პროცესები დაჩქარდა.

15.2. ენათა ინტეგრაცია და მისი შედეგები

ენათა ინტეგრაციამ მოგვცა სამი სახის შედეგი:




ერთი ენის მიერ მეორის შთანთქმა ენათა ინტეგრაციის ის შემთხვევაა, როცა ერთი ენა მეორეში ასიმილირდება, აითქვიფება, მთლიანად წყვეტს ფუნქციონირებას და ქრება არენიდან, ხოლო მეორე აგრძელებს ფუნქციონირებას. ცხადია, გადარჩენილი ენაც იცვლება, თუმცა არა იმდენად, რომ იგი ახალ ენად ჩაითვალოს. ცვლილებებს მასში იწვევს ასიმილირებული ენა, რომელიც გადარჩენილ ენაში ტოვებს უამრავ ნაკვალევს. იმის გათვალისწინებით, თუ რომელი ენა ქრება („მომხვდური“ თუ ადგილობრივი, „დამხვდური“), ეს ნაკვალევი ორი სახისაა: *სუბსტრატი ან სუპერსტრატი*.

თუ ადგილობრივი (აბორიგენი) ენა ასიმილირდება „მომხვდურში“, ანუ თუ „მომხვდური ყლაპავს დამხვდურს“, მაშინ გადარჩენილ ენაში ასიმილირებული ადგილობრივის ნაკვალევს სუბსტრატს უწოდებენ (ლათ. Sub-„ქვედა“ და stratum-„ფენა“). პირიქით, ადგილობრივში „მომხვდურის“ ასიმილირების შემთხვევაში კი საუბარია სუპერსტრატზე (ლათ. Super-„ზედა“ და stratum- „ფენა“). სუბსტრატის მაგალითია სხვადასხვა ენის ნაკვალევი უნგრულ ენაში, რომელიც შუაგულ ევროპაში ფუნქციონირებს, მაგრამ ახლო ნათესაობა აქვს არა რომელიმე მეზობელ ენასთან, არამედ შორეული ურალის აღმოსავლეთით, ტიუმენის ოლქში მოსახლე ხანტებისა და მანსების ენებთან. საქმე ის არის, რომ თანამედროვე უნგრელების წინაპრები, უგრები, სწორედ იქიდან მოვიდნენ. ეს მოხდა ახ.წ. მე-9 საუკუნეში. ისინი ორიგინალურად აითქვიფნენ ადგილობრივ მოსახლეობაში: შეითვისეს მათი კულტურა, გაევროპელდნენ, თავიანთი კულტურა კი დაკარგეს. რაც შეეხება ენას, ის არათუ შეინარჩუნეს, არამედ, პირიქით, გაავრცელეს კიდევ და ადგილობრივი ენები „ჩაყლაპეს“.

სუპერსტრატის მაგალითია ტერმინები „ბულგარელი“, „ბულგარეთი“, „ბულგარული ენა“ და, საერთოდ, ბულგართა ენის ნაკვალევი თანამედროვე ბულგარულ ენაში. ბულგარები ვოლგისპირეთში მცხოვრები თურქული მოდგმის ტომები იყვნენ. ისინი ბალკანეთში ახ.წ. მე-8 საუკუნეში მოვიდნენ და ადგილობრივ სლავურ და სხვა ტომებს შეერივნენ. ეს პროცესი აისახა მათ ენაშიც (ბულგართა ენა), ოღონდ აქ მოხდა უნგრული ენის საპირისპირო პროცესი: ბულგართა ენა აქ მოსახლე სლავურ ენებში ასიმილაციის შედეგად თვითონ გაქრა, მისი კვალი კი დარჩა გადარჩენილ სლავური ენებში, რასაც *სუპერსტრატს* უწოდებენ.

ხშირად გვხვდება ისეთი ენობრივი კონტაქტები, რომელთა შედეგი ნეიტრალურია, ანუ ხანგრძლივი ურთიერთკონტაქტების პროცესში (მაგ. ბელორუსულ-პოლონური და ბელორუსულ-ლიტვური ენობრივი ურთიერთკონტაქტები სასაზღვრო არეალებში, ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტები ოსმალთა ბატონობის პერიოდის აჭარაში) ადვილი ხდება ენობრივ ელემენტთა ურთიერთშედწევა, თუმცა რომელიმე ენა კი არ ქრება, არამედ იქმნება საერთო შუალედური ფენა. ამგვარი ურთიერთგავლენის შედეგად დარჩენილ ენობრივ ნაკვალევს **ადსტრატს** (ლათ. ad — „ახლოს, გვერდით“, stratum — „შრე, პლასტი“) უწოდებენ. ადსტრატის მაგალითად ასახელებენ თურქული ელემენტის სიმრავლეს ბალკანეთის ხალხთა ენებში საზღვრისპირა რეგიონებში (ვენდინა, 2001: 48). ანალოგიურ მოვლენად მიიჩნევენ აგრეთვე ყელხშულ ბგერებს (პ, ტ, კ, წ, ჭ, ყ), რომლებიც არის მხოლოდ კავკასიის ხალხთა ენებში, ამიტომ მათ კავკასიურ ყელხშულებსაც უწოდებენ. მაშასადამე, ისინი არც ერთ ინდოევროპულ ენას არ აქვს. გამონაკლისია სომხური და ოსური. საიდან გაჩნდა ისინი ამ ენებში? ცხადია, ადგილობრივი ენების ზეგავლენით. ზოგადად ადსტრატს მიაკუთვნებენ ისეთ მოვლენებს, როგორიცაა სესხება, კალკირება და ა.შ. საერთოდ, უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ტერმინი, რომელიც 1939 წელს შემოვიდა ხმარებაში, ლინგვისტიკაში ვერ დამკვიდრდა და არც მისი არსია ბოლომდე გააზრებული (ლელ, 1998: 19).

ორი ან მეტი ენის ურთიერთკონტაქტების შედეგად შეიძლება გაჩნდეს მესამე, სრულიად ახალი ენა, რომელიც ამ ენათა შერევის შედეგად ყალიბდება. ეს პროცესი იძლევა შემდეგი სახის შედეგებს:



პიჯინი არის სავაჭრო და საქმიანი კონტაქტების პროცესში წარმოქმნილი ისეთი შერეული ენობრივი წარმონაქმნი (და არა სრულფასოვანი ენა), რომელიც ყალიბდება ძირითადად მრავალენოვან საზღვაო პორტებში, ორი ქვეყნის საზღვარზე არსებულ სავაჭრო ცენტრებში, ერთი ქვეყნის ამა თუ იმ ქალაქში მეორე ქვეყნის სავაჭრო ექსპანსიის, დაპყრობებისას, მიგრაციებისას და ა.შ. პიჯინის არსზე ნათლად მიუთითებს თვით სახელწოდებაც, რომელიც ინგლისური სიტყვის „bysnes“ ჩინურ ენაზე წარმოთქმითი ვარიანტია. ამ სიტყვით თავდაპირველად აღნიშნავდნენ იმ ე.წ. საქმიან ენას, რომელიც ჩამოყალიბდა ჩინეთის მრავალენოვან პორტებში *ჩინურისა და ინგლისურის შერევის შედეგად*. ინგლისელები - ხომალდებისა და ტვირთების მეპატრონეები იყვნენ, ჩინურენოვანი მოსახლეობა კი ადგილობრივი მუშახელი. მათ ერთმანეთის ენები არ ესმოდათ, მაგრამ საქმიან ურთიერთობას მეტ-ნაკლებად მაინც ახერხებდნენ თავთავიანთ ენებზე საუბრით და ჟესტებით. დროთა განმავლობაში მუშები იმახსოვრებდნენ იმ საგნების და პროცესების ინგლისურ სახელწოდებებს, რომლებთანაც ჰქონდათ ყოველდღიური შეხება მუშაობის პროცესში. მათ წარმოთქვამდნენ მშობლიური ჩინური ენის საარტიკულაციო ბაზისის საფუძველზე. ასე რომ, ეს სიტყვები აღარ იყო ინგლისური, თუმცა არც ჩინური იყო. მამა-

სადამე, შეიქმნა ახალი ლექსიკური ფონდი, რომელიც არც ერთ აღნიშნულ ენას არ მიეკუთვნებოდა. შემდგომ ეტაპზე იწყება ამ სიტყვათა ერთმანეთთან დაკავშირების პროცესი, ოღონდ ცხადია, არა ინგლისური, არამედ ჩინური ენის გრამატიკის წესებით. რატომ? იმიტომ რომ ურთიერთგასაგები საკომუნიკაციო სისტემით სასიცოხლოდ დაინტერესებული იყვნენ სწორედ ჩინელი მუშები, სხვაგვარად ისინი სამუშაოს ვერ შეინარჩუნებდნენ. ასე იქმნებოდა ახალი ენობრივი წარმონაქმნი, რომელსაც ენა უწოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ენის ფუნქციებს ასრულებდა. სინამდვილეში ეს იყო ინგლისური სიტყვების ჩინური „ვინეგრეტი“ და არა სრულფასოვანი ენა.

ამ სახის პიჯინების მაგალითია აგრეთვე ე.წ. **კიახტის პიჯინი**, ანუ რუსული ენის კიახტური დიალექტი, რომელიც მე-19-ს შუახანებში ჩამოყალიბდა რუსეთ-ჩინეთის საზღვარზე მდებარე ქ. კიახტაში. ანალოგიური პიჯინი, ოღონდ რუსული და ნორვეგიული ენების ბაზაზე, ჩამოყალიბდა რუსეთის ჩრდილოეთით, ნორვეგიის საზღვრისპირა რაიონებში და მას **რუსკა-ნორსკი** შეარქვეს. უხვად ყალიბდებოდა პიჯინები ხმელთაშუა ზღვის, აფრიკის და ამერიკის საპორტო ქალაქებსა და სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, ე.წ. პლანტაციებში, სადაც უამრავი სეზონური მუშა იყრიდა თავს, ოკეანიაში, კარიბის ზღვის აუზში და ა.შ. სულ დაფიქსირებული და აღწერილია 50-მდე პიჯინი, თუმცა რეალურად მათი რიცხვი გაცილებით მეტი უნდა იყოს (მეჩკოვსკაია, 1996: 179).

ძირითადი ნიშნები, რომლებითაც ზოგადად პიჯინი-ენა ხასიათდება, შემდეგია:

1. ვიწრო ტერიტორიული ლოკალიზაცია;
2. ევროპული ენის ლექსიკა ადგილობრივი ენის წარმოთქმით ვარიანტში;

3. უკიდურესად გამარტივებული გრამატიკა;

4. არავისთვის არ იყო მშობლიური, ანუ არ არსებობდა ამ ენის მატარებელი მკვიდრი მოსახლეობა.

ერთი სიტყვით, პიჯინი არ არის სრულფასოვანი ენა, *ეს არის ორი ენის კონგლომერატი უაღრესად შეზღუდული ფუნქციებით და გამარტივებული გრამატიკით, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ვინმეს მშობლიური ენა.*

დროთა განმავლობაში პიჯინი ვითარდება, იხვეწება მისი გრამატიკა, მდიდრდება ლექსიკა, იზრდება გავრცელების არეალი. მასზე იწყებენ ლაპარაკს პორტისა თუ ბაზრის გარეთაც, ქუჩებში, იქმნება შერეული ოჯახები, იბადებიან შერეული სისხლის ბავშვები - მეტისები, მულატები და ა.შ., რომლებსაც *კრეოლებს* უწოდებენ. *ისინი უკვე ბავშვობიდან იწყებენ ამ ახალ შერეულ ენაზე ლაპარაკს.* ასე ჩნდება პიჯინის, როგორც მშობლიური ენის მატარებელი ეთნოსი. ამ გზით დროთა განმავლობაში პიჯინები ჩვეულებრივ, სრულფასოვან ენებად გარდაიქმნენ, რასაც *პიჯინთა კრეოლიზაცია*, ხოლო ამ გზით მიღებულ ენებს - *კრეოლური ენები* ეწოდება.

რა განსხვავებაა პიჯინს და კრეოლურ ენას შორის? უპირველესად ის, რომ პიჯინი ჯერ კიდევ არ არის სრულფასოვანი ენა, თანაც იგი არავისთვის არაა მშობლიური. კრეოლური ენა კი სრულფასოვანი ენაა როგორც ლექსიკური შედგენილობით, ისე გრამატიკით. ეს ყველაფერი ორი რომელიმე ენისგანაა აღებული, ოღონდ აღარც ერთისაა და აღარც მეორის. ეს უკვე დამოუკიდებელი სისტემაა, თანაც იგი არის მშობლიური ენა, ოღონდ სრულიად ახალი - *კრეოლური ეთნოსისთვის.*

დღეისათვის კრეოლური ენები იმ დონეზე განვითარდა, რომ მათზე მილიონობით ადამიანი ლაპარაკობს. მთლიანობაში

100-მდე ასეთი ენაა აღწერილი, კერძოდ, კრეოლურ ენებს მიეკუთვნება:

1. **ინდონეზიურ - მალაიზური ენა**, რომელიც ოფიციალური ენაა ინდონეზიაში, ხოლო ერთ-ერთი ოფიციალური ენა მალაიზიასა და სინგაპურში. მასზე 150 მლნ. ადამიანი ლაპარაკობს, თანაც იგი არის ლიტერატურული ენა. რაც შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ რა დონეზე შეიძლება განვითარდეს პიჯინი;

2. **სუახილი** - („სანაპიროს მცხოვრებნი“) აღმოსავლეთ აფრიკაში, კერძოდ კენიაში, ტანზანიაში, უგანდასა და ზაირში გავრცელებული ერთაშორისი ურთიერთობის ენაა, მასზე 50-მლნ-ზე მეტი ადამიანი ლაპარაკობს.

3. **ტოკ-პიჯინი**, ანუ ახალგვინეური ენა, რომელიც ინგლისურენოვან საფუძველზე ჩამოყალიბდა და აერთიანებს უამრავი აფრიკული ე.წ. პლანტაციის პიჯინს. დღეს მასზე 3 მლნ ადამიანი ლაპარაკობს და ინგლისურთან ერთად ოფიციალური ენაა პაპუა-გვინეაში.

4. **აფრიკაანსი ანუ ბურების ენა**, რომელიც გავრცელებულია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ორ პროვინციაში. მასზე ლაპარაკობს 5 მილიონზე მეტი ადამიანი. ჩამოყალიბდა მე-17 საუკუნეში, უმეტესწილად ნიდერლანდური ენის საფუძველზე, რომელსაც მიეკუთვნება ლექსიკის 99%, მასში შერეულია გერმანული, ინგლისური, ფრანგული, პორტუგალიური და სხვა ენების ელემენტებიც (უპირველეს ყოვლისა გრამატიკა და წარმოთქმა). ადგილობრივი ენებიდან იგი ეყრდნობა ბანტუ, ბუმბენტა, პოტენტოტების და სხვა ენებს.


15.3. ენათა დიფერენციაცია. მონათესავე ენები

ენათა დიფერენციაციის პროცესი იძლევა ინტეგრაციის საპირისპირო შედეგს: ოდესღაც არსებული ერთი ენის სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე ადამიანთა ჯგუფები უკეთესი საცხოვრებელი ადგილების მოძიების მიზნით ინტენსიურად მიგრირებენ სხვადასხვა მიმართულებით და სულ უფრო მეტად შორდებიან ერთმანეთს. ამის გამო მათ შორის კონტაქტები სუსტდება, რაც იმდენად აძლიერებს ენობრივ განსხვავებებს, რომ ისინი დროთა განმავლობაში *დამოუკიდელ ენებად ყალიბდება*. მაშადაძე, ისინი საერთო ძირიდან, ანუ *წყარო-ენიდან* არიან წარმოქმნილი, ასეთ ენებს *მონათესავე ენებს უწოდებენ*, ხოლო მათ ერთობლიობას - *მონათესავე ენათა ქვეჯგუფებს, ჯგუფებს, ოჯახებს*. ასე მაგალითად, რომის იმპერიის დანგრევის შემდეგ ლათინურმა ენამ უზარმაზარ ტერიტორიაზე დაკარგა გაბატონებული მდგომარეობა და ნელ-ნელა შეერწყა ამ ტერიტორიებზე მოსახლე ე.წ. „ბარბაროსული“ ტომების ენებს. შედეგად მივიღეთ ენათა ჯგუფი, რომელსაც *რომანული, ანუ რომის იმპერიის ენის - ლათინურის საფუძველზე წარმოშობილი ენების ჯგუფს* უწოდებენ. ესენია *ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური, რუმინული, მოლდავური, იტალიური* და სხვ ენები.

მეორე მხრივ, რომის იმპერიის შექმნამდე აქ მოსახლე ძველი გერმანიკული ტომების: ალემანების, ვანდალების, ბურგუნდების, ვიკინგების, ანგლების, საქსების, გუთების, ტევტონების, ბელგების და სხვათა დიალექტების შერევის შედეგად იქმნება *პრაგერმანიკულ ეთნიკური და ენობრივი ერთობა* (ძვ. წ. აღ. VIII – VI ს.ს.). შემდგომში კი ეს ერთობა იშლება და ყალიბდება თანამედროვე გერმანული, ინგლისური, ჰოლანდიური, დანიური, შვედური და სხვა ენები. მათ *გერმანიკული (გერმანული)*

ენების ჯგუფს უწოდებენ. ანალოგიურად, *საერთო სლავური (წინარე სლავური) ენის* დაშლის შედეგად მივიღეთ რუსული, უკრაინული, ბელორუსული, პოლონური, ჩეხური და სხვა ენები. ისინი ქმნიან სლავური ენების ჯგუფს. კვლევებმა აჩვენა აგრეთვე, რომ რომანული, გერმანიკული, სლავური, აგრეთვე, ინდური, ირანული და კიდევ ბევრი სხვა ენობრივი ჯგუფი, თავის მხრივ, ერთი საერთო წინაპარი ენის დაშლის შედეგად არის წარმოქმნილი, რომელსაც პირობითად *ინდოევროპული ანუ ინდოევროპული ენა* ეწოდა, ხოლო მათ ერთობას - ინდოევროპულ ენათა მაკროჯგუფი (*ოჯახი*).

ამრიგად, დიფერენციაცია იძლევა ენის დაყოფას ცალკეულ ენებად, რომლებიც წყარო-ენიდან მემკვიდრეობით მიღებულ უამრავ საერთო ელემენტს და თვისებას ინარჩუნებენ. ამის გამო მათ *მონათესავე ენებს*, წყარო ენებს კი - *წინაპარ ენებს* (წინარე ენებს, პროტო ენებს, პრაენებს) უწოდებენ. მონათესავე ენები ქმნიან ენათა გაერთიანებებს, რომელთაც მოცულობისა და ნათესაობის ხარისხის მიხედვით რამდენიმე დონედ ყოფენ:



ზემოთ მოცემული სქემის პირველი დონე აერთიანებს *ყველაზე ახლო მონათესავე ენებს*, რომლებიც ქმნიან ენათა *ქვეჯგუფებს და ჯგუფებს*. ასე მაგალითად, რუსული, უკრაინული და ბელორუსული ენები ქმნიან *აღმოსავლურ სლავური ენების ქვეჯგუფს*, რომელიც *სამხრულ სლავურ* (სერბული, ხორვატული, ბულგარული, მაკედონური და სხვა) და *დასავლურ სლავურ* (ჩეხური, სლოვენური, პოლონური და სხვა) ენათა ქვეჯგუფებთან ერთად ქმნიან *სლავური ენების ჯგუფს*. ეს უკანასკნელი რომანული, გერმანიკული, ბალტიკური, ინდური, ირანული და სხვა ენების ჯგუფებთან ერთად ქმნის *ინდოევროპულ ენათა ერთიან ოჯახს*.

ენათა ოჯახი ქმნის ერთგვარ ხეს, რომლის ფუძეშიც მოთავსებულია ე.წ. ფუძე-ენა, ანუ წინარე-ენა. *განშტოებებს* და *ტოტებს*, თავის მხრივ, ქმნან მისი დაშლის შედეგად წარმოქმნილი ენები. ამ ხეს *გენეალოგიურ ხეს* უწოდებენ. აღნიშნულ ტერმინში იგივე შინაარსია ჩადებული, რაც ადამიანთა საგვარეულო გენეალოგიური ხის ცნებაში.

ამრიგად, ენათა დიფერენციაცია იძლევა ენათა კლასიფიკაციას საერთო წარმომავლობის, ანუ ნათესაობის პრინციპით. მას *ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას* უწოდებენ.


15.4. ენათა კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები

საერთოდ, „ყოველგვარი კლასიფიკაცია საჭიროებს გარკვეულ ნიშანს, რომლის მიხედვითაც საკლასიფიკაციო საგნები ერთიანდება ჯგუფებში“ (ჩიქობავა 2008, 255). მაშასადამე, კლასიფიკაცია არის საგანთა (მოვლენათა, ცნებათა და ა.შ.) დაჯგუფება, ოღონდ არა სტიქიურად, მექანიკურად, არამედ რომელიმე

საერთო (საკლასიფიკაციო) ნიშნის საფუძველზე. ეს არის დაჯგუფება თანადაქვემდებარების პრინციპით, ანუ დაყოფა გვაროვნულ-სახეობითი მიმართებების მიხედვით.

თავდაპირველად ენებს ორი ძირითადი პრინციპით აჯგუფებდნენ: „*საერთო წარმომავლობის* (გენეალოგიური კლასიფიკაცია) და *სიტყვის, შესიტყვების წინადადების სტრუქტურის* მიხედვით (*სტრუქტურული, იგივე ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ეწოდება*) (რეფორმაცი, 1996: 386-388). ტიპოლოგიური კლასიფიკაციის მაგალითია ზოგიერთი სტრუქტურული ნიშნის საფუძველზე ერთ ჯგუფში ისეთი არამონათესავე ენების მოხვედრა, როგორებიცაა ქართული, რუსული და თურქული ენები (სამივე მათგანში სიტყვები იშლება მორფემებად, სახელები იბრუნება და ა.შ.).

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება მუშაობა ენათა კლასიფიკაციის სხვა პრინციპებზეც. საბოლოო ჯამში დღეისთვის ენებს ოთხი ძირითადი პრინციპით აჯგუფებენ:



ვინაიდან ენათა ტიპოლოგიური, არეალური და ფუნქციონალური კლასიფიკაციის ანალიზი მოითხოვს შესაბამისი ლინგვისტური თეორიების ცოდნას, ვფიქრობთ მათი განხილვა უმჯობესია ზოგადი ენათმეცნიერების, ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის, ლინგვისტური ტიპოლოგიის და სოციოლინგვისტიკის სასწავლო კურსებში. ენათმეცნიერების შესავალში კი ენათა კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპების გააზრების საფუძველზე სტუდენტები დაწვრილებით გაეცნობიან მხოლოდ გენეალოგიურ კლასიფიკაციას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის საფუძველია ნათესაობით განპირობებული საერთო ნიშანი. მას **კოგნატს** უწოდებენ (ლათ. cognatus – ნათესავი, ერთად დაბადებული). კოგნატად ითვლება, უპირველეს ყოვლისა, წყარო-ენიდან გამოყოლილი **საერთო ლექსიკური ფონდი**. ასე მაგ., რუსულ, ბულგარულ, პოლონურ და ჩეხურ ენებში წყლის სახელწოდება (**вода**) ერთნაირად იმიტომ ჟღერს, რომ ისინი მონათესავე ენებია. ამგვარი სიტყვები მონათესავე ენებში შეიძლება ნაწილობრივ განსხვავდებოდნენ კიდევ:



ეს განსხვავებები იქნება არა მექანიკური, არამედ კანონზომიერებებით განპირობებული, რომელთა შორისაც ერთ-ერთი მთავარია *რეგულარული ბგერითი მონაცვლეობის კანონზომიერება*:

ქართ. კაცი; ასი; ქათამი; ოცი; ცოცვა; მამალი კლდე

ჭეროზი; ოში; ქოთომი; ოჩი; ჩორვა მუმულ; კირდე

რუს. голова; корова; сторона; берег; перед;

ბულგ. глава; крава; страна; брег; преди;

პოლონ. głowa; krowa; ziemia; brzeg; przede;

ჩეხ. hlava; krava; strana; plaz; pred;

ამავე დროს, ამ ფაქტორით ვერ ავხსნით, მაგალითად, სიტყვა „კომპიუტერის“ არსებობას ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებში; ან თუნდაც იმას, რომ ქართულ ენაში უამრავი რუსული, სპარსული თუ არაბული წარმოშობის სიტყვაა დამკვიდრებული. მსგავსი შემთხვევების ახსნა მხოლოდ ენათა ურთიერთკონტაქტებით ანუ *არეალური ფაქტორითაა* შესაძლებელი. ყველა ამგვარ საერთო ელემენტებს ენათა ნათესაობის თვალსაზრისით *კვაზიკოგნატებს* (ანუ ცრუკოგნატებს) უწოდებენ (განევი, 2001: 193).

არის შემთხვევები, როცა ენათა ნათესაობის დადგენა თავისუფლად შეიძლება მათი მატარებელი ხალხების ისტორიის საფუძველზე. ამის მაგალითია რომის იმპერიის დაშლის ისტორია, რაზედაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ამავე დროს, ასეთი შემთხვევები ბევრი არაა. მაგალითად, მართალია, ეჭვი არავის ეპარება თანამედროვე სლავური ენების ნათესაობაში, მაგრამ დაზუსტებით ვერავინ ამბობს, თუ ვინ იყო ის ხალხი, ვინც თანამედროვე რუსების, უკრაინელების, პოლონელების, ხორვატების და სხვა სლავი ხალხების წინაპარი იყო. შესაბამისად, ბოლომდე არ არის დადგენილი ის ენაც, რომელზეც ეს ხალხი

ლაპარაკობდა. მართალია, ამ ენას პირობითად *წინარესლავურს* ვუწოდებთ და ვთვლით, რომ მისი დაშლის პროცესი დაიწყო ახ. წ. პირველი ათასწლეულიდან (სწორედ ამ პერიოდიდან იწყება სლავური ტომების განსახლება), მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ვარაუდის დონეზეა და სახელწოდება „წინარესლავური ენაც“ აბსოლუტურად პირობითია (ფელ., 1984: 236).

ერთი სიტყვით, ლინგვისტიკამ სულ სხვა ხერხებით და მეთოდებით უნდა დაადგინოს ენათა ნათესაობა. ის, ცხადია, უარს არ უნდა ამბობს ხალხთა ისტორიის ფაქტების მოშველიებაზე, მაგრამ მას აქვს საკუთარი, წმინდა ლინგვისტური მეთოდიკა. ეს არის ენობრივ მონაცემთა შედარება, ოღონდ *დიაქრონიაში* ანუ მათი ისტორიის პროცესში. ამის გარეშე ის ვერ დაასაბუთებს კონკრეტულ ენათა ნათესაობას, ამისთვის სრულიადაც არ არის საკმარისი ენების თანამედროვე მდგომარეობის ცოდნა, სამაგიეროდ აუცილებელია მათი ისტორიის, წარმოშობის ცოდნა. რაც უფრო ღრმად ვიხედებით მონათესავე ენათა ისტორიაში, მით უფრო მეტი სიახლოვეს აღმოვაჩენთ მათ შორის. პირიქით: განსხვავება მით უფრო გაიზრდება, თუ ისინი არ არიან მონათესავენი (http://www.dzeglbi.ge/statiebi/sxva/enebis_genealogia2.html) (ჩიქობავა: 2008, 255). შესაბამისად, მეთოდს, რომლითაც დგინდება ენათა ნათესაობა, *შედარებით-ისტორიული მეთოდი* ჰქვია. სწორედ მისი მეშვეობით მოინახება მონათესავე ენებში საერთო ელემენტები და ჰიპოთეტურად აღდგება (რეკონსტრუირდება) მათი თავდაპირველი სახე.

ამავე დროს, ორ ენაში საერთო სიტყვების არსებობა სულ სხვა მიზეზებითაც შეიძლება იყოს განპირობებული, მათ შორის, მექანიკური დამთხვევითაც კი:

ქართ. გლოვა *ქართ.* კრავი
პოლონ. glova *ჩეხ.* krava

ენათა ნათესაობის დადგენის ლინგვისტურ მეთოდიკას მიეკუთვნება *გლოტოქრონოლოგიის* მეთოდიც, რომელიც 1952 წელს იქნა შემოთავაზებული ამერიკელი ენათმეცნიერის *მორის სვოდეშის* მიერ (ფელ., 1984: 62-63), უფრო სწორად, ეს არის ენათა ნათესაობის ასაკის ანუ საერთო ენიდან მათი დაყოფის მიახლოებითი პერიოდის დადგენის მეთოდი, რომელიც ეყრდნობა მოცემულ ენებში საერთო წარმომავლობის სიტყვათა რაოდენობას. ამ მეთოდის მიხედვით, რაც მეტი დროა გასული ორი ხალხის (შესაბამისად ორი ენის) დაყოფიდან, მით უფრო ნაკლები საერთო ელემენტია შემონახული ამ ენებში, ანუ *ენათა ნათესაობის ასაკი მათში არსებული საერთო წარმომავლობის სიტყვების რაოდენობის უკუპროპორციულია.*

*მორის სვოდეშის
გლოტოქრონოლოგიური მეთოდი
ენათა ნათესაობის ასაკი მათში არსებული
საერთო სიტყვების რაოდენობის
უკუპროპორციულია*

| | | | | | |
|-------------------------------------|------|------|------|------|------|
| <i>ენის ასაკი</i> | 1000 | 2000 | 3000 | 4000 | 5000 |
| <i>საერთო წარმომავლობის ლექსიკა</i> | 0,7% | 0,5% | 0,4% | 0,3% | 0,2% |

ამავე დროს, სვოდეშმა დაადგინა ენის ლექსიკის ის მინიმალური ფონდი, რომელიც უნდა ჩამოყალიბებულიყო უხსოვარ დროში. მაშასადამე, ეს არის სიტყვები, რომელთა სესხება ფაქტობრივად გამორიცხებულია, რადგან ისინი ენათა ჩამოყალიბების გარიჟრაჟზეა შექმნილი. ამიტომ, თუ რომელიმე ორ ენას სიტყვათა ეს ფონდი საერთო აქვს (რა თქმა უნდა სახეცვლილებათა გათვალისწინებით), მაშასადამე, ეს ორი ენა მონათესავეა. ამ სიტყვების რაოდენობა სვოდეშმა განსაზღვრა 215-ით, შემდეგ კი 100-მდე შეამცირა. ესენია:

1. ნათესაობის ტერმინები;
2. სხეულის ნაწილების სახელები;
3. რიცხვითი სახელები;
4. ზოგიერთი მცენარის სახელები და სხვ.

15.4.1. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია. ენათა ძირითადი ოჯახები

სხვადასხვა მონაცემით, მსოფლიოში დღესდღეობით 7000-მდე ენა ფიქსირდება, მათ შორის, კარგადაა შესწავლილი დაახლოებით **250, ხოლო მეტ-ნაკლებად – 500-მდე ენა**. თითქმის არაფერია ცნობილი ათეულობით ათასი წლის მანძილზე არსებული ენობრივი სამყაროს შესახებ. მეტ-ნაკლებად სანდო ინფორმაცია ჩნდება მხოლოდ ძვ. წ. დაახლოებით 13-11 ათასი წლიდან, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდიდან ჩნდება ფაქტობრივი მასალა ადამიანთა მასობრივი მიგრაციების შესახებ. ისინი მნიშვნელოვანი და ღირებულია ენათა დაყოფის კვლევის თვალსაზრისითაც.


მეტ-ნაკლებად დადგენილია იმ ტომების არსებობისა და ევრაზიის ვრცელ ტერიტორიებზე განსახლების მიახლოებითი პერიოდები, რომლებიც თანამედროვე ევროპელი და აზიელი ხალხების ერთი ნაწილის წინაპრები იყვნენ. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, მათ პირობითად **ინდოევროპელები**, ხოლო მათ ენას კი **ინდოევროპული ენა** ეწოდა. სწორედ მათი მიგრაციების შედეგად ჩამოყალიბდა თანამედროვე ინდოეთისა და ევროპის ხალხთა აბსოლუტური უმრავლესობა და მათი ენები, რომელთაც ე.წ. ინდოევროპულ ოჯახში აერთიანებენ.

უნდა ითქვას, რომ, ენათა კლასიფიკაციის საკითხის მიმართ ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არის. მკვლევართა

უმრავლესობა მსოფლიოში დღეისათვის არსებულ ენებს დაახლოებით 20-მდე ოჯახში აერთიანებს, ესენია:

1. ინდოევროპული ენები (გავრცელებულია ყველა კონტინენტზე);
2. იბერიულ-კავკასიური ენები;
3. სემიტური ენები;
4. ურალის ხალხთა ენები;
5. ალთაური (თურანული) ენები;
6. აუსტრო-აზიური ენები;
7. მალაურ-პოლინეზიური ენები;
8. ჩინურ-ტიბეტური ენები;
9. ავსტრალიური ენები და სხვა.

მოსახლეობასთან შეფარდებით მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები ასეთია:



მოკლედ მიმოვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.


➤ *ინდოევროპულ ენათა ოჯახი*

მონათესავე ენათა ოჯახებიდან ყველაზე დიდი, მრავალრიცხოვანი და ამავე დროს, ყველაზე კარგად შესწავლილია *ინდოევროპულ ენათა ოჯახი*. 2007 წლის მონაცემებით, მასში გაერთიანებულია 140-მდე ენა, რომელზეც მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ორი მესამედი ამა თუ იმ ინდოევროპული ენის მატარებელია (დრე, 2005–2019). ინდოევროპული ენები დღეისათვის ხუთივე კონტინენტზეა გავრცელებული. ისტორიულად კი, თუნდაც სულ რაღაც ხუთი საუკუნის წინ, ისინი გავრცელებული იყო მხოლოდ ევროპასა და აზიაში, თანაც არა მთელს აზიაში, არამედ ისტორიულ ინდოეთში, ირანსა და კავკასიაში.

ვინ იყვნენ ინდოევროპელები და რა ენაზე ლაპარაკობდნენ ისინი? ამ კითხვებზე ზუსტი პასუხები არ არსებობს. აბსოლუტურად ხელოვნური და პირობითია თვით ტერმინიც „*ინდოევროპული ენები*“; რომლის სინონიმადაც იყენებენ აგრეთვე ტერმინს „*ინდოგერმანული ენები*“. ორივე შემთხვევაში ტერმინები შემოიღეს იმისათვის, რათა ეჩვენებინათ ენათა ისტორიული გავრცელების არეალი.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ერთიანი ეთნოსი, რომელიც ე.წ. ინდოევროპული ენის მატარებელი უნდა ყოფილიყო, უნდა არსებულიყო დაახლოებით ძვ.წ. 5-4 ათასი, სხვა ვერსიით კი - 4-3 ათასი წლის წინ (ფელ, 1986: 231, 233). რაც შეეხება ამ ეთნოსის თავდაპირველი დასახლების ადგილს, ერთნი თვლიან, რომ ინდოევროპელთა თავდაპირველი სამშობლოა *ადმოსავლით* ანატოლიას, სამხრეთ კავკასიას და ჩრდილოეთ მესოპოტამიას შორის მოქცეული არეალი (ფელ, 1986: 233), საიდანაც მოხდა მათგან ძველინდური, ირანული, ბერძნული და ევროპული ტომების განთესვა (გამყრელიძე-ივანოვის ვერსია).

РАСПРОСТРАНЕНИЕ ИНДООЕРОПЕЙСКИХ ЯЗЫКОВ



იხ.: https://www.google.com/search?q=%D0%B8%D0%BD%D0%B4%D0%BE%D0%B5%D0%B2%D1%80%D0%BE%D0%BF%D0%B5%D0%B9%D1%86%D1%8B&sxsrf=ALeKk02IUN24qkhrsttjqia0aEGIfI6VVA:1615373654838&tbm=isch&source=iu&ictx=1&fir=-KgTPvrYBckVhM%252C0P9sW80cCxb7oM%252C_&vet=1&usg=AI4_-kTUILzwX9OJd78NdcwrqMsqrqDZVA&sa=X&ved=2ahUKEwi-z4Dnx6XvAhXRx4UKHfpNC-4Q9QF6BAglEAE#imgrc=-KgTPvrYBckVhM


მეორე ვერსიით, მათი თავდაპირველი სამშობლო მდინარე ვოლგის გადაღმა სტეპები უნდა ყოფილიყო, საიდანაც ისინი ევროპაში ძვ.წ. აღ. 5-4 ათასი წლის წინ უნდა შეჭრილიყვნენ (*ამერიკელი არქეოლოგის მარია გიმბუტასის ვერსია*).

აღნიშნული პრობლემის კვლევაში გენეტიკური კვლევის შედეგების ჩართვამ კიდევ უფრო გააფართოვა ინდოევროპელთა თავდაპირველი სამშობლოს არეალი და ის მოაქცია დღევან-

დელი უკრაინის და მოლდავეთის ტერიტორიას, ევროპული რუსეთის სტეპების და ტყესტეპების ზონას და დასავლეთ ყაზახეთს შორის. მისი აღმოსავლეთი საზღვარი სამხრეთ ურალის მთებზე გადიოდა. სამხრეთით კი ჩრდილოეთ კავკასიას ესაზღვრებოდა (ლაბარტყავა, 2018).

ზოგიერთი ვერსიის მიხედვით, ისინი ევროპიდან კი არ გადასულან, მაგალითად, ინდოეთში, არამედ, პირიქით, ინდოეთიდან გავრცელდნენ მთელს მსოფლიოში. ესენი იყვნენ **ინდო-არიელები**, ამიტომაც ამ ვერსიის მიხედვით, ტერმინი „ინდოევროპელები“ არასწორია და მას ინდოარიული ვერსია უწოდებენ.

ამ ოჯახში ტრადიციულად გამოიყოფა ენათა შემდეგი ჯგუფები (არსებობს სხვა ვერსიებიც):



*ინდოევროპული ენა და მისი
დიფერენციაცია*

1. ინდო-ირანული ენები;
2. სლავური ენები;
3. ბალტიკური ენები;
4. გერმანიკული ენები;
5. რომანული ენები;
6. კელტური ენები;
7. იტალიკური ენები;
8. ანატოლიური ენები
9. ბერძნული ენა;
10. სომხური ენა;
11. ალბანური ენა

ჩამოთვლილი ენებიდან *ბერძნული, სომხური* და *ალბანური* ცალკეული ენებია, ხოლო *იტალიკური* და *ანატოლიური* (აგრეთვე, თოხარული) - მკვდარი ენების ჯგუფები.

ინდო-ირანული ენები, თავის მხრივ, ორ განშტოებად იყოფა. *ინდური (ინდოარიული) ენები* (გავრცელების არეალი: ინდოეთი, პაკისტანი, ნეპალი, ბანგლადეში). მასში შედის *ჰინდი* (ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწ. ენა); *ურდუ* (პაკისტანის რესპუბლიკის სახელმწ. ენა); *ბენგალი* (ამ ენაზე წერდა მწერალი რაბინდრანათ თაბორი); *ქაშმირი* (ჯავარ ჰალალ ნერუს მშობლიური ენა); *აწინური, ანუ ციგანთა, ბოშათა ენა* (ბოშები სხვადასხვა ქვეყნებში ინდოეთიდან განსახლდნენ); *ნეპალი, გუჯარათი, სინდჰი, სანსკრიტი* (ძვ. წ. აღრ. 2000-1500 წლის წინ შექმნილი რელიგიური ტექსტების – ვედების ენა, რომელზეც ძვ. წ. მე-4 – ჩვ. წ. მე-7 საუკუნეებში მდიდარი მწერლობა შეიქმნა); *პალი* (მკვდარი ენაა. საშუალო ინდური სალიტერატურო ენა, რომელზეც შეიქმნა უმთავრესად ბუდისტური საკულტო ნაწარმოებები ძვ. წ. მე-4 საუკუნიდან); *პრაკრიტები* (ძველი ინდურის სალაპარაკო დიალექტები). *ირანული ენები* (გავრცელების არეალი: ირანი, ავღანეთი, ტაჯიკეთი, პაკისტანი): *სპარ-*

სული (ფარსი) ენა; *ძველი სპარსული* (მკვდარი ენა), *ტაჯიკური*, *ავღანური (პუშტუ) ენა*; *ქურთული*, *ოსური*, *ავესტა* (ძველი ირანულის დიალექტი) და სხვა.

სლავური ენების ჯგუფი. მასში შედის: *აღმოსავლურ სლავური ენები* - *რუსული*, *უკრაინული*, *ბელორუსული*; *სამხრულ სლავური ენები* - *სერბული*, *ხორვატული*, *მაკედონური*, *სლოვენური*, *ბულგარული*, *ძველი სლავური ანუ საეკლესიო-სლავური*; *დასავლურ სლავური ენები* - *ჩეხური*, *სლოვაკური*, *პოლონური*, *კაშუბური*.

გერმანიკული (გერმანული) ენების ჯგუფში გაერთიანებული დასავლურ-გერმანიკული ენები: *ინგლისური*, *გერმანული (დოიჩლანდური)*, *ნიდერლანდური (ჰოლანდიურ-ფლამანდიური)*, *აფრიკაანსი* (სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები ჰოლანდიელების - ბურების ენა), *ფლამანდიური* (ბელგიის ჩრდილოეთ პროვინციებში გავრცელებული ჰოლანდიური ენა, რომელიც ფრანგულთან ერთად ბელგიის ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა); *იდიში* (აღმოსავლეთ გერმანიაში, პოლონეთში, უკრაინაში მცხოვრებებრათა ენა); *ჩრდილო გერმანიკული ენები* - *დანიური*, *ნორვეგიული*, *შვედური*, *ისლანდიური*. *აღმოსავლურ გერმანიკული ენები* - *გუთური* (მკვდ.) და სხვა.

ბალტიკური ენების ჯგუფში გაერთიანებულია: *ლიტვეური* (ამ ენაში ყველაზე კარგადაა შემონახული ინდოევროპული ენის ელემენტები); *ლატვეური*, *ძველი პრუსიული* (მკვდ.).

რომანული ენების ჯგუფში გაერთიანებულია: *ფრანგული*, *ესპანური*, *პორტუგალიური*, *იტალიური*, *რუმინული*, *მოლდავური*, *სარდინიული*, *რეტო-რომანული* და სხვა ენები.

იტალიკურ ენებში შედიოდა უკვე გადაშენებული ენები, რომლებიც ფუნქციონირებდნენ პირინეის ნახევარკუნძულზე რომის იმპერიის დაშლამდე - *ლათინური* და სხვ.

კელტური ენების ჯგუფში შედის; ირლანდიური, შოტლანდიური, ბრეტონული, ვალიური (უელსური), რომლებიც ბრიტანეთის ნახევარკუნძულის ჩედილოეთით არის გავრცელებული.

➤ *სემიტურ ენათა ოჯახი*

არაბული (ყურანის ენაა დაახლ. 1,6 მლრდ ადამიანისთვის); ივრიტი (მე-3 საუკუნიდან ყოველდღიური ხმარებიდან გამოსული, თითქმის 1800 წლის მანძილზე მწიგნობრული, მათ შორის, თალმუდის, დღეს აღდგენილი და ისრაელის სახელმწიფო ენის რანგში აყვანილი ძველებრაული ენა, იმდენად შორსაა მეორე ებრაულისგან - იდიშისგან, რომ ისინი ერთი ოჯახის წევრები არ არიან), აქადური (ასურულ-ბაბილონური. მკვდ), არამეული (მკვდ), ფინიკიური (მკვდ), ასურულ-ბაბილონური (მკვდ.) და სხვა ენები.

➤ *იბერიულ-კავკასიური (კავკასიური) ენები*

ეს არის კავკასიაში კომპაქტურად დასახლებულ ხალხთა ენების ყველაზე დიდი ჯგუფი, რომელშიც ოთხ ქვეჯგუფს გამოყოფენ:

1. *იბერიული (ანუ ქართველური) ენების ჯგუფი* – ქართული, ზანური (კოლხური, მეგრულ-ჭანური, მეგრულ-ლაზური) და სვანური;


2. *აფხაზურ-ადიღეური (აფხაზურ-ჩერქეზული) ენების ჯგუფი* – აფხაზური, აბაზური, ადიღეური, ყაბარდოული და უბიხური;

3. *ნახური (ჩაჩნური) ენების ჯგუფი* – ჩაჩნური, ინგუშური და წოვა-თუშური (ბაცბური);

4. **დადესტნური ენების ჯგუფი** – ა) **ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფი** – ხუნძური, ანდიური, ბოთლიხური, ლოდობერიული, კარატაული, ჭამალალური, ტინდიური, ბაგვალალური, ახვახური, დიდოური, ჰინუხური, ხვარშიული, კაპუჭური (აბეჟიტური) ჰუნზიბური; ბ) **ლაკურ-დარგული ქვეჯგუფი** – ლაკური, დარგული; გ) **ლეზგიური ქვეჯგუფი** – ლეზგიური, თაბასარანული, აღლური, წახური, მუხადური (რუთულური) უდიური, ბუდუხური, კრიწული, ხინალულური, არჩიბული. ყველა ეს ენა (სულ 37), გარდა უბიხურისა, გავრცელებულია კავკასიის მიწა-წყალზე, ხოლო უბიხები 1864 წელს სოჭი-ადლერის მიდამოებიდან მთლიანად გადაასახლეს თურქეთში. დღეს მათი ენა გაქრობის გზაზეა (ქეე. 2008: 242).

არის მოსაზრება, რომ აქვე უნდა გაერთიანდეს ეპანეთში მოქმედი ბასკური ენაც. ტერმინი „ქართველური ენები“ დაამკვიდრა ავსტრიელმა მეცნიერმა ჰუგო შუხარდტმა (ჩიქობავა, 2008: 303).

ზოგიერთი თანამედროვე ქართველი ლინგვისტის აზრით, მეგრული, ლაზური და სვანური დამოუკიდებელი ენები კი არა, დიალექტებია. ენათა ამ ჯგუფს ადრე **იაფეტურ ენებსაც** უწოდებდნენ (სემიტური და ქამიტური ენების მსგავსად), თუმცა აღნიშნული ბიბლიური სახელწოდებებიდან დროს გაუძლო მხოლოდ ტერმინმა „სემიტური“, დანარჩენები სამეცნიერო მიმოქცევაში იშვიათად გამოიყენება. უშუალოდ ქართველური ენების გენეალოგია ასეთია:



პროტო-ქართველური (საერთოქართველური) ენა არის ქართველურ ენათა საერთო წინაპარი. მას ყველაზე ადრე, *ძვ. წ. II ათასწლეულიდან* გამოეყო *სვანური*. ის ყველაზე გამორჩეული (განსხვავებული) წევრია ქართველურ ენათა შორის, ვინაიდან ქართულის, ლაზურის და მეგრულის ცოდნით მისი გაგება შეუძლებელია. მეცნიერთა აზრით, ეს ფაქტი, შესაძლოა, განპირობებული იყოს სვანი მოსახლეობის შედარებით მიუვალ გეოგრაფიულ პირობებში განსახლებით, რაც სხვა ქართველურ ტომებთან აქტიურ ურთიერთობას გარკვეულწილად ზღუდავდა.

მეორე განშტოებას ქმნის **ზანური (კოლხური) ენა**, რომელზეც დღეს არავინ მეტყველებს. ცნება „ზანური“, ანუ „კოლხური“ ისტორიული შინაარსისაა. ამჟამად ფუნქციონირებს ზანურის ორი დიალექტი – **მეგრული და ლაზური (ჭანური)**. სვანურის გამოყოფის შემდეგ ქართული და ზანური გაუთიშავი ორი ფენა იყო **კიდევ ათი საუკუნე მაინც. ამ ხანას უწოდებენ ზანურ-ქართული ერთიანობის ხანას**. ამ ერთიანობიდან ზანურის გამოყოფა, სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო **ძვ. წ. X–VIII სს-ში** (გ. კლიმოვი) **ან ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე** (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). ზანურის დიფერენციაცია ორ კილოდ (მეგრული და ლაზური) უნდა დაწყებულიყო ახ. წ. დასაწყისიდან. **დაახლოებით VII საუკუნისთვის** ამ კილოებს დამოუკიდებელი სახე უნდა ჰქონოდა. (ქე, <http://georgianencyclopedia.ge/index.php/>)

➤ **უნგრულ-ფინური (ურალის) ენათა ოჯახი**

უნგრული ენები - უნგრული ანუ მადიარი, ხანტიური, მანსიური; **ბალტიისპირეთის ფინური** - ფინური, ესტონური, კარელიური; **პერმის ენები** - უდმურტული, კომი; **ვოლგისპირეთის ხალხთა ენები** - მორდოვული, მარი;

➤ **ალთაურ (ანუ თურქულ, თურანულ-მონღოლურ) ენათა ოჯახი**

ტერმინი „ალთაის ენები“ უკავშირდება ალთაის მხარეს, სადაც ერთმანეთს ემთხვევა რუსეთის, მონღოლეთის, ჩინეთის და ყაზახეთის საზღვრები. აქედან გავრცელდა თითქმის მთლიანი ევრაზიის მასშტაბით ენები, რომლებსაც ალთაურ, ასევე, თურქულ ენებს უწოდებენ. ის აერთიანებს 60-მდე ახლო მონათესავე ენას, მათ შორისაა საკუთრივ თურქული ენა, რომელიც ჩვენი მეზობელი ქვეყნის - თურქეთის სახელმწიფო ენაა. მისგან დანა-

რჩენი თურქული ენების გამიჯვნის მიზნით, ამ ენების აღსანიშნავად ალთაური ენების გარდა გამოიყენება ტერმინები „*თურანული ენები*“ - ქართულში, ხოლო „*Тюркские языки*“ - რუსულ ენათმეცნიერებაში. თურქული ენა მიეკუთვნება *ოდუზური მოდემის, ანუ სამხრულ-დასავლური თურქული ენების* ჯგუფს. რომელშიც გაერთიანებულია, აგრეთვე, *აზერბაიჯანული, თურქმენული, ოსმალური (მკვდ.), გაგაუზური* და სხვა ენები.

ამ ენობრივი ოჯახის შემადგენლობაში შედის *ყივჩაყური ენების ჯგუფიც: ყარაჩაი-ბალყარული, კავკასიურ-დაღესტნური, თათრული, ბაშკირული, ყაზახური, ყირგიზული* და სხვა ენები. *ბულგარული (ანუ ბულგართა) ენების ჯგუფიც: ხაზარული (მკვდ), ბულგარული (ბულგართა) (მკვდ) და ჩუვაშური ენები; მონღოლური ენების ჯგუფი* – მონღოლური, ბურიატული, კალმიკური და სხვ. ენები.


➤ *შორეული აღმოსავლეთის ენათა ოჯახი* - იაპონური, კორეული და სხვ.

➤ *ჩინურ-ტიბეტურ ენათა ოჯახი* - ჩინური, ლაოსური, ვიეტნამური, ტიბეტური, ბირმული და სხვ.

ცალკე ოჯახებად გამოიყოფა, *აგრეთვე, ავსტრალიური, აფრიკული; ჩრდილო, ცენტრალური და სამხრულ ამერიკული ენები.*

დაბოლოს, არის თეორიები, რომელთა მიხედვითაც, ენათა ერთ ჰიპოტეზურ დიდ ოჯახში თავს უყრიან ევროპის, აზიისა და აფრიკის სხვადასხვა ოჯახის ენებს (მათ შორის, ქართველურ ენებს). ასეთ გაერთიანებას უწოდებენ მაკროოჯახს, *ფილუმს* (ბერძნ. სიტყვიდან *phyle* - ტომი, სახეობა, საერთო აგებულების

მქონე ორგანიზმი). მას პირობითად *ევროაზიული ანუ ნოსტრატული ენების მაკროოჯახს* უწოდებენ („ნოსტრატული“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ჩვენებურს“ (noster „ჩვენი“, nostras, -atis „ჩვენებური“). ცხადია, ამ მოცულობის გაერთიანების ენათა ნათესაობის შესახებ მხოლოდ ჰიპოთეტურ დონეზეა საუბარი. თეორიებს პირობითად ნოსტრატული თეორიები უწოდეს (ნ. ფონიავა):



ასეთია ენობრივი სამყაროს განვითარების ძირითად მიმართულებათა და ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის მოკლე ანალიზი.

განმარტეთ ტექსტში გამოყენებული ლინგვისტური ტერმინები

ენათა ინტეგრაცია (კონვერგენცია) და დიფერენციაცია; ენობრივი სუბსტრატი (სუპერსტრატი, ადსტრატი); პიჯინიზაცია და კრეოლიზაცია; ენათა ნათესაობა, ენათა ჯგუფი (ქვეჯგუფი, ოჯახი, ფილუმი); ენათა გენეალოგიური ხე; ინდოევროპული ანუ ინდოგერმანული ენები; ენათა კლასიფიკაცია (სტრუქტურული, გენეალოგიური, არეალური, ფუნქციონალური); კოგნატი და კვაზიკოგნატი; გლოტოქრონოლოგია.

კითხვები და დავალებები

1. მოკლედ დაახასიათეთ პლანეტის ენობრივი სიტუაციის დინამიკა კაცობრიობის გარიჟრაჟიდან დღემდე;
2. როგორ გესმით ენათა ინტეგრაციის არსი, საფუძვლები და შედეგები? (პასუხი დაასაბუთეთ);
3. რა ხასიათის მოვლენებია ენობრივი სუბსტრატი და სუპერსტრატი, ინტეგრაციული თუ დიფერენციალური? (პასუხი დაასაბუთეთ);
4. დაახასიათეთ ძირითადი კრეოლური ენები;
5. გააანალიზეთ პიჯინიზაციისა და კრეოლიზაციის სოციოლინგვისტური პროცესები;
6. რა შედეგებამდე მიდის ენათა დიფერენციაციის პროცესი? (პასუხი დაასაბუთეთ);
7. იმსჯელეთ ენათა კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპების შესახებ;
8. იმსჯელეთ ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის შესახებ;
9. მოკლედ დაახასიათეთ ინდოევროპულ ენათა ოჯახი;
10. გააკეთეთ შედარებითი ანალიზი ტერმინებისა: ენათა ჯგუფი, ენათა ოჯახი, ფილუმი.

16. დამწერლობა, გრაფიკა, ორთოგრაფია

16.1. დამწერლობის არსი და ფუნქციები

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ განასხვავებენ ენის ორ ნაირსახეობას – *ბგერითსა და გრაფიკულს*. ბგერითი ენა ბგერით ნიშანთა სისტემაა. ამ შემთხვევაში ენის ერთეულები წარმოდგენილია ბგერათვომპლექსების სახით, რომელთაც წარმოვთქვამთ და გვესმის.

გრაფიკული ენა წარმოდგენილია გრაფიკულ ნიშანთა სისტემის სახით, რომელთაც ვწერთ და ვხედავთ. *მისი დანიშნულებაა ბგერის მიერ უკვე გამოხატული აზრის დაფიქსირება*. ბგერითი ენა შეზღუდულია დროსა და სივრცეში. მაშასადამე, ადამიანები ერთმანეთთა კონტაქტს ამყარებენ მხოლოდ ახლო მანძილზე, უშუალო კომუნიკაციისას. ცხადია, ერთი წამითაც არ ვაკნინებთ კომპიუტერის, ტელევიზიისა თუ უამრავი სხვა თანამედროვე ტექნიკური საშუალების როლსა და ფუნქციას, მაგრამ ისინი უახლოესი პერიოდის მონაპოვარია, კაცობრიობის ისტორია კი ათასწლეულებს მოითვლის. და მეორეც, თანამედროვე ტექნიკური საშუალებები ბგერითი ენის არსს ვერ ცვლიან. ისინი უცვლელად აფიქსირებენ და დროში შემოინახავენ თვით ბგერას, ზეპირმეტყველებას. დამწერლობა კი ბგერას არ იმეორებს, არამედ ცვლის მას მხაზველობითი ანუ გრაფიკული ნიშნებით – ნახაზითა და ნახატით.

მაშასადამე, დამწერლობა თავისი არსით გრაფიკული ნიშნების მეშვეობით ბგერაში გამოხატული აზრის დაფიქსირების საშუალებაა მისი შორს მანძილზე გადაცემისა და დროში შენახვის მიზნით. ანალოგიური ფუნქციების მატარებელი ტექნიკური საშუალებებისაგან ის პრინციპულად განსხვავდება

იმით, რომ მას შემოაქვს ბგერის შემცვლელი საშუალება – *ნახატი ან ნახაზი*, რომელთაც *გრაფიკულ ნიშნებს*, *გრაფემებს ეუწოდებთ*. დამწერლობა ბგერით ნიშანს გრაფიკული ნიშნით ცვლის და ამიტომაც ეწოდება მას ენის ნაირსახეობა და არა ბგერის გადმოცემის ტექნიკური საშუალება.

იქნებოდა თუ არა დამწერლობის გარეშე კაცობრიობა განვითარების იმ დონეზე, რასაც დღეისათვის მიაღწია? ცხადია, ვერ იქნებოდა, რადგან დამწერლობის გარეშე ნამდვილად წარმოუდგენელია მეცნიერება, ლიტერატურა, სწავლა-განათლება და ა.შ. მათ გარეშე კი – თუნდაც ელემენტარული პროგრესი. სწორედ დამწერლობის მეშვეობით დააფიქსირა კაცობრიობამ და მომდევნო თაობებს გადასცა მთელი ის ინფორმაცია, რაც მანამდე მხოლოდ ზეპირად ვრცელდებოდა. ამიტომ თვლიან დამწერლობას ორი ეპოქის, *ისტორიული და წინარეისტორიული ეპოქების მიჯნად*. ისტორიულ ეპოქას დასაბამი დაუდო ინფორმაციის შენახვამ და დაგროვებამ, ანუ ახალი *საინფორმაციო სივრცის გაჩენამ*: ეს არის მესამე სივრცე ყოფითის და მითოლოგიურის შემდეგ, რომელშიც ცხოვრობდა დამწერლობამდელი ეპოქის კაცობრიობა.

უფრო მეტიც, დამწერლობას კაცობრიობის უდიდეს აღმოჩენათა რიცხვს მიაკუთვნებენ და მას თავისი მნიშვნელობით ცეცხლისა და ბორბლის აღმოჩენას უტოლებენ.

16.2. დამწერლობის წარმოშობა

როდის წარმოიშვა დამწერლობა?

თუ ბგერითი ენის წარმოშობის შესახებ მსჯელობა მხოლოდ ვარაუდების დონეზე შეგვიძლია, დამწერლობის წარ-

მოშობის პრობლემის შემთხვევაში სულ სხვა სურათია. ეს გასაგებიცაა, რადგან ბერისგან განსხვავებით, ამა თუ იმ მასალაზე დატანილი გრაფიკული ნიშანი ისტორიამ შემოგვინახა და მისი ანალიზი სანდო მეცნიერული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

როდის წარმოიშვა დამწერლობა?

დამწერლობა უნდა წარმოშობილიყო მაშინ, როცა ადამიანი აღარ დააკმაყოფილა უშუალო ენობრივმა კომუნიკაციამ და იგი დადგა აზრის დაფიქსირების, შორს მანძილზე გადაცემისა და დროში შენახვის გადაუდებელი აუცილებლობის წინაშე. იდგნენ და თუ არა ამ მოთხოვნის წინაშე პირველყოფილი ადამიანები, რომლებიც ტომებად ცხოვრობდნენ? არა. რატომ? მივყვეთ ისტორიას.

როგორც ცნობილია, უძველეს ადამიანთა ოჯახები ნათესაობის პრინციპის მიხედვით *გვარებად* იყვნენ გაერთიანებულნი, რომლებიც, თავის მხრივ, დროთა განმავლობაში ქმნიდნენ ახალ კავშირებს – *ტომებს*. ტომს საერთო კრება მართავდა. იგი უხუცესთაგან ირჩევდა ბელადს, რომლის სიტყვა ყველასთვის კანონი იყო. *ტომი იმართებოდა უშუალო კომუნიკაციის გზით*, რაც დიდ სიმძვინვარებას არ წარმოადგენდა, თუმცა ტომებს შორის ყოველთვის კეთილმეზობლური დამოკიდებულება არ სუფევდა. ისინი ხშირად ესხმოდნენ ერთმანეთს თავს, გამარჯვებული მარცხავდა და იმონებდა დამარცხებულს და ითვისებდა მის ტერიტორიასაც. ასე იზრდებოდა ადამიანთა სოციალური გაერთიანებების მოცულობები და მათ მიერ დაკავებული ტერიტორიების ფართობები. მალე უძველესმა ადამიანმა აღმოაჩინა ლითონი (ძვ. წ. აღრ. 15-12 ათასი წლის წინ), დაამზადა ლითონის იარაღები და მათი მეშვეობით კიდევ უფრო განავითარა მეურნეობა. შეიქმნა მეტი პროდუქტი,

ვიდრე გამოსაკვებად იყო საჭირო. იწყება მის მითვისების და მქონებელთა და უქონელთა ფენების ჩამოყალიბება. აუცილებელი გახდა მქონებელთა მიერ უქონელთა დამორჩილების მექანიზმების შექმნა. იწყება გარკვეული წესების შემუშავება, და მათი მეშვეობით ადამიანთა შორის ურთიერთობების დარეგულირება.

ასე ეყრება საფუძველი საკუთრების, საკუთრებრივი ურთიერთობებისა და სახელმწიფოს წარმოშობას, რამაც ვითარება რადიკალურად შეცვალა. სახელმწიფო გაცილებით მრავალრიცხოვანი და ვრცელ ტერიტორიებზე განფენილი ორგანიზმი იყო, ვიდრე ტომი. ამიტომ მისმა მართვამ კანონების შექმნა და დაცვა მოითხოვა, ***რაც ინფორმაციის დაფიქსირების, დროში შენახვისა და მანძილზე გადაცემის გარეშე შეუძლებელი გახდა.***

ერთი სიტყვით, ადამიანი აზრის დაფიქსირების, შენახვისა და მანძილზე გადაცემის აუცილებლობის წინაშე დააყენა პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების გაჩენამ. მეცნიერებისათვის ცნობილია, როდის და სად ჩამოყალიბდა პირველი სახელმწიფოები. მაშასადამე, შესაბამისი ფაქტოლოგიური მასალის ანალიზის გარეშეც შეიძლება იმის დადგენა, თუ სად და როდის შეიძლებოდა წარმოშობილიყო დამწერლობა.

ვინაიდან ჩვენს პლანეტაზე პირველი სახელმწიფოები ჩამოყალიბდა ძვ.წ. მე-4 ათასწლეულში, აფრიკის ჩრდილოეთით (ძველი ეგვიპტე) და წინა აზიაში (შუამდინარეთი ანუ მესოპოტამია), ***პირველი წერილობითი ძეგლების კვალიც სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. ეს მართლაც ასეა. აქ დაირწა ცივილიზაციის აკვანი და აქ გაჩნდა დამწერლობაც.***

მივმართოთ ფაქტოლოგიურ მასალას. ეს მასალა არის პირამიდების, ტაძრების და სასახლეების კედლებზე, აგრეთვე გა-

მოქვაბულებში და კლდეებზე ამოკვეთილი უცნაური ნახატები და არქეოლოგების მიერ პირამიდებისა და სამარხების გათხრებისას აღმოჩენილი საწერი მასალა - *პაპირუსი* (ეგვიპტ. პა-პიურ -- „მდინარის მცენარე“; გერმ. Papier - „ქაღალდი“), *თიხის ფირფიტები* და უამრავი სხვა სახის მასალა. მიუხედავად მცდელობებისა, პაპირუსების გაშიფრვა მეცნიერებმა მე-19 საუკუნემდე ვერ შეძლეს. პროცესი წარმატებულად დააგვირგვინა ფრანგმა მეცნიერმა *ჟან ფრანსუა შომპოლიონმა*, რომელმაც გაშიფრა ნაპოლეონის ლაშქრობის დროს 1799 წლის 15 ივლისს ეგვიპტეში ნაპოვნი ე.წ. *როზეტის ქვა* (იმ ადგილს, სადაც ეს ქვა აღმოაჩინეს, რაშიდი ჰქვია, ევროპელებმა მას როზეტი შეარქვეს). ეს არის შავი ბაზალტის ქვა წარწერებით, რომელთა შორის ძველევგვიპტურიცაა. მსგავსი მასალების გაშიფრვისა და ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ *დამწერლობის შემქმნელებად ითვლებიან ძველი ეგვიპტელები და შუმერები. მათგან დამოუკიდებლად დამწერლობა მოიგონეს აგრეთვე ძველმა ჩინელებმაც. უძველესი ეგვიპტური და შუმერული წერილობითი ძეგლები ძვ. წ. აღ. მე-4, ხოლო უძველესი ჩინური წერილობითი ძეგლები კი მე-3 ათასწლეულით თარიღდება.*

რომელი დამწერლობაა უძველესი, ძველევგვიპტური თუ შუმერული, დადგენილი არაა. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ის, რომ ორივე მათგანი ძვ. წ. მე-4 ათასწლეულს მიეკუთვნება. ძველი ჩინური წერილობითი ძეგლები კი, როგორც აღვნიშნეთ, მე-3 ათასწლეულით თარიღდება.

რაც შეეხება ცალკეული დამწერლობის შექმნას, ბევრი მათგანი სულ სხვა ფაქტორს, კერძოდ, *რელიგიური წიგნების თარგმნას* უკავშირდება. ასე შეიქმნა საკუთრივ ქართული დამწერლობაც ახ.წ. IV-V საუკუნეებში, რაც უკავშირდებოდა ძველი და ახალი აღთქმის ქართულად თარგმნას (ნებიერიძე, 1991: 122)

*ცალკე უნდა აღინიშნოს დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების შესახებ ამერიკის კონტინენტზე. ქრისტიანული კოლუმბის მიერ ამერიკის კონტინენტის აღმოჩენამდე (1492 წ.) და იქ ევროპელთა მიგრაციის დაწყებამდე ამერიკის ორივე კონტინენტზე დამწერლობა დამოუკიდებლად ყალიბდებოდა და ვითარდებოდა. საუბარია **ინკების** (სამხრეთი ამერიკა), **ინდიელების** (ჩრდ. ამერიკა), **აგტეკებისა** და **მაიას ტომების** (ცენტრალური ამერიკა) დამწერლობებზე, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.*

16.3. დამწერლობის სახეები

დამწერლობა იმ სახით, რაც მას დღეს აქვს, ერთბაშად, ცხადია, არ გაჩენილა. მან ხანგრძლივი ისტორია განვლო, რაზედაც ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს ბავშვის მიერ წერა-კითხვის სწავლის პროცესი. „დედაენაში“ ასო-ბგერის შესასწავლად სიტყვა ჯერ მთლიანად არის მოცემული, შემდეგ მარცვლებად დაყოფილი, ბოლოს კი - ბგერებად. დამწერლობის ისტორიაც დაახლოებით ასე წარიმართა. ადამიანი **ნახატით ჯერ მთლიან საგანს (ცნებას) აღნიშნავდა**, შესაბამისად, ერთი სიტყვა ერთი ნახატით აღინიშნებოდა. შემდეგ ერთ ნახატი ერთ მარცვალს მიუსადაგა, ბოლოს კი მარცვალი ბგერებად დაყო და თითოეული ნახატი (ანუ ასო-ნიშანი) თითოეულ ბგერას მიუსადაგა.

16.3.1. „საგნობრივი დამწერლობა“ და შუმერული ხატოვანი დამწერლობა ანუ პიქტოგრაფია

პირველი გრაფიკული ნიშანი ჩვეულებრივი ნახატი იყო. როცა ადამიანმა პირველი ნახატი შექმნა, ეს იყო არა მარტო

ფული და სხვ. ისინი სხვადასხვა სახის სამეურნეო და სავაჭრო ინფორმაციებს ერთმანეთს სწორედ რომ საგნების საშუალებით აწვდიდნენ. ამისათვის ისინი იყენებდნენ ერთგვარ თიხის ჭურჭლებს (*შემდგომში მეცნიერებმა მათ კონვერტები უწოდეს*), რომლებშიც აწყობდნენ სხვადასხვა სახის თიხისავე ფიგურებს, ვთქვათ ხარისა და ცხვრის თავის ფიგურებს და ა.შ., რამდენი ფიგურაც იყო მათში, იმდენ ხარზე, ცხვარზე და ა.შ. იყო საუბარი. შემდგომში პროცესი გამარტივდა: ჭურჭლებს გარედან იმდენ ხაზს ჩამოუსვამდნენ, რამდენი ხარისა თუ ცხვრის ყიდვა-გაყიდვაზეც აწვდიდნენ ინფორმაციას.



ინფორმაციის გადაცემის ეს სისტემა, ცხადია, თანდათან დაიხვეწა და გაუმჯობესდა. თიხის ჭურჭლები ფირფიტებმა შეცვალა, რომლებზეც ამ ფიგურათა გამოსახვა დაიწყო, ასე გაჩნდა ნახატი, რომელიც მის მიერ გამოსახულ საგანზე ინფორმაციას შეიცავდა (სხვათა შორის, თანამედროვე ლათინური ასო A სხვა არფერია, თუ არა ხარის თავის გადაბრუნებული გამო-

სახულება). ასე გაჩნდა პიქტოგრამა, რომელიც პიქტოგრაფიული დამწერლობის გრაფიკულ ნიშანს წარმოადგენს⁸

პიქტოგრამისთვის დამახასიათებელი ნიშნებია:

1. იგი გადმოგვცემს ინფორმაციას, შინაარსს და არა ბგერას, თანაც ერთი პიქტოგრამა გადმოგვცემს, როგორც მინიმუმ, ერთი სიტყვის შინაარსს;

2. მან შეიძლება გადმოგვცეს არა მარტო სიტყვის, არამედ **წინადადებისა და ტექსტის შინაარსიც;**

3. იგი საგნის მსგავსია, ანუ არის იკონური ნიშანი:

4. იკონურობისა გამო იგი გასაგებია ნებისმიერისთვის (განევი, 2001: 103)

რაც შეეხება მასალას, რომელზეც ხდებოდა პიქტოგრამების ამოტვიფრა, ეს იყო ხის ქერქი, თიხა, ქვა, გამოქვაბულის კედელი და ა.შ. პიქტოგრამების თანამედროვე მაგალითებია საგზაო ნიშნები, რეკლამები, ფირნიშები და სხვ. პიქტოგრაფიის ნიმუშებია:



ВОИН



ГЛАЗ



ЖИРАФ



РОГ



ЖУК



СОЛНЦЕ



ГОРА



ХЛЕБ

⁸ მაია ღამბაშიძე. ლიტერატურა: ჟურნალი "ჩემი სამყარო", 9/201 https://www.gwelly.com/group/es_sainteresoa/forum/topics/damwerloba

პიქტოგრაფიული დამწერლობა არა, მაგრამ პიქტოგრამები დღესაც გამოიყენება, რისი თვალსაჩინო ნიმუშიცაა, მაგალითად, საგზაო ნიშნები:




16.3.2. იდეოგრაფიული ანუ ეროგლიფური დამწერლობა

პიქტოგრამებით შესაძლებელი იყო მხოლოდ ფიზიკური საგნების გამოსახვა, რადგან მისი უმთავრესი პრინციპია აღსანიშნთან გარეგნული მსგავსება. აბსტრაქტული ცნებების გამოსახვა კი ამ სახის გრაფიკული ნიშნებით, ცხადია, შეუძლებელი იყო. გამოსავალი მოინახა იმაში, რომ ასეთ შემთხვევებში გარეგნული მსგავსების პრინციპი შეიცვალა პირობითობის პრინციპით. ასე მაგ. თვალის გამოსახულებამ *თვალის* გარდა *მზერაც* აღნიშნა, რადგან შეთანხმდნენ, რომ ეს ასე ყოფილიყო. ისრის გამოსახულებამ - *ისრის* გარდა აღნიშნა *ომი* და ა.შ. *ასე გაჩნდა ნახატი, რომელმაც აღნიშნა არა მარტო მატერიალური საგანი, არამედ აბსტრაქტული ცნებაც.* მას ცნების გამომხატველი ნიშანი ანუ *იდეოგრამა* ეწოდა, ხოლო დამწერლობის სახეს,

რომლის გრაფიკულ ნიშნებსაც იდეოგრამები წარმოადგენს - **იდეოგრაფიული დამწერლობა** (ბერძნ. idea - „ცნება“, grapho - „ვწერ“. მაშასადამე, იდეოგრაფია - ეს იგივეა, რაც „იდეების წერა“). იდეოგრამას სხვაგვარად **იეროგლიფსაც** (ბერძნ. hierogly+phoi = „წმინდა ნაწერები“, სიტყვასიტყვით - „ქურუმთა ნაწერები“) უწოდებენ. ეს ტერმინი პირველად გამოიყენეს ბერძნებმა, რომლებმაც იეროგლიფები ეგვიპტურ ნაწერებს უწოდეს, რადგან ეგვიპტური გადმოცემის თანახმად, იეროგლიფები სიბრძნის ღმერთმა — ტოტმა შექმნა. და მეორეც: ძველ ეგვიპტეში ტექსტების გადაწერით ქურუმები იყვნენ დაკავებული. შემდგომში იეროგლიფური ეწოდა ჩინურ, ხეთურ და სხვა მსგავს დამწერლობებსაც.

მაშასადამე, ტერმინები „იდეოგრამა“ და „იეროგლიფი“ სინონიმებია, თუმცა თავად იდეოგრაფიულ დამწერლობას გრაფიკული ნიშნის სახის მიხედვით სამ ჯგუფად ყოფენ: **ნახატებიანი**, რომლებშიც იდეოგრამები ნახატებია, **ლოუსმული**, რომლებშიც იდეოგრამებს სოლის, ლურსმნის ფორმა აქვთ და **იეროგლიფური**, რომელშიც იდეოგრამები სხვადასხვა სახის და ფორმის ფიგურები და ნახაზებია (მაგ. ჩინური დამწერლობა.). იდეოგრამებს სხვაგვარად **ლოგოგრამებსაც** უწოდებენ (logos - „სიტყვა“, ლოგოგრაფია - „სიტყვით წერა“). მივმართოთ მაგალითებს:



ისევე, როგორც პიქტოგრამები, იეროგლიფები გამოიყენება დღესაც, ასე მაგალითად, თანამედროვე იეროგლიფების ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია ციფრები, რომელთაც ნებისმიერ ენაზე ვკითხულობთ, რადგან ისინი აღნიშნავენ არა ბგერებს, არამედ ცნებებს. გვაქვს თანამედროვე იეროგლიფური დამწერლობებიც, ასეთია, მაგალითად, ჩინური დამწერლობა.

16.3.3. ანბანური დამწერლობა;

დამწერლობის მესამე, უმაღლესი საფეხურია ანბანური დამწერლობა, რომლითაც თანამედროვე მსოფლიოს მოსახლეობის 75%-ზე მეტი სარგებლობს. ის ანბანთა ოთხ ყველაზე გავრცელებულ ოჯახს ქმნის: *ლათინური* (30%); *სლავური* (10%); *არაბული* (10%); *ინდური* (20%) (კოდუხოვი, 1987: 165).

ანბანური დამწერლობა იმით განსხვავდება იეროგლიფურისაგან, რომ აქ გრაფიკული ნიშანი აღნიშნავს არა საგანს ან ცნებას, *არამედ წარმოთქმით ერთეულს – ბგერას (ფონემას)*, ამიტომ მას *ფონემოგრაფიულსაც* უწოდებენ. არის დამწერლობები, რომლებშიც გრაფიკული ნიშანი აღნიშნავს სხვა

წარმოთქმით ბგერით ერთეულს - მარცვალს (სილაბემას), ამიტომ მას *სილაბოგრამა* (ბერძნ. *syllabe* - მარცვალი) ეწოდება. ორივეს ერთად კი *ფონოგრამა* ეწოდება. შესაბამისად, ფონოგრამა ორგვარია: *სილაბოგრამა და ფონემოგრამა (ასონიშანი)*. თანამედროვე სილაბოგრაფიული დამწერლობებია ეთიოპური, იაპონური, ერთ-ერთი ინდური ენის – დევანაგარის დამწერლობა და სხვ. თანამედროვე ანბანური დამწერლობის უმეტესი ნაწილი არა სილაბოგრაფიული, არამედ ფონოგრაფიულია (ანბანურია). რაც შეეხება სილაბოგრამებს, მათ გასააზრებლად პარალელის გავლება შეიძლება რეზუსებთან, სადაც ერთი ნახატი ერთ მარცვალს აღნიშნავს:



სხვა.

ანბანური დამწერლობა ძვ.წ. აღ. დაახლოებით 1500 წლის წინ შექმნეს ფინიკიელებმა, შუამდინარეთის სამხრეთით მცხოვრებმა სემიტური მოდგმის ხალხმა. ის შექმნილია ძველეგვიპტური დამწერლობის საფუძველზე და თავისი არსით *კონსონანტური* (თანხმოვნებიანი) იყო. ასეთ დამწერლობებში ნიშნები მხოლოდ თანხმოვნებისთვისაა შექმნილი. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვის ძირი მხოლოდ თანხმოვნებისაგან შედგება. მაგ., ფინიკიური: „კ-კ-ხ“ (ხოჰო); „ნ-ფ-ხ“ (ლამაზი) და სხვ. ხმოვნებს აქ მხოლოდ სიტყვაწარმოებითი ფუნქცია აკისრიათ. ძველეგვიპტურ ენის ლექსიკას შეადგენდა დაახლოებით 3300 სიტყვაძირი, რომელთაგანაც 600-მდე – ექვს-, ხუთ-და ოთხთანხმოვნიანი იყო; 2200 - სამთანხმოვნიანი, დაახლოებით 400 – ორ-

თანხმოვნია, ხოლო **60 - ერთთანხმოვნია** იყო. ამ ერთთანხმოვნის სიტყვა-ძირებიდან ეგვიპტურ ანბანში 26 აღნიშნული იყო სპეციალური იეროგლიფებით. (კოდუხოვი, 1987: 165). ერთი სიტყვით, ძველეგვიპტურ იეროგლიფურ დამწერლობას უკვე ჰქონდა ანბანური დამწერლობის საფუძვლები სწორედ ამ 26 იეროგლიფის სახით, ვინაიდან თითოეული მათგანი თითო ბგერას აღნიშნავდა (თუმცა ისინი კონკრეტული სიტყვების მნიშვნელობებს გამოხატავდნენ). უფრო მეტიც, როგორც ლინგვისტები წერენ, *„ეგვიპტელებს ფაქტობრივად გამოადებული ანბანი ჰქონდათ“* – თუმცა ამჯობინებდნენ იეროგლიფების გამოყენებას, ფონოგრაფიულ ნიშნებს კი დამხმარე საშუალებებად იყენებდნენ (განევი, 2001: 119). ამიტომაც მოხდა ისე, რომ ბედმა ეგვიპტელებს კი არა, ფინიკიელებს გაუღიმა. მათ სწორედ ამ 26 იეროგლიფიდან აიღეს 22, შეუსაბამეს თავიანთი ენის ბგერებს, განალაგეს ერთგვარი თანამიმდევრობით და ასე მიიღეს პირველი ანბანი, რომელიც თავისი არსით კონსონანტური იყო, ხმოვნები კი მხოლოდ სიტყვაწარმოების ან ფორმაცვალებისთვის გამოიყენებოდა (თანამედროვე კონსონანტური დამწერლობებია *არაბული, ებრაული, სირიული* და სხვ). ეს პრინციპი გამოუსადეგარი აღმოჩნდა იმ ენებისთვის, რომლებშიც თანხმოვნებთან ერთად თანაბარი ფუნქციები აქვთ ხმოვნებსაც. ეს შეუსაბამობა დაძლიეს *ძველმა ბერძნებმა*. თავიანთი ანბანი მათ შექმნეს ფინიკიურის საფუძველზე ძვ. წ. აღრ. დაახლოებით VIII – VII საუკუნეებში (გამყრელიძე, 1989: 67), რომელშიც გრაფიკული ნიშნები მიუსადაგეს ხმოვნებსაც.

16.3.4. დამწერლობა ამერიკის კონტინენტზე

როგორც ირკვევა, ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრებ *ინდიელებს* „საგნობრივი დამწერლობა“ ჰქონდათ. *მაშასადამე, მათ*

დამწერლობის საკუთარი გრაფიკული სისტემები არ შეუქმნიათ. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ცენტრალურ ამერიკაში მოსახლე *ავტოკები*, რომელთაც პიქტოგრაფიული დამწერლობა ჰქონდათ. ჩვენამდე მოღწეული მისი ნიმუშები ჩვ. წ. მე-14-16 საუკუნეებით თარიღდება. განსაკუთრებით საინტერესოა ასევე ცენტრალურ ამერიკაში, კერძოდ, დიუკატანის ნახევარკუნძულზე, დღევანდელი მექსიკისა და გვატემალის ტერიტორიაზე მცხოვრები *მაიას ტომი*, მან შექმნა შესანიშნავი კულტურა, რომელიც, ესპანური კოლონიზაციის შემდეგ, სამწუხაროდ, განადგურდა. ეს გააკეთეს ესპანელმა კონკვისდატორებმა ეპისკოპოს *დიეგო დე ლანდას* ბრძანებით, რომელმაც შემდგომში დაწერა წიგნი „ცნობები იუკატანის ნახევარკუნძულზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ“ (1566 წ.), აღწერა რა მაიას დამწერლობის ნაშთები, მან ძალაუნებრივად ისტორიას შემოუნახა ცნობები მათ შესახებ. ამ დამწერლობის ჩამოყალიბების თარიღად ახ. წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისს მიიჩნევენ (განეევი, 2001: 128-130).

16.4. დამწერლობის მოკლე ისტორია

ძველეგვიპტურ პიქტოგრაფიულ-იდეოგრაფიულ დამწერლობას შემდგომი განვითარება არ მოჰყოლია, თუ არ ჩავთვლით განვითარებად იმას, რომ 22 ძველეგვიპტური გრაფიკული ნიშანი თავიანთი ანბანისათვის გამოიყენეს ფინიკიელებმა. ალექსანდრე მაკედონელის მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ, ეგვიპტეში ქრისტიანობა და ბერძნულ-რომაული კულტურა იკიდებს ფეხს, შესაბამისად, *ეგვიპტური დამწერლობის ადგილს იკავებს ბერძნული.*

განვითარების საინტერესო გზა განვლო *შუმერულმა დამწერლობამ*. შუმერები წერდნენ პიქტოგრამებით, რომლებიც შემდგომში ნელ-ნელა კარგავენ კავშირს შესაბამის ნახატებთან (განსხვავებით ეგვიპტური დამწერლობისა, რომელმაც შეინარჩუნა პიქტოგრაფიასთან კავშირი) და *იძენენ ცნებების აღნიშვნის ფუნქციას*, ხოლო უფრო მოგვიანებით - *მარცვლების ან ცალკეული ხმოვნის აღნიშვნის ფუნქციასაც*. ასე მაგალითად, რადგან შუმერულად წყალს ჰქვია „ა“. წყლის აღმნიშვნელმა ნიშანმა, მოიპოვა [ა] ხმოვნის აღნიშვნის ფუნქციაც და ა.შ. შუმერები ღმერთს „ან“-ს უწოდებდნენ, ამიტომ მისი აღმნიშვნელი ნიშანი იქცა „ან“ მარცვლის აღმნიშვნელადაც. იცვლება ნიშნების მოხაზულობაც. მათ თანდათანობით დაკარგეს სურათის სახე და „ლურსმნების კომბინაციად გადაიქცნენ“ (მელიქიშვილი, 2004: 9), რის გამოც შუმერული დამწერლობის ამ ეტაპს *შუმერულ ლურსმულსაც (სოლისებურსაც) უწოდებენ*. ეს ცვლილებები შუმერულმა დამწერლობამ განიცადა უშუალოდ შუმერებთან, თუმცა მას მხოლოდ ისინი არ იყენებდნენ. შუმერებისაგან ის შეითვისეს სხვებმაც, კერძოდ, *ბაბილონელებმა*, ამ უკანასკნელთაგან - *ხეთებმა, მითანელებმა და ასურელებმა*. ასურელებისაგან ძვ. წ. მე-9 საუკუნეში - *ურარტუელებმა*, ხოლო ძვ. წ. მე-6 საუკუნეში - *სპარსელებმა*. ჩვენი წელთაღრიცხვით პირველი ათასწლეულის დასაწყისიდან შუმერული ადგილს უთმობს უფრო მარტივ - *არამეულ და ბერძნულ ანბანებს*.

რაც შეეხება ფინიკიურ დამწერლობას, ის გავრცელდა როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით. დასავლეთში მის პირველ მემკვიდრედ ითვლება *ბერძნული ანბანი*, ის საფუძვლად დაედო ქრისტიანული სამყაროს დამწერლობებს, ოღონდ არამართლმადიდებელი ქრისტიანული სამყაროს ხალხთა დამწერლობები ეყრდნობა არა უშუალოდ ბერძნულს, არა-

მედ მის საფუძველზე შექმნილ *ლათინურ ანბანს* („აბეცედა-რიუმს“). ევროპის გარდა, ლათინურით სარგებლობენ ამერიკის ორივე კონტინენტზე, თითქმის მთელ აფრიკაში (გარდა აფრიკის ჩრდილოეთისა, სადაც არაბული შრიფტია გავრცელებული), აგრეთვე, თურქეთში, ინდონეზიაში, მალაიზიაში, ვიეტნამში და ა.შ.

მართლმადიდებელი სამყაროს დამწერლობები ეყრდნობა უშუალოდ ბერძნულ ანბანს. ასეთია, მაგალითად, სლავური ანბანი, რომელიც შექმნეს *ძმებმა კირილემ (ცნობილმა ფილოსოფოსმა კონსტანტინემ) და მეთოდიმ* სლავების მიერ ქრისტიანობის მიღებასთან დაკავშირებით იმ მიზნით, რომ სლავებს ქრიატიანობა ექადაგათ და ბიბლიაც ჩაეწერათ სლავურ და არა ლათინურ ენაზე. ბერძნულისგან იღებს სათავეს აგრეთვე აზიურ ენათა გარკვეული ნაწილის ანბანები. ბერძნული წერითი სისტემიდან გამომდინარედ არის მიჩნეული ძველი სომხური დამწერლობაც - *ერკათავირი*, „რომლის შექმნაც ახ. წ. V საუკუნეში სომეხთა განმანათლებელს მესროპ მაშტოცს მიეწერება“ (გამყრელიძე, 1989: 104).


რაც შეეხება ქართული ანბანის წარმოშობის საკითხს, მის შესახებ უამრავი თეორია არსებობს, რომელთაგანაც გამოკვეთილია ორი მიმართულება: სემიტური და ბერძნული (პატარიძე, 1980: 35). ქართველ მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, ყველაზე მეტად სარწმუნო მაინც არის ის, რომ „ქართული ანბანი ბერძნულის კვალობაზეა შექმნილი, რადგან:

1. ქართული წერა მარცხნიდან მარჯვნივ მიემართება, როგორც ბერძნულში და არა მარჯვნიდან მარცხნივ, როგორც ეს არის სემიტურ ენათა წერაში (შენიშვნა: მათ შორის ფინიკიურში. ავტ.);

2. ქართული ანბანი შეიცავს როგორც თანხმოვნებს, ისე ხმოვნებს, როგორც ეს არის ბერძნულში, განსხვავებით სემიტური ენებისა, რომლებშიც მხოლოდ თანხმოვნებია;


3. ქართული ანბანის ასოებს ბგერითი მნიშვნელობების გარდა ქონდა რიცხვითი მნიშვნელობებიც, რომელთა თანამიმდევრობაც ემთხვევა ბერძნულისას და განსხვავდება სემიტურისგან“;

4. და ა.შ. (არის სხვა არგუმენტებიც) (გამყრელიძე, 1989:19) ამრიგად:



აღმოსავლეთით ფინიკიური ანბანი გავრცელდა, პირველ რიგში, სემიტური მოდგმის ხალხებში. პირველად ის მიიღეს *არამეელებმა*. ეს იყო უძველესი ისტორიის მქონე სემიტური მოდგმის ხალხი, რომელიც ძვ.წ. აღ. II-I ათასწლეულში წინა აზიის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. ქრისტეს ეპოქაში ებრაელები

სწორედ მათ ენაზე ლაპარაკობდნენ, ებრაული კი საკულტო ენის ფუნქციას ასრულებდა. შეიქმნა *არამეული ანბანი*, რომელმაც პირველი ათასწლეულის დასაწყისისთვის ნელ-ნელა ჩაანაცვლა მანამდე არსებული ლურსმული და თანდათანობით საერთაშორისო დამწერლობის ფუნქციები შეიძინა. ამრიგად:



16.5. ანბანი, გრაფიკა, ორთოგრაფია და ორთოეპია

დამწერლობასთან, კერძოდ, ფონემოგრაფიულ დამწერლობასთან პირდაპირი კავშირი აქვთ ლინგვისტურ ცნებებს: *ანბანი, გრაფიკა, ორთოგრაფია და ორთოეპია*.

სიტყვა „ანბანი“ შედგენილია ქართული ანბანის რიგით პირველი და მეორე ასო-ნიშნების სახელწოდებებიდან „ანი“ და „ბანი“. ის მოდის ბერძნული სიტყვიდან „ალფაბეტი“ (ძვ.ბერძნ. alphabetos), რომელიც, თავის მხრივ, შედგენილია ბერძნული ანბანის პირველი ასო-ნიშნების სახელწოდებებიდან „ალფა“ და

„ბეტი“ (გვიანდელი წარმოთქმა „ვიტი“). აღნიშნული ბერძნული სიტყვის კალკებია მისი ეკვივალენტები სხვა ენებშიც, მაგალითად, რუსული аэтика (სლავური ანბანის პირველი ასო-ნიშნების სახელწოდებებიდან „азѣ“, „ныки“), ლათინური „აბეცედრეიუმი“ და სხვა.

გრაფიკა (ბერძნ. γραφο - „ეხაზავ“, „ვწერ“) - არის, ერთი მხრივ, ენის გრაფიკულ ნიშანთა ერთობლიობა (ასო-ნიშნები, სასვენი ნიშნები, დიაკრიტიკული ნიშნები, მახვილი და სხვ.). მეორე მხრივ კი - ლინგვისტური დისციპლინა, რომელიც სწავლობს, **გრაფემებისა და ფონემების ურთიერთშესაბამისობას**. მსოფლიოს ენათა უმრავლესობაში მოქმედებს ე.წ. **პოლიფონიის პრინციპი**, რომლის მიხედვითაც ერთი და იგივე ბგერა წარმოითქმება სხვადასხვაგვარად, სიტყვაში მისი პოზიციის (ადგილის) შესაბამისად. მაგალითად, *ვამბო/ფ/- ვამბო[ზ]დი, ძ[ი]მ - ძ/ა/მა და სხვა*. ასე, რომ მათი ასო-ნიშნებთან შესაბამისობა უაღრესად აქტუალური პრობლემაა, რადგანაც ანბანური დამწერლობის გრაფიკული ნიშანი აღნიშნავს ბგერას და არა მთლიან სიტყვას ან წინადადებას. აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურად შეიძლება გაკეთდეს სავარაუდო დასკვნა, რომ **ერთი გრაფემა უნდა აღნიშნავდეს ერთ ფონემას**. სამწუხაროდ, მსგავსი იდეალური ანბანი არ არსებობს. „არსებული წარმოდგენა იდეალური გრაფიკის შესახებ, რომელშიც თითოეული გრაფემა აღნიშნავს თითო ფონემას, სამწუხაროდ არც ერთ დამწერლობაში არ არის რეალიზებული“ (ლელ, 1998: 118). აღსანიშნ ბგერებთან ასო-ნიშნების მიმართების საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეით იჩენს თავს, მაგალითად, ლათინური ანბანის საფუძველზე შექმნილ ანბანებში, სადაც წერასა და წარმოთქმას შორის, შეიძლება ითქვას, რომ უფსკრულია წარმოქმნილი. როგორც ლინგვისტები თვლიან, ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია ის,

რომ ამა თუ იმ ენის ბგერითი სისტემისადმი ლათინური ანბანის მისადაგება ხდებოდა *მისი არსებითი ხასიათის ცვლილებების გარეშე*. ლათინური ანბანის 23 (დღეისათვის 25) ასონიშანს, ცხადია, არ შეუძლია ყველა ენის ბგერითი სისტემის თავისებურებათა ზუსტად ასახვა, ვინაიდან მათში ფონემათა რაოდენობა გაცილებით მეტია და ის 36–46-ის ფარგლებში მერყეობს. ასე, მაგალითად, ინგლისურ ენაში 46 ფონემაა, ინგლისურ ანბანში კი - 26 გრაფემა. ამიტომ ინგლისურ ანბანში ფართოდ გამოიყენება *ასოთშეერთებები: დიგრაფები* (მაგ. ck – [k]), *ტრიგრაფები* (მაგ. eue – [u]) და *პოლიგრაფები* (augh). ინგლისურში, მაგალითად, 118 რთული გრაფემაა, მონოგრაფებთან ერთად მთლიანობაში კი - 144 გრაფემა.

გრაფიკასთან ერთად ენის გრაფიკულ და ბგერით ერთეულთა შესაბამისობას სწავლობს *ორთოგრაფია* (სიტყვასიტყვით ნიშნავს - „მართლწერა“), რომელიც შეიმუშავებს შემდეგ წესებს:

1. სიტყვებისა და მათი შემადგენელი მორფემების ჩაწერის ანუ ბგერათა გრაფიკული გამოსახვა;

2. სიტყვათა ერთად, დეფისით და ცალკ-ცალკე ჩაწერა;

3. სიტყვათა სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანა და სხვა.

მათ შორის წამყვანი ადგილი უჭირავს მორფემებისა და სიტყვების შემადგენლობაში ბგერების/ფონემების აღნიშვნის მარეგულირებელ წესებს, როგორებიცაა:

1. *გრაფემებისა და მათი კომბინაციების წაკითხის წესები*. მაგ. ინგლისურ წერაში გრაფემათა კომბინაცია ea წარმოითქმება როგორც /i/, /e/, /ei/ an /ie/ და სხვა.

2. *ფონემების და მათი კომბინაციების გრაფიკულად აღნიშვნის წესები*. მაგ. ფონემა [u] რუსულში მაგარი თანხმოვნების შემდეგ გადმოიცემა გრაფემით /y/, ხოლო რბილი თანხმოვნების შემდეგ - გრაფემით /io/.

ორთოგრაფიული წესები სხვადასხვა პრინციპს ეყრდნობა. მათ შორის ძირითადია ფონეტიკური, მორფოლოგიური, ფონემური და ისტორიული (ტრადიციული).

1. *ფონეტიკური პრინციპის* თანახმად, „სიტყვა უნდა იწერებოდეს ისე, როგორც წარმოითქმება“ (ნებიერიძე, 1991: 130), მაშასადამე, წერის დროს ასო-ნიშნების მეშვეობით აღინიშნება ის ბგერები, რომლებიც რეალურად წარმოითქმება. ეს პრინციპი ძირითადია გერმანული, ბელორუსული, სერბული, ქართული და ზოგიერთი სხვა ენების ორთოგრაფიაში, თუმცა ის თითქმის ზედმიწევნით არსად ყოველთვის არ არის დაცული. ეს პრინციპი ბოლომდე რომ დაგვეცვა, მაშინ უნდა დაგვეწერა: *ვამბო/ფ/, კარგა/თ/, ყ/პ/ა, კ/პ/ილი და ა.შ.*, თუმცა ვწერთ: *ვამბო/ბ/, კარგა/დ/, ყ/ბ/ა, კ/ბ/ილი და ა.შ.*

2. *მორფოლოგიური ანუ მორფემული პრინციპი* ემყარება სიტყვის მორფოლოგიურ (უფრო ზუსტად, მორფემულ) შედგენილობას, რის გამოც ერთი და იმავე მორფემის ვარიანტები ჩაიწერება არა ისე, როგორც წარმოითქმება, არამედ ერთი გრაფიკული ფორმით: მაგალითად, წარმოითქმება *ვამბო/ფ/*, მაგრამ იწერება *ვამბო/ბ/*), ვინაიდან მორფემაა *ო/ბ/* (*ვამბო/ბ/დი*) და არა *ო/ფ/*, *worked* - *წარსული დროის მაწარმოებელი მორფემა ამ შემთხვევაში წარმოითქმება, როგორც [t] და არა [d]*. ამიტომაც ამ პრინციპს გარდა მორფოლოგიურისა და მორფემულისა, *ფონემურსაც* უწოდებენ (ნემჩენკო, 2008: 647).

3. *ისტორიული (ტრადიციული) პრინციპის* ფორმულაა „*წერე ისე, როგორც ადრე წერდნენ*“. მასში აისახება დამწერლობის არა თანამედროვე, არამედ ადრინდელი მდგომარეობა. შესაბამისად, ის დამოკიდებულია მეხსიერებაზე, რაც განაპირობებს მის არარაციონალურობასა და უკიდურეს სირთულეს. ამიტომაც მას „*ყველაზე უპრინციპო პრინციპსაც*“ უწოდებენ. ის

წამყვანია ინგლისური ორთოგრაფიისათვის, რომელიც ერთ-ერთი რთულია სხვა ენების ორთოგრაფიებს შორის.

არის აგრეთვე ლინგვისტური დისციპლინა *ორთოეპია* (სიტყვასიტყვით - „მართლწარმოთქმა“, ბერძნ orthos - „სწორი“ epos - „მეტყველება“), რომელიც შეიმუშავებს წარმოთქმის ნორმებს. ეს არის მეცნიერება არა ცალკეული ბგერის და შესაბამისი ასო-ნიშნის ურთიერთშესაბამისობის, არამედ სიტყვათა სწორი წარმოთქმის შესახებ.

16.6. ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია

ორთოგრაფიისა და ორთოეპიის წესები არეგულირებს სწორი წერის და წარმოთქმის პრობლემებს, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს ბგერითი მეტყველების ზუსტ გრაფიკულ ასახვას. ეს პრობლემა თითქმის ყოველ ნაბიჯზე იჩენს თავს. ამ შემთხვევაში მიმართავენ წერის განსაკუთრებულ სახეებს: *ტრანსკრიფციას* (ლათ. transcribere „წერილობით გადმოტანა“), და *ტრანსლიტერაციას* (ტრანს... და ლათ. littera – ასო). ტრანსკრიფცია სამგვარია: ფონეტიკური, პრაქტიკული და ფონოლოგიური.

1. *ფონეტიკური ტრანსკრიფცია* წერის ისეთი სახეა, რომელიც ეყრდნობა ასო-ნიშანთა და ბგერათა ურთიერთშესაბამისობის უმარტივეს წესს: *ერთი ნიშანი ყოველთვის ერთსა და იმავე ბგერას აღნიშნავს, ხოლო თითოეული ბგერა აღინიშნება თითო ნიშნით*. მაშასადამე, „ფონეტიკური ტრანსკრიფცია მიზნად ისახავს ბგერების ზუსტ გამოხატვას, ამიტომ ის აუცილებელია ისეთი ენებისთვის, სადაც დამწერლობა და წარმოთქმა განსაკუთრებით არის ერთმანეთისგან დაშორებული“. შესაბამისად ასეთი ენების ლექსიკონებში სიტყვის ჩაწერა ხდება არა

მარტო ანბანის, არამედ ტრანსკრიფციის გამოყენებითაც: (fatigue, investigate) [fati:g], [in'vestigeit] (გ. ნებიერიძე 1991: 131). ტრანსკრიბირებული ტექსტი ჩაისმება კვადრატულ ფრჩხილებში [].

2. *ფონოლოგიური ტრანსკრიფცია* გადმოგვცემს არა ბგერებს, არამედ ფონემებს, ანუ ეს არის ტექსტის ჩაწერა არა წარმოთქმული ბგერების, არამედ ფონემების შესაბამისად. ასე მაგალითად, ქართული სიტყვა „ვთესავ“ ფონეტიკური ტრანსკრიფციით ჩაიწერება: [ftesaf] ხოლო ფონოლოგიური ტრანსკრიფციით -(vtesav), რადგან ფონემა (f) ქართულში არ არსებობს და ის მხოლოდ (v) ფონემის პოზიციური ვარიანტია.

ქართული ანბანი ინგლისურად ტრანსკრიფციის მეშვეობით შემდეგი სახით გადმოიცემა:

| | | | |
|------------|------------|------------|-------------|
| ა - a | ი - i | რ - r | შ - sh or S |
| ბ - b | კ - k | ს - s | ჩ - ch or C |
| გ - g | ლ - l | ტ - t | ც - c |
| დ - d | მ - m | უ - u | ძ - dz or Z |
| ე - e | ნ - n | ფ - f | წ - ts or w |
| ვ - v | ო - o | ქ - q | ჭ - ch |
| ზ - z | პ - p | ღ - R or r | ხ - kh |
| თ - T or t | ყ - J or j | ყ - y or k | ჯ - j |
| | | | ჰ - h |

3. *პრაქტიკული ტრანსკრიფცია* ნიშნავს ერთი ენის *ბგერების* სხვა ენის ასო-ნიშნებით ჩაწერას, რასაც ხშირად მიმართავენ სახელ-გვარების, უცხური გეოგრაფიული და სხვა საკუთარი

სახელების ჩაწერისას. პრაქტიკული ტრანსკრიფციისას მიმღებ ენაში გამოიყენება მხოლოდ ამ ენის ასო-ნიშნები და არ გამოიყენება დამატებითი ასოები და ნიშნები. მაგალითად, ქართული გვარი „ჯავახიშვილი“ უცხოურ ენებზე შემდეგი სახით ჩაიწერება: Ds(c)hawachischwili (გერმ.), Javakhishvili (ინგლ.), Djavakhichvili (ფრ.), Džavahišvili (ხორვატ.), Джавахишвили (რუს.) და ა.შ. ქართული გვარ-სახელების ევროპულ-, ლათინურ- და კირილურანბანიან ენებზე გადატანის წესები უკვე კარგა ხანია შემუშავებულია. იაპონურ, ჩინურ, კორეულ, ვიეტნამურ და სხვ. ენებზე გადატანის (და პირიქით, ამ ენებიდან გადმოტანის) დღემდე არსებული ტრადიცია კი რუსული ტრანსკრიბირების ტრადიციას ეყრდნობოდა. დღეს შეიმჩნევა ევროპული (ინგლისური) ტრანსკრიფციების დამკვიდრების მცდელობა.

პრაქტიკული ტრანსკრიფცია ჰგავს ფონეტიკურ ტრანსკრიფციას, მაგრამ მისგან განსხვავდება იმით, რომ ფონეტიკური ტრანსკრიფცია გამოიყენება ერთსა და იმავე ენაში, ამ ენის სიტყვების ჟღერადობის ამავე ენის გრაფიკული საშუალებებით მაქსიმალური სიზუსტით ასახვის მიზნით. პრაქტიკული ტრანსკრიფცია კი, როგორც აღვნიშნეთ, ერთი ენის სიტყვათა ჟღერადობის (წარმოთქმის) ჩაწერა სხვა ენის ასო-ნიშნებით.

როგორც პრაქტიკული, ისე ფონეტიკური ტრანსკრიფცია ძალიან ჰგავს ტრანსლიტერაციასაც (ტრანს... და ლათ. littera – ასო), მაგრამ არც მათი ერთმანეთში აღრევა შეიძლება. თუ ჩვენ სიტყვის ტრანსკრიფციას გავაკეთებთ, ჩვენ ვქმნით სიტყვის *ენობრივ ფორმას*; თუ მის ტრანსლიტერაციას ვახდენთ, ჩვენ ვქმნით სიტყვის *გრაფიკულ ფორმას* (კომისაროვი, 1990). პრაქტიკული ტრანსკრიფცია ერთი ენის *ბგერების* მეორე რომელიმე ენების ასო-ნიშნებით ჩაწერაა, ტრანსლიტერაცია — *ერთი დამწერლობის ასო-ნიშნების* გადაცემა სხვა დამწერლობის ასო-

ნიშნებით. ეს არის ერთი ენის სიტყვის თითოეული ასო-ნიშნის „გადაწერა“ მეორე ენაზე. მაშასადამე, ტრანსკრიფცია ამოდის ჟღერადობიდან, ტრანსლიტერაცია კი - დაწერიდან. ასეთია, მაგალითად, ტრანსლიტერაციის მეშვეობით ბერძნული წარწერების ჩანაცვლება ლათინურით: ἵππος, – hippos („ცხენი“), Ἀθήνη – Athene („ათენი“). ხშირად არის შემთხვევები, როცა ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის ერთმანეთისგან გამიჯვნა არცთუ ისე ადგვილია.

ტრანსლიტერაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიისა და ეთნიკური ნომენკლატურისა თუ უცხოური გვარ-სახელების საერთაშორისო წერილობითი უნიფიკაციისთვის. ტრანსლიტერაცია გამოიყენება მრავალენოვან ლექსიკონებში. ამ მიზნით ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესებიც კი არის შემუშავებული. (http://www.sakpatenti.org.ge/media/page_files/transliteracia.pdf).

საერთოდ, ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის ერთმანეთისაგან გამიჯვნაში დაგვეხმარება ამ ორი ტერმინის ეტიმოლოგია (თავდაპირველი მნიშვნელობა). ლათინური transcribere ნიშნავს „წერილობით გადმოტანას, გადმოწერას“ „იქიდან“ (tran(s), სადაც ეს „იქიდან“ გულისხმობს „წარმოთქმიდან“. „იქიდან გადმოტანაა ტრანსლიტერაცია, ოღონდ ეს არის ერთი დამწერლობიდან მეორეში გადმოტანა (littera – ასო).

ასეთია დამწერლობასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებებისა და საკითხების მოკლე მიმოხილვა.

განმარტეთ ტექსტში გამოყენებული ტერმინები

დამწერლობა („საგნობრივი“, პიქტოგრაფიული, იდეოგრაფიული, ფონოგრაფიული, ფონემოგრაფიული, სილაბოგრაფიული), პიქტოგრამა, იდეოგრამა (იეროგლიფი, ლოგოგრამა), ფონოგრამა, ფონემოგრამა, სილაბოგრამა, ანბანი, ალფავიტი, აბე-

ცედარიუმი, გრაფიკა, ორთოგრაფია, ორთოგრაფიის პრინციპები (მორფოლოგიური, ფონეტიკური, ისტორიული) ორთოეპია, ტრანსკრიპცია, ტრანსლიტერაცია.

კითხვები და დავალებები

1. სად, როდის და რა სახით შეიქმნა პირველი დამწერლობები?
2. რატომ უკავშირდება დამწერლობის წარმოშობა სახელმწიფოს წარმოშობას?
3. ვენის დიაგრამის მეშვეობით, გააკეთეთ პიქტოგრაფიული და იდეოგრაფიული დამწერლობების შედარებითი ანალიზი;
4. გაანალიზეთ თანამედროვე პიქტოგრაფიისა და ე. წ. საგნობრივი დამწერლობის ნიმუშები;
5. ახსენით მსგავსება-განსხვავებანი ფონოგრაფიასა და ფონემოგრაფიას შორის;
6. დაასაბუთეთ, რა პრინციპული განსხვავებაა ანბანურ დამწერლობასა და დამწერლობის სხვა დანარჩენ სახეებს შორის;
7. გაანალიზეთ დამწერლობის მოკლე ისტორია;
8. როგორ გესმით დამწერლობის პოლიფონიის პრინციპი?
9. გააკეთეთ ორთოგრაფიისა და ორთოეპიის შედარებითი ანალიზი;
10. გააკეთეთ ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის შედარებითი ანალიზი.

ტესტების ბაზა ენათმეცნიერების შესავალში

| <i>სახელმძღვანელოში შესატანი ტესტების ბაზა</i> | |
|--|---|
| 1. ენათმეცნიერების რაობა | |
| 1. | <p><i>ლინგვისტიკა:</i></p> <p>ა. შეისწავლის ადამიანის აზროვნებას;</p> <p>ბ. შეისწავლის ადამიანის ენას;</p> <p>ც. ადამიანის ფსიქიკას არ შეისწავლის;</p> <p>დ. შეისწავლის ადამიანის ენასაც;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 2. | <p><i>ლინგვისტიკა:</i></p> <p>ა. შეისწავლის მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტულ ენას;</p> <p>ბ. ამა თუ იმ კონკრეტულ ენასაც შეისწავლის;</p> <p>ც. შეისწავლის ენას მხოლოდ როგორც მოვლენას;</p> <p>დ. შეისწავლის როგორც ამა თუ იმ კონკრეტულ ენას, ისე ენას, როგორც მოვლენას;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 3. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. ლინგვისტიკა ენათმეცნიერების დარგია;</p> <p>ბ. ლინგვისტიკა არ არის ენათმეცნიერების დარგი;</p> <p>ც. ენათმეცნიერება იგივეა, რაც ლინგვისტიკა;</p> <p>დ. ენათმეცნიერებას ლინგვისტიკასთან არავითარი კავშირი არ აქვს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 4. | <p><i>ექსტრალინგვისტურ დისციპლინათა შესწავლის ობიექტი</i></p> <p>ა. არის ენის შინაგანი ბუნება;</p> <p>ბ. ენის შინაგანი ბუნება არ არის;</p> <p>ც. არის ენის გამოყენების პროცესზე გარე ფაქტორების ზემოქმედება;</p> <p>დ. არის ენობრივი სისტემის ელემენტები;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 5. | <p><i>შიდალინგვისტურ დისციპლინათა შესწავლის ობიექტი:</i></p> <p>ა. არის ენის იმანენტური ბუნების ანალიზი;</p> |

| | |
|-----------|--|
| | <p>ბ. ენის იმანენტური ბუნების ანალიზი არ არის;</p> <p>ც. არის ენის გამოყენების პროცესზე გარე ფაქტორების ზემოქმედების ანალიზი;</p> <p>დ. არის ენობრივი სისტემის ელემენტების ანალიზი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 6. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. სლავისტიკა ლინგვისტური კომპარატივისტიკის დარგია;</p> <p>ბ. სლავისტიკა ტიპოლოგიური ენათმეცნიერების დარგია;</p> <p>ც. ტიპოლოგიური ენათმეცნიერების დარგი სლავისტიკა კი არა, რუსისტიკაა;</p> <p>დ. სლავისტიკა არც ტიპოლოგიური ენათმეცნიერების დარგია და არც კერძო ენათმეცნიერებისა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 7. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. ანგლისტიკა ლინგვისტური კომპარატივისტიკის დარგია;</p> <p>ბ. ანგლისტიკა ტიპოლოგიური ენათმეცნიერების დარგია;</p> <p>ც. ტიპოლოგიური ენათმეცნიერების დარგი ანგლისტიკა კი არა, რუსისტიკაა;</p> <p>დ. ანგლისტიკა არც ტიპოლოგიური ენათმეცნიერების დარგია და არც კერძო ენათმეცნიერებისა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 8. | <p><i>ზოგადი ენათმეცნიერება შეისწავლის:</i></p> <p>ა. ერთი კონკრეტული ენის სტრუქტურას;</p> <p>ბ. მონათესავე ენებს;</p> <p>ც. მსოფლიოში არსებულ ყველა ენას;</p> <p>დ. ერთ კონკრეტულ რეგიონში გავრცელებულ ენებს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 9. | <p><i>კერძო ენათმეცნიერება შეისწავლის:</i></p> <p>ა. ერთი კონკრეტული ენის სტრუქტურას;</p> |

| | |
|------------|--|
| | <p>ბ. მონათესავე ენებს;</p> <p>ც. მსოფლიოში არსებულ ყველა ენას;</p> <p>დ. ერთ კონკრეტულ რეგიონში გავრცელებულ ენებს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 10. | <p><i>შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერება შეისწავლის:</i></p> <p>ა. მსოფლიოში არსებულ ყველა ენას;</p> <p>ბ. ერთი კონკრეტული ენის სტრუქტურას;</p> <p>ც. მონათესავე ენებს;</p> <p>დ. ერთ კონკრეტულ რეგიონში გავრცელებულ ენებს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 11. | <p><i>არეალური ენათმეცნიერება შეისწავლის:</i></p> <p>ა. მონათესავე ენებს;</p> <p>ბ. ერთი კონკრეტული ენის სტრუქტურას;</p> <p>ც. მსოფლიოში არსებულ ყველა ენას;</p> <p>დ. ერთ კონკრეტულ რეგიონში გავრცელებულ ენებს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 12. | <p><i>სოციოლინგვისტიკა</i></p> <p>ა. შიდალინგვისტური დისციპლინაა;</p> <p>ბ. გარელინგვისტური დისციპლინა არ არის;</p> <p>ც. ლინგვისტური კომპარატივისტიკის დარგია;</p> <p>დ. არეალური ლინგვისტიკის დარგია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 13. | <p><i>ფსიქოლინგვისტიკა</i></p> <p>ა. შიდალინგვისტური დისციპლინაა;</p> <p>ბ. გარელინგვისტური დისციპლინა არ არის;</p> <p>ც. ლინგვისტური კომპარატივისტიკის დარგი არ არის;</p> <p>დ. არეალური ლინგვისტიკის დარგია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 14. | <p><i>ეთნოლინგვისტიკა</i></p> <p>ა. შიდალინგვისტური დისციპლინაა;</p> <p>ბ. გარელინგვისტური დისციპლინაა;</p> <p>ც. ლინგვისტური კომპარატივისტიკის დარგია;</p> <p>დ. არეალური ლინგვისტიკის დარგია;</p> |

| | |
|-----|--|
| | <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 15. | <p><i>ცალკეული სოციალური ჯგუფებისთვის დამახასიათებელ მეტყველებების თავისებურებებს სწავლობს</i></p> <p>ა. დიალექტოლოგია;</p> <p>ბ. სოციალური დიალექტოლოგია;</p> <p>ც. დიალექტოლოგიაც და სოციალური დიალექტოლოგიაც, რადგან ისინი ერთი და იგივეა;</p> <p>დ. არც დიალექტოლოგია და არც სოციალური დიალექტოლოგია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 16. | <p><i>დადგენილი ენობრივი ნორმიდან ტერიტორიული ფაქტორით განპირობებულ გადახვევას სწავლობს:</i></p> <p>ა. გრამატიკა;</p> <p>ბ. ფსიქოლინგვისტიკა;</p> <p>ც. დიალექტოლოგია;</p> <p>დ. კომპარატივისტიკა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 17. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. დიალექტოლოგია იგივეა, რაც სოციალური დიალექტოლოგია;</p> <p>ბ. სოციალური დიალექტოლოგია იგივეა, რაც სოციალური ლინგვისტიკა;</p> <p>ც. სოციალური ლინგვისტიკა იგივეა, რაც დიალექტოლოგია;</p> <p>დ. დიალექტოლოგია და ფსიქოლინგვისტიკა ერთი და იგივე არ არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 18. | <p><i>გარელინგვისტურ დისციპლინას, რომელიც იკვლევს ენაში მისი მატარებელი ეთნოსის კულტურის, ტრადიციების, მენტალობს ასახვას და საერთოდ, ენისა და კულტურის ურთიერთკავშირის, ეწოდება:</i></p> <p>ა. ლინგვისტური კომპარატივისტიკა;</p> |

| | |
|------------|--|
| | <p>ბ. არეალური ლინგვისტიკა;</p> <p>ც. ლინგვისტური გეოგრაფია;</p> <p>დ. ფსიქოლინგვისტიკა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 19. | <p><i>ენათმეცნიერების რომელი დარგი შეისწავლის სიტყვათა მარაგს?</i></p> <p>ა. არც ფონეტიკა, არც ფონოლოგია;</p> <p>ბ. ლექსიკოლოგია;</p> <p>ც. მორფოლოგია;</p> <p>დ. არც სინტაქსი, არც მორფემიკა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 20. | <p><i>ენათმეცნიერების რომელი დარგი შეისწავლის სიტყვათა ფორმაცვალებადობას?</i></p> <p>ა. არც ფონეტიკა, არც ფონოლოგია;</p> <p>ბ. ლექსიკოლოგია;</p> <p>ც. მორფოლოგია;</p> <p>დ. არც სინტაქსი, არც ფრაზეოლოგია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 21. | <p><i>ენათმეცნიერების რომელი დარგი შეისწავლის სიტყვის შედგენილობას?</i></p> <p>ა. არც ფონეტიკა-ფონოლოგია;</p> <p>ბ. ლექსიკოლოგია;</p> <p>ც. მორფემიკა;</p> <p>დ. ფრაზეოლოგია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 22. | <p><i>ენათმეცნიერების რომელი დარგი შეისწავლის სიტყვათა შეკავშირების წესებს?</i></p> <p>ა. ლექსიკოლოგია;</p> <p>ბ. მორფემიკა და მორფოლოგია;</p> <p>ც. არც ფონეტიკა- ფონოლოგია;</p> <p>დ. სინტაქსი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |

| | |
|-------------------|---|
| <p>23.</p> | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა. ენობრივ სისტემას გარე ფაქტორებთან მიმართებით შეისწავლის ინტრალინგვისტიკა;</p> <p>ბ. ინტრალინგვისტიკა ენობრივ სისტემას გარე ფაქტორებთან მიმართებით არ შეისწავლის;</p> <p>ც. ენობრივ სისტემას გარე ფაქტორებთან მიმართებით შეისწავლის სტრუქტურული ლინგვისტიკა;</p> <p>დ. სტრუქტურული ლინგვისტიკა ენობრივ სისტემას გარე ფაქტორებთან მიმართებით აღარ შეისწავლის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>24.</p> | <p><i>ენის სინქრონულ ასპექტში კვლევა ნიშნავს</i></p> <p>ა. ენის ისტორიის კვლევას;</p> <p>ბ. არა ენის, არამედ ენობრივი ელემენტების ისტორიის კვლევას;</p> <p>ც. როგორც ენის, ისე მისი ცალკეული ელემენტების ისტორიის კვლევას;</p> <p>დ. დროის კონკრეტულ მონაკვეთში მოქმედი ენის კვლევას;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>25.</p> | <p><i>დიაქრონულ ასპექტში ენის კვლევა არ ნიშნავს:</i></p> <p>ა. ენის ისტორიის კვლევას;</p> <p>ბ. ენობრივი ელემენტების ისტორიის კვლევას;</p> <p>ც. როგორც ენის, ისე მისი ცალკეული ელემენტების ისტორიის კვლევას;</p> <p>დ. დროის კონკრეტულ მონაკვეთში მოქმედი ენის კვლევას;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი;</p> |
| <p>26.</p> | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. ენა ბიოლოგიური მოვლენა არ არის, ასე რომ ლინგვისტიკას ბიოლოგიასთან კავშირი ვერ ექნება;</p> <p>ბ. ენა ბიოლოგიური მოვლენა არ არის, მაგრამ ლინგვისტიკას ბიოლოგიასთან მანინც აქვს კავშირი;</p> <p>ც. ლინგვისტიკას ბიოლოგიასთან აკავშირებს ენის ფლო-</p> |

| | |
|------------|--|
| | <p>ბისა და გამოყენების ბიოლოგიური ფაქტორების კვლევა;</p> <p>დ. არსებობს დარგთაშორისი დისციპლინა ბიოლინგვისტიკა, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ლინგვისტიკას ბიოლოგიასთან რამე აკავშირებს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 27. | <p><i>ამა თუ იმ ენის პრაქტიკული კურსი:</i></p> <p>ა. თეორიული ლინგვისტიკის დარგია;</p> <p>ბ. არ არის გამოყენებითი ლინგვისტიკის დარგი;</p> <p>ც. არის როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი ლინგვისტიკის დარგი;</p> <p>დ. არც თეორიული ლინგვისტიკის დარგია და არც გამოყენებითის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 28. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. ლინგვისტიკას ფიზიკასთან არაფერი არ აკავშირებს;</p> <p>ბ. ლინგვისტიკას ფიზიკასთან აკავშირებს სამეტყველო ბგერა;</p> <p>ც. სამეტყველო ბგერა ლინგვისტიკას აკავშირებს არა ფიზიკასთან, არამედ ისტორიასთან;</p> <p>დ. სამეტყველო ბგერა ლინგვისტიკას აკავშირებს ფიზიკასთანაც და ფიზიოლოგიასთანაც;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 29. | <p>ლინგვისტიკას ...</p> <p>ა. სოციოლოგიასთან არაფერი აკავშირებს;</p> <p>ბ. სოციოლოგიასთანაც აქვს კავშირი;</p> <p>ც. სოციოლოგიასთან აკავშირებს ის, რომ ენა კომუნიკაციის იარაღია;</p> <p>დ. სოციოლოგიასთან აკავშირებს ის, რომ ენის გამოყენება ხდება სოციუმში;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 30. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. ლინგვისტიკა ფილოლოგიის დარგია;</p> <p>ბ. ფილოლოგია ლინგვისტიკის დარგია;</p> |

| | |
|-----------------------------------|--|
| | <p>ც. ფილოლოგია ლინგვისტიკის დარგი არ არის;</p> <p>დ. ფილოლოგია იგივეა, რაც ლინგვისტიკა;</p> <p>ე.არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 31. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა.ლინგვისტიკა ლიტმცოდნეობის დარგია და არა ფილოლოგიის;</p> <p>ბ. ლიტმცოდნეობა ლინგვისტიკის დარგია და არა ფილოლოგიის;</p> <p>ც. ლიტმცოდნეობაც და ლინგვისტიკაც ორივე ფილოლოგიის დარგებია;</p> <p>დ. არც ლიტმცოდნეობაა ფილოლოგიის დარგი ა არც ლინგვისტიკა;</p> <p>ე.არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 32. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა.ლინგვისტიკა ენათმეცნიერების დარგია და არა ფილოლოგიის;</p> <p>ბ. პირიქით, ენათმეცნიერებაა ლინგვისტიკის დარგი;</p> <p>ც. ლინგვისტიკა ენათმეცნიერების დარგი არ არის და ვერც იქნება;</p> <p>დ. ვერც ენათმეცნიერება იქნება ლინგვისტიკის დარგი;</p> <p>ე.არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 2. ენის რაობა და ფუნქციები | |
| 33. | <p><i>ბგერით ნიშანთა სისტემა, რომელიც საზოგადოებაში ასრულებს აზრებისა და ემოციების გამოხატვისა და გაზიარების იარაღის ფუნქციას, არის:</i></p> <p>ა. ფსიქიკა;</p> <p>ბ. აზროვნება;</p> <p>ც. მეტყველება;</p> <p>დ. ენა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 34. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა.ტერმინები „სტანდარტული ენა“ და „სალიტერატურო</p> |

| | |
|------------|--|
| | <p>ენა“ სინონიმებია;</p> <p>ბ. ტერმინები „სტანდარტული ენა“ და „სალიტერატურო ენა“ ანტონიმებია;</p> <p>გ. სტანდარტული ენა“ და „სალიტერატურო ენა“ ლინგვისტური ტერმინებია;</p> <p>დ. „სტანდარტული ენა“ ლინგვისტური ტერმინია, „ლიტერატურული ენა“ - ლიტერატურმცოდნებითი;</p> <p>ე.არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 35. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა.ტერმინები „სალიტერატურო“ და „მხატვრული ლიტერატურის ენა“ სინონიმებია;</p> <p>ბ. ტერმინები „სალიტერატურო ენა“ და „მხატვრული ლიტერატურის ენა“ სინონიმები არ არის;</p> <p>გ. „სალიტერატურო ენა“ და „მხატვრული ლიტერატურის ენა“ – ლინგვისტური ტერმინებია;</p> <p>დ. „ლიტერატურული ენა“ – ლინგვისტური ტერმინია, „მხატვრული ლიტერატურის ენა“ – ლიტერატურმცოდნებითი ტერმინებია;</p> <p>ე.არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 36. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა.სალიტერატურო ენა ნორმირებული სისტემაა;</p> <p>ბ. ნორმირებული სისტემაა არა სალიტერატურო ენა, არამედ დიალექტი;</p> <p>გ. ნორმირებული სისტემაა არა სალიტერატურო ენა, არამედ სტანდარტული ენა;</p> <p>დ. ნორმირებული სისტემაა არა დიალექტი, არამედ სტანდარტული ენა;</p> <p>ე.არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 37. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა.ტერმინები „სტანდარტი“ და „ვარიანტი“ სინონიმები არ არის;</p> <p>ბ. ტერმინები „სტანდარტი“ და „ნორმა“ სინონიმებია;</p> |

| | |
|------------|---|
| | <p>ვ. ტერმინები „სტანდარტი“ და „დიალექტი“ სინონიმებია;</p> <p>დ. ტერმინები „სტანდარტი“ და „დიალექტი“ სინონიმები არ არის;</p> <p>ე.არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 38. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. ინტრალინგვისტიკა იკვლევს ენის შინაგან ბუნებას;</p> <p>ბ. ექსტრალინგვისტიკა არ იკვლევს ენის შინაგან ბუნებას;</p> <p>ვ. გარელინგვისტიკა არ იკვლევს ენის სტრუქტურას;</p> <p>დ. ენის სტრუქტურას იკვლევს არა გარელინგვისტიკა, არამედ ექსტრალინგვისტიკა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 39. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი(ებ)ი:</i></p> <p>ა.ენის იმანენტური ბუნება – ეს იგივეა, რაც ენის შინაგანი სტრუქტურა;</p> <p>ბ. ენის იმანენტური ბუნება და ენის შინაგანი სტრუქტურა ერთი და იგივე არ არის;</p> <p>ვ. ენის იმანენტური ბუნების კვლევა არ მოიცავს ენობრივი სისტემის სტრუქტურის ანალიზს;</p> <p>დ. ენის იმანენტური ბუნების კვლევა ენობრივი სისტემის ელემენტების კვლევაა;</p> <p>ე.არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 40. | <p><i>რა იგულისხმება ენის საკომუნიკაციო ფუნქციაში?</i></p> <p>ა. აზრთა ურთიერთგაზიარების ფუნქცია;</p> <p>ბ. სახელის დარქმევის ფუნქცია;</p> <p>ვ. აზრის გამოხატვის ფუნქცია;</p> <p>დ. სამყაროს შემეცნების ფუნქცია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 41. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. აზრის გადაცემა ენის საკომუნიკაციო ფუნქციაა;</p> <p>ბ. აზრის გადაცემა ენის საკომუნიკაციო ფუნქცია არ არის;</p> |

| | |
|-----|--|
| | <p>ვ. აზრის გამოხატვა ენის საკომუნიკაციო ფუნქციაა;</p> <p>დ. აზრის გამოხატვა საერთოდ არ არის ენის ფუნქცია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 42. | <p><i>რა იგულისხმება ენის ექსპრესიული ფუნქციაში?</i></p> <p>ა. აზრთა ურთიერთგაზიარების ფუნქცია;</p> <p>ბ. სახელის დარქმევის ფუნქცია;</p> <p>ვ. აზრის გამოხატვის ფუნქცია;</p> <p>დ. სამყაროს შემეცნების ფუნქცია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 43. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. აზრის გამოხატვა ენის ექსპრესიული ფუნქცია არ არის;</p> <p>ბ. აზრის გამოხატვა ენის ექსპრესიული ფუნქციაა;</p> <p>ვ. აზრის გადაცემა ენის ექსპრესიული ფუნქციაა;</p> <p>დ. აზრის გადაცემა ენის ექსპრესიული ფუნქცია არ არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 44. | <p><i>რა იგულისხმება ენის ნომინაციურ ფუნქციაში?</i></p> <p>ა. აზრის გაზიარების ფუნქცია;</p> <p>ბ. სახელის დარქმევის ფუნქცია;</p> <p>ვ. აზრის გამოხატვის ფუნქცია;</p> <p>დ. სამყაროს შემეცნების ფუნქცია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 45. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. სახელის დარქმევა ენის ნომინაციური ფუნქციაა;</p> <p>ბ. სახელის დარქმევა ენის ნომინაციური ფუნქცია არ არის;</p> <p>ვ. აზრის გადაცემა ენის ნომინაციური ფუნქციაა;</p> <p>დ. აზრის გადაცემა ენის ნომინაციური ფუნქცია არ არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 46. | <p><i>რატომ ვუწოდებთ ენას კომუნიკაციის ერთ-ერთ და არა ერთადერთ საშუალებას?</i></p> |

| | |
|-----------------------------|--|
| | <p>ა. იმიტომ, რომ წარსულში არსებობდა კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც, რომლებიც დღეს აღარ არსებობს;</p> <p>ბ. იმიტომ, რომ არის კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც;</p> <p>ც. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია</p> <p>დ. კითხვა არასწორად არის დასმული: ენა კომუნიკაციის ერთადერთი საშუალებაა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 47. | <p><i>ენა კომუნიკაციის</i></p> <p>ა. ერთადერთი საშუალებაა და არა ერთ-ერთი;</p> <p>ბ. ერთადერთი საშუალება არ არის იმიტომ, რომ არის კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც;</p> <p>ც. ერთ-ერთი საშუალებაა;</p> <p>დ. საშუალება საერთოდ არ არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 48. | <p><i>რა ფორმით ვიყენებთ ენას?</i></p> <p>ა. მხოლოდ ზეპირი მეტყველების ფორმით;</p> <p>ბ. მხოლოდ წერიტი მეტყველების ფორმით;</p> <p>ც. როგორც ზეპირი, ისე წერიტი მეტყველების ფორმით;</p> <p>დ. არც ზეპირი და არც წერიტი მეტყველების ფორმით;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 3. ენა და მეტყველება | |
| 49. | <p><i>რა არის მეტყველება?</i></p> <p>ა. ენის გამოყენების პროცესი;</p> <p>ბ. ენის მეშვეობით აზრის გამოხატვის პროცესი;</p> <p>ც. აზრის გადაცემა-მიღების პროცესი;</p> <p>დ. ნიშანთა სისტემა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 50. | <p><i>რა არის კომუნიკაცია?</i></p> <p>ა. ენის გამოყენების პროცესი;</p> <p>ბ. ენის მეშვეობით აზრის გამოხატვის პროცესი;</p> <p>ც. აზრის გადაცემა-მიღების პროცესი;</p> <p>დ. ნიშანთა სისტემა;</p> |

| | |
|------------|--|
| | ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 51. | რა ეწოდება აზრის გადაცემა-მიღების პროცესს? ა. მეტყველება; ბ. ტექსტი; ც. ენა; დ. წინადადება; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 52. | რა ეწოდება ენის გამოყენების პროცესს? ა. ტექსტი; ბ. მეტყველება; ც. ცნობიერება; დ. ფსიქიკა; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 53. | შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი: ა. მეტყველება ენის გამოყენების პროცესია; ბ. ენის გამოყენების პროცესი მეტყველება არ არის; ც. ენა და მეტყველება ერთი და იგივეა; დ. ენა და მეტყველება ერთი და იგივე არ არის; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 54. | აზრობრივად ერთმანეთთან დაკავშირებულ წინადადებათა ერთობლიობას, რომლის მთლიანობასაც ქმნის თემა, შესავალი, ძირითადი აზრი და დასკვნა, ეწოდება: ა. ენა; ბ. მეტყველება; ც. ტექსტი; დ. კომუნიკაცია; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 55. | არის თუ არა მეტყველება ინდივიდუალური მოვლენა? ა. დიახ; ბ. არა; ც. ნაწილობრივ; დ. ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს; |

| | |
|-----|--|
| | <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 56. | <p><i>არის თუ არა მეტყველება სოციალური მოვლენა?</i></p> <p>ა. დიახ; ბ. არა; ც. ნაწილობრივ; დ. ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 57. | <p><i>არის თუ არა ენა ინდივიდუალური მოვლენა?</i></p> <p>ა. დიახ; ბ. არა; ც. ნაწილობრივ; დ. ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 58. | <p><i>არის თუ არა ენა სოციალური მოვლენა?</i></p> <p>ა. დიახ; ბ. არა; ც. ნაწილობრივ; დ. ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 59. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. ენა ინდივიდუალური მოვლენაა; ბ. ენა ინდივიდუალური მოვლენა არ არის; ც. ინდივიდუალური მოვლენა არის მეტყველება; დ. ენაც ინდივიდუალური მოვლენაა და მეტყველებაც; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 60. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. მეტყველებაც ინდივიდუალური მოვლენაა და კომუნიკაციაც; ბ. კომუნიკაცია ინდივიდუალური მოვლენაა; ც. კომუნიკაცია ინდივიდუალური მოვლენა არ არის; დ. ინდივიდუალური მოვლენა არის მეტყველება; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |

| | |
|-------------------|--|
| <p>61.</p> | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. ენა იმიტომაა სოციალური მოვლენა, რომ მეტყველება არ არის სოციალური მოვლენა;</p> <p>ბ. ენა იმიტომაა სოციალური მოვლენა, რომ მეტყველებაა ინდივიდუალური მოვლენა;</p> <p>გ. ენას ადამიანი სოციალურ გარემოში ითვისებს, ასე რომ, ის სოციალური მოვლენაა;</p> <p>დ. ენა იმიტომაა სოციალური მოვლენა, რომ მეტყველება არ არის ინდივიდუალური მოვლენა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>62.</p> | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა. ენა ბიოლოგიური მოვლენა არ არის, მაგრამ მისი ცოდნისათვის გარკვეული ბიოლოგიური ფაქტორები აუცილებელია;</p> <p>ბ. ენა ბიოლოგიური მოვლენა არ არის, ასე რომ, მისი ცოდნისათვის არანაირი ბიოლოგიური ფაქტორები არ არის საჭირო;</p> <p>გ. ენის მიღება და შთამომავლობისათვის გადაცემა ხდება გენეტიკურად, ასე რომ, ის ბიოლოგიური მოვლენაა;</p> <p>დ. ენის მიღება და გადაცემა გენეტიკურად არ ხდება, თუმცა ის მაინც ბიოლოგიური მოვლენაა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>63.</p> | <p><i>ენა ბიოლოგიური მოვლენა არ არის ...</i></p> <p>ა. ამავე დროს ის არც სოციალური მოვლენაა;</p> <p>ბ. ასე რომ, ის სოციალური მოვლენაა;</p> <p>გ. ენა ბიოლოგიური მოვლენაცაა და სოციალურიც;</p> <p>დ. ენა არც ბიოლოგიური მოვლენაა და არც სოციალური;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>64.</p> | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა. ენაც და მეტყველებაც ორივე მატერიალურია;</p> <p>ბ. მეტყველება არც მატერიალურია და არც იდეალური (ფსიქიკური);</p> |

| | |
|-----|---|
| | <p>ვ. ენა მატერიალურია, მეტყველება - იდეალური (ფსიქიკურ-მენტალური);</p> <p>დ. პირიქით, მეტყველებაა მატერიალური, ხოლო ენა - იდეალური (ფსიქიკურ-მენტალური);</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 65. | <p><i>მეტყველების პროცესში სამეტყველო ნაკადის სემანტიკის (ნაწილების) გალაგება:</i></p> <p>ა. ვერტიკალურია;</p> <p>ბ. ჰორიზონტალურია;</p> <p>ვ. ჰორიზონტალურია, ისევე როგორც ენობრივი ელემენტებისა;</p> <p>დ. ჰორიზონტალურია, განსხვავებით ენობრივი ელემენტებისგან;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 66. | <p><i>ენა და მეტყველება ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ:</i></p> <p>ა. ენა ინდივიდუალური მოვლენაა, მეტყველება სოციალური;</p> <p>ბ. ენა მატერიალური მოვლენაა, მეტყველება იდეალური;</p> <p>ვ. ენა ბიოლოგიური მოვლენაა, მეტყველება არაბიოლოგიური;</p> <p>დ. მეტყველება სისტემაა, ენა - არა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 67. | <p><i>ენა და მეტყველება ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ:</i></p> <p>ა. ენა სოციალური მოვლენაა, მეტყველება არა;</p> <p>ბ. ენა მატერიალური მოვლენაა, მეტყველება იდეალური;</p> <p>ვ. ენა ბიოლოგიური მოვლენაა, მეტყველება არაბიოლოგიური;</p> <p>დ. ენა სისტემაა, მეტყველება - არა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 68. | <p><i>რა მიმართება აქვს ენას მეტყველებასთან?</i></p> <p>ა) ენას მეტყველებასთან კავშირი არ აქვს;</p> |

| | |
|-----|---|
| | <p>ბ) მეტყველება ენის გამოყენების პროცესია;</p> <p>ც) ენა და მეტყველება ერთი და იგივე მოვლენებია;</p> <p>დ) ენა მეტყველების სახეა;</p> <p>ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 69. | <p><i>ენის გამოყენებისათვის ...</i></p> <p>ა. მხოლოდ ფსიქიკური სივრცე საკმარისია;</p> <p>ბ. მხოლოდ ფსიქიკური სივრცე არ არის საკმარისი;</p> <p>ც. ფსიქიკურის გარდა აუცილებელია ფიზიოლოგიურ-ფიზიკური სივრცეებიც;</p> <p>დ. ფიზიოლოგიურ-ფიზიკური სივრცეები არ არის საჭირო;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 70. | <p><i>ენის გამოყენებისათვის ...</i></p> <p>ა. მხოლოდ ფიზიკური სივრცე საკმარისია;</p> <p>ბ. მხოლოდ ფიზიკური სივრცე არ არის საკმარისი;</p> <p>ც. ფიზიკურის გარდა გარდა აუცილებელია ფიზიოლოგიური და ფსიქიკური სივრცეებიც;</p> <p>დ. ფიზიოლოგიური და ფსიქიკური სივრცეები არ არის საჭირო;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 71. | <p>სამეტყველო ბგერა...</p> <p>ა. წარმოიქმნება ფიზიოლოგიურ სივრცეში;</p> <p>ბ. ფიზიოლოგიურ სივრცეში არ წარმოიქმნება;</p> <p>ც. ვრცელდება ფიზიკურ სივრცეში;</p> <p>დ. რომ გავრცელდეს, ამისთვის ფიზიკური სივრცე საერთოდ არ არის საჭირო;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 72. | <p><i>როგორც ფ. დე სოსიური წერს:</i></p> <p>ა. ენა და მეტყველება ერთი და იგივეა;</p> <p>ბ. ენა და მეტყველება ერთი და იგივე არ არის;</p> <p>ც. ენა და მეტყველება ქმნიან დიქტომას;</p> <p>დ. ენას მეტყველებასთან კავშირი არ აქვს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |

| | |
|--------------------------------|---|
| 73. | <p><i>როგორც ფ. დე სოსიური წერს:</i></p> <p>ა. ენა და მეტყველება სამეტყველო ქმედების კომპონენტებია;</p> <p>ბ. სამეტყველო ქმედება და ენა ერთი და იგივეა;</p> <p>ც. სამეტყველო ქმედებას და არც ენასთან აქვს კავშირი და არც მეტყველებასთან;</p> <p>დ. სამეტყველო ქმედებას ენასთან აქვს კავშირი, მეტყველებასთან არა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 74. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა. სიტყვას შეისწავლის მხოლოდ მორფოლოგია;</p> <p>ბ. სიტყვას შეისწავლის მხოლოდ ლექსიკოლოგია;</p> <p>ც. სიტყვას შეისწავლის მხოლოდ მორფემიკა;</p> <p>დ. სიტყვას შეისწავლის მორფემიკაც, მორფოლოგიაც და სინტაქსიც;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <i>ენა და აზროვნება</i> | |
| 75. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა. ენა ბიოლოგიური მოვლენაა;</p> <p>ბ. ენა ბიოლოგიური მოვლენა არ არის;</p> <p>ც. ენას ადამიანი გენეტიკურად იღებს და გადასცემს;</p> <p>დ. ენას ადამიანი გენეტიკურად არც იღებს და არც გადასცემს.</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 76. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა. ენასა და აზროვნებას შორის კავშირი არ არსებობს;</p> <p>ბ. ენა და აზროვნება ერთი და იგივე მოვლენებია;</p> <p>ც. ენა აზროვნების იარაღია;</p> <p>დ. აზროვნება ენის სახეა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 77. | <p><i>არის თუ არა განსხვავება პირველ და მეორე სასიგნალო სისტემებს შორის?</i></p> <p>ა. კი;</p> |

| | |
|------------|---|
| | <p>ბ. არა;</p> <p>ც. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია;</p> <p>დ. კითხვა არასწორად არის დასმული;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 78. | <p><i>რომელი სასიგნალო სისტემაა ენა?</i></p> <p>ა. პირველი;</p> <p>ბ. მეორე;</p> <p>ც. არც პირველია და არც მეორე;</p> <p>დ. პირველიცაა და მეორეც</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 79. | <p><i>მეორე სასიგნალო სისტემა არის:</i></p> <p>ა. ცენტრალური ნერვული სისტემა;</p> <p>ბ. სმენისა და მხედველობის ორგანოთა სისტემა;</p> <p>ც. ენობრივი სისტემა;</p> <p>დ. საჭმლის მომნელებელი სისტემა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 80. | <p><i>აქვთ თუ არა ცხოველებსა და ფრინველებს ხმოვანი სასიგნალო სისტემები?</i></p> <p>ა. კი;</p> <p>ბ. არა;</p> <p>ც. ცხოველებს აქვთ, ფრინველებს არა;</p> <p>დ. ფრინველებს აქვთ, ცხოველებს არა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 81. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა. ცხოველებს და ფრინველებს აქვთ ბგერითი საკომუნიკაციო სისტემები;</p> <p>ბ. ცხოველებს და ფრინველებს ბგერითი საკომუნიკაციო სისტემები არ აქვთ;</p> <p>ც. ბგერითი საკომუნიკაციო სისტემა აქვს მხოლოდ ადამიანს;</p> <p>დ. ბგერითი საკომუნიკაციო სისტემა აქვს ადამიანსაც.</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |

| | |
|----------------------------------|---|
| 82. | <p><i>როგორ გესმით ტერმინი „ცხოველთა ენა“?</i></p> <p>ა. ეს ისეთივე ენაა, როგორც ადამიანის ენა;</p> <p>ბ. ეს არის ცხოველთა სასიგნალო სისტემა, რომელიც არსებითად განსხვავდება ადამიანის ენისაგან;</p> <p>ც. ასეთი ტერმინი არ არსებობს;</p> <p>დ. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია.</p> |
| 83. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა. ენა აზროვნების იარაღია;</p> <p>ბ. ენა აზროვნების იარაღი არ არის;</p> <p>ც. ენა და აზროვნება ერთი და იგივეა;</p> <p>დ. ენა და აზროვნება ერთი და იგივე არ არის.</p> |
| 84. | <p><i>ენა არის:</i></p> <p>ა. აზროვნების იარაღი;</p> <p>ბ. აზროვნება;</p> <p>ც. მეტყველება;</p> <p>დ. ცნობიერება.</p> |
| <i>ფონეტიკა-ფონოლოგია</i> | |
| 85. | <p><i>რას შეისწავლის ფონეტიკა?</i></p> <p>ა. მეტყველების ნაწილებს;</p> <p>ბ. სიტყვის აგებულებას;</p> <p>ც. სიტყვის მნიშვნელობას;</p> <p>დ. სამეტყველო ბგერებს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 86. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. ჩიტის ჭიკჭიკი დანაწევრებული ბგერების ნაკადია, მეტყველება - არა;</p> <p>ბ. ჩიტის ჭიკჭიკიც დანაწევრებული ბგერების ნაკადია და მეტყველებაც;</p> <p>ც. არც ჩიტის ჭიკჭიკია დანაწევრებული ბგერების ნაკადი და არც მეტყველება;</p> <p>დ. მეტყველებაა დანაწევრებული ბგერების ნაკადი და არა ჩიტის ჭიკჭიკი;</p> <p>ე. ჩიტის ჭიკჭიკი საერთოდ არაა ბგერების ნაკადი.</p> |

| | |
|-------------------|--|
| <p>87.</p> | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. ჩვილი ბავშვის ლულლულიც და ჩიტის ჭიკჭიკიც დანაწევრებული ბგერების ნაკადია;</p> <p>ბ. არც ჩვილი ბავშვის ლულლულია დანაწევრებული ბგერების ნაკადი და არც ჩიტის ჭიკჭიკი;</p> <p>ც. ჩვილი ბავშვის ლულლული დანაწევრებული ბგერების ნაკადია. ჩიტის ჭიკჭიკი - არა;</p> <p>დ. ჩიტის ჭიკჭიკი უფროა დანაწევრებული ბგერების ნაკადი, ვიდრე ჩვილი ბავშვის ლულლული;</p> <p>ე. ჩვილი ბავშვის ლულლულს ჩიტის ჭიკჭიკთან უფრო აქვს საერთო, ვიდრე მეტყველებასთან.</p> |
| <p>88.</p> | <p><i>ფრაზა, ტაქტი, ფონეტიკური სიტყვა, მარცვალი და სამეტყველო ბგერა...</i></p> <p>ა. ენობრივი სისტემის ერთეულებია;</p> <p>ბ. სამეტყველო ნაკადის სეგმენტებია;</p> <p>ც. ენობრივი სისტემის ერთეულებიცაა და სამეტყველო ნაკადის სეგმენტებიც;</p> <p>დ. სამეტყველო ნაკადის ზესეგმენტური ელემენტებია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>89.</p> | <p><i>ფრაზის შესაბამის ენობრივ ერთეულად ...</i></p> <p>ა. შეიძლება ჩაითვალოს წინადადება;</p> <p>ბ. შეიძლება ჩაითვალოს ფონემა;</p> <p>ც. ფონემა არც ითვლება და ვერც ჩაითვლება;</p> <p>დ. ვერც წინადადება ვერ ჩაითვლება;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>90.</p> | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. მახვილი და ინტონაცია მეტყველების სეგმენტური ელემენტებია;</p> <p>ბ. არც მახვილია მეტყველების სეგმენტური ელემენტი და არც ინტონაცია;</p> <p>ც. მახვილი სეგმენტური ელემენტია, ინტონაცია - არა;</p> <p>დ. ინტონაციაა სეგმენტური, და არა მახვილი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |

| | |
|-------------------|---|
| <p>91.</p> | <p><i>ტაქტი (სინტაგმა) მეტყველებაში დაახლოებით იგივეა, რაც ...</i></p> <p>ა. ენაში შესიტყვება;</p> <p>ბ. ენაში წინადადება;</p> <p>ც. ტექსტი;</p> <p>დ. ენაში ფონემა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>92.</p> | <p><i>მეტყველების პროცესში ფონეტიკური ხერხების მეშვეობით უფრო მეტი გამორჩევის მიზნით ამა თუ იმ ერთეულის (ძირითადად სიტყვის ან მარცვლის) გამოყოფას ეწოდება:</i></p> <p>ა. მარცვალი;</p> <p>ბ. ფრაზა;</p> <p>ც. მახვილი;</p> <p>დ. სამეტყველო ბგერა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>93.</p> | <p><i>მელოდიკის, ხმის ინტენსივობის და ხანგრძლივობის, მეტყველების ტემპის და პაუზების სისტემის ერთიანობას, რომელთა მეშვეობითაც იქმნება ფრაზა, ეწოდება:</i></p> <p>ა. მარცვალი;</p> <p>ბ. ინტონაცია;</p> <p>ც. მახვილი;</p> <p>დ. სამეტყველო ბგერა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>94.</p> | <p><i>ფონეტიკა შეისწავლის ...</i></p> <p>ა. სამეტყველო ბგერებს;</p> <p>ბ. ფონემებს;</p> <p>ც. არც ფონემებს და არც მორფემებს;</p> <p>დ. მეტყველების ნაწილებს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>95.</p> | <p><i>ტერმინები:</i></p> <p>ა. „ფუნქციური ფონეტიკა“ და „ფონოლოგია“ სინონიმები;</p> |

| | |
|-----|---|
| | <p>ბ. „ფუნქციური ფონეტიკა“ და „ფონოლოგია“ სინონიმები არ არის;</p> <p>ც. „არტიკულაციური ფონეტიკა“ და „ფონოლოგია“ სინონიმები არ არის;</p> <p>დ. „არტიკულაციური ფონეტიკა“ და „ფონოლოგია“ სინონიმებია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 96. | <p><i>სამეტყველო ბგერის წარმოთქმის საკითხი ფონეტიკას:</i></p> <p>ა. აახლოებს ფიზიკასთან;</p> <p>ბ. აახლოებს ქიმიასთან;</p> <p>ც. აახლოებს ფიზიოლოგიასთან;</p> <p>დ. აახლოებს ფიზიკასთანაც და ფიზიოლოგიასთანაც;</p> <p>ე. არც ფიზიკასთან აახლოებს და არც ფიზიოლოგიასთან.</p> |
| 97. | <p><i>ტერმინები „აკუსტიკური ფონეტიკა“ და ...</i></p> <p>ა. „არტიკულაციური ფონეტიკა“ სინონიმებია;</p> <p>ბ. „არტიკულაციური ფონეტიკა“ სინონიმები არ არის;</p> <p>ც. „ფუნქციური ფონეტიკა“ სინონიმებია;</p> <p>დ. „ფუნქციური ფონეტიკა“ სინონიმები არ არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 98. | <p><i>ტერმინები „სამეტყველო აპარატი“ და „საარტიკულაციო ბაზისი“...</i></p> <p>ა. სინონიმებია;</p> <p>ბ. სინონიმები არ არის;</p> <p>ც. სინონიმები არ არის, რადგან სამეტყველო აპარატი უნივერსალურია, საარტიკულაციო ბაზისი – არა;</p> <p>დ. სინონიმები არ არის, რადგან საარტიკულაციო ბაზისი უნივერსალურია, სამეტყველო აპარატი - არა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 99. | <p><i>აკუსტიკური ფონეტიკა სწავლობს:</i></p> <p>ა. სამეტყველო ბგერის ფუნქციებს;</p> <p>ბ. სამეტყველო ბგერის წარმოთქმის მექანიზმს;</p> <p>ც. სამეტყველო ბგერას როგორც ფიზიკურ სხეულს;</p> |

| | |
|-------------|---|
| | <p>დ. ბგერათა ცვლას სამეტყველო ნაკადში;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 100. | <p><i>ბგერათა არტიკულაციური დახასიათებისას განვიხილავთ:</i></p> <p>ა. ბგერის ფიზიკურ ნიშნებს;</p> <p>ბ. ბგერის ფუნქციებს;</p> <p>ც. ბგერის წარმოთქმის მექანიზმს;</p> <p>დ. ბგერის შედგენილობას;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 101. | <p><i>ბგერათა აკუსტიკური დახასიათებისას განვიხილავთ:</i></p> <p>ა. ბგერის ფიზიკურ ნიშნებს;</p> <p>ბ. ბგერის ფუნქციებს;</p> <p>ც. ბგერის წარმოთქმის ადგილს;</p> <p>დ. ბგერის წარმოთქმის რაგვარობას;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 102. | <p><i>სამეტყველო ბგერების წარმოქმნაში მონაწილეობას იღებს:</i></p> <p>ა. მხოლოდ ულტრაბგერები;</p> <p>ბ. მხოლოდ ინფრაბგერები;</p> <p>ც. ულტრაბგერებიც და ინფრაბგერებიც;</p> <p>დ. ულტრაბგერებიც;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 103. | <p><i>ჩურჩული არის</i></p> <p>ა. მაღალი ბგერების ნაკადი;</p> <p>ბ. დაბალი ბგერების ნაკადი;</p> <p>ც. ძლიერი ბგერების ნაკადი;</p> <p>დ. სუსტი ბგერების ნაკადი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 104. | <p><i>ყვირილი არის</i></p> <p>ა. მაღალი ბგერების ნაკადი;</p> <p>ბ. დაბალი ბგერების ნაკადი;</p> <p>ც. ძლიერი ბგერების ნაკადი;</p> <p>დ. სუსტი ბგერების ნაკადი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი;</p> |

| | |
|-------------|--|
| | |
| 105. | <p><i>1500 ჰერცი სიხშირის ტალღებისაგან წარმოქმნილი ბგერა არის:</i></p> <p>ა. მაღალი ბგერა; ბ. დაბალი ბგერა; ც. ძლიერი ბგერა; დ. სუსტი ბგერა; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 106. | <p><i>10 ჰერცი სიხშირის ტალღებისაგან წარმოქმნილი ბგერა ...</i></p> <p>ა. შეუძლებელია იყოს სამეტყველო ბგერა; ბ. შესაძლებელია იყოს სამეტყველო ბგერა; ც. არის ინფრაბგერა; დ. არის ულტრაბგერა; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 107. | <p><i>27000 ჰერცის სიხშირის ტალღებისაგან წარმოქმნილი ბგერა</i></p> <p>ა. შეუძლებელია იყოს სამეტყველო ბგერა; ბ. შესაძლებელია იყოს სამეტყველო ბგერა; ც. არის ინფრაბგერა; დ. არის ულტრაბგერა; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 108. | <p><i>ადამიანის ყური აღვიქვამს ...</i></p> <p>ა. ნებისმიერი სიხშირის ბგერებს; ბ. მხოლოდ გარკვეული სიხშირის ბგერებს; ც. ულტრაბგერებსაც და ინფრაბგერებსაც; დ. ულტრაბგერებს, ინფრაბგერებს - კი; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 109. | <p><i>ტალღების სიხშირის მიხედვით მამაკაცის და ქალის ხმის წარმოთქმის დიაპაზონები...</i></p> <p>ა. ემთხვევა ერთმანეთს; ბ. ემთხვევა ერთმანეთს, ალქმის დიაპაზონი - არა; ც. არ ემთხვევა ერთმანეთს, ალქმის დიაპაზონი - კი; დ. ემთხვევა ერთმანეთს, ისევე როგორც ალქმის</p> |

| | |
|------|---|
| | <p>დიაპაზონი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 110. | <p><i>მამაკაცის ყურს შეუძლია აღიქვას ...</i></p> <p>ა. ულტრაბგერები, ქალის ყურს - არა;</p> <p>ბ. ინფრაბგერები, ქალის ყურს - არა</p> <p>ც. ინფრაბგერებიც და ულტრაბგერებიც, ქალის ყურს - არა;</p> <p>დ. ინფრაბგერებიც და ულტრაბგერებიც, ისევე როგორც ქალის ყურს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 111. | <p><i>მამაკაცის მაღალი სიხშირის ხმა არის:</i></p> <p>ა. სოპრანო, მსგავსად ქალის ხმისა;</p> <p>ბ. ტენორი, განსხვავებით ქალის ხმისგან;</p> <p>ც. ტენორი, მსგავსად ქალის ხმისა;</p> <p>დ. დისკანტი, განსხვავებით ბავშვის ხმისგან;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 112. | <p><i>შემოხაზეთ ერთი და იმავე დიაპაზონის სხშირის ხმათა ჩამონათვალი:</i></p> <p>ა. სოპრანო, ალტი, ტენორი</p> <p>ბ. მეცოსოპრანო, ბანი. ტენორი;</p> <p>ც. ტენორი, დისკანტი, სოპრანო;</p> <p>დ. მეცოსოპრანო, ალტი, ბარიტონი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 113. | <p><i>ბგერათა ფუნქციური დახასიათებისას ვადგენთ:</i></p> <p>ა. ბგერის ფიზიკურ ნიშნებს;</p> <p>ბ. ბგერის ფუნქციებს,</p> <p>ც. ბგერის წარმოთქმის მექანიზმს;</p> <p>დ. ბგერის შედგენილობას;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 114. | <p><i>რისგან შეიძლება შედგებოდეს თანხმოვანი ბგერა?</i></p> <p>ა. მარტო ტონისაგან;</p> <p>ბ. მარტო ჩქამისაგან;</p> <p>ც. ერთდროულად ტონისა და ჩქამისაგან;</p> |

| | |
|-------------|--|
| | <p>დ. არც ტონისგან, არც ჩქამისგან;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 115. | <p><i>ყრუ თანხმოვანი შედგება:</i></p> <p>ა. მართო ტონისაგან;</p> <p>ბ. მართო ჩქამისაგან;</p> <p>ც. ერთდროულად ტონისა და ჩქამისაგან;</p> <p>დ. არც ტონისგან, არც ჩქამისგან;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 116. | <p><i>მჟღერი თანხმოვანი შედგება:</i></p> <p>ა. მართო ტონისაგან;</p> <p>ბ. მართო ჩქამისაგან;</p> <p>ც. ერთდროულად ტონისა და ჩქამისაგან;</p> <p>დ. არც ტონისგან, არც ჩქამისგან;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 117. | <p><i>სონორული მჟღერი თანხმოვნები იმით განსვავდება და- ნარჩენი მჟღერი თანხმოვნებისაგან, რომ ისინი შედგება:</i></p> <p>ა. მართო ტონისაგან;</p> <p>ბ. მართო ჩქამისაგან;</p> <p>ც. ერთდროულად ტონისა და ჩქამისაგან;</p> <p>დ. არც ტონისგან, არც ჩქამისგან;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 118. | <p><i>რისგან არ შეიძლება შედგებოდეს ხმოვანი ბგერა?</i></p> <p>ა. მართო ტონისაგან;</p> <p>ბ. ერთდროულად ტონისა და ჩქამისაგან;</p> <p>ც. არც ტონისგან, არც ჩქამისგან;</p> <p>დ. მართო ჩქამისგან;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 119. | <p><i>რა არ არის ყრუ თანხმოვანი ბგერაში?</i></p> <p>ა. ტონი;</p> <p>ბ. ჩქამი;</p> <p>ც. არც ტონი, არც ჩქამი;</p> <p>დ. ჩქამი, ტონი არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |

| | |
|--------------------|--|
| <p>120.</p> | <p><i>მუღერ თანხმობან ბგერაში არის ...</i></p> <p>ა. ტონი;</p> <p>ბ. ჩქამიც;</p> <p>ც. ტონიც;</p> <p>დ. არც ტონისგან, არც ჩქამისგან;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>121.</p> | <p><i>სამეტყველო ბგერის სიმაღლე:</i></p> <p>ა. დამოკიდებულია ტალღების რხევის სიხშირეზე;</p> <p>ბ. ტალღების რხევის სიხშირესთან დაკავშირებული არ არის;</p> <p>ც. დამოკიდებულია ტალღის ამპლიტუდაზე;</p> <p>დ. ტალღის ამპლიტუდაზე დამოკიდებული არ არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>122.</p> | <p><i>სამეტყველო ბგერის ძალა ...</i></p> <p>ა. დამოკიდებულია ტალღების რხევის სიხშირეზე;</p> <p>ბ. ტალღების რხევის სიხშირესთან დაკავშირებული არ არის;</p> <p>ც. დამოკიდებულია ტალღის ამპლიტუდაზე;</p> <p>დ. ბგერის ძალა ტალღის ამპლიტუდაზე დამოკიდებული არ არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>123.</p> | <p><i>რეზონანსი (ანუ გამოხმაურება) ...</i></p> <p>ა. ქმნის ბგერის ტემბრს;</p> <p>ბ. ქმნის არა ბგერის ტემბრს, არამედ სიმაღლეს;</p> <p>ც. ბგერის ტემბრსაც ქმნის და სიმაღლესაც;</p> <p>დ. არ ქმნის არც ბგერის ტემბრს და არც ბგერის სიმაღლეს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>124.</p> | <p><i>სამეტყველო აპარატში რეზონატორის როლს ასრულებს;</i></p> <p>ა. პირის ღრუ;</p> <p>ბ. სახმო სიმები;</p> <p>ც. ფილტვები;</p> <p>დ. ცხვირის ღრუც;</p> |

| | |
|-------------|--|
| | ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი |
| 125. | <i>მჟღერი თანხმოვანი</i> ა. შედგება მარტო ჩქამისგან; ბ. მარტო ჩქამისგან არ შედგება; ც. შედგება ტონისგანაც; დ. მჟღერ თანხმოვანში ტონი არ არის; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 126. | <i>სონორული მჟღერი თანხმოვანი იმით განსხვავდება არა-სონორული მჟღერისგან, რომ ...</i> ა. ის შედგება მარტო ტონისგან, მჟღერი - ჩქამისგან; ბ. ის შედგება ტონისგანაც; ც. მჟღერ თანხმოვანში არის ჩქამიც; დ. მასში არც ტონია, არც ჩქამი; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 127. | <i>ქართული თანხმოვანი [ჯ], ისევე როგორც რუსული [Ж], არის ...</i> ა. ხშული; ბ. ნაპრალოვანი; ც. ხშულ-ნაპრალოვანი; დ. ნარნარა; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 128. | <i>ქართული თანხმოვანი [ჟ], ისევე როგორც რუსული [Ж], არის:</i> ა. მჟღერი, იმიტომ რომ მასში არის ჩქამიც; ბ. ყრუ, იმიტომ რომ მასში არის ტონიც; ც. მჟღერი, იმიტომ რომ მასში ჩქამი არ არის; დ. ყრუ, იმიტომ რომ მასში ტონი არ არის; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 129. | <i>ქართული ბგერა [ო], ისევე როგორც ინგლისური და რუსული [O] არის ხმოვანი, იმიტომ რომ...</i> ა. ის შედგება ტონისგანაც; ბ. მასში ჩქამი არ არის; ც. ის შედგება მარტო ტონისგან; |

| | |
|-------------|--|
| | <p>დ. ის შედგება ტონისგანაც და ჩქამისგანაც;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 130. | <p><i>მეტყველების ინდივიდუალურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი არის ის, რომ ...</i></p> <p>ა. ადამიანები სხვადასხვა სიმაღლის ბგერებს წარმოთქვამენ;</p> <p>ბ. ადამიანები სხვადასხვა სიძლიერის ბგერებს წარმოთქვამენ;</p> <p>გ. ადამიანებს განსხვავებული აგებულების სამეტყველო აპარატები აქვთ;</p> <p>დ. ადამიანთა სამეტყველო აპარატი ერთნაირი აგებულებისაა, მაგრამ ინდივიდუალურადაა მოწყობილი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 131. | <p><i>მოცემულია სამეტყველო ბგერები: ქართული [ჩ], ინგლისური [D] და რუსული [B] „ბ“; „გ“. ისინი ...</i></p> <p>ა. ყრუ თანხმოვნებია;</p> <p>ბ. წინა რიგის და მაღალი აწეულობის ხმოვნებია;</p> <p>გ. სონორული თანხმოვნებია;</p> <p>დ. საერთოდ არ არიან თანხმოვნები;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 132. | <p><i>თანხმოვანი [ზ] არის:</i></p> <p>ა. ხშული;</p> <p>ბ. ნაპრალოვანი;</p> <p>გ. ხშულ-ნაპრალოვანი;</p> <p>დ. ნარნარა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 133. | <p><i>ჩამოთვლილ ქართულ თანხმოვანთაგან ფშვინიერებია:</i></p> <p>ა. [ბ]; [დ]; [გ];</p> <p>ბ. [ბ]; [პ]; [მ]</p> <p>გ. [ფ]; [თ]; [ქ];</p> <p>დ. [ლ]; [მ]; [ი];</p> <p>ე. არცერთი მათგანი</p> |

| | |
|--------------------|--|
| <p>134.</p> | <p><i>ჩამოთვლილ ქართულ თანხმოვანთაგან ყელხშულები ანუ აბრუპტივებია:</i></p> <p>ა. [პ]; [ტ]; [კ]; ბ. [წ]; [ჭ]; [ყ] ც. [ფ]; [თ]; [ქ]; დ. [ძ]; [ზ]; [ს]; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>135.</p> | <p><i>ქართული თანხმოვანი [ჯ] ...</i></p> <p>ა. არის წინაენისმიერ-კბილისმიერი; ბ. არის წინაენისმიერ-ნუნისმიერი; ც. არის უკანაენისმიერ-უკანასასისმიერი; დ. არ არის უკანაენისმიერ-უკანასასისმიერი; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>136.</p> | <p><i>ქართული თანხმოვანი [შ]:</i></p> <p>ა. არის წინაენისმიერ-კბილისმიერი; ბ. არ არის წინაენისმიერ-ნუნისმიერი; ც. არის უკანაენისმიერ-უკანასასისმიერი; დ. არ არის უკანაენისმიერ-უკანასასისმიერი; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>137.</p> | <p><i>ქართული თანხმოვნები [ფ]-[თ]-[ქ] არის:</i></p> <p>ა. ყრუ თანხმოვნები, იმიტომ რომ მათში არის ტონი; ბ. მჟღერი თანხმოვნები, იმიტომ რომ მათში არის ჩქამიც; ც. ყელხშული ანუ მკვეთრი თანხმოვნები, იმიტომ რომ მათში არის ფშვინვა; დ. ფშვინიერი თანხმოვნები, იმიტომ რომ მათში არ არის ტონი; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>138.</p> | <p><i>მოცემულია ქართული თანხმოვნები [ბ]-[პ]-[ფ], მათგან წარმოთქმის ადგილის მიხედვით:</i></p> <p>ა. სამივე კბილ-ბაგისმიერებია; ბ. მარტო ერთია კბილ-ბაგისმიერი; ც. ორია კბილ-ბაგისმიერი; დ. არც ერთი არ არის კბილ-ბაგისმიერი;</p> |

| | |
|-------------|--|
| | ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 139. | <i>მოცემულია ქართული თანხმოვნები [გ]-[ქ]-[ვ], მათგან:</i> ა. სამივე ყრუა; ბ. ნაწილი ყრუა; ც. არც ერთი არ არის ყრუ; დ. მარტო ერთია ყრუ; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 140. | <i>მოცემულია ქართული თანხმოვნები [დ]-[ტ]-[თ], მათგან წარმოთქმის რაგვარობის მიხედვით ...</i> ა. სამივე წყვილ-ბაგისმიერებია; ბ. ერთი წყვილ-ბაგისმიერია; ც. ორია კბილ-ბაგისმიერი; დ. არც ერთი არ არის კბილბაგისმიერი; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 141. | <i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i> ა. სამეტყველო ბგერა ვიცი, ფონემას წარმოვთქვამ; ბ. ფონემა ვიცი, სამეტყველო ბგერას წარმოვთქვამ; ც. არც სამეტყველო ბგერას წარმოვთქვამ და არც ფონემას; დ. სამეტყველო ბგერასაც წარმოვთქვამ და ფონემასაც; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 142. | <i>ერთი ბგერის მიერ მეორის დამსგავსება არის</i> ა. ასიმილაცია; ბ. დისიმილაცია; ც. ეპენტეზა; დ. დიერეზა; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 143. | <i>ერთი ბგერისაგან მეორის განმსგავსება არის ...</i> ა. ასიმილაცია; ბ. დისიმილაცია; ც. ეპენტეზა; დ. დიერეზა; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |

| | |
|---------------------|--|
| 144. | <p>რუსულ სიტყვებში: Д[O]М - Д[А]МОЙ ვხვდებით:</p> <p>ა. ასიმილაციას;</p> <p>ბ. დისიმილაციას;</p> <p>ც. რედუქციას;</p> <p>დ. დიერეზას;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| ლექსიკოლოგია | |
| 145. | <p>ენათმეცნიერების რომელი დარგი შეისწავლის სიტყვათა მარაგს?</p> <p>ა. ფონეტიკა;</p> <p>ბ. ლექსიკოლოგია;</p> <p>ც. მორფოლოგია;</p> <p>დ. სინტაქსი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 146. | <p>ენობრივი სისტემის ცენტრალურ ერთეულად ითვლება ...</p> <p>ა. მორფემა, რადგან სიტყვა მორფემებისაგან შედგება;</p> <p>ბ. ფონემა, რადგან ის ენის ყველა დანარჩენი ელემენტის საშენი მასალაა;</p> <p>ც. სიტყვა, რადგან ის მნიშვნელობის მქონე დამოუკიდებელი, კვლავწარმოებადი ენობრივი ერთეულია, რომლის გარეშეც დანარჩენი ენობრივი ერთეულები ვერ იარსებებენ;</p> <p>დ. წინადადება, რადგან ის შეგება სიტყვებისგან;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 147. | <p>ტერმინში -</p> <p>ა. „ლექსის“ - იგულისხმება სიტყვათა მარაგი;</p> <p>ბ. „ლექსიკა“ - იგულისხმება სიტყვა;</p> <p>ც. „ლექსიკოგრაფია“ - იგულისხმება ენის ლექსიკური ფონდის შემსწავლელი ლინგვისტური დარგი;</p> <p>დ. „ლექსიკოლოგია“ - იგულისხმება ლექსიკონების შედგენა, სალექსიკონო მუშაობა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 148. | შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი |

| | |
|-------------|---|
| | <p>ა. ენათმეცნიერებაში სიტყვის განმარტების პრობლემა დიდი ხანია გადაწყვეტილია;</p> <p>ბ. სამეტყველო ნაკადში სიტყვის ამოცნობა ადვილია, სიტყვის ერთმნიშვნელოვანი განმარტება კი ვერ ხერხდება;</p> <p>გ. სამეტყველო ნაკადში სიტყვის ამოცნობა შეუძლებელია, სიტყვის ერთმნიშვნელოვანი განმარტება კი სირთულეს არ წარმოადგენს;</p> <p>დ. სიტყვის სამეტყველო ნაკადში ამოცნობაც პრობლემაა და სიტყვის ერთმნიშვნელოვანი განმარტებაც;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 149. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. მოტივოლოგია საგანზე სახელის დარქმევის მოტივების შემსწავლელი ლინგვისტური დარგია;</p> <p>ბ. ეტიმოლოგია სიტყვების წარმოშობის და ისტორიის შემსწავლელი ლინგვისტური დარგია;</p> <p>გ. ონომასიოლოგია და სემასიოლოგია გრამატიკის დარგებია;</p> <p>დ. ონომასიოლოგია და სემასიოლოგია გრამატიკის კი არა, ლექსიკოლოგიის დარგებია;</p> <p>ა. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 150. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ბ. მოტივოლოგიას საგანზე სახელის დარქმევის მოტივი საერთოდ არ აინტერესებს;</p> <p>გ. ეტიმოლოგიას სიტყვების წარმოშობასა და ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები საერთოდ არ აინტერესებს;</p> <p>დ. ონომასიოლოგიას და სემასიოლოგიას ლექსიკოლოგიასთან საერთოდ არ აქვთ შეხება;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 151. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა. სიტყვა მორფემისაგან განსხვავდება იმიტომ, რომ სიტყვა დამოუკიდებელი ერთეულია, მორფემა სიტყვის</p> |

| | |
|--------------------|---|
| | <p>შემადგენელი ნაწილი;</p> <p>ბ. სიტყვა მორფემისაგან განსხვავდება იმით, რომ მორფემა დამოუკიდებელი ერთეულია, სიტყვა კი არა;</p> <p>ც. არც სიტყვაა დამოუკიდებელი ენობრივი ერთეული და არც მორფემა, თუმცა სიტყვა მორფემისაგან მაინც განსხვავდება;</p> <p>დ. არც სიტყვაა დამოუკიდებელი ენობრივი ერთეული და არც მორფემა, ასე რომ სიტყვა მორფემისაგან არ განსხვავდება;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>152.</p> | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა. სიტყვა ფონემისგან განსხვავდება იმით, რომ ფონემა მნიშვნელობის მქონე ერთეულია, სიტყვა არა;</p> <p>ბ. სიტყვა ფონემისგან განსხვავდება იმით, რომ ფონემა დამოუკიდებელი ერთეულია და ის სიტყვებისაგან შედგება;</p> <p>ც. არც სიტყვაა მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეული და არც ფონემა, ასე რომ სიტყვა ფონემისაგან არ განსხვავდება;</p> <p>დ. არც სიტყვაა მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეული და არც ფონემა, თუმცა სიტყვა ფონემისაგან მაინც განსხვავდება;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>153.</p> | <p><i>სიტყვა ...</i></p> <p>ა. განსხვავდება ფონემისაგან და არა წინადადებისაგან;</p> <p>ბ. არც ფონემისაგან განსხვავდება და არც წინადადებიდან;</p> <p>ც. არ განსხვავდება არც წინადადებისგან, არც მორფემისგან, არც ფონემისგან;</p> <p>დ. განსხვავდება წინადადებისგანაც, ფონემისგანაც და მორფემისაგანაც;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |

| | |
|--------------------|--|
| <p>154.</p> | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. სიტყვის შინაარსის პლანს ქმნის მნიშვნელობა; ბ. სიტყვის შინაარსის პლანს ქმნის ბგერათკომპლექსი; ც. სიტყვას არც გამოხატვის პლანი აქვს და არც შინაარსის პლანი; დ. სიტყვას აქვს გამოხატვის პლანიც და შინაარსის პლანიც; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>155.</p> | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. სიტყვის გამოხატვის პლანს ქმნის მნიშვნელობა; ბ. სიტყვის გამოხატვის პლანს ქმნის ბგერათკომპლექსი; ც. სიტყვას აქვს არა გამოხატვის, არამედ მხოლოდ შინაარსის პლანი; დ. სიტყვას აქვს არა შინაარსის, არამედ მხოლოდ გამოხატვის პლანი; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>156.</p> | <p><i>წინადადებაში სიტყვათა და ლექსებათა რაოდენობა:</i></p> <p>ა. ყოველთვის ემთხვევა ერთმანეთს; ბ. ყოველთვის შეიძლება არ დაემთხვეს ერთმანეთს; ც. არასდროს არ ემთხვევა ერთმანეთს; დ. შეუძლებელია ერთმანეთს არ დაემთხვეს; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>157.</p> | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. ლექსიკოლოგიისთვის სიტყვა ლექსემაა; ბ. ლექსიკოლოგიისთვის სიტყვა ლექსემა კი არა სიტყვაფორმაა; ც. სიტყვაფორმას ლექსიკოლოგია სიტყვად არ თვლის; დ. სიტყვაფორმა ლექსიკოლოგიის კვლევის ობიექტია და არა მორფოლოგიის; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>158.</p> | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. სიტყვის ლექსიკური და გრამატიკული</p> |

| | |
|-------------|---|
| | <p>მნიშვნელობები ერთმანეთისაგან არ განსხვავდება;</p> <p>ბ. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ინდივიდუალურია, გრამატიკული კი ზოგადი;</p> <p>გ. სიტყვის გრამატიკული მნიშვნელობა ინდივიდუალურია, ლექსიკური კი ზოგადი;</p> <p>დ. არც გრამატიკული მნიშვნელობაა ზოგადი და არც ლექსიკური;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 159. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. ლექსიკური მნიშვნელობა აღნიშნავს მიმართებას სიტყვისა საგანთან;</p> <p>ბ. ლექსიკური მნიშვნელობა აღნიშნავს მიმართებას სიტყვისა სიტყვასთან;</p> <p>გ. გრამატიკული მნიშვნელობა აღნიშნავს მიმართებას სიტყვისა საგანთან;</p> <p>დ. გრამატიკული მნიშვნელობა აღნიშნავს მიმართებას სიტყვისა სიტყვასთან;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 160. | <p><i>ტერმინებს ...</i></p> <p>ა. „ლექსემა“ და „ლექსა“ ერთმანეთთან ისეთივე მიმართება აქვთ, როგორც ტერმინებს „სემემა“ და „სემა“;</p> <p>ბ. „ლექსემა“ და „ლექსა“ ერთმანეთთან იგივე მიმართება აქვთ, როგორც ტერმინებს „სემემა“ და „სემა“;</p> <p>გ. ტერმინები „ლექსემა“, „ლექსა“, „სემემა“ და „სემა“ ლექსიკოლოგიური ტერმინებია;</p> <p>დ. ტერმინები „ლექსემა“, „ლექსა“, „სემემა“ და „სემა“ ლექსიკოლოგიური ტერმინები არ არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 161. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა იქმნება ცნების საფუძველზე;</p> <p>ბ. სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას ცნებასთან კავშირი</p> |

| | |
|------|---|
| | <p>არ აქვს;</p> <p>ვ. ცნება უნივერსალურია, საერთოა ყველასთვის, ლექსიკური მნიშვნელობა კი საერთოა კონკრეტული ენისათვის;</p> <p>დ. ლექსიკური მნიშვნელობა უნივერსალურია, საერთოა ყველასთვის, ცნება კი საერთოა კონკრეტული ენისათვის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 162. | <p><i>სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა და ცნება ...</i></p> <p>ა. ყოველთვის ემთხვევა ერთმანეთს;</p> <p>ბ. არასდროს ემთხვევა ერთმანეთს;</p> <p>ვ. ზოგჯერ ერთმანეთს ემთხვევა;</p> <p>დ. შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 163. | <p><i>“ფოსტალიონმა წერილი ფოსტაში წაიღო” - სიტყვა „წაიღო“ ამ წინადადებაში გამოყენებულია:</i></p> <p>ა. პირდაპირი მნიშვნელობით;</p> <p>ბ. გადატანითი მნიშვნელობით;</p> <p>ვ. არც პირდაპირი, არც გადატანითი მნიშვნელობით;</p> <p>დ. როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 164. | <p><i>“მეზობელმა წერილი წაიღო (‘გარდაიცვალა’)” - სიტყვა „წაიღო“ ამ წინადადებაში გამოყენებულია:</i></p> <p>ა. პირდაპირი მნიშვნელობით;</p> <p>ბ. გადატანითი მნიშვნელობით;</p> <p>ვ. არც პირდაპირი, არც გადატანითი მნიშვნელობით;</p> <p>დ. როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 165. | <p><i>ენის ლექსიკური ფონდის დალაგება შესაძლებელია ცალკეულ ქვესისტემებად, რაც იმის მაჩვენებელია, რომ:</i></p> <p>ა. წინადადება სიტყვებისაგან შედგენილი სისტემაა;</p> |

| | |
|-------------|---|
| | <p>ბ. სიტყვა მორფემებისაგან შედგენილი სისტემაა;</p> <p>ც. მორფემა ფონემებისაგან შედგენილი სისტემაა;</p> <p>დ. თვით ენის ლექსიკა სისტემაა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 166. | <p><i>სიტყვის: „უნივერსიტეტი“ გვერდით ლაგდება სიტყვები:</i> <i>„პროფესორი“, „ლექტორი“, „ლექცია“, „სემინარი“,</i> <i>„დეკანატი“, „რექტორი“, „ჩათვლა“, „გამოცდა“ და ა.შ.,</i> <i>მასაშადამე:</i></p> <p>ა. წინადადება შესიტყვებებისგან შედგენილი სისტემაა;</p> <p>ბ. სიტყვა მორფემებისაგან შედგენილი სისტემაა;</p> <p>ც. ტექსტი წინადადებებისგან შედგენილი სისტემაა;</p> <p>დ. ენის ლექსიკა სისტემაა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 167. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა. ენის ლექსიკის სისტემურობის პრინციპით შედგენილია ანბანური ლექსიკონები;</p> <p>ბ. ანბანური ლექსიკონები ენის ლექსიკის სისტემურობას ვერ ასახავს;</p> <p>ც. ენის ლექსიკის სისტემურობის პრინციპით ხდება თემატური ლექსიკონების შედგენა;</p> <p>დ. ვერც თემატური ლექსიკონები ასახავს ენის ლექსიკის სისტემურობას;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 168. | <p><i>ენის ლექსიკური ფონდის მეტყველების ნაწილებად დალაგება ...</i></p> <p>ა. ენის ლექსიკის სისტემურობის შედეგია;</p> <p>ბ. ენის ლექსიკის სისტემურობას არ უკავშირდება;</p> <p>ც. რომ არ მომხდარიყო, ენის გამოყენება მნიშვნელოვნად გართულდებოდა;</p> <p>დ. რომ არ მომხდარიყო, ენას მაინც უპრობლემოდ გამოვიყენებთ;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 169. | <p><i>„დათვი ცხოველია“, „არწივი ფრინველია“, „კალმახი</i></p> |

| | |
|-------------|---|
| | <p><i>თევზია“ და ა.შ. - ამ წყვილებში სიტყვები დალაგებულია ...</i></p> <p>ა. ომონიმური მიმართებების მიხედვით;</p> <p>ბ. სინონიმური მიმართებების მიხედვით;</p> <p>ც. ანტონიმური მიმართებების მიხედვით;</p> <p>დ. ჰიპერო-ჰიპონიმური მიმართებების მიხედვით;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 170. | <p><i>პარადიგმატული ურთიერთმიმართებების საფუძველზე ხდება სიტყვათა დალაგება:</i></p> <p>ა. მეტყველების ნაწილებად;</p> <p>ბ. სტილისტურ ფენებად;</p> <p>ც. ცალკეულ პარადიგმებად;</p> <p>დ. თემატურ ჯგუფებად;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 171. | <p><i>„გოგრა და კვახი“, „კომში და ბია“, „ლამაზი და მშვენიერი“, „ფელამუში და თათარა“, „სულელი და აბდალი“ - ამ წყვილებში სიტყვები დალაგებულია ...</i></p> <p>ა. მეტყველების ნაწილებად;</p> <p>ბ. სინონიმებად;</p> <p>ც. ომონიმებად;</p> <p>დ. ანტონიმებად;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 172. | <p><i>პარადიგმებს: „აბგა - ხურჯინი - ჩანთა“; „სიცილი - ხარხარი-კისკისი“ - ქმნიან:</i></p> <p>ა. ომონიმები;</p> <p>ბ. ანტონიმები;</p> <p>ც. სემანტიკური სინონიმები;</p> <p>დ. სტილისტური სინონიმები;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 173. | <p><i>პარადიგმებს: „ლინგვისტიკა- ენათმეცნიერება“; „ანბანი- ალფაბეტი“- ქმნიან:</i></p> <p>ა. ომონიმები;</p> <p>ბ. ანტონიმები;</p> |

| | |
|-------------|--|
| | <p>ვ. აბსოლუტური სინონიმები;</p> <p>დ. სემანტიკურ-სტილისტური სინონიმები;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 174. | <p>პარადიგმას - „გაბრაზება - გაცოფება“ - ქმნიან:</p> <p>ა. ანტონიმები;</p> <p>ბ. ომონიმები;</p> <p>ვ. აბსოლუტური სინონიმები;</p> <p>დ. სემანტიკურ-სტილისტური სინონიმები;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 175. | <p>პარადიგმებს: ტუჩი (ნეიტრ.) - ბაგე (პოეტ.); чело(პოეტ.) - ლიხ(ნეიტრ.) - ქმნიან:</p> <p>ა. სემანტიკური სინონიმები;</p> <p>ბ. ომონიმები;</p> <p>ვ. სტილისტური სინონიმები;</p> <p>დ. ანტონიმები;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 176. | <p>პარადიგმებს: „მკვდარი - ცოცხალი“, „უცოლშვილო - ცოლშვილიანი“, „შეიძლება - არ შეიძლება“ - ქმნიან:</p> <p>ა. აბსოლუტური სინონიმები;</p> <p>ბ. სემანტიკურ-სტილისტური სინონიმები;</p> <p>ვ. კომპლომენტალური ანტონიმები;</p> <p>დ. გრადუალური ანტონიმები;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 177. | <p>პარადიგმებს: „დიდი - პატარა“, „ახალგაზრდა - მოხუცი“, ქმნიან:</p> <p>ა. სემანტიკურ-სტილისტური სინონიმები;</p> <p>ბ. აბსოლუტური სინონიმები;</p> <p>ვ. გრადუალური ანტონიმები;</p> <p>დ. კომპლომენტალური ანტონიმები;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 178. | <p>სიტყვები: ბაბუაწვერა, მრავალძარღვა, გულწითელა, ბოლოქანქარა, გუგული, სასადილო, სამასწავლებლო და ა.შ. - ერთ ჯგუფში მოხვდნენ იმიტომ რომ ისინი:</p> |

| | |
|-------------|--|
| | <p>ა. ომონიმებია;</p> <p>ბ. სინონიმებია;</p> <p>ც. მოტივირებული სიტყვებია;</p> <p>დ. არამოტივირებული სიტყვებია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 179. | <p><i>საყოველთაო-სალიტერატურო ლექსიკას ქმნის:</i></p> <p>ა. ჟარგონიზმები და არგოტიზმები;</p> <p>ბ. სტილისტურად ნეიტრალური სიტყვები;</p> <p>ც. ე.წ. „დაბალი“ სტილის სიტყვები;</p> <p>დ. მდაბიოთა ლექსიკა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 180. | <p>სიტყვები: <i>ხე, ქვა, ძმა, კლდე, გ ზა და ა.შ</i> - ერთ ჯგუფში მოხვდნენ იმიტომ რომ ისინი:</p> <p>ა. ომონიმებია;</p> <p>ბ. სინონიმებია;</p> <p>ც. მოტივირებული სიტყვებია;</p> <p>დ. არამოტივირებული სიტყვებია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 181. | <p><i>ნეოლოგიზმები, ისტორიზმები და არქაიზმები ქმნიან ...</i></p> <p>ა. ენის აქტიურ ლექსიკას;</p> <p>ბ. ენის პასიურ ლექსიკას;</p> <p>ც. მხოლოდ სასაუბრო ლექსიკას;</p> <p>დ. მხოლოდ საყოველთაო-სალიტერატურო ლექსიკას;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 182. | <p><i>„სამასვალი პავროტში ზადნიხოდით მოდიოდა“ - ამ წინადადებაში ოთხიდან სამი სიტყვა</i></p> <p>ა. არქაიზმებია;</p> <p>ბ. ბარბარიზმებია;</p> <p>ც. არ არის ნეოლოგიზმები;</p> <p>დ. ისტორიზმებია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 183. | <p><i>ფრაზეოლოგია ...</i></p> <p>ა. შეისწავლის მყარ შესიტყვებებს;</p> |

| | |
|------|--|
| | <p>ბ. მყარ შესიტყვეებებს არ შეისწავლის;</p> <p>ც. შეისწავლის ნებისმიერი სახის შესიტყვეებებს;</p> <p>დ. ფრაზეოლოგია შეისწავლის მეტყველების ნაწილებს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 184. | <p>ტერმინი „ფრაზეოლოგიზმი“ ...</p> <p>ა) იგივეა, რაც ტერმინი <i>ფრაზემა</i>;</p> <p>ბ) იგივეა, რაც ტერმინი <i>ფრაზა</i>;</p> <p>ც) იგივე არ არის, რაც ტერმინი <i>იდიომა</i>;</p> <p>დ) <i>იგივეა, რაც თავისუფალი შეიტყვება</i>;</p> <p>ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 185. | <p>პარემიოლოგია და ფრაზეოლოგია ...</p> <p>ა) ერთნაირად შეისწავლიან ყველა სახის ფრაზეოლოგიზმებს;</p> <p>ბ) ყველა სახის ფრაზეოლოგიზმებს ერთნაირად არ შეისწავლიან;</p> <p>ც) ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებიან, ისინი აბსოლუტური სინონიმები არიან;</p> <p>დ) იგივეა, რაც იდიომატიკა;</p> <p>ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 186. | <p>შემოხაზეთ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ემთხვევიან შესიტყვებას</p> <p>ა) თავგმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო;</p> <p>ბ) ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად;</p> <p>ც) ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერო;</p> <p>დ) სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების;</p> <p>ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 187. | <p>შემოხაზეთ ფრაზეოლოგიური შენაზარდები</p> <p>ა) რუბიკონი გადალახა;</p> <p>ბ) ჩაილულის წყალი დალია;</p> <p>ც) არც ღვინოა, არც წყალი;</p> <p>დ) არც გაიქცევა, არც წაიქცევა;</p> <p>ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |

| | <i>გრამატიკა (მორფოლოგია)</i> |
|-------------|--|
| 188. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა. მორფოლოგიას სიტყვის გრამატიკას უწოდებენ. სინტაქსს კი – შესიტყვების და წინადადებისა გრამატიკას;</p> <p>ბ. მორფოლოგიას შესიტყვების გრამატიკას უწოდებენ, სინტაქსს კი – სიტყვის გრამატიკას;</p> <p>ც. სინტაქსს სიტყვის გრამატიკას უწოდებენ. მორფოლოგიას კი – შესიტყვების და წინადადების გრამატიკას;</p> <p>დ. მორფოლოგიას არც შესიტყვების გრამატიკას უწოდებენ და არც წინადადების გრამატიკას;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 189. | <p><i>ჰომოგენური (მსგავსი) მორფოლოგიური მნიშვნელობების ერთობლიობა ქმნის ...</i></p> <p>ა. მორფოლოგიურ პარადიგმას;</p> <p>ბ. მორფოლოგიურ კატეგორიას;</p> <p>ც. ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით ორივეს ერთად;</p> <p>დ. ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით არც ერთ მათგანს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი;</p> |
| 190. | <p><i>ტერმინები „ფრაზეოლოგია“ და ...</i></p> <p>ა. „მორფოლოგია“ სინონიმებია;</p> <p>ბ. „ლექსიკოლოგია“ სინონიმებია;</p> <p>ც. „ფრაზეოლოგია“ სინონიმებია;</p> <p>დ. „სინტაქსი“ სინონიმებია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 191. | <p><i>სიტყვის გარეგან ფორმას ქმნის ...</i></p> <p>ა. სიტყვის ბგერითი გარსი;</p> <p>ბ. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა;</p> <p>ც. სიტყვის გრამატიკული მნიშვნელობა;</p> <p>დ. ცნება;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |

| | |
|--------------------|--|
| <p>192.</p> | <p><i>გრამატიკა შეისწავლის:</i></p> <p>ა. სიტყვათა ფორმაცვალებადობასა და ერთმანეთთან შეკავშირების წესებს;</p> <p>ბ. ენის სიტყვათა მარაგს;</p> <p>ც. სამეტყველო ბგერებს;</p> <p>დ. სიტყვის ფორმებს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>193.</p> | <p><i>ენათმეცნიერების რომელი დარგი შეისწავლის სიტყვას?</i></p> <p>ა. ლექსიკოლოგიაც და მორფოლოგიაც;</p> <p>ბ. მხოლოდ ლექსიკოლოგია;</p> <p>ც. მხოლოდ მორფოლოგია,</p> <p>დ. არც ლექსიკოლოგია და არც მორფოლოგია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>194.</p> | <p><i>ჰომოგენური (მსგავსი) სიტყვაფორმების ერთობლიობა ქმნის ...</i></p> <p>ა. მორფოლოგიურ პარადიგმას;</p> <p>ბ. მორფოლოგიურ კატეგორიას;</p> <p>ც. ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით ორივეს ერთად;</p> <p>დ. ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით არც ერთ მათგანს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>195.</p> | <p><i>დროის გრამატიკული კატეგორია ...</i></p> <p>ა. აქვს ზმნას;</p> <p>ბ. აქვს მხოლოდ ზმნას;</p> <p>ც. აქვს სახელსაც;</p> <p>დ. სახელს არ აქვს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>196.</p> | <p><i>პირის გრამატიკული კატეგორია ...</i></p> <p>ა. აქვს ზმნას;</p> <p>ბ. აქვს ზმნასაც;</p> <p>ც. აქვს მხოლოდ ზმნას;</p> <p>დ. არსებით სახელსაც;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |

| | |
|--------------------|--|
| <p>197.</p> | <p><i>ენათმეცნიერების რომელი დარგი შეისწავლის სახელთა ბრუნებას?</i></p> <p>ა. ფონეტიკა; ბ. ლექსიკოლოგია; ც. მორფოლოგია; დ. გრამატიკა; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>198.</p> | <p><i>ფორმაცვალებადობითი კატეგორიები..</i></p> <p>ა. მორფოლოგიური კატეგორიებია; ბ. სინტაქსური კატეგორიებია; ც. არც მორფოლოგიური კატეგორიებია და არც სინტაქსური; დ. მორფოლოგიური კატეგორიებიცაა და სინტაქსურიც; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>199.</p> | <p><i>ფორმაცვალებადობითი კატეგორიებია:</i></p> <p>ა. არსებითი სახელის სქესი (რუსულში, გერმანულში, ინგლისურში); ბ. სახელის ბრუნვა და რიცხვი; ც. ზმნის პირი და რიცხვი; დ. არსებითი სახელის სულიერება-უსულოობა; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>200.</p> | <p><i>ენათმეცნიერების რომელი დარგი შეისწავლის სიტყვის ფორმაცვალებადობას?</i></p> <p>ა. აფონეტიკა; ბ. ლექსიკოლოგია; ც. მორფოლოგია; დ. სინტაქსი; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>201.</p> | <p><i>გრამატიკული კატეგორია არის:</i></p> <p>ა. ოპოზიციური გრამატიკული მნიშვნელობების ერთობლიობა; ბ. ერთგვარი გრამატიკული მნიშვნელობების გამომხატველ სიტყვაფორმათა ერთობლიობა;</p> |

| | |
|-------------|--|
| | <p>ვ. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობების ერთობლიობა;</p> <p>დ. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის კომპონენტების ერთობლიობა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 202. | <p><i>სიტყვაფორმები ...</i></p> <p>ა. ერთი და იმავე სიტყვის (ლექსემის) ფორმებია;</p> <p>ბ. ერთი და იმავე სიტყვის (ლექსემის) ფორმები არ არის;</p> <p>ვ. ერთი და იმავე სიტყვის (ლექსემის) ფორმები კი არა, სხვადასხვა ლექსემებია;</p> <p>დ. სიტყვაფორმები სხვადასხვა ლექსემები არ არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 203. | <p><i>სიტყვა, ცალკე აღებული, ...</i></p> <p>ა. წინადადების წევრია, ხოლო წინადადებაში - მეტყველების ნაწილი;</p> <p>ბ. ისევე, როგორც წინადადებაში - მეტყველების ნაწილია;</p> <p>ვ. ისევე როგორც წინადადებაში, წინადადების წევრია;</p> <p>დ. არც წინადადების წევრია და არც მეტყველების ნაწილი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 204. | <p><i>გრამატიკული, კერძოდ, მორფოლოგიური მნიშვნელობა ერთიანებს...</i></p> <p>ა. ლექსემებს;</p> <p>ბ. ლექსემებსაც;</p> <p>ვ. სიტყვაფორმებს;</p> <p>დ. შესიტყვებებს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 205. | <p><i>არსებითი სახელის სქესი (გერმანულში, ფრანგულში) ...</i></p> <p>ა. წმინდა მორფოლოგიური კატეგორიაა;</p> <p>ბ. ლექსიკური კატეგორიაა;</p> <p>ვ. ლექსიკური კატეგორიაცაა;</p> <p>დ. ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორიაა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |

| | |
|--------------------|---|
| <p>206.</p> | <p><i>ენის სიტყვათა მარაგი მეტყველების ნაწილებად დაყოფილია ...</i></p> <p>ა. მორფოლოგიური კრიტერიუმის საფუძველზე;</p> <p>ბ. სინტაქსური კრიტერიუმის საფუძველზე;</p> <p>ც. სემანტიკური კრიტერიუმის საფუძველზე;</p> <p>დ. არა მხოლოდ მორფოლოგიური კრიტერიუმის საფუძველზე;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>207.</p> | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა. გრამატიკული მნიშვნელობა იგივეა, რაც გრამატიკული ფორმა;</p> <p>ბ. გრამატიკული მნიშვნელობა და გრამატიკული ფორმა ერთი და იგივე არ არის;</p> <p>ც. სიტყვაფორმა იგივეა, რაც სიტყვის გრამატიკული გრამატიკული ფორმა;</p> <p>დ. სიტყვაფორმა და სიტყვის გრამატიკული ფორმა ერთი და იგივე არ არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>208.</p> | <p><i>გრამატიკული პარადიგმა არის:</i></p> <p>ა. ერთგვარი გრამატიკული მნიშვნელობების ერთობლიობა;</p> <p>ბ. ერთგვარი გრამატიკული მნიშვნელობების გამომხატველ სიტყვაფორმათა ერთობლიობა;</p> <p>ც. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობების ერთობლიობა;</p> <p>დ. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის კომპონენტების ერთობლიობა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>209.</p> | <p><i>გრამატიკული პარადიგმა ...</i></p> <p>ა. სიტყვის შემადგენელი ნაწილების ერთობლიობაა;</p> <p>ბ. ერთნაირი ან მსგავსი მნიშვნელობების მქონე სიტყვათა ერთობლიობაა;</p> <p>ც. ერთმანეთის საპირისპირო მნიშვნელობების მქონე სიტყვათა ერთობლიობაა;</p> |

| | |
|-------------|---|
| | <p>დ.ერთნაირი ან მსგავის ჟღერადობის სიტყვათა ერთობლიობა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| | <i>მორფემიკა და დერივატოლოგია</i> |
| 210. | <p><i>მორფემიკა ...</i></p> <p>ა. შეისწავლის სიტყვის აგებულებას;</p> <p>ბ. მორფემიკა სწავლობს სიტყვის ფორმებს;</p> <p>ც. სიტყვის ფორმებს სწავლობს მორფოლოგია;</p> <p>დ. შესიტყვეების აგებულებასაც შეისწავლის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 211. | <p><i>ტერმინები „მორფემიკა“ და</i></p> <p>ა. „მორფოლოგია“ სინონიმებია;</p> <p>ბ. „მორფოლოგია“ სინონიმები არ არის;</p> <p>ც. „სინტაქსი“ სინონიმები არ არის;</p> <p>დ. „სინტაქსი“ სინონიმებია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 212. | <p><i>სიტყვის დაშლა შეიძლება:</i></p> <p>ა. მხოლოდ მორფემებად;</p> <p>ბ. მორფემებადაც;</p> <p>ც. მორფემებად;</p> <p>დ. მარცვლებად;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 213. | <p><i>სიტყვის შემადგენლობაში მნიშვნელობის მქონე უმცირეს, მინიმალურ ერთეულს რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ან ლექსიკური, ან მორფოლოგიური მნიშვნელობა, ეწოდება ...</i></p> <p>ა. მარცვალი;</p> <p>ბ. მორფემა;</p> <p>ც. სამეტყველო ბგერა;</p> <p>დ. ფონება;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 214. | <p><i>გრამატიკულ მორფემას, რომელიც გამოხატავს სრულმნიშვნელობიან სიტყვებს შორის მიმართებებს და</i></p> |

| | |
|-------------|---|
| | <p>გრამატიკულ კატეგორიებს ან აწარმოებს ახალ სიტყვებს, ეწოდება</p> <p>ა. სიტყვის ფორმა; ბ. სიტყვის ძირი; ც. სიტყვის ფუძე; დ. აფიქსი; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 215. | <p>სართი, მორფემა, დამხმარე მნიშვნელობის მქონე მინიმალური მორფოლოგიური ერთეული, რომელიც დაერთვის სიტყვის ძირს ან ფუძეს და ასრულებს სიტყვაწარმოებით ან ფორმაწარმოებით ფუნქციას</p> <p>ა. სიტყვის ფორმა; ბ. სიტყვის ძირი; ც. აფიქსი; დ. სიტყვის ფუძე; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 216. | <p>ლექსიკური მნიშვნელობის გამომხატველ მორფემას, რომელიც აღარ იშლება მასზე უფრო მცირე მორფემად, ეწოდება....</p> <p>ა) თავსართი; ბ) ბოლოსართი; ც) ძირი; დ) ფუძე; ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 217. | <p>ლექსიკური მნიშვნელობის გამომხატველ მორფემაა ...</p> <p>ა) თავსართი; ბ) ძირი ც) ბოლოსართი დ) ფუძე ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 218. | <p>სახელის ნაწილს, რომელსაც დაბოლოებები დაერთვის, ეწოდება ...</p> <p>ა) თავსართი;</p> |

| | |
|-------------|---|
| | <p>ბ) ძირი;</p> <p>ც) ბოლოსართი;</p> <p>დ) სუფიქსი;</p> <p>ე) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 219. | <p><i>მორფემას, რომელიც ცვლის სიტყვის გრამატიკულ ფორმას და მნიშვნელობას, ეწოდება ...</i></p> <p>ა. სუფიქსი;</p> <p>ბ. ფლექსია;</p> <p>ც. ინფიქსი</p> <p>დ. დაბოლოება;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 220. | <p><i>ტერმინს „ფლექსია“ ხშირად აიგივებენ ტერმინთან ...</i></p> <p>ა. ფუძე;</p> <p>ბ. თავსართი;</p> <p>ც. დაბოლოება;</p> <p>დ. სუფიქსი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 221. | <p><i>ფლექსია...</i></p> <p>ა. ყოველთვის დაბოლოებაა;</p> <p>ბ. ყოველთვის არ არის დაბოლოება;</p> <p>ც. ზოგჯერ დაბოლოებაცაა;</p> <p>დ. არასდროს არ არის დაბოლოება;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 222. | <p><i>ტერმინი „სიტყვაწარმოება“ და „სიტყვაქმნალობა“</i></p> <p>ა. სინონიმებია;</p> <p>ბ. არ არის სინონიმები;</p> <p>ც. არ შეიძლება არ იყოს სინონიმები;</p> <p>დ. ზოგჯერ ითვლება სინონიმებად, რაც არასწორია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 223. | <p><i>„ახალი სიტყვების წარმოქმნა უკვე არსებული ენობრივი მასალის საფუძველზე და დახმარებით“ - ეს არ არის ...</i></p> <p>ა. სიტყვაქმნალობა;</p> <p>ბ. სიტყვაწარმოება;</p> |

| | |
|-------------|--|
| | <p>ც. სიტყვის ფორმის ცვლა;</p> <p>დ. ბრუნება;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 224. | <p>„ახალი სიტყვების წარმოქმნა ბგერათა კომბინაციებისაგან, რომლებიც ენაში ჯერ კიდევ არ არსებობს, როგორც მნიშვნელობის მატარებელი ელემენტები (ნიშნები) და რომლის დროსაც წარმოიქმნება ახალი ძირი“ - ეს არის:</p> <p>ა. სიტყვის ფორმის ცვლა;</p> <p>ბ. სიტყვაქმნადობა;</p> <p>ც. სიტყვაწარმოება;</p> <p>დ. აფიქსაცია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 225. | <p>ტერმინში - „მორფოლოგიური დერივაცია“ - მოიაზრება</p> <p>ა. ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოება;</p> <p>ბ. ახალი ძირის წარმოება;</p> <p>ც. სიტყვის ფორმის წარმოება;</p> <p>დ. ახალი გრამატიკული მნიშვნელობის წარმოება;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 226. | <p>ტერმინში - „ლექსიკური დერივაცია“ - მოიაზრება</p> <p>ა. ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოება;</p> <p>ბ. ახალი ძირის წარმოება;</p> <p>ც. სიტყვის ფორმის წარმოება;</p> <p>დ. ახალი გრამატიკული მნიშვნელობის წარმოება;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| | გრამატიკა (სინტაქსი) |
| 227. | <p>შესიტყვებას ქმნის ...</p> <p>ა. ერთი მეორისადმი დაქვემდებარებული ორი სიტყვა;</p> <p>ბ. ორი თანაბარუფლებიანი სიტყვა;</p> <p>ც. სიტყვათა წყვილი, რომელშიც ორივე სიტყვა მთავარია;</p> <p>დ. სიტყვათა წყვილი, რომელშიც ორივე სიტყვა დამოკიდებულია;</p> |

| | |
|-------------|--|
| | ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 228. | <i>სინტაქსი ...</i> ა. ლექსიკოლოგიის დარგია; ბ. გრამატიკის დარგი არ არის; ც. მორფოლოგიის დარგია; დ. ფონეტიკის დარგია; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 229. | <i>წინადადების წევრი ...</i> ა. იგივეა, რაც მეტყველების ნაწილი; ბ. და მეტყველების ნაწილი ერთი და იგივე არ არის; ც. და მეტყველების ნაწილი სიტყვის შემადგენელი ნაწილებია; დ. და მეტყველების ნაწილი სიტყვის ნაწილები კი არა სიტყვებია; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 230. | <i>წინადადებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია</i> ა. ნომინაციურობა; ბ. პრედიკაციულობა; ც. კომუნიკაციურობა; დ. პრედიკაციულობაც და კომუნიკაციურობაც; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 231. | <i>სინტაქსი შეისწავლის ...</i> ა. სიტყვათა შეკავშირების წესებს; ბ. ენის სიტყვათა მარაგს; ც. სიტყვათა ფორმაცვალებადობას; დ. სამეტყველო ბგერებს; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 232. | <i>„სიტყვათა ისეთი დაქვემდებარება, როცა ერთი სიტყვა მეორისგან მოითხოვს ფორმას, რომელიც მას ან მოცემულ შემთხვევაში არ აქვს, ან საერთოდ არ გააჩნია“ - არის...</i> ა. შეთანხმება; ბ. მართვა; ც. მირთვა; |

| | |
|-------------|--|
| | <p>დ. კოორდინაცია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 233. | <p>„სიტყვათა ისეთი დაქვემდებარება, როცა დამოკიდებული სიტყვა იმ ფორმას იღებს, რომელიც აქვს მთავარს“ - არის ...</p> <p>ა. შეთანხმება;</p> <p>ბ. მართვა;</p> <p>ც. მირთვა;</p> <p>დ. კოორდინაცია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 234. | <p>„სიტყვათა ისეთი დაქვემდებარება, როცა მთავარი სიტყვა დამოკიდებულს მხოლოდ შინაარსობრივად იქვემდებარებს და არა ფორმოზობრივად“</p> <p>ა. შეთანხმება;</p> <p>ბ. მართვა;</p> <p>ც. მირთვა;</p> <p>დ. კოორდინაცია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 235. | <p>ქვემდებარესა და შემასმენელს შორის კავშირს ...</p> <p>ა. ერთმნიშვნელოვნად უწოდებენ შეთანხმებას;</p> <p>ბ. ერთმნიშვნელოვნად უწოდებენ მართვას;</p> <p>ც. ერთმნიშვნელოვნად ვერც მართვას უწოდებენ და ვერც შეთანხმებას;</p> <p>დ. თავისი სირთულის გამო უწოდეს კოორდინაცია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 236. | <p>წინადადადების გრამატიკულ საფუძველი ეწოდება ...</p> <p>ა. ქვემდებარე-განსაზღვრების წყვილს;</p> <p>ბ. დამატება-განსაზღვრების წყვილის;</p> <p>ც. შემასმენელ - ირიბი დამატების წყვილს;</p> <p>დ. შემასმენელ-პირდაპირი დამატების წყვილს</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 237. | <p>„სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომელიც გამოხატავს დასრულებულ აზრს“. ეს ...</p> |

| | |
|-------------|--|
| | <p>ა. არის შესიტყვების განმარტება;</p> <p>ბ. არ არის წინადადების განმარტება;</p> <p>ც. არის სინტაგმის განმარტება;</p> <p>დ. არის ტაქტის განმარტება;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 238. | <p><i>„წინადადებას აქვს თვისება იყოს დასრულებული აზრის გამოხატვისა და გადაცემის უმთავრესი საშუალება“ - ამ დებულებაში საუბარია წინადადების ...</i></p> <p>ა. ნომინაციურობაზე;</p> <p>ბ. კომუნიკაციურობაზე;</p> <p>ც. პრედიკაციულობაზე;</p> <p>დ. როგორც კომუნიკაციურობაზე, ისე პრედიკაციულობაზე;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 239. | <p><i>მარტივი და რთული წინადადებები გამოიყოფა ...</i></p> <p>ა. მოდალობის მიხედვით;</p> <p>ბ. შინაარსის მიხედვით;</p> <p>ც. აგებულების მიხედვით;</p> <p>დ. როგორც მოდალობის, ისე შინაარსის მიხედვით;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 240. | <p><i>ქართული წინადადება: „გათენდა თუ არა, ცისკრის ვარსკვლავი ნელ-ნელა ჩაქრა“- არის ...</i></p> <p>ა. მარტივი;</p> <p>ბ. რთული თანწყობილი;</p> <p>ც. რთული ქვეწყობილი;</p> <p>დ. რთული;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 241. | <p><i>ქართული წინადადება: „გათენდა, ცისკრის ვარსკვლავი ნელ-ნელა ჩაქრა“- არის ...</i></p> <p>ა. მარტივი;</p> <p>ბ. რთული თანწყობილი;</p> <p>ც. რთული ქვეწყობილი;</p> |

| | |
|-------------|---|
| | <p>დ. რთული კავშირიანი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 242. | <p><i>წინადადების შემადგენელ კომპონენტებს, რომლებიც გამოხატულია მნიშვნელობის მქონე სიტყვით ან შესიტყვებებით და ასრულებენ კონკრეტულ სინტაქსურ ფუნქციას“, ეწოდება ...</i></p> <p>ა. აქტანტები;</p> <p>ბ. წინადადები წევრები;</p> <p>გ. აქტანტებიც და წინადადების წევრებიც;</p> <p>დ. არც აქტანტები და არც წინადადების წევრები;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 243. | <p><i>ქვემდებარე და გარემოებები წინადადების...</i></p> <p>ა. მთავარი წევრებია;</p> <p>ბ. დამოკიდებული წევრებია;</p> <p>გ. აქტანტებია;</p> <p>დ. აქტანტებიცაა და მთავარი წევრებიც;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 244. | <p><i>იმ პირებისა და საგნების აღმნიშვნელ სახელებს, რომლებიც წინადადებაში ამა თუ იმ სახით მონაწილეობენ ზმნით გადმოცემულ მოქმედებაში, უწოდებენ...</i></p> <p>ა. აქტანტებს;</p> <p>ბ. წინადადები წევრებს;</p> <p>გ. აქტანტებსაც და წინადადების წევრებსაც;</p> <p>დ. არც აქტანტებს და არც წინადადების წევრებს;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 245. | <p><i>აქტანტებად და სირკოსტანტებად წინადადებას ყოფენ ...</i></p> <p>ა. სემანტიკური სინტაქსის მიხედვით;</p> <p>ბ. ტრადიციული სინტაქსის მიხედვით;</p> <p>გ. ლოგიცისტური მიდგომის მიხედვით;</p> <p>დ. სტრუქტურული მიდგომის მიხედვით</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |

| | დამწერლობა |
|-------------|---|
| 246. | <p><i>დამწერლობა ...</i></p> <p>ა. უკვე გამოხატული აზრის გრაფიკულად დაფიქსირების საშუალებაა;</p> <p>ბ. აზრის გამოხატვის საშუალებაა;</p> <p>გ. არც აზრის გამოხატვის საშუალებაა და არც აზრის დაფიქსირების საშუალებაა;</p> <p>დ. აზრის გამოხატვის საშუალებაა და დაფიქსირების საშუალებაც;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 247. | <p><i>დამწერლობა ...</i></p> <p>ა. გაჩნდა ბგერით ენასთან ერთად;</p> <p>ბ. ბგერით ენასთან ერთად არ გაჩენილა;</p> <p>გ. გაჩნდა ბგერითი ენის წარმოშობის შემდეგ;</p> <p>დ. ბგერითი ენის წარმოშობამდე ვერ გაჩნდებოდა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 248. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. ჯერ ბგერითი ენა წარმოიშვა, შემდეგ კი დამწერლობა;</p> <p>ბ. ჯერ დამწერლობა გაჩნდა და შემდეგ კი ბგერითი ენა;</p> <p>გ. ბგერითი ენა და დამწერლობა ერთდროულად ჩამოყალიბდა;</p> <p>დ. შეუძლებელია იმის მტკიცება, ბგერითი ენა გაჩნდა პირველად თუ დამწერლობა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 249. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა. ჯერ ანბანური დამწერლობა გაჩნდა, შემდეგ პიქტოგრაფიული;</p> <p>ბ. ჯერ პიქტოგრაფიული დამწერლობა გაჩნდა, შემდეგ ანბანური;</p> <p>გ. ანბანური და ფიქტოგრაფიული დამწერლობები ერთდროულად გაჩნდა;</p> <p>დ. ანბანური და ფიქტოგრაფიული დამწერლობები ერთდროულად არ გაჩენილა;</p> |

| | |
|-------------|---|
| | ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 250. | <i>უძველესი დამწერლობის ნიმუშები ...</i> ა. აღმოჩენილია ყველა კონტინენტზე; ბ. ყველა კონტინენტზე არ არის აღმოჩენილი; ც. აღმოჩენილია აფრიკის კონტინენტზეც; დ. უძველესი დამწერლობის ნიმუშები აღმოჩენილია ამერიკის კონტინენტზეც; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 251. | <i>ყველაზე ძველია ...</i> ა. შუმერული და ძველევგვიპტური დამწერლობა; ბ. ძველი ჩინური დამწერლობა; ც. მაიას ტომის დამწერლობა; დ. ძველი ჩინური დამწერლობა ყველაზე ძველი არ არის; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 252. | <i>დამწერლობა შემოიღეს:</i> ა. ეგვიპტელებმა; ბ. ბერძნებმა; ც. ფინიკიელებმა; დ. შუმერებმა; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 253. | <i>ვინ შექმნა პირველი ანბანი?</i> ა. ეგვიპტელებმა; ბ. ბერძნებმა; ც. ფინიკიელებმა; დ. შუმერებმა; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 254. | <i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი ...</i> ა. ანბანური დამწერლობა შემოიღეს ეგვიპტელებმა; ბ. პიქტოგრაფიული დამწერლობა შემოიღეს ბერძნებმა; ც. იდეოგრაფიული დამწერლობა ფინიკიელებს არ შემოუღიათ; დ. ანბანური დამწერლობა შუმერებს არ შემოუღიათ; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |

| | |
|--------------------|---|
| <p>255.</p> | <p><i>პირველი სრულყოფილი ანბანი ...</i></p> <p>ა. შექმნეს ეგვიპტელებმა;</p> <p>ბ. შექმნეს ბერძნებმა;</p> <p>ც. ფინიკიელებს არ შეუქმნიათ;</p> <p>დ. შუმერებს არ შეუქმნიათ;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>256.</p> | <p><i>კონსონანტური ანბანი ...</i></p> <p>ა. შექმნეს ეგვიპტელებმა;</p> <p>ბ. შექმნეს ბერძნებმა;</p> <p>ც. ფინიკიელებს არ შეუქმნიათ;</p> <p>დ. შუმერებს არ შეუქმნიათ;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>257.</p> | <p><i>ვინ შექმნა პირველი სრულყოფილი ანბანი, რომელშიც იყო ხმოვნებიც და თანხმოვნებიც?</i></p> <p>ა. შუმერებმა;</p> <p>ბ. ბერძნებმა;</p> <p>ც. ფინიკიელებმა;</p> <p>დ. ჩინელებმა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>258.</p> | <p><i>ფინიკიური ანბანი ...</i></p> <p>ა. კონსონანტური იყო;</p> <p>ბ. არ იყო კონსონანტური;</p> <p>ც. სონანტურ-კონსონანტური იყო;</p> <p>დ. კონსონანტურიც იყო;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>259.</p> | <p><i>ბერძნული ანბანი ...</i></p> <p>ა. კონსონანტური იყო;</p> <p>ბ. არ იყო კონსონანტური;</p> <p>ც. სონანტურ-კონსონანტური იყო;</p> <p>დ. სონანტურიც იყო;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>260.</p> | <p><i>ხატოვანი დამწერლობა</i></p> <p>ა. იგივეა, რაც პიქტოგრაფიული დამწერლობა;</p> |

| | |
|-------------|---|
| | <p>ბ. და პიქტოგრაფიული დამწერლობა ერთი და იგივე არ არის;</p> <p>ც. იგივეა, რაც ანბანური დამწერლობა;</p> <p>დ. და ანბანური დამწერლობა ერთი და იგივე არ არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 261. | <p><i>ხატოვანი დამწერლობა ...</i></p> <p>ა. იგივეა, რაც ე. წ. საგნობრივი დამწერლობა;</p> <p>ბ. და ე. წ. საგნობრივი დამწერლობა ერთი და იგივე არ არის;</p> <p>ც. იგივეა, რაც იეროგლიფური დამწერლობა;</p> <p>დ. და იეროგლიფური დამწერლობები ერთი და იგივე არ არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 262. | <p><i>ე. წ. საგნობრივი დამწერლობა ...</i></p> <p>ა. ანბანურია;</p> <p>ბ. ანბანური დამწერლობა არ არის;</p> <p>ც. არც იეროგლიფური დამწერლობა არ არის;</p> <p>დ. საერთოდ არ არის დამწერლობა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 263. | <p><i>მღაზიის სარეკლამო აბრა ზე ფეხსაცმლის ნახატი ...</i></p> <p>ა. პიქტოგრაფიული დამწერლობის ნიმუშია;</p> <p>ბ. პიქტოგრაფიული დამწერლობის ნიმუში არ არის;</p> <p>ც. ე. წ. საგნობრივი დამწერლობის ნიმუშია;</p> <p>დ. საგნობრივი დამწერლობის ნიმუში არ არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 264. | <p><i>მღაზიის ვიტრინაში გამოფენილი ფეხსაცმელი</i></p> <p>ა. პიქტოგრაფიული დამწერლობის ნიმუში არ არის;</p> <p>ბ. ე. წ. საგნობრივი დამწერლობის ნიმუშია;</p> <p>ც. იდეოგრაფიული დამწერლობის ნიმუში არ არის;</p> <p>დ. ე. წ. საგნობრივი დამწერლობის ნიმუში არ არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 265. | <p><i>თანამედროვე საგზაო ნიშანი-ნახატები ...</i></p> <p>ა. პიქტოგრაფიული დამწერლობის ნიმუშებია;</p> |

| | |
|-------------|---|
| | <p>ბ. პიქტოგრაფიული დამწერლობის ნიმუშები არ არის;</p> <p>ც. ე. წ. საგნობრივი დამწერლობის ნიმუშებია;</p> <p>დ. ე. წ. საგნობრივი დამწერლობის ნიმუშები არ არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი</p> |
| 266. | <p><i>ყვავილებიანი ქოთანის ფანჯრის რაფაზე, როგორც პრობითი ნიშანი ...</i></p> <p>ა. პიქტოგრაფიული დამწერლობის ნიმუშია;</p> <p>ბ. პიქტოგრაფიული დამწერლობის ნიმუში არ არის;</p> <p>ც. ე. წ. საგნობრივი დამწერლობის ნიმუში არ არის;</p> <p>დ. ე. წ. საგნობრივი დამწერლობის ნიმუშია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 267. | <p><i>რას უკავშირდება დამწერლობის წარმოშობა?</i></p> <p>ა. სახელმწიფოს წარმოშობას;</p> <p>ბ. პირველყოფილი გვაროვნულ-თემური წყობილების წარმოშობას;</p> <p>ც. ფეოდალიზმის წარმოშობას;</p> <p>დ. კაპიტალიზმის წარმოშობას;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 268. | <p><i>დამწერლობის წარმოშობა ...</i></p> <p>ა. უკავშირდება სახელმწიფოს წარმოშობას;</p> <p>ბ. სახელმწიფოს წარმოშობასთან არანაირ კავშირში არ არის;</p> <p>ც. კაპიტალიზმის წარმოშობასთან არანაირ კავშირში არ არის;</p> <p>დ. უკავშირდება კაპიტალიზმის წარმოშობას;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 269. | <p><i>არის თუ არა განსხვავება იეროგლიფსა და იდეოგრამას შორის?</i></p> <p>ა. არა;</p> <p>ბ. დიახ;</p> <p>ც. ნაწილობრივ არის;</p> <p>დ. წარსულში იყო, ახლა არ არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |

| | |
|--------------------|---|
| <p>270.</p> | <p><i>პიქტოგრამასა და იდეოგრამას შორის განსხვავება ...</i></p> <p>ა. არ არის;</p> <p>ბ. არის;</p> <p>ც. ნაწილობრივ არის;</p> <p>დ. ადრე იყო, ახლა აღარ არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>271.</p> | <p><i>შუმერული დამწერლობა</i></p> <p>ა. ანბანური იყო;</p> <p>ბ. არ იყო ანბანური;</p> <p>ც. პიქტოგრაფიული იყო;</p> <p>დ. ანბანურიც იყო;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>272.</p> | <p><i>ჩინური დამწერლობა;</i></p> <p>ა. ანბანურია;</p> <p>ბ. არ არის ანბანური;</p> <p>ც. პიქტოგრაფიული არ არის;</p> <p>დ. ეროვლიფურია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>273.</p> | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i></p> <p>ა. ეროვლიფსა და იდეოგრამას შორის განსხვავება არის;</p> <p>ბ. ეროვლიფსა და იდეოგრამას შორის განსხვავება არ არის;</p> <p>ც. ეროვლიფსა და ფონოგრამას შორის განსხვავება არ არის;</p> <p>დ. ეროვლიფსა და ფონოგრამას შორის განსხვავება არის;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>274.</p> | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. პიქტოგრამა გადმოგვცემს არა ბგერას, არამედ შინაარსს;</p> <p>ბ. იდეოგრამა გადმოგვცემს არა ბგერას, არამედ შინაარსს;</p> <p>ც. ფონემოგრამა გადმოგვცემს არა ბგერას, არამედ შინაარსს;</p> <p>დ. სილაბოგრამა გადმოგვცემს არა ბგერას, არამედ</p> |

| | |
|-------------|---|
| | შინაარსს; ქ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 275. | <i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i> ა. პიქტოგრამა გადმოგვცემს არა შინაარსს. არამედ ბგერას; ბ. იდეოგრამა გადმოგვცემს არა შინაარსს. არამედ ბგერას; ც. ფონემოგრამა გადმოგვცემს არა შინაარსს. არამედ ბგერას; დ. სილაბოგრამა გადმოგვცემს არა შინაარსს. არამედ ბგერას; ქ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი |
| 276. | <i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i> ა. პიქტოგრამა აღნიშნავს მთლიან სიტყვას; ბ. იდეოგრამა აღნიშნავს მთლიან სიტყვას; ც. ფონემოგრამა არ აღნიშნავს მთლიან სიტყვას, დ. სილაბოგრამა აღნიშნავს მთლიან სიტყვას; ქ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 277. | <i>შემოხაზეთ სწორი პასუხი (პასუხები):</i> ა. ფონოგრამა გრაფიკული ნიშანია; ბ. გრაფიკული ნიშანია იდეოგრამა და არა ფონოგრამა; ც. არც ფონოგრამაა გრაფიკული ნიშანი და არც იდეოგრამა; დ. ფონოგრამაც გრაფიკული ნიშანია და იდეოგრამაც; ქ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 278. | <i>ფინიკიურ ანბანს...</i> ა. ფესვები ძველეგვიპტურ დამწერლობაში აქვს; ბ. ძველეგვიპტურ დამწერლობასთან კავშირი არ აქვს; ც. ფესვები ძველჩინურ დამწერლობაში აქვს; დ. ძველჩინურ დამწერლობასთან კავშირი არ აქვს; ქ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |
| 279. | <i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i> ა. ბერძნული ანბანი ლათინურიდან იღებს სათავეს; ბ. პირიქით, ლათინური ანბანები იღებს სათავეს |

| | |
|-------------|--|
| | <p>ბერძნულიდან;</p> <p>ც. ბერძნულიცა და ლათინური ანბანიც შუმერული დამწერლობიდან იღებს სათავეს;</p> <p>დ. პირიქით, შუმერული დამწერლობა იღებს სათავეს ბერძნული და ლათინური ანბანებიდან;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| | <i>ენის წარმოშობის პრობლემა</i> |
| 280. | <p><i>ენის წარმოშობის პრობლემა ...</i></p> <p>ა. წმინდა ლინგვისტური პრობლემაა;</p> <p>ბ. წმინდა ლინგვისტური პრობლემა არ არის;</p> <p>ც. ადამიანის წარმოშობის პრობლემის შემადგენელი ნაწილია;</p> <p>დ. ადამიანის წარმოშობის პრობლემასთან კავშირი არ აქვს;</p> <p>ე. ყველა პასუხი მცდარია.</p> |
| 281. | <p><i>ენის წარმოშობის პრობლემის კვლევა ...</i></p> <p>ა. წარმოებს ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე;</p> <p>ბ. ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე არ წარმოებს;</p> <p>ც. ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე ვერასდროს იწარმოებს;</p> <p>დ. ემპირიულ მასალის ანალიზის საფუძველზე არ ხდებოდა დღემდე, თორემ მომავალში შესაძლებელი იქნება;</p> <p>ე. ყველა პასუხი მცდარია.</p> |
| 282. | <p><i>ენის, როგორც მოვლენის წარმოშობის პრობლემის განხილვისას უნდა ვისაუბროთ იმის შესახებ, თუ:</i></p> <p>ა. როგორ წარმოიშვა დამწერლობა;</p> <p>ბ. როდის, რა პირობებში და როგორ უნდა ამეტყველებულიყო ადამიანის მოდგმა;</p> <p>ც. როდის და როგორ ჩამოყალიბდა ესა თუ ის კონკრეტული ენა;</p> |

| | |
|-------------|--|
| | <p>დ. რა განსხვავებაა ადამიანისა და ცხოველის ენებს შორის</p> <p>ქ. ყველა პასუხი მცდარია.</p> |
| 283. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. ენის წარმოშობის პრობლემის კვლევა გაცილებით რთულია, ვიდრე დამწერლობის წარმოშობისა;</p> <p>ბ. დამწერლობის წარმოშობის პრობლემის კვლევა გაცილებით რთული, ვიდრე ენის წარმოშობისა;</p> <p>ც. ენის და დამწერლობის წარმოშობის პრობლემების კვლევა თანაბარი სირთულისაა, რადგან ენაც და დამწერლობაც ერთდროულად წარმოიშვა;</p> <p>დ. ენის წარმოშობის პრობლემა ვერ იქნება დამწერლობის წარმოშობის პრობლემაზე რთული, რადგან ენა დამწერლობის შემდეგ წარმოიშვა;</p> <p>ქ. ყველა პასუხი მცდარია.</p> |
| 284. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. მეცნიერული თეორიები ენის წარმოშობის შესახებ გაცილებით სანდო ინფორმაციას იძლევა, ვიდრე რელიგიური თეორიები;</p> <p>ბ. პირიქით, რელიგიური თეორიები გაცილებით სანდო ინფორმაციას იძლევა, ვიდრე მეცნიერული თეორიები;</p> <p>ც. ორივე სახის თეორიები ენის წარმოშობის შესახებ მყარ და უტყუარ ინფორმაციას იძლევა;</p> <p>დ. ვერცერთი სახის თეორია ვერ გვაძლევს ენის წარმოშობის შესახებ უტყუარ და სანდო ინფორმაციას;</p> <p>ქ. ყველა პასუხი მცდარია.</p> |
| 285. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. მეცნიერული თეორიების მიხედვით ენის წარმოშობის პრობლემა განიხილება როგორც ადამიანის წარმოშობის პრობლემის შემადგენელი ნაწილი;</p> <p>ბ. მეცნიერული თეორიების მიხედვით ენა (სიტყვები) დაადგინა გარე ძალამ;</p> <p>ც. თეორიები, რომლებსაც მეცნიერულს ვუწოდებთ,</p> |

| | |
|-------------|---|
| | <p>იძლევა ენის წარმოშობის უტყუარ ახსნას;</p> <p>დ. თეორიები, რომლებსაც მეცნიერულს ვუწოდებთ, ენის წარმოშობის უტყუარ ახსნას ვერ იძლევა;</p> <p>ე. ყველა პასუხი მცდარია.</p> |
| 286. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. ლოგოსური თეორიების მიხედვით ენის წარმოშობის პრობლემა განიხილება როგორც ადამიანის წარმოშობის პრობლემის შემადგენელი ნაწილი;</p> <p>ბ. ლოგოსური თეორიების მიხედვით ენის წარმოშობის პრობლემა განიხილება როგორც ენის (სიტყვებისა) დადგენა;</p> <p>გ. თეორიები, რომლებსაც ლოგოსურს ვუწოდებთ, იძლევა ენის წარმოშობის უტყუარ ახსნას;</p> <p>დ. თეორიები, რომლებსაც ლოგოსურს ვუწოდებთ, ენის წარმოშობის უტყუარ ახსნას ვერ იძლევა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არარის სწორი.</p> |
| 287. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი:</i></p> <p>ა. ენის წარმოშობის რელიგიური თეორიები ლოგოსური თეორიების შემადგენელი ნაწილია;</p> <p>ბ. პირიქით, ენის წარმოშობის ლოგოსური თეორიებია რელიგიური თეორიების შემადგენელი ნაწილი;</p> <p>გ. ენის წარმოშობის რელიგიური თეორიები მეცნიერული თეორიების შემადგენელი ნაწილია;</p> <p>დ. პირიქით, ენის წარმოშობის მეცნიერული თეორიებია რელიგიური თეორიების შემადგენელი ნაწილი;</p> <p>ე. ყველა პასუხი მცდარია.</p> |
| 288. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი ...</i></p> <p>ა. ფილოსოფიური თეორიების მიხედვით ენის (სიტყვების) დამდგენია არა მარტო ღმერთი (ღმერთები), არამედ ადამიანიც;</p> <p>ბ. რელიგიური თეორიების მიხედვით საგნებს სახელებს არქმევს არამედ ადამიანიც;</p> <p>გ. არც რელიგიური და არც მთლიანად ლოგოსური</p> |

| | |
|-------------|---|
| | <p>თეორიების მიხედვით ენის შექმნაში ადამიანი არ მონაწილეობს;</p> <p>დ. ენის შექმნაში ადამიანი მონაწილეობს როგორც რელიგიური, ისე მთლიანად ლოგოსური თეორიების მიხედვით;</p> <p>ე. ყველა პასუხი მცდარია.</p> |
| 289. | <p><i>„სახელი ისე გამოხატავს საგნის არსს, მის ბუნებას, როგორც ჩრდილი შესაბამის საგანს, ან კიდევ მდინარეში არეკლილი ხეები და ქვები საკუთარ თავს. აქედან გამომდინარე, საგნის სახელის შესწავლა დიდად დაგვეხმარება ამ საგნის ბუნების, მისი არსის შესწავლაშიო“</i> - ასე ფიქრობდნენ:</p> <p>ა. „თესეი“ ანუ მოლაპარაკების თეორიის წარმომადგენელი ბერძენი ფილოსოფოსები;</p> <p>ბ. „ფუსეი“ ანუ „ბუნებითი“ თეორიის წარმომადგენელი ბერძენი ფილოსოფოსები;</p> <p>ც. როგორც „თესეი“, ისე „ფუსეი“ თეორიის წარმომადგენელი ბერძენი ფილოსოფოსები;</p> <p>დ. არც „თესეი“ და არც „ფუსეი“ თეორიის წარმომადგენელი ბერძენი ფილოსოფოსები;</p> <p>ე. ყველა პასუხი მცდარია.</p> |
| 290. | <p><i>ენის წარმოშობის რელიგიურ და ფილოსოფიურ თეორიებს შორის:</i></p> <p>ა. არანაირი განსხვავება არ არის;</p> <p>ბ. არის ნაწილობრივი განსხვავება;</p> <p>ც. არაფერი საერთო არ არის</p> <p>დ. საერთოა ის, რომ ორივეში საუბარია ენის (სიტყვის) დამდგენზე;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 291. | <p><i>„ენა შექმნა შრომისა და ცნობიერების განვითარების პროცესში წარმოქმნილმა სოციალურმა მოთხოვნილებებმა“</i> - ასე ხსნის ენის წარმოშობას:</p> <p>ა. რელიგიური თეორიები;</p> |

| | |
|-------------|--|
| | <p>ბ. ფილოსოფიური თეორიები;</p> <p>ც. სოციალური თეორიები;</p> <p>დ. „ხმამიბაძვითი“ თეორიები;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 292. | <p>„ენა კი არ წარმოიშვა, არამედ ის შექმნა გარე ძალამ“ - ასე ხსნის ენის წარმოშობას:</p> <p>ა. რელიგიური თეორიები;</p> <p>ბ. ფილოსოფიური თეორიები;</p> <p>ც. სოციალური თეორიები;</p> <p>დ. „ხმამიბაძვითი“ თეორიები;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 293. | <p><u>სამყაროს შექმნის დასკვნითი ეტაპზე შემოქმედი ძალის ატმანის წყალობით ღვთაება - ბრაჰმანი - შედის საგანთა არსში და იქიდან გამომავლს მათი სახელები - ასე ხსნის ენის (სიტყვების) წარმოშობას:</u></p> <p>ა. ბიბლია;</p> <p>ბ. ყურანი;</p> <p>ც. ავესტა;</p> <p>დ. ინდური „ვედეები“;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 294. | <p><i>ამ თეორიებისათვის საერთო, გამაერთიანებელი გახლავთ ენის (ანუ სახელთა) დადგენის პროცესისა და „სახელთა დამდგენის“ ვინაობისადმი ინტერესი, განსხვავებანი კი სახელთა დამდგენისადმი მიდგომაშია.</i> - რომელ თეორიებზეა აქ საუბარი?</p> <p>ა. ფილოსოფიურ და რელიგიურ თეორიებზე;</p> <p>ბ. ფილოსოფიურ და მეცნიერულ თეორიებზე;</p> <p>ც. მეცნიერულ და რელიგიურ თეორიებზე;</p> <p>დ. მხოლოდ მეცნიერულ თეორიებზე;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 295. | <p><i>ბაბილონის გოდოლის შესახებ ლეგენდას იძლევა:</i></p> <p>ა. ენის წარმოშობის შესახებ ბიბლიური ვერსია;</p> <p>ბ. ენის წარმოშობის შესახებ ფილოსოფიური ვერსია;</p> |

| | |
|---|--|
| | <p>ვ. ფილოსოფიური ვერსია, ოღონდ არა ენის, არამედ ცალკეული ენების წარმოშობის შესახებ;</p> <p>დ. ბიბლიური ვერსია, ოღონდ არა ენის, არამედ ცალკეული ენების წარმოშობის შესახებ;</p> <p>ე. ყველა პასუხი მცდარია.</p> |
| 296. | <p><i>ბიბლიის მიხედვით ...</i></p> <p>ა. ენა შექმნა მხოლოდ ღმერთმა;</p> <p>ბ. ენის შექმნაში მონაწილეობა ადამამაც მიიღო;</p> <p>ვ. ენა შექმნა ღმერთმა, ხოლო ენები – ადამამ;</p> <p>დ. ენა შექმნა ადამმა, ხოლო ენები – ღმერთმა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 297. | <p><i>ქ. „თესვი“ და „ფუსვი“ თეორიები ...</i></p> <p>ა. ბიბლიური ვერსიებია;</p> <p>ბ. ფილოსოფიური ვერსიებია;</p> <p>ვ. მეცნიერული ვერსიებია;</p> <p>დ. არც ბიბლიური ვერსიებია და არც მეცნიერული;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 298. | <p><i>კაცობრიობის პირველი ენა იყო ...</i></p> <p>ა. ებრაული;</p> <p>ბ. ლათინური;</p> <p>ვ. ბერძნული;</p> <p>დ. შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი ენა იყო პირველი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <i>ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია</i> | |
| 299. | <p><i>ნათესაობის მიხედვით ენებს აჯგუფებს</i></p> <p>ა. სტრუქტურული კლასიფიკაცია;</p> <p>ბ. სოციოლინგვისტური კლასიფიკაცია;</p> <p>ვ. არეალური კლასიფიკაცია;</p> <p>დ. როგორც სტრუქტურული, ისე სოციოლინგვისტური კლასიფიკაცია;</p> <p>ე. ჩამოთვლილთაგან არც ერთი.</p> |

| | |
|-------------|--|
| 300. | <p><i>გენეალოგიური კლასიფიკაცია ენებს აჯგუფებს</i></p> <p>ა. გრამატიკული წყობის მიხედვით;</p> <p>ბ. ფუნქციური დატვირთვის მიხედვით;</p> <p>ც. ნათესაობის მიხედვით;</p> <p>დ. საერთო წარმოშობის მიხედვით;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 301. | <p><i>ენათა ნათესაობა ვლინდება</i></p> <p>ა. მხოლოდ გრამატიკის დონეზე;</p> <p>ბ. მხოლოდ ლექსიკის დონეზე;</p> <p>ც. მხოლოდ ფონეტიკის დონეზე;</p> <p>დ. არც გრამატიკის, არც ლექსიკის და არც ფონეტიკის დონეზე;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 302. | <p><i>ერთმანეთის მონათესავედ ითვლება ენები,...</i></p> <p>ა. რომლებიც ერთ არეალშია გავრცელებული;</p> <p>ბ. რომლებსაც საერთო გრამატიკული წყობა აქვთ;</p> <p>ც. რომლებსაც საერთო წარმოშობა აქვთ;</p> <p>დ. რომლებიც ერთმანეთის შერევის შედეგად არიან წარმოქმნილი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 303. | <p>ტერმინები: „<i>ენათა ნათესაობა, მონათესავე ენები, ენათა ოჯახი, ენათა ჯგუფი, ენათა გენეალოგიური ხე, ფუძე-ენა, წინარე-ენა და ა.შ</i>“ - ეკუთვნის ...</p> <p>ა. ზოგად ენათმეცნიერებას;</p> <p>ბ. სტრუქტურულ ენათმეცნიერებას;</p> <p>ც. შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებას;</p> <p>დ. სოციოლინგვისტიკას;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 304. | <p><i>კოგნატი არის ...</i></p> <p>ა. სიტყვის დაბოლოება;</p> <p>ბ. სიტყვის ძირი;</p> <p>ც. ერთი ენიდან მეორეში ნასესხები სიტყვა;</p> <p>დ. ბარბარიზმი;</p> |

| | |
|-------------|---|
| | <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 305. | <p><i>კვაზიკოგნატი არის:</i></p> <p>ა. სიტყვის დაბოლოება;</p> <p>ბ. სიტყვის ძირი;</p> <p>ც. ერთი ენიდან მეორეში წასესხები სიტყვა;</p> <p>დ. ბარბარიზმი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 306. | <p><i>არაბული, ასირიული, ივრიტი, აქადური, არამეული, ფინიკიური ...</i></p> <p>ა. ინდოევროპული ენებია;</p> <p>ბ. თურქული ენებია;</p> <p>ც. სემიტური ენებია;</p> <p>დ. რომანული ენებია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 307. | <p><i>იდიში და ივრიტი ...</i></p> <p>ა. ებრაული ენებია, ამიტომ ორივე ერთ ენობრივ ოჯახს მიეკუთვნება;</p> <p>ბ. არც ერთი არაა ებრაული ენა, თუმცა ორივე ერთ ენობრივ ოჯახს მიეკუთვნება;</p> <p>ც. ებრაული ენებია, მაგრამ ერთ ენობრივ ოჯახს არ მიეკუთვნებიან;</p> <p>დ. ებრაული ენებია, ამიტომ აუცილებლად ერთ ენობრივ ოჯახს უნდა მიეკუთვნებოდნენ;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 308. | <p><i>ინგლისური, ფრანგული, ოსური, ინდური, გერმანული, ირანული და რუსული ენები ...</i></p> <p>ა. ერთ ენობრივ ოჯახს მიეკუთვნებიან;</p> <p>ბ. შეუძლებელია მიეკუთვნებოდნენ ერთ ენობრივ ოჯახს;</p> <p>ც. ერთმანეთის მონათესავე ენებია, მაგრამ ერთ ენობრივ ოჯახს არ მიეკუთვნებიან;</p> <p>დ. არ არის მონათესავე ენები, მაგრამ მაინც ერთ ენობრივ ოჯახს უნდა მიეკუთვნებიან;</p> |

| | |
|-------------|--|
| | <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 309. | <p><i>თურქული, არაბული და ირანული</i></p> <p>ა. ახლო მონათესავე ენებია;</p> <p>ბ. შორეული მონათესავე ენებია;</p> <p>ც. საერთოდ არ არიან მონათესავე ენები;</p> <p>დ. ერთმანეთის მონათესავე ენებია, მაგრამ სხვადასხვა ოჯახებს მიეკუთვნებიან;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 310. | <p><i>რომელია ერთმანეთის მონათესავე ენები?</i></p> <p>ა. ქართული და ოსური;</p> <p>ბ. თურქული და არაბული;</p> <p>ც. ინდური და ოსური;</p> <p>დ. ოსური და სომხური;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 311. | <p><i>ფრანგული, ესპანური და იტალიური ენები ...</i></p> <p>ა. გერმანიკული ენებია;</p> <p>ბ. ინდოევროპული ენებია;</p> <p>ც. რომანული ენებია;</p> <p>დ. საერთოდ არ არიან მონათესავე ენები</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 312. | <p><i>გერმანული, ფრანგული და სომხური ენები ...</i></p> <p>ა. გერმანიკული ენებია;</p> <p>ბ. ინდოევროპული ენებია;</p> <p>ც. რომანული ენებია;</p> <p>დ. საერთოდ არ არიან მონათესავე ენები;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 313. | <p><i>ქართული, აფხაზური, ოსური და სომხური კავკასიური ენებია,</i></p> <p>ა. მაშასადამე, ისინი ერთმანეთის მონათესავე ენებია;</p> <p>ბ. მაგრამ ისინი ერთმანეთის მონათესავე ენები არ არიან;</p> <p>ც. ამიტომ ქართველურ ენათა ოჯახში შედიან;</p> <p>დ. ერთ დროს იყვნენ ერთმანეთის მონათესავე ენები, მაგრამ ახლა აღარ არიან;</p> |

| | |
|-------------|--|
| | <p>ქ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 314. | <p><i>ჩამოთვლილთაგან რომელია სლავური ენები?</i></p> <p>ა. თურქული, აზერბაიჯანული და ყაზახური; ბ. ინგლისური, ჰოლანდიური და გერმანული (დოიჩლანდური); ც. სერბული, ხორვატული და მაკედონური; დ. ჩეხური, სლოვაკური და პოლონური; ქ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 315. | <p><i>ჩამოთვლილთაგან რომელია აღმოსავლეთ სლავური ენები?</i></p> <p>ა. თურქული, აზერბაიჯანული და ყაზახური; ბ. ინგლისური, ჰოლანდიური და გერმანული (დოიჩლანდური); ც. სერბული, ხორვატული და მაკედონური; დ. ჩეხური, სლოვაკური და პოლონური; ქ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 316. | <p><i>ჩამოთვლილთაგან რომელია გერმანიკული ენები?</i></p> <p>ა. თურქული, აზერბაიჯანული და ყაზახური; ბ. ინგლისური, ჰოლანდიური და გერმანული (დოიჩლანდური); ც. სერბული, ხორვატული და მაკედონური; დ. ჩეხური, სლოვაკური და პოლონური; ქ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 317. | <p><i>ჩამოთვლილთაგან რომელია რომანული ენები?</i></p> <p>ა. თურქული, აზერბაიჯანული და ყაზახური ბ. ინგლისური, ჰოლანდიური და გერმანული (დოიჩლანდური); ც. სერბული, ხორვატული და მაკედონური; დ. ივრიტი, არაბული და აისორული; ქ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 318. | <p><i>ჩამოთვლილთაგან რომელია სემიტური ენები?</i></p> <p>ა. თურქული, აზერბაიჯანული და ყაზახური; ბ. ინგლისური, ჰოლანდიური და გერმანული</p> |

| | |
|-------------|---|
| | <p>(დოიჩლანდური);</p> <p>ც. სერბული, ხორვატული და მაკედონური;</p> <p>დ. ივრიტი, არაბული და აისორული;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 319. | <p><i>ბერძნული, სომხური და ოსური ენები</i></p> <p>ა. გერმანიკული ენებია;</p> <p>ბ. ინდოევროპული ენებია;</p> <p>ც. რომანული ენებია;</p> <p>დ. საერთოდ არ არიან მონათესავე ენებია;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 320. | <p><i>ენობრივი კონტაქტების შედეგად ...</i></p> <p>ა. შესაძლებელია ერთმა ენამ მეორე შთანთქოს კიდევ;</p> <p>ბ. ენათა ურთიერთშერევა შესაძლებელია, შთანთქვაზე საუბარიც კი ზედმეტია;</p> <p>ც. ენათა ურთიერთშერევაც შესაძლებელია და ერთის მიერ მეორის შთანთქმაც;</p> <p>დ. ერთ-ერთი ენა, როგორც წესი შთაინთქმება მეორის მიერ;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 321. | <p><i>თუ ენობრივი კონტაქტების შედეგად ერთმა ენამ მაინცა და მაინც შთანთქს მეორე, მაშინ შთანთქმული ენა</i></p> <p>ა. როგორც წესი, ეს აუცილებლად იქნება მომხვდურთა ენა;</p> <p>ბ. პირიქით, როგორც წესი, ეს ყოველთვის იქნება აბორიგენტთა ენა;</p> <p>ც. როგორც წესი, ეს არასდროს იქნება მომხვდურთა ენა;</p> <p>დ. პირიქით, როგორც წესი, ეს არასდროს იქნება აბორიგენტთა ენა;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 322. | <p><i>თუ ადგილობრივი (აბორიგენი) ენა ასიმილირდება „მომხვდურში“, ანუ თუ „მომხვდური ყლაპავს დამხვდურს“, მაშინ გადარჩენილ ენაში ასიმილირებული ადგილობრივის ნაკვალევს ეწოდება:</i></p> |

| | |
|-------------|---|
| | <p>ა. ნასესხები ელემენტი;</p> <p>ბ. ბარბარიზმი;</p> <p>ც. სუბსტრატი;</p> <p>დ. სუპერსტრატი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 323. | <p><i>ერთმანეთის მეზობლად მცხოვრებ ეთნოსთა ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთკონტაქტების შედეგი არის ...</i></p> <p>ა. სუბსტრატი;</p> <p>ბ. ნასესხები ელემენტი;</p> <p>ც. ადსტრატი;</p> <p>დ. სუპერსტრატი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 324. | <p><i>გადარჩენილი აზორიგენი ეთნოსის ენის მიერ შთანთქმული მომხვდური ეთნოსის ენის ელემენტი არის:</i></p> <p>ა. სუბსტრატი;</p> <p>ბ. ნასესხები ელემენტი;</p> <p>ც. ადსტრატი;</p> <p>დ. სუპერსტრატი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 325. | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი</i></p> <p>ა. სუბსტრატი ნეიტრალური ტიპის ენობრივი ურთიერთზემოქმედების შედეგია;</p> <p>ბ. ნეიტრალური ტიპის ენობრივი ურთიერთზემოქმედების შედეგი სუპერტსტრატია;</p> <p>ც. ნეიტრალური ტიპის ენობრივი ურთიერთზემოქმედების შედეგი არც სუპერტსტრატია, არც სუბსტრატი და არც ადსტრატი;</p> <p>დ. ნეიტრალური ტიპის ენობრივი ურთიერთზემოქმედების შედეგი არ არის მხოლოდ ადსტრატი;</p> <p>ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| 326. | <p><i>პიჯინი ენა ...</i></p> <p>ა. წარმოიქმნება ენათა დაყოფის შედეგად, მაგალითად,</p> |

| | |
|--------------------|---|
| | <p>უკრაინული, ბელორუსული და რუსული ენები; ბ. წარმოიქმნება ენათა შერევის შედეგად, შესაბამისად, უკრაინული, ბელორუსული და რუსული ენები პიჯინის მაგალითებად ვერ გამოდგება; ც. ენათა დაყოფის შედეგადაც წარმოიქმნება და შერევის შედეგადაც; დ. წარმოიქმნება ენათა მეზობლობის შედეგად; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |
| <p>327.</p> | <p><i>შემოხაზეთ სწორი პასუხ(ებ)ი</i></p> <p>ა. პიჯინი შეიძლება იქცეს მშობლიურ ენად კრეოლური ენა - ვერა; ბ. ვერც პიჯინი იქცევა მშობლიურ ენად და ვერც კრეოლური ენა; ც. პიჯინიც შეიძლება იქცეს მშობლიურ ენად და კრეოლური ენაც; დ. ნებისმიერი ენა ან პიჯინია, ან კრეოლი, ასე რომ მშობლიურთან ისინი წინააღმდეგობაში არ მოდიან; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.</p> |

გამოყენებული ლიტერატურა

1. *ავალიანი, ქეცბაია, 2009* - ავალიანი ს., ქეცბაია კ. ფილოსოფია ყველასათვის. თბ. 2009;
2. *ახვლედიანი, 2010* - ახვლედიანი გ. მასალები საენათმეცნიერო ტერმინთა ლექსიკონისათვის. თბილისი. 2010.
3. *აბაშიძე, 2012* - აბაშიძე ნ. პარონიმული ატრაქცია და მისი შეპირისპირებით-ტიპოლოგიური კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში. ბათუმი. 2012. სადოქტ. დის.;
4. *აიზახმეტოვი* - Айзахметов А. А. Рождение Тюркского мира. <http://www.ayk.gov.tr/wp-content/uploads/2015/01/AYZAHMETOV-A.-A.%D0%90%D0%99%D0%97%D0%90%D0%A5%D0%9C%D0%95%D0%A2%D0%9E%D0%92%D0%90.A.%D0%A0%D0%9E%D0%96%D0%94%D0%95%D0%9D%D0%98%D0%95-%D0%A2%D0%AE%D0%A0%D0%9A%D0%A1%D0%9A%D0%9E%D0%93%D0%9E-%D0%9C%D0%98%D0%A0%D0%90.pdf>
5. *ანიშჩენკო, ვაგინი.* - Анищенко И.Г., Вагин В.Н. <http://coolreferat.com> *Понятие знака в науке и искусстве И.Г. Анищенко, В.Н. Вагин;*
6. *ახვლედიანი გ.* ენათმეცნიერების შესავლის საკითხები. თბილისი. 1972.
7. *ბეგუნკოვა, ხუხუნი, 2006* – Бегункова Н.А., Хухуни Г.Т. Введение в языкознание. М. 2006;
8. *ბიოლინგვისტიკა* <https://sites.google.com/site/stgeneralinguist/grammatika/aktualnoe-clenie-predlozenij-v-matezius/biol>;
9. *ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები და ცნებები* <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=12&t=5121>
10. *ბოგატყრიოვა, 2005* – Богатырёва И. И. О языке животных. Язык. Сознание. Коммуникация. вып. 29. 2005. с.с. 34-42;
11. *ბორჩხაძე, 2016* - კომპიუტერული ტერმინოსისტემის თარგმნის ლინგვისტური მარკერები. სადოქტ. დის. თბ. 2016 (ხელნაწერის უფლებით).

12. *ბუდაგოვი, 2003* - Будагов Р.А. Введение в науку о языке. М. 2003.538 с.
13. *ბურლაკი, 2008* - <http://www.polit.ru /lectures/2008/11/07/lang.html>;
14. *გამყრელიძე, 1989* - გამყრელიძე თ. წერის ანბანური დამწერლობა და ძველი ქართული დამწერლობა. თბილისი.1989.
15. *გამყრელიძე და სხვ., 2008* - გამყრელიძე თ. და სხვ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, 2008
16. *განევი, 2001* - Ганеев Б. Язык. Учебное пособие по языкознанию. Уфа. 2001.
17. *გირუჯკი, 2003* – Введение в языкознание. Минск. 2003. 291 с;
18. *გლუხოვა, 2015* - გლუხოვა ლ. თარგმანის ტრანსფორმაციები მულტილინგვური განათლების დისკურსში (გერმანულ, ინგლისურ, რუსულ და უკრაინულ მასალებზე დაყრდნობით).
http://multilinguaeducation.org/storage/uploads/articles_contents/150614123703.pdf
19. *დიბროვა, კასატკინა, 2001* – Диброва Е., Касаткина Л., Щеболева И.И. Современный русский язык. Ростов-на Дону. 1997.
20. *დრე - 2019* - Большая российская энциклопедия <https://bigenc.ru/linguistics/text/2010086>) -მიმართვის თარიღი: 18.02.2019
21. *ენის თეორია* - Теория языкознания. <http://www.bestreferat.ru/referat-44102.html>
22. *ვენდინა, 2001* -Вендина Т. И. Введение в языкознание. М. Высш.шк. 2001. 288.с.
23. *ზენკოვი, საპოჟნიკოვა, 1998* –Зенков Г.С.,Сапожникова И.А. Введение в языкознание. Бишкек – 1998. 211 с;
24. *თანდაშვილი, ფურცხვანიძე, 2014* - თანდაშვილი, მ., ფურც. ხვაინიძე ზ. კორპუსლინგვისტიკის პარადიგმა ენათმეცნიერებაში. „ფრანკფურტის ლინგვისტური წრე. 2014. 270 გვ.
25. *თევდორაძე, 2016* - თევდორაძე ნ. ენათმეცნიერების შესავალი. თბ. 2016;
26. *იაშინა* - Яшина Т. В. Вариативность семантического треугольника в аспекте изучения терминологических единиц-

http://journal.mrsu.ru/wp-content/uploads/2013/10/Variativnost-semanticeskogo_treugolnika2.pdf

27. *კაპანაძე, 2016* - კაპანაძე ა. განმარტებითი, ორენოვანი და კომბინირებული ტიპის ლექსიკონების ეფექტიანობის კვლევა ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელეებში. თბილისი. 2016. (Ph.D.).
28. *კასატკინი, 2001* - Касаткин Л. Русский язык. М. Академа. 2001. 769 с
29. *კვაჭაძე, 2001* - ქართული ენა. თბილის. „რუბიკონი“. 2001;
30. *კვაჭანტირაძე, 2010* - კვაჭანტირაძე მ.- ჩარლზ პირსი და თანამედროვე სემიოტიკის პრობლემები <http://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/25/>;
31. *კენჭიაშვილი, 2011* - კენჭიაშვილი ნ. პარადიგმატიკის რაობა და მისი ჯგუფები. <https://natiakentchiashvili.wordpress.com/2011/05/02/>;
32. *კოდუხოვი, 1982* - კოდუხოვი ვ. ზოგადი ენათმეცნიერება. რედაქტორი ალ.ღლონტი. მთარგმნელი. რუბენ ენუქაშვილი. თბილისი. განათლება. 1982.
33. *კოდუხოვი, 1987* – Кодухов В. И. Введение в языкознание. М. 1987;
34. *კომისაროვი, 1990* - Комиссаров В.Н. Теория перевода (лингвистические аспекты) / В. Н. Комиссаров. – М.: Высшая школа, 1990. – 253
35. *კოპაჩი, ვორონოვიჩი 2011* - Копач О., Воронович В. Введение в языкознание. Минск, 2011;
36. *ლაბარტყავა 2018* - ლაბარტყავა გ. გენეტიკური კავშირები ქართველებსა და iamnaia kultura -ს უძველეს მოსახლეობას შორის და ინდოევროპელების უძველესი სამშობლო-ცენტრალური აზია. <http://istoriulistatiebi1.blogspot.com/2017/09/>.
37. *ლეღ-1998 - ЛЕС 1998* – Лингвистический энциклопедический словарь / Гл. ред. В.Н. Ярцева. М.: Советская энциклопедия, 1990;
38. *ლესოხინი მ. და სხვები* - Лесохин М. М., Лукьяненко К. Ф., Пиотровский Р. Г. Введение в математическую лингвистику. – Минск: Наука и техника, 1982;
39. *ლექსიკონი*, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=42973> - უცხო სიტყვათა ლექსიკონი);

40. ლექსიკონი, 2000 - Новый энциклопедический словарь. М., 2000.
https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BB%D0%BE%D0%B2%D0%B0%D1%80%D1%8C#cite_note-3
41. ლომთაძე, თ. - თანამედროვე ქართული სოციოლექტები. თბ. „მერიდიანი“ 2010. 147 გვ.
42. ლომიძე, 2013 - ლომიძე ქ. სამეტყველო ორგანოები და მათი ფუნქციონირება <http://kids.ge/articles/>;
43. მასლოვი, 1987 - Введение в языкознание. М. 1987. 272 с;
44. მახარაძე, 2003 – მახარაძე მ. ფილოსოფია მოზარდთათვის. თბილისი. ელფის სასკოლო ბიბლიოთეკა. 2003. 80 გვ.
45. მელიქიშვილი, 2004. - მელიქიშვილი გ. როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები. თბილისი, „საქართველოს მაცნე“. 2004. 127 გვ.
46. მერაბიშვილი თ. - სამეტყველო აქტების თეორია თანამედროვე ლინგვისტიკაში.
http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period-00-1--0-10-0--0-0---Oprompt-10--.%2e-4----4---0-11-11-en-10---10-preferences-50--00-3-help-00-0-00_11-1-OutfZz-8-00-0-11-1-OutfZz-810&a=d&c=period&cl=CL2.15&d=HASH3c989667f9bd919253f77f.1.2;
47. მეჩკოვსკაია, 1998 – Язык и религия. Лекции по филологии и истории религий. 1998;
48. მეჩკოვსკაია, 2011 - Мечковская, Н. Б. Общее языкознание. Структурная и социальная типология языков: Учебное пособие. Москва : Флинта : Наука, 2011. - 312 с;
49. მჭედლიშვილი, 2008. მჭედლიშვილი დ. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ელექტრონული ვერსია. 2008; <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=42973>)
50. ნებეირიძე, 1991 - ნებეირიძე გ. „ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი. 1991
51. ნეიროლინგვისტიკა /<http://www.medgeo.net/2009/12/24/>;
52. ნემჩენკო, 2008 - Немченко, В. Н. Введение в языкознание. М. : Дрофа, 2008.— 703 с;

53. *ნიშნაწიბე, 1983* - ნიშნაწიბე ნ. _ ენათა „დიფერენციალური ფსიქოლოგიის“ კვლევის ონომასიოლოგიური მეთოდი და მისი განხორციელების ცდა მორფოლოგიაში _ ჟურნ.: მაცნე. თბ., 1983, # 3, გვ. 141-156;
54. *ნიკოლაძე, 2014* - ნიკოლაძე ქ. სიტყვაწარმოების ადგილისათვის ლინგვისტიკაში ქართული და გერმანულენოვანი საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით. თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ბილინგვური ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“. №8.
<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/8/78;>
55. *ნისტრატოვა, 2001* - Нистратова С.Л. – Контактостанавливающая функция языка и сферы её проявления. Язык, сознание, коммуникация. Вып. 20. М. 2001. с. 63 – 69;
56. *პატარიძე, 1980* - პატარიძე რ. ქართული ასომთავრული. თბილისი.1980
57. *პლუნგინი* - Вл. Плунгин. <https://postnauka.ru/video/14284>)
58. *ჭერებლო, 2005* - Жеребило Т. Словарь лингвистических терминов. Назрань. 2005
59. *რამიშვილი, 1978* – რამიშვილი გ. ენის ენერგეტული თეორიის საკითხები. თბ. 1978.
60. *რებერი, 2002* - Оксфордский толковый словарь по психологии» / Под ред. А.Ребера, 2002;
61. *რეფორმატკი, 1999* - Реформатский А.А. Введение в языкознание.М. Аспект Пресс. 1999. 536;
62. *რუბლიოვა, 2004* - Рублева О. Л. Лексикология современного русского языка. Владивосток. 2004;
63. *სემიონოვი* - Этимологический словарь русского языка Семенова.
<http://semenov.academic.ru/378/жаргон;>
64. *სოსიური 2002.* სოსიური ფ. ზოგადი ენათმეცნიერების კურსი. თბილისი. „დიოგენე“. 2002. 121 გვ.
65. *სპირკინი 1983* - Спиркин А.Г. Мышление // Философский энциклопедический словарь. М.: Советская энциклопедия, 1983;
66. *ტრუბეცკოი, 2000* – Трубецкой Н. С. Основы филологии. М. 2000.

67. *ფილოსოფიის შესავალი*, 2009: 43-44). ფილოსოფიის შესავალი, ბრაჭული ი., ზაქარიაძე ა., რამიშვილი ვ., ჯალაღონია დ., „მერიდიანი“, თბილისი 2009.
68. *ფელ 1984* - Энциклопедический словарь юного филолога. М.В. Панов. ЭСЮФ 1984: 320;
69. *ფილოსოფიური ენციკლოპედია* - Национальная философская энциклопедия. <http://terme.ru/termin/interpretant.html>
70. *ფონიავა ნ. გ.* სტაროსტინი ნოსტრატული თეორიის შესახებ [http://caucasiology.tsu.ge/docs/geo/el-biblioteca/seminarebi/n.poniava.starostini %20 nostratuli%20teoriis;](http://caucasiology.tsu.ge/docs/geo/el-biblioteca/seminarebi/n.poniava.starostini%20nostratuli%20teoriis;)
71. *ფრომკინი, 2009* - ფრომკინი ვ. ა., კერტისი ს. და სხვები. ლინგვისტიკა. შესავალი ლინგვისტიკის თეორიაში. თბილისი. ილიაუნი. 2009. 671 გვ.
72. *ფსიქოლინგვისტიკა* <http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/52946;>
73. *ქეე, 2008* – ქართული ენა (ენციკლოპედია). „ეროვნული მწერლობა“. თბ. 2008. 620 გვ;
74. *ქე*, <http://georgianencyclopedia.ge/index.php/>. ბოლო მიმართვა;
75. *ღლონტი, 1983* - ღლონტი ალ. ქართული ლექსიკოგრაფიის საფუძვლები. თბილისი.1983;
76. *ღლონტი, 1988* - ღლონტი ალ. ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები. თბილისი.1988;
77. *ცაგარელი ლევან*. ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი. თბ. 2012 <http://www.levantsagareli.files.wordpress.com/2008/04/sesavali-7.doc>
78. *ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2013* - ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მ. სტილისტიკა. თბილისი 2013. 311 გვ;
79. *ცეცხლაძე, 2018* - ცეცხლაძე ნ. ფრაზეოლოგიზმების კვლევის ასპექტები. თბ. ივერიონი. 2018. 328 გვ;
80. *ჩიქობავა, 1983*: ჩიქობავა ა. ზოგადი ენათმეცნიერება. თბ. 1983;
81. *ჩიქობავა, 2008*. ჩიქობავა ა. ენათმეცნიერების შესავალი. თბ. 2008;

82. *შაიკევიჩი, 2005* – Шайкевия А. Я. Введение в лингвистику. М. Академия. 2005. 395 с;
83. *შმელიოვი, 1977* - Шмелев Д.Н. Современный русский язык. Лексика. М. Просвещение, 1977. 335 с.;
84. *ჭრელაშვილი 1990* - ჭრელაშვილი კ. ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია. თბ. 1990. 208 გვ.;
85. *ჭყონია, 2016* - ჭყონია ნ. ლექციები ენათმეცნიერებაში (ნაწილი პირველი). თბილისი. „უნივერსალი“ 2016. 642 გვ.
86. *ხალვაში, 2014* - ხალვაში ლ. ზოგადი ენათმეცნიერება. თბ. „უნივერსალი“. 2014.
87. *ხარნაული*
<http://900igr.net/prezentatsii/russkij-jazyk/Tekst/002-Tekst-eto-neskolko-predlozhenij-svjazannykh-drug-s-drugom-po-smyslu.html>